ოთარ ფულუკიძე

ქამთა წუხილი

(ისტორიული რომანი)

წიგნი პირველი

2017

წინათქმა

კაცობრიობის მიერ დღემდე შექმნილ ღირებულებებს შორის, ერთ-ერთი უპირველესი ღირებულება წიგნია. სამწუხაროდ და ჩვენდა სავალალოდ, სადაც ვცხოვრობთ და ვმოღვაწეობთ, წიგნი მიტოვებულია, მწერალი კი დავიწყებული.

ზნეობრივი ნორმიდან მოწყვეტილ, გაუთვითცნობიერებელ საზოგადოებას, მართვის სადავეები დაუკარგია და მმართველობის უმაღლეს კვარცხლბეკებზე ჩნდებიან ხოლმე, ათასგვარი ჯურის მედროვეები.

ქართველი ხალხის არსებობის სუსხიან სავალზე, გამუდმებული ავბედობა ტანჯავდა ერს და მაინც გადავრჩით.

თუმცა გადავრჩით კი? მაშინ, როცა ღირსება გათელილია და უზნეობას დაუბუდებია გარშემო და მაშინ, როცა ღირსებანაკლულობის ავადობით დასნებოვნებულ ერს, ნათელი მომავალი არაოდეს არ დაებადება.

ავტორისაგან

თუ არა ცხოვრებისეული სინამდვილის ხედვა, მწერლობაზე ალბათ, არასოდეს არ ვიფიქრებდი. ასე რომ, თვითმიზანი ეს კი არა, მამულიშვილური მოწოდებაა. გულიდან ამოტყორცნილი საკეთილო ზრახვის ძახილია ჩემი ბედშავი ერისათვის.

ახლა. როცა ცრუ მეხოტბენი ასე მომრავლდნენ და ჭეშმარიტ შემოქმედ მწერალს ხმა ვერ მიუწვდენია მშობელი ხალხისთვის, სწორედ დიდი პატივია იღვაწო, ენთო შენივე სულის კელაპტრად ანთებულ ალში და მღელვარე ქარტეხილად მოჰბერო ქვეყანას ხმა სიმართლისა. თუმცა, ზოგჯერ ამ სიმართლის ხმასაც არ მოაქვს სასურველი შედეგი და ეს ყოველივე რჩება მხოლოდ ფუჭმეტყველების ამაო მარცვლად.

ამ ბოლო ხანებში, ყველგან სიტყვის თავისუფლებაზე გაჰყვირიან. მიკვირს და ვერ გამიგია, არის კი ის ჩვენთან?

ანგარების თვალთახედვით გაზომილ აზრს, თავისუფლება არასოდეს დაებედება და გაუფასურებულ, კეთილსა და ბოროტთან ზღვარდაუცველ თქმასაც, ბორკილდადებული დუმილი ბევრად სჯობია.

ძველ ეგვიპტეში, უმაღლეს ქურუმთა დარი პატივმიგებით ფასდებოდა სამწერლო ჯაფა. ჭეშმარიტი მწერალი ერის სულიერების დედაბოძია, ის დედაბოძი, რომლის გარეშე გამქრალია სამშობლოს სიყვარულიცა და ადამიანურ ღირებულებათა უმწიკვლოებაც.

დღევანდელობაში სრული დეგრადირების გზაზე დამდგარი საზოგადოების საკეთილოდ მობრუნება თანადროული მწერლის უპირველესი მიზანსწრაფვაა. მან არა მარტო სიტყვით, არამედ პირადი ცხოვრებითაც უნდა შთაუნერგოს ხალხს სამართლიანობის აუცილებელი მოთხოვნის გარდაუვალობა.

თვალუწვდენ უდაბნოში წყურვილით შეჭირვებულ მაკედონიის სპაში წყლით სავსე თასი აღმოაჩნდა ვიღაცას. წყლიანი თასი ალექსანდრე მაკედონელს მიართვეს. დიდმა მხედართმთავარმა მიწოდებული თასი ჩამოართვა, გაკვირვებით გააქნია თავი და ბრძანა: ეს ჩემი ლაშქრისთვის მეტისმეტად მცირეაო და ასე რუდუნებით შემონახული სიცოცხლის სითხე უსაზმნოდ დააპკურა დაბუგულ მიწას.

სულიერი და ფიზიკური სიღატაკის ზღვარზე მდგარმა ბრძენმა რომაელმა ხალხმა პატიოსნებითა და ღირსებით შემკულ უბადლო მოყმეს, ლუციუს ცინცინატს, მოუწოდა იმპერატორის სკიპტრა აეღო

ხელში. იმპერიულ კვარცხლბეკზე ამაღლებულმა, უბრალო წარმომავ-ლობის სოფლელმა მიწის მუშამ, ლუციუს ცინცინატმა ერთიანად გაანადგურა შინაური თუ გარეშე მტერი და იხსნა რომი დაღუპვისაგან.

ჩემო მშობელო ერო, დღეს, როგორც არასდროს, უდიდესი განსაცდელის წინაშე დავუყენებივართ განგებას. ვინძლო, ჩვენი წინაპრისდარი კეთილგონიერებით შევძლოთ ამისი დაძლევა.

ოთარ წულუკიძე

თავი პირველი

დიდი გვალვები დაიჭირა ტაო-კლარჯეთში. შემოდგომის ადრეულ სუსხით გაძარცულებს დაემსგავსა ბაღ-ვენახები. აუტანელი სიცხისაგან სიცოცხლის ნიშანმიბინდულ ყანებში უწყალოდ დაჰბერა ქარბორბალამ. ტყეებსაც დაეტყო ბუნების ულმობლობა. სამოსელი შემოეცალა იფანსა და ნეკერჩხალს. იდუმალი მდუმარებით მიყუჩდა გარემო.

ხანდახან მაღალი მთებიდან ვაების ზარივით გაისმოდა ხარირმის უჩვეულო ბღავილი, ხრინწშეპარული, შიშნარევი მოძახილი დახშული გუგუნით გადადიოდა სერიდან სერზე.

აგვისტოს შუა რიცხვები იდგა. გამხმარ ჭალებში აქა-იქ ეულად ამართულ ველის გვირილას მოწყენით დაეხარა გვირგვინი, თითქოსდა მასაზრდოებელ დედას ვედრებით შესთხოვდა წყალს. მიწა, მისი დედა-მშობელი კი დამსკდარ წყლულთაგან მწარედ კვნესოდა, აღარ შერჩენოდა სინოტივე კვლავაც ერჩინა მის იმედად შემყურე ამდენი სულიერი.

ჰგოდებდა მიწა. უდროოდ შემჭკნარ ფოთლებს ულმობლად გლეჯდა ქარი და რუხ ხალიჩებად აფენდა ირგვლივ. ნაადრევ ოქროსფერში ლივლივებდა მიდამო. მშრალი ნისლოვანი მტვერი გაუმჭვირვალე ლულად ჩაგებულიყო ხევებში.

ჭირს ჭირი დაერთო: თორთომის განაპირას ცეცხლმა იფეთქა. შემაშფოთებელი სისწრაფით მსრბოლ მომაკვდინებელ ალში იღუპებოდა წიწვოვანთა გაუვალი ტევრები, ათასწლოვან მუხებს შეუბრალებლად ნთქავდა ჯოჯოხეთური კუპრი. ხანძარი ბობოქრობდა თავისებური სიდიადით და საშინელებით. სწრაფად ამომდინარე კვამლს სადღაც შორს მიერეკებოდა ქარაშოტი. მურა-თეთრ ღრუბლებს დაეფარა ზეცის თავანი.

დამფრთხალი ნადირი ანგარიშმიუცემლად მოაწყდა ადამიანთა საბინადროებს. ყორანთა სიშავისგან დაიჩრდილა ეზოები. ბანსა თუ სახურავებზე მიყუჩებით მსხდარი ფრთოსნები ხანგამოშვებით აიჭრებოდნენ მაღლა, ექოდ მგრგვინავი, გამაყრუებელი გნიასით ისერებოდა ბინდშეპარული ცა. ამ დროისათვის. სოფლების შორიახლოს მგელთა ხროვების გაბმულ ყმუილს, ხშირად ირემთა და შველთა დაუმცხრალი ბღავილი ახშობდა. ხალხი შიშის ძრწოლამ შეიპყრო. შეუცნობელ საშინელებათა მოლოდინში ჩაიძირა ქვეყანა.

***

მთვარის დღეს, ის-ის იყო ადარნასე მეფეთა-მეფემ თორთომის ციხისთავის მაცნესგან შეიტყო მთიელთა განდგომა და მათ დასაშოშმინებლად ბაგრატ უფლისწული წარგზავნა მცირეოდენი სპითურთ, რომ ბიზანტიის ელჩიონის მალემსრბოლი მოადგა სასახლის კარიბჭეს.

უკანასკნელი დღეების უსიამოვნო ამბებისგან შეფიქრიანებულმა მეფემ სახლთუხუცესს უბრძანა შეყოვნებით შემოეშვა ელჩიონი მისაღებ დარბაზში. მეტისმეტად გაოგნებულს ჯერ კიდევ თვალწინ ედგა ციხისთავის მსახური, ძლივს რომ იბრუნებდა ენას მომხდარის სათხრობლად.

ჰმ, რა მოუთვინიერებელი არიან ეს მთიელები! არაბთა დაუნდობელი სარდლის, აბულ ყასიმის მიერ ოტებული ამ ველურ ტომთა წინაპრნი, როგორც კი დაასახლეს ქართველთა მეფეებმა, საკუთარი ნებითვე აღმოსავლეთ ტაოში, იმ დღიდან სიწყნარე აღარ ღირსებია თვალწარმტაც ხეობებიან მხარეს. ხან რას მოითხოვდნენ და ხან რას. წელიწადი ისე არ გავიდოდა, მახვილი არ აღეპყრათ ხელისუფლების წინააღმდეგ.

საამისოდ კი მრავალი ხელშემწყობი მიზეზი ჰქონდათ: ძლევით მოქცეული ქრისტიანულ რჯულზე, კვლავაც თავიანთი კერპების მსახურნი, არ ემორჩილებოდნენ ქრისტიან მეფეს. ამას ამჩნევდა გარს მოჯარული მტერი და კალიებივი მოდებული მრავალგვარი ჯურის მსტოვრები უფრო და უფრო აღვივებდნენ სარწმუნოებრივ თვალთახედვით აღმოცენებულ მტრობას.

რა ღონეს არ მიმართა მეფემ, მაინც არ დაადგა საშველი უმადურთა დაწყნარებას. მერე რა დიდი მსხვერპლის ფასად უღირდა ქვეყანას ყოველგვარი არეულობა, ახლაც მათ დასაშოშმინებლად წარგზავნილი ათას ხუთასი მეომრიდან რამდენი მობრუნდებოდა უვნებელი, ვინ იცის? შეძლებდნენ თუ არა ბოლოს და ბოლოს მათ დამორჩილებას? აი, ვერაუხსნელი და გაურკვევლობის ბურუსით მოცული მრავალი უპასუხო კითხვა. ღირდა კი ესოდენ მსხვერპლად თავზეხელაღებულ ველურთა სიცოცხლე?

არა და არა!

უნდა დაემხოს შფოთის ბუდე, მაგრამ ცოდვას, ცოდვას სად გაექცეოდა. არა კაც ჰკლა! სულში ზარად გაჰკიოდა სამართლიანი მცნებით ამეტყველებული გონება.

მოემატებინა გადასახადები? კიდევ უფრო ააწიოკებდა ისედაც მშიერ-მწყურვალთ და ახალი ძალით ააზვირთებდა სიძულვილის ტალღას.

სხვა საშუალებანიც გადაუწყვეტელ პირობად ესახებოდა მეფეს. დიდი ხნით შეკედლებული სტუმარი, შორსმდგომი მწყალობლის ზნისგან, არვინ დაძრახოს მასპინძლად რომ გექცეს საკუთარ ჭერქვეშ!

უგნური ვერ-რას შეიგნებს კეთილისმყოფელური ქცევით. ბოროტების წილ მიგებული სიკეთე ბოროტების თავი და თავია, რამეთუ უწმინდურთა დამთრგუნველი მისივე ბუნებით შობილი უწმინდურებაა. ნასუსხარს სიცივე კურნავს, მაგრამ არაჯანსაღ სულს იმგვარადვე რომ მიუზღო, როგორც თვით არის, ხომ უნდა გეხერხებოდეს ეს მრუდე ქცევა?

ვერ შეძლებს ყველა ამას, ვერა, ვერ შეძლებს.

მაშინ ხომ წაიშლებოდა ზღვარი მართალსა და უმართლოს შორის, აირეოდა ყოველივე და ადამიანთა სამყოფელი დაემსგავსებოდა ბოროტების უზარმაზარ ურჩხულს, სამყაროს ჩასანთქმელად რომ იქნება გამზადებული. ყველაფერს თავისი გზაწვრილი გააჩნია წუთისოფელში, არსობის კუთვნილი გზაწვრილი. თუმცა გასარკვევია, როგორ გადარჩეს სიკეთე, თუკი მის ირგვლივ შემოსალტულა ბოროტთა კრება? სად არის ახსნა ამ დინებისა, სად? იქნებ ჰუმანური სულისკვეთებით გამსჭვალული შეგონებანი გააკეთილშობილებს ადამიანებს, სასურველი მიმართულებით მიუჩენს სავალს სწორი აღზრდისას?

ფრიად საეჭვოა, საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა მეფე. რას არ მიმართა, რითიმე აეცდინა უგუნურ მეამბოხეთა ჟლეტა, ამაო გამოდგა ყოველი, ფუჭი და მიზანსაცდენილი.

ცუდ მიზანსწრაფვად აბობოქრებული სისხლი უნდა დაიღვაროს, უკეთუ ის შხამად დაგუბდება სხეულში და ბოლოს გარშემო მყოფთაც დაასნებოვნებს.

ყველაფერს თავისი გზა აქვს წუთისოფელში.

ყოველი ადამიანი თვითვეა საკუთარი ბედის შემოქმედი და მასაზრდოებელი, რამეთუ მის ფერხთქვეშაა ცხოვრების წესის არჩევანი, ავაზაკად არვინ იბადება, სუსტი ნებისყოფა უბიძგებს მათ უზნეობისაკენ.

ერთადერთი შეცდომა ამ ბნელით მოცულ ნაკვალევზე პირველი ნაბიჯია, დანარჩენი მომდევნო სვლა კი მხოლოდ უგონო სწრაფვაა სულში უკვე დაკანონებულ განუსჯელი მოქმედების. ძნელია მრუდე

გზაზე დამდგარის დაკვალიანება, თუმცა ზოგი მაინც ახერხებს ამოტივტივდეს წუმპის ზედაპირზე, იმ სიბინძურის მიღმა, სადაც გაატარა სიცოცხლის გარკვეული წილი.

დრო წარმოშობს ტირანებს, გმირთაც და გლახაკთაც, დრო და გარემო. ხარირმის შორეულმა მოძახილმა გამოარკვია ფიქრებიდან მეფე, მსახურს დაუძახა:

– სამეჯლისო დიდებულნი მოიწვიე სტუმრებთან შესახვედრად! – უბრძანა.

***

ორივე მხარეს ჩამწკრივებულ დიდებულთა გარემოცვაში მჭმუნვარედ იჯდა ტახტზე მეფე. მწყობრი ნაბიჯებით მიუახლოვდა გვარამ სახლთუხუცესი, მოწიწებით მოიხარა ქედი.

– ელჩიონი გეახლათ კონსტანტინეპოლიდან! – მოახსენა.

ბიზანტიელთა ხუთკაციანი ამალა დახანებით შემოვიდა დარბაზში, ელჩიონს შუახნის ანაფორით შემოსილი წვეროსანი გამოეყო, თვითდაჯერებული მზერით შორიახლოს დადგა, გულზე ხელები დაიკრიფა და არც თუ მოკრძალებულად, ოდნავ დახარა თავი. სიზვიადე და უპატივცემულობა გამოსჭვიოდა ელჩის ქცევაში. არ მოეწონა ესოდენი კადნიერება მეფეს, თვალთა უპეებში მრისხანების ცეცხლმა იელვა, წამიც და კინაღამ ბრძანა, შეეპყროთ ეს თავხედი და სასახლის ეზოშივე დაესაჯათ, მაგრამ სულიდან ამოტყორცნილმა უხილავმა ძალამ დათრგუნა წუთიერი ვნებათაღელვა. ქვეცნობიერი აზრით განჭვრიტა, ვინ იდგა ამ ჩია ბერს იქით. გონების ფსკერიდან ამოტივტივდა ყოველგვარი ხრიკების ბუნაგი „მსოფლიოსმპყრობელის“. არ უყვარდა ბიზანტიელნი მეფეს, მან კარგად უწყოდა რა სისხლის ფასად იავარქმნეს მათ საქართველოს სამხრეთი გამუდმებული დალაშქვრითა და უწყალო მუსვრისაგან. სრულიად მოაოხრეს ოდესღაც აყვავებული სპერი და ბასიანი, არც ტაო-კლარჯეთისათვის დაუყრიათ სანეტარო დღე. ნამოსახლარებად აქციეს წალკოტში ჩაფლული სოფელ-დაბები, ეკალ-ბარდმა მოიცვა ეკლესია-მონასტრები.

იქნებ უმადურობაა ვარაუდი ჩემი? ხომ შეიკედლეს არაბთაგან ლტოლვილი აშოტ დიდი, ქართლის მძლავრი ერისთავი? დააკარეს, მიუბოძეს ქვეყანა საბატონოდ და ასაშენებლად? ჰე, რა გულმოწყალენი ყოფილან, სხვა სუნი რომ არ არსდიოდეს ამ საქმეს ოღონდაც.

შავი ღრუბელი გაწოლილიყო ბიზანტიის ცაზე. ოდესღაც დაუძლეველი იმპერია მარცხს-მარცხზე განიცდიდა არაბებთან

ბრძოლაში, რის გამოც დასნეულებულ ლომს ჩამოეცალა იერუსალიმი და მიმდებარე სხვა მიწებიც. კონსტანტინეპოლს მთელი სისრულით ჰქონდა განჭვრეტილი საქართველოს დაცემის შემდგომი ვითარებანი, მაშინ არაბებს ხელთ ექნებოდათ გასაღები ძნელად შეუვალი კავკასიის გადასასვლელთა. ამ თვალუწვდენელ უფსკრულებზე მავალ უღელტეხილებიდან გამარჯვებულს შეეძლო გადმოესხა ჩრდილოეთის ველური ტომები და ეს მოუხელთებელი, გიჟმაჟი ძალა მიემართა მოწინააღმდეგის შესამუსრავად. ვინღა უწყოდა თუ როგორ წარიმართებოდა ჟამთა მსვლელობა ამის შემდგომად? ახლა უკვე ნახევარ რკალად შემორტყმული მტერი, ადვილად დასცემდა ისედაც დაუძლურებულ ქვეყანას. აი, სწორედ აქ იყო ჩაქსოვილი რომის დახავსებული დიპლომატია. ამიტომ გასტკბობოდათ აგრერიგად ივერნი მათ ამჟამიერად.

დაუოკებელი ბრაზისგან სახე შეეფაკლა მეფეს. მრავალმნიშვნელოვნად გააქნია თავი და ხელის უჩვეულო მოძრაობით – გისმენთო, ანიშნა ელჩს.

სტუმრისადმი ურიგო დახვედრით გაკვირვებული ვარდან ვაზირთუხუცესი იდუმალ განიმსჭვალა ამგვარი ქცევის არსჩაუწვდენლობით. უზომოდ გაოგნებულს ვერ აეხსნა, რაზედ გაბრაზდა მეფე, ესოდენ თავშეუკავებლად რომ ეპყრობოდა მოსულს. თუმცა, თვალნათლივ იხილა ზღვარსგასული კადნიერება და გვერდით მდგარ სასახლის მოძღვარ საბას გადაუჩურჩულა კიდეც: ამაყნი არიან რომაელნიო. ბიზანტიელთა ქედმაღლობა მას ჩვეულებისამებრ მიაჩნდა და ამგვარად ბჭობის ღირსადაც კი არ თვლიდა.

საკმაოდ დრო დაჰყო მან კონსტანტინეპოლის სასახლეში. მრუშობისა და არეულობის საკმაო ხანი. ეს დრო იმაზედ უფრო მეტია, რომ გაეცნო უცნობი ერის ხასიათს. ყველა პიროვნება, აზნაური და უაზნო, გამორჩეული თუ უჩინო, ვისთანაც კი ჰქონდა საერთო ვარდანს, შეპყრობილი იყო მხოლოდ ერთი მიზანსწრაფვით, უთავბოლოდ განედიდებინა თავისი ქვეყნა, რაც განსაკუთრებულად ურთიერთსაუბარში იხატებოდა.

სად კიაფობდნენ ათასგვარ ფერებში მოელვარე მდიდრული სრასასახლენი? – ბიზანტიონში.

სად გაიფურჩქნა უძველეს ელინთა თვითმყოფადი, განუმეორებელი კულტურა? – ბიზანტიონში.

სად ბინადრობს უმაღლეს განვითარებას მიღწეული ერი? რა თქმა უნდა ბიზანტიონში.

ბიზანტიონი იყო კაცობრიობის უდიდესი მიღწევების თვალსაჩინო მწვერვალი – ყველაზე ძლიერი და ყველაფრისგან გამორჩეული. თითქოსდა, სწორედ მათ მორჩილად გაეჩინა დედამიწაზე სხვა ერები ყოვლისშემძლე ღმერთს.

დაახლოებით ამგვარი შინაარსის, გადაჭარბებულად განმადიდებელ ლაქლაქს გაიგონებდით ყოველი იმათგანიდან.

ერთი მეტად უცნაური ამბის მოწმე გახდა შარშან ვაზირთუხუცესი: ახსოვს, რომაელი დიდებული სტუმრობდა მაშინ მეფეს – უსაზომოდ მკვეხარა და თვითდაჯერებული რაინდი. რაინდიო ვამბობთ, თორემ, რაინდობის მსგავსი არა ეცხო რა, ჭორიკანა დედაკაცის სახელი უფრო შეეფერებოდა. მერე, როგორი სითამამით დაალაჯებდა სასახლეში, თითქოს თვით იყო ყველაფრის ბატონ-პატრონი. უმიზნო ცუნდრუკი ბოლოს იმდენად გაუტკბა, რომ ქალთა სადგომებში გაბედა დაუკითხავად შესვლა. ეს ამბავი არ დარჩენიათ მეჭორეებს მოუხილველი. ხმა დაირხა, რომაელი სახლთუხუცესის ლამაზ ცოლს ჰყვარობსო. ავი ენები იმასაც ამბობდნენ, მეფის ასულის – მომხიბლველი თინათინის უზომო და ცალკერძა სიყვარულმა, მრუში ქელეხსერის ავხორცი გული მოანადირებიაო. ასე იყო თუ ისე, ამ ჭორებში სიმართლის ნატამალი რომ ერია, იცოდა ვაზირთუხუცესმა.

აღვირახსნილმა მოტრფიალემ, ერთხელ თინათინის საძილე ოთახში პერანგისამარას შეუსწრო და ალბათ უღირსი რამეც შეჰკადრა ქალწულს, რომ დავითის ასეთი რისხვა დაიმსახურა. არავინ უწყის, იქ რა საუბარი წარიმართა. ამ დიალოგის უნებლიე მოწმე გახდა თვითონ, ორთახევში ტრიალ მინდორზე ორთამებრძოლ რაინდთ რომ უყურებდა მალულად. თავდაპირველად იფიქრა კენწლაობენო, მაგრამ რომაელმა გამეტებულად რომ აძგერა უფლისწულს შუბი წვივში და სისხლის შადრევანმა გადმოხეთქა ჭრილობიდან, მაშინ კი გაექანა მისაშველებლად, თუმცა, დახმარება აღარ დასჭირვებია დავითს. ჰოროლის მძლავრმა დარტყმამ ელვის უსწრაფესად ძირს დასცა მოწინააღმდეგე. ვეღარ წამოდგა ფეხზე ბიზანტიელი, ტიტანურ ძალას ორივე ფეხი დაემსხვრია მუხლის სახსარში.

სასახლეში ჩამოიყვანეს დასახიჩრებული. საიდან არ მოიწვიეს დამტვრეულის (ასე აცნობა დავითმა მამას) სამკურნალოდ დასტაქარნი. ყველამ გადაუწურა იმედი, ფეხთა წარუკვეთლად სხვა ღონე არ არისო. გადაწყვიტეს, მოეჭრათ ორივე კიდური. სასტიკ უარზე იდგა

დამარცხებული მეტიჩარა, მაგრამ ხორცმა ლპობა რომ დაიწყო და გარდაუვალმა სიკვდილის ზარმა ჩამოჰკრა, მაშინ კი დათანხმდა.

რთული მდგომარეობიდან სამცხელი მადლიანი დასტაქრის, შიოშის ჯადოსნურმა ხელმა იხსნა. ექვსი თვე ლოგინად ყოფნის შემდეგ, მცირედ მომჯობინებულმა, სამშობლოში დაბრუნება მოითხოვა. ტახტრევანით წაიყვანეს მეფის შუბოსნებმა. ყოველწამიერ იმუქრებოდა თურმე გზაში.

ამ შემთხვევიდან თვენახევრის გასვლის შემდეგ, მუქარაშეპარული ბარათი მიიღო მეფემ. ქარაგმულ აბლაბუდად ესახებოდა ვაზირთუხუცესს ეს წერილი დღესაც.

***

უხერხულობისგან შეიშმუშნა ელჩი. – არ მოელოდა ამგვარ დახვედრას. უთავბოლოდ აებლანდა გონებაში წინასწარ ჩამოყალიბებული და მიჯრით დაწყობილი სიტყვა. უმწეოდ ჩამოისვა წვერზე ხელი. მიმართა ვაზირთუხუცესს: – მოახსენეთ ივერთა უბრწყინვალეს მაგისტროსს, რომ უზენაესი იმპერატორი კვალვაც დიდ მადლობას მოახსენებს ესოდენ დიდი წვლილისათვის ჩვენს დაუძინებელ მტრებთან ბრძოლაში და ნიშნად გმირობისა და თავდადებისა, გამოჩენილი მამაცობისათვის, უფლისწულ დავითს ანიჭებს მაგისტროსის უმაღლეს წოდებას. ნათელმხილველი საპატივდებო სიგელ-გუჯრებით ასაჩუქრებს აგრეთვე შეუპოვარ ძალოვან მოყმეთ, აჭარის ერისთავს ლომფერ დიდაჭარელს და „ყველისციხის ვეფხვად“ წოდებულ სამცხის ერისთავს გუბაზ ჯაყელს.

თვალმოჭუტული, მდუმარედ უსმენდა მეფე ვაზირთუხუცესის თარგმნილს. ცბიერ იმპერატორს არც ბაგრატ უფლისწული დაევიწყებინა, მისთვისაც მიებოძა ერისთავთერისათვის ტიტული და სათანადო სამოხელეო შესამოსელი.

ცბიერების დაფარული ღიმი გამოსჭვიოდა ელჩის თვალებშიც.

შემაზრზენია ცბიერების ბადეში გახვეული ყოველი არსი. განუსჯელობის ანალიზს მოკლებული, მარადიულ ლანდად დასდევს ეჭვისა და ვერაგობის ბნელი თვალთახედვა, განუშორებელი მოლოდინი იმისა, რასაც თვითვე უპირებს სხვას.

ორპირთა მსხვერპლი კეთილშობილნიც ხდებიან. ზოგი უარყოფს კიდეც ამას, თუმცა სინამდვილე რეალობად რჩება და ამოუხსნელ საიდუმლოს მხოლოდ ერთი დადასტურება გააჩნია. ნახევარი ბიჯია კეთილშობილებიდან ცბიერებამდე – უდიდესი შინაგანი ბრძოლის ნახევარი ბიჯი. საკვირველია, ღმერთო, მსჯავრი შენი

უსამართლობისა, იმარჯვებს ის, ვისაც გააჩნია აკრძალული ხერხის გამოყენების ალღო და მისწრაფება. მართალია იქ, სადაც ღონე უძლურია, გონებას უნდა მიენდო, მაგრამ ნაყოფი გონიერებისა რატომ არის ხშირად დამთრგუნველად მიმართული მეორე მხარისადმი? იქნებ თავდაცვითაა განპირობებული? ან თუნდაც სხვაზე ბატონობის შორსმჭვრეტე-ლური ზრახვით?

სავარაუდოა ერთიცა და მეორეც.

მე, ქართლის პირველ მეფეთა-მეფეს, მპყრობელს სრულიად ტაოკლარჯეთისა და საერისთავოებისა, მქონდეს ისეთივე ბიზანტიური წოდება, როგორც საკუთარ ძეს, დავით უფლისწულს? ხომ არ არის ეს მორიგი ფანდი, რასაც ხშირად მიმართავს ჩვენი ერთმორწმუნე მეზობელი?

ეს მართლაც ბიზანტიის მორიგი ოინი იყო, შორს გამიზნული. ვის გაეგონა აქამდის მეფისა და უფლისწულის წოდებრივი გათანაბრება? გარდა ამისა, განსწავლულობით და მეომრული საქმეების უბადლო ცოდნით აღჭურვილი ძმები დავით და ბაგრატ, ცნობილი იყვნენ მთელ აღმოსავლეთის ქვეყნებში. არამიწიერი ძალგულოვნება, სიმამაცე ახასიათებდათ უმწიკვლო ვაჟკაცთ და ცხადია, ტოლფასოვანი ჯილდო შეეფერებოდათ. თუმცა სულ სხვა მიმართულებით ქროდა რომაელთა ზრახვანი. ისინი ესწრაფვოდნენ ძმებს შორის გაეღვივებინათ შური, რაც ყოველ ჩვენთაგანში იმთავითვეა დაბუდებული. განსხვავებაა მხოლოდ იმაში, რომ ერთნი ზნემაღალ შეგრძნებით დაჯილდოებულნი, თავიანთი ცნობიერების შიგნით, მას ისე ჩაიკლავენ, რომ სხეულში რაიმე კვალი არ რჩება. მეორენი კი, ცდუნების მსხვერპლნი ხდებიან, მათ შინაგანი ძალთა რკინება ვიწრო სუბიექტურ მიზნებზე აგებული გოდოლია ბოროტების და იდუმალი ლტოლვა ჰეგემონიის მოხვეჭისათვის, დაუფიქრებლად უბიძგებს მათ უწმინდურებისაკენ.

შური ერთობ დიდი ნაკლია კაცის. ყოველგვარი უკეთურების საწყისი და დამაგვირგვინებელი. მოშურნეები ბევრად მეტია მოკვდავთა შორის. უღირსთ ჩვეულებრივ მომადლებული აქვთ ქვეცნობიერი სწრაფვა სიმაღლისაკენ, ზნეობრივი ნორმიდან გადახრის არაერთი გამოვლინებისადმი.

ყოველი მაღალგანვითარებული არსების შიგნით იმალება პირველობის დაუფარავი სურვილი. სხვათა აღზევება, დამსახურებულიც კი, ააქტივებს ემოციურობას, და ბოლოს, უკიდურესობამდე მისული, ხშირად არასასურველი წიაღსვლებით დაამდაბლებს საკუთარ სულიერ ღირებულებებს.

– უძლეველი ბიზანტიის ხელისუფალთ, – განაგრძობდა ელჩი, – იმედი აქვთ თქვენი შეურყეველი თანადგომის. ვინაიდან სარკინოზნი კვლავაც მძლავრობენ და თვით ქართლის მრავალჭირნახული დედაქალაქიც მათ ფერხთქვეშ ბორგავს. სწორედ ამჟამად გვმართებს მტკიცე ერთიანობით წინ აღვუდგეთ წამლეკ ღვარცოფად მოდენილ ბარბაროსთ, გწამდეთ, დადგება ჟამი, როცა მართლმადიდებელთა ხელთაპყრობილი მახვილით, რომი მორკალულ ცარგვალს ჩამოადგებს ბაღდადის ციდან, მაშინ განივრცობიან ყოველგნით ჭეშმარიტი ქრისტიანნი და თქვენც სამარადისოდ დაიმკვიდრებთ საქართველოს ერთიან მიჯნებს.

„ხელთაპყრობილი რომი“ განსაკუთრებული მარცვალგებითა და ზეაწეული ტონით წარმოთქვა ელჩმა. არაბუნებრივი სამხილით გამჟღავნებულმა სიტყვამ, ოდნავი ღიმი მოჰგვარა მეფეს: მაინც არ იშლიან თვისას – გაიფიქრა, – აგერ მერამდენე საუკუნემ დაისადგურა მემატიანის პერგამენტზე, რაც ორი დაუნდობელი მტარვალი ულმობლად კორტნის ერთიმეორეს. დახანჯლულ გვამთა ზედახორებზე დაემხო ბიზანტიის უძლეველობის მითი. უცხო რჯულისანნი დაეპატრონენ ქრისტიანთა წმინდა სავანეს, ეს კი...“

– ჭეშმარიტად, – ჩაურთო სახლთუხუცესმა, – განგების ნებით აღსრულებულიყოს ნათლის მომცემი წადილი ჩვენი....

– კაცობრიობის განვითარება – კვლავ ფიქრთა გორგალს ჩაუყვა მეფე, – მხოლოდ უკეთესის ძიებაში ვლინდება! ჯერ არ შექმნილა ადამის ტომთა ისეთი კავშირი, სადაც თითოეულ წევრს შესაძლებ-ლობა ჰქონდეს მუდმივად მზარდი სურვილების დაკმაყოფილების. საზოგადოება დასაბამიდან ქმნიდა თავისი თანაარსებობის ჰუმანურ იდეებს. წელთა ნამუსრევზე აღგვილ სახელმწიფოებთან ერთად იცვლებოდა მოწამეობრივი შეხედულებანიც, მაგრამ ადამიანი, არსებულში სრული ჰარმონიის ვერგამჭვრეტელი, შეუჩერებლივ მიილტვოდა უკეთესი მომავლისაკენ, ნათელ მერმისს ეძიებდა კაცთა ბედით თუ უბედობით ანთებული საღი გონება, დიახ, უკეთესი მერმისისადმი რწმენა იყო უმაღლესი მიზნების მქონე წმინდათა წმინდა მსოფლმხედველობა, რაც თუ შექმნილა დღემდე დედამიწაზე.

– უბრწყინვალესი იმპერატორი ღრმა პატივისცემით მოიკითხავს ყოვლადღირსეულ მაგისტროსს, მის ძეთა, შინაურთა და ნათესავთა, სურვილაპყრობილი შესხთოვს განგებას, შეურყევლად დგომას კვლავაც ჭეშმარიტებასა ზედა და ცრემლდანთხეული შეავედრებს უფალს, ვითარც ძმას უმრწემესს მისას! – ჩაათავა ელჩმა, მკერდზე ხელმიბრჯნით თავი დაუკრა და რამდენიმე ბიჯი გადადგა უკან.

– გულწრფელად მოხარული ვართ! – დინჯად შეაგება ვაზირთუხუცესმა, – მძელთამძლე მზის ღირსადყოფის პატივგებით და აღუნუსხველი ამაგობით! მორჭმული აზრი, ჩვენდამი მომართული, მალამოდ ეკურნება დამაშვრალ წყლულთა და კეთილ იმედებით აგვავსებს კვალად! გვიგულეთ თქვენს მხარდამხარ, მუდმივ მზადყოფნაში, საერთო მტრის წინააღმდეგ ჩაუხრელ მახვილად აღმართულნი. ვერ-რა ძალა ვერ შეარყევს ურთიერთნდობას, რამეთუ მტკიცე ნებათა-ნებით გამოგვიწვდია საძმოდ ხელი აწ და მარადის!

მძიმედ წამოდგა ტახტიდან მეფე. ელჩიონის მიღება დამთავრდა.

გულში ჩარჩენილი ბოღმა მაინც არ შეირჩინა ვაზირთუხუცესმა, დარბაზიდან გასვლისას მიუბრუნდა წვეროსანს:

– კადნიერებად ნუ ჩამომართმევს დიდად პატივცემული ელჩი, მაგრამ ქართლის მაგისტროსი სრულიად ქართლის მეფეთა-მეფე ბრძანდება და სჯობია უმაღლესი წოდებით მივმართოთ, რათა განქიქების საფარველში არ შეინიღბოს ურწმუნო სიტყვა, – ხმადაბლა ჩაულაპარაკა ბერძნულად და სტუმარს აგრძნობინა ყოვლად გაუმართლებელი ქცევა თუ მისი მიზნობრივი წადილი.

მის ამ გამონათქვამს მაინცდამაინც დიდად არ შეუწუხებია ელჩი. ის არც თავხედი იყო და არც უტიფარი. მოქმედებდა ისე, როგორც დაარიგეს: – „ძირთამდე დაამდაბლე ქართველთა ღირსება, ვერ უნდა გაბედონ მაგ ბარბაროსებმა ჩვენთან გატოლება“ – გაახსენდა მღვდელმთავრის დარიგება წმინდა სოფიის ტაძარში ამას წინათ.

სხვა ერთან გატოლებას არც ღირსად ჰყოფდნენ რომაელნი. მოკავშირეთა მეფეებს ისინი დამადლებულ ლუკმასავით მიუგდებდნენ ბიზანტიურ წოდებას და მათგან გამორჩეულთ მთავრის (არხონ) სახელით თუ მოიხსენიებდნენ, ესეც უდიდეს კეთილშობილებად ითვლებოდა. მათი მხრიდან უარეს ქმედებასაც ჰქონდა ზოგჯერ ადგილი: საკუთარი ხელმწიფისაგან გამდგარ ფეოდალს, ფარისევლური ზარ-ზეიმის გარემოცვაში მიუბოძებდნენ ხელშეუვალობის სიგელს. ამით ორმაგი თამაში, რასაც ბიზანტია ესწრაფვოდა, მოგებულად ითვლებოდა. აღზევებული ფეოდალი, ყოველწამიერად დამჯილდოებლის სამსახურში მყოფი, უგონოდ დაამსხვრევდა თავისივე ხალხის ერთიანობას.

***

მიიწურა ცოტაოდენი ხანი. ჩინური ატლასით მოფარდაგებულ სარკმელს იქით მწუხრი ჩამოწვა. სიფრიფანა ფარდა ერთგან რკინის

გისოსს გამოსდებოდა და მცირე ნასვრეტიდან ჩამავალი მზის ალმაცერი სხივებით აელვარებული ლაჟვარდი მოჩანდა შორს, სადღაც თვალსაწიერში. მიმქრალი მნათობის მეწამული ათინათი დაჰფენოდა მხრებშემართულ მთათა კონტურებს. თვალთა განჭვრეტის სიშორეში ნელი ნანავით ეთხოვებოდა ნათელს უკანასკნელი ფრთოსანი.

დაცარიელებულ დარბაზში, კედელზე ორრიგად ჩამწკრივებულ სანთლებთან, განუკითხავად დაბორიალობდა მსახური, რომლის ლანდი, მონაბერ ქარივით ფარფატა, მცირეოდენ, ხანაც უზარმაზარ ჩრდილად ეფინებოდა იატაკს. კრთოდნენ ჩირაღდნები და ციურ ხაზებად ასვეტილ შუქთან, დაუურველი სრბოლით ილტვოდა მათ გარშემო ქინქლების ერთად შეჯგუფული ფარფატა გუნდი. უცებ გამეტებულად შეირხა ალი სანთლებზე: ფარვანა შემოფრენილიყო საიდანღაც, თეთრ-შავ წინწკლებიანი. შეუჩერებლივ დაქროდა აღმა-დაღმა ღამის სტუმარი, ფრთების უთავბოლო ფათქუნში თავდავიწყებული აღტკინებით მქროლავი, ბოლოს ანგარიშუმიუცემლად ჩაეშვა ალში.

„ტკბილ ნექტარს დახარბებულ ღამის ფარვანებს ყვავილებად ესახებათ ანთებული სანთლები, ამიტომაც დასტრიალებენ ასე გულისყურით და ხშირად იღუპებიან კიდეც!“ – გაახსენდა ბრძენი არიშას ნათქვამი მეფეს.

სინანულით დასწვდა ძირს მოფართხალე უღონო მწერს, ცეცხლს წარეკვეცა შავი ხალებით მოხატული, ლამაზი ფრთები. შეეცოდა განწირული: – „რა ვერაგია უმგვან სხეულში ჩაბუდებული სიხარბის ჭია,“ – გაიფიქრა.

კვლავ ფუსფუსებდა დარბაზში მსახურის ლანდი.

– დავით უფლისწული ხომ არ დაბრუნებულა ორთახევიდან? – შეეკითხა.

– ჯერ არა, მეფეო!

– არიშას დამიძახე. – უბრძანა.

– ბინდკრება სიმშვიდის! – გაისმა რამდენიმე წუთის შემდეგ.

კარებთან იდგა ჭარმაგოსანი კაცი, ჯვალოს წამოსასხამითა და უცნაურ ფარფლებიანი ქუდით. არიშა ბრძენი, მეფის შორეული ნათესავი, უბადლო სიზმართმხილველი და წიგნთმოყვარე, კარგი ენამჭევრი და რიტორი. სხვათა ქვეყნებში გაეტარებინა მთელი სიცოცხლე. ყველაფრის მომსწრეს და თავისთავზე განცდილ მძიმე ყოფას, ბასრი ბრჭყალებით შეერყია მისი გარეგანი სიმრთელე.

თუმცა, ჯერ კიდევ სამოცი წელი არ გადაეთელა, მაგრამ ბეჭებში მოხრილს, ნაადრევი სიბერე დასთამაშებდა.

– მოდი ახლოს, ბრძენო! – მოუხმო მეფემ, – მართალია, ამას წინათ შერისხვა დაიმსახურე, მაგრამ მიპატიებია მაშინდელი წყენა, – უთხრა და დაჯექიო, ანიშნა ხელით.

უხმოდ ჩამოჯდა სკამზე მწიგნობარი და უხმოდვე შეაცქერდა მეფეს.

– არ ეკადრება ბრძენს, – საუბარი გააგრძელა მეფემ, – ჩემგან სწავლება...

მონაბერ ქარივით ფარფატაა ზემდგომის რისხვა, საითაცაა მიმართული, იმ გზით გააქროლებს და ვერა შეგონებანი ვერ ააცდენს მიზანს, წინასწარ შერჩეულს და დაკანონებულს!

ღიმილნარევი სახით შემოხედა არიშამ და მოსხეპილად ჩაურთო: – ფუძე მკვიდრ მწვერვალთ შეუძლიათ მხოლოდ დაურვება ძლიერი ქარტეხილებისა, მეფევ!

– ჰი-ჰი-ჰი... – გულღიად გაეცინა ხელმწიფეს, – ქედს ვიხრი სიბრძნის წინაშე, მაგრამ მეტისმეტად ნუკი გაკადნიერდები! საკუთარ ჭკუაზე დაყრდნობილ სიტყვას შესაძლებლობაც შენეული შეუფარდე, თორემ დასანანებლად გაგიხდება და ავყიაობად მონათლავენ ნათქვამს! ჯერ ფონი გადადი სამშვიდობოს, მერე დაიყუდნე თავიო! – იტყვიან და ერთიც... ერიდე ბრძენ ქვეშევრდომთა ხვედრს გონებანაკლულ მეფეთა საუფლოში, რამეთუ შეუთავსებელია ცეტთა და ბრძენთა ბუნება, ვითარც აგვისტოს ხვატში წყლად მდინარი ყინულის ლოდი.

– მე მხოლოდ სიმართლის თქმა მინდოდა მაშინ და განუსჯელად არც რა მითქვამს, მეფეო! – თავის მართლებას შეეცადა ბრძენი.

– მაგგვარი ქადაგობით ვერ შესძლებდი ვაზირობას, არიშა. იცი? ზოგჯერ სიმართლის თქმაც დანაშაულია და დანაშაულიც სიმართლის თქმის ერთადერთი ხერხი. ჭკვიანს უთქვამს: ნუ შეეცდები ჭეშმარიტების დადგენას იქ, სადაც არავის არა სჭირდებაო. თუმცა, ამისთვის არ მომიხმიხარ ახლა.

– გისმენთ, მეფეო! – გულისყური დაძაბა ბრძენმა.

– წელიწადი მიიწურა თითქმის, – განაგრძო მეფემ, – რაც ჩაიკარგა უკანასკნელი დამაკავშირებელი ძაფი ბაღდადთან. იქ დიდი შეთქმულების ქარბუქი დატრიალებულა. შევიტყვე, ბაღდადის მპყრობელის სასტიკი ბრძანებით, იდუმალი სიკვდილის ხვედრი გაუზიარებია მონისგან დაბეზღებულ ორმოც მოთავეს. საიდუმლოდ

შეუპყრიათ ჩვენი მსახურიც. არავინ იცის, სად და რა ვითარებაში წარიმართა მსჯავრდება, ვინ დაისაჯა და ვინ არა. დღემდე შეუცნობლად დარჩა თურმე, უღვთოდ დასახიჩრებულ გვამებზე ვინაობის ამოკითხვა. გარდა მაგისა, ამ საკვირვლად ჩახლართულ ამბავს, ერთი უცნაურობაც მიემატა: გუშინ დილით მეახლა ბაღდადით მომავალი სოვდაგარი, ჩვენი ყმისგან წარმოგზავნილი უსტარით. ბარათში ნიშანდება ნამდვილს წააგავს, მაგრამ ვფიქრობ, ეს ბაღდადის მფლობელის შენიღბული ოინი უნდა იყოს.

ბრძენი ძლივსღა ჩასწვდა პატრონის ნათქვამის აზრს. მრავალჯერ აწონ-დაწონა სიტყვა, თვალწინ წარმოესახა გამჟღავნებული და გაუმჟღავნებელ ართქმულსაც ჩაუკირკიტდა. მისდაუნებურად აღიქვა ჩანელებულ გახსენებების ყულაბა; აუტანელი ტანჯვა-წამება, უპატრონო სამარეთა წყება გადახრუკულ რუხ უდაბნოში. იმ საფლავებთან დატოვებული რწმენა, ნუგეში და ის ცრემლები, უდიდესი ავბედობის ნიშნად რომ გადმოეფრქვევა კაცს უხმოდ და განუკურნებლად.

წელთა იარებთან მიყუჩებული ტკივილი კვლავ აენთო, ადუღდა, აიფოფრა და ზღვარდაუცველად გადმოიღვარა სხეულიდან. სევდით მინისლული თვალებით თითქოს შესთხოვდნენ მუდარით მეფეს, – არა, არ მსურს კვალად ხანდაზმულ მოლანდებების ხილვა!

წამიერად შეყოვნდა მეფე. რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა დარბაზში, მერე მთავარი სათქმელის აცილებით შეეკითხა:

– არაბეთს თუ ყოფილხარ ოდესმე?

– სად არ გამიტარებია ჩემი ვაიქმნილი სიცოცხლე, მეფეო! ჯერ კიდევ ყმაწვილი, ნეტარხსენებული თქვენი მამის, ბაგრატ მეფის იდუმალ წარგზავნით ჩავედი ბაღდადს. თერთმეტი წელი დავყავი ჰინდის ქვეყნებში. ცხოვრება მთელი, პატიოსნად შემიწირავს ჩემი ხალხისათვის და ახლა, როცა დღენი დათვლილი მაქვს, მიუსაფარი, უნუგეშოდ ჩავალ სამარეში. ეულადქმნილს არავინ არ შემრჩა დამტირებელი, – ღრმა გულისტკივილით ჰყვებოდა განვლილი ცხოვრების ამბავს ბერიკაცი.

ბრძენის ნათქვამზე სმენამიპყრობილი, უაზროდ გაჰყურებდა ჩაბნელებულ გარემოს მეფე. ერთ წერტილს მიჩერებული, ერთახნს დუმდა, შემდეგ მიუტრიალდა ბრძენს, უთხრა:

– შეუწონელია ფრიად შენი ნაღვაწი, არიშა. ვიცი, უწმინდეს მიზნად გაგიხდია მამულისთვის სამსახური. მიგიძღვნია მისთვის ყოველი, ძნელი ხვედრია ეგე, რამეთუ არიდეს დაჰბედებია ამიერი სიამტკბილობა სამშობლოს ჭეშმარიტ შვილთა. მაგნაირ მოყმეებით

არსებობს ერი და რაც მეტია მსხვერპლი შენებრი, მით უფრო ძლიერია ის. რამდენი ხალხი გაქრა დედამიწაზე დასაბამიდან, ისტორიის ღვარცოფმა მტვრად აქცია, განა იმიტომ რომ არ ჰქონდათ მყობადი სახე? არა, მათ აკლდათ ის, რაც შენში აგრერიგად მოზღვავებულა! ერის დიდება, ერისშვილთა ღვაწლია განუყოფელი და როს წახდება შთამომავლობის გულთაფიქრში გადმოვლენილი ზრუნვა მისადმი, მაშინ განწირულია გაზაფხულის ეულ ფიფქივით და ისე ჩაქრება, ვითარც სუსხისგან ნაადრევად აკოკრებული ტყემლის ყვავილი.

ბნელი ნისლეულით შემორკალული მთვარე ეკიდა ცაზე. საამურად ელაციცებოდა ფარდაგებს მაცოცხლებელი ნიავი. ღია სარკმელთან მდგარი მეფე გაჰურებდა ოქროსფერში მოლივლივე ზეცის უკიდეგანო თაღს. სახლთა შავი სილუეტიები გაფენილიყო მეწამულისფრად მოვარაყებულ ქუჩებზე. მხარმარჯვნივ მიწურებიანი ქოხმახები მოჩანდა, ღარიბ-ღატაკთა უბანი. ქოხმახები აესვეტა ბორცვებს, სასახლესაც კი შემოტმასნოდა. თითქოს მთელი ქალაქი მიწურებად ქცეულიყო. უბადრუკ საცხოვრისთა ფონზე, ამაყად იდგა თეთრად მოელვარე წარმართთა ბაზილიკა. განუწყვეტილივ ირეოდნენ ბაზილიკის შემოგარენში ბნელი ლანდები. ალბათ, ჩუმ-ჩუმად მოარული მლოცველები თუ იყვნენ. იცოდა მეფემ, აქ, ამ ძველ სამლოცველოში, თავს იყრიდნენ წარმართნი, ამიტომაც დაუგმო საქციელი ანჩელმა ეპისკოპოსმა ანტონმა და გადაჭრით მოსთხოვა, დაუყოვნებლივ ნაცარტუტად ექცია ეშმაკეულთა ნავსაყუდელი.

მრავალი უბინაო ბოგანო ცხოვრობდა ამჟამად სამლოცველოში. ამიტომაც აყოვნებდა მეფე მის იავარქმნას. აბა, სად შეაფარებენ თავს ამდენი უსახლკარონი შემდგომო, ხშირად გაუკრთებოდა გონებაში სიბრალულით გამსჭვალული და მადლით შეზავებული ფიქრი მეფეს.

კრთოდა სამყარო. გამოუცნობი იდუმალებით ელვარებდა შუქმობინდული ვარსკვლავთ კრებული.

– წარღვნა იქნება ჟამთა სიახლოვეში, მეფევ! – სარკმელს მიახლოებული ბრძენი გაფაციცებით შეჰყურებდა ზეცას.

მოულოდნელობის ავი წინათგრძნობა ცივად ჩაეღვარა მეფეს სხეულში. გაკვირვებულმა შემოხედა: – წარღვნა?! საიდან გეზმანა ამ გაგანიაში? იქნებ გსურდა, წვიმა იქნებაო გეთქვა? რაც ასე სჭირდება ამ დაბუგულ მიწას?

– აგერ, – ხელით უჩვენა არიშამ ვარსკვლავებით გაჭედილ ცაზე, ერთგან რუხ ფერში გარდამავალი თეთრი ნისლეული, – შვიდი შეჯგუფული ვარსკვლავის იქეთ რომ ჩანს, ბინდშეპარული

გაცისკროვნება, ბნელი შუქფენილით ჩამოღვენთილი, თითქოს გამჭვირვალე, შავი ზეწარი გადაკვრიაო, სწორედ ეგ არის მაცნე მოახლოებულ მეხთატეხისა, მეფევ!

– ვით დავუჯერო შორეულში განფენილ მნათობთ? – გაოცების მცირეოდენი აზრი ჩაიღვარა ხელმწიფის გონებაში, – ვითარ ხელყოფენ ისინი ტაროსს, აგრერიგად დაშორებული დედამიწიდან? სცდები, მისანო!

– არა, პატრონო! – არ დათმო ბრძენმა, – ერთია სამყარო ჩვენი, ერთი მეორით შევსებული სრულ ჰარმონიად. ნუთუ, წამითაც არ გიფიქრია, თუ რა მოუვიდოდა მასაზრდოებელ მიწას, მზე რომ არ იყოს სხვიგამახული? ან თუნდაც მთვარე და ის ვარსკვლავნი, ათასგვარ ფერში მოციმციმე, იდუმალებით შებოჭილი რომ გადმოჰყურებენ მიწიერთ?

– ის რაღა არის, ნისლივით ბადისებრ რომ შემორკალვია მთვარეს? – მთვარის ირგვლივ ბუნდოვნად შემოჯარულ თეთრ სარტყელს ჰკიდა თვალი მეფემ.

– წვიმის ღრუბელია, ქარიშხალთა და ღვარცოფთა მაუწყებელი, – დაასკვნა არიშამ.

– ქარიშხალთა და ღვარცოფთა მაუწყებელი?! – გაკვირვებით აიქნია ხელები მეფემ, – იქნებ არ ხდება ყოველთვის ასე, იქნებ ცთომილებაა ხანდახან, ლამის დამზაფროს მაგ წინასწარმეტყველების უნებლიე შიშმა. რამეთუ, უფრო საშიშია წინასწარ ხილვით აღქმული აზრი, ვინემ თავად მოვლენილი საშინელება.

– მომიტევეთ, მეფევ! – მოუბოდიშა ბრძენმა, – მე მხოლოდ მას ვუბნობ, რაც გვასწავლა ცხოვრებამ დასაბამიდან. პერგამენტზე გადმოსახულმა თუ ზეპირთქმებით თაობიდან-თაობაში ჩვენამდე მოღწეულმა. შეხედე ღამურებს, რა უჩვეულოდ დაფრინავენ, თითქოს მდევარს გაურბიანო!

– ეგ კი რაღას ნიშნავს? ღამურებიც გრძნობენ ქარაშოტის მოახლოებას?

– გაცილებით ადრე, ვინემ ადამიანი! ჩინთ ქვეყნის იქეთ, სადაც ხშირი მიწისრყევაა და გამუდმებით ცეცხლი იფრქვევა მისი წიაღიდან, ერთი უცნაური ფრთოსანი ჰყავთ მოშინაურებული. გალიაში მოფუსფუსე პატარა ჩიტი, საფრთხის მოახლოებისთანავე, საოცარ ყივილის გამოსცემს, რითაც ხალხს მიწისძვრას ამცნობს.

ოდესღაც ჰაოსში, არარატის მთაზე ამოფრქვეული მდუღარისგან დამფრთხალ ნადირ-ფრინველთ გადაურჩენიათ ახლო-მახლო მცხოვრებნი. მსგავსი შემთხვევა ბევრი ახსოვს კაცობრიობას.

უძლურია ადამიანის გონება ბუნების ძალთა წინაშე და ალბათ ვერასდროს ვერ ჩასწვდება იმ საიდუმლოებათა არსში, რაც თუ რამ ხდება ჩვენს გარშემო. – თქვა და წამით მიყუჩდა ბრძენი. ირიბად შემოხედა მეფეს, – რაღაც სათქმელი გქონდათ მეფეო, – დაუმატა.

დარბაზს მოავლო დაბინდული მზერა მეფემ. გამომცდელად შეხედა არიშას. მისი საფეთქლიდან ღრმა ნაჭრილობევზე გადაიტანა მზერა. გაახსენდა, ეს ჭრილობა ბაღდადში ჰქონდა მიღებული ბრძენს.

– ბაღდადში გვინდა წარგზავნა სანდო კაცის. არჩევანი შენზე შევაჩერე! – უთხრა და პასუხის მოლოდინში წამით დაახანა.

ელოდა ამ სიტყვას არიშა. ელოდა და ენანებოდა ძველ წუხილთა გახსენება კვლავინდებურად. მორჩა, გაშორდა ვაებით გატეხილ ღამეებს. აღარ ძალუძდა სულიერად შერყეულ სხეულს, ისევ იმ ბილიკებით სიარული. შებედა გულისკანკალით, – გავკადნიერდები და ნუკი შემრისხავ მეფეო! იცი, ქვეყნის სამსახურში დამილევია დღენი. არა-რა შემრჩა მარტოოდენ ტკივილით სავსე წარსულის გარდა. აღარ ვარგივარ საამისოდ. ძალი წარმტაცა ხანმა, დავჩაჩანაკდი და ვაითუ, შუა გზაზე აღვესრულო ამდენი წანწალით ჯანგატეხილმა. ჩემს თავს არას ვჩივი, თუგინდ ზვარაკად შევეწირო უწმინდეს მიზანს, ოღონდ არა ვავნო რა ამით საქმეს. ამ ბოლო დროს გულის ფრიალიც დამჩემდა, ძილისა და მოსვენების მონატრულს! იქნებ, ჩემს შეგირთაგან შეგვერჩია ვინმე? ბევრი მეგულება შესაფერისი, თქვენი დასტურიც თუ იქნება.

მცირე სკოლა ჰქონდა სასახლეში ბრძენს, თავის შეგირდებს მეზობელთა ენებს ასწავლიდა და წვრთნიდა საამისოდ.

ვერ გადაეწყვიტა, როგორ დაეთანხმებინა არიშა მეფეს. იცოდა, ვერავინ ვერ შესძლებდა მასზე კარგად ამ საქმის მოგვარებას. ის არ ტყუოდა. განა ესოდენ დაღარულ სახეს არ აჩნდა, რამდენი ვაება გადაეტანა? თვალნათლივ ხედავდა ხელმწიფე და თანაუგრძნობდა კიდეც. რამდენჯერ მოუთხრია მისთვისაც გადახდენილი, გული აუჩუყებია მეფისათვის. რამდენჯერ მის მწვავე ბედს, გაიღო ყოველი რაც თუ შეეძლო, დაე, ახლა მაინც ცოტაოდენი შვება იგრძნოსო, დაასკვნა ბოლოს და კარგიო, დაეთანხმა.

სიჩუმე ჩამოვარდა მცირე ხანს.

გახარებულმა ბრძენმა ნეტარების ღამე უსურვა და ფეხაკრებით გავიდა დარბაზიდან.

თვალთა ჰორიზონტიდან ჯერ კიდევ არ გამქრალიყო არიშას მოხრილი მხრები, რომ დარბაზში აჩქარებით შემოვიდა ოციოდე წლის ჭაბუკი. მოყმეს ოქრომკედიან სირმებით მოოჭვილი, ქართული

ჩოხა-ახალუხი ამშვენებდა, წელზე მჭიდროდ შემოტმასნილი ქამრით. ფეხზე ემოსა წუდა-მესტები. მაღალი იყო ტანად, მხარბეჭიანი. შვილდივით მოხრილ, თითქმის ერთმანეთში გადახლართულ წარბებს ქვემოდან, სხივთა უშრეტ ცეცხლად ბრდღვიალებდა. სიკეთის ათინათით ნაცისკროვნები, ალად მოკიაფე თვალები. მარჯვენა ყურთან, ყბის მცირე ფოსოში, საკმაოდ დიდი ზომის ყავისფერი ხალი მოუჩანდა.

– გიხმივარ, მამავ! – ღიმილშეპარულმა წყნარად წარმოთქვა, მსუბუქად მიუახლოვდა და მუხლმოდრეკით, კალთაზე ემთხვია მშობელს.

ნაზად, უგრძნობი სიყვარულით გადაუსვა მხარზე ხელი მეფემ, ქოჩორი აუპენტა, წამოაყენა, დაუფარავი მოწონებით ახედა ქვემოდან მოწიფულ ვაჟკაცს.

– იაბოთა სიფიცხე თუ დაიურვე? – შეეკითხა.

ორიოდე ნაბიჯით უკან დაიწია დავითმა, მოკრძალებულად შეხედა მამას. სიამაყე, ნაჭარბი შუქი დალანდა მის თვალებში, გაბედულად უთხრა:

– დღეს გავხედნეთ აღრეულ სისხლის ნაშიერნი! ფიცხელნი არიან როგორც წმინდა არაბულები და ღრანტეთ მცოცავნი, ვით სანაქებო ჩვენი ბედაურები.

ორთახევში, რომელიც ნახევარი დღის სავალით იყო დაშორებული არტანუჯიდან, ცხენთა სამონაშენო ჯოგი ჰყავდა დავითს. არაბულისა და ქართული ჯიშების აღრევით მიღებულ თაობებს ნებიერად უშვებდა, ველურად გაზრდილნი, ძლიერ ამტანნი და სწრაფნი არიანო.

დამჭერ ზღუდეებით იპყრობდნენ ტყეთა ბინადარქმნილთ. ადვილი არ იყო გაველურებულ ცხენთა გაწვრთნა. გახედვნა უმეტესწილად მსხვერპლით მთავრდებოდა. ახლაც გადაეჩეხა გაშმაგებულ კვიცს ქარაფზე ორი მსახური. ერთობ შეებრალა უფლისწულს ერთგული ქვეშევრდომნი. ქამანდით შეიპყრა კვიცი, წამის უსწრაფესად მოევლო ზურგზე და მანამდე არბენინა, სანამ არაქათგამოცლილი ძირს არ დავარდა. სინანულით დააცქერდა დაცემულს. ორად ორი კურცხალი უბრწყინავდა თვალებში, ქშენდა გამეტებული. შესაბრალისად შემოხედა მის წინ მდგარ დავითს ურჩმა და თითქოს პატიებას ითხოვსო, ოფლით დაცვარული დრუნჩი მიწაში ჩამალა.

– ჩემთვის გავწვრთნი ამ თეთრწინწკლებიან კვიცს, ერთგული იქნება, – გადაწყვიტა.

მეტისმეტად თავისუფლებისმოყვარე ყოველი სულიერი, უფრო სანდო თანამდგომია დამმორჩილებლის. იარაღაყრილი მტერი ნებაზე უნდა მიუშვა, რომ ხელახალი ძლევით მასზე სრულიად იბატონოო, – ასე ფიქრობდა და ვარაუდობდა დავითი. წამოსვლისას თან გამოიყოლა კვიცი.

– მხოლოდ ეგ არის ფრიად სავალალო – მარცხით დამთავრდა იაბოთა წვრთნა! – დაამთავრა მოყოლა დავითმა.

– მარცხით? – გაკვირვებული, კითხვანარევი კილოთი ჩაეძია მეფე.

– ორი მსახური დაიღუპა... უფსკრულში გადაჩეხა გაშმაგებულმა კვიცმა.

– უფსკრულში გადაჩეხა? ცოდვა არ არის? – ნუთუ არ გენანება უდანაშაულოთა სისხლი, შვილო? – დაუფარავად საყვედურობდა მის თვალწინ თითქმის ერთბაშად გაზრდილ ყრმას, ვერ დაეჯერებინა ასეთი მატრაკვეცობისა.

აკი რამდენჯერ ურჩია, – დაანებე თავი ცხენთა ამგვარ მოშენებასო.

თავდაჯერებული, მტკიცე ხასიათისა იყო დავითი, არ სჩვეოდა უკან დახევა. დაიჩემა, არაბულ ცხენთა სისხლი უნდა აღვურიო ჩვენს ბედაურებში, კისკასნი არიანო. არაბთა ესოდენ წარმატებებს ბრძოლებში, მათ ბედაურთა მოქნილობას მიაწერდა. ფრთამალ ქარაშოტად რბიან ველთა და ომშიგან სხლტიან, ვით გამეხებული ვეფხვი შამბშიო.

– ვფიცავ ყოვლად წმინდას! – სინანულის ღელვა გამოკრთოდა დავითის ხმაში, – ბრალი არ მიმიძღვის მამავ! გაუფრთხილებლობით მოხდა ყოველი. ჩემდა უნებურად მიატოვეს საჩიხის კარი. მხეცად-ქმნილმა კვიცმა ისარივით გადაუქროლა ძელურს და ტორის ერთი დარტყმით გადაჰყარა მსახურნი უფსკრულში.

ის კი აღარ გაამხილა, როგორ მოათვინიერა მარტოდმარტომ გაავებული კვიცი.

– რას იტყვიან? – ყვედრებას განაგრძობდა მეფე. – მაინც თუ დაფიქრებულხარ ოდესმე ამაზედ? იქნება გგონია, აღტაცებით ხვდებოდეს ვინმე მაგ საქმეს, ჭრელ ხალხს რა გამოლევს, გაიძახიან, ნადირობას არის გადაყოლილი უფლისწული და მისებრ შმაგ ცხენთ ამრავლებსო.

შურგარეული ცილის გაგონებაზე, სახე უნებლიე დამნაშავესავით შეეჭმუხნა დავითს. მართალი იყო მამა, დიდ საქმეს ათასგვარი მითქმა-მოთქმა სდევს, ვაჟკაცი მაშინ იქნები, თუკი

გაუძლებ ყოველივე ამას და ნაფიქრალ მიზანს გულშეურყევლად მიჰყვები ბოლომდე!

– ცუდკაცის სათქმელს, – უპასუხა: – წინ ვინ დასდგომია აქამდის, მამავ? თუგინდ საამისო საბაბიც არ ჰქონდეს, იოტისოდენა, ჭორი უნდა შეთხზას მეჭორემ, ისე როგორც თარის ამწყობმა, თარის ჟღერაში შეიგრძნოს იდუმალი ტკბილხმოვანების ნაცნობი ექო.

– თარზე მოთამაშეს ყოველთვის დაფასება როდი აქვს, შვილო! მოცლილთა საქმედ თვლის უმრავლესობა სიმებზე დაკვრის მოსაწყენ ჯაფას.

– დაუფასებლობისთვის ნუ შერისხავ ბრმას. ხანი გამოხდება, შეიგნებს მისდამი გაწეულ სიკეთეს და შემდგომში თვითონვე გაღიარებს.

– მაგრამ მანამდე მე ხომ ჩემი დამემართება?! მერმენდელი აღიარება რაღას მომიტანს?

– დიდებას, სიცოცხლეში შექმნილს და სიკვდილის შემდეგ კი ამაღლებულს!

– სიკვდილის შემდგომ? – თავი ორჭოფულად გააქნია ხელმწიფემ, – სიკვდილის შემდგომ... – გაიმეორა, – რატომ სიცოცხლეშივე არა? – კითხვითვე მოუჭრა.

– გეტყვი მაგის მიზეზთა მიზეზს – შეურყევლად მიყვა სათქმელს დავითი: – ერთი უმგავნო ზნით დაგვაჯილდოვა განგებამ, – მცირეოდენი შეყოვნებით განაგრძო მან, – გმირს, სიცოცხლეშივე ამაღლებულს, სიკვდილის მერე ვადიდებთ ხოლმე, რა იწვევს ამას? დაუნახაობა?

არა.

იქნებ, არცოდნა?

არა და არა!

მოშურნეობით აბობოქრებული თილისმა, დამთრგუნველი მრავალ მოკვდავთა არსის, მცირისა და დიდის განურჩევლად. ამ ცოდვიან საუფლოშია ჩაბუდებული ვერაგი მტერი – ღვარძლი!

– ღვარძლი? – გაოცება ვერ დაფარა მეფემ.

– დიახ, გაუტანლობის ღვარძლი, რომლითაც სავსეა ყველა, თვით საკუთარი ძმაც კი...

– საკუთარი ძმა? რას ამბობ? მაშ, აღარავინ ყოფილა სანდო?! არ ეგების შენგან ამგვარი თქმა, შვილო! ეგ დაუმსახურებელი განაჩენი, მხოლოდ სულს ვნებს და უმწიკვლობაშიც ეჭვის ჭიას ბადებს!

– ძნელია უეჭველად ცხოვრება, მამავ! ზოგჯერ საკუთარ თავსაც ეჭვით უნდა უცქერდე, რომ გულუბრყვილობის შედეგმა, დიდი მწუხარება არ დაგატეხოს შემდგომში.

– გარემომცველ სამყაროსთან გვირჩევ კავშირის გაწყვეტას ალბათ, შვილო!

– არა!

– აბა, რით ავხსნა შენი მსჯელობა?

შეჩერდა დავითი, გააგრძელა შეფიქრიანებულმა: – წუთისოფელში ძნელია ჰპოვო მისანდო, რამეთუ მაღალ მთათა ტაროსივით ცვალებადია კაცის ხასიათი. თუმცა ვერ ვძლებთ მაინც უნდობლად და უსიყვარულოდ... ეტრფოდე, ნიშნავს – ენდობი კიდეც და თუ ენდობი, უნდა შეგეძლოს მიტევებაც განსჯით, საკეთილო ქმედების განსჯით ჩამოყალიბებული.

– განსჯა ჩვენ უფრო მეტიწილად გვმართებს შვილო, ვინემ უბრალო მოკვდავთ, რამეთუ დიდი დანაშაულია მეფეთათვის მცირე შეცდომაც კი. ხალხის წინამძღოლი სპეტაკი უნდა იყოს სულით ხორცამდის, იანვრის ფიფქივით ქათქათა და შეუბილწველი!

– აღარ არიან ასეთნი ამჟამად მამავ, ან თუ არსებობენ, შეუმჩნევლად მცირეა მათი ამქარი, – თავი დანანებით გააქნია უფლისწულმა.

– ღმერთს რაზე სცოდავ? კარგი და ცუდი დასაბამიდან იყო და იქნება კვლავ და რომ იცოდე, დღემდე მხოლოდ სიწმინდეს გაუმარჯვია ყველა ავ ზნეზე.

– ნუ მიწყენ მამავ და მე კი მგონია, ჩვენ მაგ ლიტონ სიტყვას ამოფარებული უსახური რაინდები ვართ, აუხდენელი ოცნებით შეპყრობილნი. დაუჯერებლობის მოწამეობაში ვადიდებთ და ამავე დროს, განზე ვართ მისგან. ვხედავთ და მაინც თვალნი დაგვსებია მოჩვენებითი სიბრმავისაგან... ყველა გარეწრის იდეალი სიმართლის ამაღლებაა. ზოგიერთი მის მიმდევრადაც თვლის თავს. რამ შეაძლებინა ამგვარი გარდასახვა? როგორ გაბედა უღირსმა სიწმინდეში ხელის ფათური? იქნებ, ის გაუფასურდა, დაეცა, დამდაბლდა, ვითარც დანარჩენი სხვა ქვენა გზნებები კაცთა? არა, უბრალოდ აირია ყოველი და ძნელი მისახვედრია ვინ ვინდა არის ახლა. რამდენი მლიქვნელია ჩვენს კარისკაცთა შორის ამჟამად, თუ გიფიქრია ამაზე ოდესმე? ბევრი, ძალიან ბევრი. დარწმუნებული ვარ, არასდროს ყოფილხარ ამის მსურველი მამავ! არცერთი ფლიდიც კი, რაგიდ დიდი რანგისაც არ უნდა იყოს, არ ინდომებდა მრჩევლად მისებრთა ყოლას. მაშ, როგორ მოხდა განდიდება სიავკაცესი?

როგორ? აი პასუხიც: ორპირმა უკეთ მოირგო ნიღაბი გარდასახვის და მართალ კაცში ფარული შიში დაბადა, შიში გაურკვეველი ეჭვისა, რომელმაც თავისივე ნაჭუჭში მიყუჟა ის და უნებლიეთ ჩამოაშორა კუთვნილ სულიერ მისწრაფებებს.

ბრძნულად უბნობდა დავითი. აღტაცებული შეჰყურებდა მეფე მოწიფულ ვაჟკაცს და უხაროდა მისი მაღალაზრობრივი განსწავლულობა.

დედოფალი შემოვიდა დარბაზში. ჭაბუკს დედობრივი სითბოთი მიუალერსა.

– სადა ხარ შვილო? თავი რომ მოგვანატრე? – უსაყვედურა.

– ორთახევში ვიყავი დედი. სამონადირეო ცხენებს ვწვრთნით. განცხრომისგან გაფუფუნებულთ, მეტი სადარდელი არც გვაქვს. რომაელთა ჯილდოები, თავაწყვეტილი დროსტარება, სვეუბედურ წუთისოფელს გამოტაცებული სიამტკბილობა! სხვა რაღას ინატრებ ნეტავ? – მშობელს გაეხუმრა დავითი. გზაშივე შეეტყო ბიზანტიელთა მიერ მაგისტროსის წოდების მინიჭების შესახებ, რომაელთა ჯილდოები ამიტომ ახსენა.

– ნუ, შვილო! – განგებ ნათქვამი ვერ გაიგო დედოფალმა, – შენი მამის ძეს არ ეგების ზღვარდაუცველი აცეტება. უფლისწული ხარ და სიდარბაისლე უნდა გეფაროს გამიზნულ სიბრძნედ! – დაუფარავი წყენა გამოერია დედოფლის ხმაში.

შეუმჩნეველი ღიმი გადაეფინა დავითს სახეზე, მსუბუქად შემოაჭდო მშობელს ხელები, მიესიყვარულა.

– ვიხუმრე, დედი! განა ოდესმე ჩამიდენია გასაკიცხი რამ? – დაამშვიდა.

– ჰო, აგრე შვლო! – ნელად ჩაილაპარაკა დედოფალმა. – ღირსებას ნუ დაიმცირებ უგვანო ქცევით, სახელის დაცვაა უპირველესი მიზანი უპირველესთა შორის ამ ქვეყანაზე, – უთხრა და მეფეს მიუბრუნდა: – გაიგე, რა საშინელება დატრიალებულა ბატონო, თორთომში? ცეცხლისგან შევიწროებული, საბინადროებიდან აყრილა ხალხი, გზებში ტევა აღარ არის ლტოლვილ აღალისაო. მტერი ყოველმხრივ შემოსევია თურმე, ბევრი ეკლესია-მონასტერი დაუნგრევიათ. იღუმენია მესტუმრა თორთომის სადედო მონასტრიდან, რა გაჭირვება არ გადახდენია საწყალს, მაინც ჩამოუღწევია აქამდე. დიდ განსაცდელშია თორთომის ქვეყანაო, ასე თქვა, ფრიად საშიშია, აქაც არ მოგვწვდნენ ის წყეულნი!

– მადლობა ღმერთს! – გაეპასუხა მეფე, – ჯერ ცოცხალნი ვართ და მახვილი გვიძევს ქარქაშში, დედოფალო! მტერთა გაუთავებელი

ბრძოლა უსაჩუქრია განგებას ჩვენთვის და არც პირველი იქნება ეს, არც უკანასკნელი. ამ აგიზგიზებულ ჯოჯოხეთს რა ვუყოთ თორემ, დანარჩენს მოებმება მე მგონი, თავი.

მართლაც და დამაფიქრებლად აბობოქრდა თორთომში ცეცხლის კერები. ორი კვირის განმავლობაში, თითქმის მთლიანად მოიცვა აღმოსავლეთის ტყიანი სამანები. ცეცხლმა გადაწვა და გადაბუგა ყოველივე ირგვლივ.

– ცეცხლის ჩასაქრობად რაზმები ხომ არ დაგიგზავნიათ, მამავ? – საუბარში ჩაერია დავითი.

– ეშველება ვითომ მაგით რამე?

– ვცადოთ, იქნებ ეშველოს! – იხტიბარი არ გაიტეხა უფლისწულმა.

– ფუჭი ცდა ტყუილ ქადილს ჰგავს, შვილო!

– ვერ დაგეთანხმები, მამავ! შარშანწინ კილიკიაში გაჩნდა ხანძარი, ბევრი რამ შევძელით, სრული განადგურებისგან გადავარჩინეთ ქალაქ-სოფლები. თუ ნებას მომცემ, ხვალვე წავიყვან ცეცხლთან ბრძოლაში გამოცდილ რაზმს თორთომში და განგებით, მტერზე გამარჯვებული, ხანძარსაც შევუტევთ.

– ოღონდ თქვენ ეგ შეძელით და მტერთან რკენაში სულ ნუ მიიღებთ მონაწილეობას! – დაეთანხმა მეფე.

– სიფრთხილით იყავი შვილო, მარცხი არაფერი მოგივიდეს. – ჩუმად ჩაულაპარაკა დედოფალმა და დედური ალერსით, ნაზად გადაუსვა ხელი ტეხილ ქოჩორზე ჭაბუკს.

მსახური შემოიმართა მორიდებით დარბაზში.

– ბაგრატ უფლისწულს შიკრიკი გამოუგზავნია, მეფეო, ამბობს სასწრაფო საქმე მაქვსო, – მოახსენა.

– შემოვიდეს! – უბრძანა მეფემ.

მაცნე, თორშეჭურვილი ბრგე ვაჟკაცი, ერთიანად ოფლში გახვითქული, ძლივს შემოეტია კარებში. ეტყობოდა, დაექანცა გაუსაძლის მგზავრობას. კალთაზე მოწიწებით ემთხვია ხელმწიფეს.

– მოკითხვა შემოგითვალათ უფლისწულმა, მეფეო, – მოკრძალებით თქვა. მუზარადს ქვეშიდან გასანთლული ბარათი გამოაძრო და მოწიწებით გადასცა.

„მამავ, – იწერებოდა ბაგრატი, – ხვალ დილას ვიქნებით თორთომში. ეს-ესაა მეახლა თორთომის ციხისთავისგან წარმოგზავნილი კაცი, აჯანყებულ მთიელებს ადარბადაგანელის სპაც შემოუპარებიათ. დიდი არეულობაა, დღე-დღეზე დაეცემა ციხეო, ამბობს. კარგი იქნება, ცოტაოდენ მხედრობას თუ მომაშველებ.“

მდაა!... ჩაფიქრდა მეფე. ვერაფერს ხედავდა სახარბიელოს. იქნებ, ცოტაოდენმა მხედრობამაც ვერ უშველოს. დიდი ხანია იმუქრება ადარბადაგანის ამირა, ის ხომ არ უძღვის მოსეულ მტერს, ნეტავ?

– მომხვდურნი ბევრნი არიან? – შიკრიკს მიუბრუნდა მეფე.

– ჭეშმარიტად არავინ უწყის რამდენი არიან, მეფეო! სამიათასზე მეტი მეომარი ადარბადაგანელის ძმისწულ ბაქირ-იგითს ახლავსო, ამბობენ. ამას თუ დავუმატებთ სხვა საამიროებიდან მოდენილთ და აჯანყებულთაც, მაშინ საკმაოდ გაიზრდება მტრის რიცხვი!

– ბაგრატი კი მცირე სპას ითხოვს... მერედა, ასე მცირე მეომრით რას გახდებით მოზღვავებული ლაშქრის სიმრავლესთან?

– სიმრავლე პურის თავთავისაა საანგარიშო, მეფეო, – სხარტად მიუგო მაცნემ, – ომში სიჩაუქე და გამბედაობა იმარჯვებს, ძლევამოსილებაა მამაცთა კუთვნილი ხვედრი.

მოეწონა ყმის პასუხი მეფეს, მხნეობისათვის შეაქო ამბის მომტანი.

– აქეთკენ საიდან გამოგაგზავნა უფლისწულმა? – შეეკითხა.

– თუხარისიდან!

წამიერად ჩაფიქრდა და კვლავ ჰკითხა: – თუხარისში ხომ არ დაგხვედრიათ ფანასკერტელი თავისი ლაშქრით?

– არა, მეფეო!

თავი უსაზმნოდ გააქნია მეფემ. ეტყობა, კვლავ ღალატის გზას დაადგა ალბათ ფანასკერტელი, აცნობეს კიდევაც, მისი ვაჟიშვილი სპიანად გაუგზავნია სადღაც, თვითონ კი ციხეში ჩაკეტილი, ავადობას იმიზეზებსო.

ძნელი შესაცვლელი ყოფილა თურმე ადამიანთა სულიერი მისწრაფებანი.

მგელი არ მოიშლის მგლობას, რაგინდ შეგონებებით დამოძღვრო.

– ფანასკერტელის განდგომაზე ხომ არა გაგიგიათ რა? – კვლავ დაუსვა ცნობისწადილიანი კითხვა მაცნეს და პასუხის მოლოდინში მიაცქერდა.

– არა, მეფეო, არაფერი გამიგონია ამის შესახებ..

– ტაოსკარის ციხისთავისა რა ისმის?

– შიკრიკი აახლა უფლისწულს, სპით გელოდებიო, შემოუთვალა.

კარგის მაუწყებლად ჟღერდა ეს სიტყვა. ეტყობა, არ აჰყოლია მოჯანყეებს ტაოსკარელი. პატივის ღირსია, მისი ერთგულება ყოველთვის სწამდა მეფეს. ყველა ასეთი რომ იყოს, რა უჭირდა

მაშინ? გარეგანი მტერი ვერას დააკლებს, შინაური მოდალატე რომ არ ერიოს. მომხდური მხოლოდ ერთი მხრიდან გემუქრება, ორგული სახლიკაცი კი, არ იცი საიდან და სად დაგკრავს ვერაგულად სატევარს. ეჰ, შინადალატმა და ორპირობამ დააოხა საქართველო! ერთსულოვნება აკლდა ყოველთვის ქართველს.

ჯარს კი, ჯარს ამადამვე გაგზავნის, თორემ მერე იქნება გვიან დარჩეს.

– თორნიკე ერისთავი მომიხმეო, – კართან მდგარ მსახურს უბრძანა მეფემ.

მოსასვენებლად გაათავისუფლა შიკრიკი.

დედოფალიც გავიდა დარბაზიდან.

მჯიღისოდენა თვალებით, საოცრად დიდულვაშებიანმა სპასალარმა შემოალჯა დარბაზში.

– გისმენთ, მეფეო! – ბოხით თქვა.

– მტერი შემოსევია თორთომს, სპასალარო! წარუძეხ სპას და დამხმარე მეომარნი გზადაგზა შემოიკრიბე. თუ მოახერხო, მაცნეები დაგზავნეთ ყველა საერისთავოში, ციხისთავებთან – მზად იყვნენ ბრძოლისათვის! – უბრძანა მეფემ.

– აღსრულდეს ნება თქვენი, მეფეო!

– სჯობს ამდამესვე გაუდგეთ გზას! ეცადეთ, ადრევე ჩაუსწროთ როგორმე ბაგრატს. მეტისმეტად ფიცხი და გულადია უფლისწული, შეიძლება დაუდევრად ეკვეთოს მტერს და გაუთვალისწინებელი მარცხი იწვნიოს.

– ახლავე გავაფრთხილებ სპათა უფროსებს და მალევე გზას გავუდგებით, მეფეო!

– ნება მომეცი, მათთან ერთად მეც წავიდე! – მიმართა სპასალარის გასვლის შემდეგ, დავითმა მეფეს.

– ამადამ დაგესვენა, შვილო!

იუარა დარჩენა უფლისწულმა, დაეთანხმა ბოლოს მეფე.

– წადი, – უთხრა, – ოღონდ თორნიკეს სიტყვას ნუ გადახვალ, შვილო! ბრძოლის მეცნიერებაში გაწვრთნილია და დიდად გამოცდილი. მიენდე და შეისწავლე იდუმალი ხელოვნება მისი მოქმედების.

მამაშვილურად დაარიგა და დალოცა გამგზავრების წინ.

***

– ამაღამ სად გავითენებთ, სპასალარო? – ქვევიდან ამომავალ მხედარს მიუბრუნდა დავითი. ლაგამი მოსწია ბედაურს, ოდნავ შეაჩერა სვლა, ვიდრე მოსაუბრე არ გაუსწორდებოდა.

– სადაც გვიბრძანებთ, უფლისწულო! პატრონიცა და მეთაურიც თქვენა ხართ.

– ნუ ჩამთვლით ამჟამად პატრონად! შენ დაგავალა მეფემ მეთაურობა, მე კი რიგით მეომრად მიგულე, სპასალარის ბრძანების შემსრულებლად. ომის საქმეთა ნაკლებ მცოდნეს, აუგად ჩამეთვლება და პატივმოყვარულ საფარველით შემმოსავს, პირველობა რომ ვითაო იქ, სადაც ასეთი ღირსეული მხედართ-უფროსნი ვლიან. არ ეგების ჩემგან ამგვარი ქცევა ნამდვილად, – გადაჭრით უარყო წინამძღოლობა დავითმა.

– ღმრთისა და კაცთა სამართლით, – კვლავ შეეცადა უფლისწულის დაყოლიებას სპასალარი, – ქვეყნის მბრძანებლის მემკვიდრე ხარ უპირველესი. შენთვის ჩაუბარებია განგებას მომავალი სამეფო ჭირთა და ლხინთა გასამკლავებლად. გამორჩეული სიმაღლე შეჰფერის უზენაესისგან რჩეულს, ასე ყოფილა დასაბამიდან და ასეა ახლაც. რაც შეეხება გამოუცდელობას, მაგ ასაკში ბევრი არ მოიძებნება მონაწილე იყოს ამდენი ბრძოლისა, ხამს შეიფერო. ახლა ხომ მაგისტროსიც ხარ უმაღლეს წოდებამდის ამაღლებული?

– სტყუიან ყველა, ვინც ილტვიან პირველობის მოხვეჭისათვის, – ქარაგმა ახსნა დავითმა. – ყოველი მბრძანებლობა მსხვერპლით მოფენილი გზა-შარაა, შემდგომ თაობებში სალანძღავ-საგინებელი. მთავარია ქმნა ღირსეული იქ, სადაც დგახარ და რაზეც გამოგიმეტებია შენი უნარი. ცოტაა განა სპაში ჩემისთანა მოყმე? უფლისწულობა არ მანიჭებს კვარცხლბეკს ვიყო უპირველესი, შემფერის ეს თუ არა.

რაც შეეხება ბიზანტიურ წოდებას, იცოდე, მე მათ არარად ვთვლი, რამეთუ ისინი არ გვზრდიან, გვამდაბლებენ კიდეც მახვილგონივრულად ჩვენზე მომართულნი. როგორ გგონია, რას ფიქრობენ რომაელნი, ასე უანგარიშოდ და თითქოს უანგაროდ რომ გვაჯილდოებენ? თანაც ისეთივე წოდებით, როგორც თვით ქართველთა მეფეთა-მეფეს რომ აქვს მიბოძებული? დაცინვაა ეს და მეტი არაფერი. დიახ, დამამცირებელი ხარხარი თვალთმაქცი მოწინააღმდეგის მხრიდან! მტერი დაგვდგომია თავს მათი სახით და ფარულად ქსელავს ბოროტების ბადეს, რათა უმოკლეს დროში გააბას რომელიმე სულით მდაბალი მსხვერპლი, ერთ-ერთი ჩვენთაგან.

ქვემძრომელური ხლართებით აკეთებს იმას, რაც ხილულად ვერ მოუხერხებია. ჩვენს უმანკო სულში დაურიდებლად აფათურებს ხელებს, რათა სულიერი ჭრილობა მოგვაყენოს. უკიდურეს შემთხვევაში კი გაგვაცამტვეროს კიდეც. ხორციელ განადგურებაზე მეტჯერ მტიკვნეულია კაცის სულიერად მოსპობა, ერისთავო! ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, მოსისხარს დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტით სრულიად აღეგავოს ერი დედამიწაზე. ერები ჩამქრალან მხოლოდ სულიერი გადაგვარების გზებით, მაშინ, როდესაც შთამომავალში წარხოცილა წინაპრისადმი სიამაყისა და დაფასების გრძნობა.

გზა დაღმართზე დაეშვა. მთვარის ალისფერი შუქით მოელვარე ჰორიზონტს, ღამის ფრთოსანთა შორეული ხმები კვეთავდა. გაუთავებლად ჭრიჭინებდნენ კალიები, გვალვისაგან მილეული ღელის უსიცოცხლო ჩქამი ისმოდა დაბლიდან. ბინდისფერ, ჩრდილფენილ გზაზე, აჩქარებულად მსრბოლელ ბედაურთა ფლოქვების ექო, შორეულ გუგუნად ჩაესმოდათ წინ მავალთ.

უხმოდ შეთანხმდნენ სპასალარ-უფლისწული. ათასისთავი ჯოჯიკი წამოეწიათ, თორნიკეს მიმართა: – აღმართი იწყება, შესასვენებლად კარგი ადგილია აქ, თან წყალიც ახლოს არის.

– რას გვეტყვით უფლისწულო? ყურად ვიღოთ ჯოჯიკის რჩევა? – დავითს მიუბრუნდა ერისთავი.

– როგორც გენებოთ! – დაეთანხა დავითი, – თუმცა ჩემს აზრს მაინც მოგასხენებთ, გადაწყვეტით კი თქვენ გადაწყვიტეთ. ყველა ბილიკი და ხრამი ვიცი ამ მხარისა... ზევით, მთის გადასასვლელზე, კოშკია ერთი, საყარაულო. ცივი, ანკარა წყაროებით ცნობილია იქაურობა. თანაც ჯერ არცა ვართ მაინცდამაინც დიდად დაღლილნი, სასიამოვნო სიგრილეა და ბედაურნიც უფრო ჩქარა ივლიან ღამით. ოთხ საათში ვიქნებით იმ ქედზე. სულ ცოტა სავალზეა იქედან მერე თუხარისი... გარდა ამისა, საძოვარი სჭირდება ბედაურთ. ხომ ხედავთ, გარშემო გადამჭკნარია ყველაფერი. მშიერი პირუტყვი კი, მალე დაოსდება და სარგებლობას ვეღარ მოგვიტანს მერე.

– შენ რაღას გვეტყვი?... – ახლა ჯოჯიკისკენ შეტრიალდა თორნიკე.

– ჩემის აზრით, უფლისწულის სიტყვა მისაღებია! თუ ზევით წყალიც იქნება სპასალარო, მაგას რაღა სჯობს? მოგეხსენებათ, გვალვისგან დაიშრიტნენ ნაკადულები, უწყლობამ ნადირიც შეაწუხა მთებში. თხა-ცხვარი ეხოცებათ მეცხვარეებს, შეჭირდა მოილაღე ხალხი და ვაითუ, აღარ დაგვხვდეს წყარონი! დაუწყურებელი პირუტყვი კი უფრო ადრე დაეცემა, ვინემ უჭმელი!

– მაგის თავდები მე გახლავართ, – დააიმედა დავითმა ჯოჯიკი. – იქნება იქ აუცილებლად წყალი, შარშანწინდელი გვალვაც არ იყო ამაზე ნაკლები... ბიზანტიიდან მომავალმა გადმოვიარე, სამოთხისებრ მოჩქეფდნენ ნაკადულები. მახსოვს, ძლივს ამოვისუნთქეთ აყროლებულ გუბეთა სმისაგან რომ გავთავისუფლდით.

გადაწყვიტეს ქედზე შეესვენათ.

აღმართს შეუდგნენ.

სულ უფრო და უფრო ვიწროვდებოდა ზევით სავალი.

ლაშქარი ორმწკრივად მოედინებოდა ახლა.

– ნეტავ თუ მოეღება ბოლო ადამიანთა ჟლეტას ოდესმე? თუ დადგება ისეთი დრო, რომ ყველა ერი, განურჩევლად მდგომარეობისა, ერთ საერთო მუშტად შეიკვრება და სიყვარულის წილ სიყვარულს გასცემს, აღარ იარსებებს მტრობა და მმუსვრელი ომები? ყველა იხარებს ისე, როგორც გაზაფხულის ხასხასა მდელოზე მრავალფერად აბიბინებული ნორჩი ყვავილნი? – ხმადაბლით ჩაიდუდუნა თორნიკემ.

უნებლიეთ გაეღიმა ერისთავის ამ სიტყვებზე დავითს. ალბათ მოყირჭდა ბრძოლა ბებერ ლომსო, იფიქრა და აზრის მოუზომველად გაეპასუხა:

– არ მგონია აღსრულებულიყოს ეგ ნატვრა, სპასალარო, რამეთუ ბოროტების საწყისი ვართ ადამიანები. ბოროტებით შობილნი და ალბათ ბოროტებითვე წარვიხოცებით.

– ბოროტების გარდა თავისი წილი სიკეთეც ხომ არსებობს დედამიწაზე? – შედავება სცადა თორნიკემ, – სიყვარულისა და მეგობრობის ღირებულებანი... ნუთუ ეს ცოტაა?

– კაცთა მეტი წილი ბოროტია, სრპასალარო, ყველა დანარჩენიც რომ ისეთივე იყოს, მაშინ ხომ აღიგვებოდა ჩვენი სახსენებელი? მაღალმა ღმერთმა დაგვბადა ბუმბერაზად და ამავდროულად მღილადაც ღირსების. შურისძიებისთვის, ხანგრძლივი შურისძიებისთვის მოგვავლინა განგებამ, ერთიმეორის კრიჭაში ჩამდგარი, ვერ ვიტანთ სხვის კარგსაც. კაცის კვლას ცოდვად ვქადაგებთ და ამავე დროს, დაუფიქრებლად აღვმართავთ მახვილს ზოგჯერ მოყვასის წინააღმდეგაც. აბა გაიხსენე, რისთვის იქმნა გამოძევებული სამოთხიდან ჩვენი წინაპარი და დამეთანხმები, რომ უეჭვო ჭეშმარიტებაა ჩემი ნათქვამი. რა უნდა მომხდურს? რატომ გვეცილებიან ჩვენივე საყუდარს? დანაშაული ხომ არაფერი მიგვიძღვის მათ წინაშე?

– რჯულთა სხვადასხვაობა... ალბათ!

– ვიცი რის თქმასაც აპირებ! – გააწყვეტინა დავითმა. – არაფერ შუაშია აქ რწმენა. ყოველგვარი მოწამეობა ღმერთამდე მაღლდება და ღმერთი კი ერთია ყველასათვის, განუსხვავებლად ქართველთა, არაბთა და რომაელთა. განა ცოტა ავი გვიქმნა თუნდაც ერთმორწმუნე ბიზანტიამ? ღვიძლი ძმებიც კი, სისხლისა და ხორცის ერთიანი ნაწილი, ვერ თავსდებიან ერთმანეთში კეთილგონივრულად ყოველთვის.

– ურთიერთმოსიყვარულენიც ხომ არიან? – თავის ნათქვამის დაცვას შეეცადა თორნიკე.

– ჭეშმარიტად, – დაუდასტურა დავითმა, – მაგრამ კენჭისყრის დროს, უმეტესთა ნებაა გადამწყვეტი, სადაც ის აღმოჩნდება, იქითკენ გადაიხრება სასწორის პინა.

– გამოდის, რომ უხამსნი ზეიმობენ მაშინ ძალმოსილებას?

– მე ეგ არ მითქვამს. სრულიად სხვადასხვაგვარია დროებითი და საბოლოო ძლევა. ათასი უწმინდური, უძლურია ერთი წმინდანის წინაშეც და სანამ დედამიწაზე იხარებს თუნდაც სიკეთის მცირეოდენი ყლორტი, მანამ უაზრობად მიმაჩნია ამის შესახებ საბოლოო დასკვნების გამოტანა, საპსალარო!

– ვერ ამიხსნია შენი მსჯელობა, დავით! – გაურკვევლობისგან მხრები აიჩეჩა ერისთავმა, – ქადაგებ უწმინდურთა ძლვამოსილებას და ამავე დროს უსუსურად თვლი მათ. თუკი ასეთი უსუსურია ყველა ბოროტი, ნუთუ თანამედროვე კაცობრიობას არ შესწევს უნარი დათრგუნოს უკეთურობა, რომ შთამომავლობამ ბედნიერად იგრძნოს შემდგომში თავი?

– ნუ შეეცდები მის აღმოფხვრას, რაც ღმერთს დაუწესებია, – იმედი გადაუწურა უფლისწულმა, – თორემ მარცხი დაისადგურებს შენს ქმედებაში და უდიდესი გარჯის ფასი მდინარეში გადაყრილ დრაჰმებს დაემსგავსება. ბოროტება რომ მოსპო, ხალხს თვალთა ჩინი და გონების შემძლეობა უნდა წარტაცო.

– თვალთა ჩინი? – გაკვირვებით შემოხედა ერისთავმა.

– დიახ, ბრმისათვის განურჩეველია ოქროსა და სპილენძის მონეტათა ელვარება, მის ფერთა წვდომაში ორივეს განუშორებლად აზის ერთფეროვანი სიბნელის დაღი!

– გონების შემძლეობის წართმევაში რაღას გულისხმობ?

– გონების შემძლეობის წართმევაში? – გაიმეორა დავითმა, – შარშანწინ ჭკუასაცდენილი პატრიციუსი ვნაზე კილიკიაში, ერისთავო, – გააგრძელა, – სამოსელშემოძარცული! რომ იცოდე, როგორ დააბოტებდა ბრბოში, მკბენარებითა და ჭუჭყით აღვსილნი –

დასცინოდნენ მდიდარ დიდებულს, გალაღებული ხარობდა თვითონაც, რადგან სიმდიდრე და სიღარიბე, მონათმფლობელობა და მონობა, ერთნაირი გამხდარიყო მისთვის უკვე...

– ჭკუის დაკარგვით ხსნი მის ამგვარ ქცევას?

– დიახ! – დაემოწმა დავითი.

– საოცარია!

– დაუბრუნე საღი გონთჭვრეტა იმ პატრიციუსს და ხვალ იგი ცხრაპირ ტყავს ახდის მათ, ვისთანაც მე ვიხილე დამცირებული.

– რა გამოიწვევს ასეთ ცვლილებას?

– ხელახალი მოქცევა გონზედ.

– მოქცევა?

– გონება საშინელი იარაღია ბოროტთა ხელში. იგი უბიძგებს არაკაცს იყოს გარშემო მყოფთაგან ამაღლებული, ეს კი მსხვერპლს მოითხოვს, უძლურთა შესაწირავს და რომ ასე არ მოხდეს, ერთადერთი გამოსავალი, მისი მიტაცებაა მფლობელისაგან.

– სისხლიანი ამოსავალია ეგ, უფლისწულო! – დავითის დასკვნა უარყო ერისთავმა. – მაშინ უფრო დიდი სატკივარი დაისადგურებს, გადაგვარება დაემუქრება კაცობრიობას და შესაძლებელია, სრულიადაც მოისპოს. ამაზე რაღას იტყვი, ჰა?!

უდიდესი მსხვერპლის გაღება წარიტაცებს მხოლოდ უდიდეს ტკივილს! ცრემლი ვაების საწინადრია და შვების პროდუქტი სიხარულისა და უბედურების თანაზიარი.

მგელთა გაბმული ყმუილი მოისმა გაღმიდან. ავისმომასწავებლად ეჩვენა დავითს ნადირთა ამაზრზენი კივილი. შეკრთა მისდაუნებურად.

საშინელებად თვლიდა მგელთა დაუმცხრალ ყმუილს არიშა, რაღაც უბედურებას გვამცნობენ ამ დროს მგლებიო, – იტყოდა ხშირად. ამაზე უარესს რას უნდა მოასწავებდეს? ცეცხლმა და გვალვამ წარღვნა ქვეყანა.

– ცუდად მაქვს დაცდილი მგელთა ძახილი, უფლისწულო. ასე მგონია, დიდ უბედურებას გვამცნობენ-მეთქი, – შეეხმიანა თორნიკე.

– მათ ხმაზე მაგგვარი წინათგრძნობა მეუფლება მეც, – დაემოწმა დავითიც, – თუმცა რაღას უნდა ველოდეთ – სიცხემ ერთიანად დაბუგა ყოველივე. არ გვექნება სამყოფი პური, შიმშილობა ჩამოვარდება და როგორც ყოველთვის ასეთ დროს, ჟამი იჩენს თავს.

– რა ვითარებანი განაპირობებენ ჟამის გაჩენას, თუ გსმენია ამის შესახებ, უფლისწულო? – შეეკითხა თორნიკე.

– ვერ გეტყვი ამომწურავ სიტყვას ამის შისახებ, ერისთავო, – პასუხის გაცემას შეეცადა დავითი. – ბერძენთა სწავლულნი მრავალმხრივად ხსნიან მაგას. ზოგნი ამტკიცებენ, ცხელი ჰავის ქვეყნების თანაგმზავრიაო, სხვები კი მღრღნელს თვლიან გამავრცელებლად.

– მღრღნელს? რაინაირად!...

– შიმშილობით შევიწროვებული ადამიანები მკვდარ ვირთაგვებსაც სიამოვნებით მიირთმევენ, ამ ავადობით დასნეულებულთ...

– ვირთაგვებიც ავადდებიან ჟამით?

– არა მარტო ვირთაგვები, ბევრი სხვა სულიერიც. რამდენჯერ შემხვედრია ჟამისგან დახოცილ ირემთა ჯოგები ტყეში. ბიზანტიაში ყოფნისას ერთგან წავაწყდით ჟამით მკვდარ მელიებს. ამბობენ, ამ სენით ლომებიც იხოცებიანო!

ისევ აყმუვლდნენ მგლები.

– ეჰეჰეიიი! – ომახიანად შეუკიჟინა დავითმა, იქნებ დავაფრთხო ნადირიო.

– ჰეეე... – ყრუდ გაიმეორა ხევიდან მომსკდარმა ექომ.

შეწყვიტეს ყმუილი მგლებმა. შქერიანებში გაისმა დამფრთხალ ცხოველთა ოტების გამოძახილი. სიჩუმემ დაისადგურა.

ციცაბოზე გაიწელა გზა. სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა ლაშქარი.

ცისკრამდე სამიოდე საათის წინ მიაღწიეს ქედზე.

კოშკთან ცეცხლი ბოლავდა.

დინჯად ბაასობდნენ კოცონის გარშემო შემომსხდარი ოციოდე ვაჟკაცი. ჯერ არ ამოწეულიყო მხედრობა. ბედაურებიდან ჩამოხტნენ უფლისწულ-სპასალარი, მხლებელთ გადასცეს ცხენები და ღამის მთევლებისკენ გასწიეს.

– მშვიდობა თქვენდა, ვაჟკაცნო, – მიახლოებისთანავე დაიბუხუნა თორნიკემ.

– მშვიდობით მობრძანებულიყავით, – წამოდგა ახოვანი შესახედაობის ჭაბუკი.

– საით გაგიწევიათ ამ ღამით? – ჰკითხა: – იქნებ ერთი გზა გვიძევდეს წინ.

– მოკეთეებთან მივდივართ თორთომში! – იცრუა თორნიკემ.

გაიწ-გამოიწიეს ცეცხლთან მსხდომებმა, ნახევრად შემპალ ძელზე ჩამოსხდნენ შემოსტუმრებულნი, იარღასხმული იყო ყველა იქ მყოფი. სალაშქროდ მიდიოდნენ ეტყობა, ანდა ახლა ბრუნდებოდნენ ომიდან.

– რამ შეგაწუხათ, თორთომში რომ მიემგზავრებით ამ შიშიანობის ჟამს? – შეეპასუხა კვლავ იმავე ჭაბუკმა.

– ნადირობა და შექცევა გვწადია. იქ კარგი სანადირო ადგილებია და ნადირიც ბევრი იცის იქაურ ტყეებში. უკეთესს რომ ვერ ინატრებ. – ცრუობდა თორნიკე.

– ჰმ... – ღიმი შეადგა ჭაბუკს ბაგეზე, – გინახავთ რაღა დრო ნადირობისა.

– რატომ? – განგებ გაიკვირვა ერისთავმა.

– იმად, რომ მოძმეთ აწიოკებს მტერი. ახლა ვალია ყოველი ჩვენგანისა, შეჭირვებულთ მიეშველოს, საერთო ძალით დავუხვედროთ მახვილი მომხდურებს! ვხედავ, არ ჩანხართ ურიგონი და მით უმეტეს გასაკიცხია თქვენი საქციელი. ქვენა აზრს აყოლილნი დროსტარებისთვის რომ მოგიცლიათ! – დაუფარავად საყვედურობდა ჭაბუკი, თან გამომცდელად აკვირდებოდა მოსულებს.

რამე არ აგვიტეხონო, სიტყვა ჩამოართვა დავითმა:

– არ ვიცოდით მაგის შესახებ, – უთხრა, – ქართლიდან მომავალთ პირველად გვესმის ეგე, ასე რომ, გვეპატიება არცოდნა. სალხინო ჟამთა მაძიებელნი, უდიდესი სიხარულით მივიღებდით მონაწილეობას მტერთან ბრძოლაშიც. თქვენ საით ეპირებით? – კითხვა შეუბრუნა.

– მამულიშვილური ვალი საითაც გვიხმობს, – უპასუხა ჭაბუკმა, – ბაგრატ უფლისწულის ლაშქარს გვინდოდა შევერთებოდით, დავაგვიანეთ, გუშინ შუადღისას გაუვლიათ. ჩვენ კი, დღეს საღამოს ძლივს მოვაღწიეთ აქამდე. გადავწყვიტეთ ღამე აქ გაგვეთია და ვითევთ კიდეც. ხვალე ადრიან ცისკარზე კი, გზას გავუდგებით უთუოოდ!

– ჩვენც წაგვიტანეთ! – სასხვათაშორისოდ სთხოვეს სტუმრებმა.

– სიამოვნებით, – დაეთანხმა ჭაბუკი, – შესახედავად კარგები სჩანხართ, – და ოდნავ შეყოვნდა, ზედმეტს ხომ არ ვამბობო, გაიფიქრა... – ურიგო არ იქნება... – კვლავ გააგრძელა ცოტა ხნის შემდეგ, – ურთიერთს გავეცნოთ. მოგეხსენებათ, ათასი ჯურისანი დააბოტებენ ასეთ დროს გზებზე. სჯობია ვიცოდეთ ვინა ვართ და სადაურნი ვართ!

– ენა რბილია, – საუბარში ჩაერია თორნიკე, – ქვემძრომელივით მოქნილია, ყოველგვარ ბგერათა წარმოთქმა შეუძლია ძალდაუტანებლად. მითუმეტეს, სრულიად უცნობნი ვართ, პირველად შეხვედრილები და თუ მოსურნე ვიქნებით, ჩვენდა სასარგებლოდ შემოგაპა-

რებთ ტყუილსაც. მთავარია გულით გაიცნო და შეიყვარო ერთი მეორე!

– მართალი ბრძანებაა, – დაუდასტურა ჭაბუკმა.

– გულუბრყვილო მიმდობნი, – სათქმელი კვლავ გააგრძელა ერისთავმა, – ზედმეტად ალალნი, ან ჭკუით ნაკლულები არიან, ჭეშმარიტება რომ დაადგინო, სიცრუის ანარეკლიც უნდა ეძიო სინამდვილეში, წინააღმდეგ ამისა, გაგაპამპულებს ცხოვრება და ღირსი ხარ თუ არა, მის გრძელ შარაზე მხოლოდ ღალატს მოიმკი. დაცინვა იქნება მუდმივი თანამგზავრი და შენი პიროვნული მრწამსი სიცოცხლეშივე ჩაიფერფლება. – შეშა შეუკეთა მინავლებულ ცეცხლს ერისთავმა, სასიამოვნოდ ელამუნებოდა სითბო სხეულს.

– რა გვარისანი და საიდან ხართ? – კვლავ იმავე ჭაბუკს მიუბრუნდა.

– ჩვენი საბინადრო, – ხელით უჩვენა მახლობელი მთები ჭაბუკმა, ძლივს რომ ჩანდა ჩამავალი მთვარის ნათელში, – აი, იმ ქედის გადაღმაა. გულბაათ თოთიბაიძე გახლავარ, ესენი კი – იქ მსხოდმებზე მიუთითა, – თანასოფლელებია. თქვენ კი ვინ ბრძანდებით? – დაინტერესდა.

– ქართლიდან ვართ, – კვლავ იცრუა თორნიკემ, – მე ესტატე მქვია, იმას, – დავითზე მიუთითა, – ნასყიდა, გვარად ქვამჭრელი-შვილნი.

– მერედა ღამით რატომ დადიხართ ტყე-ღრეში? სანადიროდ მიმავალს ისეთი საჩქარო რა უნდა ჰქონდეს?

– შემაწუხებელია დღისით ამ სიცხეში სიარული. ასეთ მთვარიან ღამეში კი გზა ჩანს და არც აუტანელი ხვატისაგან დაიჩაგრება კაცი! – ნაუცბათევად მოგონილი სიტყვა შეაგება ერისთავმა.

– საოცარი თქმაა, – ორჭოფულად გააქნია თავი გულბაათმა, ეტყობოდა ვერ დაარწმუნა სიმართლეში პასუხმა.

მიუხვდა გულისთქმას თორნიკე. სიტყვისათვის სიწრფელე რომ მოემატებინა, დაამატა: – მეფის ჯარს გამოვყევით, მოკლეებიდან ამოვასწარით!

– ხომ გითხარით, ლაშქარი მოდის-თქვა! არ დამიჯერეთ, – უნებურად წამოიძახა გულბაათის გვერდით მჯდომმა ყმაწვილმა.

– მართალი ყოფილხარ, თანდილა! აბა, ტყუილად კი არ აგაგზავნეთ იმსიმაღლე ხეზე, თუმცა არ გავიზიარეთ შენი ნათქვამი, მეჯოგეები გვეგონა, ღამით მომავალ ლაშქარს ვინ ირწმუნებდა?

სიჩუმემ დაისადგურა ცოტახანს.

– ვისი ყმანი ხართ? – გულბაათს შეეკითხა დავითი.

– აზატნი ვართ! – უპასუხა გულბაათმა, – ეგრისიდან ჩამოსახლებულან ჩვენი წინაპარნი. ბატონი არ გვყოლია და ღმერთმა ნურც ინებოს ვინმემ იბატონოს, – დაამატა.

– რატომ? – გაეღიმა დავითს, – ასე საშიშნი არიან ბატონები?

– საშიშნიო? – გაიკვირვა ჭაბუკმა. – მერე და როგორი! მოყვარენი მყავს მეზობელ სოფელში, ხშირად გადავდივარ იქ და ვხედავ, რა დაუნდობლად ტანჯავენ საწყალ გლეხკაცებს. ჯერ არის და რაც თუ თვალადი ყმაწვილია, დაუკითხავად იტაცებენ და მონებად ჰყიდიან, წლის მონაგარის მეტ წილს თვითონვე ისაკუთრებენ, ვინც არ დაანებებს, წკეპლებს ქვეშ ამოხდიან სულს. კარგი ქალწული ხომ მათია და მათი! პატრონის დაუკითხავად ვერავინ დაქორწინდება. ამაზე მეტი საშინელება რაღა უნდა იყოს?

– განგებას დაუწესებია პატრონისადმი მორჩილება და ხარჯი გულბაათ, ჩვენ ვერ ავუვლით გვერდს უფლის ნებას, რამეთუ მოვლა უნდა ქვეყანას, საერთო გარჯით დაკავებული მეფე ვერ მოიმკის თავთავს, მტერსა და მოყვარეს დახვედრა უნდა. არ შეიქმნება ყოველივე მინდორში შრომით, თავ-თავისი ადგილი განუწესა თითოეულ ჩვენგანს უფალმა და იქ უნდა ვიდგეთ პატიოსნად და შეუბილწავად.

– ეჰ... – ამოიოხრა გულბაათმა, – ასე რომ იყოს, მაშინ რაღა უნდოდა ცხოვრებას. შეუბღალავად რომ ვასრულებდეთ ჩვენს ვალს საკუთარი ერის წინაშე... უფალმა დააწესაო ბრძანეთ. ვეჭვობ, მაგაში მე. მიუტევებელია სხვათა შიმშილის ხარჯზე საკუთარი სტომაქის ამოყორვა, ყმათა ცრემლის წილ პატრონის დაუოკებელი სიგიჟის დაოკება. მრავალთა ღირსეულთა შორის უღირს ერთეულთა განდიდება, უფალმა დააწესაო... ღმერთმა მხოლოდ ცოდვა-მადლი დააწესა ამ ქვეყანაზე. ორი უთიერთსაპირიპირო გზა გვიჩვნა. რატომ არის მადლი შეჭირვებულთა მიმართ ხელის გაწვდენა? უღონოებზე ძალმოსილების შთანერგვა, უპოვართა და უთვისტომოთა შეკედლება? განა იმიტომ, რომ საკუთარი თავი წარმოვაჩინოთ? არა, პირნათლად ვემსახუროთ ხალხს. ვის როგორც შეუძლია. აი, რა დაუწესებია განგებას! ღმერთი ამქვეყნიური სიკეთისათვის გვპირდება იმქვეყნიურს, ბედნიერებისათვის გაუჩენია ეს წუთისოფელი და არა ძარცვა-გლეჯისთვის.

– როგორ მოვიპოვოთ მერედა ეგ ბედნიერება? ამბობ, უბედურება მებატონეებს მოაქვთო. მათი მოსპობით დამყარდება კი, თანასწორობა? თუნდაც ვინმეს ხომ უნდა ემორჩილებოდეს ხალხი?

წინამძღოლს მოკლებული ბრბო დამფრთხალ ცხვარს წააგავს და სად გადაიჩეხება არავინ იცის – კამათში შეჰყვა დავითი.

– მორჩილება გონიერებასა და სამართლიანობაზე დაყრდნობით იქნება უბიწო, სხვაფრივ კი ყოველგვარი ქედის მოხრა ძალმომრეობაა, – არ თმობდა მაინც გულბაათი.

– ძალმომრეობაც არის და ძალმომრეობაც. წეღან შენა თქვი, აზატნი ვართო. მებატონეებისგან თავისუფალთ თუ შეგიძლიათ იამაყოთ სრული თანასწორობით? განა თქვენში არავინ არის საჭურჭლეთა გამორჩეულად მფლობელი? გაქვთ ყველას ჩაცმის, ჭამა-სმის და სხვა ყოფითი მოთხოვნების თანაბარი შესაძლებლობა? აქედან გეტყვი, არა. საიდან იციო მკითხავ და ვინემ პასუხს გაგცემდე, კითხვითვე მოგმართავ, ვინაა ყველაზე მდიდარი თქვენთან?

საცნაურყო ამ კითხვამ გულბაათი. – ყველაზე მდიდარი? – გაურკვევლად გააქნია თავი, – ყველაზე მდიდარი ალბათ მამასახლისია ჩვენი.

– ვინ ააღზევა ის მამასახლისამდე?

– ხალხმა.

– სანამ აირჩევდით, ჰქონდა სიმდიდრე?

– არა.

– როგორ ფიქრობ, პატიოსანი გზით მოიპოვა ეს სიმდიდრე მან?

– არა მგონია.

– თქვენ იგი აირჩიეთ, – განაგრძობდა მტკიცებას დავითი, – იმიტომ, რომ ყველაზე ღირსეულად ჩათვალეთ და ალბათ დასაწყისში ის მართლაც ამართლებდა თქვენს არჩევანს. მაგრამ სიღატაკით შენიღბულმა მოჩვენებითმა ღირსებამ შვა შემდგომში უღირსი სიმდიდრე. პატიოსან და მორჩილ არამქონესგან მიიღეთ უპატიოსნო მბრძანებლური ფუფუნება, თქვენივე კუთვნილი უშრომელად მიუბოძა ჟამმა მედროვეს.

– მამასახლისის მრუდე გზით გამდიდრება ისევ და ისევ ხომ ჩვენი ბრალია, – ჩაურთო გულბაათმა.

– რატომ?

– ავირჩიეთ, ნდობა ვერ გაამართლა, რიღასთვის ვინახავთ და არ მოვიშორებთ მას?

– მას ვეღარ მოიცილებთ, გულბაათ.

– ვინ შეგვიშლის ხელს?

– თქვენვე... ერთმანეთს.

– ჩვენ?

– დიახ! – დაემოწმა დავითი – დამფრთხალ ცხვარს წააგავს გუნდი ადამიანებისა. თუ დაკვირვებიხარ, გამორჩეულ წინამძღვარს მისდევს ოტებული ცხვარი. ის კლდეზე რომ გადავარდეს, განსჯას მოკლებული გადაჰყვება თითოეული იმათგანი თან. ხალხშიც არიან ასეთი წინამძღვარნი, რომელთაც ენდობა უმრავლესობა, მათი მოსყიდვით სულ ადვილი შესაძლებელია, თეთრზე შავიაო, იკიჟინოს ბრბომ.

დიდხანს იკამათებდნენ ალბათ, ამომავალი ლაშქრის ხმაურს რომ არ გამოერკვია მოსაუბრენი.

– წავიდეთო, – გულბაათს სთხოვეს თანამგზავრებმა.

– ყაჩაღები იქნებიან – ჩაილაპარაკა თორნიკემ, როცა იქაურობას გაეცალნენ ღამის მთევლები.

– არა მგონია! – მისი აზრი უარყო დავითმა.

– აბა რად აიკრიფეს ასე სასწრაფოდ გუდა-ნაბადი?

– ზოგიერთს ჩვევად აქვს განკერძოება, ერისთავო.

შეძახილებმა და ცხენთა ფლოქვების ხმამ მოიმატა. მთვარის შუქზე ლაღად მოემართებოდა ლაშქრის პირველი წყება. რამოდენიმე ხნის შემდეგ კი ქედზე უკანასკნელი მხედარიც ამოვიდა.

– ცისკრამდე აქ შევისვენებთო, – ბრძანა თორნიკემ.

ცხენებიდან ჩამოქვეითდნენ მეომარნი, საბალახოდ გარეკეს ბედაურები.

კარვები გაიშალა მინდორში. ზოგმა ღია ცის ქვეშ ამჯობინა დასვენება. ნახევარი საათიც არ იყო გასული, უკე ეძინა ყველას. მხოლოდ ყარაულები ფხიზლობდნენ აქა-იქ.

არ იქნა და არ მოეკიდა რული დავითს. მოეწყინა უთავბოლოდ წრიალი, წამოჯდა.

მეორე მხარეს ნაბადზე მიძინებოდა თორნიკეს.

გარეთ მთის ძალოვანი ქარის ზუზუნი ისმოდა. ერთხანს უსმენდა ქარის დაუმცხრალ ქროლვას. სიამოვნებდა დასაწყისში ის, მაგრამ როცა მომეტებულად დაუბერა და სახელდახელოდ გაკეთებულმა კარავმა ხმაური დაიწყო, გაუსაძლისად ეჩვენა, გამოვიდა კარვიდან, გაიარ-გამოიარა, ეგებ ასე უფრო გადავაყოლო გულიო, გაიფიქრა.

კოშკთან კვლავ ენთო კოცონი. ყარაულს უბრძანა, ცოტა ხანს კოცონთან ჩამოვჯდებიო და იქითკენ გაემართა.

ბერიკაცნი შემომსხდარიყვნენ ცეცხლს. ოთხნი იყვნენ. მიესალმა.

– თვალს რად არ მოატყუებთ? – ჰკითხა.

– სადღა არის ძილი, ჯეელო, – გაეპასუხა ჟღალწვეროსანი, – ხანი იტაცებს ყოველს, მიაქვს მოუსავლეთში. ძირმომპალ ხეს ჰგავს სიბერე, დღე-დღეზე რომ ელოდები, აჰა, სადაცაა ქარი დაჰბერავს და გადამაყირავებსო. ძველნი მიდიან, ახალი მოდის და ასე, იცვლება დაუსრულებლად.

– გულს ნუ გაიტეხთ! – დააიმედა დავითმა, – ბევრ ყმაწვილსაც აჯობებთ ჯერ კიდევ. განა ბებერი არწივი ყვავთა დასაჩაგრია? წუთისოფელმა ღონის წილ გამოცდილება შეგძინათ, დაუოკებელი სიგიჟმაჟის წილ – სიბრძნე. ცოტაა განა ეს? ასე გამიგონია, კაცს გული ახალგაზრდობასა და მოხუცობაში ერთნაირად ერჩისო!

– ეჰა, შვილოსა, რაღაის მაქნისია ღონგამოლეული გული, თორემ სწრაფვა კვლავ ჯეელისა მაქვს! – ჩაერია საუბარში მეორე მოხუცი. თეთრი თმა-წვერით დაფენილ სახეზე ღრმა კვალად ემჩნეოდა ნაიარევი მხცოვანს.

ახალგაზრდობაში დიდი ჩხუბისთავი ან მეომარი უნდა ყოფილიყო, ეტყობოდა.

ცეცხლთან სიახლოვეს ჩამოჯდა დავითი.

– მაინც არ ბერდება ძალმიხდილი გული! – ჰყვებოდა ჟღალწვეროსანი, – ის დამრჩა მხოლოდ ძველებური, სწორედ მისი კარნახით წამოვედი ამ სიშორეზე, თორემ რაღა დროს ჩემი მგზავრობაა, საიმქვეყნო სასუფევლისთვის უნდა ვიღწვოდე ახლა მე და...

– მახსოვს, კარგ სანახავად ღირდა შენი ქველობა, გივარგი. ახალგაზრდობისას მიყვარდა შენს მხარდამხარ ბრძოლა. გაგულისე-ბული ლომივით მიმტევი, ახლადამოყრილ ფიჩხივით ჩაჰკაფავდი წინ აღმდგომთ – ჰაი დედასა! ვინღა დაგვიბრუნებს იმ დროს! – სინანულით გააქნია თავი სახენაიარევმა, – ვისაც კი უნახავს შენი ვაჟკაცობა...

– ჩემი ვაჟკაცობა რა მოსატანია, – არ ეთანხმებოდა წვეროსანი, – ახლაც არ დამვიწყებია ცხრა რჩეული ვაჟკაცი რომ გაგვიფუჭა ტარსელმა, ვალაშკერტთან ბრძოლაში. ცხენიანად გადასხიპე მტარვალი. დიდად დაგიმადლა მაშინ მეფემ, აზნაურობა გიბოძა ამ დამსახურებისთვის. აზნაურობა რა თავში ვიხალოო, – შეჰკადრე, მამა-პაპანი ყმის ჯაფით ცხოვრობდნენ და მეც ასე მირჩევნიაო. გაეცინა მეფეს, ფულადი საბოძვარი მოგცა და ესეც დახოცილთა ქვრივ-ობლების ფეშქაში იყოსო, თქვი და უკან გამობრუნდი.

არ მოეწონა ეგ საქციელი ბევრს მაშინ. ერთმა დიდებულმა ისიც ბრძანა, ვირს ოქროს გვირგვინს ადგამდნენ, თავს ხრიდა და ძირს ისროდა, რა მძიმეაო.

– ჰე, მე რომ ზიზილ-პიპილები მყვარებოდა, ახლა ალბათ ვეღარ დამჩაგრავდა გაზულუქებული ჩემი პატრონი ასე! ადრე ეშინოდა, ძალა რომ შემწევდა, არ შეგვარჩენსო, ფიქრობდა. ახლა კი მუხლი რომ მომეკვეთა, ყოველმხრივ ცდილობს მავნოს რამენაირად.

– ძალიან გავიწროებს შენი პატრონი, ძია? – შეეკითხა დავითი.

– ძალიან! – დაუფარავი გულისტკივილი ამოაყოლა სიტყვას მოხუცმა, – მონად გამიყიდა შვილი და ახლა ობოლ ბადიშებს ვზრდი. რა უნდა მიქნას ამაზე მეტი? მაღალი ღმერთი არ შეარჩენს ჩემს ჯავრს, როდესაც იქნება მიუზღავს სამაგიეროს!

– ვის გეტვიან და სად ბინადრობ ძია?

– ჩემი სადაურობა რად გაინტერესებს? უნდა დამაბეზღო? სიკვდილისა არ მეშინია, დიდი ხანია დავკარგე სიკვდილის შიში. მაგრამ ეს ოხერი მაინც არ მოდის. ბოლო მოუღოს ჩემს გამწარებულ ყოფას და მომაცილოს ბარემ უსამართლობას!

– დამსმენად არ დავბადებულვარ, შენთვის სიკეთის ქმნა მამოძრავებს, მითხარი და იქნება გიშველო რამე!

– მეფესაც კი გაუჭირდება ჩემი შველა! – გადაწურულად იუარა მოხუცმა. – შენ რაღას შესძლებ? თვალად კარგი სჩანხარ, მაგრამ ერთის და ორის ჯანსრულობა რას გამოასწორებს? ძალა და ღმერთი მათ მხარეზეა და ერთის შველითაც არ შეიცვლება მაინცდამაინც დიდად საქმე! აგერ, ესენი, – მიუთითა დანარჩენებზე, – განა ჩემნაირად არ იტანჯებიან? იმას, – კუნძთან მიწოლილ ბერიკაცზე უჩვენა, – შარშან საქმროდ შეღერებული ბადიში მოსტაცა ბატონმა... ვინ მოსთვლის, რამდენი ხდება ამისთანა. არსითაა ხსნა: ასე დაგვბედებია და რას იზამ, შვილოსა რას?!

– არ მეტყვით, მაინც სადაურნი ხართ? – ჩაეძია დავითი.

– ვერაფერს მოგცემს ჩვენი ვინაობის შეტყობა, – ჯიუტობდა მოხუცი.

ეტყობა ვერ უნდა გავტეხო მათი სიჯიუტეო და დავით უფლისწული ვარო, გაუმხილა.

გაკვირვებულნი წამოიშალნენ ზეზე მოხუცნი, შესთხოვეს: – გვაპატიე თავხედობა, ჭირი გვალაპარკებს, თორემ რა სათქმელი იყო ახლა ესო?

მოხუცნი დაამშვიდა დავითმა, თავთავიანთ ადგილებზე დასხა.

– ახლა მაინც გამიმხილეთ სადაური ხართ, ხომ ხედავთ, სიკეთე მწადია.

არტანუჯთან ახლო მდებარე ერთ-ერთი სოფლიდან აღმოჩდნენ ბერიკაცები. პატრონიც შეიტყო მათი.

– ამას იქით ვეღარ დაგჩაგრავენ! – დაამშვიდა.

ორჭოფულად შეჰყურებდნენ დავითს მხცოვანნი. არ სჯეროდათ მისი ნათქვამის.

– ნუ გაგვამხელ, – სთხოვეს, – უარესად გაგვამწარებენო.

– ფიქრი ნუღარ გექნებათ მაგაზე, მე უფლისწული ვარ და არავის მივცემ ნებას ჩემი ბრძანების შეუსრულებლობისას! – დაამშვიდა აღელვებულნი.

– ადიდოს ღმერთმა შენი სახელი! – დალოცეს მოხუცებმა და კალთაზე ემთხვივნენ სათითაოდ უფლისწულს.

სიყვარულით მოხვია ხელი გიორგის რომ ეძახდნენ იმ მოხუცის დაკორძილ მხრებს დავითმა, უთხრა: – შენ გაიზარე, ძია, მაგ მარჯვენის ძალი და ბარაქა ნუ მოშლოდეს ჩვენს ქვეყანას, თორემ, მე ჯერ სადიდებ-საქებარი არაფერი შემიქმნია. საიდან მოდიხართ ამ ღამის მიწურულს? – შეეკითხა ბოლოს.

სავაჭროდ ყოფილიყვნენ წამოსულები, – ყველაფერი გაძვირდაო, ჩიოდნენ. ცეცხლის ფასი დაედვა ხორბალს, ასე თუ გაგრძელდა, შიმშილით დავიხოცებით, ამ გვალვამ ხომ სულერთიანად მოსპო ნათესებიო.

მასლაათში შემოანათა ცისკარმა. ახმიანდა ბუკი. აიშალა ლაშქარი. სახელდახელოდ დანაყრდა სპა, აიყარა და ჯერ კიდევ მზის სხივებს თუხარისამდე არ ჩამოეწვდინა, რომ უკვე იქ იყვნენ.

ცხენოსანი გამოეგება მომავალთ.

– ციხის მცველი უფროსი ზარაბაძე ვარ! – მოახსენა წინ წამომდგარმა ვაჟკაცმა.

უპირველესად წესრიგით დაინტერესდა თორნიკე, არეულობა ხომ არ არის თქვენთან სადმეო.

– არა, – უპასუხა მეციხოვნემ.

– კარგად გაამაგრეთ ციხე! – უბრძანა ბოლოს. ბაგრატ უფლისწულზე ჰკითხა, სპით როდის გაიარაო.

– გუშინ დილით, – იყო პასუხი.

– სად არის ციხისთავი?

– უფლისწულს გაჰყვა სპიანად.

– ციხისმცველნი რამდენი ხართ ამჟამად?

– ხუთასი!

– ახლომახლო სოფელთა მცხოვრებთაგან გააძლიერეთ დაცვა. ფრთხილად იყავით, არ მოადუნოთ სიფხიზლე.

***

თუხარისიდან ნახევარი დღის სავალზე შემოეყარათ პირველი ლტოლვილნი. უთავბოლოდ ატატებული აღალი ნელა მოირწეოდა მტვრიან შარაზე. არაქათგამოცლილი მოაბიჯებდნენ სიცხისგან შეჭირვებული სახედრები.

შეჩერდა აღალი. წინ წამოდგა მხრებში ოთხად მოკეცილი მხცოვანი. იცნო მხედრობა, – დაგვაქციეს, აგვიკლესო – შეჰღაღადა. ცნობისმოყვარედ შესცქეროდნენ ბავშვები შეჭურვილ მეომართ. მორცხვად უჭვრეტდნენ სახედრებს ამოფარებული დედაკაცები ქართველთა სპას.

– საიდან მოემართებით? – შეეხმიანა თორნიკე.

– თორთომიდან აგვყარეს, სპასალარო, ბევრი ქართველი დაიღუპა, წაიბილწა მონასტრები. სოფლებში უთავბოლოდ დაძრწის მტრის ლაშქარი. ვეღარ გავუძელით და გამოვერიდეთო, – მოჰყვა ბერიკაცმა.

– ახლა საითკენ მიდიხართ? იქნებ გგონიათ ია-ვარდებითაა მოფენილი აქეთ ყოველივე? ასე რომ ჩვენს წინაპრებს ემოღვაწათ, აღარ დაგვრჩებოდა ადგილი საოტებლად. – ჩაერია ჯოჯიკი, – მწუხრიც და ნათელიც მშობლიურ ლაჟვარდში უნდა იხილო, არა აქვს ისეთი მომხიბვლელობა მათ სხვაგან.

– განა არ ვიცით ფასი საკუთარი ლაჟვარდისა? მაგრამ ვინღა შეკრას კამარა მაშინ, მართვე თუ დაიღუპება, შვილო? აქ ყველა უძლურნი მოხუცი, დიაც-ბავშვები არიან. ვისაც სატევრის შემართვა შეეძლო, პირნათლად იბრძვის და სასაყვედუროდ არ ეგების. ხანდახან გარიდებაც გამარჯვების ტოლფასია.

– ეს მითხარი ძია, სანამდისაა შემოღწეული მარბიელი? – შეეკითხა თორნიკე.

– ოშკამდის!

– ბევრი არიან?

– უჰ... – მრავალმნიშვნელოვანდ აიჩეჩა მხრები მოხუცმა.

– სად აპირებთ შეფარებას ამდენ დედა-წულიანად ახლა?

– გამოჩნდება ვინმე მადლიანი შვილო!

– ყური მომაპყარ! თუხარისში ჩასვლისას ციხის მცველთა უფროსს გადაეცი, დროებით დაგაბინაოს, სპასალარმა გიბრძანა-თქო, ასე უთარი. ახლა კი შეუძახე დანარჩენთ, გზა უტიონ ლაშქარს.

***

ლტოლვილნი აღარ შეხვედრიათ მეტი.

იშხანში ჩასულებს ფანასკერტელი დაუხვდა მცირეოდენი ამალით.

„უთუოდ რაღაც შეუტყვია ამ ბებერ მელას“ – გაიფიქრა დავითმა.

დაფარული პირმოთნეობით მიესალმა ფანასკერტელი. მახარობლად ვვარგივარო, დაამატა. სასიხარულო ცნობას გადმოგცემთ და პატივი მეგებაო.

რა სასიხარულო ამბავს გვპირდებაო? – ცნობისწადილმა შეიპყრო ყველა.

– ბაგრატ უფლისწულს თორთომის ციხეზე შემომდგარი მტერი დაუმარცხებია. ბრძოლაში თვითონაც დაჭრილაო, ასე თქვეს. თუმცა, ჭრილობა მძიმე არ ყოფილა. ასე რომ, უფლისწულს ბრძოლის ველი არ მიუტოვებია, ბოლომდე უომია თურმე.

– ყოველივე სცოდნია ამ გაიძვერას. ეტყობა გამარჯვების სასწორი ჩვენკენაა გადმოხრილი, ამიტომ გველაქუცება. ახლოს არ გაგვეკარებოდა სხვამხრივად. ბოლო უნდა მოეღოს ამ არაკაცს უსათუოდ, როგორც კი ჩათავდება ეს არეულობა, სამსჯავროს წინაშე წარსდგება ყველა, ვისაც კი მიუძღვის ორპირული ქმედება ქვეყნის წინაშე. დიდი ხანია გან-განზე იწევს ფანასკერტელი, ზოჯგერ დაუფარვადაც, მაგრამ მაინც საბოძვრით ავსებდა მამა. აჰა, შედეგიც მისი გულუხოვბისა. თუმცა რა არის გასაკვირი? საჩუქრით მოსყიდული საჩუქრითვე დაგკარგავს, ღელე-ბარისაკენ მიმლტოლი, პირუკუ მდინარი ვის უნახავს?

სად წარგზავნა ნეტავ მისი თვალთმაქცი ლეკვი? თუ დადასტურდა ღალატი, იცის დავითმა როგორ მიუზღოს სამაგიერო. მანამდე კი დაიცდის, იქნებ არც ისეა, როგორც ამბობენ?

– სად არის ერისთავო შანშე, მემკვიდრე შენი? – შეეკითხა, – უფრო უპრიანი არ იქნებოდა განა სპას თვითონვე რომ გამოძღოლოდა?

– წინდაწინვე გავგზავნე სპით, როგორც კი შევიტყვე მთიელთა ამბოხი, უფლისწულო!

– არსად რომ არ ჩანს?

– ალბათ მტერს ერკინება. მოგეხსენებათ, ყოველი მხრიდან შემოჭრილია მტერი და ვინ იცის, რომელ ხევში დაუხვდა შეუმჩნევლად?

– სპა ნემსი ხომ არ არის, უჩინრად დაკარგულიყო ერისთავო?! – უთხრა და გამჭოლად შეხედა თვალებში. რაღაცნაირი გულდარხეინება დალანდა მათში.

რამდენნაირ ხვეულ ხლართში ძვრება, ჩიხში გამომწყვდეული მელიასავით, რათა როგორმე თავი გაიმართლოს. ასეთმა გარეწარმა ტყუილის დაფარვისათვის ყველზე წმინდა საფიცარიც კი შეიძლება მოიშველიოს. ვნახოთ, მომავალი წარმოაჩენს ყოველს!...

***

მთის გადასასვლელზე გაათია მესამე ღამეც ლაშქარმა. დღის შუა სამზეოზე შევიდნენ ოშკში. დადასტურდა ფანასკერტელის მოტანილი ამბავი. არტანუჯში მიმავალმა შიკრიკმა აცნობა პირადად ყოველივე მომხდარი.

აუწიოკებია იქაურობა მტერს. ცეცხლში გიზგიზებდა სოფელი. ვაების გაუთავებელ ხმაურში ჩანთქმულ ალმოდებული სახლებიდან ფიცხლად გამოჰქონდათ სარჩო-საბადებელი. ქალთა და ბავშვთა გვამები ეყარა გზაზე. უცქერდა გაწამებულთა და გული სიბრალულით ევსებოდა დავითს. რატომ იქცეოდა მტარვალი ასე დაუნდობლად უმწეოთა მიმართ? რა დაუშავეს ამ პატარებმა? ასე რომ დაუხოციათ? – ფიქრობდა გზადაგზა და შურისძიება ჩაუმქრალ ალად ეტმასნებოდა მის გონებას.

ერთგან შეჯგუფულნი დიაცნი შემოხვდნენ, მწარედ შესტირეს დედაკაცებმა: – გვიშველეთ, დაგვაქციეს, მოგვაოხრესო.

დაამშვიდა მწუხარნი თორნიკემ: – ამიტომაც მოვედით, რომ დაგეხმაროთო.

სოფლის შუაგულში შემოეგება შეჭურვილი მხედარი რამოდენიმე მხლებლით, მდაბლად თავი დაუკრა.

– მამასახლისი გრიგოლი გახლავარო, – გაეცნო, – ამჟამად ტყიელთა რაზმის მეთაური.

– ვისი ნამოქმედარია ეს მამასახლისო? – შეეკითხა დავითი.

– მარბიელი შემოგვესია უფლისწულო. სულერთიანად ააოხრეს სოფლები.

– აღარავინ დარჩით სატევრის მპყრობელი? – უსაყვედურა უფლისწულმა, – მოდენილ ბრბოს რომ წინ აღდგომოდით? ასე ვით გაათამამეთ მტერი, რომ დღისით, მზისით სახლ-კარში გეჭრებათ, თქვენ კი დაშინებულ კურდღელივით ჩირგვებში იმალებით?

– იმალებიანო, ვინ მოგახსენათ? უაზრობად მიმაჩნია ურიცხვ მტერს სააშკარაოდ შეება, ამასთან მცირე რაზმებით ვერაფერს

გახდები და ტყუილუბრალოდ შეაკლავ მეომართ, – წყენანარევი კილოთი უპასუხა მამასახლისმა.

ტყუილუბრალოდ შეაკლავ მეომართაო, ბრაზი მოჰგვარა ამ სიტყვებმა დავითს. გამოდის, რომ ტყუილუბრალოდ მიდიან ისინიც ომში, ვიდაცა ხომ უნდა ემსხვერპლოს მამულს?

– შენი აზრით, რომ არ დავიხოცოთ, ტყეებში უნდა ვიმალოთ შეშინებულებმა? კარგი და იქაც თუ მოგვაგნო მტერმა, სად წავიდეთ მერე?

– ჩვენ არ დავმალულვართ, უფლისწულო! – შეცბა მამასახ-ლისი.

– მაშინ, სად არის შედეგი თქვენი მოქმედებისა? ალბათ ფიქრობთ, იმ დედა-წულზე ძვირად ფასობდეთ, დაჩეხილნი რომ ეყარნენ სოფლის შარაზე? თავს უფრთხილდებით, უმწეონი კი მტარვალის ხელში ჩაყარეთ! რას იტყვით, ვინმემ რომ მოგკითხოს ამაზედ პასუხი? ვიბრძოდითო, იყვირებთ, ჭეშმარიტად კი სატევარიც არ შეგიმართავთ ხეირიანად.

– რამდენჯერმე შევერკინეთ ღამ-ღამობით! – თავი იმართლა გრიგოლმა.

საუბარში თორნიკე ჩაერია, – სად აქვს სამყოფელი მტერს? – შეეკითხა.

– სოფლის ზევით, ძველ ციხესთან დაიდეს ბინა, იქ იმყოფებიან ახლაც.

– მეგზურად გამოგვყევ, გზანი გვიკვლიე, – უბრძანა.

***

სოფლიდან საკმაოდ მოშორებით, პატარა ბორცვზე იდგა ძველი ციხე. ქონგურებშემორღვეული, სანახევროდ დაშლილი. შიშიანობისას მთელი ამ მხარის მოსახლეობას იტევდა წინათ. ახლა კი რუხი ხავსი მოსდებოდა ოდითგანვე წინაპართა აშენებულ კედლის ნანგრევებს. უამრავი ქვეწარმავალი ბუდობდა ქვის ყორეში.

– ციხე როგორია ამჟამად? – გრიგოლს შეეკითხა თორნიკე.

– ციხე რა მოგახსენოთ, სპათა უფროსო! დანგრეული კედლებისა და ახორავებული ღორღის გარდა, არაფერია. ადგილია თვითონ წარაფი, მიუვალი ხევებითა და ფლატეებით. მისადგომი გზა მხოლოდ ერთი მხრიდან აუდის.

– ცხენდაცხენ შეტევა შეუძლებელია?

– ისეთი ციცაბოებია, შეჭურვილ ქვეითთაც გაუჭირდება იქ ასვლა! – იმედი გადაუწურა მამასახლისმა.

– როგორც სჩანს უბედაურებოდ მოგვიწევს ბრძოლა! რას გვეტყვით, უფლისწულო, დავტოვოთ აქ ცხენები? – დავითს შეაცქერდა თორნიკე.

– სხვა გზა იქნებ არც გვქონდეს! – ნელად ჩაილაპარაკა დავითმა და აღმართში შეაგელვა ცხენი.

მდინარისპირა ვაკობზე შეჩერდნენ. ბედაურებიდან ჩამოხდომა უბრძანა თორნიკემ ლაშქარს და თავისთან მოიხმო სპის ათასისთავნი.

აქედან კარგად მოჩანდა მწვერვალებს შორის, მაღლობზე მდგარი ბებერი ციხე-ნანგრევი. მორღვეულ გოდოლს, ნისლივით შემოტმანსოდა კვამლი. ხმაური და ყიჟინი ისმოდა გაუთავებელად.

ზარ-ზეიმობდნენ გადამთიელნი, მიტაცებული ნადავლით გალაღებულნი – ღმერთი ინებებს, მალე ჩაუმწარდეთ ლხინი ლეშის მოყვარულ სვავთ! – გაიფიქრა დავითმა.

მცირე თათბირი ქმნა თორნიკემ.

– სპანო! – წარმოთქვა მან, – ფრიად საშური და რთული რკენა გველის. ციხესთან მისავალი დამრეცი ფერდობებია, გარდა ერთი მხარისა. ეს მხარე კი უთუოდ გამაგრებული ექნება მტერს. საბჭობად მოგიხმეთ, რათა უკეთესი გადაწყვეტა მივიღოთ უკეთესთაგან. ხერხი სჯობია ღონესაო, წინაპარს უთქვამს. მოდით, ჩვენც ნუ ვუღალატებთ ამ ბრძნულ შეგონებას. აჰა, ასპარეზი გონჭვრეტის. თქვით ვის როგორ ესახება და უჩანს მიზნობრივად ეს ბრძოლა.

წინ წამოდგა იოანე ათასისთავი:

– თანამებრძოლნო! – საოცრად ბოხი ხმით დაიგრგვინა, – ერთობ ძნელი და საორჭოფოა ცალმხრივი ბჭობა, რამეთუ ომი კამათელს ჰგავს. ვინ არის დაზღვეული, რასაც ვვაზრობთ, იმასვე არ ფიქრობდეს მტერი? ერთადერთ იმედზე დაყრდნობილი მსჯელობა მწირია, ბრძოლას კი მამაცი იგებს, მოგეხსენებათ. ჯერ არ ყოფილა არცერთი შეტაკება უმსხვერპლოდ. თუმცა მსხვერპლიც არის და მსხვერპლიც! დიდი დანაკარგით მოპოვებული გამარჯვება, მარცხის ტოლფასია! წინაპართ მცირე დანაკარგით უძლევიათ აქამდე მტერი და არც ჩვენა გვაქვს უფლება, გადავუხვიოთ მათ გაკვალულ სავალს! პირდაპირი შეტევით აღება ციხისა მსხვერპლს მოითხოვს. გავიგეთ, ბაგრატ უფლისწულს გაუმარჯვია თორთომში და რაღად ვიჩქაროთ? შემოვეწყოთ გარშემო და დღეს იქნება თუ ხვალ, შიმშილით გაწამებული მტერი, თავისივე ნებით დაგვმორჩილდება.

აღიმართა სარდალი ჯოჯიკი.

– მეომარნო, – თქვა, – დიაცთ ძაფის ბლანდვა ეხერხებათ საქსოვზე. ვაჟკაცის ხელსაქმე კი ომია. კერიის უმწიკვლოებით იზომება დედაკაცის ნამუსი, ვაჟკაცისა კი ბრძოლაში იწრთობა და შეურყეველი სიმტკიცით დუღაბდება. ყოველთა მტერთა უარესია, ზურგშექცეული თანამებრძოლი შენი ჯიშისა. ორჭოფობა სიმხდალის ნიშანსვეტია, სიმხდალე კი, წინდაწინი დამარცხებაა იდუმალი მეტოქის წინაშე. მსხვერპლს მოითხოვსო, ამბობთ, განა უმსხვერპლოდ შექმნილა რაიმე? დიდ საქმეს დიდი მსხვერპლი სჭირდება! სატევარი უქარქაშოდ სჭრის... რისთვის შემოვაფინოთ აზრს ათასგვარი სათუოობა? მაშინ ხომ მახვილი მახვილად აღარ ივარგებს და გამოუსადეგარი იქნება? ვერ დათრგუნავ ლმობიერებით მოსისხარს, ვაება ვაების წილ, აი ჩემი სულის გამოძახილი!

საჩქარო არა გვაქვსო... რაღას ვუცადოთ? იქნებ უქმად დავსხდეთ, მანამ მტერი ერთიანად შემოგვიტევდეს, გადაგვიბუგავდეს სხვა სოფელ-ქალაქთაც. რით აპირებთ წინ აღდგომას მერე. ყანა მოსამკელი, რაც უფრო ადრე მოიმკება, მით უკეთესია. ჩემი აზრია, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შევუტიოთ და მკლავნი გავალომოთ და არა ენანი!

განსჯაში სხვებიც ჩაერივნენ. ზოგი არჩევდა ალყა შემოერტყათ, ზოგიერთი კი ჯოჯიკს ეთანხმებოდა, ერთიანი შეტევით შეემუსრათ მტერი.

ჭოჭმანობდა თორნიკე, არც ერთი არ ესადაგებოდა მის ჩანაფიქრს. იოანე სარდალი, დიახაც გამოცდილი და მამაცი ვაჟკაცი, უშიშარი იყო ბუნებით, მაგრამ რაც ასაკში შევიდა, მით მეტი სიფრთხილე დასჩემდა.

ვისღა არ უნდა უმსხვერპლო გამარჯვება? მაგრამ ვინ გაცლის? ვთქვათ, შევკარით ალყა, ბუნებრივია, მტერი შეეცდება ყოველგვარი ღონე იხმაროს. პირველ რიგში კი ალყის გარღვევას მოიწადინებს. თუკი ვერ შესძლო ეს საკუთარი ძალით, იხმობს საშველად მისიანთ, მაშინ სულ ადვილი შესაძლებელია, ყველაფერზე ხელი მოეცაროთ, რადგან ალყად მდგარნი, ალყაშივე მოექცევიან თვითონვე, ორივე მხრიდან გარშემორტყმული. მტრის გამკლავება კი ძნელზე ძნელია.

არც ჯოჯიკის სიტყვას ერწმუნებოდა სრულიად თორნიკე. ახალგაზრდული დაუოკებლობით ხსნიდა. უაზრობად მიაჩნდა დაურიდებელი შეტევა, ძნელად მიუვალი ადგილი ეპყრა მტერს და უეჭველია, მომზადებული იყო საამისოდ. იცოდა ერისთავმა, რა გამანადგურებელ რისხვად წამოვიდოდა ფერდობებზე დაშვებული ქვის გამაყრუებელი გრიალი, რომელ ერთს შებრძოლებოდა ლაშქარი,

აყირავებულ ლოდს, გამიზნულ ისარს, თუ სეტყვად წამოსულ ხელშუბთ? ამ უთანასწორო ბრძოლაში უთანასწორო მსხვერპლს გაიღებდა ისედაც მცირე ქართველობა. მეომართა მეტ წილს თუ შესწირავდა, რაღა ფასი ექნებოდა ამგვარ გამარჯვებას?

ვერ გადაეწყვიტა როგორ მოქცეულიყო.

სიტყვა დავითმა აიღო.

– ადგილის სიძნელეზე თხრობაც ზედმეტად მიმაჩნია, – დინჯად დაიწყო, – საკუთრივ თვალთა ხილვით ამჩნევთ, რაც როგორ არის... იოანე სარდალმა ბრძანა ალყის შემორტყმა. არ არის ურიგო აზრი, მაგრამ საფიქრალია, რომ გაჭიანურდეს გაუთვალისწინებელი ალყა? მაშინ? ხედავთ, არ ისვენებს მტარვალი. რა გვნახავს აქ უქმად მყოფს, სხვა მხრიდან შემოგვიტევს. ჩვენ კი, რაც არ უნდა მოხდეს, მაინც ვერ მოვხსნით ალყას და მტერს ძალაუნებურად თავისუფალი პარპაშის საშუალებას ვერ მივცემთ. კიდევ დაიღვრება უდანაშაულო ცრემლი და სისხლი, კვლავაც ატირდებიან დედაკაცნი. ეს წუთია ოშკში რომ ვიხილეთ... ვინ იქნება დამნაშავე ამაში? რა თქმა უნდა ჩვენ. ჩვენ, იმიტომაც, რომ დროულად ვერ განვჭვრიტეთ მოსალოდნელი ხიფათი, დავერიდეთ საკუთარი სხეულის ვნებას და მხხვერპლის გაღების მომიზეზებით, უფრო გემრიელი ლუკმა ჩავუგდეთ ხელში მოსისხარს.

წინასწარ განუჭვრეტელი შეტევაც უფრო სიშმაგეს ჰგავს, ვინემ ომის მეცნიერებას. რიგიანი სავალი ერთი მხრიდან აქვს ციხეს და ისიც, არ მეპარება ეჭვი, გამაგრებულია. სხვა მხარეები კი დამრეცი ფერდობები და ღრანტეებია. საიერიშოდ მეტად მოუხერხებელი. ჩემი ვარაუდით, იერიში დავიწყოთ საიდანაც იოლი ასასვლელია, შემდგომ კი, შუა ბრძოლისას, მუხნარებით დაფარულ ფერდობებიდან, იდუმალად ავგზავნოთ მოისართა ასეულები და თუ მათ შეძლეს უვნებლად მიღწევა ციხემდის, მაშინ ორმხრივ დარტყმის ქვეშ მოქეცული მოწინააღმდეგის დამარცხება არ იქნება საძნელო საქმე ვგონებ.

ენიშნა იერიშის ეს მონახაზი სპასალარს და რას იტყვითო, შეეკითხა მოთათბირეებს.

ყველას მოეწონა უფლისწულის ჩანაფიქრი. გადაწყვიტეს, ჯერ ქვეითი შუბოსნები მიეტიათ, შემდეგ მიყოლოდა მძიმედ შეჭურვილი ასეულებიც და ხანგამოშვებით ბრძოლის დასწაყისიდან, მუხნარებში მალულად აეპარებინათ მოისარნი.

მცირეოდენი ხნის შემდეგ, წამოიშალა ლაშქარი.

გიგია ათასისთავს უბრძანა თორნიკემ – კლარჯელთა ოთხი და შავშელთა ორი ასეული შეემატებინა და პირველი გაძღოლოდა საიერიშოდ ლაშქარს.

თავისივე სპით, ბედაურთა სამეთვალყურეოდ დატოვეს ფანასკერტელი – სულ ერთია, გულით არ იომებს და ზურგსუკან მდგომი მტერი წინ მდგომარეზე გაცილებით უარესიაო. დაე, აქ იყოს, თუკი ვერ დაგვეხმარება, ვერც რაიმე ვნებას შესძლებსო.

მოისართ ბეგა ასისთავი წაუმძღვარეს.

აღმართს შეუდგნენ. კლდოვან წარაფს შემოუხვიეს. ნახევარ საათში მკაფიოდ აისვეტა მოსახვევიდან ბორცვზე შემდგარი ციხე-ნაშალი.

– ბეგა! – მიმართა თორნიკემ, – აქ დარჩი შენი სპით, ისე რომ, ვერ შეგამჩნიოს მტერმა. ხეთა მოფარებულნი დაელოდეთ ბუკთა ახმიანებას. როცა დავიწყებთ იერიშს, ცოტაოდენი ხნის შემდგომ, შემოუარეთ ფრთხილად იმ პატარა ბორცვს და უხმაუროდ აცოცდით მაღალ მუხიანებში. ვინიცობას მტერმა თუ დაგლანდათ, ნუღარ შეეცდებით ზევითკენ ამოსვლას, უკანვე გამობრუნდით მაშინვე და ჩვენ შემოგვიერთდით!

– იყოს ნება შენი, სპასალარო! – თანხმობა განაცხადა ბეგა ასისთავმა. – მაგრამ ვერ ამიხსნია ერთი რამ, რას მოასწავებს უკანვე მობრუნება? ეგ ხომ გაქცევის ტოლფასია? და დღეს თუკი ჩემს მებრძოლთ საკუთარი ნებითვე გამოვაბრუნებ უკან, ხვალ თავიანთივე აღტკინებით უჩვენებენ ზურგს ბრძოლის ასპარეზს. ვის გაუგონია უღელში მწოლიარე ხარი ვარგოდეს ხარად?

ღიმი მოეფინა ერისთავს სახეზე. ეხამუშებოდა ასისთავს უკან დახევა. მისდაუნებურად ამგვარი ფიქრი აღეძრა გუნებაში: – ორი რამ შეიძლება მოიპოვო ომში: გამარჯვება სიცოცხლის ფასად ზოგჯერ და მარცხი სისხლდაუღვრელად! ომი ერთთათვის სისხლის ყივილია, მეორისათვის – შესაწირავი ზვარაკი ძალაუნებური. ომი ჟლეტაა, მუსვრაა კაცთა ულმობი და დაუკანონებელი. უშიშარი იმარჯვებს მასში, თუმცა ხანდახან სიფრთხილეც მართებს მამაცს.

– უკანვე ჩაბრუნება არ ნიშნავს გაქცევას, ასისთავო! – უპასუხა – დიდ ვაჟკაცობად ითვლება ვნების მოდრეკაც, რამეთუ იმ ციცაბოზე ფრთოსანთაც გაუჭირდებათ დგომა და წარმოიდგინე, რა მოჰყვება ზევიდან გადმომდგარი მტრის წინააღმდეგ უთანასწორო რკენას!

– ფიქრი ნუ გექნება მაგისა, სპასალარო! იმგვარად მივადგებით ციხეს, ვერაფერს გაიგებენ. ხშირი მუხნარი და შქერია აყოლებული იმ მხარეს, უჩინმაჩინის ქუდებს დავიხურავთ ყველანი.

– ჩვენც მაგის მომსწრაფნი ვიქნებით! – უთხრა თორნიკემ და დაქვეითებულმა გამეტებით მოქაჩა ცხენს ლაგამი. გაოჩნდა პირუტყვი, გაუჭირდა ღორღიან შარაზე აღმასვლა.

როგორც იქნა ააღწიეს ბორცვის ძირამდის. ცოტა მანძილიღა აშორებდა ზედა ვაკობს, სადაც აღმართულიყო ბებერი ციხე. შეჩერდნენ წინ მიმავალნი. დარჩენილთა ამოსვლას დაელოდნენ. განსაცვიფრებელ სიმყუდროვეს დაესადგურებინა ირგვლივ. – რას უნდა ნიშნავდესო, – გაუკვირდა თორნიკეს, – იქნებ ქვევიდან მომავალი დაგვინახეს და გაიპარნენ! მაგრამ გასაკვირია, ასე შეუმჩნევლად როგორ დაგვიძვრნენ? მთელ გზობაზე სჩანდა თითქმის, ბორცვის შემოგარენი და გაფაციცებით ათვალიერებდა თვითონ ყოველგვარ ჩქამსაც კი.

არა, შეუძლებელია ლაშქრის ამგვარი გაუჩინარება. მით უმეტეს, არც თუ მცირენი არიან.

– კარგის მაუწყებელი თუა ნეტავ ეს სიმყუდროვე, უფლისწულო? – დავითს მიუბრუნდა.

– ვერ გეტყვით, ერისთავო! – ორჭოფულადვე მიუგო მანაც. – ერთნაირად სახიფათოა ზღვარს გაცილებული სიჩუმეც და ხმაურიც, ისევე როგორც ძუნწმეტყველ და ბევრისმოქმელ კაცთა ამხანაგობა.

– ძუნწმეტყველება სიბრძნეს ღაღადებს...

– არა ყოველთვის! – თავი გააქნია დავითმა. – ვის გაუგონია, უენო ბრძენი? ბრძენი იმიტომაცაა ბრძენი, რომ ის მეტყველებით ხილულად ქმნის იმას, რასაც სხვათა გონსჭვრეტა ვერ ჩასწვდენია. სიტყვის სიძუნწე უაზროა მისთვის და ამდენად, შეუსაბამოც. სიჩუმე წყვდიადში მოქცეულ არაკაცთა თანახვედრია, ასეთი დუმს ენით, საქმით კი ბნელეთს მოციქულობს, ამით მას მარადიულად უპყრია ხელში თავდაცვის უებარი იარაღი – დუმილი!

– ბევრის მოქმელმა რაღა დააშავა?

– შეუწყნარებელნი არიან ამგვარნი... ბევრის მთხრობელი ფუჭ მესიტყვეს წააგავს, ვინემ გონებით დატვირთულს. ჭკუასაცდენილ და ჭკუაზე აღმატებულთა ჩვევაა ეგე. თუმცა ის იშვიათად ვლინდება უკანასკნელში!

დავითის მსჯელობაზე გულიანად გაეცინა თორნიკეს: – მაგ ნათქვამით ვითარ გავიგოთ, ვინაა ჭკუასაცდენილი და ვინ კიდევ ჭკუაზე აღმატებული, უფლისწულო? – უთხრა, – მათი ქცევა ხომ ერთმანეთს თანხვდება და გარეშე პირი სხვაობას ვერ იპოვის მასში. მაგგვარი ჰაზრთახედვით? ყველა გიჟი და ბრძენკაცი ხომ ყარიბად წასულა წუთისოფლიდან?

– შესაძლოა, ერისთავო! – დაემოწმა დავითი. – მაგრამ მცირე მსგავსებით არ ეგების სულ სხვადასხვა ბუნების შვილთა გაიგიავება, ბრძენი მოჭარბებული ჭკვითაა დაჯილდოებული, გიჟი კი – მის სინაკლულით!

– მინახავს ბრძენი, გიჟურ ქმედებით რომ მიუპყრია ყურადღება ხალხისა და შევხვედრივარ გიჟს, რომელსაც სულელისა არა ეცხო რა! – დაასკვნა თორნიკემ.

– რაში გამოიხატება კერძოდ ეგ ურთიერთ სიახლოვე? – ნათქვამს ვერ ჩასწვადა დავითი.

– რაში? რაში და... – დამარცვლით გააგრძელა სიტყვა ერისთავმა, – ერთნაირი ხვედრი უსახსოვრია განგებას ორთავესა-თვის, როგორც ამქვყენიური, ისე იმქვეყნიური, უფლისწულო!

მაინც ვერ მიხვდა თორნიკეს ნართაულს დავითი, აღარ გაუგრძელებია საუბარი.

ამასობაში ამოვიდნენ დანარჩენებიც.

– მგონი ციხის ნანგრევები შეგვრჩა ხელში! – თქვა და გულმხიარულად გაეცინა ჯოჯიკს.

– არცთუ მაგრეა, სარდალო! – გაეპასუხა თორნიკე, – იმ ლოდებს ხომ ხედავ? – ზევით წამომდგარ ლოდებზე უჩვენა, – ზვავად დაგვაცვივდება ყველანი თავზე!

– თუკი აღარავინ არ არის იქ, მისით ხომ არ აგორდებიან ერისთავო?

– თავისითაც გორავენ ზოგჯერ, ჯოჯიკ! შენ არ გინახავს, მიმწუხრისას მომწყდარი ქვები, კლდეებიდან შურდულივით ჩამოვარდნილი?

– როგორ არა!

– ჰოდა, უფრთხილდი! – მრავალაზრობრივად მიუთითა, – უცაბედად დაქანებული ლოდი, გახსოვდეს, მოულოდნელად მუშტის დაკვრას ჰგავს, სანახევრო მარცხის თანასწორია ეგე. ახლა კი, წამოუძახე ღონიერთ, აი იმ მდელოზე მოსჭერით მუხის ხენი. ასე ორმოცდაათამდის და აქ მოზიდეთ! – მათგან მარჯვნივ პატარა ვაკიან ტყეზე მიანიშნა თორნიკემ.

– ხენი რაზედ გვჭირდება? – იოანემ იკითხა.

– საფარი ძელები შევკრათ, სარდალო! – აუხსნა ერისთავმა. – ამ დამრეცებზე ასვლისას, დიდ ზიანს მოგვაყენებენ საგორავები. ჯებირთა ნელ-ნელა აცოცებით კი, ვერაფერს დაგვაკლებენ უზარმაზარი ლოდებიც კი.

– ცუდი სამსახური გაგვიწია მაგგვარმა ჯებირებმა შარშანწინ ოლთისში. დაქანებული საგორავები დაბლა აცურებდა მათ და ვერა საშუალებით ვერ შევძელით მაღლა აგვეზიდა ისინი. დიდი მსხვერპლი გავიღეთ, ჩვენივე ხის შეკრულებმა დაგვიხოცა სპა!

მომხდარს აშკარად აზვიადებდა იოანე.

– მაშინ ერთი რამ გამოგვრჩა მხედველობიდან, სარდალო! – არ შეეპუა თორნიკე, – ხეები თითქმის სწორად შევკარით და ვერ გავითვალისწინეთ დარტყმის ძალის არნახულბა. გარდა მაგისა, ის ადგილი უფრო ციცაბო იყო, ვინემ აქ არის. ძირეული ლოდებიც ბევრია ამ ფერდობზე და უპრიანია ძელურთა დამაგრებისას.

– შეიძლება ვცდებოდე, თუმცა მეეჭვება მაგათ საიმედოობაში და...

– ეჭვი მალამო არ არის, ვერც ვერაფერში დაგვეხმარება. მრავალგზის გონიერი მცდელობა კი, წარმატების საწინდარია.

ლაშქრის ბოლო ასეული ამოვიდა დაბლობზე.

გარდიგარდმო ძალაყინებით მიჰქონდათ დაჭრილი ხეები მეომრებს, ერთ ადგილზე აგროვებდნენ.

სახლის სახურავისამებრ იქით-აქეთიდან მსხვილი კუთხით, ხუთ-ხუთი ძელი შეაკვრევინა ოსტატებს თორნიკემ. რამდენიმე ჭუჭრუტანა გაუკეთეს თითოეულ მხარეზე ჯებირებს.

– ეს რაღად საჭიროა? – ეკითხებოდნენ დურგლები ერთმანეთს.

– იმად, რომ მათი მეოხებით ავაცუროთ ჯებირნი მაღლა! – უხსნიდა თორნიკე, თან უჩვენებდა ეს როგორ უნდა გაეკეთებინა.

დასავლეთით გადაიწვერა მზე.

– დააჩქარეთ! – ბრძანა სპასალარმა, – თორემ ღამით მოგვიწევს ეს ბრძოლა!

– ისეთი მთვარეა, ღამითაც შეიძლება რკენაო, – უპასუხა ვიღაცამ.

– ძელურნი მზადა გვაქვს, – ცოტაოდენი ხნის შემდგომ განაცხადეს დურგლებმა.

– დროა დავიწყოთო! – თქვა თორნიკემ და ბოლო დარიგება მისცა სარდლებს, – როგორც გადავწყვიტეთ, ყველაზე წინ ქვეითი შუბოსანნი წავლენ, მათ გიგია ასისთავი წარუძღვება... შემდგომ მიყვება დანარჩენი ასეულებიც, ხოლო რაც შეეხება ჯებირთა აზიდვას, ამისთვის ღონიერი კაცნი გვიჭრდება. ვისაც ძალა შეგწევთ, რიგიდან გამოცალკევდით და დავიწყოთ შეტევა.

წინ წამოდგნენ ბრგე ვაჟკაცნი. ორმოცამდე მეომარი ჩაუდგა თითოეულ ჯებირს.

ახმიანდა ბუკი.

ამოძრავდნენ ძელურნი.

ნელ-ნელა მიყვნენ მეომარნი უკან. ორმოცდაათი ნაბიჯიც არ ჰქონდათ გავლილი, რომ გამაყრუებელმა ველურმა ყიჟინამ გაჰკვეთა არე.

– ჰაა, გაცოცხლდნენ! – გაიფიქრა დავითმა, – ძვირად დაუჯდებათ თავის მოკატუნება.

სეტყვად დაექანა ისარნი ზევიდან, ფართაგან ისხლიტებოდა ისარი.

მაინც უწია ზოგიერთმა მიზანს.

პირველ დაჭრილთა კვნესა გაისმა აქა-იქ.

კუს ნაბიჯებით მიიწევდნენ წინ.

ცვიოდა და ცვიოდა ლოდების აურაცხელი გროვა.

ყურდამხშობმა გრიალმა დაფარა მიდამო.

ქვებს მორებიც მოჰყვა. დაქანებული მორები უფრო სახიფათო აღმოჩნდა. მძიმე დარტყმებს ვეღარ გაუძლო პირველმა ჯებირმა და სულერთიანად დაიშალა.

გარდაუვალი დაღუპვის წინაშე აღმოჩნდნენ ჯებირს უკან ამოფარებულნი მეომარნი.

– საფარი მოძებნეთ! – უკიჟინა დავითმა ქვევიდან.

უმწეოდ მყოფნი, სანამ მოიფიქრებდნენ, მათი მიმართულებით უზარმაზარი მორი დაეშვა, დიდი მოცულობის საგორავმა ქვა-ღორღი აიყოლია თან.

– განზე გაიწიეთ, განზე! – ასძახოდნენ დაბლიდან, მაგრამ უკვე გვიანი იყო, მორმა გათიბულ ბალახივით მიწასთან გაასწორა ყველა წინ დამხვდური.

დაიჭრა გიგია ასისთავიც.

მოდიოდა და მოდიოდა უწყვეტ ნაკადად საგორვი, მატულობდა დაჭრილ-დსახიჩრებულთა რიცხვიც.

ეჭვმა გაჰკენწლა უშიშარ თორნიკეს: – ნუთუ ასე სამარცხვინოდ დავმარცხდებით? – გაიფიქრა.

– სპას წარვუძღები სპასალარო! – მიმართა დავითმა თორნიკეს და ვიდრე თანხმობას მიიღებდა, წინ მიმავალთა მისაშველებლად გაექანა.

ჯებირი მიჰქონდათ მეომრებს, ალბათ უვნებლად დარჩენილი ბოლო ჯებირი. სულ ახლოს, ფუძემყარი ლოდი ამოშვერილიყო მიწიდან. ამაზე უკეთეს საყრდენს ვერ ვნახავთო, იაზრა დავითმა.

ცოტა მანძილი რჩებოდა ამის შემდეგ ასავალი ბორცვზე. აქამდე კი, ძელთა შეკვრა დაიცავდა მოიერიშეებს.

შეკრულა ლოდს დაამაგრეს.

იშიშვლა სატევარი დავითმა: – მომყევით, ძმებო! გამარჯვება ან სიკვდილი! – შესძახა.

– დაჰკა მაგათ! – დაიგუგუნა სპამ და გაორმაგებული ძალით შეუტიეს აღმართს. ცვიოდა ღორღი და ნაშალი, გრიალებდა ხევებიდან გამოტყორცნილი ექო.

აღარ ახსოვს როგორ ავიდა ვაკეზე დავითი. პირველ შემხვედრს, შუბი რომ მოუღერა დასარტყმელად, გამეტებით როგორ დაჰკრა მახვილი.

სხვებიც ამოვიდნენ თანდათან. დაჰკა მაგათო! – კვლავ იგრიალეს. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. მრავლდებოდა სპა ქართველთა. მალე შუბოსნებიც გამოჩნდნენ.

შეჯგუფებულ მეომრებში ერთგან დავითმა ადარბადაგანელი, ცნობილი მეომარი, ბაქირ-იგითი შენიშნა. იმ მხარეს გაიწია ბრძოლით, – ეგებ როგორმე შევერკინო და შარშანწინდელი ჯავრი ამოვიყაროო. ძიძისშვილი ვახტანგი დაუსახიჩრა მაშინ ოლთისში. შორიდან დალანდა მათი რკენა. სჯობნიდა ადარბადაგანელი. გაექანა მისაშველებლად, მაგრამ გვიანი აღმოჩნდა – ჭიდილის ადგილზე იმ დროს მივიდა, როცა მკლავ-გადასხეპილი ვახტანგი, პირქვე დამხობილი, მიწაზე ეგდო. მახვილის მოქნევაც არ დასცალდა, სულ სხვა მხარეს გაიტაცა მოვარდნილმა ტალღამ. ამის შემდეგ, ბარე რამდენჯერ აღიმართა პირისპირ მის წინააღმდეგ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში რაღაცნაირად ხელი მოეცარა. ხან თვითონ ბაქირი ერიდებოდა მასთან შეხვედრას, ხანაც სხვა მიზეზი აფერხებდა.

ეგებ ახლა მაინც გადავუხადო სამაგიერო ძმის დაგონჯებისთვისო – იაზრა და გამეტებული სისხარტით ჩაკაფა წინ შემხვედრნი. სწორედ დროზე მიუსწრო, ზურგდაუცველ ჯოჯიკისათვის ის-ის იყო უნდა ჩაეკრა აღმართული შუბი ადარბადაგანელს და ფარი უფარა დავითმა.

განზე გასხლტა მოქნეული შუბი. ოდნავ ელამი თვალები შეაკვესა ბაქირმა, იცნო უფლისწული.

– ააა!... დაუთ-ხან! ძლიერ გებრალვის ეტყობა, ყმათა სიცოცხლე, საკუთარს გაუფრთხილდი ჯობია! – შესძახა არაბულად და შუბი განზე მოისროლა, იშიშვლა სატევარი.

– შენი სიცოცხლე მებრალვის ყველაზე მეტად, ბაქირ-იგით! ჭეშმარიტ რაინდთა წესი არ არის სხვის ეზო-კარში ქურდული პარვა! – არაბულადვე უპასუხა.

შემართა სატევარი დავითმაც. ელვის უსწრაფესად აუკრა მახვილი მტრის მოქნეულ ხმალს. დაასწრო ამჯერად, მისმა სატევარმაც გაიელვა ჰაერში. ამაოდ დაშვრა, ქურციკივით გადახტა უკან ბაქირი. საპასუხო დარტყმა კი იმ მხრიდან მიიღო, საიდანაც არ ელოდა. იღბალი მის მხარეზე აღმოჩნდა. თავდასაცავად ამართულ ფარს უწია დარტყმის ძალამ, რომელიც იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ფარი დადრიკა და მახვილის წვერი ოდნავ შეეხო ბექთარს.

კვლავ აღმართა მახვილი დავითმა, ძალუმად მოუქნია და საწადელსაც მიაღწია, სისხლმა შადრევანივით ითქრიალა ბაქირის მარჯვენა მკლავიდან. დადრკა ადარბადაგანელი, უკნა-უკან დაიწია და თავისივე მეომრებში გაუჩინარდა.

მიმწუხრამდის ტრიალებდა ბრძოლის ქარბუქი. სრულიად ჩაჰხოცეს მომხდურნი ქართველთა სპამ. უვნებლად გაუჩინარდა მხოლოდ მცირე ნაწილი მუხიანებში. ღამის სიბნელემ გადაარჩინა ისინი.

დევნა უსარგებლო იყო.

– სჯობია დაჭრილებსა და მკვდართ მივხედოთ! – ბრძანა თორნიკემ.

მთვარე დაჰნათოდა გვამებითა და სულთმობრძავი ადამიანებით მოფენილ ბრძოლის ველს. კვნესა-გოდება ერთმანეთში არეულ შემაზრზენ ხილვად ესახებოდა მნახველს.

დაჭრილ-დასახიჩრებულებითა და მკვდრებით მოფენილი იყო მინდორი.

ბეგაც მძიმედ დაეჭრათ. მუხის ძირში იპოვა დავითმა სისხლის გუბე იდგა დაჭრილის გარშემო, ძლივსდა სუნთქავდა.

***

– თავდაპირველად კარგად წარიმართა საქმე, – ჰყვებოდა ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილე, – მთელი მანძილი ისე ავიარეთ, თითქმის ვერ შეგვნიშნა მტერმა. სახარბიელოდ დამთავრდებოდა ყველაფერი, რომ არ მომწყდარიყო ერთგან ქვა დაუდევრობით. რამდენიმე მებრძოლიც ჩაიყოლია თან ქვევით ლოდმა. დასცა საგანგებო კიჟინა მტერმა და შემოგვიტიეს.

ფრთხილად მოათავსეს საკაცეზე ასისთავი, ფრთხილადვე გადმოიყვანეს და დაასვენეს კარავში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასინჯა დასტაქარმა ბეგა, რამდენჯერმე მიუბრუნდა ჭრილობას, მრავალმნიშვნელოვანდ აიჩეჩა მხრები.

– იმედი ხომ არ მოიწურეო? – გამომცდელად შეხედა დავითმა ექიმს.

– განგებით იმედი არ მოიწყვიტება, უფლისწულო! ყოვლისშემ-ძლეა უფალი – უპასუხა და დაამშვიდა: – იარა იმდენად საშიში არ არის. ოღონდ მარჯვენა ფილტვია დაზიანებული. ეგ არის, სისხლი ბევრი აქვს დაკარგული!

– იკურნებიან საერთოდ ასეთნი? – კვლავ ჩაეძია.

– რა გითხრა, – ხმადაბლა ჩაილაპარაკა მკურნალმა, – მაღალ ღმერთს მომაკვდავიც შეუძლია წამოაყენოს და სრულიად ჯანმრთელ-საც მოუსწრაფოს სიცოცხლე. მკურნალთ არავითარი მიზეზი არა გვაქვს განვსაჯოთ კაცის სიკვდილ-სიცოცხლე. ჩვენი ვალია აღვასრულოთ მხოლოდ ნება უფლის, თუ ხელოვანება ესე მოწოდებულია ადამიანთა სიჯანსაღისთვის, არ ნიშნავს იმას, რომ ყოვლისშემძლე იყოს...

– საითკენ იხრება მაინც თქვენი ვარაუდქმნა?

– სიჯანსაღისკენ! – მოკლედ გასცა პასუხი დასტაქარმა და მიმართა შეგირდს: – გოგია, აადუღე წყალი და შანთნი ცეცხლში გამოაწრთე!

***

ფუსფუსებდა მკურნალი. განუწყვეტლივ მოჰყავდათ დაჭრილნი კარავში.

სასთუმალთან ფეხმოუცვლელად დაჰყურებდა ავადმყოფს დავითი, ეხმარებოდა მკურნალს.

არ ემეტებოდა სასიკვდლოდ ღირსეული ვაჟკაცი ჭაბუკს. მან ჩამოაყალიბა მეომრად. წარმომავლობით ზარზმელი იყო ბეგა. ზარზმაში გაატარა უფლისწულმა ბავშვობის წლებიც და მას აქედან იცნობდა.

ოდნავ შეარხია თვალთა ქუთუთოები დაჭრილმა, წყალიო, ძლივს გასაგონად ამოილუღლუღა.

ორიოდ ყლუპი მოასვა მკურნალმა. ეტყობა, ეამა სასიცოცხლო სითხე მწოლარეს, კვლავაც მოისურვა.

მეტის დალევინება არ ქნა დასტაქარმა.

– ცოტა კიდევ შეასვი, – შეეხვეწა დავითი.

– არ შეიძლება უფლისწულო, ცუდია მისთვის, ამ ყოფაში კი არ მენანება, – უხსნიდა, თან ჯარასავით ტრიალებდა ეს კაფანდარა კაცი.

კვლავ წაერთვა გონი ავადმყოფს. უყიოდა, ემუქრებოდა, ემუდარებოდა ვიღაცას. ცნობამიხდილი, გაშმაგებული იწევდა ასადგომად საწოლიდან. ძლივს აკავებდნენ უგონოდ მშფოთვარეს.

ასე იბორგა რამდენიმე ხანს. ბოლოს ერთი ამოიგმინა და მიწყნარდა. მისი ყურება ვეღარ აიტანა დავითმა და გუნებაწახდენილი გამოვიდა კარვიდან.

სავსე მთვარის ნათელი მოჰფენოდა გარემოს. ანგარიშმიუცემ-ლად დააბიჯებდა იქეთ-აქეთ. დაჭრილთა დაბინავებაში ეხმარებოდა თანამებრძოლთ.

შუაღამე გადაიწურა, თვალთა მოსატყუებლად ხმელ კორდზე რომ მიწვნენ. შესვენება ბრძანა ერისთავმა, სახვალიოდ გადასდო დანარჩენი საქმენი.

ქანცგაწყვეტილი მიეყარა ნაომარ ველზე ლაშქარი.

– მუცლის გვრემა დამემართა შიმშილისგანო, – იქით სჩიოდა ვიღაც. სევდანარევი ღიმი შემოადგა სპასალარს.

სხვებსაც გადაედო ნაღველმიფარცხული გაღიმება.

– ძალიან შეუწუხებია ვიღაც შიმშილს! – გადაულაპარაკა ჯოჯიკს დავითმა.

– რა გასაკვირია, უფლისწულო! უჭმელ-უსმელი, ამდენი ჯაფის გადამტანს წუხილად თუ უჩანს შიმშილი?!

– კაცი ყოველგვარ გასაჭირს ვაჟკაცურად უნდა აღუდგეს, ჯოჯიკ! მოწუწუნე არ ივარგებს გმირად, ასეთებისგან გმირი არასოდეს არც დამდგარა.

– ყველა გმირი ვერ იქნება უფლისწულო. ისევე როგორც ყველა ყვავილი ვერ მოგცემს ნაყოფს. ცრუყვავილებად მოვლენილან ზოგიერთი წუთისოფელში. ჰყვავიან უმსხმოიაროდ, იფურჩქნებიან, მიდამოს კი სურნელს არ ჰფენენ...

– მაგ სიტყვებმა შოშიტა გამახსენა, პატრონიდან გამოქცეული, მეფესთან სათხოვნელად რომ მოვიდა. მე გადავარჩინე მაშინ, ჩემს რაზმში ჩავრიცხე. თავდაპირველად არ ჰყოფნიდა მეომრის ულუფა, შიმშილს სჩიოდა განუწყვეტლივ. მიეჩვია მერე თანდათან. თუ ნახე, რა კარგად იბრძოდა დღეს?

– უებრო მეომარია, უშიში, ბალღივით ალალი! – შეაქო შოშიტა ჯოჯიკმაც.

ჩუმი, სევდიანი სიმღერა მოიტანა საიდანღაც ნიავმა.

ტურებმა დაიჩხავლეს სულ ახლოს.

ვერაგებს მძორის სუნი უგრძვნიათო, – გაიფიქრა ჯოჯიკმა და დასაფრთხობად შეუკიჟინა ნადირთ.

გამალებული, ყრუ შრიალი გაისა ბუჩქებში.

– ჰე, მართლა, ბეგა როგორ დატოვე უფლისწულო? შენ ბოლომდე იყავი მასთან, – გაიხსენა მეგობარი სარდალმა.

– ცნობამიხდილია ჯერ კიდევ...

– სამიწედ ცოდვაა მაგისთანა ვაჟკაცი! – დანანებით ჩაილაპარაკა სარდალმა, – ეჰეეე, რა შემართება იცის, სალ კლდესავით გაუტეხია. ოლთისში შარშანწინ პირველმა შეარღვია ციხის კარები. მარტოდმარტო სამ საათს იბრძოდა კარიბჭის შიგნით. ჩვენც შიგ რომ შევედით, საკვირველი რამ ვიხილეთ, მკვდართა გროვა ეყარა მის გარშემო, ყელამდე სწვდებოდა მკვდარ-დაჭრილთა გროვა.

– ჩემი საბრძოლო მოძღვარი ეგ არის, ჯოჯიკ, – სევდა გაუკრთა უფლისწულს ხმაში, – უსახელოდ მიდის ბევრი ჭეშმარიტი მამულიშვილი ამა სოფლიდან. შესანდონი არიან ასეთნი ყველაზე მეტად, ღირსეულ სიცოცხლეს სიკვდილიც ღირსეული უნდა ხვდეს წილად!

სპასალარი მოიკითხეს ვიღაცებმა, იქით არისო, მიასწავლეს.

ბედაურთა საყარაულოდ დარჩენილი სპანი აღმოჩნდნენ.

წარსდგენ თორნიკესთან, მოახსენეს: – ფანასკერტელი გაგვეპარაო.

– როგორ თუ გაგეპარათ? – გაოცდა ერისთავი.

– ბინდით ისარგებლა, სპაც გაიყოლია თავისი! – ამცნო კვლავ იმავე ხმამ.

– ხომ გაგაფრთხილეთ, დააყურადეთ-მეთქი?

– მორიგედ ვიდექით, სპასალარო, ბანაკში როცა დავბრუნდით, არავინ არ იყო.

– მოყურადე კაცი რა იქნა? არ მიუჩინეთ არავინ სამეთვალყუ-როდ? – არ ცხრებოდა თორნიკე. თანაც ძალუმად მოსდიოდა ბრაზი ამგვარ დაუდევრობაზე. – მეც მიმიძღვის ბრალი ამაში, – ამტყუნებდა თავისთავს.

– სამეთვალყუროდ კაცი გვყავდა დატოვებული, – ამცნეს, - გაბაწრული ღრანტეში ჩაეგდოთ ფანასკერტელის ხალხს.

– რას უნდა ნიშნავდეს ეს უეცარი გაუჩინარება?! – თავისთვის ვარაუდობდა თორნიკე, – თუკი გაპარვა უნდოდა, რაზედ მოდიოდა მაშინ, შეეძლო მის ბუნაგში დარჩენილიყო და უნებლიე ღალატსაც

ადარ გაამხელდა. ალბათ შეიტყო რამე... ამბის მცნობელია ღამით მოსული, – დაასკვნა.

– მწუხრისას ხომ არავინ ხლებია ფანასკერტელს? – შეეკითხა მაცნეთ.

– ვერაფერს მოგახსენებთ, – უპასუხა ერთ-ერთმა, – მისი სპიდან ერთი ყმაწვილი მობრუნდა უკან, შესაძლოა, მან იცოდეს გაპარვის მიზეზი.

– აქ არის ახლა ის ყმაწვილი?

– თან გამოგვყვა სპასალარო!

– აბა, მაჩვენეთ!

წინ წამოდგა ფანასკერტელის ყმა.

– რა გვარის ხარ? – ჰკითხა ჯერ კიდევ ბუსუსაუშლელ ახალგაზრდას თორნიკემ.

– აზნაური აბზიანიძე გახლავარ, სპასალარო! გუჯი მქვია სახელად! – უპასუხა მორიდებით ჯეელმა.

– ბატონის უნებართვოდ უკან რაზე მობრუნდი, შური რომ იძიოს შენს ოჯახზე, არ გეშინია? – გამომცდელად ჩააცქერდა ბავშვისებრ მოცქრიალე თვალებში ერისთავი.

– ამისთვის მზადაა ჩემი სახლი! – თამამად უპასუხა გუჯიმ. – ვიცი, მრუდე გზას ადგას პატრონი. არ ეღალატების მამულს სპასალარო, ასე მაქვს გაგონილი მამაჩემიდან.

– მამაშენი ვინღაა?

– აბზიანიძე მანუჩარ!

გაოცდა თორნიკე. ასე როგორ წამოიჩიტა გუშინდელი პატარა ბიჭი, ვეღარც კი ვიცანიო. მართალია, ორი წელია აღარ აღწეულა მოუცლელობით ფანასკერტში, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში თუ ასე შეიცვლებოდა საყვარელი მეგობრის ერთადერთი ძე, ვერ წარმოედგინა. მოწიფულ ყრმას დამსგავსებია, მშობლის დუღაბგამოყოლილი, მისებრი ვაჟკაცი დამდგარა... ეჰ, მირბის დრო!... როგორ უყვარდა თორნიკეს მანუჩარის გვერდით ბრძოლა. მოხუცდა მანუჩარი... გვერდზე გადასდო სატევარი. ცოტა ხანში მასაც მოუწევს სატევრის დათმობა. რას იზამ, დრო შენდა უნებურად მიგიჩნევს ადგილს წუთისოფელში.

– მე ვერ მცნობ? – ღიმი დაეფინა სახეზე თორნიკეს.

– ჩვენი ოჯახის კეთილმოსურნის უცნობლობა საით გაგონილა, სპასალარო? – უთხრა და კალთაზე ემთხვია ჭაბუკი ერისთავს.

ზეზე წამოაყენა ყმაწვილი თორნიკემ. მამაკაცისებრ, ტლანქად მიუალერსა, ჰკითხა, – მითხარი, უკან რად გაბრუნდა შენი პატრონი?

– უკან გაბრუნების მიზეზს ვერ მოგახსენებთ. ამას კი ყური მოვკარი, შანშე ერისთავი ბაგრატ უფლისწულს შეუპყრია თორთომშიო! – არცთუ უმნიშვნელო ცნობა ხილულყო გუჯიმ.

იქაური ამბავი მოუტანიათ! გაიძვერას მსტოვრებით ჰყავს გარემოსილი ქვეყნიერება. კარგადაც ვქენი, ბრძოლაში თან რომ არ ვიახლე. ვინ იცის, რას ჩაიდენდაო, – დაასკვნა.

– ბედაურნი ხომ არ გაუტაცნიათ? – მაცნეთ შეეკითხა.

– არაო, უპასუხეს.

ნახევარი საათიც ვერ მოატყუეს თვალნი, სჯა-ბაასში შემოათენდათ.

დახოცილთა დასაფლავებას შეუდგნენ.

მტრის გვამებით მოფენილიყო მინდორი. ბევრი ქართველი შეეწირა ამ ბრძოლას. ათასხუთსი რჩეული მეომრიდან შვიდასს ეძინა საღათას ძილით.

სევდა დაუფლებოდა ცისკრის ნათელით აელვარებულ ველს. ერთ საერთო ორმოში დაასაფლავეს ყველა მიცვალებული.

დაღუპულთა სულის მოსახსენიებლად ამ ადგილზე საკურთხეველს ავაშენებო, – გულში გადაწყვიტა დავითმა.

შუადღისას ჩავიდნენ ოშკში. სოფლის ეკლესიის შენობაში მოათავსეს დაჭრილნი.

ბაგრატიდან გამოგზავნილი ამბის მომტანი ეახლა სპასალარს. ძლევამოსილი გამარჯვება ამცნო: ერთიანად გავანადგურეთ მტერიო, მოახსენა.

შანშეთი დაინტერესდა დავითი.

აცნობეს: მოღალატე აღმოჩნდა შანშე. მთიელებს მიმხრობილი, ვერაგულად დაგვესხა თავს ვიწრო ხევში. ჯერ კიდევ ადრე, მანამ ციხესთან მივიდოდით, იქ ერთიანი ძალით, გამედიდურებული იკვეხნიდა თურმე, ბაგრატის სპას ერთიანად შევმუსრავ და მას თვითონ მონად წავიყვან ადარბადაგანში ამირას საჩუქრადო.

– მძიმედ ხომ არაა დაჭრილი ბაგრატი?

– არა! – უპასუხეს, – იარა საშიში არ არის! შანშესთან ხელდახელი ბრძოლის დროს მოუვიდა... არ სტკივა ჭრილობა, თუმცა, ხელი ოდნავ შესიებული აქვსო.

– მარჯვენაზე აქვს ჭრილობა?

– მარცხენაზე. ოთაბრძოლაში დაცემული შანშე... უფლისწულმა იფიქრა, დამნებდებაო და სიფრხილე მოადუნა. ისარგებლა მოღალატემ ამით, სტყორცნა შუბი და დასჭრა უცაბედად.

– თორთომში დარჩა, თუ მოდის ბაგრატი?

– თქვენს შესახვედრად ჩამოვიდა, აქ იქნებიან საღამოს!

– არ სჯობდა მათთვის დაგვეცადა, სპასალარო? – თორნიკეს მიმართა დავითმა.

– ბრძანება უკვე გავეცი დარჩენისა. მომქანცველ მგზავრობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს რამდენიმე დღეა, ხეირიანად არც დავნაყრებულვართ. ჰოდა, ამიტომ გადავწყვიტე ამაღამ აქ დაგვესვენა.

საყდრის გარშემო დაბინავდა ლაშქარი.

ულოცავდნენ მოსახლენი გამარჯვებას. სასმელ-საჭმელი ამოჰქონდათ მათთვის.

შებინდებისას მოვიდა ბაგრატი. ხელდამძიმებული მიესალმა შემხვედრთ.

დაუფარავი სიყვარულით მიუახლოვდა დავითი ძმას. აღტკინებით შემოაჭდო მარჯვენა მხარზე. გაუხარდა მისი სიმრთელე. ხელი ხომ არ გაწუხებს? – ჰკითხა.

– არც-თუ დიდად! – უპასუხა ბაგრატმა, – ცოტაზე შემისივდა და ეგაა... სპის მკურნალი მოგვიკლეს მტარვლებმა.

– არა უშავს! – დააიმედა დავითმა, – აქ სამცხელი მკურნალი შიოში გვყავს და ის გიმკურნალებს.

იუარა ბაგრატმა, – დაღლილი ვარ, მოსვენება მირჩევნია ყველაფერს, ხვალისთვის გადავდოთ. გაწვრთნილი სხეული მგონი ამ ღამესაც გადაიტანს.

ოდნავ დაბალი იყო უფროს ძმაზე ბაგრატი. დავითისებრ მხარფართო და ძალოვანი სჩანდა. სახით კი ტყუპისცალივით ჰგავდა – მისებრ სხივიანი თვალებითა და წარბთა შვილდებით.

მამასახლისი გრიგოლი მოვიდა.

– აქვე ახლოსაა თქვენთვის გაწყობილი ბინა. წამობრძანდით მოისვენეთო – შესთავაზა.

– მიჰყე, ბაგრატ! – სთხოვა დავითმა.

– შენ არ წამოხვალ?

– არა!

– რატომ? არც შენ გაწყენდა ხეირიანი დასვენება.

– ჩემი სპის გვერდით მივგორდები კორდზე, ერთად ნაომართ მოსვენებაც ერთი რიგისა უნდა გვქონდეს.

– თქვენ უფლისწული ბრძანდებით, ისინი კი უბრალო მოკვდავნი, იმათთვის თავის გატოლება რა თქვენი საკადრისია, თქვენ პატრონი ხართ, ისინი მსახურნი! – ჩაერია მამასახლისი.

– უფლის მსახურნი ვართ ყველანი, გრიგოლ და სიკვდილი მეფეთათვისაც გარდაუვალია. ერთ ხვედრს გაიზიარებს იმქვეყნად

ყმაცა და მეფეცა. ასე რომ, ვერ ვხედავ განსაკუთრებულ სხვაობას ჩვენს შორის. ღმერთსაც არ მოუცია სხვადასხვაობის რაიმე საბაბი. განდიდებით გაზულუქებულნი თვითონვე ვქმნით ყოველგვარ უხეირობას... ბაგრატი გამოგყვება... სათუთი მოპყრობა სჭირდება ნაჭრილობევს, – დასძინა.

უარი თქვა ბაგრატმაც წასვლაზე.

– ნება თქვენია, – უთხრა მამასახლისმა და გაშორდა უფლისწულთ.

ამასობაში მოვიდა თორნიკე, ამღამინდელი რიგი უკვე დაედგინა ლაშქარში.

კარავში შევიდნენ ყველანი. ფიცრის ჯორკოებზე ჩამოსხდნენ.

– ახლა მოვიცალე ყოველგვარი ჯაფისგან, უფლისწულო და ნება მაქვს გამოგკითხო წვრილად შენი გმირობის ამბავი! – ბაგრატს მიმართა თორნიკემ.

– ჩემი გმირობა თქვენთან რას შეედრება, ერთიანად შეგიმუსრიათ მტერი, სპასალარო!

– შევმუსრეთ, თუმცა ჩვენც ვნახეთ საკმაო ზარალი. ათასხუთასი მეომრიდან რვაასამდე შემორჩა უვნებელი!

– ზარალი ჩვენთანაც ბევრია!

– რას იზამ, ომია! – სინანულით დასძინა ერისთავმა.

– შანშე შეიპყროო, ასე გვაუწყეს, ბაგრატ. სადა გყავს ტყვე? – საუბარში ჩაერია დავითი.

– სოფლის საპყრობილეში ჩავყარეთ ტყვეები. შანშეც იქ არის. ეს ხელის დაგონჯებაც მისგან მომდის! – მარცხენაზე მიუთითა ბაგრატმა.

– მოგეკლა ბარემ მოღალატე! დიახაც ღირსი იყო! – დაასკვნა თორნიკემ.

– დაე, მართლმსაჯულებამ მიუზღას საკადრისი. მე კი სინდისის წინაშე წრფელი ვიქნები. ვეღარ დამძრახავს ვერავინ ავის ქმნისთვის. ვფიქრობ, მამამისის უნებართვოდ ჩაიდინა დანაშაული. საერისთავოს გამგებელია და რაც არ უნდა იყოს, ისეთი რამ არ უნდა მოიმოქმედო, არ მიგესვლებოდეს სტუმრად შემდგომში მასთან.

„სტუმრად არ მიგესვლებოდესო“, დაფარულად ვერ-თქმა ამოიკითხა დავითმა ამ სიტყვებში. მოყვარედ არ მიგესვლებოდესო, უფრო ჰგავდა ამგვარ ნათქვამს. მისთვის ხილული იყო, გაუმჟღავნებლად ეტრფოდა ბაგრატი ფანასკერტელის ასულს ნაზიას. ურჩევდა, ამოეღო გულიდან მისადმი ყოველგვარი გრძნობა. მამის ფარული მტერია მამამისი და არაფერ სახეიროს არ მოგვცემს მასთან

დამოყვრებაო. ამაზედ უფრო ხელდებოდა ბაგრატი, მამის ღალატზე შვილს რა პასუხი მოეთხოვებაო.

უნდოდა ეთქვა ფანასკერტელის გაპარვის ამბავი დავითს, ძმა შეეცოდა, ამის თქმაღა მოახერხა:

– დასჯას ყოველთვის მოესწრება ადამიანი! ვერ გაექცევა ამა სოფლის განსასჯელს მრუდი და თუკი ასცდა, იმ ქვეყნიურს სადღა წაუვა? უპირველესი მცდელობაა საკეთილო საქმეზე შემოაბრუნო. აი, მოწოდება ღმერთისაც და კაცისაც ერთად!

– ძნელი სურვილია, უფრო სწორედ ოცნებას ჰგავს ზეციურ ვარსკვლავად გამონათებულს. რამეთუ, ძეწნის ფესვზე ძეწნა იხარებს! – მტკიცედ დაასაბუთა თორნიკემ.

– ყოველთვის აგრე არ არის, სპასალარო! – თორნიკეს აზრი უარყო დავითმა, – უმგვან წინაპარს რამდენს შესწრებია ღირსეული შთამომავლი და რაოდენ ბუმბერაზს ზოგჯერ თვალთუხილავი ჯოჯო გაუზრდია.

– ასეთი ერთეული შემთხვევაა, უფლისწულო! ბაბუას სხეულში მჩქროლავი სისხლი იმავ მდინარებით გამოკვებავს შთამომავლის აზრსა და საქმეს.

– არავინ იცის ვისი ბაბუა ან შვილიშვილი სად და როდის გამორჩეულა. თანაბრად გვაქვს მომადლებული ბოროტება და სიკეთე, სპასალარო, ერთში თუ ცუდი ზნე იბუდებს, მეორე – წმინდანად გვევლინება. ძმები ტყუპისცალები, საოცრად მიმსგავსებულნი ნაკვთით, სულ სხვადასხვგვარ ხასიათს ამჟღავნებენ. ჯაჭვით დაბორკილ ყოვლად უუფლებო მონაშიც ისეთივე გული ძგერს, როგორც ძლევამოსილ ხელმწიფეში.

იოანე და ჯოჯიკი შემოვიდნენ კარავში. მამასახლისი შემოჰყვა ორიოდე მსახურით.

სანოვაგე ამოალაგეს ფიცრულ ტაბლაზე მხლებლებმა. საკმაო ზომის ტიკჭორა შემოსდგეს. სანაქებო სტუმართათვის შემონახული ღვინოაო, მოტანილი შეუქო სტუმრებს.

უხმოდ მიუსხდნენ სუფრას იქ მყოფნი. ცოტა რომ შენაყრდნენ, ღვინით სავსე ფიალები ჩამოარიგეს მხლებლებმა.

– ჩვენი გამარჯვებისა ყოფილიყოს! – გადაჰკრა თორნიკემ სასმისი.

– იმ გამარჯვებისა დავლიოთ, რომელიც მარცხის შემდგომი ამომვალი მზის ნათელივით გაანათებს კაცის სულს. ახალაკოკრილ ვარდივით გაფურჩქნის გონებას შემაწუხებელი აზრებისგან და ვაჟკაცის არსში მძიმე ლოდივით ჩარჩენილ ბოღმას შვებად

გარდასახავს! – ბებერ ლომივით დაიბუხუნა მრავალნაცადმა იოანე სარდალმა.

– ამინ!

ყველამ დაცალა ფიალა.

კვლავ შეივსო სასმისნი.

– დაღუპულ მოყმეთა შესანდობარი დავლიოთ ძმებო! – ფიალა აიტაცა ჯოჯიკმა, – და მადლობა აღვუვლინოთ განგებას, რამეთუ ჩვენა ვართ მათი პირველი დამტირებელნი! ორივ თანაბრად მეფობს ჩვენთან დღეს: სამძიმლიც და სიხარულიცა. ვწუხვართ, დავკარგეთ კეთილშობლნი შვილნი ქვეყნისა და ვზეიმობთ, მივეცით ქედუდრეკელი მომავალი შთამომავლობას. ღირსეულ ვაჟკაცთა ხვედრია ომში სიკვდილი, ჯაბანთ არ ღირსებიათ არასოდეს ამგვარი, ძმებო! მამულისათვის დაცემული ყველა გმირია, განურჩევლად დიდი და მცირე საქმის ჩამდენისა. რადგან ადამიანებს ერთხელ ეძლევა სიცოცხლე წუთისოფელში და ის ყველასათვის თანაბრად სანუკვარია, წოდებრივი და გვაროვნული წარმომავლობის მიუხედავად.

დაე, ამიერიდან ნათელი ეფინოს იმ მარჯვენას, რომელიც წმინდათაწმინდა მოვალეობის აღსრულებისას აქ, ჩვენს მხარდამხარ, მარადიულობის სასუფეველით დადუმებულა. დადუმებულა მისთვის, რომ ათასწლეული წლების შემდგომაც გაიხაროს ჩვენი ჯიშის უკვდავმა ყლორტმა, ამინ!

– ამინ! – ერთხმად შესძახეს.

რამოდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ, წამოდგა დავითი.

– ნება მიბოძეთ, მცირე რამ მეცა ვთქვა.

თქვი უფლისწულოო, შესთავაზეს.

– იმ ქართველს გაუმარჯოს, – ხმამაღლა დაიწყო მან, – რომელსაც წმინდად შეუნახავს მამულისადმი სამსახური. თავისი ერის ერთიანობის ქადაგად აღვსილი დგას მხარმოუცვლელი და საიმედო მომავლისათვის ზვარაკად მიაქვს საკუთარი სიცოცხლე, თუკი სამშობლო ამას მოითხოვს.

ყოველმხრივ მომხდურმა ულმობლად დასხიპა ერთიანი ჩვენი სხეული, ნაწილ-ნაწილ დაშალა, თუმცა ვერ შეძლო მთავარი – სულერთიანად გადაესანსლა.

ცალ-ცალკე უღლის წევამ დაგვაჩიავა, ჩაკლა მისწრაფება სრული დამოუკიდებლობისა ჩვენში. შევხარით ბიზანტიელთა თუ არაბთა წყალობებს, საკუთარი კი დაგვიწყებია. სხვისი მფარველობის ქვეშ ვერ გაიფურჩქნება ერი. ქარბუქში ნაპოვნი მარცვალი ურჩევნია

ბეღურას, გალიაში მზამზარეულად შეთავაზებულს... ძლიერება ერთიან სულისდგმას მოაქვს. მჯერა, დადგება ჟამი კახთა, ჰერთა, აფხაზთა და სხვა ქართული მოდგმის ტომთა დამუნჯებული მახვილი ერთ დიდ სატევრად აღიმართება მტერთა წინაშე. განახლებული ძალისხმევის უშრეტი ყოფით, კვლავაც დალახვრავს მათ. გწამდეთ, ძირში გადასხეპილი ძელქვა, მრავალ ამონაზარდს აიყრის შემდგომი არსებობისათვის! ასე უნებებია განგებას და ჩვენც იმით ვისულდგმულოთ, მანამ არ აღიზრდება მოყმე, რომელიც ითავებს ამას! იმ მომავალი გმირისა ყოფილიყოს, ამინ!

– ამინ! – მწყობრად დაიგუგუნეს თანამესუფრეებმა.

თანდათან შევიდნენ სმის ეშხში.

სუფრას ვტოვებო, მოუბოდიშა დავითმა და კარვიდან გავიდა.

მთვარის ნათელში ელვარებდა ბანაკი. პურობდნენ ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი მეომარნი. ხმამაღალი სიმღერისა და საკრავთა ხმა ისმოდა. მხიარული ტაშ-ფანდურა გაეჩაღებინათ. იქითკენ გაუწია გულმა.

ახალშეღერებული გოგონები ამოსულიყვნენ სოფლიდან. დოლს გამეტებით სცემდა მედოლე. მღეროდნენ ლხინში შესული ახალგაზრდები. ნელი ბუბუნით მიიწევდა ხევში სიმღერის ხმა. გიზგიზებდნენ კოცონნი გარშემო და დღესავით გაენათებინა ცეცხლს იქაურობა.

აგერ, მოხდენილმა ჭაბუკმა საცეკვაოდ გაიწვია ახლადშეღერებული, წითელქათიბა, ლამაზი ქალწული. როკვით შემოიარეს წრე.

ხმიანებს დოლი და ექო ეფინება გარემოს.

ყმაწვილს გზა გადაუღობა მეორემ, მსუბუქად გაშალა მკლავნი, ჩაბუქნა.

წყვილს წყვილი სცვლის.

თოვლის ფანტელივით არეულ სიცილ-კისკისში, წრეში მარტოდ დარჩენილა გოგონა. შველივით მიქრის წინ. ხანაც უკან იხევს, ალმური დასდებია მწყაზარ სახეზე და კუნაპეტი შავი თვალები უელავს შეუცნობლად. წრეში გადმოხტა ვაჟი. წამის უსწრაფესად გაჩნდა გოგონასთან, უნებლიეთ, იქნებ ნებითი კადნიერებითაც, ხელი მოუთათუნა გოგოს დუნდულზე.

შერცხვენილი ქალწული შურდულივით გავარდა წრიდან. სულ ახლოს ჩაიქროლა დავითთან და სოფლისაკენ დაეშვა. ჩუმი სლუკუნი ჩაესმა დავითს ქალწულის ბაგეებიდან, ეტყობოდა, რაღაც უმსგავსობა ჩაედინა მოცეკვავე „გმირს“.

ჰი-ჰი-ჰი – ჩუმად ჩაიცინეს ზოგიერთებმა.

ნელ-ნელა გაიკრიფნენ სხვა გოგონებიც.

კვლავ ბუხუნებს დოლი. უშნოდ დაალაჯებს წრეში მოცეკვავე.

– შეწყვიტე დაკვრა! – დასძახა ვიღაცამ მედოლეს.

წრეში შემოვიდა ბრაზისგან წარბებმოქუფრული ვაჟკაცი.

– შეწყვიტე-მეთქი! შენ გეუბნებიან! – გაუმეორა კვლავ ხმამაღლა. სახე ჯიქურად მიაბრუნა მოწინააღმდეგისკენ. ეცნო უფლისწულს ვაჟკაცი, გულბაათი იყო, იმღამინდელი მობაასე.

მედიდურად შეჩერდა მოცეკვავე, დოინჯშემოყრილი შემოხედა გულბაათს.

– რაო, ეს რაღას ნიშნავს? – ცალყბად ჩაიცინა, – იქნებ გვიბრძანოთ მოუსვი აქედანო, ბარემ!

– აგრეც რომ იყოს, შენი ხსნა იქნებოდა ეგ მაშინ! – დაურიდებლად მიახალა გულბაათმა და უფრო ახლოს მიიწია.

– ხმალიო! – ხაფით გასძახა მოცეკვავემ.

მიაწოდეს მახვილი და ის იყო, უნდა შერკინებოდნენ მოყმენი ერთმანეთს, რომ დავითმა გაარღვია წრე. მსწრაფლ აღმოჩნდა მათთან. იცნეს უფლისწული მოყურადეებმა, უკან დაიხიეს.

მარკენლების შუაში ჩადგა დავითი, მარჯვენა აღმართა, თქვა:

– პატიებას ვითხოვ წესთა დარღვეისათვის, მოყმენო! არ შედგება თქვენი ბრძოლა ამჯერად. დამნაშავეს სამართალი სჯის და არა სატევარი, მეომრის უღირსი საქციელისთვის დაისჯება ყველა, განურჩევლად წოდებისა და გვარიშვილობისა. ასისთავო! – დაუძახა იქვე მდგომ გიორგი ასისთავს, – იარაღი აჰყარეთ და ჩასვით საპრყობილეში! – უცნობზე მიუთითა – ვიდრე განვსჯიდეთ მის ქმედებას!

ორიოდე მოყმით მიეჭრა გიორგი ასისთავი დამნაშავეს, სწრაფად აჰყარეს იარაღი და ეკლესიის შენობისაკენ წაიმძღვარეს.

გუნებაწახდენილი გაემართა კარვისკენ დავითი.

ნაჩქარევი ფეხის ხმა მოესმა უკნიდან. შემობრუნდა. მისკენ მოიწევდა გულბაათი. ახლოს მოსულმა დაუჩოქა, ემთხვია კალთაზე დავითს.

– მაპატიე უფლისწულო, იმღამინდელი თავხედობისთვის! – შესთხოვა, – ვეღარ გიცანი, პირსაბური გფარავდა და უღირსი რამ კი შეგკადრე.

გაეღიმა დავითს გულბაათის სიტყვაზე. ზეზე წამოაყენა ჭაბუკი. მისდამი მოწონებით გამსჭვალულმა, მეგობრულად მოხვია ხელი, – არა-რა გაქვს საპატიებელი, გულბაათ! პირიქით, ღირსიც ხარ ქებისა ვაჟკაცური ქველობისათვის. სიმართლეს პირდაპირობით უნდა დაუდგე

კაცმა. მიხვევ-მოხვევით მდგომელი, ცბიერია ყველა. ენა რბილია, ვაჟკაცისა კი ფოლადის, რვალზეც უმაგრესია. ამიტომაც არ სჩვევია ვაჟკაცს მისი წარამარა ტარტარი, – უთხრა და ღამე ნებისა უსურვა.

***

დილით, ჯერ კიდევ სრულად არ დაებერტყა მნათობს სხივები მთების კენწეროებზე, რომ დავითს ბიზანტიელ სტუმართა საზეიმო დახვედრის თადარიგი დაეჭირა. არტანუჯის წყლის კალმახითა და ორთახევის სამეფო ნაკრძალიდან ახლადაქნილი შვლისა და ირმის ხორცით გაავსო სამზარეულო.

დღესასწაულის დარი გართობა-თამაშობანიც ჰქონდა გათვალისწინებული უფლისწულს. სანადიმოდ მოიწვია ცნობილი მუსიკოს-მეხოტბენი, ღირსეული მოყმენი, რომელთა გარეშეც ჩვეულებისამებრ არ წარიმართებოდა არც ერთი ღირსსახსოვარი პურობა თუ ლხინი სასახლეში.

ფაცი-ფუცით დარბოდა იქეთ-აქეთ, ძიძიშვილი ათანასე ადრიან ჩამოსულიყო სოფლიდან. დაუღალავად დაჰყვებოდა ბატონიშვილს, სტუმართა მიღება-დაბინავებაში ეხმარებოდა. დიახაც, ბევრი იყვნენ მიწვეულნი: შავშეთ-ერუშეთ-აჭარა-სამცხედან დაწყებული, თითქმის ყველა წარმოჩენილ დიდებულებთან აფრინა მალემსრბოლი მეფემ. წინა დღეებში ჩამოსულიყვნენ ახლო-მახლოს მცხოვრებნი.

არ ჩანდნენ შორეთიდან ჯერ სტუმრები. წამი-წამზე ელოდნენ მათ გამოჩენას. განსაკუთრებული ღელვით ელოდა დავითი სტუმრებს აჭარიდან. ძლიერ მოხიბლული იყო ის ლომფერის მადლიანი სიცილით, აღნაგობითა და ქცევით. უნაკლო ვაჟკაცს, ბუნებით ბავშვური აღტკინება ჩაბუდებოდა სულში. გარდა ამისა, დავითის გულს სხვა მიზეზიც უფორიაქებდა. იმედი ჰქონდა, ჩამოვიდოდა ისიც... მალი-მალ გასცქეროდა აჭარისკენ მიმავალ მთათა ფერდობზე მრუმე გრაგნილად ატყორცნილ შარას.

შარშან გაიცნო ლომფერის პატარა დაიკო უფლისწულმა. პირველივე შეხვედრით, იმდენად მოხიბლა სულით ხორცამდის ქალწულის უნაკლოებამ, რომ გაოგნებულმა გულის წადილი ვერ გაუმხილა. ამაოდ დაშვრა, მრავალჯერ ჩამოაყალიბა სათქმელი, გადაწყვიტა ვეტყვიო, მაგრამ პირზე მომდგარ სიტყვას, უხილავი ძალით შებორკილს, დუმილის კლიტე ედვა. ეს არ იყო გაუბედაობა. არცთუ სიმორცხვე, არამედ სულ სხვა რამ, ჯერეთ აუხსნელი. სხვა ასულნიც მოსწონებია ჭაბუკს, მაგრამ ამგვარი რამ ჯერ არ განუცდია და ახლა, ათასგვარი ფიქრებით გარემოსილი, ელოდა

სულში აკიაფებული მზის გამოჩენას. ელოდა იმ თავდავიწყებით, რასაც საკუთარ არსში პირველ აღქმული უცნობი ხილვა იწვევს ხოლმე.

ზარზმაში ეზიარა ყრმობას დავითი. ერთი წლის იყო, როცა მეორე შვილი შეეძინა დედოფალს. ახალშობილს სახელოვანი პაპის, ბაგრატის სახელი დაანათლეს. გაბმით მტირალმა ჩვილმა, დიდ სიხარულთან ერთად, დიდი საფიქრალიც მოიტანა. გაუჭირდა დედოფალს ორი ძუძუთა ყრმის მოვლა. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს, ძიძასთან მიებარებინათ დავითი. ურჩიეს მეფეს, რომელიმე შეძლებული აზნაურისთვის მიენდო მემკვიდრის აღზრდა. უარი თქვა მან ამაზე, უფლისწული, ქვეყნის მომავალი საჭეთმპყრობელი, რაც უფრო დუხჭირად გაატარებს თავისი ყოფის საწყის ნაწილს, მით უფრო მეტად ჩაუკვირდება არმქონე ყმათა ტკივილებსო, იტყოდა ხშირად.

ფუფუნებაში გაზრდილი ყმაწვილი ვერ ივარგებს კაცად და მსახურად თავისი ერის – მალი-მალ გაიხსენებდა ამ შეგონებას მეფე.

ზარზმაში, არც თუ დიდი შეძლების, დედით ნათესავ, მცირე აზნაურ კაციტა ჯიმარჯაიძის ოჯახში გაიზარდა დავითი. სარჩოს ნაკლულობა ბევრჯერ განუცდია ყმაწვილს. გვალვიან წლებში, მონისებრ შრომას ეწეოდა მთელი ოჯახი. კაციტას შვილებთან – გიორგის, ვახტანგის, ათანასესთან ერთად, ჭაპანწყვეტით ეზიდებოდა ქვასა და დუღაბს ხარაჩოებზე დავითი. ძმებს ხანდახან მათი უმცროსი და, ხატულიც წაეშველებოდა ხოლმე.

ერთი ასაკის დავითი და ათანასე, საოცრად მსგავსნი ხასიათით და აღნაგობითაც, ისე შეეთავსნენ ერთმანეთს, რომ გარეშე პირი ვერაფრით დაადგენდა, ესოდენ წოდებრივ განსხვავებას მათ შორის. ყველა გასაჭირსა და ლხინში, ხვაშიადს მხოლოდ ათანასეს უმხელდა დაუფარავად დავითი. უპირველეს მეგობრად ედგა უფლისწულს მისი ძიძიშვილი.

კიდევ ერთხელ აფორიაქებული ნაბიჯებით ჩამოიარა სასახლის ხვეული კიბე დავითმა. კიდევ ერთხელ გახედა მინავლულ სევდით, ძაფისებრ აგრაგნილ შარას და იმედგადაწურული მიუბრუნდა გვერდით მყოფ ათანასეს:

– რომ იცოდე, რა გაუნელებელი ღელვა მაქვს გულში ჩაბუდებული, ათა! ალბათ მითანაგრძნობდი კიდეც. სულში მძიმე ლოდივით დამწოლია თითქოს რაღაც უხილავი და სულ ერთიანად მთანგავს

– ასეთი რა არის ნეტავ, დავით? – ირონია შეპარული ღიმილით გაეპასუხა ათანასე, – განა წინათაც არ გვყოლია ბიზანტიელი სტუმრები? არ დავხვედრივართ მათ ისე, როგორც ჭეშმარიტ მასპინძელს შეეფერება? მერწმუნე, ამჯერადაც ასე იქნება. მაგრამ მგონია, სხვა რამე იმალება მაგ ჩუმ ნაღველში. შევიტყვე, გალუსტინე სტრატეგოსს თან ჩამოჰყოლია ბიზანტიონიდან მომხიბლავი ასული მისი, ევდოკია. ბევრი ღირსეული ვაჟკაცი მოუხიბლავს მის მშვენებას. შენც ხომ არ მოხვედრილხარ მის ჯადოსნურ კლანჭებში, დავით? ამბობენ, მეტად თავშეკავებული და ზრდილიაო. თვით ბაღდადის მფლობელმა რა არ იღონა თურმე, ჰარემის საკუთრებად ექცია, მაგრამ ამაოდ დაურჩა ყოველგვარი ცდა.

ნაცნობებთან თავშეკავებული, ზედმეტად ფრთხილი ქალწული, სიყვარულშიც არ აჯილდოვებს თაყვანისმცემლებს და ამგვარი ქცევით, ტრფობის ალს ორმაგად აღვივებს, რაც ზოგჯერ გონთუჭვრეტელ სიგიჟემდე გადაიზრდება.

– კი მარა, ამდენი საიდან გაიგე ათა? – ღიმი შეადგა სახეზე დავითს, – ბიზანტიელ ქალწულთა კერძო ყოფაში დაუკითხავად მჭვრეტელი, საკუთარ პირად ღირსებას ხომ არ იმცირებ ამით? ხომ იცი, ჭორი დედაკაცის ჩვევა – ვაჟკაცთა სამარცხვინოდ ითვლება?

– ზოგიერთი ჭორის სათავე ჭეშმარიტებიდან მოდის, დავით!

– მე კი მგონია, უკუსახეა ის ჭეშმარიტებისა.

– არა, – იუარა ათანასემ, – ვერ დაგეთანხმები, თუნდაც იმიტომ, რომ ჭორი ბოროტების გამოხატულებაა. მაგრამ, ყოველთვის არ არის აგრე. ჩაუკვირდი მისი წარმოშობის არსს და მჯერა, თვითონვე დამიდასტურებ.

– წარმოშობის არსს? – შეუცნობლად გაიმეორა დავითმა.

– ასე ვთქვათ.

– წარმოშობის არსს? – იმავ კილოთი წარმოთქვა კვლავ, – ჰმ, რა საჭიროა მასში გულმოდგინე ხელის ფათური? ხომ ვიცით ყველამ, რომ ბოროტებიდან იწყება...

– მარტო ბოროტებიდან არ შექმნილა ყველა ჭორი, დავით, – არ დათმო მაინც ათანასემ.

– სხვა რას მივაწეროთ, აბა?

– ბევრს...

– მაინც?

– თუნდაც ქვეყანაში დაფუძნებულ ტირანიას...

– როგორ, საიდან? – ვერაუხსნელი კითხვები შეაგება დავითმა და რას მეტყვისო, ძალუმად ყურთასმენა დაძაბა.

– მბრძნებლებს, – გააგრძელა ათანასემ, – არ უყვართ ჭეშმარიტების მქადაგებელნი. ვერ ბოგინობენ მათ საუფლოში ასეთნი და თუ არიან სადმე, საკუთარ სხეულის უვნებლობისათვის, გიჟებად მოაქვთ ხოლმე თავი. დაეხეტებიან ქვეყნის კიდიდან-კიდემდე და იმას გაჰყვირიან, რაც ჩვეულებრივ ჭკუასაცდენილთა ქცევად ითვლება, ჩუმად კი ჭორებს ბლანდავენ.

– მერედა, ყველა დასაჯერებელია, ეგე?

– გამონაკლისის გარდა, თითქმის სუყველა!

– სცდები ათა! მაგ სიტყვებით ხოტბას ასხამ ჭორსა და მეჭორეს! რაოდენ მოგწონს ეს?

– ვადიდებ იმ ჭორს, სადაც სიმართლის დაფარული სიბრძნეა გამოხატული! შანშე ფანასკერტელი ერისთავის ძე ხომ ცნობილია ყველასთვის, რომ მოღალატეა?

– ჭეშმარიტად!

– საკითხავია, რატომ სამსჯავროზე არ წარმდგარა აქამომდე, როგორც ყველა მოღალატე?

– მისი სიცოცხლე მამამისს ვაჩუქეთ, ათა, განსაკუთრებული ნაღვაწისათვის!

– ნუ შეეცდები ჩემს მოტყუებას! – სიტყვა გააწყვეტინა ათანასემ, – ღალატის ფესვები მამამისიდან მოდის, არცაა გასაკვირი. ტანდაბეგვილმა რცხილამ მახინჯი ყლორტი ამოიზარდა. მშობლის სამსახურისთვის არ შეუნდვიათ შანშე, სხვა რამ მიზეზი იმალება ამაში!

– და მაინც?

– ვიტყვი, მაგრამ იცოდე, წყენად არ მიიღო ჩემი ნათქვამი!

– არ მეწყინება! – ოდნავი ღიმი შეადგა დავითს ბაგეზე.

– შანშე უკანონო შვილია მეფის, ამიტომ გაათავისუფლესო, ასე ლაპარაკობს ხალხი.

გაკვირვების შეძახილი აღმოხდა დავითს: – „საიდან მოიგონეს ასეთი უმსგავსობაო“, გაიფიქრა.

– მერედა გჯერა მაგის? – ჰკითხა.

– არა! – იუარა ათანასემ, – თუმცა, რაღაც ამგვარი რომ არის, ეჭვი არ მეპარება.

– რატომ გგონია მაგდაგვარად იყოს ყოველივე?

– აი, რატომ! სამშობლოს მოღალატის ხვედრი, სიკვდილია დასაბამიდან და როცა მოღალატეს ასე უვნებლად შეიწყალებენ, რაღა გასაკვირია, ათასგვარი ჭორი რომ შეთხზან? ბრმა არ არის ხალხი, ხედავს ყველაფერს, დავით!

– ეს გულმოწყალებით მოგვდის, ათა! – გამართლება სცადა უფლისწულმა.

– გულმოწყალებით? გასაკვირია!

– თითქოს ზედმეტად გულმოწყალენი ვართ ქართველები, თუ ვაჟკაცურად მოგვდგამს სატევრის შემართვა, შენდობაც ვიცით მტრის და მოღალატისაც ზედმეტად...

– მიკვირს ეგ სიტყვა შენგან, დავით! ერთია შენდობა და სხვაა დანაშაული. შეინდე, მაგრამ დანაშულს ნუ კი სჩადიხარ. ერის მოღალატე ერმა უნდა შეივრდომოს და არა რომელიმე მისმა წინამძღოლმა, ვინაც არ უნდა იყოს. უსამართლო მიტევება ხალხის თვალში ნაცრის მიყრას ჰგავს...

სასახლის ჭიშკარს ოციოდე მხედარი მოადგა. უმალ მიგებებული მსახურნი მოსულებს ბედაურებიდან ჩამოქვეითებაში მიეშველნენ.

სტუმრებს უებრო აღანგობის დევკაცი წამოუძღვა წინ. შორიდან იცნო დავითმა სამცხის ერისთავი გუბაზ ჯაყელი. გრძელი მკვლავებით და როხროხა ხმით გამორჩეულმა ერისთავმა, პირველმა შემოალაჯა ეზოში, – აქა მშვიდობა! – დაიბუხუნა და უფლისწულს მოკრძალებით ემთხვია კალთაზე. მოწიწებით მოიკითხა მეფე-დედოფალი. ერისთავს თვალხატულა ასული, ნინოც თან ახლდა. კრძალვით გაუღიმა დავითს ასულმა, თითქოს აგრძნობინა – გაშლილ ვარდს ეძებ? აჰა, იხილე!

წამიერი მზერა ესროლა დავითმა სტუმარს. მის ახლად აცისკროვნებულ, მოცხარისფრად მოელვარე თვალებში იდუმალი კაეშანი ამოიკითხა. ციებიანივით შეაჟრჟოლა. სტუმართ მიხედეო, – მძიმე ლოდივით მიუგდო ძიძიშვილს და განერიდა.

დააბინავა წვეულნი ათანასემ და დავითი მოძებნა. ბაღჩის ბოლოში მიაგნო, მოწყენით მჯდარს შემჭკნარ კორდზე. ფრთხილად მიუახლოვდა და ძმური სიყვარულით დააწყო მხრებზე ხელები. გულუბრყვილოდ შესცინა: – ახლა კი მიგიხვდი შენი კაეშნის მიზეზს, – უთხრა ნახევრად ხუმრობის კილოთი, – ტრფობის სამსალა დაგილევია ძმაო, გამოეთხოვე აწი სიმშვიდეს! ღმერთო, შეუნდე ყველა ცოდვილს და მათ შორის, თქვენს უმორჩილეს მონას, დავითს. აპატიე, რაც თუ შეგცოდოს, რადგან მისი გონება გაუმჭვირ ღრუბელშია გახვეული ამჟამად... – გულღია სიცილით და ხელაპყრობით თქვა ათანასემ და ღრმა გრძნობიერად შეჰღიმილა უფლისწულს.

– მამასხარავებ, თუ... – წყენა გამოკრთა დავითის ხმაში.

– მაპატიე, დავით! – შეცბა ათანასე, – დილაუთენია უგუნებობას გატყობ და მინდოდა ცოტა გამერთე. ვერა-რა გავაწყვე, რას იზამ! – გულწრფელად ნანობდა.

– ჰმ...

– არ არსებობს ადამიანი, საკუთარი ბედნიერებისთვის რომ არ იღვწოდეს, – მცირე ხნის შემდეგ გააგრძელა დავითმა, – მაგრამ ვერ იმკის ყველა ამას. ამ ძიებაში ზოგიერთი მხოლოდ უბედურებას დალანდავს, ათა. და სიცოცხლის უკანასკნელი ნაპერწკალიც ისე ჩაქრება, ვერ გაიგებს, რისთვის მოევლინა წუთისოფელს, სად გაფლანგა უმიზნოდ განგებისგან ბოძებული სიცოცხლის განძი. საბრალონი არიან ამგვარი ჯაბანნი ნამდვილად.

დავითის გვერდით ჩამოჯდა ათანასე.

– შენ მართალი ხარ, – ფიქრიანად უთხრა მცრე ხნის შემდეგ დავითმა.

– რაზედ?

– მართალი ხარ! – კვლავ გაუმეორა.

– მაინც?! – ახლა კი დაინტერესდა ძიძიშვილი.

– წეღან შანშეზე რომ თქვი.

– რა ვთქვი? – ვეღარ მიაკვლია ნათქვამს ათანასემ.

მცირე ხანს მიყუჩებულმა დავითმა სათქმელს მწყობრად ჩამოუყვა: – სამართლის მსჯავრს მოკლებული ქვეყანა ჯოჯოხეთის კუპრს მაგონებს, ათა. იქ, სადაც წარხოცილია დადგენილი კანონიერება, ბედნიერებით ვერ ისულდგმულებს დილის ნიავიც და ყოველი ქაოსში მოქცეული, უკუსახედ დაებედება შთამომავლობას. გინახავს, საასპარეზო ფიტულებს რომ ვდგამთ ვარჯიშობისას რკენის სასწავლად? იმ ფიტულებს ჰგვანან უსამართლობაში მოქცეული დიდი და პატარა, მეფე და მსახური!

– უსამართლობაში მხოლოდ ქვეშევრდომნი აგებენ, დავით, არა მეფენი! – თქვა ათანასემ.

– ყველა წაგებულია ამგვარ ვითარებაში, ათა! მსახური მიტომაც, რომ მის ქედზე გადადის ყოველგვარი უმსგავსოება. მეფეს საკუთრივ არა უშავს რა, მაგრამ ქვეყანაში უფრო დიდი სიმძიმილი გაბატონდება.

პირველ კაცს შეჰყურებს ხალხი ყოველთვის, მისი ღირსებით აგებს თვალსაზრისს და რა გასაკვირია, ამ დროს თუ კვარცხლბეკზე უმსგავსონი ამაღლდებიან, წარიყვნება საზოგადოება. მგოსნის მაგივრად ცრუ მეხოტბე დაიჭერს ადგილს და აღარ იქნება არც სიმღერა გასახარელი... ამაზე დიდი ტარგედია ერისა არ არსებობს...

– ეს არა მარტო ტრაგედიაა, არამედ კოშმარული გარდაცვალებაც. – თავის დაკვრით დაუდასტურა ათანასემ დავითს ნათქვამი.

– ბერძენთა მატიანეს კითხვა მიყვარდა ბავშვობისას. მაგონდება ათინას ერთ-ერთი მეფე, მის სახელს თეღარ ვიხსენებ. მისივე კანონის დამრღვევი სამეფოში არავინ არ შეივრდომა, – გააგრძელა დავითმა.

– როგორ!... მეფეს რა ჰქონდა შესავრდომები, კანონიც და ხელისუფლებაც მის ხელში არ იყო განა?

– კანონი ხალხს ეკუთვნის, არა მეფეს, ათანასე! ასე გვგონია, მიტომაც რომ გვეუცხოვება ამდაგვარი რამ ჩვენთან.

მსაჯულთაგან შევიწროებულმა მეფემ დახმარება ყველაზე ახლობლებს სთხოვა და იცი რა უპასუხეს? სასამართლოში შენზე დაწესებულ ჯარიმას გადავიხდით, სხვაფრად კი ვერ გიშველითო. ოსტრაკისმოსი მიუსაჯეს იმ მეფეს.

– ოსტრაკისმოსი?

– ჰო, უსახსროდ და უჯილაგოდ გააძევეს სამეფოდან.

– რაღაც უცნაურად მეჩვენება ეგ ამბავი!

– არაფერია გასაკვირი ამაში. შემცოდემ მიიღო საკადრისი სასჯელი. რაოდენ საცნაურია, უხსოვარ დროში მოგვცეს ეს მაგალითი ძველმა ბერძნებმა, ჩვენ კი მისი დაჯერებაც გვეუცხოვება დღეს.

– ჭეშმარიტად, ეს მართლაც ასეა, – აღიარა გულწრფელად ათანასემ.

– ალბათ ფიქრობ, რად მოიტანა ბერძენთა მეფის უმგვანო ქცევაო, – განმარტებას შეეცადა დავითი. – შანშეზე ვსაუბრობდით წეღან, ეს ძველი ამბავიც ამან გამახსენა.

– რაღაც უმნიშვნელო რამისთვის მეფე არ დაინდეს ბერძნებმა, ჩვენ კი მოღალატე უვნებლად გავუშვით სახლში.

– რისთვის მაინც?

– შეყვარებულია იმის დაზე ბაგრატი. თუ დავსჯით მომავალ მოყვარეს, რას იტყვიან ჩვენი საერთო მოკეთენი შემდგომში? გაფრთხილება უნდა ნათესაობას.

– მაგრამ ამგვარი სიფრთხილე კანონიერების საწინააღმდეგო არ არის? – შეედავა ათანასე.

– გეთანხმები, ჩვენ ვუფრთხილდებით ნათესაურ გრძნობებს და ზოგჯერ წესთან საპირისპიროდ მივდივართ. ერთი გარეწრის გარშემო შეიკრიბება ყველა მისი მოკეთე. არიქა, გადავარჩინოთ, საკუთარი სისხლი გვეღუპებაო და ვის როგორ შეუძლია, წვლილს შეიტანს იმ

ცუდ საქმეში. ვათავისუფლებთ მოღალატეებს, საბოძვარს ვაძლევთ განდგომილთ. კიდევ ვინ იცის, რას არ ჩავდივართ.

– მომეტებულად დაჯილდოებულნი ვართ ნათესაური სითბოთი, ალბათ! – ჩაურთო ათანასემ.

– შესაძლოა ეგეც იყოს, მაგრამ მაინც გაუმართლებელია. ვათავისუფლებთ ერთ მოღალატეს და ასს ვიმკით. ურჩებს ვაჯილდოვებთ, თუმცა ამით სწორ გზაზე ვერ ვაყენებთ მათ. პირადულ აღტკინებაში ვკლავთ საქვეყნოს, რითაც ისევ და ისევ ჩვენ ვზარალდებით.

– გამოსავალი?

– გამოსავალი ერთია, ათა: იმ ბერძნებს უნდა მივბაძოთ თითოეულმა ჩვენგანმა და მერწმუნე, სულ სხვაგვარად წარიმართება მაშინ ჩვენი საქმენი.

სწორი იყო მსჯელობა დავითის, უსიტყვოდ ეთანხებოდა მას ათანასე. მართლაც, ბევრი რამ არის მოსაგვარებელი წუთისოფელში, უპირველესი კი ღირსების ამაღლებაა.

სიჩუმე ჩამოვარდა ერთხანს. კაეშანს ჭვრეტდა დავითის თვალებში ათანასე. ნეტავ რა დარდი აწუხებსო, ფიქრობდა მეგობარი.

მყუდროება დავითმა დაარღვია: – ლომფერის და თუ გინახავს? – ჰკითხა.

– ნანა? – განცვიფრებით შეაცქერდა ათანასე.

დავითი დუმდა.

– მშვენიერი ქალწულია! – შეაქო ათანასემ. მიხვდა, რატომ იკითხა უფლისწულმა ნანა.

ლომფერის დაი თუ გინახავსო? როგორ არ უნახავს! მშვენებით მომადლებული ქალწული, ზრდილი და სათნო ყოფაქცევით რომ გამოირჩეოდა სასახლეში. როგორც ჩანს, მისადმი ტრფობას გაუტაცნია უფლისწულიო, დაასკვნა.

– ეტყობა არავინაა მომსვლელი აჭარიდან. მე კი, სწორედ ლომფერის ნახვა მინდოდა უწინარესად! – თქვა დავითმა.

– კვლავ გავგზავნოთ შიკრიკი წვევაზე. მეორედ მოპატიჟებისას უარს ვეღარ იტყვის მგონი ერისთავი. – შესთავაზა ათანასემ.

– არაფერი გამოვა. ლომფერთან ერთად დაიც უნდა ჩამოვიდეს მისი, აუცილებლად.

– ადვილი მოსაგვარებელია ეგეც! – დააიმედა ძიძიშვილმა.

– როგორ?

– სულ უბრალოდ. დედოფლის მოსაწვევი ბარათი გავატანოთ შიკრიკს ნანასთან.

– დედოფლის მოსაწვევი?

– დიახ!

– კარგი აზრია! – მოეწონა ათანასეს ნათქვამი დავითს, – ეხლავე წავალ, ბარათს მივაწერინებ დედას, – უთხრა გახარებულმა და სასახლისკენ გასწია. – მანდ დამიცადე, – მხარსზემოდან დაუძახა ათანასეს.

ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა დავითი.

– რა ჰქენი? – ჰკითხა ათანასემ.

– ბარათი მზადაა, ათა, მაგრამ გადავიფიქრე. შიკრიკად შენ უნდა გაახლო, იცი ყოველი... თუ არ იცი, გუმანით ხვდები მაინც...

– კარგი, – დაეთანხმა ათანასე. – ეხლავე წავიდე? – ჰკითხა.

– არა, დავიცადოთ შუადღემდის. – მოსაწვევები გადასცა დავითმა და აივანზე გამოფენილი ბიზანტიელი სტუმრებისკენ გასწია.

– დიდ იბერს ვახლავართ, – კიბეზე ჩამოეგება ახოვანი რომაელი, მეგობრულად გადახვია ხელი უფლისწულს, – საკმაოდ გამოცვლილხარ შარშანწინდელს აქეთ.

ეს მარკუს რაინდი გახლდათ. ბიზანტიაში ყოფნის დროს დაუახლოვდა დავითს. ძლიერ მოეწონა მისი ვაჟკაცური ძალოვანება და დიდი იბერი შეარქვა. ამის შემდეგ, ასე ეძახდა ყველა დავითს სასახლეში.

სტუმრებში გალუსტინე კილიკიელიც დალანდა. ვარდან ვაზირთუხუცესთან ბაასობდა სტრატეგოსი. მანდილოსნებიც საკმაოდ გამოსულიყვნენ აივანზე.

– დიდ იბერს სალამი! – ჩუმი ხმით შეაფრქვია ევდოკიამ. წამიერად შეანათა ნუშისფერი თვალები, ნეტარების ღიმი გადაეფინა ბაგეებზე.

– კონსტანტინეპოლის მშვენება ვითარ ვიკითხო? – შინაურულად გაებაასა და ხელზე სათუთად ემთხვია დავითი.

– როგორ ვიქნებით თქვენგან მიტოვებული? – დაიმორცხვა ასულმა, – ვერ წარმომედგინა, ასე მალე თუ ჩაიღვენთებოდა ჩვენი მეგობრობა. კიდევ კარგი, მამა დავითახმე და წამოვედი, თორემ შენ აღარ აპირებდი ალბათ მოგენახულებინა ძველი მეგობარი. ვიფიქრე, დაოჯახდა, აგრე მიტომ დაგვივიწყა-თქო.

– დაოჯახებისთვის სად გვცალია, – ქალის ფაფუკ ხელს ხელი უშვა დავითმა, – როცა მტრის ურდო ამ მთათა გარდასახედიდან გადმოგვყურებს და მთელ საქრისტიანოს წალეკვას უქადის. აქეთ კიდევ, შინაურთა ამბოხებები.

– ოჰ-ოჰ! – მარწყვივით ბაგეებზე აკიაფებული სხივიანი ღიმილი ჩამოედვარა მელნისფერი კაბის გულისპირზე ევდოკიას, – ისე სჩივიხარ, თითქოს ქვეყნის გამგებლობა შენზე იყოს მინდობილი. ტყუილად მაცოდებ თავს, სამეფოს ჯერ მშობელი შენი განაგებს და ნაადრევად ნუკი მიითვისებ ერის მესაჭის ჯაფას.

– მამა მოხუცდა, ევდოკია. ადრინდელად აღარ ძალუძს მახვილის შემართვა. გონის უკმარისობასაც განიცდის. ხანდახან ეკარგება სულ ცოტა ხნის წინ ნათქვამი სიტყვა. ხელმწიფე ყველაფრით ამაღლებული უნდა იყოს ქვეშევრდომებზე, სხვაგვარად ცოდვა დაისადგურებს მის საბრძანისში.

– წინდაწინ ნუ გაცვლი რაინდთა ყოფას ხელმწიფისაში, დავით, თორემ შემოძარცული დარჩები შემდგომ, ვითარც ნაჭირხლი ატმის ყვავილი. რაინდს წარმოგაჩენენ საქმენი შენნი, მეფეს კი ქვეშევრდომთა ერთსულოვნება.

გზა გამოიკვლია მოსაუბრეებისაკენ თინათინმა. დილა მშვიდობისა უსურვა ძმას და სტუმარს.

გუმანით მიუხვდა ევდოკია მისალმებას.

– დილა მშვიდობისა! – თავაზიანად მიაგება ბერძნულად.

– ვითარ გრძნობ თავს, გენაცვალე? – შეჰღიმა თინათინმა. – ჰავის გამოცვლამ ცუდად ხომ არ იმოქმედა?

გადათარგმნა თინათინის ნათქვამი დავითმა, მხოლოდ „გენაცვალე“ წარმოთქვა ქართულად.

მადლობა გადაუხადა მოკითხვისათვის ევდოკიამ, – ეგ სიტყვა რას ნიშნავს? – ძლივს გამოთქვა „გენაცვალე.“

– ბერძნულში არაა სრული შესატყვისი თარგმანი, ამიტომ ვერ გადმოვიტანე თქვენს ენაზე! – უპასუხა დავითმა.

– უჰ, ნუ ხართ იბერნი აგრერიგად თავმომწონენი. ნუთუ ელინთა სწორუპოვარ ენას უჭირს სხვათა ენის შესატყვისთა მოძებნა, დავით?

საოცრად მშვენიერი, ნეტარების შუქმიმობნეული, ოდნავ ფერმკრთალი სახით, თვალმოუწყვეტლად შეჰყურებდა ევდოკია ჭაბუკს. მათი ურთიერთ ქცევის მოყურადე ნათლად დაინახავდა, რომ ქალწულის ლტლოვა ვაჟისადმი დიდი ხანია გასცლოდა მეგობრულ საზღვრებს.

გრძნობდა უფლისწული მისდამი ესოდენ ყურადღებას და მიუხედავად ევდოკიას განსაცვიფრებელი სილამაზისა და მამამისის ღირსეული ადგილისა ბიზანტიონის სასახლეში, მაინც ნანასკენ მიუწევდა გული.

– ნეტავ თუ ჩამოვაო, – გაიფიქრა და ახლა, როგორც არასდროს, მოენატრა მეტისმეტი ნდომით მისი ხილვა.

ხელის შეხება იგრძნო. – რა მოგივიდა დავით, ევდოკია რაღაცას გეუბნება, შენ კი დუმხარ? – ეუბნებოდა თინათინი.

– ჰაა? – თითქოს ძილ-ბურანიდან გამოერკვაო, თქვენი მეტვეყლების შესწავლაში თუ დამეხმარებიო, – სთხოვდა ევდოკია.

– რატომაც არა? – გამგზავრებისას თან გაგაყოლებ კარგ მოქართულე მოძღვარს.

– შენზე კარგი მოძღვართ-მოძღვარი სხვა არავინ იქნება! – ძლივს გასაგონად ჩაიდუდუნა ქალწულმა და შეფაკლული სახით უაზროდ მიაშტერდა იატაკს.

შენზე კარგი მოძღვართ-მოძღვარი? ჰმ. რაღაც სხვას ხომ არ მიანიშნებდა ეს სიტყვები?

– რას უბნობთ? – მიაჩერდა თინათინი.

– ბაღში გასეირნებას გვთხოვს, სტუმარი! – იცრუა დავითმა.

ბაღში ალისფრად შეფაკლული ცისკარივით ანთებულიყო ყაყაჩოები. ვარდსა და ზამბახსაც გაეშალათ აქა-იქ კოკორი.

ძლიერ მოეწონა ყაყაჩოები ევდოკიას. ახლა ორნიღა დარჩენილიყვნენ, ის და დავითი.

დაკრიფა ყვავილები დავითმა, მოზრდილ თაიგულად შეკრა და მიართვა ასულს.

– ასეთი თვალწარმტაცნი მარტოოდენ მშვენიერების მსახურნი თუ არიან! – ფიქრიანად ჩაილაპარკა ქალმა და უფლისწულის ტეხილ ქოჩორს დაადგა თვალი.

– მშვენიერების სამსახურისთვის ცოტა მოვლენილა ამ ქვეყანაზე, ევდოკია! დასაბამიდან ებრძვის ადამიანი მშვენიერებას, მახვილით მუსრავს. მუსრავს, რომ ბნელ ნანგრევებზე კვლავ ააღორძინოს იგი... გაუსაძლისია წუთისოფელი უმისოდ. ეს იცის ყველამ.

მშვენიერების დაპატრონებისთვის იბრძვიან ბევრნი და არა თაყვანისცემისთვის. თვით მშვენიერებაშიც შავი სულია ჩადუღებული. განა ყველა, გარეგნულად ლამაზი, სულიერადაც მომხიბვლელია? ყაყაჩო, რომელიც ასე მოგეწონა, შხამის გესლითაა შეზავებული... ამიტომაც არ არის მისანდო ლამაზი ქალი.

– ყაყაჩო შხამიანია? – განცვიფრებულმა შემოხედა ევდოკიამ და რა მიიღო დასტური, მოისროლა კონა, – შორს ყოველგვარი შხამი და გესლი ჩემგანო! – სიცილნარევი ხმით წარმოთქვა.

დიდი მუხის ჩრდილში ჩამოსხდნენ.

– ეტყობა, უნდოდ უყურებ ლამაზ ქალებს, დავით! რა გაწყენინეს ასეთი? – იდუმალი ღელვით შეჰღიმა ქალმა.

– უნდობლობა გარეგნობაშია, მას მარტო მომხიბლავი ქალნი არ იმსახურებენ. უნდობელია ნივთი, რომელიც ჩრდილავს დანარჩენს. სწორედ ამიტომ, უმრავლესს გასჩენია მისი დაუფლების სურვილი. ზოგიერთს კი მრუდე ხერხითაც და ნუ გაგიკვირდება ავაზკათაგან გაძარცული იმ ნივთის მფლობელი, რამეთუ მისი პატრონობით დაიმსახურა მან ეს განაჩენი.

– ნივთებს ადარებ სულიერთ?

– სრულებითაც არ მიფიქრია მათი შედარება! ნივთი უგრძნეულია, არა აქვს არჩევანის უნარი და სულერთია ვის ხელში იქნება. მაგრამ ამ შესაძლებლობით დაჯილდოებული მგლოვიარე ლამაზი ქალი, ბევრი მინახავს დაკარგული ქმრის ჭეშმარიტ მტერთა სარეცლის თანამოზიარე.

– ალბათ ზოგიერთებზე თუ ითქმის ეგ, დავით!

– ზოგიერთზე და ვგონებ, უმრავლესობაზეც.

... სიჩუმემ დაისადგურა მცირე ხანს.

– სისასტიკედ მეჩვენება ეგ აზრი და ასეთნაირი სიტყვებით შეურაცხყოფილად ვთვლი იმ სპეტაკ მანდილოსანთ, რომელნიც ასე მრავლად გვახვევია ჩვენს გარშემო! – წყენა იგრძნობდა ქალის ხმაში.

– პატიებას ვითხოვ მათ წინაშე.

– რა განაპირობებენ ადამიანთა მრუდე სავალისაკენ ლტოლვას? – ცნობააღძრული კითხვა შეაგება ევდოკიამ.

– მრუდ სავალისკენ ლტოლვა სიავის ზეიმია. ბევრს ცხოვრებისეულ ნორმად გაუხდია, ზოგიც მიბაძვით სჩადის, რადგან ის უფრო ტკბილია თითქოს, რაც ჩვენთვის მიუწვდომელია და გვეკრძალება.

– გამოდის, მშვენიერებაზე უარი უნდა ვთქვათ მაშინ.

– მისი უარყოფა შეუძლებელია და რომც უარვყოთ, განვიძარ-ცვებით ადრეულ გაზაფხულზე ნაჭირხლი ალუბლის ყლორტივით.

– მშვენიერებაში იბადება სიბრძნე და ჭეშმარიტება... სიბრძნე და ჭეშმარიტება, – დამარცვლით გაიმეორა დავითმა, – რომელთა გარეშე, ყოველგვარი წინმავალი დინება, ბნელეთის თანხვედრია.

– ბნელეთის თანხვედრია, მაგრამ სიკეთესთან ერთად ცოდვის სათავეც რომ არის, შენი თქმით?

– შემცოდეთა სულშია ცოდვის სათავე, – გაუსწორა დავითმა, – სპეტაკ სულს ვერარას ავნებს, პირიქით, მისით მჟღავნდება არსთა რაობა.

გონებაში დაეთანხმა ქალი თითქოს. ჩემშიც ხომ არ გეპარება ეჭვიო, – ბოლოს შეეკითხა.

– შენში?... რატომ? – ვერ მიუხვდა ნართაულს დავითი.

– უნდობლობას უცხადებ ყველა ლამაზმანს და მე ლამაზებში განა არა მთვლი? – გულღიად შესცინა ქალმა.

– უნდობლობა გარეგნობაშია. თუმცა შენ მშვენიერიც ხარ და სანდოც.

– რადგან ასეა, – ეშმაკური ციაგი აუკიაფდა ევდოკიას თვალებში, – მაშინ აი, იმ მწვერვალთაგან რომელიმეზე, – მოსხის მთებისკენ გაიშვირა ხელი, – ამიშენე მყუდრო სავანე ლოცვა-კურთხევისათვის.

– ლოცვა-კურთხევას აქაც შესძლებდი...

– არა! – ბავშვური ჭირვეულობით უპასუხა ქალმა, – ამქვეყნიურ ყოველივეს ვტოვებ, რათა განდეგილმა სამარადისო ქველმოქმედებით გავასხივოსნო სული ჩემი და ჩემთა მოყვასთა. მე ხომ წმინდანი ვყოფილვარ, დავით!

– წმინდანი? – კვლავ ვერ ჩაწვდა ნათქვამის არსს უფლისწული.

– ჰო, წმინდანი! ასე არ მითხარი წეღან? თუ დაივიწყე, შეგახსენებ, ნუ გამიჯავრდებიან წმინდანნიო. აქ ხორციელი თუ სულიერი ზნეობრიობით გამორჩეულ სულ მცირე ერთეულ ქალებზე გვქონდა საუბარი და შენი აზრით, რახან მე მათ რიცხვში მთვლი, უფლება მაქვს თავი წმინდანად შევრაცხო დღეიდან!

ხედავ, საითკენ მიუპყრია ვარაუდქმნა თურმე? ახლა კი ჩასწვდა თქმულის აზრს დავითი. ეტყობა, დაუჯერებელ დასკვნად ეჩვენება ჩემი ნათქვამი და არამც თუ იზიარებს, უარყოფს კიდეც. თუმცა, ამაში არაფერია გასაკვირი, დედაწულებზე ლაპარაკობდა. ევდოკიაც ხომ მომავალი დედა იყო და რასაკვირველია, ნებით თუ უნებლიეთ მათკენ იხრებოდა.

მდურვანარევი მზერა დალანდა დავითმა ევდოკიას გამოხედვაში. საწყენად არ მითქვამსო, მოუბოდიშა.

– არც მწყენია! – უპასუხა ქალმა. – მაგრამ ერთი კი მინდა ვთქვა: რატომ გაქვთ ასე თავისუფლად მსჯელობის უფლება ქალებზე მამაკაცებს და ჩვენ კი მოკლებული ვართ მაგგვარ განსჯას?

– მსჯელობას ვინ დაგიშლით, თუ კი სიმართლის მარცვალი აისახება მაინც მასში.

– და, მიუხედავად ამისა, ჯერ არც ერთ მანდილოსანს ასე გულცივად არ უარუყვია მამაკაცი, როგორც თქვენ სჩადიხართ, დავით.

– ჩვენ უფრო მეტად განაწყენებული ვართ, ალბათ.

– რატომ?! – ახლა ქალი გადავიდა შეტევაზე, – განა მამაკაცები არიან სანდონი? ქალის დაუფლება ამოძრავებთ მხოლოდ მათ, ოღონდაც აისრულონ ეს სურვილი, არ დაგიდევენ არაფერს. მეც ბევრჯერ გამიგონია, ცოლ-შვილის მოღალატე მამაკაცი ერთგულებას რომ ეფიცება ახალ გულისსწორს. იტყვი, რა არისო ამაში არაჩვეულებრივი, ეტრფის და სიყვარული ხომ განგებიდან მოდისო. მაგრამ ადამიანი, რომელიც ერთში გაცვლის რამოდენიმეს, არაფერი უნდა იწამო მისი...

– ოჯახზე ღალატი ქალისა უფრო თვალსაჩინოა. დედაკაცის მანდილით ისაზღვრება კერიის სიწმინდე. ავხორც ქალში ავი ზნეა და განუკურნებელი სენით გადაეცემა შთამომავლობას. ამისათვის მართებს მეტი თავდაჭერილობა ოჯახის დედას.

– ქალებს გვიხდება მაშინ, უფრო მეტი მსხვერპლის გაღება.

– უდავოდ! – დასტურის ნიშნად თავი დაუქნია დავითმა.

– და თუ მეტწილ მსხვერპლს ვიღებთ, მეტი წილი ფასიც ხომ უნდა გვქონდეს? თქვენ კი, ზოგიერთი უღირსი საქციელისთვის საქვეყნოდ გამოაჭენებთ სუსტ არსთა მოდგმას, ველურ კიჟინით გაჰკივით, მაცდურნი არიან ლამაზი ქალნი, ყოველ ნაბიჯზე გიღალატებენო!

– გარდა ამისა, – განაგრძობდა ევდოკია, – ქალთა მოდგმას შეუწონელი ღირებულების ვალდებულება გვაკისრია, კაცობრიობის მარადიულობა.

ცხელმა ქარბორბალამ დაჰქროლა. საიდანღაც ფრთებშეკვეცილი პეპლებივით დაეშვნენ ვებერთელა მუხის ტოტებიდან შემჭკნარი ფოთლები.

– ასე ადრეულად რატომ ცვივა ფოთლები? – განცვიფრებული შეეკითხა ევდოკია.

– აუტანელმა სიცხემ ზეზეურად შეაჭკნო მცენარეები. ვერ ხედავ, როგორ გადამხმარია გარშემო გვალვისგან?

– გვალვისგან?

– სიცხემ გადაბუგა წელს ყოველივე.

– მე კი მეგონა, ჩვეულებრივ ამგვარი ჰავით ხასიათდება აქაურობა. მიკვირდა კიდეც, გამხმარ პურის ყანებს რომ ვუყურებდი გზებზე.

მცირე ხნობით სიჩუმე ჩამოვარდა. ევდოკიას დედა მოიკითხა დავითმა, ხომ კარგად ბრძანდებაო, დაინტერესდა.

– ძალიან კარგად, – იყო პასუხი, – ხშირად მეუბნებოდა, ხომ არ ჩამოსულა კონსტანტინეპოლში კვლავ ის იბერიელი, ჩემი დამცხვარი თაფლისკვერები რომ უყვარდაო.

სასიამოვნო შეგრძნება აღუძრა ორიოდე წლის წინანდელის გახსენებამ დავითს. მართლაც, ძალიან უყვარდა ევდოკიას დედის მიერ გამომცხვარი თაფლის კვერები. ახლობელივით გაუშინაურდა ამ სათნო ქალს. მკვიდრ მშობელივით პატივს სცემდა. ხედავდა ამას კეთილი მანდილოსანი და კარგი განწყობით იყო გამსჭვალული მისდამი. ხშირად მოიწვიე ჩვენთანო, სთხოვდა ვდოკიას.

– თაფლის კვერებს თუ აცხობს კიდევ?

– ვიღასთვის უნდა გამოაცხოს? ჩვენს სახლში არავის გვიყვარს თაფლიანი კვერი და თუ კი ჩამოხვალ, ალბათ, ძველებურად პატივს მოგაგებსო!

– აუცილებლად ჩამოვალ შემოდგომაზე და დედაშენსაც ვინახულებო! – დაპირდა დავითი.

ბაგრატი და მარკუსი მოვიდნენ მხლებლების თანხლებით. მყუდროება ხომ არ დაგირღვიეთო, მოუბოდიშეს.

– დავით, შევიტყვე, ერთი მეტად მშვენიერი კვიცი გყოლია, იქნებ გვაჩვენო, – სთხოვა მარკუსმა.

– დიდი სიამოვნებით, წამობრძანდით, – მიიპატიჟა უფლისწულმა.

საჯინიბო საკმაო მანძილით იყო დაშორებული სასახლიდან. ხშირი მუხნარი აყრილიყო მთელ გზაზე.

გადაიარეს მუხის კორომი. მესრებით შემოკრულ ღობეს მიადგნენ. გამოჩნდა საჯინიბო, მრავალი ტიხრებითა და გადახურული სადგომებით.

ჭიშკარში შევიდნენ. რკინის გისოსებიან გალიაში სასაცილოდ ღლაბუცობდა დათვის ორი მოზრდილი ბელი. ბურდღუნი და თათების ტყაპა-ტყუპი ისმოდა გარშემო. ეტყობოდა, სერიოზულად წაკინკლავებულიყვნენ ისინი. გაეცინათ მნახველებს.

– ეს ბელები ორთახევში შეიპყრო დავითმა! – იქ მყოფთ ამცნო ბაგრატმა.

– მართლა? – დავითს შეაცქერდა ევდოკია.

– დიახ, – დაემოწმა უფლისწული.

– მერედა, ასე მოზრდილი ბელების დატორვისა არ შეგეშინდა?

– ბელები რას მიქვია. მის მიერ დახჩობილი დათვი უნდა გენახათ. იმხელა ნადირი იშვიათად თუ იქნებოდა სადმე.

– როგორ დაახრჩვე? – ინტერესით იკითხა ევდოკიამ.

მოგვიყევიო, სთხოვეს სხვებმაც დავითს.

– მწყერებზე ვნადირობდით ორთახევში, – დაიწყო დავითმა, – მაძებრის წკავწკავი შემომესმა. ერთგან გვიმრალში შერხეულ მცენარეებისკენ გავწიე. ახლად დათქერილ ბალახზე ეგდო მაძებარი. ვეღარ დგებოდა ფეხზე. ძლივს ბობღავდა ხერხემალგადამსხვრეული. დავიხარე ძირს, ვცადე წამოყენება. ეტყობა ტკივილმა შეაწუხა, დაიყმუვლა. ბალახზე დავყარე მშვილდ-ისარი, გავიხადე ჩოხა, ვიფიქრე, ფრთხილად შევახვევ, ბედაურთან მივიყვან და ცხენდაცხენ წავიღებ სახლში მეთქი. დამენანა ერთგული მაძებარი, მორჩება-თქო, ვივარაუდე. ფრთხილად შემოვახვიე ჩოხა და უნდა ამეყვანა ხელში, რომ ზემოდან ჩუმი ქშენა მომესმა. ავიხედე და უზარმაზარი მხეცი დავინახე. არ ვიცი, გადარჩენის სასწაულმოქმედმა ალღომ, თუ უცაბედმა შიშმა იმოქმედა, ხელდახელ შევები ნადირს. ოთხი ნაბიჯის სიგრძის ქურქი გამოვიდა ნადირის ტყავიდან.

– რა დიდი ყოფილა! – დაასკვნა მარკუსმა.

– უწყინარი ცხოველია დათვი, – განაგრძო მოყოლა დავითმა, – იშვიათად ესხმის ადამიანს და თუ ასეთ თავდასხმას ადგილი აქვს, მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ბუნაგთან ახლოა, ანდაც მისი ნადავლის ხელყოფას თუ განიზრახავს ვინმე.

– დათვი უწყინარობასთან ერთად, დიდბუნებოვანიც არის, – დაამატა ბაგრატმა.

შეწყვიტეს ჩხუბი ბელებმა. ცნობისმოყვარეობით შეაცქერდნენ მნახველებს.

ცხენთა ჯებირშემოზღუდული სადგომი იყო მხარმარცხნივ. ფაფარაშლილ ბედაურთა ფლოქვთა ცემის ექო და ფრუტუნი ისმოდა.

– შენ ამბობ, – ბაგრატს მიუბრუნდა მაკრუსი, – დათვი დიდბუნებოვანიაო, სიმართლეა ნაწილობრივ ეგე. თუმცა, ყველაზე მეტად ლომი გამოირჩევა მაგ თვისებით ნადირთა შორის. მახსოვს, ჩვენ გვყავდა ასირიელი მწირის ნაჩუქარი ლომი. გალიაში, სადაც ის ცხოვრობდა, პატარა თეთრი ფინია შევაგდეთ. თავდაპირველად გვეგონა, გაბრაზებული დაფლეთს-თქო. მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება, როცა მეორე დღეს გვერდი-გვერდ დაწოლილი, როგორც ტოლ-სწორნი, ვიხილეთ. მორთმეულ საჭმელს ძმურად უყოფდა პატარა მეგობარს ნადირთა მეფე.

გულკეთილობის განსახიერებაა ლომი, კაცთა თვალსაჩინოდ უმწეოს შემწყალე. ადამიანები ვერ დავიკვეხნით ასეთი თავაზიანობით, რაც ამ ღირსეულ ცხოველს აქვს მომადლებული ბუნებისგან.

– თანხმობას ვიძლევი, რაინდო! ლომი მართლაც უკთილშობილესი ცხოველია ნადირთა შორის. ჭეშმარიტ ვაჟკაცს თუ შეეფერება იმგვარი ქცევა მაღალაზრობრივი, დამთმობი და გულუხვია. რაგინდ მშიერიც არ უნდა იყოს, მის ნასუფრალზე წვრილ მხეცთ ყოველთვის შეუძლიათ დანაყრება და არც თუ ავია სხვებსავით იმ დროს.

– ტყვეობაში თუ მრავლდება ლომი? – შეეკითხა მეჯინიბეთ-უხუცესი კონსტატი მარკუსს.

– იშვიათად! – უპასუხა მარკუსმა.

ბელების სადგომის იქეთ, სამტრედე იდგა. საკმაოდ დიდი ზომის დახლებით დატიხრულ გალიაში, ოცდაათიოდე მტრედი დასკუპებულიყო ქანდარაზე. საამო ღუღუნით ატკბობდნენ არეს ფრთოსნები.

– რისთვის მოგიშინაურებიათ ამდენი მტრედი, დავით? – ოდნავ წინ წასულს დაადევნა კითხვა ევდოკიამ.

– ეტრატთა წასაღებად ვიყენებთ! – უკან მომავლებისკენ შემობრუნდა უფლისწული, – შედგა, – ზოგჯერ ამბავთა გასაგებად სწრაფვაა საჭირო. ჩვენი ქვეყანა მთაგორიანია, ძნელად სავალია გზები. ფრთოსნისთვის კი სულ ადვილია ასეთი მანძილების დაფარვა.

– როგორ ახერხებთ მათ გაწვრთნას ისე, რომ მხოლოდ დანიშნულებისამებრ იფრინონ? – გაიკვირვა ქალმა.

– ფრინველს ვაჩვევთ და ვაშინაურებთ მათ, ვისთანაც ექნება შემდგომში კავშირი. მიჩვეული მტრედი მიჰყვება ახლად გაცნობილს. რამდენიმე ხნის გასვლის შემდეგ, ახალი მეპატრონე ბარათით გამოუშვებს. ბარათიანი მტრედი ძველ პატრონთან მივა. ამგვარად, რამდენჯერმე განმეორებით ფრინველი თანდათან ეჩვევა ყოველივე ამას.

– სულ იოლი შესაძლებელი ყოფილა, მე კი სხვაგვარად მეგონა!

– არც ისე იოლია, როგორც გეჩვენება. თავდაპირველად წვრთნა ახლო მანძილზე წარმოებს. არ შინაურდება ფრინველთა უმეტესობა და ზოგიერთიც სრულად ვერ იგებს მგზავრობის მიზანს.

– ეს ასე მარტოდ რატომ დაგიტოვებიათ? შეხედე, როგორ დაწრიალებს, ეტყობა ვერ იტანს მარტოობას! – ცალკე მყოფ მტრედზე მიუთითა ევდოკიამ.

მარტოსული მტრედი მართლაცდა მოუსვენრად დაბორიალებდა გალიაში. წრიპინებდა გაუთავებლად. რუხ-მონაცრისფრო ბუმბულზე პატარა ცეცხლოვანი თვალები აჩნდა.

– ყველაზე ძნელ მსჯავრად მიმაჩნია მარტოსულობა წუთისოფელში. ხე რომ ხე არის, ისიც ვერ იტანს მარტოობას და

ობლად მდგარი, მალე იღუპება. დახედე როგორ წუხს მარტოობას? – შეიცხადა ასულმა, – მოფერება მომესურვა რატომღაც.

– დიდი სიამოვნებით! გამოვუშვებ გარეთ, თუკი ინებებ! – შესთავაზა უფლისწულმა, – ლამაზო ჰქვია სახელად.

გალიასთან მივიდა დავითი, ჩარაზული კარი გააღო. ხმამაღალი ჟღურტულით გამოვარდა მტრედი გალიიდან და მხარზე დაასკუპდა უფლისწულს.

– რა მშვენიერია! – შეჰყვირა ასულმა.

ლამაზად ყელმოღერებულმა ფრინველმა ნისკარტით შეისწორა ნაკრტენი და ცეცხლოვანი თვალები მიაპყრო უფლისწულს, – ღუ-ღუ... ღუ-ღუ... – აღუღუნდა მტრედი.

– არ მოვა ჩემთან, დავით?

ფრთხილად აიყვანა ჩიტი ხელში დავითმა: ფრთხილადვე დასვა ევდოკიას მხარზე. იყავი მანდო, გააფრთხილა. ეუცხოვა მტრედს ქალწულის მხარი. აწრიალდა მოუსვენრად. გაფრენა დააპირა. გაფრენის თავდაპირველი სურვილით, რამდენიმეჯერ დააფათქუნა ფრთები. ბოლოს შეიკეცა და ცნობისწადილით შეათვალიერა ქალი.

– ახლა ჩათვალე, რომ შენი მეგობარია, ევდოკია! ლამაზო საოცარი ალღოთია დაჯილდოებული. ვისაც დაუმეგობრდება, ქვესკნელშიც კი შეუძლია მოძებნოს, – ღიმილნარევით უთხრა დავითმა.

– კონსტანტინეპოლში თუ მომაგნებს ნეტავ?

– ერთხელ რომ წაიყვანო და აჩვენო იქაურობა, მერე მოგაგნებს აუცილებლად.

– რა კარგი მტრედი ყოფილა! – თქვა ქალმა და თან სათუთად გადაუსვა ხელი ფაფუკ ბუმბულზე ფრინველს. მიესიყვარულა. მიუხვდა მოფერებას ფრთოსანი, ნეტარებით განაბულმა, სასიამოვნოდ მილულა თვალები.

– ნწუ-ნწუ! – უზმო დავითმა.

მტრედი, თითქოს ძილბურანიდან გამოერკვაო, შეიფრთხიალა და დავითის მხარზე გადაფრინდა.

– ასე მალე რად მომტაცე, წართმევისა ხომ არ შეგეშინდა? – ღიმილი აესარკა ქალწულს.

– მინდა შევამოწმო, რამდენად მოგეჩვია. ახლა შენ მოუხმეო, – სთხოვა.

– ნწუ-ნწუ.. ნწუ-ნწუ! – ხამუშ-ხამუშ ამოთქვა ევდოკიამ. წ-ს ნაცვლად ც-ს ამბობდა ქალი. ეუცხოვა ალბათ მტრედს მოხმობის

ნიშანი. ძახილს ყურადღება არ მიაქცია თავდაპირველად, ბოლს კი, მოუსვენრად აწრიალდა და მომხმობლის მხარზე დასკუპდა.

– ნახე, შენი საყვარელი ჩიტი გადავიბირე! – ნიშნის მოგებით თქვა ქალმა.

– ასეთი ბედი მაქვს, ვინც ყველაზე მეტად მიყვარს, ყოველთვის ის გამირბის – ხუმრობა-სერიოზულობით მიუგო უფლისწულმა.

საჯინიბოებისკენ გასწიეს.

– თქვენს საფრინველეში მონადირე მიმინოს ვერ ვხედავ, დავით. სანადიროდ არ იყენებთ ამ ფრთოსნებს? – შეეკითხა მარკუსი.

– რატომაც არა. გვყავდა და საკმაოდ თანაც. რაღაც უცნობმა სენმა მოინელა ყველა ერთი თვის უკან. მას შემდეგ კი აღარ გაგვიწვრთნია ახალნი.

– დაავადებულ ცხოველებს არ მკურნალობთ?

– ვმკურნალობთ, როგორ არ ვმკურნალობთ? ეგ არის, საამისო ცოდნის მქონე დასტაქრებზე მწყრალად ვართ. კარგი მეწამლე გვყავდა ადრე სასახლეში. უზადო ნიჭით დაჯილდოებული იყო ის მადლიანი. ადამიანის სნეულებანი ხომ იცოდა ზედმიწევნით, არანაკლებ კარგად ფლობდა აგრეთვე ცხოველთა დაავადებებსაც. სასახლის ამჟამინდელ მკურნალს წარმოდგენაც არ აქვს ცხოველებზე.

– დასანანია! ჩვენთან დიდი ხანია შემოიღეს სწავლება ცხოველთა დაავადებებზე და განსაკუთრებით ისეთზე, რომელიც საშიშია ადამიანებისთვისაც.

ქალ-ვაჟი წინ მიმავლებს იმ დროს წამოეწივნენ, როცა საჯინიბოსთან მიახლოებული იყვნენ უკვე.

– ესენი ორთახევიდან ჩამოყვანილი გაუხედნავი კვიცები არიან! – უხსნიდა ბაგრატი, – ცხენთა ჯოგი ჰყავს დავითს ორთახევში. არაბულსა და ჩვენი ჯიშების შერჩევით მიღებული თაობაა.

– არაბულ ჯიშის ცხენებს რათ ამრავლებთ? – შეეკითხა ერთ-ერთი ბიზანტიელი.

– არაბული ბედაურები ძლიერ ფიცხელნი არიან, სწრაფად მოძრავნი და ომში გამოსადეგნი! – აუხსნა ბაგრატმა.

– ბედაური ისე არ ფასობს სხვაგან, როგორც ბრძოლაში, – ჩაერია მარკუსი, – კარგი ბედაური ნახევრი წილია გამარჯვებისა.

– უსაფუძვლოდ ზედმეტ ქებასავით ჟღერს ეს სიტყვა, მარკუს! – მიმართა იმავე ბიზანტიელმა.

– რატომ? – შეეწინააღმდეგა რაინდი, – ვისაც ცხენდაცხენ უბრძოლია, ყველა დამეთანხმება ჩემს ნათქვამში. მახსოვს, სამი

ცხენი მომიკლა მტერმა, სამჯერ დავიჭერ იმ ბრძლაში და სამივეჯერ ბედაური იყო დამნაშავე. შენ კი ამბობ, ზედმეტი ქება გამოდისო. მუხლმაგარი, სწრაფი ბედაური, ადვილად აგაცდენს ხიფათს. მართალია, ომში სატევარი უნდა ვარგოდეს, მაგრამ ცხენის სიკისკასე ბევრ რამესაც ნიშნავს.

ერთგან განმარტოებით ფაფარაშლილი კვიცის უკმაყოფილო ფრუტუნი ისმოდა. ღია ნაცრისფერ სხეულზე თეთრი წინწკლები ხალებივით ასხდა და მოუსვენარი ცეცხლს აფრქვევდა ნაპერწკლიან თვალთაგან. ჯებირზე აბოტებდა მალი-მალ.

– რა ლამაზია, წმინდაო მარიამ! – აღტაცება ვერ დაფარა ევდოკიამ. – სად იშოვე ეს მშვენიერი, დავით?!

– ამას წინათ წამოვიყვანე ორთახევიდან.

– გიჟმაჟია, ეტყობა!

– სიგიჟმაჟე მაგისი ადრე უნდა გენახა. ორი მსახური გადამიჩეხა და ერთიც მომთვინიერებელი დააშავა. ვერვინ გაბედა შემდგომ მიკარება. მე ვრწვრთნიდი. გიჟი მოზვრისგან კარგი ხარი დადგებაო, იტყვიან და არც შევმცდარვარ ვარაუდში, ჩანს, კარგი ბედაური გამოვა მისგან!

ძლიერ მოეწონათ კვიცი. სამოცდაათი ბედაური შეაძლია მარკუსმა, ოღონდ დამითმეო. იუარა დავითმა, ჯერ ჩემს წინაშე რაც დანაშაული აქვს, ის უნდა გამოისყიდოსო, უპასუხა.

– ჩიტია! – ხმამაღლა მოუხმო კვიცს უფლისწულმა.

სახელის გაგონებაზე ყურები სცქვიტა ცხოველმა.

– ჩიტია! – კვლავ განმეორდა ძახილი.

შემოტრიალდა კვიცი, იცნო მხმობელი. ერთი დაიფრუტუნა და მწყობრი ნაბიჯით აქეთკენ გამოემართა. ტიხარს შუა გამოყო დრუნჩი და პატრონს ხელები აულოკა.

სიყვარულით მოეფერა დავითი. ფაფარი აუჩეჩა. გასეირნება ხომ არ მოგესურვილაო, თავი მის ტუჩზე შეხებულმა ჩაუჩურჩულა.

თითქოს ნათქვამი გაიგოო, მედიდურად შემართა კისერი ცხოველმა. დაბალ ხმაზე ჩაიხვიხვინა და ტორები აჰყარა.

ხშირ-ხშირად გამოიყვანეთ გარეთ! – იქვე მდგარ მეჯინიბეს უბრძანა დავითმა და იქაურობას გაეცალა.

Tavi meore

არაბთაგან დევნილი აშოტ დიდის სიკვდილის შემდეგ, სრულიად აიწეწა საქმენი ტაო-კლარჯეთში. ღირსეული წინამძღოლის გამოკლებისთანავე, ისარგებლა შინაურმა თუ გარეულმა მტერმა და თანდათან შეავიწროვა ქვეყნის წინანდელი საზღვრები. სამეფოს დიდი ნაწილი არაბებმა წარიტაცეს, ჩრდილოეთიდან აფხაზთა მეფეები მოიწევდნენ წინ. მცირეწლოვან უფლისწულებს ჯერ კიდევ არ შესწევდათ გამგებლობის უნარი, როცა წამოიზარდნენ და მამისეული სამკვიდროს მართვას შეუდგნენ, სამეფოს ცოტაოდენი ნაწილიღა იყო დარჩენილი. თუმცა, გმირული ბრძოლებითა და მოუღლელი ჯაფით, მაინც შეძლეს მიტაცებული მიწების უკან დაბრუნება.

ქართლის დიდი ერისთავის, მრავალრიცხოვან შთამომავალთგან დარჩენილი მემკვიდრენი ორ შტოდ გაიყო. ერთი ნაწილი მეფობდა ტაოში, მეორე კლარჯეთში. ტაოსა და კლარჯეთის მეფენი ერთიმეორისგან დამოუკიდებელნი იყვნენ, მაგრამ, მათ შორის ერთი რომელიმე პირველობდა ყოველთვის. ამ ერთს ემორჩილებოდა ყველა მთავარი და ერისთავი.

გამჭრიახი გონებისა და ვაჟკაცობის მეოხებით, ამჟამად ადარნასე მეფეთა-მეფეს დაეჭირა უმაღლესი კვარცხლბეკი და სატახტო ქალაქად არტანუჯი დაემკვიდრა.

მოზრდილ ქალაქს წარმოადგენდა არტანუჯი. ქვითკირის მაღალი გალავანი ერტყა გარს, ჩრდილოეთისა და სამხრეთის კარებით.

სასახლე ქალაქის აღმოსავლეთ მხარეს, წმინდა ნინოს მოედანთან მდებარეობდა. იგი ბერძენმა ოსტატებმა ააგეს შარშან. ამიტომაც უფრო რომაული იერი დაჰკრავდა. არ ეჭაშნიკებოდა დავითს ქვაში გამოხატული უცხოური სულისკვეთება. დიდხანს ურჩევდა მამას, სასახლე ჩვენს ოსტატებს ავაგებინოთო, ამაოდ დაშვრა მისი მცდელობა. რომაულ სვეტებიან დარბაზში ყოფნისას, უფლისწული უცხო გარემოში გრძნობდა თავს. თითქოს ეპატარავებოდა სადგომი. მდიდრულ ყოფას მიუჩვეველს, ძილი უკრთებოდა ღამ-ღამობით. ათანასეს შესჩივლა ერთხელ:

– ამ სასახლეში ყოველივე მეუცხოვება, ათა. ასე მგონია, თითქოს კონსტანტინეპოლში ვიყო და გარს ბიზანტიური მედიდურობა მეხვიოს.

– ვერ შეთავსებულხარ, უფლისწულო, ამგვარ ცხოვრებას, შეეჩვევი თანდათანობთ!

– არა მგონია!

ვერ მიმხვდარიყო ათანასე ძიძიშვილის დაფარულ გულისთქმას.

– მშენებელმა ოსტატებმა თუ გაგანაწყენეს? – ჰკითხა.

– არა, – გააწყვეტინა სიტყვა დავითმა. – მაგრამ თითქოს სიძულვილით ვარ შეპყრობილი მათ მიმართ...

– ასე რამ შეგაძულა ისინი? რატომ ივიწყებ, რომ სხვა თუ არაფერი, შენი სახელოვანი პაპის – აშოტის ღვაწლიც ხომ იმათგან მოდის.

– ავაზაკთა ბუდეა ბიზანტია. ათასგვარად გაზომილ-აწონილი, უამური სვლით. მათი ყოველი ბიჯი, სარგებლიან გაანგარიშებაზეა დაფუძნებული. რატომო, მკითხავ ალბათ. და აი ახსნაც: ყოველწლიური მუსვრა და ჟლეტა, აწიოკება, ძალისმიერი გადაგვარება პონტოს სანაპიროზე მცხოვრებ ქართველ ტომთა და ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ...

– ეგ უწინ იყო, ახლა ხომ არის კეთილმეზობლური ურთიერთობა?

– კეთილმეზობლობა არსებული ყოფითაა განპირობებული. ვჭირდებით ახლა ჩვენ რომაელთ....

იზიარებდა დავითის აზრს ათანასე. იდუმალ ეთანხმებოდა. თუმცა, დიდად არ ადანაშაულებდა ბიზანტიელთ. განა არის დედამიწაზე ერი, არ ილტვოდეს სხვათა დამორჩილებისთვის, თუკი საამისო ძალა შესწევს? წარსული დანაშაულის სამსჯავროთი ვერ წაადგები ვერაფრით მომავალს. მთავარია, საღი გონჭვრეტით შეაფასო არსებული მდგომარეობა და უკეთესი გზა მონახო მერმისისათვის – მარტო წარსულის ზომით მომავალს ვერ ააგებ, – უთხრა.

– მართალი ხარ, – ძიძიშვილს ხელი დაჰკრა მხარზე დავითმა. – წარსული გარდახდილი მატიანეა, ზოგჯერ მცდარიც და მსჯელობად ღირს მხოლოდ.

ამის შემდგომ, დავითმა ერთხელ შესჩივლა მამას, თავის მოუსვენრობის მიზეზი და სთხოვა, ცალკე სახლი აეგოთ მისთვის. პატარა სახლი ააგებინა სასახლის შორიახლოს. უფრო სწორად,. მან, ათანასემ და კიდევ ორმა კირითხურომ ააგეს სახლი, ქართული აივნებით დამშვენებული. საშუალო აზნაურიშვილს რომ შეეფერებოდა, ისეთი.

***

დიბის ახალთახალი პერანგით შემოსილი დავითი, სუფრაზე იმ დროს მივიდა, როცა ყველა დალაგებული იყო უკვე. სუფრას ანჩელი მღვდელმთავარი აკურთხებდა.

ვიდრე სუფრამდე მიაღწევდა, ცოტაოდენი პური გატეხა ძველ ნაცნობებთან.

სასახლის მხარმარცხნივ, მდელოზე, ერისთავთა და აზნაურთა მხლებლებს გაეშალათ სუფრა. გიზგიზებდა კოცონი, შიშხინით იბრაწებოდა მწვადები.

მოქეიფეებში ზარზმელი ორთაყვა შენიშნა დავითმა. ერთ წელზე მეტი გასულიყო, არ ენახა. იქითკენ გაემართა.

ფეხზე წამოცვივდნენ ღვინის სმის ეშხში შესული მოყმენი: – უფლისწულს დიდებაო! – მიესალმნენ.

– დიდება ნუ მოგაკლოს განგებამ! – სალმითვე უპასუხა დავითმა და ტოლ-სწორივით გადაეხვია ზარზმელს.

დავითის ძმადნაფიცი იყო ორთაყვა.

სიყვარულით მოიკითხეს ერთურთი ძმობილებმა. ჩამოსხდნენ. რქაწითელით სავსე ჯიხვის რქა მიაწოდეს უფლისწულს. დალოცა დავითმა თანამესუფრენი, სიჯანსაღე და დღემრავლობა უსურვა.

ნახევრამდე მოსვა სასმისი. ორთაყვას გაუწვდინა დაუცლელი რქა.

არ ეჭაშნიკა ზეზე ამართულ ორთაყვას სასმისის დაუცლელობა.

– ვერ მოგიწონებ მაგასო, – უთხრა და უკანვე დაუბრუნა ღვინიანი ყანწი.

– მეტი მომივა, – მოუბოდიშა დავითმა, – სტუმრებთან ნადიმზეც მომიწევს დალევა და ზღვარს გადავალ.

– ქერით შეშინებული ბედაური მოკვდეს, უფლისწულო! ჩვენზე ძვირფასი სტუმრები ბიზანტიელნი ვით იქნებიან და ჩვენზე კარგ სიტყვასაც ვერ გეტყვიან ისინი მგონი.

აღარ მომეშვებაო, გაიფქრა დავითმა და სულმოუთქმელად დაცალა რქა.

– აი, ეგრე, – შეუძახა ორთაყვამ – შეავსეო! – მერიქიფეს გადააწოდა სასმისი. ზევით აღმართა სავსე რქა გოლიათმა. შეჰყურებდა დავითი ზეზე მდგომ ზარზმელს და ეჩვენებოდა, თითქოს მაღალი მთიდან ბუმბერაზი დაჰყურებდა. აროდეს წახდება ის ქვეყანა, ვინც ამგვარ მოყმეთ ზრდისო, გაიფიქრა.

ორთაყვა კი ამბობდა:

– მეგობარნო! თქვენ ალბათ გიკვირთ ჩემი თამამი ქცევა! დავითი უფლისწულია, მირონცხებული მომავალი მეფე. მე კი გააზატებული ყმა გახლვართ. მიუხედავად ამგვარი სხვაობისა, სწორედ მისი ვაჟაცობის დასტურია ის, რომ ჩვენ ძმები ვართ, განუშორებელი და ძვირფასი ურთიერთისთვის. სამი რამ ყველაზე მეტად დასაფასებელია ადამიანში: დიდსულოვნება, სიწმინდე და განკითხვა მოყვასის. სამივესი უკლებლივ მფლობელია უფლისწული დავითი ჭეშმარიტად. ძლიერ გასაჭირსა და დალხინებაში მხოლოდ ერთობლივ იცნობა კაცის ბუნება. ვიცით, ურთიერსაპირისპიროა ჭირი და ლხინი. თუმცა ვიტყოდი, მეტი დაფიქრება მართებს შეჭირვებულთ და დაამებულ-თაც... მე ამ სასმისით მინდა დავლიო ჩემი ძმის, უფლისწულ დავითის სადღეგრძელო. კურთხეულ იყოს მისი სამერმისო სავალი მამულის საქებ-სადიდებლად.

– გაუმარჯოს! – ერთხმად შესძახა ორმოციოდე მოყმემ, ერთხმადვე დალია ყველამ.

– სამადლობელო შეუვსეთ! – სუფრის ბოლოდან გადმოსძახა შავშელის სახლთუფროსმა, კუპრივით შავმა მოყმემ.

სამადლობელო ყანწი მიართვეს დავითს.

– ვაჟკაცნო! – წარმოთქვა მან, – დიდად მადლობელი ვარ დღეგრძელობისა და იმ სასიკეთო სიტყვათა თქმისთვის, რაც ჩემზე გამოიმეტეთ. გამარჯვება ყოფილიყოს თქვენი მარადი თანამგზავრი. ტკბობა მოგცემოდეთ და ყოველგვარი ვარამი უკუგყროდეთ! – გამოცალა სასმისი. მას კიდევ სხვა მოყვა. შეზარხოშდა ოდნავ, მეწამულისფრად შეეფაკლა ღაწვები.

დავთვრები და სტუმრებისადმი უპატივცემოდ ჩამითვლიანო იაზრა და წასვლის ნება ითხოვა.

უარი უთხრეს...

– ჯერ თამადა ვარ და სანამ ფეხზე დგომა შემეძლება, დაუმსახურებლად არავის არ გავუშვებ სუფრიდანო! – დაიჟინა ორთაყვამ.

კვლავ აღიმართა ზეზე გოლათი: – ძმანო! – თქვა მან, – კარგია ქეიფი, მეტადრე იმ სუფრაზე, სადაც უმეტეს წილ მოყვასნი გახვევია გარშემო. ამოებაა ღვინოსთან ჭიდილი, რამეთუ ის ვაჟკაცის დამმარცხებელია! ღვინოში თანაბარწილადაა ჩაბუდებული სიკეთე და ბოროტება, სიბრძნე და ჭკუამცდარობა. უბოროტესია ის ბოროტთაგან და უკეთილშობილესი კეთილთაგან. ბრძენთა შორის ყველაზე მჭევრი და ცეტთა მოთავე. მეგობარს შეგძენს და მოშუღარს გაგიჩენს. დიდებით შეგმოსავს და ამავე დროს, წუმპეში მოგსვრის... ყველა

ამთგან, ერთი რამ მომწონს მასში მე, ტრფიალების ისრისგან განაწონ გულს მალამოდ დაედება და ოცნების ლაჟვარდში აგაფრენს უხილავ ფრთებით.,ეს სიტკბო განუმეორებელია წუთისოფლის სხვა სიტკბოთაგან. მაშ, იმ სიტკბოსი ყოფილიყოს, რაიც ჩვენი სიცოცხლის დედააზრია, უმისოდ ხომ ჯოჯოხეთის ხიბლი დაედებოდა ქვეყანას და ყველანი საკუთარი სტომაქის მონები ვიქნებოდით.

– იმ სიტკბოს გაუმარჯოს! – შესძახეს შექეიფიანებულებმა.

შორეული კაეშნის ღრუბელი აიფოფრა დავითის სხეულში. ძალუმად აეშალა ღვინის ნდომის საღერღელი.

ტრფიალებისგან განაწონ გულს მალამოდ დაედბაო, დახე რა სიმართლით თქვა ამ დევკაცმა, თანაც როგორი მჭევრმეტყველებით შეამკო ღვინო!

ანგარიშმიუცემლად დაცალა რქა. კვლავ შეავსო – სიტყვას ვითხოვ! – ჯიქურად მიმართა და აღარ დაუცადა დასტურს.

– მოყმენო! ჩემი წასვლის და თქვენი პურის ჭამის გაგრძელებისა ყოფილიყოს. ტკბილი ლუკმა გაგეტეხოთ, სიამით შეგრგებოდეთ ღირსეულთა შესაფერისად! – უთხრა, მოუბოდიშა ნაადრევი სუფრის დატოვებისთვის და სანადიმო დარბაზისკენ გასწია.

ყველა დალაგებულიყო უკვე სუფრაზე. ვაციწვერა ეპისკოპოსი მიქაელ აკურთხებდა სუფრას. ვაცისებრ მრუშიაო, ეპისკოპოსზე დადიოდა ხმები. იმასაც ამბობდნენ, თვითმარქვია უშვილო დედათა მკურნალს, ბევრი დედაწული შემოუხარჯავსო. წამით წარმოიდგინა დავითმა ავხორცობით აცუნდრუკებული მღვდელთმსახური და მისდაუნებურად გაეღიმა, რა სანახავი იქნება ვნების მორევში ჩაფლული ეს ღვთისმგმობიო.

ქართველი დიდებულნი ჩამწკრივებულიყვნენ სუფრის ერთ მხარეს: აქ იყვნენ ერისთავნი შავშეთ-სამცხისა, აზნაურნი და სხვა მრავალი გამოჩენილი პირნი, სახელოვანი რაინდნი, სეფექალნი, მუსიკოს-მეხოტბენი, ბიზანტიელი სტუმრები, უმაღლესი და მდაბიო მღვდელთმსახურნი.

სუფრის თავში, მეფის გვერდით დაედვა სავანე ბიზანტიელ ბერს. ცივი მედიდურობა ჩადგომოდა ჭროღა თვალებში. – რა კადნიერებაა, – გაიფიქრა დავითმა, – ღმრთით კურთხეული მეფის გვერდით იჯდეს ბერძენთა ეკლესიის არცთუ წარჩინებული მოხელე. ასე რამ დააბრმავა ვაზირთუპირველესი, ანდა ეს გაიძვერა სახლთუხუცესი, მლიქვნელობითა და ფარისევლობით რომ აქვს აჭიკჭიკებული ენა... ნუთუ ერთიც და მეორეც ვერ ამჩნევენ ამას? მეტი თავაზიანობა და პატივი ვნებს გულღრძო სტუმარს. გიჟს

გიჟურად უნდა მიუდგე, რადგან სიდარბაისლით ვერ გაუღვივებ თესლს გონთჭვრეტისას და უფრო-რე აღაგზნებ მორიგ უჭკუობისთვის.

მყუდრო ადგილას დამსხდარიყვნენ ევდოკია და თინათინი, დაი მისი.

აქეთ მოდიო, ხელით ანიშნა ბერძენმა ასულმა.

გაიწ-გამოიწიეს ქალწულებმა, შუაში ჩაისვეს უფლისწული.

– მე და თინათინი ვერ მოვრიგებულვართ, დავით! – შეაგება ევდოკიამ, – ამბობს, ქართული ენა ძნელად შესასწავლიაო. ოთხი თვე სრულდება, რაც ქართული მეტყველებით დავინტერესდი. თქვენებური მოძღვარი მომიყვანა მამამ კონსტანტინეპოლში, მაგრამ ვერანაირად ვერ შევითვისე ქართული!

– ჯერ, უპირველეს, ქართველი ხალხი უნდა შეიყვარო, – თქვა დავითმა და ასულთა შუაში ჩამოჯდა სკამზე.

– მე ტინატინი მიკვარს!

დამახინჯებულად წარმოთქმულ სიტყვებზე ღიმი შეადგა დავითს, ჩუმად ჩაიღიმა თინათინმაც.

– აი, ხომ ხედავ, რა მალე შეგისწავლია! ახლა დარწმუნებული იყავი, რომ სულ მალე მშვენიერი ქართულით გამებაასები! – უპასუხა დავითმა.

– სსუ! – გაისმა დარბაზში.

ფეხზე აბრძანდა მეფე.

შემართა ღვინით სავსე ფიალა.

– ძვირფასო სტუმარნო, სახლიკაცნო, რაინდნო! – მიმართა მან – ამ სასმისით მინდა დავლოცო კეთილმეზობლობა ბიზანტიისა და საქართველოსი.

მეფემ კეთილი სიტყვებით მოიხსენია ბიზანტიის ხელისუფალნი, დღეთა სიმრავლე უსურვა გამოჩენილ ხელმწიფეს, კონსტნატინეს, ოჯახითა და ნათესავებითურთ. მესიის მახვილად შერაცხა ცბიერი და გაიძვერა იმპერატორი, საზღვრდაუდებლად აქო და ადიდა მისი საქმენი.

უსმენდა დავითი მშობელს და უკვირდა, რაოდენ ძლიერი სულისკვეთების უნდა იყოს კაცი, რომ საკუთარი ნებიდან გამომდინარი საწინააღმდეგო აზრი უკიჟინოს სხვას. აბა, რომელ საქმეთა ქმნით გაითქვა სახელი კონსტანტინემ? განა იმით, რომ ათასგვარი ხვანჯებით დაქსელა ტახტისკენ მიმავალი გზა? ვერაგული ცბიერებით მოინელა რამდენი ღირსეული თანამემამულე?

თუნდაც შინაომებში გულადობით?

ყოველივე ეს ხომ უღირსთა ქცევაა და არა გმირისა?

ძლიერნი ამასოფლისანი აღმატებულად მიაჩნიათ დანარჩენთა-გან. ერთი რამ ვერ გამიგია მხოლოდ, ძალაუფლების მომხვეჭს გმირად რაცხავს ბრბო, ნამდვილ გმირს კი ვერ ამჩნევს ვერავინ. ალბათ, წუთისოფელი შენდაუნებურად გიბიძგებს ღირსეულად მონათლო კვარცხლბეკზე მდგარი ფლიდი, საკეთილოდ შეამკო მისი ქმედება, რაოდენ გასაკვირია.

გასკვირია და სამწუხაროც! დიახ, სამწუხარო მიტომაც, რომ ფარისევლობით დაბრმავებული ხალხი ვერ ამჩნევს ჯამბაზს თავდაყირა მდგარს და თავგამეტებით გაჰკივის, ცბიერ სცენის ოსტატს პირუკუ ვხედავთო. იქნება პირველი მლიქვნელი მაშინ აღზევდა, როცა უფროს-უმცროსობა გაჩნდა დედამიწაზე, მდიდრებად და ღარიბებად დაიყო საზოგადოება.

– ახლა, როცა საქრისტიანოს, – განაგრძობდა მეფე, – მძიმე გასაჭირი დასდგომია, ჩვენ, მცირე ქვეყანათა მეფენი, იმედის თვალით შევყურებთ რომაული მახვილის ელვარებას. სწორედ მის სიკაშკაშეზეა ბევრი რამ შესაძლებელი. განგების ცხოველმყოფელურმა ძალამ მოგვცეს სიმტკიცე, დიადი გამარჯვებები მოგვანიჭოს აწ და მარადის! – ამ სიტყვებით ჩაათავა სათქმელი მეფეთა-მეფემ, ზურმუხტოვან ფიალიდან მოსვა ცოტაოდენი ღვინო და დაჯდა.

ბაკურ შავშელის მეუღლესთან, ბერძენ ქალთან, საგდუხტთან გაება საუბარი თინათინს. სადღაც გაპარულიყო ევდოკია.

დავითის მოპირდაპირედ უცნობი ბიზანტიელი რაინდი იჯდა. მასთან შეუწყვეტლივ მასლაათობდა სახლთუხუცესის საოცრად ცხვირმოკაუჭებული ძე – ვარამი – ავყია და დიდგულა, ჭკვანაკლული ცოტაოდენად.

გარკვევით ესმოდა დავითს მათი საუბარი.

– მართლია ის, რომ თქვენს კეისარს ოქროს სასახლე აქვს? – ეკითხებოდა ვარამი რომაელს.

– არა მარტო სასახლე, კეისარს საჯინობოც ოქროს ფურცლებით აქვს შემოვლებული!

– საჯინიბოც? მერედა რა საჭიროა? განა სულ ერთი არ არის ცხოველისათვის, ოქრო იქნება თუ მურყანი მისი სადგომი?

– ოქროს გვირგინი რათ ახურია თქვენს მეფეს? სულერთი არაა, გვირგვინი ოქროსი იქნება თუ სპილენძისა?

– გვირგვინმოსილება, თანაც ოქროვანი, მეფეთა წესია!

– ოქროს საჯინიბოც კეისართა წესია!

– არ ხელყოფენ ავაზკანი ასეთ სიმდიდრეს? – ეკითხებოდა ვარამი.

– ბიზანტია თქვენი ქვეყანა ხომ არ გგონია? ყაჩაღთა სათარეშო! მშიერი ბრბო პურის მარცვალს გზებზე რომ დაეძებს? ჩვენთან ყველა მდიდარია და თუ ვინმე მაწანწალობს, მხოლოდ იმიტომ, რომ გარჯას გაურბის.

აშკარად ცრუობდა ბიზანტიელი. კონსტანტინეპოლში კეისრის სასახლე შორიდან მართლაც ოქროსფრად ლივლივებდა, მაგრამ ეს წარმოსახვით, სინამდვილეში კი ჩვეულებრივი ქვის ფილებით იყო აგებული. გარედან ბერძენი ოსტატების მიერ ოქროსფეროვან საღებავგადავლებული. ხოლო რაც შეეხება ღატაკებს, ბიზანტიაში გაცილებით მეტი არიან ისინი, ვინემ ჩვენთანო, ფიქრობდა დავითი.

განცვიფრებით შეჰყურებდა ვარამი, ეტყობა დაეჯერებინა ცრუპენტელობა ბიზანტიელის.

– ისიც თუ მართალია, – კვლავ ეკითხება ვარამი, – სასახლეში კეისარს ლომები სდარაჯობენო.

– ვინ გითხრა ეგ?

– მამამ მომიყვა, ათი წლის წინ ყოფილა კონსტანტინეპოლში.

– ნამდვილი ლომები იცავენ როგორც სასახლის კარიბჭეს, ასევე ტახტს კეისრისას. რამე თუ არ მოსწონთ ნადირთ, გაბრაზებულნი კუდებს ატლაშუნებენ საშინლად და გაავებით ყივიან.

– წვეულ ელჩთ არ ეშინიათ ლომებისა?

– მხოლოდ გულმზაკვართათვის არიან საშიშნი ისინი, საკეთილოდ მოსულთ კი არ ვნებენ!

– გულთმისანნი არიან? – გაიკვირვა ვარამმა.

– არა მარტო გულთმისანნი, ღვთიური განგებით მოვლენილი ანგელოზნი არიან. ლომთა სხეულში ჩასახლებულნი. ამიტომაც იცავენ საიმედოდ საქრისტიანოს საჭეთმპყრობელს. ვერავინ ხელყოფს კაცთაგან მის სიცოცხლეს!

– დიდი ცრუპენტელაა ვიღაც, – გაიფიქრა დავითმა, – ლომები მართლაც წვანან იმპერატორის მისაღებ დარბაზში, მაგრამ არა ცოცხალნი, ქვისგან გამოკვეთილნი. მართალია, კუდებს ატლაშუნებენ და ჰყივიან კიდეც, მაგრამ ეს ჯამბაზური ოინებით ხდება და არა ღვთიური საოცრებით. იქნებ ჰგონია ამ მატყუარას, არავინაა ამის მხილველი? რა საოცარია ზოგიერთი ადამიანი თვალსა და ხელს შუა გატყუებს და თვითონვე სჯერა ტყუილის. ვერავინ ხელყოფს კეისრის სიცოცხლესო, ამბობს. განა ღალატი და საწამლავი სხვათაგან მოდის, თუ არა რომაელთაგან?

... ბაკურ შავშელი აღმართულიყო ახლა ღვინიანი ფიალით. სიტყვას ამბობდა ბაკური. კანტი-კუნტად აღწევდა მისი ნათქვამი უფლისწულამდე. საოცრად ხმადაბალი ლაპარაკი იცოდა შავშელმა. გაუკვირდებოდა კაცს, ჯან-ღონით სავსე გოლიათში საიდან იყო შეხამებული ქალურ-წყნარი ლაპარაკი და კდემამოსილი ხმა? მასზე ჩუმ-ჩუმად ქილიკობდნენ სეფექალები: მხრები დევგმირისა აქვს, მხრებზევით ქალწულებრივი ზნე დაჰკრავსო. ნეტავ როგორი იქნება წელს ქვემოთო?

ქალივით წვრილი ხმა ჭეშმარიტად შეუთანაწყობელი იყო ვაჟკაცისთვის, ვნების სიზმრები ჯერ არ უხილავსო, ამბობდნენ აშარი დედაკაცები.

საოცარი ღორმუცელობით თქვლეფდა შემწვარ კალმახს იმ უცნობი რაინდის გვერდით მჯდომი რუმბივით თავდიდა რომაელი. ეს უკვე მეხუთედ შემოიტანეს ლანგარზე ახორავებული თევზი. პირწმინდად შესანსლა იგიც და მსახურს სთხოვა, კიდევ მომიტანეო.

– ეტყობა ძლიერ მოგეწონა ჩვენებური კალმახი! – სტუმარს შეეხმიანა სამცხელი აზნაური არტაშვარ ქვაბლიანელი.

– კალმახი უპირველესი თევზია თევზთა შორის! ძლიერ ნოყიერია და სასიამოვნო ხორცი აქვს! – დასძინა სტუმარმა და მოურიდებლად შეიხოცა ხელები სუფრის საფარით.

რა ველურიაო, გულში გაიფიქრა დავითმა.

– არ ბინადრობს კალმახი თქვენთან? – ეკითხება სამცხელი.

– როგორ არა, მთის ღელეებშია, მაგრამ ცოტაა და თანაც ჩვენებურ კალმახს მწკლარტე გემო დაჰკრავს. რაც უგემურად ხდის მას!

– შენ ალბათ სხვა თევზს თვლი კალმახად, მწკლარტე გემო ხომ უცხოა მისთვის.

რომაელის წამიერი გამოხედვა დაიჭირა დავითმა, გორილასებრ წაზრდილი ჰქონდა წინა ტუჩი.

– თევზთა უცნობელს მხდი, დიდაზნაურო? – იუკადრისა სიტყვის გასწორება ბიზანტიელმა.

– ვითარ გეკადრება! – მოუბოდიშა არტაშვარმა.

– სხვა რა დავარქვათ აბა მაგას?!

– კადნიერებად ნუ ჩამომართმევთ! – კვლავ მოიბოდიშა სამცხელმა, – არავინ არაა დაზღვეული შეცდომებისგან. ამგვარი მეც ბევრჯერ გადამხდენია. გუშინ თუ ვაქებ-ვადიდებდი, დღეისათვის სულ სხვა ფიქრები აღმძვრია იმის შესახებ და რასაკვირველია, მინანია ჩემი ნაადრევი გადაწყვეტილებანი კიდეც.

– ეგ შენთვისაა დამახასიათებელი ალბათ, მე კი არ ვცდები არასოდეს და რასაც ვამბობ, სიმართლის გზას არ ცილდება! – ამბობდა რომაელი.

– ღორმუცელობასთან ერთად, უჭკუობაც ღორისებური ჰქონიაო, – დაასკვნა დავითმა.

– უცდომელნი მხოლოდ წინასწარმეტყველნი დაბადებულან! ჩვენ უბრალო ხორციელნი კი ვერ ვიამაყებთ მაგით, რამეთუ ცოდვით სავსენი ვართ! – არ შეეპუა ქვაბლიანელი.

– ამაყი ლაპარაკი მოგდგამთ იბერიელთ და გავიწყდებათ ყოველთვის, სად ბრწყინავს მზე ქვეყნიერების.

– მზე ყველგან და ყველასთვის ბრწყინავს ერთა და კაცთა განურჩევლად. ხოლო რაც შეეხება ამაყ ლაპარაკს, გეტყვი, ტყეში ბინადარ ლომსაც და ქურციკსაც ერთნაირი მისწრაფებები ამოძრავებს! – აშკარა სიბრაზით ჟღერდა სამცხელის დაგუბებული ხმა.

– ნუ გავიწყდება, რომ ლომი მაინც ლომია და ქურციკი კიდევ ქურციკი! – შეაწყვეტინა ბიზანტიელმა.

– ქურციკთაგან გადათქერილი ლომიც მინახავს მე. ასე რომ ლომი ყოველთვის არაა ლომი და ყველა ლომიც არ ივარგებს ლომად! – მკვახედ მიუგო.

შეცბა თავდიდა. ვაწყენინე ალბათო, იფიქრა, ბოდიშნარევი კილო გამოურია ხმაში.

– კალმახმა კინაღამ წაგვაჩხუბა, – ღიმილით თქვა, – ჩვენს კალმახს მწკლარტე გემო იმიტომ აქვს, რომ სიცოცხლის წილს ზღვაში ატარებს, ზღვის მარილიანი წყალი კი ამგვარ გემოს აძლევსო.

– მით უმეტეს! – მიუგო არტაშვარმა, – ეგ ხომ ორაგულია და არა კალმახი!

მიხვდა ბერძენი მარცხს. ამ დროს მსახურმა თევზით სავსე ტაბლა დაუდო წინ. დიდი ხნის უჭმელივით დააცხრა ტაბლაზე დალაგებულ თევზს სტუმარი და სტომაქის ამოყორვას შეუდგა.

ამის შემყურეს გაეცინა დავითს.

– რა პურადმჭამელი ყოფილა ეს ხეპრეო! – ერთიც შეუკურთხა გულში.

ერთხანს წვერცანცარა ეპისკოპოს მიქაელის და ბერძენი ბერის საუბარს უსმენდა შორიდან. თავგამოდებით უმტკიცებდა ბერძენი რაღაცას, ეტყობოდა არ თანხმდებოდა ეპისკოპოსი.

– შეგვიქციეთო! – მემუსიკეებს უბრძანა მეფემ.

ქოსს ჩამოჰკრეს მსახურმა ქალებმა. წინწილების საამო ხმა გაიბნა დარბაზში. ყველა მიყუჩდა, ყური დაუგდო სასიამოვნო ჰანგებს.

ცოტა ხნის შემდეგ, მორიგი სასმისი ასწია მეფემ. ბიზანტია დალოცა, საქრისტიანოს ბურჯი უწოდა. ბევრი დაუმსახურებელი საქმენიც მიაწერა, აქო და ადიდა. ლამის ქვეყნიერების მზედ წარმოსახა.

მეტისმეტად უხამსია ამგვარი ზეწამოწევა სახელმწიფოსი. სადაც ერთი ერის მონურ უღელშია შეკოწიწებული სხვა ერნი და საერთოდ, ზედმეტი ქება არარას მოიტანს, გარდა გადიდგულებისა და უტიფრობისა!

ხმამაღლა კინაღამ წარმოთქვა ეს დავითმა.

ბიზანტიელი რაინდისა და ვარამის საუბარი ისმოდა. ახლა უკვე აშკარა ბაქიობაზე გადასულიყო უცხოელი.

სამცხელი ერისთავის გრგვინვისებურმა ხმამ დაფარა დარბაზი. მას აეტაცნა ფიალა. ორ ენაზე წარმოთქვა სადღეგრელო გუბაზმა. მოდარბაზეებმა ტაში დაუკრეს ერისთავს.

კვლავ ჩამოჰკრეს ებანს. ბერძნული სიმღერა დააკვესა ერთ-ერთმა სტუმარმა ქალმა. მოწონების შეძახილები აღმოხდათ მოქეიფეებს.

მორიგი სადღეგრძელოს სათქმელად სიჩუმე ბრძანა მეფემ.

– მე ყოველთვის ვიყავი, – ვარამის ხმა გაარჩია დავითმა, – მოტრფიალე ელინთა ცივილიზაციის, განუსაზღვრელად ვადიდებ თქვენს ენას, მის ტკბილჰანგოვან ჟღერადობას!

– მსოფლიოს ბრწყინვალე მზეა ბიზანტია!

– ჭეშმარიტად, – თავის ქნევით ეთანხმებოდა ვარამი, – როგორ მინდა ვინახულო თქვენი ქვეყანა, დედა კი არ მრთავს ნებასო, თქვა.

– შენ უკვე ზრდასრული ხარ და დედის ნებართვა რაღად გჭირია?

– მშობელია რაც უნდა იყოს და ურიგო იქნება ჩემის მხრივ, მის დაუკითხავად სიარული.

– ეგ სიმართლეაო, – დაემოწმა რაინდი, – მაინც ასე რად გაინტერესებს ჩვენი ქვეყნის ნახვა? – შეეკითხა.

– ყოველთვის სასურველია კაცთათვის ხილვა ჯერეთ უცნობის და ამას დაუმატე ისეთი მხარის მონახულება, როგორიც ბიზანტიაა!

თვალნათლივ დაინახა დავითმა, როგორ გაებადრა სახე ბიზანტიელს.

– ჩვენთან ხეც კი განსხვავებულად იზრდება! – გაიფუყა ის.

– წარმომიდგენია, რაოდენ განსაცვიფრებელი იქნება წმინდა სოფიას ტაძარი, მისი შემოგარენი...

– არა მხოლოდ ეგაა გასაკვირი. შენ უნდა ნახო ოლიმპო და თვალწარმტაცი ნაპირი ზღვის. აი, მაშინ დარწმუნდები ამ სიტყვათა უტყუარობაში.

– აუცილებლად ჩამოვალ წელს თქვენთან, ვიხილავ თქვენს მშვენიერ ასულთ, ნიმფებივით მოვლენილთ დედამიწაზე.

ზეაწკიპა წარბები ბერძენმა: – ჩვენ ქალწულთა ხილვით გინდა დატკბობა? – ირიბად შეხედა ვარამს, – უფრთხილდი, რომაელი ქალები მარტო ღირსეულთ მასპინძლობენ. ხომ არ გგონია, თქვენებურ დედაკაცებივით მკბენარებით იყვნენ შეწუხებულნი? ისინი სულითა და ხორცით ქათქათა და წმინდანნი არიან!

– სულითა და ხორცით ქათქათა და წმინდანნი არიანო! – ბრაზი მოერია დავითს, – არსად არ შემხვედრია იმდენი ავხორცი ქალი, რამდენიც კონსტანტინეპოლში, – კინაღამ მიახალა პირში მატყუარას და მკრეხელი ხარო, ძლივსღა შეიკავა თავი.

ბაკურ შავშელის უცაბედი მზერა დაიჭირა დავითმა. მეუღლეს ანიშნებდა რაღაცას ერისთავი.

ღრეობის ზღვრამდე მისულიყო ნადიმი. სიმარტოვე იგრძნო დავითმა, შეუმჩნევლად წამოდგა ფეხზე და ბინისაკენ გაემართა.

ფიქრები შემოეძალა განმარტოებულს. ბატის ფრთა აიღო და ეტრატზე დაუმთავრებელი ლექსის პწკარებს ჩაუყვა. იდუმალ მღეროდა გული, ოდნავ სევდიანი მელოდია დასთამაშებდა ქვეცნობიერად. ლექსიც წინათგრძნობით ნაკარნახევი, ფრთაშეკვეცილ ოცნებას მოჰგავდა როგორღაც.

გაიღო კარი და ფრთახატულა პეპელასავით შემოცქრიალდა თინათინი.

– აა!... თურმე სად დამალულხარ! – შემოჰღუღუნა, – ჩვენ კი რამდენი გეძებეთ!

ბურუსჩამდგარი ხილვით შემოხედა დავითმა.

ეუცნაურა თინათინს ძმის მინისლულ თვალებში დამალული კაეშანი. იდუმალი სევდა ამოიკითხა, შეეცოდა ვაჟკაცი. ნეტავ რა აწუხებსო, გაიფიქრა.

მოკრაძლებით დააწყო ფაფუკი ხელები მხარზე, მიეფერა: – ხომ არაფერი გტკივაო, – შეეკითხა.

გაეცინა დავითს დის ესოდენ მზრუნველობაზე, ნაზად გადმოუწია თავი, სიყვარულით აკოცა შუბლზე.

– სრულიად ჯანმრთელი გახლავარ, – უპასუხა.

– მიმალავ რაღაცას! – არ მოეშვა ქალწული.

– დამიჯერე, არა მაქვს არავითარი კაეშანი, ეს უბრალო მოწყენილობაა, რომელიც მალევე გაივლის. წარმავალია ყოველივე, დაო, ხომ მარადიულად შექცევადია ბუნება, ასეთივე ცვალებადობითაა გამორჩეული კაცთა სიცოცხლეც. სიხარულს სამძიმილი ცვლის, შემდგომ ისევე გამოკიაფდება ციურ ლაჟვარდში მისი ბედის ვარსკვლავი და ასე დაუსრულებლად... მანამ, სანამ არ დაესმება ბოლო წერტილი ყველას და ყველაფერს.

– სული ხომ მაინც დარჩება უცვლელი?

– სული ღმერთის სამსჯავროზე წარსდგება შემდგომ. იქ აიწონება ხვედრი ქმედებისა, თინათინ!

– ხვედრი ქმედებისა?

– დიახ!

– და ალბათ იტყვი იმასაც, ბოროტება ჯოჯოხეთში ჩაითუთქებაო!

– ჰო, ამგვარად გვასწავლიან წმინდა მამანი!

– წმინდა მამანი იმასაც გვასწავლიან, სამოთხეში მხოლოდ სიკეთე ისულდგმულებსო.

– ჭეშმარიტად ასეა მაგი!

– რისთვის დასჭირდა უზენაესს ამგვარი განჩინება? თუკი სამოთხეში კეთილმა უნდა გაიმარჯვოს, არ შეეძლო, სულაც არ ეშვა ბოროტება დედამიწაზე? ყოვლისშემძლე ხომ არის ღმერთი?

– ღმერთს ნუ სცოდავ, თინათინ. მან მოგვცა სახედველად თვალნი, სასმენად ყურნი, გონი – განსასჯელად. საკუთარ ხვედრს თავისივე ხელებით ჭედავს ყოველი ადამიანი. გახსოვდეს ეს! რაც გარდაგვხდენია, ან მოგელის, შენი და შენი წინაპრების ნაღვაწია.

– ცუდი საქმენი თუ ქმნა წინაპარმა, განა შთამომავალნი შემცოდედ ვითვლებით?

– უცილობლად, დაო! – თავის დაქნევით დაუდასტურა დავითმა.

– რისთვის? ჩვენ ხომ არაფერი დაგვიშავებია! უდანაშაულოთა თვალმისატყუარი მსჯავრი დიდ უსამართლობად მესახება, დავით!

– არავის გაუვლია მკაფიო ზღვარი სამართალსა და უსამართლობას შორის, თინათინ! რომც ვინმემ მოიწადინოს მისი გავლება, სიგიჟედ ჩავთვლი ასეთ ქცევას მე. არ ყოფილა უცოდველი ადამიანი დედამიწაზე, არ არის და არც იქნება არასოდეს!

– როგორ, ცოდვილნი ვართ ყველანი? – წარბები ზეაწკიპა თინათინმა.

– არა, რა თქმა უნდა!

– აბა, ეგ თქმა რას ნიშნავს? – გაურკვევლად აიჩეჩა მხრები ასულმა.

ღია სარკმლიდან მონაქროლმა სიომ, საწერ სადგამზე მოთავსებული ქაღალდის გრაგნილი გადააფრიალა. გაცურდა და იატაკზე გაიშალა გრაგნილი.

დაწვდა თინათინი, ხელში აიღო და უხმოდ ჩაიკითხა.

– ბერძენთა პოეტებს თარგმნი, დავით? – ქვეცნობიერად შეეკითხა.

– რატომ ვთარგმნი? ვწერ და თანაც საკუთარს!

– ეს შენი ლექსია? – გაკვირვებით შეხედა მან.

– ჩემია!

– მართლა შენია?! – გაუმეორა კითხვა და რა მიიღო დამადასტურებელი პასუხი, აღტაცებულმა ტაში შემოჰკრა, – რა კარგია! მუზებთან მებრძოლი ძმა მეყოლება. რატომ აქამდე არ მითხარი? ძლიერ მიყვარს პოეზია! – ბავშვურად ტიტინებდა თინათინი, – პოეზიასთან რკენა ერთბაშად მოზღვავებულმა, გიჟმაჟ მდინარესავით აბობოქრებულმა გრძნობამ იცის, დავით. მას დიდი ტრფობა ბადებს. ჩანს, საკუთარ თავზე აღმატებული სიყვარული დაგბედებია! – დაამატა ბოლოს...

განცვიფრებით შეხედა დავითმა დას. ჯადოქარივით სხვათა სულში ძვრომის ოსტატობით ხომ არაა მომადლებულიო, გაიფიქრა. ცხადლივ კი ეს უთხრა: – საიდან მოგაქვს ასეთი ცრუ შეუსაბამობა.

– ეს შეუსაბამობა არ არის! – სხარტად ჩაუჭიკჭიკა თინათინმა, – ეს უტყუარი გამოცდილებაა მრავალ ათასეულ კაცთა ყოფის. ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედი გაუხუნარი სიყვარულითაა დაჯილდოებული. პოეზია ბადებს სიყვარულს და დიდი სიყვარულით იშვება პოეზიაც!

– მაშ, შენი აზრით, პოეზია და სიყვარული ერთიმეორით ივსება? რა ქნან მაშინ იმ ადამიანებმა, რომლებსაც ტრფობით აღვსიათ გული, მაგრამ ლექსთა თხზვა კი არ შეუძლიათ? – გამომცდელი კითხვა შეაგება დავითმა.

– მათი პოეზია უთქმელი ჰანგებია!

– უთქმელი? – ორჭოფულად შეარხია ბეჭი უფლისწულმა, – ნუთუ არსებობს ასეთიც?

– უთქმელი, დიახ, უთქმელი! – კვლავ გაიმეორა თინათინმა, – რომელიც არანაკლებ ძლიერია, ვიდრე ანბანით გადმოცემული. შენ არ გინახავს უცრემლო ტირილი კაცისა? მის შეგრძნებაში ჩადუღაბებული ნაღველი მოუცილებლივ ბრუნავს საკუთარ სულშივე,

ცრემლით მტირალი კი ცრემლთან ერთად იცილებს დარდს და მშვიდდება. სულ სხვა ხიბლი აქვს უთქმელ პოეზიას. ის დღემდე ცნობილი ხილული კავშირებით არ გამოიხატება, მასში უხილავი ზეციური აცისკროვნებაა ჩაბუდებული.

ფართოდ გაიღო კარი, ოთახში ათანასე შემოვიდა.

– გაიგე, დავით? დიდი წარღვნა მომხდარა აჭარა-შავშეთში. ბევრი სოფელი წაულეკია ადიდებულ ღელეებს. სრულიად აუხვეტია საფოცხვერიას ეკლესია ღვარცოფს შავშეთში. ბევრია ადამიანთა მხსვერპლიც. ნათესებიც განადგურებულა!

– ვინ გამცნო ეგ, ათა?

– ეს-ესაა მოვიდა ლომფერ ერისთავი. უამინდობის გამო გზაში მრავალი დაბრკოლება დახვედრიათ. ამიტომაც შეგვაგვიანდაო.

დავითი ზეზე წამოდგა, სწრაფად გავარდა გარეთ. მას თინათინი და ათანასეც მიჰყვნენ უკან.

ნამგზავრი სამოსი გამოეცვალათ ახალმოსულებს. სასახლესთან ბაღში შეჯგუფულიყვნენ.

კორდზე მოქეიფეთ გვერდი აუარა დავითმა და აჭარლებისკენ გასწია.

ღიმილიანი სახით მიეგება ლომფერი. ზრდილობიანად მიესალმა.

სალმითვე უპასუხა დავითმაც. იქაური ამბები მოიკითხა, – დიდაჭარაში მთავარანგელოზის ეკლესია ხომ არ დაგისრულებიათო, – შეეკითხა ბოლოს.

– არა! – უპასუხა ლომფერმა.

მიზეზი ჰკითხა დავითმა.

– მთავარი ოსტატი დაგვიშავდა, უფლისწულო! მაღალ ხარაჩოდან გადმოვარდნილს, ჯერაც ვერ მოუკეთებია. დასტაქრები საიმედოს არაფერს გვეუბნებიან. მუდმივად ხეიბარი დარჩებაო, ასე ვარაუდობს დასტაქართა დიდი ნაწილი.

– სხვა ოსტატი არავინ გყავთ?

– ოსტატები როგორ არა გვყავს, მაგრამ ასეთ დიდ საქმეში გამოუცდელნი არიან. ამასთან, მოგეხსენება, სხვისი დაწყებულის გაგრძელება არ უყვართ... ვერც ჩვენ ვენდობით.

ახლაღა შეამჩნია დავითმა, ლომფერის გვერდით მდგარი, სასიამოვნო შესახედაობის ახალგაზრდა. ახლადაშლილი ღინღლი უფარავდა საულვაშეს. მეტყველი, ცეცხლოვანი თვალები, ფართო მხარ-ბეჭი და დაკორძილი მკლავნი მის ძალ-ღონეზე მეტყველებდა.

– ვინ არის? – ლომფერს შეეკითხა.

– მამაჩემის გაზრდილია! – მიუგო ერისთავმა, – ვაჟკაცობით ტოლს არავის უდებს და ზედმიწევნით იცის სამშენებლო საქმეც. მკვიდრადაა მიღებული ჩვენს ოჯახში. კარგი ყმაწვილია, პატიოსანი და ზრდილი.

– რა გქვია? – ჭაბუკს მიუბრუნდა დავითი.

– მირიანი! – ოდნავ შებოხებული ხმით უპასუხა სტუმარმა.

– მირიანი! – მარცვალგებით გაიმეორა უფლისწულმა, – აი, რა მირიან, ლომფერმა შენზე თქვა კარგი მშენებელი ოსტატიაო. რა აზრის იქნები, ერთი ფრიად წარმოსაჩენი საქმე რომ დაგავალოთ?

– თქვენს სამსახურში მზად ვარ, უფლისწულო!

– ოშკში მონასტრის აშენება გვაქვს გადაწყვეტილი. მოდი. შევთანხმდეთ, მთავარ ოსტატად დაგნიშნავთ, გასამრჯელოსაც კარგს მიიღებ. ოღონდ, ისეთი უნდა ააგო, ყველა დღემდე აშენებული დაჩრდილოს ამ მხარეში.

– ვეცდები, უფლისწულო! – დასტური მისცა მირიანმა – თუმცა ვერ დაგპირდები ჯერ კაცთაგან არ შექმნილის აგებას. უდიდესია ფანტაზია შემოქმედისა და მჯობნის მჯობნი არ გამოილევა, – მოკრძალებით მიუგო, მდაბლად თავი დაუკრა უფლისწულს და განერიდა.

***

ნადირობიდან ბრუნდებოდნენ. ლაღად მოაგელვებდნენ ბედაურთ ორმოცდაათიოდე რაინდ-მხედარი.

ცხენოსანთა უკან, ნანადირევით დატვირთული ეტლები მორახრახებდა უსწორო გზა-შარაზე. სამგზავრო ეტლებში შემომს-ხდარიყვნენ ქალწულ-მანდილოსანნი.

სახლთუხუცესის მეუღლის ხმამაღალი, გამომწვევი კისკისი ეფინებოდა გარემოს.

„ეტყობა მორიგი საკბილო ჩაიგდო ხელში!“ – ფიქრობდა დავითი, – თორემ ასე უზომოდ რა ახარებს მაგ ავხორცს, აბა?“ მალ-მალე შემოხედავდა ეტლზე მჯდარ ნანას. პირუკუ მიბრუნებულს, მხოლოდ მხრები მოუჩანდა. რა საოცარი ყოფილა კაცის ბუნება, ერთმანეთის სიახლოვისკენ მიისწრაფვიან ადამიანები და ამ ურთიერთობისაკენ ლტოლვას ჩვენ სიყვარულს ვარქმევთ რატომღაც. არა აქვს ზღვარი ამას არავითარი.

გულისსწორს მხოლოდ ერთხელ ირჩევს ჭეშმარიტი ადამიანი და ეს არჩევანი სწორად უნდა წარიმართოს, რათა სანანებელი არ დაურჩეს შემდგომში.

უზომო სიხარულს და აღტაცებას აეტაცა დავითი. ხუმრობა ხომ არ არის, ბოლოს და ბოლო გატყდა ნავსი, ტრფობით აღვსილი სიტყვა შეაწია მიჯნურს, თუმცა დავიწყოთ თავიდან.

ნადირის მომრეკნი ბუკითა და დაფდაფებით წრედ შემოეფინნენ ტყეს. საყვირთ გაბმულმა ხმამ დააფრთხო ნადირი და ხმაურისგან დაშინებული დაბლა ვაკისაკენ დაიძრა. უწყალოდ დაუწყეს მუსვრა ნახევარ რკალად ჩასაფრებულმა მონადირეებმა მინდორში ჩამორბენილ ქურციკთა და ირემთ.

ნანას გვერდით იდგა დავითი. მომაკვდავ ცხოველთა ყივილს მტკივნეულად განიცდიდა ქალი, თვალს არიდებდა სულთმობრძავ არსებებს.

– გატყობ, გეძნელება მომაკვდავ ნადირთა ყურება, ნანა! არ სჯობდა გაგვესეირნა ჭალაში, დაბლა? – ჰკითხა დავითმა.

– მართალი ბრძანებაა, უფლისწულო!... ამათ შემყურეს უდიდესი სევდა შემიპყრობს ხოლმე. არასოდეს გავყოლივარ სანადიროდ მიმავალ ლომფერს ტყეში. თქვენ, მამაკაცები გულქვანი ხართ, ხოცავთ დაუნდობლად ბუნების ნაშიერთ და იოტისოდენა სიბრალულსაც არ განიცდით! ისინიც ხომ მიწის შვილნი არიან?

ორნი ჩაუყვნენ ქვევით.

ჭალაში ყვავილები დაკრიფა დავითმა.

– რას აკეთებ? – ჰკითხა ნანამ.

– გვირგვინს!

– გვირგვინს?

– ჰო, შენს სადედოფლო გვირგვინს, – ჯიქურ შეაგება პასუხი უფლისწულმა და გამომცდელად შეათვალიერა ქალის შეფაკლული ღაწვები.

– სადედოფლოს? მაინც ვის მატან? – ბაგეები აუთრთოლდა ნანას, – ღირსეული ვინ მიკადრებს და უღირსს კი, იცოდე ვერ შევიფერებ.

– ოღონდ შენ იყავ თანხმა და ყოვლად ღირსეული ჩათვლის თავს ბედნიერად შენს გვერდით!

– ვითომ ასეა? მე კი ვფიქრობ, ბედნიერება მხოლოდ ჭეშმარიტ ტრფობას მოაქვს. ჭეშმარიტი ტრფობა კი არ არსებობს, უფლისწულო! ან თუ არსებობს სადღაც, ერთობ ხანმოკლეა მისი სიცოცხლე!

– რად ამბობ ასე?

– იმად, რომ ადამიანთა სულიერ წმინდა გრძნობებს თრგუნავს წუთისოფელი. სიმდიდრე და მდგომარეობა განაპირობებს ყოველივე მიწიერს.

– ნამდვილი სიყვარული?

– მხოლოდ მაღალი ფრაზებია, უფლისწულო. ადამიანთა სატყუარად თუ სათვალთმაქცოდ შემოღებული. მითხარი, ჯერ რომელიმე მეფეს თუ ჰყოლია მონის ქალი თანამეცხედრედ?

– არა მგონია!

– რატომ? ამგვარი კითხვა თუ დაგბადებია როდესმე?

– სიმართლე გითხრა, არა!

– ახსნიდი? ანდაც როდესმე თუ ცდილხარ მის ახსნას?

– არა, შენ?

– ალბათ მეც ვერ ავხსნიდი...

ვაჟმა შეკრა გვირგვინი, მელნისფერი ყვავილები ჩაუწნა წინა მხარეს.

სიფრთხილით დაახურა თავზე ქალწულს: – მშვენიერია! – უთხრა – თანაც ნამდვილად სადედოფლო გვირგვინს წააგავს! – გვირგვინმოსილს უცქირა ერთხანს.

– ნანა! – წარმოთქვა თრთოლვით, მცირე ხნის შემდგომ დავითმა.

– გისმენ!

– ნანა, – შინაგანი ღელვით კვლავ გაიმეორა ვაჟმა, – ნუ ჩათვლი ჩემს ნათქვამს მეფის მემკვიდრისად. მისმინე, როგორც თანასწორს, ცხოვრებისეული ყოფით გულანთებულს... ორი წელია შენდამი ტრფობა მასულდგმულებს. გაუნელებელ ცეცხლად ჩამდუღაბებია გულში უწმინდესი გრძნობა და საშველს არ მაძლევს. არ ვიცი რა დავარქვა ამას... მინდოდა ადრე გამემხილა, მაგრამ ყოველთვის ხელმოცარული ვრჩებოდი. რაც აქამდე ვერ შევძელი მეთქვა. ახლა გეუბნები, თანამეცხედრედ შემგულებიხარ, დაუფიქრებელ უარს ნუ მეტყვი. განსაჯე, ყოველგვარად აწონ-დაწონე და თუ თანახმა იქნები, ჩემზე ბედნიერად არავის ჩავთვლი – მიკიბულ-მოკიბული, ნახვერად არეული სიტყვებით ჩაათავა დავითმა და უსაზღვრო სიყვარულით ჩახედა მწვანე ლაჟვარდში, ეგებ თანაგრძნობის რაიმე სხივი დავიჭიროო.

მოკრძალებული სიჩუმე დალანდა მათში. თითქოს ორჭოფულობა შეამჩნია, ძალუმად დაუწყო გულმა ძგერა.

თავი ჩაქინდრა ასულმა. გაჩუმებული იყო მცირე ხანს. მერე თბილი ლაჟვარდი შეანათა ვაჟს.

– არა ვარ შენი ღირსი, უფლისწულო! – უთხრა, – არ გამოდგება მოახლე გვირგვინოსნის თანამეცხედრედ და სჯობს დროულად ამოიგდო გულიდან, რაც არამართებულად ითვლება დაბადებიდან დღემდე. ბავშვური სიანცითაა ნაკარნახევი ეგე და ისე გაქრება, როგორც ცისკარზე მიწის პირიდან ამომდინარი, ზლაზვნით განფენილი ნისლი. ნუ მიწყენ და, არ გეკადრება ტაო-კლარჯეთის მეფეთა-მეფის ძეს, მომავალ მეფეს, განუსჯელი აცეტება. ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალდებული ხარ, ისე გადაწყვიტო, როგორც ამას მოითხოვს სამამულიშვილო ინტერესი სამშობლოსი!

ეუცხოვა ნათქვამის კილო დავითს. არაბუნებრივად ჩაესმა. თითქოს დამაჯერებლად ჟღერდა ხმა, მაგრამ სხვას ამბობდნენ ქალის ოდნავ მინისლული თვალები.

ნუთუ? და ამ „ნუთუს“ მიღმა იმალებოდა დაფარული ზრახვა მის სულში ჩაუწვდენელი სიღრმის. იჭვმა გაჰკენწლა წამიერად, ატოკდა მღელვარებისგან. გვიან მოფრენილ მერცხალს თუ ვგავარ, გაზაფხულის ვერშეუცნობელსო, გაიფიქრა.

ღელის ჩუმი ჩხრიალი ამოიტანა ქვევიდან მონაქროლმა ნიავმა. მოსხის მთებზე წამოგრაგნილიყო შავი ღრუბელი.

სტვენა-ყიჟინაც ჩამქრალიყო.

სიჩუმე ნანამ დაარღვია, თავჩაქინდრულმა ძლივს მიუწვდინა: – ვატყობ, გაწყენინე კადნიერი პასუხით, უფლისწულო! შემინდე, მე ხომ შენდამი მხოლოდ უღრმესი სიყვარული მალაპარაკებს.

განთიადის შუქი ჩაეფინა თვალებში დავითს: – „ვყვარებივარ, მასაც ვყვარებივარ!“ მაშ ასე, ერთბაშად რად გადაუწურა იმედის ნაპერწკალი? რისთვის უწოდა ყმაწვილური აცეტება?

რამდენჯერ გადაწყვიტა აჭარაში ჩასვლა, მაგრამ ვერ გაბედა. ჯერ იყო და სულ რაღაც ორჯერ თუ გაესაუბრა ნანას. მეჭორეებმა კი მაინც მოასწრეს ჭორის შეთხზვა, საყვარლად უზის ლომფერის დაი დავითსო. მართალია, ხალხი ჭრელია, მაგრამ სიბრძნეც ხომ დიდი აქვს? გასაკვრია, რატომ იკაფავს გზას უწმინდური შენათითხნი მათში? რატომ ერთხელაც არ უკვირდება ბრბო, რაოდენ სცოდავს, რა დაუნდობელია მისი სამყარო, არ არჩევს პატიოსანსა და უპატიოსნოს. ზოგჯერ კი დიდების კვარცხლბეკზე აჰყავს უწმინდური და წმინდანად შერაცხავს. დავითი მიუახლოვდა სატრფოს, დაიჩოქა მის წინ და ხელები დაუკოცნა.

– მაშ, გიყვარვარ?.. გიყვარვარ!

– მაშინებს ეს კავშირი, დავით! – ჩურჩულებდა ქალი, – და რაც უფრო ვფიქრობ, ცხადად ვრწმუნდები მის შეუძლებლობაში. არ

დაგანებებენ უფლისწულს ქვეშევრდომის მოყვანას თანამეცხედრედ. შეურაცხყოფად ჩათვლის სამეფო კარი. მშობლები უარს გეტყვიან დაქორწინებაზე... სხვაგვარად... სხვაგვარად მე არ შემიძლია... ვერ ჩავიდენ მკრეხელობას. გთხოვ, დამივიწყო და ათასგზის შემინდო!

– ვიდრემდის სული მიდგას, ვერავის ვერ დაგანებებ, ნანა! შენს გარდა არავის ავირჩევ ჩემი გულის მესაიდუმლედ!

წვეთ-წვეთად დაეკიდა ცრემლი ქალწულის ყორნისფერ წამწამებზე.

ცეცხლოვანი კოცნით ამოუშრო თვალები ვაჟმა.

ტიროდა ნანა. დიდი სიხარულითა და შიშით იყო აღსავსე. რა ბედნიერი იქნება ადამიანი, რომ არ ეღობებოდეს ზღუდენი ბედნიერებისაკენ მიმავალ გზაზე.

– ნუ ტირი! – ემუდარებოდა დავითი.

მადლიერებით შემოხედა ქალმა ვაჟს და თვალცრემლიანმა თავი გულის რჩეულს მკერდზე მიადო. ქალ-ვაჟი მინდორში რომ ავიდნენ, ნანადირევი გამოეშიგნათ უკვე მსახურთ და ეტლებზე აწყობდნენ.

– ძნელი ყოფილა დიაცების სამსახური, – ბაკური ჩიოდა, – საშველი არ მომცეს, კევი დაგვიკრიფეო. ქარაფში რომ გადავიჩეხე და ფეხი ვიტკინე, მაშინ კი დამცინეს.

შეხედა დავითმა ერისთავის დაკაწრულ სახეს და გაეცინა უნებლიეთ. სიცილი სხვებსაც გადაედოთ.

– აბა არ გეგონა! – ნიშნით მიუგო ლომფერმა, – დიაცთა სამსახური ასეთია!

ლაღად მიაგელვებდნენ ბედაურთ წინ მავალნი. ქარბორბალამ დაჰბერა საიდანღაც და ვიწრო ზოლად ატაცებული მტვერი და ფოთოლთა გროვა წარიტაცა გზიდან. დაბლა დაიწია მთათა მწვერვალებზე ნისლმა. მძლავრი გრგვინვის ხმა გაისმა ზემოდან.

– ვიჩქაროთ! – ბრძანა დავითმა.

წვრილ წვეთებად წამოვიდა თქეში.

– სადმე შევაფაროთ თავი, უფლისწულო, თორემ, ვატყობ, ძლიერი დელგმა დაგვატყდება თავს! – მიმართა ბაკურმა.

– სიმართლეა! – დაეთანხმა დავითი, – მით უმეტეს, დიაცნი გვახლავან. მაგრამ შესაფარებელი რომ არსაითაა ერისთავო? თუმცა... – ჩაფიქრდა, – ამ გადასახვევში მეგულება ბერთა მიტოვებული სადგომი და იქითკენ გავემართოთ. – ცხენიანად უკან შემობრუნებულმა, ათანასეს უბრძანა: – გადაუძახე წინ მავალთ, ამ მოსახვევში ჩაუხვიონ!

მარცხნივ გადაუხვიეს თემშარიდან, გზას ქვევით ჩაუყნენ. ქვითა და ღორღით მოფენილ, ბუჩქნარებით შევიწროვებულ სავალზე, ძლივს მიაბიჯებდნენ ბედაურნი. წვიმამ უმატა.

ცოტა ხნის შემდეგ, გამოჩნდა ბერთა იავარქმნილი სადგომიც. ზევით შეაყენეს ეტლები, ბედაურნი ნაძვნარში შერეკეს და ბერთა სადგომისაკენ გაემართნენ.

ძლივს დაიტია პატარა სადგომმა რაინდ-ქალწულნი. მიტოვებული სამლოცველოს აშლილ იატაკზე გააჩაღეს ცეცხლი. მოსულიერდნენ ცოტაოდენ გათოშილი დიაცნი. შეიმშრალეს დასველებული სამოსი.

გაბმით ღმუოდა ხევში უზომოდ ადიდებული ღელე.

ცოტა ხნის შემდეგ, იკლო წვიმამ. მალე კი სრულიად გადაიღო. კარში გაეფინენ მონადირენი. ფთილა-ფთილად აკრეფილიყო მთების მწვერვალებზე ნისლები. საზარელი ხმაურით მოიგრაგნოდა წყალი, თითქოს მიწის თხიერი მასა აბობოქრებულაო. მდინარეს თან მოჰქონდა ცოცხლად მოგლეჯილი უზარმაზარი ხეები. ერთგან აკვანიც დალანდა დავითმა. აკვანს ჩაფრენილ ახალგაზრდა ქალს მოათამაშებდა გაგულისებული ღელე. მღვრიე ტალღებზე ხანგამოშ-ვებით კარგად სჩანდა განწირული ქალი, ხანაც უჩინარდებოდა. გაღმა ნაპირზე სტვენა-ყიჟინით მორბოდა რამოდნიმე კაცი, ალბათ ქალის მიშველებას ლამობდნენ.

ცდის დრო აღარ იყო. წამიერად მოატარა თვალი დავითმა შემართულ მოყმეთ.

ათანასეზე შეაჩერა მზერა და ანგარიშმიუცემლად წყალში გადაეშვა.

საკმაოდ რიგიანად იცოდა ცურვა, მაგრამ დასველებულმა სამოსმა და ტლაპონარევმა ბლანტმა მასამ გაუჭირა საქმე.

ხელის რამოდენიმე მოსმით მიუახლოვდა წყალწაღებულს. მაგრად ჩაბღაუჭებოდა აკვანს ქალი. სწორედ სულზე მიუსწრო, თმაში ჩაავლო ხელი. უზარმაზარ ლოდთან ხეები ჩაეხერგა წყალს. იქეთკენ დაითრია, ძლივს აბობღდა, ჯერ კიდევ წყალს ზემოთ წვერამართულ ლოდზე. ქალიც აიტანა. აქედან სულ ახლოს იყო მეორე ნაპირი. ამასობაში, მოვიდნენ გაღმით მოკიჟინე ადამიანებიც. ტყავის ღვედი ჩამოუშვეს.

მჭიდროდ მოუჭირა თასმა გონწასულ ქალს დავითმა და ხელით ანიშნა გაღმელებს, აიტანეთო. ნელ-ნელა აიზიდა თასმა. ვიდრემდი აიტანდნენ უგრძნობლად მიხდილ ტვირთს, ძლიერი სისწრაფით მოიმატა წყალმა და ის ლოდი, სადაც დავითი იდგა, სრულიად დაფარა.

საძირკველგამოცლილს, უჭირდა უკვე სადღაც ქვევით დარჩენილ საყრდენზე დგომა. წყლის დონე კი მატულობდა და მატულობდა... იმძლავრა ღელემ... მოწყვიტა ჭაბუკი და არნახული სისწრაფით გააქანა ქვევით.

კვლავ ისროდნენ მაშველ ღვედს მისი მისამართით, მაგრამ ისინი დავითამდე აღარ აღწევდა. ქვევით კი მძლავრი დინება კარგს არაფერს უქადდა. ცოტა რჩებოდა გადარჩენის იმედი. იფიქრა, წყალს მივენდობი და ვეცდები, უვნებლად როგორმე ჩავაღწიო დავაკებამდეო. დამდორებულ წყალთან კი, ადვილია შერკინება და ხსნაც შეიძლებაო.

აღარ სჩანდნენ არც თავისიანები, არც ის უცნობნი. უცებ, დინებამ ისეთი სიმძლავრით დააჯახა ლოდს, რომ თითქმის გონწართმეულს, აღარ ახსოვს რამდენი ატარა თავისდანებიერად წყალმა და სად გამორიყა. ერთი რამ ჩარჩა მხოლოდ გონებაში: ნაპირზე გარიყულს, უკანასკნელი ძალ-ღონის დაძაბვა დასჭირდა. ძლივს აბობღდა ზევით. ბინდში ფეზის ხმა გაისმა და მოხრილი ლანდი აისარკა წინ.

– ცოცხალი ხარ, მონაო ღვთისავ? – სიზმარეულად ჩაიჩიფჩიფა ლანდმა.

უცნობს დაფხრეწილ-დაკენკილი ბერული წამოსასხამი ემოსა.

ვინმე მეუდაბნოე იქნებაო, ივარაუდა. სცადა ზეზე წამოდგომა, მაგრამ საშინელმა ტკივილმა დაუარა. კბილები დაახრჭიალა და ღონემიხდილი ჩაიკეცა.

– ღვთის გულისათვის, მომეხმარე მამაო! – შესთხოვა.

დაიხარა ბერი. შეეცადა ფეხზე დაეყენებინა. ვერ შესძლო მაღლა აეზიდა მძიმე სხეული.

რუმბივით გაუსივდა მარცხენა ფეხი დავითს. ტკივილმა უმატა.

– ჯოხი მომიტანე მამაო, დავებჯინები.

ჯოხებზე დაბჯენილი ძლვის წამოიმართა დავითი. ტკივილმა ელვასავით დაუარა.

– ااااჰ! – არაადმიანურად ამოიღმუვლა და კვლავ ჩაიჩოქა.

ორკაპები მოიტანა ახლა ბერმა. იღლიებქვეშ ამოუწყო უფლისწულს.

– სადმე თავშესაფარში წამიყვანე, მამაო, შეუძლოდ ვარ. ვერ ვივლი მარტო ამ ტყე-ღრეში. ღმერთი გადაგიხდის სამაგიეროს. – ეაჯა.

– სტუმარი ღვთისაა, მობრძანდი. – მიიპატიჟა ბერმა, – აქვეა ჩემი სადგომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარში ამოუდგა დაზარალებულს. შენ წინ წამიძეხი, მე თვითონ ვივლიო, იუარა დავითმა.

კუს ნაბიჯებით მისდევდა ბერის მოხრილ ლანდს. შანთივით სწვავდა სხეულში დავანებული ტკივილი. არც თუ შორი მანძილის გავლა, ლამის ერთი დღის სავალი ეჩვენა და როცა ქვაბში ქვის ტახტზე ტყავები გაუშალა ქვეშსაგებად ბერმა, ორიოდე სიტყვა ძლივს ამოილუღლუღა: – მცივა, მამაო!

მთელი ღამე ბორგავდა ავადმყოფი. გაურკვევლად აბოდებდა გონმიხდილს. შველას ითხოვდა. ზეზეც კი წამოვარდა რამდენიმეჯერ, ძლივს ამაგრებდა ტახტზე ცნობაწართმეულს ბერი.

მთელი ღამე გიზგიზებდა ცეცხლი. იწვოდა ქვაბის შესასვლელთან კელაპტრად დამაგრებული კვარი. პიტნის ნაყენი დააპკურა ბერმა უგონოდ მშფოთვარეს, ასკილისა და მრავალძარღვას წვენებით დაუზილა ხურვებაქმნილი სხეული. გამთენიისას მიწვა.

ცისკრის ალიონზე გაახილა თვალი დავითმა. ქვაბის საკარედან რიჟრაჟის გაფერმკრთალებული სხივი ლიცლიცებდა. მრუმე ფერებით მოერთო კლდეში გამოკვეთილი, საკმაო ზომის მქონე ოთახი. მის პირდაპირ, ქვისსავე ტახტზე, უწესრიგოდ ეყარა ბერის სამოსი. ტახტის ერთ ბოლოზე, ულაზათოდ გამოჩორკნილი სამფეხა ტაბლაკი იდგა. ტაბლაკზე ჭურჭელი ელაგა. კარის მარცხენა მხარეს ენთო ცეცხლი. კერიის სამფეხა სადგამზე სპილენძისძირიან სურაში თუხთუხებდა წყალი. კიდევ უფრო შესიებოდა მტკივანი ფეხი. მხარშიც გრნობდა ტკივილის ჭავლებს.

კარში გამოჩნდა ბერი, ჭაღარაშერეული წვერ-ულვაშით. ჭროღა თვალები მიაპყრო დავითს. მიუახლოვდა. ციებიანივით ათრთოლებული ხელი დაადო შუბლზე, სიცხეს კვლავ აუწევიაო, – თავისთვის ჩაილაპარაკა.

– როგორ გრძნობ თავს, შვილო ჩემო? – შეეკითხა.

– მენჯსა და მხარში მტეხს ტკივილი, მამაო, – ძლივს უპასუხა დავითმა.

– ყოველივე კარგად იქნება! – დაამშვიდა ბერმა. – ფრთხილად გადახადა ზევიდან დაფარებული ტყავი, ფრთხილადვე მოსინჯა მენჯი. შემდგომ მხარს მისწვდა. საკმაო ხანს აფათურა ხელი, ხან ბეჭის ძვალს დააჭირა თითები, ხანაც ლავიწს სინჯავდა. გტკივაო? ეკითხებოდა. მალიმალ და რა მიიღებდა დასტურს, ორჭოფულად გააქან-გამოაქანებდა თავს. ბოლოს წამოიმართა ზეზე, ახლავე მოვალო, დაუბარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიდა საკმაო ხანი. დაბრუნდა მეუდაბნოე. თან ახლად გახდილი კურდღლის ტყავი და ასო-ასო აქნილი ხორცი მოიტანა. ცეცხლთან ახლოს გაფინა ტყავი გასაშრობად. წვრილ-წვრილად ხორცის ნაჭრები ნაკვერცხლებზე დააწყო. შემწვარი ხორცის საამო სუნი დატრიალდა სამყოფში.

– შემინდე, ღმერთი, ცოდვათა ჩემთაგან! – ჩიფჩიფებდა ხანგამოშვებით. შემწვარი ხორცის ნაჭრებიანი ტაბლაკი მიუჩოჩა დავითს, ჭამეო, შესთავაზა.

– არ მინდა მამაო! – იუარა დავითმა.

– გამაგრდი, შვილო, შეეცადე დანაყრდე ცოტაოდენად! – ეუბნებოდა. თან ქერის პურსა და შემწვარი ხორცის ნაჭრებს აწვდიდა.

დაანაყრა როგორც იქნა.

შემდეგ ცივწყლიანი ტილოთი დაუზილა ბეჭი და მტკივანი კიდური. ახლა კი გაუძელო, – გააფრთხილა.

ნაღრძობი ფეხი რომ დაუჭიმა ბერმა, ლამის გული წაუვიდა.

ბეჭის ძვლის დაჭიმვაც მტკივნეული აღმოჩნდა. მარილხსნარში ამოვლებული ტყავი შემოახვია ნატკენ ადგილებზე ბერმა. მტკივან მხარზე ნუ დაწვებიო, ურჩია. პიტნის ნაყენი გადაავლო დაჟეჟილ სხეულზე. წვა თანდათან დაუამდა დავითს და შვების ბურანში გახვულს ჩაეძინა.

განვლო ორმა დღემ.

ადრიანად გაეღვიძა მესამე დილას. მეუდაბნოე წაადგა თავზე. – ტკივილი კვლავ გაწუხებს, შვილო? – შეეკითხა.

– არცთუ იმდენად, მამაო! წყალი დამალევინე! – სთხოვა.

ხის მოზრდილი ჯამი ერთიანად გამოსცალა.

წამოდგომა სცადა. არ დაანება ბერმა.

– სული მეხუთება მწოლიარეს, მამაო! – დაიჩივლა დავითმა.

– არა უშავს, მიეჩვევი! – დააიმედა მეუდაბნოემ, – ტანჯვისთვისა ვართ გაჩენილნი ამ სოფლად შვილო. მთელი ჩვენი ცხოვრება ჭირთა და ლხინთა გადაბმული ჯაჭვია და ფუჭმოქმედების ცუდი მარცვალი. რამეთუ არარანი ვართ სიკვდილის შემდეგ. ფერფლი და მიწა... აი, საბოლოო მიღწევა, შფოთიანი წუთისოფლის ფინალიც და ფინალის მიღმა გადასახედიც.

– ნუთუ მარტოოდენ ფერფლი და მიწა ვართ, მამაო? განა მოგონებები არ ცოცხლობენ წარსულ გმირებზე ახლაც?

– მოგონებები სულის გახსენებაა, შვილო! არა ამა თუ იმ პიროვნებისა სრულად! გარდა ამისა, ყველას არ შესწევს უნარი

კეთილ საქმეთა ქმნისა. არაკეთილი სული ვერ შემქნის იმას, რასაც რუდუნება და საკუთარი სისხლის ფასად ამეტყველებული შრომა სჭირდება!

– ყოველი ჯურის არაკაცთაც ხომ ახენებს გარდასული დროს მატიანენი?

– ეგ მწარე დაცინვაა ისტორიისა, შვილო! განა შთამომავლობა ერთიანად აღიქვამს დიდი ვახტანგისა და მისივე მკვლელის მონა-ჯალათის სახელს? არა, ღირსეულ წინაპარს ქება-დიდება ახლავს, უღირსს – ზიზღი და სიძულვილი! ყოველი ჯურის მოღალატენი სიამტკბილობით გაუნებივრებია ჟამთა მდინარებას, მაშინ, როდესაც არცერთ ჭეშმარიტ მამულიშვილს არ უგემნია უზრუნველი სიტკბო წუთისოფლისა! დროა გარდასულის შეუცდომელი მსაჯული შვილო, მხოლოდ და მხოლოდ, დრო!

კაცთა ყივილის ხმა შემოდიოდა გარედან. ძახილი არც თუ შორიდან მოისმოდა. ნეტავი, ჩვენები ხომ არ არიან ჩემს საძებრადო, გაიფიქრა დავითმა. ერთი სული ქონდა, როდის შემოვიდოდა ეხლახანს კარში გასული მეუდაბნოე. როგორც იქნა, გამოჩნდა ისიც. რომელიღაც ბალახის გროვა შემოიტანა ლანგრით. ტაბლაზე დადგა ლანგარი. წვრილ-წვრილად დაჭრა დანით ბალახის ღეროები, შეშა შეუგზნო მბჟუტავ ცეცხლს და ცხელ წყალში ჩაყარა დაჭრილი ბალახი. რამდენჯერმე გამოუცვალა წვენი და ცალ-ცალკე ჭურჭლებში ჩაასხა. საბოლოოდ თითოეული ჭურჭლიდან ისევ ერთში გადმოასხა წვენი. კართან მიდგა გასაცივებლად.

– კაცთა ყივილის ხმა მოდის, მამაო. ვინ არიან ამ დილაუთენია? რას დაეძებენ ნეტავ? – ჰკითხა უფლისწულმა.

– ლტოლვილნი იქნებიან, გამოქცეული ყმანი, თორემ ამ უკაცრიელ ტყე-ღრეში თავისივე ნებით ვინ მოეხეტებოდა, აბა?! – უპასუხა ბერმა. – ვინ ხარ და საიდან მოდიხარ, შვილო? – შეეკითხა ცოტა ხნის შემდეგ ქვეცნობიერად.

შეაკრთო ამ კითხვამ დავითი. გაემჟღავნებინა ბერისთვის თავისი ვინაობა, ვაითუ არ გამომდგარიყო სანდო, ეს სოფლისაგან განდეგილი კაცი? ერთიც ვნახოთ, მსტოვარი აღმოჩნდეს? ყველა მკვლელისა და ავაზაკის ბუდე ხომ ტყეა. მაშინ... მაშინ, ალბათ ბორკილებით შეჯაჭვულს, სულ ადვილად გაუყენებენ ბაღდადისაკენ მიმავალ გზებზე.

– საგმირო საქმეთა მაძიებელი მოყმე ვარ, მამაო! – იცრუა დავითმა. – სახელით მდიდარი ყოფილან ჩემი წინაპარნი, მეც სახელით ვამაყობ. არ გამაჩნია სხვა რამ გამორჩეული, თუმცა კი,

ძლიერ დავიღალე ამდენი ხეტიალისგან. ჩემს ღირსეულ წინაპართ კი, ვერარა შევძინე.

– შენ თქვი სახელს ვეძიებდიო! – ჩაუკირკიტდა ბერი, – ნუთუ მარტო სახელისათვის ილტვოდი, შვილო და არ გქონდა სხვა რამ საფიქრი? სახელი მართლაც და კარგია, თუ სინდისშებღალული დიდება არ ახლავს თან. სახელი და დიდება ურთიერთგადაბმული ჯაჭვია კაცის პიროვნული ამაღლებისთვის, სახელი ქმნის დიდებას და დიდება წარმოაჩენს სახელს. უნაკლოდ ჩაითვლები მაშინ, თუკი ორივეს ერთდროულად და თანაბრად ფლობ. სახელით ნაპოვნი დიდება არა წმინდაა და არც დიდებით შეძენილი სახელია სიმართლის ფესვზე აღმოცენებული. ბრძოლა სახელის მოპოვებისა-თვის განდიდების მანკიერი მხარეა, შვილო. ამიტომ ნურასოდეს ნუ შეეცდები მის მოპოვებას. ჟამი დადგება. თვითონვე გიპოვის ის შენდაუნებურად.

– არაფერი არ მოდის აგრე ადვილად! – შეედავა დავითი, – ვთქვათ და შენი საფერი ღირსება შეგილახა წუთისოფელმა, მაშინ რას იზამ?

– მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენი! – დაბეჯითებით დაასკვნა ბერმა.

– მოთმინება დიახაც კარგია, მამაო, მაგრამ თმენითა შენით რას მიაღწევ უჩინო კაცი? მამულს ვერარას მისცემს სარგებელს ისეთს, რომ შემდგომ წლებში გახსენებად ვარგოდეს და მადლიერებით აღავსოს შთამომავლობა.

– ბევრ უჩინოთაც დიდი ღვაწლი მიუძღვნიათ მამულისათვის, თანაც დაუვიწყარი ღვაწლი!

– უსახელო კაცი მაინც აჩრდილია წუთისოფლის! – არ მოეშვა დავითი.

– სცდები! – ხელი დავითისკენ გაიშვირა ბერმა, – და ეგ შეცდომა არ გეპატიება საკეთილო საქმეზე ამხედრებულ მოყმეს. აზრთა სიბილწე სულთა სიბილწიდან მომდინარეობს. ნურასოდეს იტყვი მას, რაც ხვალვე შენ გავნებს. ნურც სიმაღლიდან გადმოხედავ დაბლა მდგომთ, დაიხსომე. მიწათა რყევა არღვევს მაღალ მწვერვალთაც.

ჩემი სიცოცხლის მანძილზე, ცოტა შემხვედრია სახელდებული კაცი ალალმართალი და უღირსეულოდ აღზევებულს ისევე უნდა ერიდო, როგორც მსწრაფლ გამდიდრებულს.

– სიღარიბე და სიმდიდრე კვალდაკვალ მდევდა ჩემი ყოფის საფეხურებზე, – კვლავ გააგრძელა ბერმა, – ღარიბი ვიყავ,

ყველასგან მიტოვებული, მონა. დიდი სიხარულით ვმალავდი უბეში კეთილი ხალხისგან გადმოსროლილ ლუკმას და მადლობას ვწირავდი გამჩენს, რომ შემეძლო მეარსება კიდევ. რა იყო ცხოვრება ჩემი? არაფერი, გარდა ტანჯვა-წვალებისა, არა მებადა. არავინ მყავდა მოსაგონარი და მომგონი. ხშირად მინატრია ხვედრი ჩემს გვერდით მიმავალ არაბის სახედრისა და ასეთ დროს მე მაინც სიცოცხლეზე ვფიქრობდი. რა მაიძულებდა მეფიქრა მასზე, რაც უკვე დიდი ხანია გამწარებული მქონდა? და იცი რა? რწმენით გასხივოსნებული იმედი უკეთესი მერმისისა, მხოლოდ ეს იყო დამაყუჩებელი მალამო დაშრეტილ-ნაგვემ სხეულისა და მე ვიბრძოდი... ვიბრძოდი და ამ ბრძოლაში ინთქმებოდა წლები. ბოლოს მაინც მივაღწიე საწადელს. უწინდელი მონა მდიდარ სოვდაგრად ვიქეცი.

– მარტო იმედიანი რწმენა ვერ გაქცევდა მდიდარ სოვდაგრად, მამაო! – სიტყვა შეატეხა დავითმა.

– მართალი ხარ, შვილო! – დაემოწმა ბერი. – რწმენა, იმედი, ბედისწერა, აი ისინი, ვინც ჩვენდა დაუკითხავას ჭედავენ კაცის მომავალს. უიმედო, ურწმუნო ადამიანი ყველაზე საშიშია. ურწმუნონი თუ რყვნიან საერთო სულს საზოგადოებისას, უიმედონი თავიანთივე სულის გამჩანაგებლები არიან. ორივ ისეთივე სახიფათოა ხალხისათვის, როგორც შავი ჟამის გამძვინვარებული აბობოქრება. ყველა უკეთურობისაკენ მიილტვის რწმენადაკარგული, ყოველგვარ უხამსობას სჩადის უიმედო.

ვერ მოგიტანს ადამიანობას სიმდიდრე. პირიქით, გამდიდრებული კაცი უფრო მეტად ცოდვილია, ვიდრე იმავე სულით ნასაზრდოები ღარიბი... როგორც გითხარი, ბედნიერი შემთხვევით თუ განგებით გავმდიდრდი. მაგრამ რა მივეცი ხალხს? შეჭირვებული დუხჭირად ვაქციე, გუშინდელ მონას სხვის ზურგზე გატლაშუნებული მათრახი შეწყალებისაკენ კი არ მომიწოდებდა, არამედ ახალი ძალით აღმაგზნებდა. ნეტარებით ვუსმენდი საწყალობელთა კივილს, შურს ვიძიებდი წამებით დამსხვრეულ სიჭაბუკისას. შურის მაძიებლად მაქცია სიმდიდრემ, რადგან ფუფუნებამაც ვერ დამიბრუნა გარდასული. წართმეული მქონდა საჭურისს ღირსება მამაკაცური და მაღალგრძნობიერ მხეცად გარდავსახულიყავ.

– ყველა ასე როდი მოიქცეოდა, მამაო!

– უმეტესობა კაცთა მოდგმისა... სულ მცირე ნაწილიღა იქმოდა კეთილად, ისიც, რა თქმა უნდა, უდიდესი ეჭვის შეპარვით...

– ნუთუ იმქვეყნიურ სასუფეველზე არ ფიქრობდი მაშინ?

– ჰმ... – შეუცნობლად დაემანჭა სახე ბერს, – რას ვიფიქრებდი, თუ კი დიდი ხანია დაგმობილი მქონდა? განვუდექ ღვთის მსახურებას, რადგან ვერ ვპოვე მასში სიმართლე გატანჯულ სულისა. არ არსებობდა ჩემში ღმერთი, მისდამი მოძღვრებას ცრუ რწმენად ვთვლიდი. ოცნებით შექმნილ იმედის გორგალს ვუდარებდი.

ბერის სიტყვაზე პირჯვარი გადაიწერა დავითმა. ლოცვა თქვა ჩუმად: – მომიტევე გამჩენო, კადნიერი ყურთასმენისთვის! – ჩაიდუდუნა.

– გაინტერესებს, რამ მიმიყვანა მე აქამდე? – განაგრძობდა ბერი. – გეტყვი ყოველივეს, – ქართული მოდგმის ჭეშმარიტი ქრისტიანი ყრმა, ვებრძოდი არაქრისტიანთ. ქველი რაინდისა და ძლიერი მეომრის სახელი მქონდა გავარდნილი. მრავალჯერ ვახლდი ბერძენთა სტრატეგოსებს სისხლისმღვრელ ბრძოლებში. ვიცოდი როგორც ყველა სისხლისმღვრელს, მეც მეწერა დასასრული და მალე მოვიდა ისიც. ტყვედ ჩავვარდი. ცხელ ქვიშაზე ვეგდე მშიერი, ეზოს ძაღლივით დაჯაჭვული. რამდენგზის უგრძნობლობაში ჩავვარდნილ-ვარ საშინელი სიცხისაგან მწყურვალი. არა მგონია იყოს ამაზე დიდი სატანჯველი.

ჩემი დახსნა გამჩენს თუ შეეძლო. ყოველწამიერ ვევედრებოდი ღმერთს, რათა მიეღო სული ჩემი და გადავერჩინე ამ საგოდებელს.

სამჯერ შეიფოთლა ტროპიკული ხურმის ხეები. ქარი და ხორშაკი, სიცივე და აგონიური სიცხე სწვავდა სხეულს. მაშინ ვირწმუნე, რომ არ იყო ქრისტე ღმერთი, ის მხოლოდ შეთხზული წარმოსახვა იყო. ვირწმუნე და უარვყავ. ვერც მუხამედის რჯულზე დავდექი დიდხანს, რადგან საკუთარი თვალით ვიხილე, ჰინდის ქვეყნის წყალუხვ მდინარეებში როგორ ცვიოდა ჭირით დასნებოვნე-ბული ათასეულები ჭეშმარიტ მუსლიმან მორწმუნეთა. მაშინ უარვყავ ალლაჰიცა და ყოვლისშემძლეობაც მისი აღარ ვიწამე.

ამდენი წანწალისგან ძალადაშრეტილი, ჩამოვეცალე საგმირო საქმეთ. ვაჭრობა დავიწყე. მალე გავმდიდრდი, მორწმუნის ნიღაბქვეშ ამოფარებული, ვძარცვავდი ყველას. აღარ ვიცოდი, სად წამეღო ამდენი განძი. მესაჩუქრებინა ვინმესთვის? არავინ მყავდა კეთილისმსურველი, არც მეგობარი... მეშენებინა მადლისთვის საყდრები? არ მიიღებდა ურწმუნოსგან ღმერთი იმ ტაძრებს და შრომა ტყუილად ჩამეთვლებოდა. დავხმარებოდი ღარიბ-ღატაკებს? რის გამო? თუკი ჩემი ქმედება სასუფეველს არ მომიტანდა და მარტო მადლიერების გრძნობას თუ აღძრავდა იმ ღატაკებში... ცოტა იყო ეს

საზღაური, რადგანაც იმ ღატაკებისგან დაისრული გული არ მომბრუნებოდა ჯერაც მათ სასიკეთოდ...

განვლო წლებმა. სრულიად გაძარცული, ვლაღობდი გარეგნულად და მაშინ, როცა ჩემი ცხოვრების მეტი ნაწილი გავლილი მქონდა, დავრწმუნდი რომ არარა ვიყავი თურმე.

მზით განაშუქარ ცაზე მე შევყურებდი შორეთში მოკიაფე მნათობებს და გაცხოველებული ინტერესით მებადებოდა კითხვა, რა ძალას შეეძლო შეექმნა ეს ყოველივე? ჩვენ, ადამიანები, უძლური ვართ ციური იდუმალების წინაშე. მაშ, რაღაც არსებობდა და გონთაჭვრეტისას, ეს აკვიატებული რაღაც ღმერთის აღიარებამდე დავიყვანე.

– და შენ კვლავ ქრისტიანულ რჯულზე მოიქეცი?

– არა, მე ვაღიარე საზოგადოდ რწმენა ღმერთისა და არა რომელიმე სარწმუნოება. უფრო სწორედ, ის სიცარიელე, რასაც განვიცდიდი, შევავსე ღმერთის რწმენით.

გაოცდა უფლისწული. სატანა ჩაბუდებულა ბერის სხეულშიო, მისდაუნებურად გაუკრთა გონებაში.

– შევავსე, – კვლავ განაგრძობდა ბერი, – რადგან მჭირდებოდა გზააბნეული სულის დასამშვიდებლად და დავლოცე კაცობრიობა, რომ შექმნა რწმენა და ადამიანებს სააქაო სიკეთისათვის საიქიო ცხონება აღუთქვა.

– მამაო! – ვეღარ მოითმინა დავითმა, – შენ უარყავი რწმენა და კვლავ აღიარე. უარყავ, რათა ვერ მოიძიე მხარე მისი ჭეშმარიტებისა და აღიარე სულის სიცარიელე რომ შეგევსო ამით. ახლა კი, ქადაგად დავარდნილი, მიუვალ ქვაბში პირწმინდად ემსახურები. განა ეს უფრო დიდი მკრეხელობა არ არის?

შენივე თქმით, მიაგენი ჭეშმარიტების მარცვალს, მაგრამ შეგეშინდა სულის სიცარიელისა და კვლავ ცრუ იდეებს მიეცი ასპარეზი; ორგზის შეგაჩვენებს შთამომავლობა მამაო, ჭეშმარიტების გაყალბებისთვის. რას ეტყვი ჩვენს შემდგომ მომავალ ხალხს? თუ უქადაგებ ურწმუნოობის დაფარულ აზრით ნაძალადევ რწმენას, ვინ დაგიჯერებს, ანდა ვის რაში ჭირდება გაყალბებული სინამდვილე. უდიდესი დაცემა სულის, ჭეშმარიტების გაყალბებაა, არ არსებობს ჩვენი ყოფის ამაზე მსახვრალი მტერი...

მოიღუშა ბერი. თვალი უაზროდ შეავლო ოკრო-ბოკროდ გამოტეხილ ჭერის ზედაპირს. დადუმდა ერთხანს.

– მისმინე, შვილო! – მიმართა ბოლოს, – ანგარიშმიუცემლად ქრისტიანობაზე შეყვარებული თვრამეტი წლის ჭაბუკი, ვებრძოდი

მომძლავრებულ მტერს. ყველა ამქვეყნიური სიამტკბილობა ერთ მიზანს დავუქვემდებარე – წინ აღვდგომოდი უცხო რჯულისანთა მძლავრობას. რა მივიღე?... გვემა მხოლოდ, ტანჯვა აღუწერელი, სულის ცხონებისათვის ვითმენდი ყოველს. განა შენ ჩემზე მეტად მორწმუნე ქრისტიანი ხარ, ვიდრე მაშინ ვიყავი მე?

არა და, თუ ეს ასე არ არის, ერთი რამ საკითხავია, რატომ არ დგახარ იქ, სადაც მაჰმადიანთა მიმდევარნი ზეიმობენ ქრისტიანებზედ? ნაცვლად ამისა, მშობლიურ გარემოში ეძიებ სახელს. მე კი, იცოდე, სახელისათვის არ მიბრძოლია. ბოროტების შხამი სათავეში იმალება და არა საცეცებში. ამიტომ უნდა ეცადო, სათავიდან ამოკვეთო ჩვენთვის მომაკვდინებელი შხამის სამსალა.

ბუნების უძღები შვილია ადამიანი. საზღვარდაუდებელი ქმედებისა და უსამართლობით გარემოსილი. ცბიერია და საკუთარ დიდებას აყოლილი მეტი წილი კაცთა. დაუკმაყოფილებელი მისწრაფებები არასასურველ ემოციებად ჩადუღაბებულა მათში, რომელთა დათრგუნვა არ ძალუძს მიწიერ ძალას. მანკიერებისკენ ლტოლვის ასალაგმავად არ არსებობს არავითარი ამქვეყნიური ზეგავლენის ფორმა, რომელიც ისე იმოქმედებდა, როგორც კაცთა გონების თვალთაგან მიუწვდენელი ზებუნებრიობის აღქმა. მასზე დაფუძნებული შიშით. სააქაო სიკეთეზე მარადიული საიქიო სიკეთის მიგება, აი, ეს არის მთავარი მიზანდასახული სწრაფვა ჭეშმარიტების გამარჯვებისათვის.

– მაინც სიცრუის მქადაგებელი იქნები მაშინ მამაო, შენივე მოძღვრების მოწინააღმდეგე. სიტყვა და საქმე ერთი უნდა იყოს... სიტყვა და საქმე...

ვთქვათ და მაგ ქადაგებით რეტდასხმული ბრბო უგონოდ დაემორჩილოს შენს მაღალაზრობრივ წამხედურობას, ნუთუ მცირეოდენი სინანულიც არ დაგტანჯავს ამ ორპირობისათვის?

– სიმართლის სამსახურში ჩაყენებული სიცრუეც კეთილშობილურია!

– სიცრუე და კეთილშობილება ორი ურთიერთსაპირისპირო მხარეა, მამაო!

– არა ყოველთვის! – თავი გააქნია ბერმა.

– ჰმ...

– ზოგჯერ მართალ სიტყვას მეტი ვნება მოაქვს, ვინემ მის მაგივრად თქმულ სიცრუეს. სიმართლესა და სიცრუეს შორის არ არის ზღვარი, ისე როგორც მზესა და მთვარეს შორის.

– ვერ დაგიჯერებ! – შეედავა დავითი, – სიცრუე ბოროტებაა, რეალობაში რა ხელი აქვს და თუ მაინც და მაინც ასეა, აღარ ყოფილა ხსნა არავითარი მაშინ.

– რატომ?

– რატომ? აი, რატომაც: ავკაცობის მსახურია სიცრუე. ბოროტების ნიშანდება. მაგრამ ყოველივე ამით არ ამოიწურება. სამაგიეროდ, სიმართლეა კაიკაცობის ელვარე სვეტი, სულ სხვა მხარეზე მდგარი და ჭეშმარიტ მიზნებით ამხედრებული. ეს ორი ურთიერთ განსხვავებული მცნება, არაერთნაირ გზნებებს ექვემდებარება და მათი ერთმანეთში აღრევა არასწორად მიმაჩნია, მამაო.

– ეგ გარეგნულად. მაგრამ დაფიქრდი, უფრო ღრმააზრობრივად და უთუოდ დარწმუნდები ამაში.

– არა მამაო, ვერ უარვყოფ მას, რაც ჩემს გონებაშია გამოხატული.

– ტაროსივით ცვალებადია გონებაც, შვილო და ნუ მიენდობი. სანამ თავის თავზე არ გამოსცდი სიავეს, მანამ ვერ გაიგებ სხვის წუხილს. და იცოდე, ცვალებადობის ბურუსს მოუცავს თითქმის ყოველი ამ სამყაროში შვილო.

– ნუთუ უცვლელი არაფერი არაა, მამაო?

– მზე! –ხმამაღლა გაისმა ქვაბში.

– მზე? – განცვიფრებით შეხედა უფლისწულმა.

– მნათობი ჩვენი! – დაემოწმა ბერი, – ერთნაირად სხივმფინარე და ხალისიანი ყოველ ცისმარე.

– ალბათ, იცვლება ისიც, ჩვენ კი ვერ ვიგებთ.

– არა, უცვლელია ვითარც უფალი.

ჭკუას აცდენილია უთუოდ ეს კაცი, გაიაზრა დავითმა. რა შედარებაა მზე და უფალი, უფლის მიერ შექმნილია მზეც, მთვარეც და დედამიწაც. უფლის კარნახით ანათებს მზე დედამიწაზე.

არცერთი სარწმუნოება არ მწამსო, ამბობს. ღმერთის არსებობას კი აღიარებს. კი არ აღიარებს, უფრო სწორედ, სურს აღიაროს და თვითონვე არ სჯერა თავისი ნათქვამისა. საოცარია... ბერის აღნაგობით სატანაა გამოცხადებული... სატანა, რომელიც ცდილობს ცოდვათა გზას დააყენოს უფლისწული.

კვლავ გადაიწერა პირჯვარი: – მიხსენ უფალო ეშმის მძლავრობისგან! – დაიჩურჩულა.

შემწვარი ხორცი და ქერის პურის ნაჭერი მიუჩოჩა ბერმა. დანაყრდიო უთხრა.

– ვერ შევჭამ, – იუარა უფლისწულმა.

სატანა თუ არის, რადაა ასეთი კეთილი? ფიქრობდა დავითი. არა, არ ჩანდა ამ ბერში ბოროტების ნასახიც. შვილივით უვლის და ეფერება ვიღაც უცნობს. განა ღვთისაგან გმობილი ეშმაკი იქმს ამას? დაუჯერებლია. თუმცა, თავისუფალი აზრებით გამოირჩევა მისი ქადაგი. მაგრამ სიმართლის ნაპერწკალი ხომ კიაფობს მასში? ამოუხსნელია ბევრი რამ წუთისოფელში, არავინაა სწორად განმსჯელი და ვარაუდით აგებული მსჯელობა, არაა დაზღვეული ცდომილებისგან. რა ვუყოთ, თუ ზოგჯერ ცდება ბერი, თავისებური გონთჭვრეტა გააჩნია, განსხვავებული ჰორიზონტებით ხედავს გარემოს. ნუთუ გასაკიცხია ეს? და რომც გასაკიცხი იყოს, შეცდომა ყველას მოგვსვლია, დიდიც და მცირეც. მრავალგვარ შეცოდებებით ვჭედავთ საკუთარ ბედსაც...

მიიწურა მეორე კვირაც. შეძლო საწოლიდან წამოდგომა დავითმა, თუმცა სიარულს ჯერ ვერ ბედავდა.

შეუმჩნევლად გაილია დღე. მოსაღამოვდა, თანდათან გაფერმკრთალდა ქვაბის კარიდან მაცქერალი სინათლე. მთელი დღე არ ჩანდა ბერი. ვერ ისვენებდა სასთუმალზე დავითი, მალ-მალე დააყურადებდა გარეთ, იქნებ მოდისო, ამაოდ...

ჩამობნელდა. ათასგვარი ფიქრი აღეძრა: – წავალ, მოვძებნიო, გადაწყვიტა და ის იყო, წამოდგომა დააპირა, რომ გამოჩნდა ისიც. ღამე მშვიდობისა უსურვა და ტახტზე მიწვა. დაღლა ეტყობოდა მხცოვანს.

ცოტა რომ შეისვენა, არცთუ სახარბიელო ამბავი ამცნო:

– ორიოდე დღის უკან მტრის მარბიელი შემოსევია თორთომს. ბევრი სოფელი აუწიოკებიათ.

– მარბიელი? – განცვიფრდა დავითი, – ჩვენი ჯარი არ შებრძოლებია?

– შებრძოლებია? როგორ არა, შებრძოლებია და თანაც ძლევამოსილად გაუმარჯვნიათ!

– ვინ უძღოდა ლაშქარს? – ვითომ სასხვათაშორისოდ იკითხა დავითმა, – ბაგრატ უფლისწული ხომ არა?

– არა! – უთხრა ბერმა, – ორი კვირაა გლოვობს სასახლე. ჯოჯიკი ყოფილა ამ ბრძოლის მოთავე.

– გლოვობს? – გაიკვირვა დავითმა, – ვინ აღესრულა ნეტავ, მამაო? ალბათ მეფე...

– ჯანმრთელადაა მხცოვანი მეფე. ეგ არის, უფლისწული დავითი დაკარგულა უგზო-უკვლოდ და ჯერაც ვერ უპოვიათ.

– როგორ? – შეუცნობლის ბურუსი გადაიკრა დავითმა. თანაც უაღრესად გაიხარა, სხვა სამგლოვიარო არ ყოფილაო. – დავით უფლისწული? სად უნდა დაკარგულიყო?

– ღვარცოფს გაუტაცნია, ვერსად იპოვეს. დაღუპულად ჩათვალეს.

– იქნებ გადარჩა?

– იქნებ?

– ყველაფერი შესაძლებელია! – წარმოთქვა მოხუცმა, – წყაროზე ხომ არ ჩასულხარ გუშინ? – ჰკითხა.

– ჩავედი, – უპასუხა დავითმა.

– ხევს გაღმა არ შეგიმჩნევია ვინმე?

– ორიოდე ბერი დავლანდე, მამაო. რაღაცას აგროვებდნენ, მგონი.

– სერზე, მღვიმეში ბინადრობენ ის ბერები! – აუხსნა მეუდაბნოემ, – საცნაური ხალხია, რამდენჯერ ვყოფილვარ მათთან. ფრიად საეჭვო ქცევა და მიზნები აქვთ. არ დანახვოდი, სჯობდა.

– რა შეუძლიათ მიქნან უღონო ღვთის მსახურებმა?

– საეჭვო ხალხი ითევს ღამეებს მათთან. გასაყიდად გამორეკილი ტყვეებიც მინახავს ბევრჯერ იმ მღვიმეში.

– გასაყიდი ტყვეებიც? – შეფიქრიანდა დავითი, – მართლაცდა ვერაგნი ყოფილან.

– ძლიერ დაინტერესებულან შენით. ვინ არისო, ერთ-ერთმა მკითხა, ამ წუთას, აქეთ რომ მოვდიოდი.

– ამ გვიანობისას სად შეგვხდა მაინც?

– წყაროსთან.

– რას აკეთებდა ამ დროს იქ? – განცვიფრდა უფლისწული.

– მეც ეგ მიკვირს, შვილო. ფარული აზრითაა ჩამოსული. ერთი რამ მაშინებს.

– რა მამაო?

– რომ შენ ამ სადგომში ითევ ღამეს.

– მერე?! – ცნობადაუკმაყოფილებელი ტონით შეეკითხა დავითი. – რაში აინტერესებთ ჩემი აქ ყოფნა?

– მაგნაირებიდან ყველაფერია მოსალოდნელი, შვილო! მსაჯულის ნიღაბქვეშ ამოფარებული ავაზაკია მეტად საშიში, ვიდრე ავაზაკის კვერთხით დიდებამოსილი მსაჯული.

მართალი იყო ბერი. ამოუცნობი ეჭვით შექმნილმა შიშმა გაურბინა გონებაში დავითს. თუკი ავაზაკებთან შეკრული არიან ის ღვთისმგმობები, კარგის მომლოდინე არ უნდა ყოფილიყო

უფლისწული. ისიც სავარაუდოა, იცნეს ალბათ და მიტომ იჩენენ ასეთ ცნობისწადილს მის მიმართ და თუ იცნეს, საფრთხე წამიდან წამზეა მოსალოდნელი. ჩუმად შეიპყრობენ ძლივს მოსიარულეს და გამოსასყიდის ფასად თუ გაათავისუფლებენ შემდგომ. თუ ვერ იცნეს, გასასყიდელ მონად მაინც გამოდგება ბაზარზე. ასე რომ, ყოველმხრივ საშიშია აქ დარჩენა. მაგრამ, სიარული რომ არ შეუძლია ჯერ, რა იღონოს?

თითქოს მიუხვდაო, უფლისწულის ფიქრებს, ბერი.

– სახიფათოა შენი აქ დარჩენა, შვილო! – უთხრა.

– როგორ მოვიქცე?

ბერი წამოდგა, მივიდა კერიასთან, აიღო სამფეხი, პირწმინდად გადაწმინდა ნაცარი, მაშის წაწვეტებული წვერით ამოაპირქვავა ქვის მრგვალი სახურავი. გამოჩნდა საკმაო ზომის ხვრელი. ადვილად ჩაძვრა კაფანდარა ბერი შიგ.

ცოტა ხნის შემდეგ, მიწისქვეშეთიდან ამოსულმა, მიმართა დავითს: – აქ უნდა დაიმალო დროებით, შვილო. ოღონდ არ შეგეშინდეს, შიგ კაცია ხორციელი, აღთქმას ასრულებს. გაუნძრეველ წოლაში ატარებს მეტ ხანს, სამყაროსთან ხილვადობას მოცილებული, სულ მარტოობაში იმყოფება.

– როგორ? შიგ ჩვეულებრივი ადამიანია, მამაო? – გაუკვირდა დავითს.

– ჰო, შვილო! – თავი დაუკრა ბერმა, – ბნელა, თუმცა ეცადე, არ ეჩვენო სახით. ასეა შეპირებული უფალზე.

– არასოდეს არ გამოდის გარეთ?

– არასოდეს!

– რას სჭამს მერე?

– მე ჩამაქვს ხანგამოშვებით, მცირეოდენ ულუფას იღებს.

– შენ რომ არ ჩაუტანო?

– მოკვდება!

ჰმ, რამდენნაირ კაცს შეხვდება ადამიანი. მწოლიარობა, ნეტავ ვიცოდე, ღვთის რა სამსახურია.

აჩქარებულად წამოდგა საწოლიდან დავითი.

ტყავი თან წამოიღეო, ურჩია ბერმა. თვითონ ჩაძვრა პირველად. ცუდადაა გამოკვეთილი საფეხურები და ფრთხილად ჩამოდიო, – უთხრა.

საფეხურები მართლაც ცუდი იყო. ორჯერ დაუცდა ფეხი. ნესტისა და შმორის სუნმა გული აურია კინაღამ.

ბჟუტავდა ბერის ხელში კვარი.

საკმაო ზომის გამოდგა მღვიმე. რომლის ბოლოში ძლივს შენიშნა დავითმა ძონძებში გახვეული ადამიანი.

სწრაფად გაშალა ტყავი დავითმა. ლოდი ამოიდო თავქვეშ და მიწვა. როცა მეუდაბნოემ დატოვა მიწისქვეშეთი და ის მცირეოდენი სინათლეც, ზემოდან რომ ბჟუტავდა, ჩაქრა, მაშინ კი იწამა – ნამდვილ სამარეში ვწევარო და როგორც არასოდეს, აღეძრა სიცოცხლის ჟინი.

მალე ჩაეძინა.

კვლავ სიბნელე დახვდა გაღვიძებულს. ალბათ დღე დამდგარიყო მაღლა. ჩახველების ხმა შემოესმა. წამოჯდა.

– გღვიძავს მოყმევ? – მისავათებული ხმა შემოესმა.

– მღვიძავს, – უპასუხა.

– გავიგე, გმირობის მაძიებელი მეომარი ყოფილხარ. ცოდვით სავსეა ეგ საქმე შვილო. ყმაწვილკაცობისას რაინდობაზე ვდებდი მეც თავს, ვერარა სარგებელი მივეცი სულს. ტყუილუბრალოდ ხეტიალი შემრჩა და იმ ცოდვის მოსანანიებლად, აქ მომიყვანა ნებამ უფლისა.

– ცოდვისა და მადლის ქმნა კაცის ხელთაა, მამაო! არ გავყვები გზას ბოროტებისას და სანანებელიც არ გამიხდება. – გაეპასუხა დავითი.

– წუთისოფელი არ დაგაყენებს საკეთილო გზაზე ყოველთვის, მოყმევ. ტყუილი ქადილი რა ბედენაა. კაცის კვლა, თვით ბოროტისაც, ცოდვად ითვლება. მახვილშემართული, ქვეყნად მოარული რაინდი, შიშისა და ძრწოლის მეტს რას მოიმკი? იცი, რამდენი ცოდვის მატარებელი ხარ შენ თვითონ ამჟამად!

– არა ვარ მე ცოდვის მატარებელი! – მიუგო დავითმა.

– ინებოს უფალმა, მაგრე ყოფილიყოს. მაგრამ არ მჯერა შენი ნათქვამი.

– დაუჯერებელი არაფერია! – სიტყვაში დამარწმუნებლობა ჩადვა დავითმა, – ცუდი არაფერი დამითესია და იმედი მაქვს, კარგს მოვიმკი მხოლოდ.

– ჰეეე!.. – ყრუდ აღმოხდა მწოლარეს. – მაგრამ, რომ ვერ მოიმკა?

– კუთვნილ მოსამკალ ყანას აუცილებლად მოიმკი, მამაო! – დაბეჯითებით მიუგო დავითმა.

– ჰა-ჰა-ჰა, – ხმამაღლა გაეცინა მწოლარეს, – ახალგაზრდული გამოუცდელობა გმართებს. ჯერ კიდევ ვერ გაგიცვნია ცხოვრების სიცხადე, ყმაწვილო! ბოროტი ითვისებს სიკეთის ნაღვაწს, ბოროტი...

ასე ყოფილა, ასე არის და ასე იქნება, სანამდის კაცობრიობა იარსებებს.

– მაგნაირი მსჯელობა ავ ზნეს აუხსნის ბორკილებს, მამაო.

– აუხსნის და აუხსნას! ჭეშმარიტებას კი მაინც ვერ გაექცევი, ვერა!

სიჩუმემ დაისადგურა სადგომში. გავიდა ცოტაოდენი ხანი. მყუდროება დავითმა დაარღვია ამჯერად.

– ისეთი ცოდვა რა ჩაგიდენია მამაო, რომ ამგვარი მძიმე სასჯელი მიგიზღვია საკუთარი სულისთვის? – შეეკითხა.

– ჰა? – მოისმა სიბნელიდან.

– რა ცოდვა ჩაიდინე, ასეთი სასჯელით რომ იტანჯები-მეთქი? – ხმამაღლა გაიმეორა.

– ცოდვა... ჩადენილი ცოდვა არც თუ დიდი მაქვს, ჩაუდენელი ცოდვისთვის მივეცი გვემას ჩემი სხეული.

– ჩაუდენელი ცოდვაც არსებობს?

– დიახ! – ყრუდ გაკვეთა სიბნელე ბერის ხმამ.

– მაგრამ, ამისათვის უფალი რომ არ გვსჯის?

– უფალი? – დამარცვლით გააგრძელა, – უფალი არ გვსჯის, მაგრამ საკუთარ სინდისთან ხომ შებილწული ვართ?!

– მაგისთვის ძე ხორციელი ვერ მოგთხოვს პასუხს და ნაფიქრალს ცოდვა-მადლის სასწორზე არ აგდებს ღმერთიც.

ადამიანი უფლის დაკანონებულ მცნებაზე უფრო მაღლა უნდა აღზევდეს, მოყმევ! განგებისგან მოვლინებული ქცევის ნორმები ყველასათვის სავალდებულოა ისევე, როგორც პური არსობისა!

– მაგრამ ვაი, რომ იმ ქცევებსაც ვეღარ ვასრულებთ!?... ვითარ ავმაღლდეთ, – დანანებით ჩაიდუდუნა უფლისწულმა.

– შეუსრულებლობა თითოეული ჩვენთაგანის ბრალია და ამ დანაშაულში საკუთარი პატივმოყვარული მისწრაფებაა გარეული. მცონარობა, შური, დაუმსახურებელი განდიდება თან ახლავს ამისდარ უმგვანო სწრაფვას.

გაოგნებული გაჰყურებდა დავითი ბერსა და მის შორის გაწოლილ უსახო სივრცეს. არა-რა სჩანდა წყვდიადის საუფლოში და წამით მოეჩვენა, რომ გარდასული სული ბაასობდა ბერის მაგივრად.

– ღმერთო! – შესთხოვა, – მიხსენი ყოველგვარ უხამსობისგან!

– ვინ არიან ეს განდეგილნი? – ფიქობდა, – ცოდვას თუ ინანიებენ, რა უცნაურად აკვიატებული მსჯელობა აქვთ? და თუნდაც აზრით განჭვრეტილი ჩადენილი ცოდვების მონანიება, ნუთუ

შეიძლება? ვერ დავიჯერებ და თუკი შეიძლება, მაშინ ჭეშმარიტებისაგან შენი სამართალიც შორს ყოფილა, ღმერთო!

ცნობიერად ჩადენილ ცოდვას მიტევება არა აქვს, არა... ეს მწოლარობა რაღას ნიშნავს, განა მონანიებით აღსდგება ის რიგთა წესი, რაც შენ უარყავ? არასოდეს! და მერმინდელი სულთა გვემაც ფუჭია, ფუჭი!

– ცუდი მოქმედებით ადრე ბოროტი განაძღე, მამაო, ახლა კი ინანიებ! ტყუილია ეგ და ფარისევლობაა. დანაშაულს გამართლება არა აქვს, არა! – დაურიდებლად მიახალა.

– სცოდავ, – მაღალი ხაფნარევი ექო დაირხა მღვიმეში. – დანაშაულიც არის და დანაშაულიც. უნებლიე მცოდეს ყოველთვის რჩება გზა შეცდომის აღიარების, ხოლო რაც შეეხება მაგ ნათქვამის მეორე მხარეს, მე ბოროტება არ განმიძღვია. მარად მის წინააღმდეგ ვიდექ შემართული და თუ სულში აღძრული უმსგავსოება, სულსვე მივეცი საგვემ-საწუხრად, რა ტყუილია?

– შენ საკუთარ სულშივე ბრუნავ, მამაო. მაგრამ ხომ არიან ისეთნიც, რომელთა ქმედებას გარე სულთა საზიანოდ გამოუსხმია შხამ-გესლა ნაყოფი. საკუთარს თუ უშველი, როგორ განკურნავ სხვის დაისრულ სულს აწ უკვე ბრმად მიხდილს?

– ავადქმნილის განკურნება შეუძლებელია, შვილო. წამლით ავადობის შეჩერებაა მთავარი მიზანდასახულობა, თორემ ის, რაც შენდა დაუკითხავად შემოპარულა, სრულიად მოცილება არ უწერია!

– ალბათ ეს სამარე წამალია შენთვის, მამაო, ავადობის დათრგუნვისათვის. უფრო სწორედ, საპყრობილეა ახალ ცოდვათა ასალაგმავად.

– წამალიცაა და საპყრობილეც... ორივ უთუოდ... ორივ უთუოდ!... – რამდენიმეჯერ გაიმეორა ბერმა.

წამალიცაა და საპყრობილეც, აღიარა, მართალი ნათქვამია. წამალი მიტომაც, რომ შეაჩეროს კვლავინდებური გახრწნა სულისა. საპყროებილეა – რათა ალაგმოს ახლად ჩასახული ბოროტება. იქნებ ეს არის ერთადერთი გამოსავალი ადამიანური ღირსების გადასარჩენად... ადამიანური ღირსების გადასარჩენად... სამარე მარტოობაში ჩაბუდებული, რაღაც შეუცნობელი და სატანური...

უფრო და უფრო დაუმძიმდა სუნთქვა დავითს. ფორთხვით გაემართა იმ მხარისაკენ, საიდანაც ჩამოვიდა წუხელ. დიდი ვაი-ვაგლახით მიაგნო საფეხურები, თანდათან აჩოჩდა მაღლა. სახურავს რომ მიუახლოვდა, შვება იგრძნო. დააყურადა, ეტყობა ვინმე გარეშენი

იყვნენ ქვაბში. უფლისწულ დავითს ახსენებდნენ, – გარკვევით გაიგონა. ამ ხმამ შეაფიქრიანა.

მალე სიჩუმემ დაისადგურა ისევ. ჩანდა, სტუმრები წავიდნენ.

რამდენიმე ხნის, შესაძლოა დღის ნახევრის გავლის შემდგომ, აიხადა მღვიმის ჩასასვლელი. ანთებული კვარით ჩამოძვრა მეუდაბნოე. ამოდიო, დავითს მიმართა.

ქვაბის ჰაერი ნეტარებად ეჩვენა უფლისწულს. ჩამავალი მზის სხივები შემოჭყეტილიყო კედლის უსწორმასწორო ქიმთა ლაბირინთებში. ბნელში საქმიანობდა ბერი.

– სტუმრები გყოლია დღეს, მამაო! – შეეხმიანა დავითი.

– მყავდა, – უხიაგად მიუგო მეუდაბნოემ და კვლავინდებურად გააგრძელა საქმიანობა.

– ვინ იყვნენ?

– შენ რომ გიხილეს, ის ღვთისმგომბები!

– რა გვინდაო, რაზე შეწუხდნენ?

– დავით უფლისწულის ხელში ჩაგდება. ამისათვის გარჯილიყვნენ.

– ჰოო! – მხოლოდ ეს თქვა დავითმა. ტახტზე ჩამოჯდა და ფიქრს მიეცა.

ნუთუ გაიგეს სადაურობა მისი და უმალავს ეს უცნაური კაცი მაინც?

ის ღამეც მღვიმეში გაატარა დავითმა.

მეორე დღეს ბედაური მოუყვანა მეუდაბნოემ. საკმაო მანძილზე გააცილა უფლისწული. გარჯისათვის დიდი მადლობა გადაუხადა დავითმა და როცა ცხენზე შემჯდარმა უკან მოიხედა, ბერის თვალებში ცრემლი დალანდა. რას მისტიროდა ნეტავ მოხუცი, წარსულ ცხოვრებას, თუ....

ვერ შეძლო ამ აკვიატებულ კითხვებზე ამომწურავი პასუხის გაცემა, გამეტებულად გადაჰკრა ცხენს მათრახი და სწრაფად გააქროლა.

Tavi mesame

დავითის დაკარგვის შემდეგ, თვე გაილია. უფლისწულის მოსაძებნად ყოველი კუთხით დაგზავნეს რაზმები. არაბთა თვალუწვდენ საამიროებიდან და ბიზანტიის პროვინციებიდან, სულ ახალ-ახალი ამბები ჩამოჰქონდათ სასახლეში, საიდუმლოდ წარგზავნილ გზირებს. სანუგეშო არაფერი ჩანდა. დუმდნენ მსტოვარნიც. კვალთა უპოვნელობის სიჩუმეში, თითქმის უკვე ყველამ ირწმუნა დავითის დახრჩობის შემაძრწუნებელი ამბავი, ათასგვარ ტყუილ-მართალით შემკული, შავი ჟამივით რომ მოედო მთელ ქვეყანას. ერთადერთი, ვისაც არ სჯეროდა მისი დაღუპვისა, იყო ბაგრატი. ახლაც ადარბადაგანში მალულად, ერთკვირიანი მოგზაურობის (თუ შეიძლება ამას მოგზაურობა ერქვას) შემდგომ, უშედეგოდ მობრუნებული მცირე რაზმი, დაღლილ-დაქანცული მოადგა სასახლის კარიბჭეს. რაზმში მირიანის, ლომფერ და გუბაზ ერისთავების, ბაკურ შავშელის გარდა, სხვა მეომრებიც ერივნენ.

ჭიშკარში შემოსულები, ბედაურებიდან ჩამოქვეითდნენ, აღვირები გადასცეს მსახურთ და ნელი ნაბიჯებით აუყვნენ სასახლის კიბეს. წინ ბაგრატი მიდიოდა.

ძმას თინათინი გამოეგება აივანზე. ცნობისწადილით მიაჩერდა სახეზე, კარგი ამბის მთხრობელი თუ ხარო, შეეკითხა. დუმდნენ მოყმეთა სახეები.

დაბინდული მზერა მიაგება ბაგრატმა თინათინის სევდიან თვალებს და დას მიმართა: – მამა დარბაზშია, თინათინ? – დარბაზშია, – ძლივძლივობით ამოთქვა ასულმა და მისდაუნებურად ცრემლები ჩამოედვარა მწყაზარ სახეზე. ხმამაღლა რომ არ ატირებულიყო, სწრაფადვე მიიმალა კარებს იქით.

მარტოდმარტო შევიდა მეფესთან ბაგრატი. მოწყენით მჯდარი მამა არ წამომდგარა ტახტიდან, არც რაიმე უკითხავს. ისედაც თვალნათლივ შეიცნო შვილის სახეზე ყოველივე.

ერთხანს უსაგნოდ გაჰყურებდა სარკმელში მიუწვდენ სივრცეს. ბოლოს უზომოდ დაღლილი თვალები მიაპყრო ჭაბუკს და ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა:

– ხვალ გლოვა იქნება გამოცხადებული სასახლეში, ბაგრატ. სპასალარს უბრძანე, რიგთა წესით დაჰკრან სამგლოვიარო დაფდაფებს. ციხე-კოშკებში შავი დროშები გადმოჰკიდონ ვაების ნიშნად.

უსიტყვოდ გამობრუნდა უფლისწული დარბაზიდან. კარებში გამოსვლისას არიშა შეეფეთა: – ვიღაც უცნობი ბერი მეფესთან შესვლას თხოულობს, უფლისწულო, ამბობს, საიდუმლო საქმე მაქვსო.

– სად არის? – ბრძენს მიაჩერდა ბაგრატი.

– კარიბჭესთან დგას, – უპასუხა არიშამ და მარჯვენა ხელი იქითკენ გაიშვირა, სადაც ის ბერი იცდიდა.

ჭიშკართან მყოფი უცნობისაკენ გადაიტანა მზერა ბაგრატმა. არიშასათვის აღარც შეუხედავს, დანდობილად მიუგო: – მსახურს უბრძანე, ჩემთან შემიოყვანოს.

ოთახში სკამზე ჩამოჯდა დაღლილი. მალე უცნობი ბერი აღიმართა კარებში. შემოსვლის ნება ითხოვა.

– მობრძანდი, – მიიპატიჟა ბაგრატმა, – მოისვენე, – სკამზე მიუთითა.

მორიდებით დაჯდა სკამზე მოხუცი. დაკენკილ-დაფლეთილი, ბერული სამოსით შემკული წვეროსანი, რაღაც უცნაურად ეჩვენა ბაგრატს. სანახევროდ დახეული ანაფორით, აბურძგნილი თმა-წვერით, ყინვა-ქარისა და მზისგან ჩაშავებული, გარქოვანებული, ნახევრად შიშველი ფეხებით, ველურს უფრო მიამგვანებდი, ვიდრე ჩვეულებრივ ღვთისმოსავს.

– გისმენთ, მამაო, – ცნობისწადილით მიაცქერდა ბაგრატი.

უხერხულად შეინძრა სკამზე მოხუცი. სხივიანი მზერა მიმოატარა გარშემო და ოდნავ დაგუბებული ხმით დაიწყო: – მე მეუდაბნოე ბერი გახლავარ. ცოტა ხნის უკან, ჩემი საცხოვრებლის ქვემოთ, ბინდისას, მდინარის პირას ვნახე დაჟეჟილ-დამტვრეული ჭაბუკი. წყალში ჩავარდნილს, ძლივს გადაერჩინა თავი. ჭაბუკმა დახმარება მთხოვა. წავიყვანე და მოვუარე. თუმცა ჯერ კიდევ არ შეეძლო სიარული, იძულებული გავხდი, გზა დამელოცა.

– ვინ იყო ის ჭაბუკი, მამაო? – მოუთმენლად წამოხტა ზეზე ბაგრატი.

– ჭეშმარიტად ვერ გეტყვი შვილო, მის ვინაობას, – თავი ორჭოფულად გააქნია ბერმა, – საგმირო საქმეთა მაძიებელი მოყმე ვარო, თქვა და მეც აღარ ჩავკირკიტებულვარ. თუმცა, ჩემს ახლოს მცხოვრებმა ბერებმა მითხრეს, ეგ დავით უფლისწული უნდა იყოსო.

– როგორი სახის იერი დაჰკრავდა იმ ჭაბუკს, ყელზე, მარცხენა ყბის ფოსოსთან, ხალი ხომ არ შეგინიშნავს?

– ხალი ჰქონდა! – დაემოწმა ბერი.

– მარჯვენა ხელზე უნეკათითო?

– უნეკათითო! – კვლავ დაუდასტურა მოხუცმა.

– დავითი ყოფილა! – აღტაცებისგან ტაში შემოჰკრა ბაგრატმა. მისდაუნებურად მიეჭრა, ნამეტანი მღელვარებისგან შეანჯღრია სტუმარი, - დავითი ყოფილა, გესმის მამაო, დავითი!

სიხარულის პირველი აღტკინება ცოტაოდენ რომ ჩაუცხრა, სად არის ახლა ის ჭაბუკიო, ჰკითხა.

მეუდაბნოემ მხრები აიჩეჩა.

– როგორ, არ იცი სად წავიდა? – გაოგნებულმა რამდენიმეჯერ ჩასძახა სკამზე მოუსვენრად მცმუკავ ბერს. ხრინწი გამოერია უფლისწულს ხმაში.

– სად წავიდა ის ჭაბუკი, მამაო? – ახლა უფრო დალაგებულად გაუმეორა, – შენ ხომ თქვი, ჩემთან იყოო.

– ნახევარ თვეს ვუმკურნალე, – შეცბუნებულმა ბერმა ძლივს ამოიდგა ენა, – როგორც გითხარი, ჯერ კიდევ არ იყო სრულიად გამოჯანმრთელებული. იძულებული შევიქენი და გამოვამგზავრე. ამის შემდეგ, მის შესახებ არა გამიგია რა.

– თუ ავად იყო, რად დართე წასვლის ნება ადრიანად? – თანაც მარტოდმარტოს. იქნებ შეუძლოდ გახდა სადმე და ნადირმა დაგლიჯა? რისთვის გახიზნულხარ წუთისოფლიდან, განა იმიტომ, რომ მხოლოდ განუსჯელი ლოცვით მოინანიო ცოდვილი სული? ნუთუ გაჭირვებულის ფეხზე დაყენება არ მიგაჩნია მადლად? რა პირით წარსდგები ღმერთთან, მოხუცო?!

დაუმსახურებელი საყვედურებისაგან სახე უცნაურად დაებრიცა ბერს. მოიკუნტა, ერთბაშად დაუპატარავდა ისედაც კაფანდარა სხეული. შეეცადა აეხსნა უფლისწულისთვის ყოველივე.

– ჩემს სადგომ ქვაბთან ახლოს, ორი საეჭვო ბერი ბინადრობს. ისინი უზომოდ დაინტერესდნენ ჩემი მდგმურით. წყაროზე ჩასული ენახათ. ერთხელ მკითხეს კიდეც, უფლისწული ხომ არ არისო. დამაეჭვა იმათმა კითხვამ. ისინი ბევრის მნახველი და ბოროტები არიან. შეშინებულმა, ცუდი არაფერი ჩაიდინონ-მეთქი, რამდენჯერმე ქვის ფარულ მღვიმეში დავმალე. მაგრამ, ვერ ვენდე მღვიმესაც. ბოლოს ბედაური ვიშოვნე და სავალი გზა დავულოცე.

– რამდენი დღე გავიდა მას შემდეგ?

– ნახევარი თვე. – უპასუხა ბერმა.

– სად იყავი აქამდე, რატომ არ გვაცნობე ეს ამბავი ადრე?

– არ მქონდა ჭეშმარიტი რწმუნება, რომ ის ჭაბუკი მართლა უფლისწული იყო.

– ახლა რამ გაიძულა ჩემთან მოსულიყავ?

– ეჭვმა, – მტკიცედ მიუგო მოხუცმა, – ეჭვმა და იმ ცნობამ, დავითის დაკარგვის შესახებ, მგზავრებიდან რომ შევიტყვე. ვიდრე აქამდე მოვაღწევდი, იქაურობა მოვიარე. აღარ არიან ის ბერები ქვაბში. განმაცვიფრა მათმა უცაბედმა გაუჩინარებამ. ამიტომ ვამჯობინე აქ მოვსულიყავი.

– და შენ დარწმუნებული ხარ, მათ გადაკარგვას ვითომ რამე კავშირი აქვს დავითთან?

– ასე ვფიქრობ, – რამოდენიმეჯერ გააკანტურა თავი მოხუცმა, – ისინი არ არიან სანდონი. ავაზაკნიც მინახავს მათ სადგომში, დაჯაჭვული ტყვეებიც კი შემხვედრია.

– მერე? – ჩაეკითხა ბაგრატი.

– ალბათ, – გააგრძელა ბერმა, – იმ ღვთისმატყუარებს ყაჩაღებთან აქვთ კავშირი. რაკი უფლისწული დალანდეს, აცნობეს ავაზაკებს და მიმავალი გზაშივე შეაპყრობინეს.

სიმართლეს წააგავდა მეუდაბნოეს ვარაუდი. მაშ, რისთვის დაინტერესდნენ დავითით ასე, განა ჭეშმარიტ ღვთის მსახურს შეეფერება ავაზაკებთან ნაცნობობა, ანდაც თავიანთ ბუნაგში ტყვეების მალვა? არა და არა. ეს ბერები ნამდვილად იმ ყაჩაღთა გზისანი არიან. რაო, რა თქვა მეუდაბნოემ? მას შემდეგ ნახევარი თვე გავიდაო? აუჰ, რა გვიანია! თუნდ ბერის თხრობისად იყოს, სადღა იპოვონ დავითი ახლა? განა ჭკუასთან ახლოა ქარის დევნა? ვინ იცის, საითკენ გაუყენეს სავალს, სად, ქვეყნიერების რომელ დასალიერში ეძიონ? ფიქრად დაიძაბა ბაგრატის გონება. იქნებ ჯერ არსადაც არ წაუყვანიათ და ყაჩაღებთან დამამცირებელ ტყვეობაში იტანჯება. არც ისე ადვილია ტყვეების საზღვარზე გადატარება. მეციხოვნე გუშაგებისგან დაშინებული ყაჩაღები, ძლიერ უფრთხიან ამგვარ მგზავრობას. არაერთი და ორი ტყვე აღალი შეუნიშნავთ მეციხოვნეებს, ბევრი დამტყვევებელი შეუპყრიათ. მეუდაბნოეს საბინადრო არემარეში წასვლა კი, აუცილებლივ საჭიროა.

– უკანვე გამგზავრებისას ჩვენც დაგიამხანაგდებით, მამაო. მოგვატარე და გვაჩვენე იქაურობა, – სთხოვა ბაგრატმა.

დაეთანხმა ბერი.

ამის შემდეგ მსახური მოიხმო უფლისწულმა, უბრძანა, სტუმარს გაუმასპინძლდიო. ბერს კი მიმართა: – დანაყრდი მამაო, ნამგზავრი ხარ, დაღლილ-მოშიებული და გზას ერთად გავუდგეთ.

მსახურს გააყოლა მოხუცი. თვითონ კი მეფესთან შევიდა, ამცნო მამას ბერის მონათხრობი.

– რას აზრობ, ბაგრატ, ხომ არ გვატყუებს ეგ კაცი? – შეეკითხა შეფიქრიანებული მეფე.

– არა მგონია მამავ. სიმართლის კვალს გასდევს მისი ნაბიჯი. ეგ საზღაურის სათხოვნელად არ მოსულა აქ, რომ ვიფიქროთ, მის მოქმედებას ანგარება უძევს სათავეშიო. მეორეც, თუკი ავაზაკებთანაა დაკავშირებული, მაშინ რიღასთვის შეიწუხებდა თავს და ამოდენა მანძილს გამოივლიდა? ისიც ხომ თქვა, დარწმუნებული არ ვიყავი უფლისწული თუ იყოო. ალბათ დიდი ხანია განდეგილადაა გასული, მარტოდმარტო მის სავანეში იმყოფება და წლობით ხალხის უნახავს, არ გაემტყუნება უფლისწულის უცნობელობაც.

– არც მთლად სწორია შენი მსჯელობა შვილო. – ბაგრატის მტკიცებულება უარყო მეფემ, – რა იცი, დავითი მანვე არ გაიმეტა რაიმე საზღაურის ფასად და ახლა მისატყუარით შენც არ გიპირებს მათ ქსელში გაბმას?

ჭკუას მოკლებული არ იყო მეფის ნააზრევი. იქნებ მართლაც ავაზაკია? ტყეში გასულს, სულ ადვილად შეჰყრის რაიმე ხიფათს და... თუმცა, რას დააკლებს, გვერდით ორმოცამდე შერჩულ მეომარს იახლებს. წასვლისას სპასალარს დაავალებს იმ მიდამოების ყურის გდებას. სხვა რაზმებსაც დაგზავნის იმ მხარეში.

თითქოს მეფე მიუხვდა ბაგრატის განსჯას, უთხრა: – ორმოცდაათიოდე დარჩეული მეომარი წაიყვანე. თორნიკეს გადაეცი, შორიახლოს გითვალთვალოს და შეამოწმეთ იქაურობის ყოველი კუთხე-კუნჭული. ეგ მეუდაბნოე არ დაგეკარგოთ თვალთაგან, რატომღაც არასანდოდ მიმაჩნია. დანარჩენს კი თქვენ თვითონ მიხვდებით. შიკრიკი გამოგზავნეთ მალი-მალ ცნობების გადმოსაცემად.

ორმოცი მხედარი შეიჭურვა სამგზავროდ. წასვლის წინ, ტირილით შემოეჭდო ბაგრატს თინათინი. ძლივს მოიშორა ბაგრატმა ასლუკუნებული და, ნუგეში სცა. სწრაფად მოევლო ბედაურს ზურგზე: – აბა გავწიოთო, – უბრძანა თანმხლებთ და პირველმა გააჯირითა ცხენი ჭიშკარში. მეუდაბნოეც გაიყოლიეს თან.

ჭიშკარში გასულებს, ათანასე და ორთაყვა შემოხვდათ ორმოცდაათიოდე მხედრით. კარნუ ქალქამდე ეწივნათ ამჯერად. მათი გამგზავრების მიზეზი რომ გაიგეს, ჩვენც წამოვალთო, განუცხადეს და მოატრიალეს ბედაურები.

უკან მოიტოვეს ციხე კლარჯეთი. ერთ მთის ძირა სოფელში გაითიეს ის ღამე.

ადრიანად წამოცვივდნენ დილის სისხამზე. სახელდახელოდ ისაუზმეს. გამომშვიდობებისას, ფული ჩაუჩხრიალა სამადლობელოდ მასპინძელს ბაგრატმა.

შეცბუნდა გლეხკაცი სტუმრის საქციელით. იუარა ფულის აღება, სტუმარ-მასპინძლის მადლი წაიბილწვისო, თავდაღუნულმა ჩაიდუდუნა.

– არა უშავს ძია, – შეათამამა ბაგრატმა. – შეძლებული მოყმენი ვართ, ეგ ვერაფერს დააკლებს ჩვენს საჭურჭლეთ. შენ კი წაგადგება, საზამთრო ტანსაცმელს შეუძენ ბავშვებს და ოჯახშიც მოიხმართო.

ეუხერხულებოდა ფულის აღება მაინც მანსპიძელს. გაურკვევლობის აღქმით გამოეწვდინა ხელები ბაგრატისაკენ. თითქოს მონეტების უკანვე დაბრუნებას ცდილობსო, მაგრამ თვალნათლივ ჩანდა, არ ეთმობოდა შინაგანად. არც გაემტყუნებოდა. ნახევრად შიშველ, თითქმის დედიშობილა ბავშვებს, ასე მოუსვენრად რომ დარბოდნენ სტუმრების გარშემო, ახალთახალი სამოსით გაახარებდა.

დაბნეულს, კვლავ ხელგამოწვდილს, ბეჭზე მარჯვენა შემოაჭდო ბაგრატმა. კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა და გამოემშვიდობა კეთილ კაცს.

თანდათანობით შევიწროვდა აღმასავალი, მრავალკეცად დახვეული გზა. სავალი მალე შქერიან ბილიკად იქცა. შქერს ალაგ-ალაგ ხმელ-ხმელი ტოტები გადმოეწვდინა ბილიკზე. შეუძლო გახდა ცხენდაცხენ სიარული. ჩამოქვეითდნენ, წინ მეუდაბნოე გაუშვეს.

შქერიანი წიფლნარმა შეცვალა. თვალშეუწვდენად ამართულ ხშირ ტევრში, ვერ ატანდა მნათობის მაცოცხლებელი სხივი. საკმაოდ გრილოდა ტყეში.

თავსზემოთ, ციცაბო ჩამოფლატულ ქარაფზე, გარეული თხა შენიშნა მირიანმა. მშვილდი გადმოიღო მხრიდან, ესროლა ისარი.

სასიკვდილოდ დაჭრილი ცხოველი, ტრიალ-ტრიალით ჩამოვარდა კლდიდან და მათგან ცოტა ქვემოთ, შქერებში ჩავარდა. სიმძიმისგან დაკეცილ ბუჩქზე, რამოდენიმეჯერ გაასხმარტალა ფეხები და სული განუტევა.

– როგორც ჩანს, გზადგაზა ვიშოვით სარჩოს, უფლისწულო, – მორიდებით შეჰღიმა ბაგრატს მირიანმა და სახელდახელოდ გამოშიგნული მთელი თხა, გაუტყავებლად გადაჰკიდა ბედაურს. ამის მერე შველი და ორი კურდღელი მოინადირეს მგზავრებმა.

რამოდენიმე სერი გადავლეს. შუადღე გადასული იყო, ერთი მაღალი მთის მწვერვალზე ასულთ, მოუბრუნდა მეუდაბნოე: – აი, იმ ადგილას, – დაბლა გაიშვირა ხელი, – ხევის ვიწრო ველი რომ

მოჩანს, იქ ვბინადრობ მე. ცოტა ზევით, მაღალი კლდის ქიმთან, მარჯვნივ, ათიოდე უტევანის დაშორებით, ქვაბში ცხოვრობენ ის ღვთისმგმობელები.

– სადა მამაო, – ვერ მიაკვლია მინიშნებულ ადგილს ლომფერმა.

– აი იქ, ორი პატარა ღელე რომ ერთვის ერთმანეთს. იმის ცოტა ზემოთ გააყოლე თვალი შვილო, მაღალ ქარაფებამდის, – აუხსნა კვლავ მოხუცმა, – ქარაფიდან ცოტაოდენ მანძილზე არიან-მეთქი ის ბერები.

უსიერი ტყით დაფარულ ხევში, არსად არ ჩანდა გზის ან წვრილი ბილიკის ნასახიც.

სერზე, ვაკე მდელოზე შეისვენეს. შეწვეს ხორცი, დანაყრდნენ. დანაყრებულები, მცირე ხნის შემდგომ წამოიშალნენ და დაბლა დაეშვნენ. სამი საათი დასჭირდა მეუდაბნოეს ქვაბამდე მისვლას.

– შენ აქ დარჩი, მამაო, – მიმართა ბაგრატმა, – აღარ გვჭირდება მეგზურობა. თუკი რაიმე დალანდე საეჭვო, ამ ხეობაში ვიქნებით ჯერჯერობით და გვამცნე როგორმე. არ დაგივიწყებთ შენს მიერ გაწეულ ამაგს. ღმერთმა მოგცეს შეწევნა და სრული ჯანი, მშვიდად ბრძანდებოდეთ, – დაეთხოვა და გამოსალმების ნიშნად გადაეხვია მოხუცს.

– მშვიდობით იყავით, – გამოემშვიდობნენ დანარჩენებიც.

ღელისპირს ჩაუყვნენ ცოტა ქვემოთ. იქ, სადაც ეს პატარა ღელე უფრო მოზრდილს ერთვოდა, შესართავთან, მდელო ხასხასებდა.

– ცხენები აქ დავტოვოთ, უფლისწულო, – მიმართა ათანასემ, – კლდოვანებში უვარგისნი არიან სასიარულოდ და ვნების მეტს ვერა სიკეთეს ვერ მოგვცემენ.

აღვირებიდან აუშვეს ბედაურები. ათი კაცი დატოვეს საყარაულოდ. აღმა აუყვენ მეუდაბნოეს მიერ მინიშნებულ ბერების სადგომისაკენ.

ქვაბში ახალთახალი ნაკვერჩხლები ღვიოდა. დაათვალიერეს ახლომახლო მიდამოები. ძე სულიერი არავინ აღმოჩნდა. საგონებელში ჩავარდნენ.

– ნეტავ ის ბერები ხომ არ იყვნენ და ჩვენი დანახვისთანავე გაუჩინარდნენ სადმე? – ჩაილაპარკა ბაკურმა.

– ადვილი შესაძლებელია ისინი ყოფილიყვნენ, ბაკურ, – გუბაზმა უპასუხა, – დაგვინახეს თუ არა, უმალვე მიიმალნენ. წავალთ და კვლავ გამოჩნდებიან, სინათლის ეშიანია უკუნს. ბოროტებაც მისი მოციქულია, სადაც წყვდიადია გამეფებული. აღვირახსნილი დათარეშობს და არაფრის რიდი არა აქვს.

ადამიანთა უებარი დასამორჩილებელი იარაღი წვეთ-წვეთად მიწოდებული ბანგია, საწამლავი, რომელიც თრგუნავს მის შემეცნებას და მოჯანყე სულს ბურუსს შემოაკრავს გარშემო.

– სადაც წყვდიადი არ იმეფებს, ვითომ აღარ იქნება ბოროტება? – შავშელს შეეკითხა ლომფერი.

– ბოროტება იარსებებს, მაგრამ სინათლის სახით, გზის მაჩვენებელი მეგზური ეყოლება სიკეთეს და მოგეხსენებათ, რაოდენ ადვილია მისი დათრგუნვა ამ დროს, – ხმამაღლა თქვა შავშელმა და წინ მდებარე საკმაოდ მოზრდილ ლოდს გადააბიჯა.

ზევით აუყვნენ. სერის წვერამდე მიღწეულებმა გულდასმით მოჩხრიკეს იქაურობა.

ერთგან გაავებული აფთარი შეეფეთა ბაკურს. დამრეც, კლდოვან წარაფზე ეშვებოდა. ლოდთა ნაპრალებიდან აქა-იქ უსწორმასწოროდ ამოჩრილ მცენარეთა ტოტებზე მობღაუჭებული, ძლივს იჭერდა საკუთარ სხეულს რომ არ ჩამოვარდნილიყო და ამ დროს, კლდის მეორე მხრიდან, აფთარი ამობობღდა, უცნობის დანახვისთანავე დაიღრინა მხეცმა.

შეტევისათვის მოემზადა ბაკური. ძლივს ჩაცურდა კლდოვან ბაქანზე, პიტალოს აეკრა და მახვილი იშიშვლა. ბრძოლა აღარც შემდგარა, ერთბაშად მოსკდა ბაქანზე კორდი და ბაკურიანად ძირს ჩამოვარდა. ერისთავს არაფერი დაშავებია.

აფთარი ზემოდან დასცქეროდა არასასურველ სტუმარს და ალბათ შეტევაზე აღარც ფიქრობდა.

მშვილდი გამართა ბაკურმა და ის იყო, უნდა ესროლა, რომ ბაგრატმა ქვემოდან ამოსძახა, აღარ ესროლოო.

დაუშვა ერისთავმა მშვილდი და ნელ-ნელა დაბლა დაეშვა. უფლისწულთან რომ მივიდა, ჰკითხა, ასე რად დამიძახეო.

– ჩანს ახლომახლო ბუნაგი ჰქონია ნადირს. ბუნაგში კნუტებიც ეყოლება, ამიტომ შეგიტია ასე თავგამოდებით. მე კი იმიტომ დაგიძახე, რომ კნუტები შემეცოდა. – აუხსნა ბაგრატმა.

– ტყუილად შეგბრალებია კნუტები უფლისწულო. ისინიც ხომ ისეთი დაუნდობლები იქნებიან, როგორიც მათი დედაა, – ჩაურთო იქვე მდგომმა სამცხელმა.

– ასე ავია აფთარი?

– აფთარი სიავესთან ერთად, საშიშიცაა და ღორმუცელაც. მე არ შემხვედრია ამ ნადირის ნარჩენი ლეში. ის იმდენად გაუმაძღარია, რომ მონადირებისას საკბილოს ძვლებსაც კი არ ტოვებს სადმე. თუ

შეგხვედრიათ სრულად შეჭმული ცხოველი, აუცილებლად აფთრის ნამოქმედარია.

– ალბათ ჯგუფებად ესევიან მსხვერპლს, – იკითხა ახლადამოსულმა ათანასემ, – და მრავალ მშიერ მხეცს, არ ჰყოფნის მაძღრისად ნანადირევი.

– არა, – იუარა გუბაზმა, – აფთარი ხროვად იშვიათად იკრიბება. ყოველთვის მარტოდმარტო ნადირობს. მაშინაც კი, როდესაც საკმაოდ წამოზრდილი კნუტები ახლავს დედას, ნანადირევის მირთმევისას ერთი აურზაური ატყდება.

მე მინახავს აფთრისა და მისი კნუტების დაუნდობელი ჩხუბი. ისინი ამ დროს ფლეთენ ერთმანეთს, ვითარც გადამთიელნი და ერთიმეორეს სამუდამოდ განშორებულნი, მარტოსულ ცხოვრებას ეწევიან ტყე-ღრეში. ამ დროს, ყოვლად შეუძლებლობის ნაგეშით აბობოქრებული, მხეცური სისხლის ჩქროლვა ჩანს მათ ყოველ საქციელში. არა მგონია, აფთარზე შეუბრალებელი მხეცი იყოს დედამიწაზე. ბუნებას მისთვის რომ მიებოძა უდიდესი ძალ-ღონე, ერთთავად ამოსწყვეტდა სხვა ნადირთ ისე, რომ მათი სახსენებელიც აღარ დარჩებოდა. ასეა კაცთა ყოფაშიც. არის ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც შეწევნა რომ ჰქონოდათ, სრულიად გაჟუჟავდნენ დანარჩენებს და მათებრთა ხელში მიტოვებულ ქვეყანას, ცოდვით ავსებულ ჯოჯოხეთს დაამსგავსებდნენ.

– დღესდღეობით საკმაოდ მძლავრობენ ერისთავო, ასეთნი და როცა სრულიად გაბატონდებიან, ალბათ ის იქნება ყიამეთის პირველი ნიშანი, წინასწარმეტყველნი ქვეყნიერების დასასრულად რომ ნათლავენ.

– ეგ სატანის დროებითი აღზევებაა, ათანასე. ადამიანთა ცხოვრების ზოგიერთ მონაკვეთში, უსამართლობის ზეიმით გაფურჩქ-ნილი უწმინდურება, გარემოს შავი ჟამივით მოედება და ამგვარი სენით დაკნინებული საზოგადეობა, მრავალ ასეულ წელს ითხოვს გასამრთელებლად.

აღარ შეპასუხებია ათანასე. ჩუმად აუყვა აღმართს.

ვაკეზე შეჩერება ბრძანა ბაგრატმა. შეისვენეს, მცირედ დანაყრდნენ. ლომფერის რჩევით, მაძიებელნი ორ ჯგუფად გაიყვნენ. მალე ათანასე და ორთაყვა მეომრებთან ერთად, ხევში დაეშვნენ.

მეორე ჯგუფი ჯერ არ აშლილიყო ადგილიდან. ბაგრატმა თანამგზავრებს მიმართა, პატარ-პატარა ჯგუფებად დავიყოთ და საგულდაგულოდ მოვჩხრიკოთ აქაურობა. უცნობი ვინმე თუ მოიხელთოთ ბანაკში, ბედაურები რომ დავტოვეთ, იქ მიიყვანეთო.

ქვევით დაშვებისას მირიანი უნებურად ასცდა თანამგზავრებს. აღარ მოტრიალებულა მათ საძებრად.

მარტო იარა ღელის პირ-პირ. თხმელის კორომში, ბარამბოსა და ლეშხის სიმაღლე, ზოგან მხრებამდე აღწევდა. მაღალ ბალახნარში მიმავალს, თავსზემოთ დაჰყურებდა ყვითელთავას აშოლტილი ღეროები. რამდენიმეჯერ ჭანჭრობში ჩავარდა. მომეტებულმა სინესტემ ფეხებში შეჟონა. ხეთა ტოტებში მზის მცირეოდენი სხივიც კი ვერ ატანდა. ირგვლივ იდუმალი სიჩუმე სუფევდა. ხანდახან დამფრთხალი ნადირის უცაბედი გაშლიგინება თუ დაარღვევდა ამ მყუდროებას.

ასე ვიდოდა საკმაო ხანს. ვიდრე ღელის გაღმიდან გამომავალი, ძლივს შესამჩნევი ბილიკი არ გამოჩნდა. ღელის ჩახრამულ ადგილზე, ბილიკის გასწვრივ, ხის ძელი იყო გადებული. ძელზე გადაიარა და წყავისა და შქერის ბუჩქებში აწელილ სავალს აუყვა. ბორცვზე ასულს, ირმების ჯოგი შემოეფეთა. შქერიანში გაუჩინარდნენ ცხოველები.

ირმებს რამდენიმე რუხი მგელი მოსდევდა უკან. სწრაფად გადმოიღო მშვილდი მხრიდან და სულ მეწინავე მდევარს ესროლა ისარი.

დაკოდილმა ნადირმა საზარლად დაიყმუვლა და გააფრთებით ეკვეთა ჭაბუკს. ორი მოვარდა კიდევ. გვერდებიდან ქშენა რომ შემოესმა, მიხვდა, ნადირთა რკალში მოხვედრილიყო.

ათიოდე ნაბიჯი აშორებდა ჯერ კიდევ დაკოდილს. ფიცხლად გაიძრო სატევარი და ირიბად მოტრიალებულმა, ჯერ მარჯვნივ მოიქნია. მახვილმა შუაზე გაკვეთა მხეცი. მარცხენა მხრიდან მოსულს, ფარი დაუხვედრა. ფარზე შეხლილ ცხოველს, ვიდრე რაიმეს მოიმოქმედებდა, ზემოდან დაჰკრა ხმალი და სული გააფრთხობინა.

დაჭრილი ახლოს აღარ მოსულა. ერთი საზარლად შეჰყმუვლა და ბუჩქებში გაბობღდა.

დილყის ფურცლებით გაწმინდა სისხლით მოსვრილი მახვილი, ჩააგო ქარქაშში, შვილდი მხარზე გადაიკიდა და ბილიკს გაუყვა.

მის წინ ამართულ პატარა ბორცვიდან, ყვირილი გაისმა: – ჰო-ჰო-ჰოოო!

გაღმიდან შეეხმიანა ვიღაც.

შეყოვნდა მირიანი. ნეტავ ვინ არიან? გაიფიქრა. დააყურადა, მერე მცირე ხანს იდგა ასე და შემდეგ ბორცვისაკენ გასწია. ბორცვზე ასულს, ხმამაღალი ძახილი რომ გაიგონა, იქ არავინ დახვედრია. გულმოდგინედ დაათვალიერა იქაურობა, ამაოდ. ერთხელ კიდევ მოჩხრიკა მეჩხერი მუხიანი და ბილიკს მიჰყვა.

დასავლეთისკენ საკმაოდ გადახრილი, მზის ბაცი სხივების თვალთა ფირუზი უჭვრეტდა ჭაბუკს. წყურვილისგან ყელი გაუშრა.

ბორცვს რომ გასცილდა, ქვემოთ, ღორღებში მიმდინარე წყარო გამოჩნდა. ფრთხილად ჩაუყვა ღორღიანს. წყაროს სათავესთან რომ ჩავიდა, ფარი და მშვილდი გადმოიღო მხრიდან.

წყაროს გუბურაში ლურჯად კიაფობდა ცა. ჩაიმუხლა და ის იყო, წყალს უნდა დასწაფებოდა, რომ თავს ზემოთ რაღაცამ ჩქამი გაიღო. იქვე ახლოს, ქვიან ფლატეზე, ლანდი შენიშნა. მისდაუნებურად წამოიჭრა ზეზე. ძალზე ახლო მანძილზე მდგარი, იარაღასხმული მოყმე შერჩა ხელში. თავითფეხამდე იარაღშეჭურვილ წვეროსანს, სანახევროდ ჩამოეშვა ჯაჭვის პირბადე, სახის ზემო ნაწილი სრულებით არ უჩანდა.

სწრაფად იშიშვლა მახვილი უცნობმა. ვეღარ დაასწრებდა ფარის აღებას მირიანი. მძლავრად ჩასჭიდა ხელი ხმლის ვადას და გაიწკრიალა ფოლადმა...

ძალოვნად შემოუტია მომხვდურმა. ყოველგვარი დამცველი საშუალებებით მოსილთან, ძნელი გახდა რკენა. თავი რომ აერიდებინა თავბრუდამხვევი დარტყმისგან, ნელი-ნელ დაიწია უკან, იმ მიმართულებით, სადაც ფარი დადო მცირე ხნის წინ.

ფარის ასაღებად რთული ხერხის გამოყენება დასჭირდა. ზევიდან მოქნეულ მახვილს, მახვილი დაუხვედრა ჰაერში, ვადის ბოლოთი დაიჭირა მოწინააღმდეგის მოქნეული მახვილი, სწარფადვე გადაატარიალა ხელი და მხარშექცეულს ფეხი დაჰკრა. ოდნავ წაიბორძიკა მოძალადემ, წამიერად შეეხო ცალი ხელით მიწას, სწრაფადვე აღიმართა.

დროის ესოდენ მცირე მონაკვეთიც საკმარისი აღმოჩნდა, ფიცხლივ დასწვდა ფარს და გულგამაგრებულმა შეუტია.

თითქოს მიწიდან ამოძვრაო, პირველის შორიახლოს, მარცხენა მხრიდან, მეორე ყაჩაღი აისვეტა. ოჰო, გაიფიქრა მირიანმა. სჩანს, ნამდვილი ბრძოლა მომიწევს ახლაო და ვიდრე ერთ-ერთი ზურგიდან შემოვლას დააპირებდა, თავადვე მიეჭრა. არ გაუმართლა ჩანაფიქრმა, მარჯვენა მხარეს მდგარს გამეტებით რომ დაჰკრა, მარცხნივ მყოფმა მოასწრო თვალსა და ხელს შუა გაძრომა და ზურგს უკან მოექცა.

წინასაც ვერაფერი დააკლო. მოწინააღმდეგის მუზარადზე დაცემულმა მახვილმა, ირიბად აისხლიტა. ძლიერად მოქნეული მახვილი ვეღარ შეაჩერა და გასროლის ძალამ, მისდაუნებურად მხარი აქცევინა.

გაურკვევლობის შეუცნობელმა ტალღამ დაუარა სხეულში. თითქოს წინათგრძნობამ უბიძგაო, განზე გახტა. გახტომა და ზურგსუკან მყოფის შემოტევაც ერთდრული აღმოჩნდა. მეორისაკენ გაწეულს აღარ დასჭირდა ხელის მოქნევა. მისივე თანამოზიარის სატევრით გულგანგმირული, უღონოდ ჩაიჩოქა.

მხარმარჯვნივ მოტრიალებულმა მირიანმა, წამით შეასწრო თვალი უნებლიე მკვლელს. მუზარადი ახდოდა, მოშიშვლებულ თავზე გამეტებულად ჩაარტყა სიბრტყივ ფარი. ძლიერი დაკვრისგან დარეტიანებული ყაჩაღი, მიწაზე პირქვე დაემხო.

ქვა-ღორღიან ზედაპირზე, პირაღმა იწვა დაჭრილი. მცირე ხანს ჩუმად ხროტინებდა, ბოლოს სრულიად მიყუჩდა. აღარ ეტყობოდა სიცოცხლის ნიშან-წყალი. ნაიარევი სწორედ იქ აჩნდა, სადაც სიცოცხლის მარეგულირებელია მოთავსებული. თვალები ღია დარჩენოდა მიცვალებულს. შელეწილ მკერდიდან, ჯერ კიდევ ნელ ნაკადად მომდინარე, მეწამულისფერი სითხე შედედებულ ბელტებად მიხმობოდა წითელ ფერში სრულად მოსვრილ სამოსს.

მეორისკენ შემოტრიალდა მირიანი.

ვიდრე სრულ გონზე მოვიდოდა, ტყავის თასმებით მჭიდროდ შეუკრა ხელები. წყალი დააპკურა რამოდენიმეჯერ. როგორც იქნა, გონს მოეგო ყაჩაღი, წამოჯდა. შეკრული ხელების განთავისუფლება სცადა, ვერაფერი დააკლო ძლიერ მოჭერილ თასმებს. მკერდის არიდან შეუცნობელი ბგერებით ამოიღმუვლა და ბედს მინებდა.

დახრილმა მირიანმა სახე ახლოს მიიტანა უცნობთან: – ვინა ხარ და რას მემართლებოდიო, – ჩასძახა.

დუმდა ავაზაკი.

– ვინა ხარ-მეთქი, – ახლა კი ხელით შეანჯღრია.

უცებ უკან გადატრიალდა ყაჩაღი, მკერდში ძალუმად დაჰკრა ორივე ფეხი მირიანს და ზეღმართულმა, იქვე დავარდნილ მისსავე მახვილს ორივე ხელი დასტაცა.

მსუბუქად დაეცა მიწაზე მირიანი, მსუბუქადვე წამოიჭრა. ახლა კი ინანა გულში, ხელები უკანა მხარეს რომ არ შეუკრა ავაზაკს და ამით თავდაცვის გარკვეული შანსი გაუჩინა.

ხმალი დაჰკრა მისკენ წამოსულს ხმალზე, მახვილის დავარდნის ექომ გაჰკვეთა ჰაერი. ძლიერად გააწნა სახეში ხელი. დარტყმამ მიწაზე დასცა ყაჩაღი, შადრევანივით გადმოჩქეფა ცხვირიდან სისხლმა.

ყელზე მიაჭდო სატევარი მირიანმა.

– ვინა ხარ-მეთქი, თორემ დედის მზეს ვფიცავ, ახლავე გაგაფრთხობინებ სულს ჭრელი ასპიტივით, – შეუყვირა.

შეუცნობელი ბგერები ამოიღმუვლა ხორხიდან ავაზაკმა.

– მაინც არ იტყვი? – კვლავ დაარისხა ხმა.

დუმილი.

ოდნავ დააწვა მახვილს ყელზე, სისხლმა გამოჟონა ხორხიდან.

– ახლაც არ იტყვი?

კვლავ დუმილი.

– ადექი ზეზე და გამიძეხი წინ, – უბრძანა. ამაზე კი დაემორჩილა ტყვე, ზლაზვნით წამოდგა ფეხზე.

– ამ გზით იარე, – სავალზე მიუთითა.

დღის სინათლით განვლეს ნახევარი გზობა. მთვარის ნათელი ოქროსფეროვან ციალად მიმოიფრქვა ტყეში. ნელ-ნელა მიარღვევდნენ მაღალ ბალახნარს.

წინ ტყვე მიდიოდა. ხანგამოშვებით შედგებოდა, გაოგნებულს მუჯლუგუნს წაჰკრავდა მირიანი.

გაბმით აყმუვლდნენ მგლები. დათვთა ბურდღუნი და ტოტების ლაწა-ლუწი ისმოდა აქეთ-იქიდან. ნაკვერცხლებივით კვესავდნენ სიბნელიდან გამომზირალი ნადირის თვალები.

– ჰა-ჰა-ჰა�ა! – შეუკიჟინა მირიანმა.

– ჰო-ჰო-ჰოოო! – ბორცვის თავზე გაისმა საპასუხო ძახილი.

მივახლოვებულვარო, გაიფიქრა და – ჩქარა გადადგი ფეხიო, – დაუცაცხანა ტყვეს.

ბანაკში მისულს ახალი ამბავი დახვდა. შეიარაღებულ ადამიანთა ჯუგფი დაელანდა სამცხელს ტყეში, უკან დავედევნეთო, მაგრამ მათ გზა-კვალს ვეღარ მივაგენითო, უყვებოდა კოცონთან გარშემომსხდართ გუბაზი.

მირიანის დანახვაზე, გახარებული წამოდგა ლომფერი. მიეგება ჭაბუკს, – რატომ დააგვიანე, სად იყავიო, – უსაყვედურა, – ძახილი რომ არ მოგწვდენოდა, საძებრად მოვდიოდითო.

– ავაზაკნი დამესხნენ ძია. ორნი იყვნენ, ბრძოლა ამიტეხეს. ერთი მისსავე თანამგზავრმა გაუყენა იმ ქვეყანას, მეორე კი შევკარ და წამოვიყვანე.

– წამოიყვანე! – გაკვირვებით ჩაჰკითხა ლომფერმა, – კიდევ კარგი, ვერაფერი გავნეს. ნუღარ წახვალ მარტოდ ტყეში მირიან, ჩანს ეს ადგილები ავაზაკებითაა სავსე. სახიფათოა მარტოდ სიარული. სად არის ახლა ის ტყვე?

– დაბლა, მცველებთან დავტოვე, ძია.

– უხმე მცველებს, აქ მოგვგვარონ. ეგებ გავიგოთ, ვინ არიან და რას გერჩოდნენ, – სთხოვა ლომფერმა.

– ახლავე! – მორიდებული თავმდაბლობით მისცა დასტური მირიანმა, სხარტად შეტრიალდა და დაბლა დაეშვა.

ლომფერი ძველ ადგილზე რომ ჩამოჯდა, გუბაზი შეეპასუხა: – რაღაც საიდუმლო იმალება მაგ ამბავში, ლომფერ. ასე მგონია. აბა რაზედ დაესხმოდნენ სრულიად უდანაშაულოს და ბრძოლას აუტეხდნენ? ან იციან ჩვენი აქ მოსვლის მიზეზი, რასთანაც ისინი არიან დაკავშირებული და ცდილობენ, რაიმე ხერხებით წინააღმდეგობა გაგვიწიონ. ანდა, ეს მიდამო უკეთურთა უშიშარი სათარეშოა. ყველა გამვლელს სტაცებენ ხელს ისე, რომ რაიმე რიდიც არა აქვთ. მეც ხომ შემხვდა შეიარაღებული ხალხი, ისინი თუ სპეტაკი კაცები იყვნენ, რად მიიმალნენ? თანაც ისე ოსტატურად, კვალიც ვერ მივაგენით მათი. მართალ კაცს სხვასთან შეხვედრის არ ეშინია, ეგ ჩვევა სინდისთან მწყრალ არაკაცთა შემოქმედებაა და ასე უფრო მიღვივებს ეჭვს. უკეთურებიდან ყველაფერი მოსალოდნელია, თუნდაც ის მკვიდრი სისხლთაგანი იყოს. ცხონებული ბაბუა მეტყოდა, ერიდე უკეთურ ძმასაც, შვილო, თორემ ასეთმა ფიზიკურად თუ ვერ გძლია, უდიდეს სულიერ ტკივილის მოყენებასაც არ ითაკილებს და ხალხში სახელს გაგიტეხსო.

უკეთურ ძმას, მოსისხლე ვაჟკაცი მტერი სჯობია ათწილად. მე ეს მწამს, მიწამებია და კვლავაც ვიწამებ.

– შენს აზრს დასტურს ვაძლევ, გუბაზ, – მცირე შეყოვნების შემდეგ გაეპასუხა დიდაჭარელი, – საქმე იქ უფრო მეტად იხლართება, სადაც ძირეული ნასკვი, უამრავ უჩინარ ძაფითაა შეკრული. ზოგჯერ უმნიშვნელო ამბავიც დიდ საქმეებთანაა ჩადუღაბებული ჩვენდა შეუცნობლად.

ბიზანტიაში ყოფნისას, ნიკიფორე სტრატეგს ვახლდი ბრძოლაში. სათარეშო რკენას ვაწარმოებდით. მახსოვს, სირიის ქვიშნარ უდაბნოში დავიბანაკეთ. ვიღაც მაწანწალა შემოგვეჩვია, არაბთაგან დევნილი უგარითი ვარო, ასე გვითხრა. უებრო დალაქი აღმოჩნდა, ჯარში დალაქად დანიშნეს. მაგ კაცის საოცარი ნიჭი მაკვირვებდა, შვიდ ენაზე მეტყველს, ბუნებისმცოდნეობასა და არითმეტიკაში ტოლი არ ჰყავდა. ღირსეულად განსწავლული, ვარსკვლავთა განლაგების საიდუმლო მცოდნე, ზეცაში შეხედვისთანავე გეტყოდა მოსალოდნელ ტაროსს.

რაღაცნაირად ეჭვი აღმეძრა მის ქცევაში. ნიჭიერება მაცდურიცაა და შურის დამბადებელიც, ერისთავო, სხვათა გონება-გძნობაში.

ხალასი ნიჭი, თითქოს ყოველთვის სილაღითაა გამორჩეული. მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ მაღალნიჭიერებით შემკული არაკაცი, იოლად ჰპოვებს მისთვის სანუკვარ იდეალს და მიუწვდენელ მწვერვალებს დალაშქრავს. სიკეთეს ავზნეობის მორიგი და მძლავრი აბობოქრება დაატყდება, რაც უკვალოდ არ ჩაივლის. ნიჭი ზებუნებრივი წყალობაა უდიდეს მაცდურთა და დიდ გენიოსთა. ჰოდა, რას ვამბობდი, ეჭვი აღმიძრა-მეთქი და მივუჩინე სანდო კაცი სამეთვალყუროდ. გაება მახეში, მსტოვარი აღმოჩნდა.

ეს ამბავი ახლა მირიანის ტყვემ გამახსენა. ვინ არის ის, რით სულდგმულობს და ვისთანაა შეამხანაგებული? ტყე და საპყრობილე ერთგვარი მსგავსებით გამოირჩევა, თუმცა ერთში თავისუფალი სიო ჰქრის, მეორეში კი ბორკილასხმული, ძალისმიერი მორჩილება. ორივეში ერთნაირად ბინადრობს უკიდურესი ზნედაცემა და ამაღლება. მაქ შეხვდები მხოლოდ კაცი ჭეშმარიტ მოყმესა და გარეწარს.

– არ ვიცი, შენ რას ვარაუდობ, – მხრები აიწურა სამცხელმა, – მე კი აქედანვე მგონია, რომ ეს ყოველივე ერთმანეთთანაა დაკავშირებული და შინაგანად მწამს, რომ ეს უცნაური გზა, დავითის ადგილსამყოფელამდე მიგვიყვანს.

– ინებოს ღმერთმა, – ხელები მაღლა აღაპყრო ლომფერმა, – აგრე ყოფილიყოს. შესანიშნავი ვაჟკაცისა და მეგობრის დანაკლისი, დიდი უბედობა იქნება ჩვენთვის. მაგრამ არა მგონია, ვერ ვიპოვოთ დავითი, ამგვარად სრულყოფილ ადამიანებს დიდი გაჭირვებების დაძლევაც კი შესწევთ. თუმცა, ყოველმხრივ უნაკლოსა და ზრდილს, ერთი მცირეოდენი ნაკლი მაინც დასდევს. – სახეზე შესამჩნევი ღიმილი გადაეფინა ლომფერს. მრავალფერად აუციმციმდა თვალები, – ძლიერი ღონის პატრონს, ქალთა წინაშე მოკრძალება ეუფლება და რაღაცნაირად გაუბედაობას იჩენს.

– არა ლომფერ, – ჰაერში ხელი გააქნია გუბაზმა, – გაუბედაობით არ აიხსნება მისი ამგვარი ქცევა. ეგ ხასიათის თავისებურებაა. არიან მამაკაცები, რომლებიც გაურბიან ქალთა ჯილაგს საერთოდ და მცირეოდენი ყურადღების ღირსადაც არ თვლიან მათ. კაცთა ასეთ ჯგუფს მიეკუთვნება დავითიც.

– მერედა, იცი რარიგად ეხვეოდნენ ბიზანტიაში ქალები? – გუბაზის ნათქვამში რწმუნება ჩადო ლომფერმა, – მოსწონდათ ნაკვთით და სულით ღირსეული ჭაბუკი, გაზაფხულის მრავალფერ პეპლებივით დაფარფატებდნენ ბერძენთა ასულნი მის გარშემო, მაგრამ რად გინდა, მალევე იფანტებოდნენ. შენც იცი, ვარდის

გარშემო მოარული პეპლები სწრაფადვე უჩინარდებიან, თუ ბუტკოს სურნელოვანმა მალამომ არ დაატკბო და მიიზიდა.

ბაგრატიც მას ჰგავს ქალებთან ურთიერთობაში, ერისთავო. ერთხელ, ნადირობისას, რომელიღაც სოფლის შორიახლოს, ქალებს გადავეყარეთ. ორნი იყვნენ, კისკისით მიირხეოდნენ შარაზე. თან მალიმალ ჩვენ გვიცქეროდნენ. საეჭვო ყოფაქცევა ამოვიკითხე მათში. როცა მივუახლოვდით, ღრმააზრობრივი ღიმილიანი თვალებით დაგვიწყეს ჭვრეტა, შემდეგ საუბარიც.

– ალბათ მოეწონეთ და მიტომ, ლომფერ, – ხმაღმაღლა გადაიხარხარა გუბაზმა.

– დაგვიწყეს საუბარი-მეთქი, – კვლავ გააგრძელა ლომფერმა, – როგორც ამას ჩვეულებრივად მრუში ქალები სჩადიან. სიმართლე გითხრა, ამგვარ ქალებთან მეც შორს ვდგავარ, მაგრამ ჩემში ამჯერად მამაკაცურმა ჟინმა იმძლავრა და იქვე დავეკონე ფიჭვის ჩეროში ერთ-ერთის ვნებიან ტუჩებს.

მეორე ქალს არ გაჰკარებია ბაგრატი. მაღლა ასულიყო და მიცდიდა.

ცოტა ხანში, მეც ზევით ავედი. ჩემი ქმედების გამჭვრეტმა, უხერხულობა ვიგრძენ უფლისწულთან, მოვუბოდიშე, გაეცინა და მითხრა, ქალები ძლიერ გყვარებია ერისთავო, უფრთხილდი, არ გადაგიყოლონო. რომელ მამაკაცს არ უყვარს ქალები-მეთქი, ვუთხარ. გააჩნია სიყვარულსო, რომელიც ჭეშმარიტი სიყვარულის ღირსია, მას უნდა უწყალობო უკლებლივ ის და არა გზა-გზა ხელგაშლით არიგოო.

სიყვარული ამოუშრობი ზღვა არის, მაგრამ ზოგჯერ თვალთა გუგებიდან მოსხლეტილ ეულ ცრემლივით, ღაწვებზე შეგაშრებაო.

– მართალი უთქვამს უფლისწულს, – თავის დაკვრით დაუდასტურა გუბაზმა. – წუთისოფელში, ყველაზე მეტი მოფრთხილება სიყვარულს უნდა. ჩანავლებული ტრფობა შემდგომში რომც აღდგეს, აღარ იკაშკაშებს ძველებურად.

ამ ლაპარაკში იყვნენ ერისთავები, რომ ბაგრატიც მოვიდა სამი მეომრის თანხლებით. მოსულნი კოცონის ირგვლივ ჩამოსხდნენ. აქამდე სად წახვედითო, შეეკითხნენ დამხვდურნი.

– ბედაურნი ამოვრეკეთ ქვემოდან და შეგვაგვიანდაო – უპასუხა ბაგრატმა და სამცხელს მიუბრუნდა: – შენი ჯგუფით იმ მხარეს იყავ მგონი დღეს ერისთავო, – ბორცვისაკენ გაიშვირა ხელი უფლისწულმა, – ღელის გაღმა, ნაპირზე, ქვაბები ყოფილა, ხომ არ შეგიმჩნევია?

– არა, – თავი გააქნია ერისთავმა.

– არც სხვებს უნახავთ?

– მაგაზე ვერაფერს მოგახსენებთ. თუმცა, ახლავე შევიტყობ, – ამ სიტყვაზე წამოდგა სამცხელი და იქვე, მეორე კოცონთან მსხდართ გასძახა, – ზურაბ, აქ მოდი“

სწრაფად მოიჭრა ძახილზე, ახოვანი მსახური.

– დღეს ღელის პირზე ქვაბები არ გინახავთ, ზურაბ? – შეეკითხა ერისთავი.

– არა ბატონო, ღელის პირ-პირ ვიარეთ, მაგრამ ქვაბნი არ გვიხილავს.

– კარგი, თავისუფალი ხარ, – უთხრა და კვლავ იმავე ადგილას ჩამოჯდა ერისთავი.

– საიდან იხილეთ ის ქვაბნი თქვენ, უფლისწულო? – ბაგრატს ჰკითხა ახლა.

– ბორცვიდან.

– ღელიდან თუ ჩანდა?

– არა.

– გასაკვირია.

– რატომ? – ნათქვამს ვერ მიუხვდა ბაგრატი.

რამოდენიმეჯერ გაურკვევლად გააქნია თავი გუბაზმა, თვალებით კოცონს ჩააშტერდა და თითქოს თავისთავს ესაუბრებაო, – თუკი ზევიდან გარკვევით სჩანდა, მაშინ რად ვერ იხილე ისინი უფრო მცირე მანძილიდან? არა, აქ რაღაც ეშმაკობაა. უცნაურმა აზრმა გამიარა გულში, უფლისწულო. – ირიბად შეხედა ბაგრატს, – ახლა და ნუ დამცინებთ, რომ ჩანაფიქრი გაგიმჟღავნოთ.

– თქვიო, – წააქეზეს.

– შეიძლება ვცდებოდე, – გააგრძელა, – და ჭეშმარიტებას სრულებით არ დაემთხვეს ჩემი ვარაუდი, მაგრამ რაც გონებში გამიაზრა, მაინც უნდა გამცნოთ. იცით რა კითხვა ამეკვიატა? შორით ხილულ საგანს, ახლოს მისვლისას უფრო უკეთ ვხედავთ, ხომ ასეა? – კითხვასავით ჩაუჭრა იმგვარად, რომ პასუხს არ დალოდებია. მანვე დაადასტურა: – ასეა. მაშ, რად ვერ იხილეს ღელის პირიდან იქვე ათიოდე უტევანის მანძილზე დაშორებული ქვაბნი? – შეყოვნდა ოდნავ, განაგრძო: – ალბათ, ვიღაც ბინადრობს ამჟამად იქ. დაინახეს თუ არა უცნობი ხალხი, შეეცადნენ შეუმჩნეველი დარჩენილიყვნენ მათგან. თუ როგორ შეძლეს ეს, აქედანვე ცნობილია. იქ ჩასულთაგან ვერავინ შეიცნო ქვაბთა ადგილსამყოფელი. ამისათვის რა

მოიმოქმედეს მეტყეურებმა? ქვაბები ამოავსეს დამტვრეული ხმელი ფიჩხის და სუროს მწვანე ფურცლიანი ღეროებით.

– კი, მაგრამ, ხელოვნურად ქმნილს ხომ სულ ადვილად მიხვდებოდა მოყურადე კაცი? – ეჭვი გამოთქვა ლომფერმა.

– არა, ერისთავო, შენ არ გინახავს კლდის ციცაბოზე ჩამოკონწიალებული ფიჩხი, სუროს მარადიული სიმწვანით რომ დაუფარავს მრავალფეროვნად დაგვაჯული ტოტები? ამგვარადაა აქაც. ოღონდ, ეს ადამიანის ხელითაა ნამოღვაწარი. ვითომდაც, რას უნდა ნიშნავდეს ეგე? – ცნობისწადილი აღეძრა ბაგრატს.

– ქვაბთა შიგნით რაღაც საეჭვო იფარება, – ახსნა სცადა გუბაზმა, – გარეშე კაცმა შესაძლოა იფიქროს, მეუდაბნოენი არიანო და აქვე თვითონვე გასცემს პასუხს. არა, მეუდაბნოე არ გაურბის სტუმრად მისულ ადამიანებს. არც ეშინია მათი. ვინ არიან მაშინ ისინი? არაკეთილი ხალხი, იქნებ ყაჩაღები, ან მონებთ მოვაჭრე ავაზაკები. ერთიც და მეორეც. აი, ესაა სავარაუდო და მეტად სარწმუნოც.

– აგრე თუ არის, ხვალ კვლავ მოგვიწევს იქაურობის დათვალიერება, – დაასკვნა ბაგრატმა.

– აღარას მოგვცემს იმ ადგილების შემოწმება, უფლისწულო. ისინი ახლა უფრო საიდუმლო სამალავში გადავიდოდნენ, ანდაც საერთოდ აიბარგებოდნენ იქედან.

სჯეროდა და არც სჯეროდა სამცხელის ვარაუდი ბაგრატს. თუმცა, ამის შესახებ მეტი აღარ შეპასუხებია.

– მირიანი სად არის? – მცირე ხნის შემდგომ მიუბრუნდა ლომფერს, – მითხრეს, ვიღაც ტყვე მოიყვანაო.

– სწორედაც იმის ამოსაყვანად გავგზავნეთ ეხლახანს. ქვევით ყარაულებთან დაუტოვებია ტყვე. – უპასუხა ლომფერმა.

– რაზე შეუპყრია ხომ არ გიკითხავს?

– ორნი ყოფილან, ბრძოლა აუტეხიათ. ერთი მომკვდარა ამ ბრძოლაში, მეორე კი ტყვედ წამოუყვანია.

– ვინა ვარო, რა თქვა ტყვემ?

– არაფერს ამბობს თურმე...

ორ მსახურთან ერთად, მალე ამოვიდა მირიანიც. ძალდაძალ ამოათრიეს ხელებშეკრული ტყვე. მუხლებზე დაჩოქილი, ბაგრატთან ახლოს დატოვეს, განზე მიდგნენ.

– გაუხსენით ხელები! – ბრძანა უფლისწულმა.

გადაჭრეს განასკვული თასმები. ხელებგანთავისუფლებულმა ტყვემ, უცებ მარცხენა მხრის ძირში, ჩოხის ქვეშ იტაცა ხელი,

სწრაფად გამოიღო იქიდან პატარა სამკუთხა ქაღალდი და პირისაკენ გააქანა.

მიუხვდენენ ნააზრევს. უმალ მიცვივდნენ მსახურნი. დაბლა დააყირავეს, მჭიდროდ შემოაჭდეს ყელზე ხელები, ხროტინში არეული ხრიალი დააწყებინა ტყვეს. დორბლი წამოუვიდა პირიდან, დორბლთან ერთად სამკუთხა ქაღალდიც ამოაყოლა. ცეცხლის ალზე გაკრთა მისი სითეთრე. მიწაზე დავარდნილს დასწვდა ყმა, საგულდაგულოდ გაწმინდა და ბაგრატს მიართვა.

სამკუთხა ქაღალდი ბარათი აღმოჩნდა. გახსნა წერილი უფლის-წულმა, ჩუმად ჩაიკითხა გულდადინჯებით. მაინც ვერ გამოიტანა აზრი და ამგვარი აბდაუბდისათვის, დამწერს შეუკურთხა.

აი რა ეწერა ბარათში: „ბატონთან ერთად მობრუნდი უკან. ალანდული სანთელი ჩააქრე ღამით. ნათლის ფერის ცვალებისას დაგხვდება სამი. ანისის გზაზე ანათებს მთვარე.“

– ვერა-რა გავიგე. ეგებ თქვენ ჩაწვდეთ ნაწერის აზრსო, – თქვა და ბარათი ერისთავებს გადასცა.

იქ მყოფთაგან ყველამ წაიკითხა ბარათი. თუმცა, რაიმეს თქმა ჯერჯერობით არავის დაუპირებია.

– ვის ემსახურები და რას მიანიშნებს ეს ნაწერი? – ლმობიერად შეეკითხა ბაგრატი ტყვეს.

დაფარული ზიზღით შემოხედა ტყვემ, ბრაზისაგან დაახრჭიალა კბილები, დუმდა. მსტოვრის წვერწამოზრდილ, უშნო სახეზე, უზომო სიძულვილი ამოიკითხა უფლისწულმა. საოცრად უტოკავდა მარცხენა წარბი. დაკვირვებით დააცქერდა უსიამო ფერის კანს, თითქოს ეცნაურა. ნეტავ სად მინახავსო, გაიფიქრა. ვეღარ მოიგონა, მეჩვენება ალბათო, ივარაუდა.

– იქნებ უენოა უფლისწულო, კრინტი ვერ ამოვაღებინე დღეს მეც. თუმცა ბევრი კი ვეცადე, – ღიმილი გადაეფინა სახეზე მირიანს.

– ვის ემახურები-მეთქი, ნაძირალავ! – ახლა უკვე მკვახედ დაჰყვირა ბაგრატმა.

თავი არ აუწევია მაღლა ტყვეს. პირვანდებულად იდგა ჩაჩოქილი. დუმდა. სრულიად მოტიტვლებულ თავზე, შუბლის ზემოთ, მოზრდილი ხორცმეტი ამოსჩროდა. მოყავისფრო ფერი დაჰკრავდა ხორცმეტს. უთავბოლოდ აუდიოდა მკერდი. მომეტებული ქშენა შინაგან ღელვას მიანიშნებდა.

მიუახლოვდა ბაგრატი ტყვეს. მეჩხერ თმაში ჩაავლო მარჯვნა. თავი აუწია, ტყვის თვალებში მაცქერალს, კვლავ ნაცნობი ფერი

წამოესახა და თითქოს შინაგანად აფორიაქებულმა, ამ ცივ და მრავლისმეტყველ მზერისაგან გაცლა ამჯობინა.

– რაღას ჯიუტობ, – უთხრა, – ხომ ხედავ, შეპყრობილი ხარ და დღეს ან ხვალ, მაინც იტყვი სათქმელს. არ სჯობია, რომ შენვე გულწრფელად მოინანიო და აღიარო, ეგებ შენდობა დაიმსახურო ამით.

მსუსხავი ზიზღი შეაფრქვია ტყვემ. პირისახეზე მიაფურთხა და სანამ გაოგნებული შეურაცხყოფილი რაიმეს მოიაზრებდა, მთელი ძალით გაარტყა სახეში.

ეს ისე უცებ მოხდა, რომ იქ მყოფთაგან ვერავინ შესძლო უსიამოვნებისგან დაეცვა ბაგრატი.

მოულოდნელი დარტყმა, კინაღამ სავალალო აღმოჩნდა მისთვის. ძლივს შეიმაგრა თავი და კოცონში რომ არ ჩავარდნილიყო, გვერდზე გადატრიალებულმა, დაცემისას მარჯვენა ხელს დაეყრდნო.

მირიანი ჩადგა შუაში. ზეზე აშლილმა ერისთავებმა, იქით-აქეთ გაქაჩეს ტყვე.

გამსკდარი ბაგიდან გამონაჟონი სისხლი მოიწმინდა უფლისწულმა. – ფუ შენს ვაჟკაცობასო, შეუკურთხა და გაეცალეთო, – ხელებით ანიშნა ერისთავებს.

გაშორდნენ ერისთავები ტევყს.

– ამჯერად მიპატიებია კადნიერება, – უთხრა, – სამართლის სახელით გეკითხები, ვინა ხარ და ვისთან მსახურობ.

დუმილი იყო პასუხი ახლაც.

– საიდან მოდიხარ?

თავჩაქინდრული იდგა ტყვე.

– თუ პატრონს გაგვიმჟღავნებ, შეგინდობთ, – ბეჭზე ოდნავ შეეხო ბაგრატი.

კვლავ ხელი მოუქნია ნაძირალამ. მზად დახვდა უფლისწული, სწრაფად გადაიხარა მარცხნივ და ვიდრე შეურაცხმყოფელი მეორედ მოუნაცვლებდა, ისე ძლიერად დაჰკრა მარჯვენა სახეში, რომ ეს უკანასკნელი, დარტყმამ ხუთი ნაბიჯის სიშორეზე გადატყორცნა. ახორხორავებულ ხმელ ფიჩს შეელეწა და თავპირდამტვრეულს ჭრილობიდან ნაკადად დაედინა სისხლი.

სისხლში მოეთხვარა ერთბაშად სახე, პირქვე დაემხო სიმწრისგან და ყრუ გმინვაში, რამოდენიმეჯერ ფეხი დაუშინა მიწას.

ორმა მსახურმა წამოაყენა. თქრიალით სდიოდა სისხლი. წაიყვანეთო, უბრძანა უფლისწულმა მათ.

ერთი ვაი-ვაგლახით წააჩანჩალეს ტყვე.

მცირე ხანში კვლავ თავთავიანთ ადგილებზე დალაგდნენ.

ნაკვერჩხლებზე ხორცის ნაჭრები დააწყო მსახურმა. აშიშხინდა ხორცი. შემწვარის საამო სუნი დატრიალდა გარშემო. მცირე ულუფით ივახშმეს.

ცეცხლს მიშტერებული ბაგრატი, ისევ წეღანდელზე ფიქრობდა. მარცხენა წარბის ტოკვა, ნეტავ საიდან ჩარჩა გონებაში? თუ ეჩვენება?! არა, სადღაც უნახავს ამისმაგვარი, მაგრამ კერძოდ სად?.. და უცებ, გაფერმკრთალებული ღრუბელივით ატივტივდა ორი წლის წინანელი. ფანასკერტში იყო მაშინ. ნადირობისას, რომელიღაც მთის სოფელში მოუსწრო ღამემ. მამასახლისთან დაიდეს ბინა.

ღამით, ვიღაც ყმა გლეხი შემოვიდა მათ სადგომში, უფლისწული იკითხა.

– მე ვარო, – ზეზე წამოდგა ბაგრატი. მის წინ პირქვე დაემხო გლეხი. ჩოხის კალთები დაუკოცნა და გულმდუღარედ შეჰღაღადა, მეფევ, მთელ ოჯახს მონად გაყიდვას გვიპირებს ბატონი, გვიშველე და გადაგვარჩინეო. ამგვარად უტოკავდა წარბი იმ კაცსაც. ალბათ ის არის.

ისე, თურმე დანაშაული კი მიუძღვის ბაგრატს მასთან. რა ქნას, ყველაფრის გაკეთებას ვერ შესძლებს ვერავინ. ბევრსაც რომ ეცადოს.

დახმარება აღუთქვა ბაგრატმა, მაგრამ მის წასვლასთან ერთად, მიავიწყდა დანაბარები. ყმაწვილური დაუდევრობა მოეძალა და ნასმურევს გლეხის გასაჭირი აღარც გახსენებია.

ცხენების გამაყურებელმა ჭიხვინმა დაარღვია არე. ღრიანცელს მცველთა ყვირილიც დაერთო.

ყველანი ზეზე წამოცვივდნენ, კიჟინ-სტვენით დაბლა დაეშვნენ.

ქვევით ჩასულებს, მოულოდნელი ამბავი ამცნეს: ავაზაკები ცდილიყვნენ ბედაურთა გატაცებას. რკენაში ორი ყარაული დაეკოდათ.

მოაქუჩეს დამფრთხალი ცხენები. საყარაულოდ ხუთი კაცი მიუმატეს და კარვებისაკენ გამოსწიეს.

ეძინა ბანაკს. გარშემო მხოლოდ ყარაულთა ჩუმი საუბარი ისმოდა.

შუაღამე გადასული იყო, როცა ძახილი გაისმა. გვიშველეთ, გვიშველეთო. ძახილი არცთუ შორეული ჩანდა.

ყვირილმა ძილი გაუკრთო მეომრებს, სწრაფად შეიარაღდნენ და იმ მხარისაკენ დაეშვნენ, საიდანაც ეს ხმა მოდიოდა.

გადავლეს ბორცვი. ანთებული კოცონი დალანდეს ხევში. კოცონისაკენ გაემართნენ.

შვიდი შეიარაღებული მამაკაცი შემომსხდარიყო გარშემო კოცონთან. თითქოს საეჭვო არა-რა იყო.

ფრთხილად მიუახლოვდნენ, დააყურადეს, ბუჩქებიდან ჩუმი კვნესა მოესმათ.

გვერდით მყოფ მირიანს ხმადაბლა გადაუჩურჩულა ბაგრატმა: - შეუმჩნევლად მიდი და ნახე ვინ არიანო. უხმაუროდ შეძვრა ჩირგვებში მირიანი. მალევე დაბრუნდა. მოახსენა, დაბორკილი ხალხია იქ, ასე ოცამდე იქნებიან, უმეტესად ქალები და ბავშვები. ეტყობა გასასყიდად გამორეკილ მონათა ჯგუფი.

– შევიპყროთ ეს ავაზაკნი და იმათგან გამოვიხსნათ ტყვეებიო, – აჩურჩულდნენ მეომარნი აქეთ-იქიდან.

– კარგი, დაეთანხმა ბაგრატი, ოღონდ გარშემო წრე უნდა შევკრათ, რათა არ დაგვისხლტნენ ხელიდანო.

შემოარტყეს წრე. მიახლოებისთანავე, იარაღი დაყარეთ, დაგვნებდითო, შეუკიჟინეს.

გაოგნებული წამოცვივდნენ მჯდომარენი. მიმოიხედეს გარშემო. რა დაინახეს ოცდაათიოდე იარაღით შეჭურვილი მეომარი, წინააღმდეგობა უმიზნოდ ჩათვალეს და დანებდნენ.

ხელები შეუკრეს ავაზაკებს. შემდეგ კი ტყვეებთან გადავიდნენ.

– ვინა ხართ ხალხო და საითკენ მიგრეკავდნენო? – მიმართა გუბაზმა.

საწყალობლად შემოსტირეს ქალებმა. ბავშვებმა უფრო მაღალი ხმით მოუმატეს სლუკუნს.

ახოვანი მამაკაცი წამოიმართა წინ: ანჩიდან ვართო, – უთხრა. – არმენ ვაჭარს მიჰყიდა ჩვენი თავი ბატონმა, ტრაპეზუნში მივყავდითო.

ბორკილთა გასაღებები მოატანინა ბაგრატმა, დახსნა კლიტენი, გაანთავისუფლა პყრობილნი.

ლოცავდნენ მაჯებდალურჯებული დედაკაცები გადამრჩენლებს. უსაზღვრო სიხარულის შუქი ჩადგომოდათ თვალებში.

– უკვე გვიანია, ძნელია ამ ტყე-ღრეში სიარული. ახლა დილამდე აქ მოიცადეთ და დილით გაემგზავრეთ, – ურჩია ბაგრატმა.

დაეთანხმნენ ტყვედყოფილები.

ყველანი ბანაკში ავიდნენ. პირველ რიგში ბავშვებსა და ქალებს მიუჩინეს სადგომი.

– ის ვაჭარი მომგვარეთო, – უბრძანა ბაგრატმა მსახურებს.

მოიყვანეს ბეჭებში მოხრილი, ჩია ვაჭარი. მდგომარე ვერ უტოლდებოდა უფლისწულს. ღრმა ფოსოებში ჩამჯდარი, წირპლიანი

თვალები მოუჩანდა არაკაცს. მის უწმინდურ სახეს მზერა აარიდა უფლისწულმა. – რა გქვიაო, – ჰკითხა.

– ვამეყი ბატონო, – ალუღლუღდა დამტვრეული ქართულით.

– სადაური სომეხი ხარ?

– ტრაპეზუნელი.

– ტყვეები სად მიგყავდა?

– ტრაპეზუნში, მონათა ბაზარზე გასასყიდლად.

– ვინ მოგცა მაგის ნება, აქედან ყმა გლეხები გაიყვანო? – უყვირა ბაგრატმა.

მთლად აირია სოვდაგარი. ისედაც შეშინებულს, ლაპარკის უნარი სრულიად წაერთვა. მარცვალ-მარცვალ ძლივს ამოალაგა სათქმელი. ჩემი ბრალი არ არის, მაგათმა ბატონმა ვალში დამითმოო.

– ვინაა მაგათი მეპატრონე?

– ანჩელი დიდაზნაური ალბანდაიძე.

– დასტური მიჩვენე, რომ ეს ხალხი ნამდვილად მან მოგყიდა ვალის საზღაურში.

დასტური არ აღმოაჩნდა ქორვაჭარს.

– ორმოცდაათი მათრახი დაჰკარით თითოეულს და გაუშვითო, – თანმხლებთ უბრძანა ბაგრატმა.

ფეხებში ჩაუვარდა უფლსწულს ვაჭარი, აზლუქუნდა, მაპატიეთო.

არ შეისმინეს მისი მუდარა. წელსზემოთ გააშიშვლეს და მიწაზე პირქვედამხობილს გამათრახება დაუწყეს.

პირველი ათი მათრახის დაკვრისას, საშინლად ღრიალებდა ვამეყი. მერე თანდათანობით მიყუჩდა და როცა ბოლო მათრახმა გაიზუზუნა ჰაერში, მხოლოდ ჩუმი კვნესაღა აღმოხდა.

ვეღარ წამოდგა ფეხზე ვაჭარი. იარებად ქცეოდა ზურგი. ხელდახელ გაიტანეს და ბუჩქებში მიაგდეს.

დაჰკრეს დანარჩენთაც და დასჯა ამით დამთავრდა.

გავიდა ხანი. ხის ძირას ნაბადზე მიგორებულ ბაგრატს, უცნაური შრიალის ხმა შემოესმა. ძილ-ბურანიდან გამოერკვა, ზეზე წამოსწია თავი, იქითკენ გაიხედა საიდანაც ეს ხმა მოდიოდა. ცეცხლის შუქზე, საკვირველი რამ იხილა: საკმაოდ მოზრდილ ხის ქერქის ნაჭრის ვიწრო ნახვრეტში თავი გაეყო ზღარბს. ქერქში შესობილიყო ზღარბის ეკლები, ალბათ ამიტომ ვერ იცილებდა ცხოველი, თუმცა ბევრს კი ცდილობდა, გამალებით დარბოდა წინ-უკან.

მისდაუნებურად გაეცინა ამის შემხედვარეს. ფრთხილად წამოიმართა და უცებ მისწვდა ქერქს. შიშისაგან დაიფხუკუნა

ცხოველმა, მძლავრად გაიწია უკან, გაწევისას რამოდენიმე ადგილას გატყდა ქერქი და ამ უცნაური ტვირთისგან გათავისუფლებულმა, სწრაფად მოჰკურცხლა.

ხმელი შეშა შეუკეთა კოცონს. ჯირკზე ჩამოჯდა.

ეძინათ მირიანსა და სამცხელს.

საიდანღაც ლომფერი მოვიდა.

– სად იყავი, ერისთავო?

– ქვევით ჩავედი, ცხენები და იქ მყოფი ყარაულნი დავათვალიერე.

– ხომ მშვიდობაა?

– მშვიდობა�o, – უპასუხა ერისთავმა და ნაბადზე მოკალათებულმა, ხელები ცეცხლს მიუფიცხა.

მცირე ხანს ჩუმად დაჰყურებდა მოგიზგიზე ალს. შემდგომ თავაწეულმა უფლისწულს გახედა:

– ამ ღამეს, ბევრი ვისმჯელე-ვიფიქრე და საკვირველ დასკვნამდე მივედი. ყოველწლიური ომები არ გვტაცებს იმდენ ადამიანს, რამდენიც მონათა ბაზრებზე გვეკარგება. მებატონეთა უმრავლესობას საარსებო წყაროდ გაუხდია ყმის გაყიდვა. ამ უკეთური საქმით თანდათან ქრება მამულის მაცოცხლებელი ყლორტი და თუ დროულად ვერ ვუშველეთ ამას, ჩვენს მიწა-წყალს მტერი უბრძოლველად დაიკავებს და გადავშენდებით.

ფიქრიანად შემოხედა ბაგრატმა ლომფერს. ერთხანს ჩუმად უსმენდა, ბოლოს თქვა: – ბევრჯერ მიმსჯელია მაგაზე ერისთავო, მაგრამ რა უნდა იღონო? თუკი აკრძალავ მონათა სყიდვას, აგიჯანყდებიან აზნაურნი. ისედაც ბევრი მოქიშპე-ორგული ჰყავს სამეფო კარს და ისინიც რომ დაემატებიან, რაღა იქნება. თუკი შეეცდები ჰუმანურობის იდეალის გაღვივებას ჩვენს მებატონეთა გულებში, ამაოდ დაშვრები, რადგან ფუჭი იქნება შენი მცდელობა.

ვერც სხვა რაიმე ხერხი მოგვცემს სარგებელს, ერისთავო. ჩვენ არა ვართ იმ სულდგმის ხალხი, რომ ეს შევიფეროთ. შენც კარგად იცი, უწინ ბერძნებს არ ყავდათ მეფე. ვერც აგრერიგად დათარეშობდნენ მდაბიოებზე დიდგვაროვანნი. ხალხი იყო თავიანთი ქვეყნის მმართველი, თვითონვე განაგებდა ყოველივეს და ამას ერქვა დემოკრატია. თუმცა, იმ დროისათვის, ამგვარმა ქვეყნის მმართველობამაც ვერ იხსნა საბერძნეთი მონათა სყიდვისგან. იქაც არ აღმოჩნდა ის მაღალი სული, რაც გადაარჩენდა მათ.

ერის ზნეობა განაგებს ისტორიას, ერისთავო. თუკი დაეცა ზნეობა ერში, მატიანეს შავი ლაქა გასდევს ყოველთვის და თუ ამაღლდა ის, ერიც ბრწყინვალე შარავანდედითაა გარემოსილი.

დემოკრატია ჩვეულებრივ იყო მიღებული ბერძენთათვის, მაგრამ განა ასეთი რამ ჩვენში დასაშვებია?

უსრულყოფილო სულისთვის დემოკრატიის ბოძება ტირანიაა.

– მაშინ ისტორია მართალი ყოფილა ერთა წინაშე. როცა ზოგიერთს მიუწვდომელ სიმაღლეს ანიჭებს, ზოგს კი წარმოჩენის ღირსადაც რა თვლის.

– უსათუოდ, – დაუდასტურა ბაგრატმა.

– რა იხსნის ერს დაცემისგან?

– სულ-ხორცეული სიწმინდე, – მოკლედ უპასუხა უფლისწულმა და ნაბადზე მიწვა.

საუბარი მეტი აღარ გაუგრძელებიათ.

მძინარეთა ჩუმი სუნთქვის ხმა ისმოდა. ვიღაც მძლავრად ხრიპინებდა მეორე კოცონთან. შორს, ღამის ბინდში, დაუმცხრალად გაჰკიოდა ჭოტი.

ბაგრატის გონება იმ წერილს მისწვდა კვლავ. გულის ჯიბიდან ამოიღო და დაკვირვებით დააცქერდა ნაწერს. დინჯად ჩაუკირკიტდა ყოველ სიტყვას. მიხვდა, წინადადების დაულაგებელ აზრში, გარკვეული საიდუმლო იფარებოდა. ბევრი უტრიალა, ხან უკანიდან სცადა წაკითხვა, ხანაც მარცვალგამოკლებით წინიდან, არაფერი გამოუვიდა. ბოლოს, ქაღალდი და ბატის ფრთა მოიმარჯვა. სიტყვების სხვადასხვაგვარ დალაგებას შეუდგა. ჯერ წრიულად ჩაუყოლა, მერე თანმიმდევრობით, ყოველი გარკვეული მარცვალი ამოყარა. ათასგვარად გადაანაცვლ-გადაატრიალა, ამაოდ დაშვრა. ერთმა გარემოებამ მიიქცია მისი ყურადება – ბარათი ოთხი წინადადებისგან შედგებოდა, ყოველ წინადადებაში ოთხი სიტყვა იყო. წინადადებები ერთმანეთის ქვეშმიწერით დაალაგა.

ბატონთან ერთად მობრუნდი უკან,
ალანდული სანთელი ჩააქრე ღამით,
ნათლის ფერისცვალებისას დაგხვდება სამი,
ანისის გზაზე ანათების მთვარე.

მცირე ხანს უყურა და უცებ შეშლილივით წამოვარდა. ამგვარად განლაგებული წინადადებების პირველ ასოებში ბანა ამოიკითხა.

ფეხზე მდგარი დაჰყურებდა წერილს. ვერ დაეჯერებინა. კიდევ ჩაიკითხა რამოდენიმეჯერ, შემთხვევითი დაკავშირებაო, აეკვიატა. ესეც უარყო, წინასწარ გააზრებულს უფრო ჰგავსო.

იქვე ახლოს, მეორე კოცონთან შემომსხდარი მეომრები ბაასობდნენ. ლომფერიც იქ გადასულიყო. თვითონაც იქეთ გადავიდა. ფრთხილად შეანჯღრია ძილ-ბურანში მყოფი ლომფერი.

გაურკვეველი შეშფოთებით წამოვარდა ერისთავი. რა მოხდაო, დაფეთებულმა იკითხა.

მისი აღმოჩენის ამბავი მოუყვა ბაგრატმა. ახლა კი დაინტერესდა ლომფერი. თვალების სრესით ჩაიკითხა.

სამცხელი და მირიანი გამოაღვიძეს.

ბანა დანიშნულებისამებრ არის გამოყვანილიო, ამტკიცებდა სამცხის მმართველი. ბევრი იბჭეს, იკამათეს, ბოლოს ხმა ამოიღო მირიანმაც: – ამ წერილის ყოველი სიტყვაც ქარაგმული გამონათქვამიაო, დაუკვირდით პირველ წინადადებას: „ბატონთან ერთად მობრუნდი უკან“. რა შეიძლება ამოიკიხთო მასში? – მცირედ შეყოვნდა მირიანი, თვალებმოჭუტული უაზროდ მიაშტერდა ერთ წერტილს, ღრმა რწმენით განაგრძო: – ვფიქრობ, ეს ასე უნდა იყოს: დამწერი ავალებს ადრესატს მეთაურთან ერთად მივიდეს დანიშნულების ადგილზე.

„ალანდული სანთელი ჩააქრე ღამით“, ამაზე ვერაფერს გეტყვი სარწმუნოს, თუ რა აზრია შიგ ჩაქსოვილი. თუმცა, ერთ რამეს დავამატებ, ალბათ ყაჩაღთა ბანდაში ვიღაც არასასურველი პიროვნებაა შეპარული. იქნებ ის მტერიც იყოს. ამ ბანდის სულისჩამდგმელი აფრთხილებს, რომ თავიდან მოიცილონ მოენე. ეს რასაკვირველია, ღამით უნდა მოხდეს. ღამის მინიშნება მარტო დროის აღნიშვნად არ უნდა მივიჩნიოთ, რადგან თუ შემოპარული მოენის მოცილება უნდათ, ის დღისითაც შეიძლება დასაჯონ და ამაზე პასუხს არავინ მოსთხოვს მათ. ალბათ მთავარ კაცს სხვაზეც აქვს ეჭვი და იმათგან სანდოს ავალებს, სრულიად ფარულად აღასრულეო ბრძანება.

– „ნათლის ფერისცვალებისას დაგხვდებათ სამი“, რაღას ნიშნავს? – მოუთმენლობამ შეიპყრო ბაგრატი. მირიანის მსჯელობას თავიდან უგულისყუროდ მოეკიდა, მაგრამ უფრო ღრმად რომ ჩაუკვირდა, სიმართლის რაღაც მარცვალი დალანდა მასში და გარკვეულწილად ინტერესიც აღეძრა.

– ნათლის ფერისცვალება – განაგრძო მირიანმა, – თქვენც დამერმწუნებით, რომ საღამოს ნიშნავს. მაგრამ ერთი რამ საჭოჭმანოა, რატომ მაინცდამაინც საღამოს ხვდებიან ისინი? ვფიქრობ, საღამო პირდაპირი მნიშვნელობითაა ნააზრევი. შეხვედრა

უნდა მოხდეს რომელიმე დასახლებულ ადგილას, კერძოდ, ბანას მახლობლად, თანაც უდიდესი კვალის დაფარვით.

– ეგ არადამაჯერებლად ჟღერს მირიან, – კვლავ შეეპასუხა ბაგრატი, – იქნებ პაემანი სრულებითაც ტყეშია დანიშნული.

– არა უფლისწულო, – ოდნავი ღიმილი გადაეფინა სახეზე ჭაბუკს, – ტყეში შეხვედრა დღისითაც შეიძლება ისე, რომ ვინმე მჭვრეტალი არავინ იყოს იქ. რადგან მოსულებს სამნი ხვდებიან, თანაც შებინდებისას, მათვე უნდა იზრუნონ სტუმრების დაბინავებაზე და შემდგომ გამგზავრებაზე.

– მაშინ შენი თქმით, სტუმრები მცირე ხანს შეყოვნდებიან ბანაში და მალე აიბარგებიან იქედანაც, – ჩაერია გუბაზი.

– დიახ, ერისთავო, – დაემოწმა მირიანი, – მგზავრები ანისის მიმართულებით წავლენ, ამას გამოხატავს სწორედაც „ანისის გზაზე ანათებს მთვარე“.

კიდევ დიდხანს იბჭეს. მაინც ვერ გამოიტანეს სარწმუნო დასკვნა. ტყვე ამოვიყვანოთ, ეგებ რაიმე დავაცდენინოთო, გადაწყვიტეს.

ტყვის ამოსაყვანად გაგზავნეს მსახური.

შეცბუნებული ამოვიდა ქვევიდან წარგზავნილი, ტყვე გაპარულაო, ამცნო.

ძლიერ დაინანეს ტყვის გაპარვა. კვლავ დიდხანს იკამათეს და ბოლოს მიჩუმდნენ.

ძლიერმა ქარმა მოუბერა საიდანღაც. ტყემ გუგუნი დაიწყო. გამხმარ ხეთა მტვრევის ხმა გაისმა გარშემო. ქარს ლუსკუმა ნისლი მოჰყვა და მიდამო თეთრ სუდარაში გაახვია.

– ერთი რამ ვერ გამიგია, – თანამგზავრებს მიმართა ლომფერმა, – ვთქვათ და ამას არავითარი კავშირი არ აღმოაჩნდეს დავითთან, მაშინ ყოველ ავაზაკს ხომ ვერ მივყვებით კუდში და ვერც მათ მრუდ ნაკვალევს შევიცნობთ.

– სრულებითაც არ გვჭირდება ათასგვარ ყაჩაღთა ფეხდაფეხ დევნა, ძია, – უთხრა მირიანმა, – ყველა ეგენი ერთნაირი ზნითა და მსგავსი ქმედებით, ერთმანეთთან გარკვეულ კავშირებით არიან შეკრული. ერთი მათგანიც რომ როგორმე მოვიგდოთ ხელში, დარწმუნებული იყავით, ყოველი გარეწრის ადგილსამყოფელს შევიტყობთ, ვინც თუ ბოგინობს პონტოდან გურგანამდის და ვისაც რით გამოუჩენია თავი.

მცირე ხანს ისხდნენ კიდევ. ბოლოს დაასკვნეს, ერთი ნაწილი ჩასულიყო ბანაში, დანარჩენებს კი აქ განეგრძოთ ძიება, ვიდრე ესენი უკანვე არ მობრუნდებოდნენ.

გამთენიისას წამოიშალნენ. მეომართა ნახევარი ბანასკენ გაემართა, ადგილზე დარჩენილებს შავშელი უწინამძღვრეს.

თითქმის შეუმჩნევლად იარეს ორი დღე-ღამე. გზაში მცირე ხნობით თუ შეყოვნდებოდნენ ძილისთვის და დასასვენებლად.

ფანასკერტთან მიახლოებისას, იძულებულნი გახდნენ გამოეცვალათ გადაღლილი ბედაურები.

მესამე დღე მიიწურა, ბანაში რომ შევიდნენ. ბერძენ მედუქნესთან დაიდეს ბინა. ორ მომცრო ოთახში, ძლივს მოთავსდა ოცი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი. მომქანცველი მგზავრობით დაღლილებმა, მცირედ შეისვენეს. მალე უმრავლესობა სავახშმოდ გაიკრიფა დუქანში.

ბინაში ოთხნი დარჩნენ. ერისთავები, ბაგრატი და მირიანი.

– ერისთავო, – ლომფერს მიმართა ბაგრატმა, – იქნებ წაგვესაუბრა ჩვენი შემდგომი მოქმედების თაობაზე.

სარკმელთან მდგარი დიდაჭარელი ბაგრატისაკენ შემოტრიალდა. მცირედ იყუჩა, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა, თქვა: – ეკლესიის გუმბათს გავყურებდი ახლახანს. იცი რა გამახსენდა? წელს, გაზაფხულზე, ერთი თვით გაუჩინარებული ბანას ეპისკოპოსი, აქაურ მამასახლისს შეხვედრია ანისში. მონათა სავაჭროში დაულანდავს. ჩუმად მიჰყოლია მამასახლისი მას და დარწმუნებით ამტკიცებს, ეპისკოპოსი მონებით ვაჭრობდაო.

– მონათა ვაჭარს რა ხელი აქვს წმინდა საყდარში? – შეიცხადა სამცხელმა, – ჭორი იქნება!

– არა გუბაზ, – ოთახში კვლავ მიმოდიოდა ლომფერი, – მეც მრავლად მსმენია ბანას ეპისკოპოსის გარშემო ატეხილი მითქმა-მოთქმა. რას არ აბრალებენ, ხან ბიზანტიის იმპერატორის მსტოვარიაო, ხანაც ბაღდადის მფლობელისაო. ის ღვთის მატყუარა, თვეობით იკარგება თურმე სადღაც, არავინ არ იცის სად დაეხეტება ამ დროს და რას აკეთებს. თუმცა, გარკვეულხნობით უჩინარქმნილი, დიდად იერგამოცვლილი ბრუნდება თავის სამწყსოში. შავგვრემანობით ნაჭარბ სახეს, მზის უხვსხივიან მიდამოთა მოგზაურის კვალი დასდევს. ბოლო ხანებში ყაჩაღებთანაც გააბა საიდუმლო ქსელიო, ამბობენ.

– ეს ყველაფერი მართლაც ასეა, – დაუდასტურა ბაგრატმაც.

– კი მაგრამ, – გაკვირვებული შეაცქერდა სამცხელი მოსაუბრეს, – თუკი ასე კარგად ცნობილია ამ სატანის ნაღვაწი, რატომ არ მოიშორებენ მას?

– ვინ, – მრავალმნიშვნელოვნად ჩაეკითხა ბაგრატი, – ვინ უნდა მოიშოროს? მეფე უძლურია ამ მხრივ, საეკლესიო კრებას კი, არ

სურს მისი გაძევება. დანაშაულობის უქონლობის დასტურობას იმიზეზებს სამღვდელოების მამამთავარი.

– მაშინ, – ხელი გაურკვევლად აიქნია გუბაზმა, – საშველი აღარ ყოფილა!

– ჩვენს ამჟამინდელ მიზანს, – განაგრძო ლომფერმა, – არ წარმოადგენს ეპისკოპოსის საქმიანობა, მაგისთვის არ მოვსულვართ აქ. მე მხოლოდ იმიტომ გიამბეთ ეს, რომ მსურდა თქვენც გცოდნოდათ, როგორი სულისდგმით ცოცხლობს ბანას ეპისკოპოსი. ამთავითვე საჭიროდ ვრაცხ მას მეთვალყურე მივუჩინოთ.

მოეწონათ ლომფერის აზრი. მეთვალყურედ მირიანი აირჩიეს, ახალგაზრდაა და თან ვერავინ ვერ იცნობსო.

ოთხ დღეს უთვალთვალა შორიდან ეპისკოპოსს მირიანმა. ეკლესიაში შესასვლელი კარიბჭის შორიახლოს, ძეძვნარში ჩამალული, გაფაციცებით აკვირდებოდა საყდარში ყველა შემომსვლელ-გამომსვლელს.

მიიწურა მეოთხე დღე. შემოდგომის ცივმა ქარმა წამოუბერა ძეძვნარს, საკმაოდ აცივდა.

ბუჩქნარში ჩამალული მირიანი გამოძვრა ძეძვნარიდან და ის იყო, ბინაში აპირებდა წასვლას, რომ ნისლიან ბინდში, ბორკილთა ჩუმი ჩხარაჩხური მოესმა. პირვანდებულად ამოეფარა ბუჩქნარს, დააყურადა. მალე ლაპარაკის ხმაც მისწვდა. ღრჭიალით გააღეს კარიბჭე. ცოტა ხნის შემდეგ, ყოველივე მიწყნარდა ისევ.

ბნელ უკუნში გარკვევით ვერ შეძლო გარჩევა, თუ დანამდვილებით ვინ შევიდა საყდრის კარიბჭეში, მაგრამ ნელად მოძრავ მრუმე ლანდებში იარაღასხმული მცველები და დაბორკილი ტყვეთა კოლონა შეიცნო.

ეს ამბავი მალე თანამგზავრებს აცნობა. უკანვე მობრუნებულმა, გადაწყვიტა, როგორმე გაეგო სადაური ტყვეები მოიყვანეს და ვინ იყო იმათი პატრონი. კარიბჭის შესასვლელთან, ვიწრო კარის გლუვ ზღუდეს ბრახუნი აუტეხა. მცირე ხნის შემდეგ, გაიღო კარი. ორი შავად მოსილი მამაკაცი გამოვიდა გარეთ. ერთ-ერთს სანთელი ეჭირა ხელში, გაკვირვებით დააცქერდა მუხლებზე ჩაჩოქილ მირიანს სანთლიანი.

– ვინა ხარ და აქ რაზე მოდი ამ ღამითო, – ჰკითხა.

ხელებით შეეცადა რაღაცის მინიშნებას მირიანი.

ვერ მიუხვდა მესაყდრე, მეორეს გადაულაპარაკა, – ეტყობა მუნჯია, ყარიბი ვინმე, საყდარში შევიყვან, დავაპურებ, მადლიაო.

– ეპისკოპოსმა ხომ ბრძანა, საყდარში არავინ შემოუშვათო, – დაუშალა მეორემ.

– მერე რა, – არ ეშვებოდა მაინც პირველი, – ჩვენს გარდა ვერავინ შეიტყობს და...

ზიზღით გაადაპურჭყა მეორემ, ხელი ჩაიქნია და შესასვლელში გაუჩინარდა.

ზეზე წამოაყენა დარჩენილმა მესაყდრემ მირიანი. მხარში შეუდგა და შიგნით შეიყვანა. ჭიშკართან ახლოს მდგარ პატარა შენობას, ალბათ საყარაულოს, კარი გამოაღო და ფიცრულ სექვზე დასვა მუნჯი.

ბუხართან ახლოს წამოწოლილიყო ის მეორე. იდუმალი მძულვარებით უცქეროდა მუნჯს. მის უსიამოდ ჭროდა თვალებში შემაზრზენი სიცარიელე დაინახა მირიანმა. უნებლიეთ გააჟრჟოლა.

მომცრო ტაბლაკი დაუდგა კეთილმა მესაყდრემ წინ. ზედ ყველი და პურის ნატეხები დაალაგა. მიირთვიო, შესთავაზა.

ვერ გაიგო ვითომდაც მირიანმა ნათქვამი. გაოგნებული შეჰყურებდა მასპინძელს. ახლა ხელების მოძრაობთ უჩვენა მესაყდრემ, ჭამეო.

შიმშილი სრულებითაც არ აწუხებდა მირიანს, მაგრამ რახან მუნჯ-ყარიბად მოაჩვენა თავი, მისდაუნებურად ბოლომდე უნდა ეთვალთმაქცა.

გაურკვეველი რიდით აიღო ყველისა და პურის ნაჭრები, მორიდებით ჩაკბიჩა.

ჭამა რომ მოათავა, ძველისძველი ნაბადი გაუფინა მესაყდრემ სექვზე, ანიშნა, დაწექიო.

ფიცრულ სექვზე მიწვა მირიანი. კუთხისაკენ გადაბრუნებულს, უნებლიეთ ჩაეძინა.

ცისკრის ლოცვის წინ გამოეღვიძა. მესაყდრეთა ცხარე კამათი შემოესმა. ეპისკოპოსთან დაბეზღებით ემუქრებოდა ბოროტი კაცი, რად არ აცნობე დანაბარებიო.

დამავიწყდაო, უხსნიდა კეთილი მესაყდრე.

– ცრუობ, – პირგამეხებული ჩაჰყვიროდა მჯდომარეს ბოროტი, – ცრუობ, როგორც ყველა ორპირი! მაცალე, მოვა ეპისკოპოსი და ვეტყვი შენს ნამოქმედარს!

ჩუმად უხსნიდა კეთილი მესაყდრე, რად არ მიჯერებო. ბოლოს, რომ აღარ მოეშვა, ხმა აიმაღლა, არ დამვიწყებია, მახსოვდა, დიახ, მახსოვდა, მაგრამ განგებ არ შევატყობინეო.

– ااااا!.... – ხელები მაღლა აიქნია სიბრაზისგან ბოროტმა, – ახლა კი მივხვდი, რა გულის წვაც გქონია გაიძვერავ! გეყოფა ამდენი! ეს უკვე მერამდენედ აკეთებ ამგვარს, ჰა?!...

– ვაკეთებ და კიდევაც გავაკეთებ! – ზეზე აიმართა კეთილი. უკან დაწეულს ახლა თვითონ დაჰყვიროდა ზემოდან. – არ დამვიწყებია, დიახ, არა და მთელი ღამე მასზე ვფიქრობდი, ვით გამომეხსნა ის საცოდავები! თუმცა ვერაფერი მოვუხერხე დარაჯთ. წადი, – ხელი კარისკენ გაიშვირა, – აცნობე მაგ წმინდანის სამოსელში გახვეულ სატანას. მე ჩემი სულის გადასარჩენად ვეცდები აღვუდგე ყველა ბოროტებას. თუნდაც ვიგვემო ამისათვის, ცოდვას არ შეარჩენს ღმერთი არც ერთ წამხედურს და მათ შორის, შენც დაგიდგება განკითხვის ჟამი!

– აქამდე ვერ შევიცანი შენი სულისკვეთება, – დაემუქრა ბოროტი, – თორემ კარგა ხანია ქვესკნელში გაგაგზავნიდი მატლების კერძად და რომ ახლა აქედან ვეღარ გახვიდე, ამ წუთიდანვე შევაკვრევინებ შენს თავს.

ამ სიტყვის თქმისთანავე კარი გამოაღო ბოროტმა. მალე ორი იარაღშეჭურვილი კაცი მოიყვანა.

სწრაფად შეკრეს მოსულებმა კეთილი მესაყდრე, ხელფეხშებორკილი ძირს დააგდეს და გარეთ გაიკრიფნენ.

საგდულის ხმა შემოესმა მირიანს. ალბათ, კარი ჩაკეტესო იაზრა. ფრთხილად წამოდგა სექვიდან და უხმაუროდ მივიდა მესაყდრესთან. პირიდან ჩვარი გამოაცალა. იქვე იატაკის უსწორმასწორო ღრიჭოში ჩავარდნილი სამკუთხა რკინის ბლაგვი ნაჭერი აიღო ხელში და დიდი ვაივაგლახით თასმები დაუჭრა. განთავისუფლებულ მესაყდრეს ჰკითხა, რას გერჩოდა ის არაკაციო.

გაკვირვებული შეაცქერდა მირიანს მესაყდრე. მუნჯი ეგონა და თურმე მეტყველი არ ყოფილა? ნეტავ რაში დასჭირდა ეს ცრუობაო, გაივლო გულში. უპასუხა, ტყვეები უნდა წაეყვანათ იმ ღამით, აქვე ახლოს ბინადარ ყაჩაღებისთვის უნდა ეცნობებია ეს ამბავი, მე კი განგებ არ შევატყობინეო.

– ტყვეები სად არიან ახლა? – ჩურჩულით შეეკითხა მირიანი.

– საყდრის სარდაფში.

– ვერ შევძლებთ როგორმე გასვლას აქედან?

– გასვლით გავალთ, მაგრამ რას შევძლებთ ორნი, ამათ მხარეზეა ყველა.

– შენ ოღონდ აქედან გამიყვანე და მერე რაღაცას მოვახერხებო, – დააიმედა მირიანმა.

ორიოდე ფიცარი ამოყარა იატაკიდან მესაყდრემ. კედლის ერთ კუთხეში საკმაო ზომის ხვრელი გამოჩნდა. გალავნის გაღმა გავალთ ამ ხვრელითო, უთხრა და პირველი ჩაძვრა ხვრელში.

მესაყდრეს მირიანიც მიჰყვა. ქვეცნობიერი ალღოთი იარა მიწისქვეშა გვირაბში და სულ რამდენიმე წუთში, უკვე გალავანს მიღმა აღმოჩნდა.

მიწის ზედაპირზე ამოსულებმა ძლივს გაითავისუფლეს თავი ეკალ-ბარდებისგან.

– შენ აქაური არ ჩანხარ და ჩემთან წამოდიო, – შესთავაზა მესაყდრემ.

იუარა მირიანმა, ამხანაგები მიცდიან და უმჯობესია დროზე მივიდე, ეს ამბავი ვაცნობო, რათა ტყვეები გამოვიხსნათო.

გაოგნებული შეჰყურებდა მესაყდრე ჯეელს. ათასნაირმა კითხვამ გაიფარფატა მის გონებაში. თუმცა მხოლოდღა ეს უთხრა, მეც თქვენთან წამოვალო და მირიანს კვლადაკვალ მიჰყვა.

მცირე ხანს უკვე თანამგზავრებს ესაუბრებოდა მირიანი. მოსმენილი რამოდენიმეჯერ ჩაჰკითხეს.

მზადყოფნა ბრძანა უფლისწულმა.

ნახევარი საათიც არ იყო გასული, ბედაურებზე ამხედრებულნი მიადგნენ საყდრის ჭიშკარს.

უწესრიგოდ გადი-გამოდიოდნენ მლოცველები საკურთხევლიდან. ცისკრის ლოცვა მოთავებულიყო უკვე.

ბედაურებითვე შეჯირითდნენ ეზოში.

ტანმორჩილი ბერი გადაუდგა მხედრებს წინ. წმინდა ადგილას დაუგმო იარაღით შემოსვლა. ჩამოქვეითდნენ მეომარნი.

– ეპისკოპოსი სად არის, მამაო? – მიმართა ბაგრატმა, – მოუხმე, უთხარ, მეფის მსახურნი გიბარებენო.

უკან დაიწია შეცბუნებულმა ბერმა. ახლაღა იცნო უფლისწული, პირჯვარი გადაისახა, მოწიწებით კალთაზე ემთხვია და ახლავეო, ხმადაბლა ჩაიჩიფჩიფა.

მცირე ხანში საყდრიდან კარგად ჩასუქებული, საოცრად ტანმოკლე, ჭაღარაშერეული ეპისკოპოსი გამოგორდა. ორი წვეროსანი ეახლა ეპისკოპოსს, ორივე მისებრ დაბლები და ხორცსავსენი.

საყდარში იარაღასხმულ მხედართა შემოსვლა ეუცნაურა ეპისკოპოსს. ის იყო, რაღაცის თქმა დააპირა და ჰაერში მეხივით გავარდა:

– ღმრთისა და ხელისუფლების ნებით, შეპყრობილები ხართ! – და იმავ წუთშივე მხლებლებს უბრძანა, ხელები შეუკარითო.

სწრაფად დაადვეს ბორკილები ცრუ მორწმუნეებს და წინ წაიმძღვარეს. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ვითარებაში გარკვევა ვერაფრით მოასწრო ეპისკოპოსმა. მბრძანებელში ბაგრატი შეიცნო, მაგრამ მაინც ვერ ჩასწვდა დაპატიმრების მიზეზს.

ტყვეები საიდუმლო სარდაფში ჰყავდა გადამალული. სხვამ არავინ იცოდა ამის შესახებ. ანდაც ეს პირველი შემთხვევა ხომ არ იყო, იქნებ რომელიმე შინაურმა დააბეზღა და კვალში ჩაუყენა? ტყვეები თუ სარდაფში იპოვეს, ნაღდად წასულია მისი საქმე. ნეტავ ვინ არის ის მოენე? თანამზრახველის ნაამბობი გაახსენდა ამ დილას, შებორკილი მესაყდრე გაქცეულიყო სავარაუდო სადგომიდან. კი მარა, საიდან გაჩნდნენ ეს მეფის სპანი, იქნებ ადრეც უთვალთვალებდნენ? როგორც კი ხელსაყრელი ჟამი უნახეს, ფაქტზე დაადგნენ.

ეჭვი რეალობად ჩათვალა ცრუ მღვდელმთავარმა. ახლა თავის დახსნის შესაძლო ქმედებას ჩასჭიდა გონება.

რახან სარდაფისაკენ გაუყვნენ, ეტყობა ყოველივე იციან. რომ უარყოს ამ საქმეში მონაწილეობა, დაუჯერებენ? ბაგრატი რომ არ იყოს, კიდევ რაღაცას მოიმოქმედებდა თავის გადასარჩენად. ბაგრატის მოსყიდვა კი შეუძლებელზე შეუძლებელია, ეს იცის ეპისკოპოსმა. გადაწყვიტა, ვიუარებ ყოველივეს, ტყვეების აქ მოყვანას თანმხლებ ბერებს გადავაბრალებ და შემდეგ მევე ვიზრუნებ მათ გამოსახსნელადო. მანამდე კი, რამენაირად ნიშანი უნდა მიეცა მათთვის, თავისთავზე აეღოთ ეს საქმე.

სარდაფს მიადგნენ. სარდაფის კარი შიგნიდან აღმოჩნდა დაკეტილი.

მეომრების გარშემო მჭიდროდ შემორტყმულ მლოცველებში ჩურჩული გაისმა. განცვიფრებული ეკითხებოდნენ ერთმანეთს, ვინ არიან ესენი და რაზე დააპატიმრეს ეპისკოპოსიო.

ძალისძალ შეამტვრიეს დაკეტილი კარი. ეპისკოპოსი შეგზავნეს წინ.

მცირე შეტაკება მოხდა სარდაფში. ხუთივე მცველი ერთიანად ჩახოცეს მეომრებმა.

ნახევრად ჩაბნელებულ და ნესტიან სადგომში თხუთმეტიოდე ტყვე აღმოჩნდა. სულ ახალგაზრდა ვაჟკაცები.

ბორკილები ახსნეს ტყვეებს. ქურდულად მოტაცებული აღმოჩნდა ყველა.

ორმოცდაათი ტყვე გუშინ საღამოს წაიყვანესო, ამცნეს მეომრებს. საით წაიყვანესო, ეს კი არავინ იცოდა.

ეპისკოპოსს მიუბრუნდა ბაგრატი: – საითკენ გაუყენეთ ის ტყვეები? – ჰკითხა. ვითომდაც უცოდველმა, მხრები აიწურა, ღვთისმატყუარამ ღმერთი, რჯული იფიცა, ვერას გეტყვიო. – აბა, როგორ გაჩნდნენ ეს პყრობილნი აქ? – ახლა კი დაჰყვირა უფლისწულმა. კვლავ ორჭოფულად აახამხამა თვალები ცრუმლოცველმა. ბოლოს საბერველივით ერთიანად აკანკალებული, მუხლებში ჩაუვარდა ბაგრატს: – შემიწყალე მეფეო, უდანაშაულო ვარო, – შეჰღაღადა და ფარისევლობისა თუ შიშისგან ცრემლები დააპკურა ჩოხის კალთაზე.

ზეზე წამოაგდეს მხლებლებმა.

წინ წამოდგა ის კეთილი მესაყდრე. მორიდებით თაყვანი სცა უფლისწულს, განუცხადა: – ტყუილს ლაპარაკობს ეს ღვთისმგმობელი, მეფეო, არ დაუჯეროთ. საკუთარი ხარჯებით არჩენს ავაზაკებს, რათა ისინი შემდგომ თავისივე ბნელი საქმეებისთვის გამოიყენოს. მე ვიცი ყველა მაგათი ბუნაგი, ერთი აქვე ახლოსაა, გიჩვენებთ, თუკი გამომყვებითო.

შებორკილი ეპისკოპოსი და ბერები მამასახლისს ჩააბარეს სააჯო კარზე გადასაცემად.

ამის მერე კვლავ ამხედრდნენ და მესაყდრეს გაჰყვნენ უკან.

მალე შორს ჩამოიტოვეს სოფლები. მზე საშუადღეოს მიუახლოვდა. ტყეები დაიწყო. ბუჩქნარებითა და ეკალ-ბარდებით დაფარულ ნაგზევზე ძლივს მიდიოდნენ ბედაურები.

ერთგან შეიარაღებული მგზავრები შეეფეთნენ. მიახლოებისთანავე, მგზავრებმა გზიდან გადაუხვიეს და თვალშეუწვდენ ტევრში გაუჩინარდნენ.

მთის ძირში, ვიწრო ხეობის კლდოვანებში, ქვაბს წაადგა მესაყდრე.

ქვაბში ჯერ კიდევ ბჟუტავდა ცეცხლის ალი. ცეცხლთან ხელფეხშეკრული კაცი ეგდო, საწყალობლად კვნესოდა გლუვ, ქვის ზედაპირზე მწოლიარე.

აუხსნეს ბორკილები ტყვეს. ძლივს წამოჯდა განაწამები. სვენებ-სვენებით ამოილაპარაკა: – ვინა ხართ და სადაური ხალხო, ღმერთმა სამაგიერო გადაგიხადოთ კეთილქმედებისთვის.

დაბლა დაიხარა ბაგრატი.

– როგორ აღმოჩნდი აქ მარტოდმარტო ძია, სადღა არიან შენი დამტყვევებელნი? – ჰკითხა.

– დილით წავიდნენ ყველანი. ტყვეებიც თან გაიყოლეს.

– ხომ არ იცი, საითკენ წაიყვანეს ტყვეები? – შეეკითხა ლომფერი.

თავი გააქნია ტყვედყოფილმა. ყვითელი მუწუკებით დაფარულ სახეზე უსიცოცხლოდ მოელვარე თვალები მოუჩანდა საწყალს. მოყვითალო ფერს დაევანებინა თვალთა გუგის ირგვლივაც. ალბათ ჟამი დაჰრეოდა, ყვავილმაც იცის ამგვარი დაგონჯებაო, იაზრა ბაგრატმა. გასასყიდად არ ივარგებსო და მიაგდეს მარტოდმარტო.

კაცი დატოვეს საპყრის წასაყვანად ბანაში.

ცხენებით გადათქერილ კვალს გაუყვნენ ტყეში. ორიოდე საათის შემდეგ, ფართო შარაზე გავიდა ნაკვალევი. ცოტაც რომ იარეს, გზისპირას, ბუჩქებთან, პირჩაღმა მწოლარე კაცი დაინახეს.

ხელებშეკონილი, დაფლეთილტანსაცმლიანი ტყვე, ავადმყოფურ ისტერიას მისცემოდა. დააყურადეს, ვერავინ გაიგო რას ბოდავდა უგონოდ მყოფი. მახლობელი რუდან მოტანილი წყალი დააპკურეს სიცხისგან შეწითლებულ ლოყებზე.

ეტყობა იმოქმედა ცივმა სითხის შეხებამ. ერთი-ორჯერ შეინძრა და რამდენიმე წამში ცნობაზეც მოვიდა.

– სადა ვარ, – სულ ოდნავი ხმით ამოიჩიფჩიფა და თქვენ ვინა ხართო.

– მგზავრები ვართ, – უთხრეს, – ამ მდგომარეობაში რამ მიგიყვანაო.

– ტყვედ შემიპყრეს. თვეზე მეტია, ყაჩაღთა ბუნაგში ვიმყოფები. რაღაც უცნაურმა სენმა დაგვრია ხელი, ბევრს მოუსწრაფა სიცოცხლე. შეუძლოდ შევიქენი მე და უღონოდქმნილი, გზაშივე მიმაგდეს ნადირთა ლუკმად. – ხამუშ-ხამუშ ყვებოდა უცნობი. ცოტა რომ სული მოითქვა, მცირედ აწეული ტონით შეეკითხა: – თქვენში მეფის სანდო კაცი თუ ვინმე არისო.

– მე ვარ მეფის სანდო კაცი, – დაბლა დაიხარა უფლისწული.

მომიახლოვდიო, ხელით ანიშნა ნახევრად მწოლიარემ.

სულ ახლოს მიიტანა ავადმყოფთან სახე ბაგრატმა. ძლივსღა გაარჩია ნაწილ-ნაწილ ამოღერღილი უსიცოცხლო სიტყვა: – უფლისწული დავითიც იმ ტყვეებშია, დამიბარა, თუ სანდო ვინმეს გადაეყრო, უთხარი, ანისისკენ გვეძიონო. მეტი ვერაფრის თქმა ვერ შეძლო. კვლავ ცნობა წაერთვა.

ერთ-ერთ მხლებელს უბრძანა ბაგრატმა, როგორმე ჩაეყვანა ბანამდე სნეული.

დაბინდებამდე შეუჩერებლივ აჭენეს ცხენები. ღამით შეისვენეს და გამთენიისას გააგრძელეს გზა. ამის შემდგომ ორი დღე

მიჰქროდნენ ანისისკენ მიმავალ გზაზე და როგორც იქნა, მიადგნენ ქალაქის კარიბჭეს.

გაიკითხ-გამოიკითხეს, ტყვეებიანი აღალი ხომ არ გინახავთო. მხილველი არავინ აღმოჩნდა.

ხუთი დღე დარჩნენ ანისში. თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, ყაჩაღების გზა-კვალს ვეღარ მიაკვლიეს. ბოლოს იფიქრეს, ნამდვილად სხვა გზით წავიდნენო და ახლომახლო მიდამოებში დაუწყეს ძებნა.

***

სწრაფი ჩორთით ავლო აღმართი დავითმა. ერთხანს ბორცვის ქედზე მიდიოდა სავალი. თავდაღმრთში რომ დაეშვა, პატარა, მწვანე მოლიან ვაკობზე, წყაროსთან, ოთხი წვერიანი კაცი საუზმობდა. ღვინოც საკმაოდ ჰქონდათ მოქეიფეებს.

გამარჯვება და ბარაქა უსურვა მოქეიფეებს. ჩამოხტა ბედაურიდან, წყალი დალია და ბუჩქზე მიბმული ცხენისკენ გაემართა. უკანიდან შეძახილი შემოესმა:

– შენ ეი, მეგობარო! – დამძახებლისკენ შემოტრიალდა, – აბუჩად გვიგდებ თუ რა, – ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა უცნობს, – სად მიგეჩქარება? არა ღირს საჩქაროდ ეს ქვეყანა! თითო სასმისი დაგველია, ჭირისა და ლხინის გვეთქვა, წუთისოფლის გასახარი გვეთქვა, სხვაც ბევრი რამ გვეთქვა კიდევ სულის მაამებელი, რა იქნებოდა ვითომდაც?!

გამომწვევი ტონი იგრძნობოდა ნათქვამში. უტიფრული თავხედობით იყო ნაკარნახევი ყოველი სიტყვა. თითქოსდა კი არ ითხოვდა, არამედ უბრძანებდა უცნობი, გინდა თუ არა, ჩვენთან მოდი და ლუკმაში შეგვეზიარეო.

– მაპატიეთ, დრო არა მაქვს, – მოუბოდიშა დავითმა. ბუჩქიდან ახსნა ბედაური, სწრაფად მოევლო უნაგირზე და ის იყო, ადგილიდან უნდა დაძრულიყო, რომ ლაგამზე უტაცა ხელი ვიღაცამ.

– აგრე ვერ გაგიშვებო, – უთხრა, – ჩამოდი ცხენიდან, ორიოდე სასმისი მიირთვი ჩვენთან. ამ უდაბურ მხარეში კეთილი შეხვედრისა დავლიოთ.

ალმაცერად გამოხედა ზემოდან უცნობს დავითმა. ერთიც გაიფიქრა, ძალით ჩამოვიცილებო, იუხერხულა. რა მოხდა მერე, ნასვამია და ვერ ზომავსო. ცოტაოდენმა ეჭვმაც გაკენწლა, მზაკვრული რამ ხომ არ იმალება ამათ ქცევაში, აბა რატომ ასე თავგამოდებით ცდილობენ მის დაყოლიებას? ყველას საქმე არ არის პურობა, ზოგს ღვინო აგიჟებს, ზოგიერთი კი, უკეთურობის ლაგამს

რომ განუსჯელად აუშვას ხელი, წინასწარ განზრახვით ეტანება ბახუსს და როცა დანაშაულზე მიუთითებენ, ნასვამი ვიყავიო, გეტყვის თავის გასამართლებლად.

რაიმე ცუდი განზრახვა არ ჰქონდეთ, იარაღიც რომ სრულებით არ აბადია, შიში გაუკრთა გონებაში. მიუსვლელობა დედლობად ჩამეთვლებაო, გაიფიქრა. ერთი ორიოდე სასმისს დავლევ, დაველოცინები და ჩემსავე გზას გავუდგებიო.

მკვირცხლად ჩამოხტა ძირს. ცხენი ბუჩქებზე მიაბა და მოლხინეებთან მივიდა.

ოთხი ფიალა მიაწოდეს მისვლისთანავე. ეს შენი შემოსტუმრებისა, ეს უმისჟამოდ დაკარგული ძმებისა, ეს მშობელთა და ეს კიდევ წინაპრებისაო, ჩაუჭიკჭიკეს.

სულმოუთქმელად გამოსცალა ოთხივე. მათ დაუკითხავად შეავსო მეხუთეც. ეს კიდევ ჩემი წასვლისა იყოსო, თქვა და ისიც გამოსცალა. კორდზე გააგორა სასმისი. ის იყო, წამოდგომა დააპირა, რომ ბეჭზე ხელი მოუთათუნა ხმახლიჩინამ.

– ეგრე ადვილად არ არის ჩვენგან თავის დაძვრენა, – უთხრა, – თქვი რაც გინდოდა, დალიე რაც გინდოდა, წასვლა გსურს და მიდიხარ, ჰეეეე... კარგი მადა გქონია, ცისკრის მადლმა! შენ თუ მართალი კაცი ხარ, ერთი ჩვენცა გვკითხე, რას ვესწრაფვით, რაზედ ვართ აქა და რას ველოდებით. ჰი-ჰი-ჰიიი, – გულიანად ჩაიხითხითა და ბრტყელ-ბრტყელი კბილები გამოაჩინა.

– რაღას უყურებ, დაასხი ღვინო, – უყვირა გვერდით მდგარ თანამესუფრეს.

სავსე სასმისები ჩამოარიგეს.

– ყოველ ადამიანში, – თქვა მან, – ორი სამყარო დევს: ბოროტება და სიკეთე. კარგია იყო კეთილი, მაგრამ რა გამოვა აქედან? თუ შარვლის ხვანჯარი ზომაზე ვიწროდ შეიკარ და მშიერი იწანწალე, თუ შენი წასაღები სხვას გაატანე, ერთი მითხარი, ვინ დაგიმადლებს, ჰა?! იტყვიან, არ ჰქონდა მარიფათი და ისე გაატარა სიცოცხლის თავისი წილი, როგორსაც იმსახურებდაო.

წუთისოფლის ნარეკლიან გზაზე, ერთი დასკვნა გამიკეთებია! ეცადე მისწვდე რასაც მისწვდები, თორემ საკუთარ კუთვნილს სხვა დაეპატრონება და შენ პირში ჩალაგამოვლებული დარჩები. ასეთია ცხოვრების ჩემებური ფილოსოფია, ჰი-ჰიი...

ზომაზე მეტად მცინარეს ლუკმა გადასცდა სასულეში. ბუჰ-ბუჰ-ბუჰ, რამდენიმეჯერ ჩაახველა სიმწრისაგან და ცრემლმორეულმა გააგრძელა:

– ბევრს არა სურს ქმნას სიავე, მაგრამ ეს მწარე ყოფა თუ გაცლის? არსობის ლუკმა რომ მოიპოვო, შრომაა მთავარი. უფრო მსუყე ლუკმას მიძალებულა ადამიანი, აღუვსებელი სტომაქი რომ ამოიყოროს, იძულებულია სხვას წაართვას. ყველა ვერ იქნება კარგად და ზოგ-ზოგი გამორჩეული რომ ამაღლდეს, უნდა დამდაბლდნენ დანარჩენები. ბედით განებივრებულთა საჭმელია ეს ქვეყანა. მათთვის უზრუნველი სიამტკბილობა მონებმა უნდა შექმნან არაადამიანური ჯაფით. ვტყუი, ბიჭებო, ჰა? – თანამესუფრეებს გადახედა ხლიჩინამ.

აგრეაო, დაემოწმნენ მოქეიფენი.

– რახან ასეა, მაშინ რა პასუხი უნდა მომთხოვოს ღმერთმა, იმქვეყნიურ ცოდვა-მადლის სასწორზე შემდგარს ჩადენილი ავი საქმისთვის? ამ მუდრეგ სტომაქს დღეში რამდენიმე გზის შევსება სჭირდება. როგორ შევძლო ეს? ჩემი პაპანი მონები იყვნენ, არაფერი ებადათ. ჰოდა, მე ვამბობ, ვითარ უნდა გამასამართლოს თვით უსწორო წუთისოფლის შემოქმედმა, ჰა? – შეყოვნდა, შემდეგ კვლავ გააგრძელა: – დაუოკებელი მცდელობაა ამქვეყნიური ჯაფა. თუმცა, არსებობს სულ მცირე, სხვაგვარი ხერხი მართალ თუ მცდარ გზა-შარაზე მიმავალი. ყველა ამათგან ერთია მთავარი, მიაღწიო ამქვენიურ კმაყოფილებას. თუ როგორ შეძლებ ამას, ეს არაა მთავარი. ხომ ასეა ბიჭებო ჰა?

ასეა, კვლავ დაუდასტურეს.

– მართალია, ჰა? – ახლა დავითისკენ გამოიხედა ხლიჩინამ.

სრულებით არ უნდოდა დავითს საუბარში აჰყოლოდა ამ არაკაცს, მაგრამ ვერ მოითმინა და უპასუხა: – სტომაქს აყოლილი კაცი სატანის მიმდევარია. უფალი გვასწავლის, სულის გვემით მოვიპოვოთ ჭეშმარიტება, მარადიული სასუფეველი და არა განცხრომით.

– გესმით ბიჭებო? – ქორივით მოავლო მზერა სუფრას ხლიჩინამ, – რას ამბობს, ჰი-ჰი-ჰი, – გამხიარულებულმა რამდენჯერმე ტაში შემოჰკრა, – სულის გვემით მოიპოვე აღთქმული სამოთხეო, ჰი-ჰი... კი მაგრამ, იქნება კი ეგე ნამდვილად? ვინმემ თუ უწყის, იქნებ ზღაპარს ჰგავს ეგე? მე ამსოფლიური სინამდვილე მირჩევნია ოცნების ლაჟვარდს. თუმცა ხანმოკლეა, მაგრამ რა ვუყოთ, ასეა და....

სრულიად წყალწაღებული გარეწარი ყოფილაო, გაივლო გულში უფლისწულმა. ახლა კი მართლაც ინანა, არ უნდა გამეტეხა ამათთან პურიო.

ასადგომად წამოიწია და ბეჭზე კვლავ დააბჯინა ხელი ხმახლიჩინამ. ძლიერი ძალა იგრძნო დავითმა. გაურკვევლობისა თუ

ბრაზისგან რადაცნაირად მოუდუნდა სხეული და ისევ პირველ მდგომარეობას დაუბრუნდა.

– ნუ ჩქარობ, – ჩასძახა იმავე ხმამ, – ჩვენც იქითკენ მივდივართ და ერთად წავიდეთ.

საკმაოდ მოზრდილი ნაჭერი ჩამოათალა ნაკვერჩხლებზე შემწვარ კურდღელს ხმახლიჩინამ. ერთიც მადიანად ჩალუკმა და ღვინო დაასხითო, ბრძანა.

მაღლა აიტაცა ღვინიანი სასმისი: – მარიფათიანი კაცის დღეგრძელობა იყოს, – მომეტებული რიხით წარმოთქვა, – ჯერ არ შემხვედრია ბიჭებო, პატიოსნებით გამორჩეული საჭურჭლეთმპყრობელი. ფუფუნება მხოლოდ სხვათა შრომის მითვისებით იქმნება. ამიტომ კაცმა ყველა სავალი უნდა მოიძიო, რომ როგორმე მიაღწიო მიზანს. არ არის ამ ძიებაში გასაკიცხ-დასაგმობი ის გზაც, რომელსაც არაკეთილშობილური კვალი გასდევს. მთავარზედ მთავარი ერთია, ჰპოვო სიმდიდრე, აურაცხელი სიმდიდრე! ჰი-ჰი-ჰიიი, – გულიანად იცინა და სულმოუთქმელად დააპირქვავა სასმისი.

მარიფათიანი კაცი დალოცეს თანამესვეურებმაც.

ჯერი დავითზე მიდგა.

– ყველა კეთილ კაცს გაუმარჯოს! – თქვა მან და დალია.

სიბრაზისგან ცალი წარბი მაღლა აზიდა ხლიჩინამ. ალმაცერად შეაცქერდა უფლისწულს.

– გესმით, ბიჭებო, ჰა! – ამფსონებს მიუბრუნდა, – კეთილ კაცს გაუმარჯოსო, ჰი-ჰი-ჰი. კიდვ დარჩა ვინმე კეთილი ამ არეულ ქვეყანაზე? ვკითხოთ ერთი! ჰა, თუკი ეს სიტყვები ლამაზ ზმანებას ჰგავს, მაშინ რად დასჭირდა მთქმელს, ჰა? შენ გეუბნები ასტაფურ, – თვალები დაუბრიალა ხმახლიჩინამ იმას, დავითის ცხენის სადავეს ხელი რომ უტაცა, – არ მიყვარს, აზრს რომ უტიფრად მიჯიჯგნიან, არც რაიმე მწამს ნართაულების! ვიცი ერთი რამ, უჭკუოდ წამოსროლილი ყოველი სიტყვა, გაფრენილ ისარს ჰგავს და ვერასდიდებით ვეღარ დააბრუნებ. მაშ, კეთილს გაუმარჯოსო, ჰაااა... შენზე მომინდვია მთქმელის სასჯელი, ასტაფურ...

– შენ ეი! – ზეზე წამოდგა ასტაფური, – ხომ გაიგონე, რა თქვა მეთაურმა.

ახლა კი საბოლოოდ ინანა ამათთან შემოსტუმრება. ეტყობა ერთიმეორეზე უარესნი არიანო, თუმცა მაინც არ აპირებდა დანებებას.

– სიკეთის მარადიული გამარჯვება ყოფილიყოს! – გულუშიშრად წარმოთქვა.

– ჰი-ჰი-ჰი! – კვლავ გადმოყარა ბრტყელი კბილები ხმახლიჩინამ, – სიკეთე, სიკეთე... – რამდენიმეჯერ გაიმეორა, – მაინც რა არის, ჰა?

– სიკეთე კაცის ზნემაღალი არსია, ყველას არ ძალუძს იღვაწოს მის სასარგებლოდ. რადგან ადამიანთა დიდი უმრავლესობა აღმოუფხვრელ მანკიერებითაა დასნებოვნებული. ცუდ ზნეთა მიმყოლი, საკუთარი გარჯით ვერ გაასხივოსნებს სხვათა ბედნიერებას. ამგვარი მიზანსწრაფვა სულ მცირეთა და მცირეთა აზრია, კაცური აზრი.

– მაშ, ჩვენ კაცები არა ვყოფილვართ? – დაგუბული ღელვით ამოიძახა ხლიჩინამ. თითი დავითისკენ გაიშვირა, – ბედს უნდა დავმორჩილებოდით და მონებად დაგვესრულებინა წუთისოფელი? გესმით, მონებად... ბატონებს ხომ უზრუნველი განცხრომა სჭირდებათ! ჩვენ – არაადამიანური სვე, მათ – დალხინება, ეს არის სიკეთე? ღვთისშვილები არა ვართ ორივენი? ადამიანებად დაბადებულნი?

– ცხოვრების არსებული წესია ესე, – არ შეეპუა დავითი, – და ვალდებულნი ვართ საკუთარი ბედითვე მონიჭებული ხვედრი გავიზიაროთ ისე, როგორც არის.

გაგულისებული წამოვარდა ზეზე ხლიჩინა. მოუსვენრად გაიარ-გამოიარა რამდენიმეჯერ. ბოლოს სულ ახლოს მივიდა დავითთან და თავდახრილმა სახეში რისხვა შეაფრქვია: – მონები იყვნენ ჩემი მამა-პაპანი, მეც მონად მოვმკვდარიყავი? მითხარ, შენ ვიღაცა ხარ, გამაგებინე... ააა, არ შეგიძლია? მე გეტყვი! ჩემი ცხოვრებაა ჩემი ქმედების სარკე. იმგვარი სატანჯველიდან გამოქცეულს, როგორ შემეძლო სიკეთე მექმნა?! მე ხომ იგი არავისგან არ მისწავლია? გაუსაძლისი დამცირება მდევდა ყოველი ფეხის ნაბიჯზე. ასე მეგონა, უღონოთა ჩაგვრა იყო ჩვენი ყოფის თავი და თავი, მხოლოდ ასე შეიძლებოდა ცხოვრებისეული სიამტკბილობის მოპოვება და მეც ის მოვიმოქმედე, რაც შევძელი.

– შენ სხვა გზაც გქონდა.

– რა მითხარ? რა გზა?

– გზა მარადიული სასუფევლისკენ!

– ტყუი! – ახლა უკვე მთლად გაცოფდა ხმახლიჩინა, – ჩემს სავალს ბორკილი ედო და ის ბორკილი მე არ შემიქმნია! მატყუარა ხარ, ისეთივე მატყუარა და ფლიდი, როგორიც ჩემი მწვალებელი იყო! – ხმამაღლა დაუყვირა, – ტანჯვით თუკი შეიძლება მარადიულის მოპოვება, მაშინ ყველამ გავიღოთ თავთავისი წილი, თანაბრად ყველამ!

– ალბათ დადგება ეგ დროც.

– ჯერჯერობით რომ არა ჩანს?

– დადგება აუცილებლივ.

– ტყუი! – ხელახლა დაუყვირა ხლიჩინამ და მომეტებული ბრაზისგან გააპურჭყა. ცოტა რომ დამშვიდდა, კვლავ თავისსავე ადგილზე ჩამოჯდა. ხმადაწევით ასტაფურს მიუბრუნდა: – რას იტყვი, ასტაფურ, ცუდ სტუმარს ცუდი მასპინძლობა ხომ დაშვენდება?

– აეთრიე! – თავზე დაადგა დავითს ასტაფური, – ხომ გაიგონე, რა ბრძანა მეთაურმა, – უთხრა და კეფაში გამეტებით ჩასცხო ხელი.

სწრაფად წამოვარდა ზეზე უფლისწული. სატევარი ჩამოგლიჯა შეურაცხმყოფელს და ბარძაყზე ბრტყლად დაჰკრა. დარტყმის სიმწრისგან მიწამდე ჩაიჩოქა ასტაფურმა.

მსწრაფლ აიშალნენ დანარჩენებიც. გაიძრეს მახვილები, ორი გამოემართა შესარკინებლად, ორივემ ერთდროულად მოუქნია ხმალი. სწრაფად გახტა უკან დავითი. უვნებლად აიცდინა პირველი იერიში. ახლა უფრო გამეტებით მიეტივნენ. ერთ-ერთმა ხელშუბი სტყორცნა. ნასროლმა ხელშუბმა ზუზუნით გადაუარა დაბლა დაღუნულ დავითს, ვიდრე ამის მოქმედი მახვილს გამართავდა, სწრაფად შეუვარდა წელში, კისრულით გადმოიღო და ხუთიოდე ნაბიჯზე ბუჩქებში გადააგდო. მეორის გვერდიდან მოქნეულ მახვილს მახვილი დაუხვედრა, მარჯვენა ფეხი ძლიერ ატაკა მხარზე და ისიც დროებით მოიციდა. სხვა ორნიც გამოემართნენ.

უიარაღოს ამათთან რკენა ხეირს არ მომიტანსო, იაზრა დავითმა და იქვე ბუჩქებზე მიბმულ თავისსავე ცხენს ზურგზე მოევლო. ვიდრე მოქიშპენი რაიმეს მოიფიქრებდნენ, უსიერი ტყისკენ მიმავალ ბილიკზე გააქროლა და მოსახვევში გაუჩინარდა.

უკნიდან სტვენა და ყიჟინა მოესმა. დაუზოგავად მიერეკებოდა ბედაურს. ხშირ სოჭიანში შესულს, უცაბედად მძიმე რაღაც დაეცა თავზე და გონება დაკარგა.

გონს ქვაბში მოეგო. ხელებშეკრული, სხვა ტყვეებთან ერთად მიეგდოთ. სულ ორმოცდაათამდე ტყვე იქნებოდა. საშინლად აწუხებდა თავის ტკივილი, სხეულის ყოველი ასო გაუსაძლის წვას დაეთანგა. ვინ იცის, სად და რამდენი ატარეს გონდაკარგული. ნეტავ, დათქმული ხომ არ ჰქონდათ იმ ვერაგებს, მისი შეპყრობა? რა მოხერხებულად გააკეთეს მაინც. სოჭნარში შესულს ჩასაფრებულმა ავაზაკმა როგორ ოსტატურად ატაკა მძიმე რაღაც.

როგორც ეტყობა, საკმაო ხანი გასულა მას შემდეგ, რაც უგრძნობლადაა. იმ ჩხუბისთავს რომ გამოექცა, მაშინ შუადღეც არ

იყო მოწეული, ახლა კი ჩამავალი მზის აელვარებული სხივი ღვიოდა ქვაბის კიდესთან.

ოდნავ გასაგონი საუბარი შემოდიოდა გარედან.

მცირე ხნის შემდეგ, ქვაბში საკმაოდ მოხრილი, ბერის წამოსასხამიანი ლანდი შემოფრატუნდა. პურის მცირეოდენი ნაჭრები ჩამოურიგა ტყვეებს. მასთან რომ მოაღწია, წყალი მოსთხოვა. რაღაცნაირად ეცნაურა ლანდის სახე დავითს, გულდასმით დაუკვრდა და ხელმეორედ მოსულმა წყლიანი ფინჯანი რომ მიაწოდა, თითქოსდა ნაცნობობა დალანდა მასში. ლანდის უნებლიე ნაცნობობამ შეღამების პირას წყაროზე ნანახი ბერები გაახსენა. იმათგან იყო, ნამდვილად შეიცნო კუპრივით შავი, დაგრძელებული წვერითა და ჭაღარა თმით.

გვერდიდან შეაცქერდა ახლა. ერთ-ერთი იმათგანიაო, დაასკვნა.

მეორე დღეც მიიწურა. ბერის გარდა, სხვა არავინ გამოჩენილა ქვაბში. შემოსასვლელთან, ჩვეულებრივ, შეიარაღებული მცველები იდგნენ.

მზის ჩასვლისას, გასეირნება გამოუცხადა ბერმა ტყვეებს. გასასეირნებლად სამ-სამი გაჰყავდათ.

ერთ ჩასკვნილ, ბრტყელულვაშასთან ერთად მოუწია გასეირნება დავითს.

მცველებს რომ გასცდნენ, ბუჩქებში ჩუმად გადაულაპარაკა ულვაშამ, როგორ მოხვდი ამათ ხელშიო.

დავითმა მოკლედ უპასუხა.

შემდგომ ულვაშამ მისი დატყვევების ამბავი მოუთხრო და გასასეირნებლად განკუთვნილი დროც ამოიწურა.

საკმაოდ ჩამოღამდა. ძლიერმა ქარმა დაუბერა გარეთ.

ულვაშას გვერდით მიწოლილი დავითი ფიქრმა გაიტაცა. თავის ტკივილმაც თანდათანობით იმატა. ამ ტკივილსა და უიმედობაში ნანა გაახსენდა, ნეტავ რას ფიქრობს ახლა ჩემზე, დამხრჩვალი ხომ არ ვგონივარ და იხოკავს პირსო. მისი მაძიებელნიც სად წავიდნენ, ასე გულდაგულ ღელის პირზე რომ დაეძებდნენ? ალბათ მათაც გადაეწურათ იმედი.

სამგლოვიარო ზარებს ჩამოჰკრავდნენ ციხე-კოშკებში და... უცებ აზრთა მდინარებისას, ნაცნობთა მოჟამულ სახეებში, სახლთუხუცესის ნეტარღიმილიანი გამოხედვა დაიჭირა დავითმა. რაღაცნაირად სძულდა ეს კაცი. გუმანი უგრძნობდა, რომ ფარისეველი და მოღალატე იყო.

ფიქრმოძალებულს ჩუმი ჩურჩული შემოესმა: – გაქცევის გეგმა მაქვს შედგენილი და რას იტყვიო, – ულვაშა იყო.

რა უნდა ეთქვა დავითს. დახსნას სულით ისწრაფოდა, მაგრამ რაინაირად, ორმოცდაათ დაჯაჭვულ ტყვეს რა ღონე შესწევდა, გაქცეულებს მიზანში ამოღებული ქურციკებივით ამოხოცავდნენ. წელან გარეთ გასულმა, აქვე ახლოს ორი მოზრდილი ძელური შეამჩნია. ეტყობა ამათი ბუნაგია. ავაზაკთა რაოდენობაც საკმაო ჩანდა: როგორმე მცველებს რომ დაძვრენოდნენ, საეჭვო იყო, ყაჩაღებს გადარჩენოდნენ. ღამით კიდევ ჰო, როცა ყველა დაიძინებდა, მცველთა უხმაურო მოცილებისას გაქცევა იოლად მოხერხდებოდა, თუმცა არცთუ მაინცდამაინც საიმედო იქნებოდა ეს მცდელობა; ჯერ ერთი, ქვაბის კუთხეში, ერთმანეთზე მიჯაჭვულ ტყვეებს განძრევის კი არა და ლაპარაკის საშუალებასაც არ აძლევდნენ. ახლაც შემოსასვლელ-თან კოცონის გარშემო შემომსხდარი ოთხი ავაზაკი აქეთ იყურებოდა, რაიმე უჩვეულო ქცევისთვის მათრახით უსწორდებოდნენ.

– თქვი, რა გეგმა გაქვს? – უჩურჩულა დავითმა.

– მერე გეტყვიო, – ხმადახშულად მიუგო ულვაშამ. – ყარაული გვიყურებსო, – თვალით ანიშნა.

გარეთ კვლავ, მძლავრად მონაბერი ქარისაგან, ზრიალი გაჰქონდა ტყეს. დაღლილ-დაჟეჟილს მთელი ღამე რული არ მიჰკარებია. თავის ტკივილმა გაასავათა.

დილას გასასეირნებლად ვეღარ შეძლო ადგომა. ძლიერ სიმხურვალეს გრძნობდა. ტანში წვამ უმატა.

სამი დღე-ღამე გაუნძრევლად იწვა. ულვაშა უვლიდა ავადმყოფს. რაღაც ძველმანები დაუგო ქვეშ, ზემოდანაც თბილი საფარი გადაახურა, ღვიძლივით მოუარა.

მეხუთე დღე მიიწურა დატყვევების შემდეგ. ახლა უკვე გამომჯობინებული დავითი, ქვაბის ცივ კედელზე მიყრდნობილი, მზის ჩამავალ შუქს გასცქეროდა. ხმაური შემოვიდა გარედან. ხმა თანდათან ამაღლდა და ბოლოს ქვაბშიც გაისმა. ნაცნობი მოლხინეები იყვნენ, წინ მეთაური მიუძღოდა. ნაცნობი ტონით როხროხობდა მეთაური. ეტყობოდა, მხიარულ ხასიათზე იყო ამ საღამოსპირას.

დავითამდე რომ მიაღწია, როგორ ხარო, ჰკითხა. ბორკილებმა ხომ არ შეგაწუხესო.

კითხვა დაცინვას უფრო ჰგავდა, ვინემ თანაგრძნობას. ზიზღნარევი დუმილით შესცქეროდა დავითი ავაზაკს. როგორ უნდოდა ამ არაკაცისათვის სახეში მძლავრად გაერტყა ხელი. მაგრამ მძიმე ჯაჭვებით შებორკილსა და ნაავადმყოფარს, ფეხზე ადგომის ღონეც აღარ შერჩენოდა.

– ჰა, რას იტყვი? – კვლავ ენამზეობდა ყაჩაღი, – თუ გსურს, ვუბრძანებ, მოგხსნან ბორკილები. ჰი-ჰი-ჰი, – გულიანად ჩაიხითხითა.

არაფერი უპასუხია.

– ხედავთ ბიჭებო! ჰა, ბორკილი ურჩევნია. ჰი-ჰი-ჰი, ამგვარდაა ყოველთვის, ჩვენთან ტყვეობასაც ეჩვევა კაცი. თუმცა, სჯობია გამხელილად ვთქვათ, ეს მათთვისაც კარგია. ჰი-ჰი-ჰიიი... – გულიანად იცინა და გარეთ გავიდა, ამფსონებიც თან მიჰყვნენ.

აღარ ახსოვდა რამდენი დღე მიიწურა. ამ ხნის განმავლობაში იმ ბერის გარდა, სხვა არავინ უნახავს დავითს.

ოთხ-ოთხი მცველი მორიგეობით, დღედაღამ ყარაულობდა ტყვეებს. ერთხანს იფიქრა, გასეირნების დროს გადავეშვები ციცაბოდან და ეგებ როგორმე დავაღწიო თავი ამ ჯოჯოხეთსო. თუმცა, უჭკუობას უფრო ჰგავდა ეს ვარაუდი. საკმაოდ მაღალი დამრეციდან გადამხტარი კაცი, ძნელად თუ გადარჩებოდა უვნებელი. მეორეც, სრულიად საღ-სალამათსაც რომ მიეღწია ვაკემდე, ყაჩაღებს მაინც ვერ დაუსხლტებოდა და რაღა აზრი ექნებოდა ამგვარ გაქცევას?

ვინაობას თუ გაუმხელდა და ფულს შესთავაზებდა განთავისუფლებისთვის, მაშინ ყაჩაღები მასზე კარგად მიხვდებოდნენ მის ფასს და უეჭველია, იმდენ თანხას მოსთხოვდნენ, რომ თვით მეფესაც გაუჭირდებოდა გადახდა. არა, სჯობდა ჯერჯერობით გაჩუმებულიყო, ეგებ სხვა, უფრო ხელსაყრელი დრო დამდგარიყო. ეს ულვაშაც რომ დუმს? წეღან, სეირნობისას ჰკითხა, გაქცევის გეგმაზე რატომ არაფერი მითხარიო. დრო მოვა და გეტყვიო, წინანდელვით უპასუხა. ასე გულხელდაკრეფილი ყოფნაც აღარ ეგებოდა, რაიმე უნდა ეღონა, თუმცა რა შეეძლო ყაჩაღთა ბუნაგში, ფხიზელ ყარაულებით გარშემორტყმულ და ხელ-ფეხ შებორკილ ტყვეს.

მზის ნათელს გაფერმკრთალება დაეტყო. გარეთ, შემოსასვლელ-თან, ხმამაღალი ლაპარაკი მოისმა.

შემოსასვლელში მჯდარი მცველი გარეთ გავიდა, სულ მალე სტუმრებს შემოუძღვა ქვაბში.

მოსულნი ხუთნი იყვნენ: ყაჩაღთა მეთაური, ასტაფური და სამიც სრულიად უცნობი.

სტუმრები შემოსასვლელთან, კუნძზე ჩამოსხდნენ, შეისვენეს. მცირე ხნის შემდეგ წამოდგა მეთაური, წამოიშალნენ დანარჩენებიც.

თავისებური ხორხოცითა და ღრეჯით ტყვეების ჩამოვლა დაიწყო მეთაურმა.

ფეხზე აეთრიეო, უყვირა ლოყაწითელ ტყვეს და გამეტებით ჩააზილა ფეხი მუცელში.

სიმწრისგან დაიზმუვლა ტყვემ. წამოდგა, უსაზღვრო სიძულვილის ელვა გაუკრთა თვალებში შეურაცხყოფილს.

– ამ მახინჯში ცოტას გადაგვიხდიან ასტაფურ. ჰა, თუმცა ცოტა სულ უქონლობას მაინც სჯობია. ჰი-ჰი-ჰიი, – თავისებურად ჩაიხვიხვინა.

– განა სახიერებაშია საქმე? – სიცილნარევი ხმით გაეპასუხა ასტაფური, – ხელ-ფეხი ხომ მთელი აქვს და რაც მთავარია, მუშაობა შეუძლია.

– მართალი ხარ, – დაემოწმა მეთაური, – სასიძოდ ხომ არ მიგვყავს.

ამ სიტყვებზე ყველამ გაიცინა. სიცილით რომ გული იჯერეს, კვლავ გააგრძელეს ჩამოვლა.

ფართოყვრიმალებიან ტყვეს ნიკაპზე ამოჰკრა ხელი მეთაურმა. მაღლა შემომხედეო, დაუცაცხანა.

განიერმხრებიან, მწითურ ვაჟკაცს მოწონებით დაუტყაპუნა მხარზე ხელი, ქისა დრაჰმებს ჩაგვიჩხრიალებენ ამაშიო, თქვა.

რიგრიგობით ჩამოუარა ყველას. ბოლოს დავითამდეც მივიდა: – ამ ჯეელში ნამდვილად ზღაპრულ ფასს მოგვცემენ, ასტაფურ, – მასზე მიუთითა, – რაც უნდა იყოს, ახალგაზრდაა და კარგი შესახედავი. მერეც, ძლიერ ძვირფასი ნადავლია, ჰი-ჰი-ჰი – ჩაიქირქილა.

უცაბედმა ელდამ შეაკრთო დავითის გონი. სხეულში ჩუმი, ტკივილისმაგვარი გაბჟუილება შეიგრძნო. ნეტავ, რად ახსენა ძვირფასი ნადავლი? – გაიფიქრა. ხომ არ მიუხვდნენ ვინაობას? სახით ნამდვილად ვერ იცნობდნენ, საკმაოდ განსხვავებული იქნება ახლა ადრინდელთან შედარებით. ამის იმედი ჰქონდა, მაგრამ ყაჩაღებს რას გამოაპარებ.

ამის მეტი არაფერი უთქვამს მეთაურს. შემოსასვლელისკენ გაემართა.

დაღამდა. ქვაბის საკარესთან ცეცხლი დაანთეს ყარაულებმა. მცირე ხნის შემდეგ, გარედან ხორხოცი გაისმა, მალე სიმღერაც წამოიწყეს. ეტყობოდა ქეიფობდნენ ავაზაკები. ნასმურევი ლანდი შემოიმართა ქვაბში, დავითს უბრძანა, მეთაური გიხმობსო.

ზლაზვნით წამოდგა ზეზე უფლისწული. შინაგანად მოემზადა მორიგი შეურაცხყოფის ასატანად. გარეთ გასულს, ჩვეული ქირქილით შეეგება ყაჩაღი.

– აქეთ დაბრძანდით, უფლისწულო, – მიმართა და ღვინით სავსე ფიალა მიაწოდა, დალიეო, შესთავაზა.

ხუთნი იყვნენ მოქეიფენი.

უფლისწულიო? მაშ, ყველაფერი ნათელი გამხდარა ამათთვის, გაივლო გონებაში დავითმა. ნეტავ, რაღა მოელის შემდგომ? იქნებ, უფლისწულობა გამოადგეს ან სრულიადაც ავნოს, ვნახოთ.

შებორკილი ხელებით გაუჭირდა ბრტყელძირიანი სასმისის დაჭერა. ქილიკით მოუბოდიშა ყაჩაღმა:

– გვაპატიეთ, უფლისწულო, ბორკილები სულ არ გამხსენებია, – ასტაფურს უბრძანა: – ხელები გაუთავისუფლეთო.

ესხვაფერა ავაზაკის ახლანდელი ტონი დავითს. თავაზიანობის მსგავსი რაღაც შეამჩნია თითქოს მის ლაპარაკში.

შეხსნეს ბორკილები. ცოტაოდენი ღვინო მოსვა დავითმა.

შექეიფიანებულმა მეთაურმა აიტაცა ღვინიანი სასმისი, მძლავრად ჩაახველა: – ბიჭებო, – თქვა, – მე ერთი უსწავლელი კაცი ვარ. ჩემი ნარეკლიანი ცხოვრების გზაზე, არ მქონია ამის პირობა. მონური ყოფით გაზრდილი, არაადამიანურმა ჩაგვრამ, დამაბრძენა. სულ მცირეოდენი მოგონებაც კი არ დამრჩენია წარსულზე. ამას წინათ ამან, – დავითზე მიუთითა – პურის ჭამისას, კეთილი კაცი დალოცა. სიმართლე გითხრათ, არ მსურდა მისი წყენინება. მაგრამ მე, რომელსაც სიკეთე ჯერ არ მინახავს და ამ წუთშიაც ვერ ვიტყვი, თუ რა არის, ცუდ თქმად ჩამესმა, გავბრაზდი. დასჯა მოვიწადინე, ისიც ამაყი გამოდგა, არ დაგვმორჩილდა და აჰა შედეგი, დღეს ჩვენი ტყვეა. ამას ვნანობ-მეთქი, რომ ვთქვა, ალბათ დამცინებთ. მაგრამ მე, ადამიანებითა და ყველაფრით მოვაჭრე ყაჩაღს, ცხოვრების გასაწვდენზე, პირველად აღმეძრა სურვილი კაცურად გავმასპინძლებოდი უცნობ მგზავრს. არ გამოვიდა და იცით, რატომ? მე, მანკიერი ყოფის პირმშო, გამეორება ვარ იმისა, რაც თვითვე განვიცადე. თურმე მხოლოდ იმის ქმნა შემძლებია, რითაც ვისაზრდოვე, – მცირედ შეყოვნდა ყაჩაღი და გააგრძელა: – ეს ყმაწვილი უფლისწულია, დავით უფლისწული. ბევრი კარგი გვსმენია მასზე. ვაჟკაცობით და მწიგნობრობით განთქმულს, მონათა ხვედრის შემსუბუქებაზეც უთქვამს ალალი სიტყვა. ვიცი, ეს ყველაფერი მისი ღირსებაა, მაგრამ ჩვენ რა, სრულიად უუფლებო ხალხს რა შეღავათი გვქონია ამით? მონებზე კვლავ არავინ ზრუნავს, უფლისწულის კეთილშობილება უძლური აღმოჩნდა იმ ნანატრი ყოფის დამკვიდრებაში, რაიც ყოველი მონის სანუკვარ ოცნებადაა გადაქცეული. თავისუფლება ჩვენ ტყემ მოგვიტანა, არსობის პური ავაზაკობამ. რითა ვართ მწვალებლებზე

უარესნი? ისინი მზა საქონელს ყიდიან, ჩვენ კი სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მდგარნი, საკუთარი ჯაფითვე მოპოვებულს ვასაღებთ.

სასმისი შეუჩერებლივ გამოცალა. ხელახლა შეავსო, ფეხზე წამომდგარმა მარცხენა მაღლა აღმართა:

– ბიჭებო, – სიტყვა კვლავ გააგრძელა, – ჯერ კიდევ არ დამიმთავრებია სათქმელი. ვიტყვი, თუკი შევიძელ. ვინა ვართ და რით ვსულდგმულობთ, სად იწყება ჩვენი ყოფა და სადაა მისი დასალიერი, არავინ იცის. ძნელია თვითდაჯერებული კაცის ჭეშმარიტებისკენ მოქცევა. რაც უნდა ვიყვიროთ, ბრალი არა გვაქვსო, მცდარნი ვიქნებით. ნურც ყოველგვარ ავზნეობას ავიღებთ თავზე, უცოდველობა გმირობაა წუთისოფელში, მაგრამ ეს ცოდვილიანი სავალი ხომ ბედმა გვარგუნა. ნამოღვაწარზეც მანვე აგოს პასუხი. ვიკითხოთ ერთი, რას მოიმოქმედებდა უფლისწული, ჩვენს ადგილზე რომ ყოფილიყო?

ყველანი დავითს მიაჩერდა. აქამდე გაჩუმებული დავითი დინჯად შეეპასუხა:

– ყოველ ჭკუათმყოფელს გონი მისთვის მიუბოძა განგებამ, რომ თვითვე განსაზღვროს საკუთარი ქმედება. გარეშეთა საქციელში ხელის ფათური იოლია. სხვების აზრთა გამოხატვას სრულყოფილად ვერვინ შესძლებს. აქ დუმილია საჭირო და აუცილებელიც.

მოეწონა უფლისწულის ნათქვამი ყაჩაღს. გაურკვევლად ჩაიქირქილა: – ხომ ხედავთ, უფლისწულიც ჩვენს მხარეზეა. – სასმისი გადაჰკრა, მძლავრად დააღრჭიალა კბილები და თავი დაბლა დახარა.

ყველა მიჩუმდა. მცირე ხანში დავითმა ამოიღო ხმა.

– აღარ აქვს აზრი ჩემი ვინაობის დაფარვას, – უთხრა, – მე მხოლოდ ისღა დამრჩენია გთხოვოთ, გამანთავისუფლოთ და სამაგიეროდ გამოსასყიდი თანხა თქვენს სურვილზე იყოს. მალევე შევატყობინებ მამას, ფულს უკლებლივ გადაგიხდიან.

დავითის ნათქვამზე მრავალმნიშვნელოვნად ჩაიქირქილა ყაჩაღმა. ერთხანს ციებიანივით აკანტურა თავი და უპასუხა: – არც ისეთი მიამიტი ვარ, თვითვე წარვიკვეთო საკუთარი მარჯვენა. გაგანთავისუფლო? როგორ ვიბოგინოთ მაშინ, სად ვეძიოთ კუთვნილი ლუკმა? იქნებ გსურს აქედან ავიბარგოთ, საითკენ გავსწიოთ? ჩვენი სამშობლო ხომ ეს მთებია! აქ დავპურდით, კარგად თუ ავად ვიწვნიეთ ჩვენი წილი ყოფა, ვახარეთ თვალი. აქ ვიწამეთ, რაც თუ ჭეშმარიტად მიგვიჩნევია.

ყოველი კაცი კუთვნილი ცხოვრების მოსწრაფეა. რაოდენ სანუკვარია ზოგჯერ სიკვდილი, მაგრამ წუთისოფელზე შეყვარებულნი

მაინც ვერ ვთმობთ სიცოცხლეს. სად არ მივლია, რა სატანჯველი არ გადამხდენია! მშობელ მხარეში წამებასაც იოლად ვიტან. არ მახსოვს მშობელი, არ ვიცი მყავდა თუ არა. ჩემი დედა ეს მთებია და შენ გინდა ერთადერთი, რაც ამ ქვეყანამ მიბოძა, წამართვა?

– არასოდეს! – ყაჩაღის გადაბირებას შეეცადა დავითი, – არავინ არ გაგდევნის თქვენ. ოღონდაც წესიერ ყოფას უნდა მოჰკიდოთ ხელი და წარსულს, რაც არ უნდა მძიმე იყოს, გაპატიებს ხალხი.

– გაპატიებსო! ჰა-ჰა-ჰა – გადაიხარხარა ყაჩაღმა, – მე, კლდის ფოცხვერს, უსაზღვროდ თვალშეუწვდენი სივრცეების ფარულ მპყრობელს, რა საპატიები დამრჩენია?! გესმის, ასტაფურ, გაპატიებსო! ვინ არის ასეთი დიდსულოვანი მაინც, ჰა?

კლდის ფოცხვერიო, გაუკვირდა დავითს. მაშ ეს წვეროსანი ის ფოცხვერი ყოფილა, რომელზეც ათასგვარი თქმები დადის. ზოგნი იმასაც ამბობენ, უხილავი სატანა არისო. სატანისა არავინ იცის, მეტად ძლიერი და დაუნდობელი რომ არის, ეს კი ცნობილია. ორი წლის წინათ, რჩეული ცხენოსანთა ათასეული დაამარცხა ოლთისის ვიწროებში. რით არ ეცადა მეფე, შეეპყრა როგორმე, არაფერი გამოვიდა.. ფოცხვერი ყოველთვის სჯობნიდა მათ.

ყაჩაღი მართლაც ფოცხვერს ჰგავდა. ერთხელ, ალყაშემორტყმული ისეთ ციცაბოდან გაუჩინარდა, კაცი ვერ წამოიდგენდა ამას. დავითი იყო მაშინ იმ ალყის სულისჩამდგმელი. ნეტავ თუ ახსოვს ახლა ის ამბავი?

თითქოს ჩანაფიქრს მიუხვდაო, ირიბად გადმოხედა დავითს ყაჩაღმა.

– გაპატიებსო, – დაფარული ბოღმა ამოაყოლა, – ჰმ, ვინ, ვინ მაპატიებს, თქვენ? ტყეში ნადირთა სამფლობელოსაც არ მანებებთ? არ არსებობს ამაზე დიდი სიცრუე!

– მიტომაც დაგდევდით, – არ შეეპუა დავითი, – რომ რითიმე აგვეცილებინე ცოდვის გზას. ჭეშმარიტ, ადამიანურ ცხოვრებაში ჩაგვეყენებინე.

– რას უძახით თქვენ ადამიანურ ცხოვრებას? – ხმამაღლა შეუყვირა ყაჩაღმა, – იმას, რომ პირუტყვად გარდასახულმა აუწერელი ჯაფით ვარჩინო თქვენისთანები?!

– მონობა არაა ადამიანური ცხოვრების სახე, მონობა მისი ბედისმიერი უარყოფაა.

– რატომ ეს ბედისმიერი უარყოფა მერგო მე, მაინცდამაინც?!

– ყოველივე განგების ნებაა.

– განგების ნებაა? – ცნობამიუწვდენელი ხმით გაიმეორა ყაჩაღმა, – განგების ნებაა ის, რომ მე მონად და შენ კი უფლისწულად დაგბადა?

– დიახ, – დაემოწმა დავითი.

– მაშ ჩემი ვალი მონობაა? – სიბრაზისგან კბილები გაახრჭიალა ყაჩაღმა.

– ვალი კი არა, ბედისწერა.

– ბედისწერა?

– ასეაო, – დასტურის ნიშნად თავი დაუქნია დავითმა.

– ტყუი! – ზეზე წამოვარდა გაშმაგებული ფოცხვერი, – მონობა თუ ბედისწერაა, მაშინ შენც იწვნიე ის!

წამოიმართა ზეზე დავითიც. ვერ ადგა. ორივე ფერდზე მიბჯენილმა შუბის წვერებმა გააჩერეს. დამჯდარმა უპასუხა:

– თუკი მონობა ჩემი ბედი არაა, ძე ხორციელს არ ძალუძს მონად მაქციოს.

– ჰა-ჰა-ჰა... – გულიანად გაეცინა ყაჩაღს, – ყველაზე ცნობილ მონათა ბაზარზე გაგყიდი, ვნახოთ, სადამდე მიგყვება დიდგულოვნება! – დაემუქრა.

ინანა ნათქვამი დავითმა. ღრმად შევტოპე საუბარში, საქმის მოგვარების ნაცვლად გავაუარესეო. რაღაცნაირად ვერ იგუა ამ კაცის ლაპარაკი. მაშინაც ხომ ჩხუბით დამთავრდა მათი კამათი. იფიქრებ, თითქოს იგებს ჭეშმარიტ სიტყვასო, თვითონაც არ მსჯელობს ურიგოდ. მაგრამ მაინც არ გამოდის სიტყვიერი ურთიერთპაექრობა. ორ ჭკვიან მოკამათეს შორის თურმე შეიძლება ორივე მართალი იყოს. ამ მსოფლმხედველობაში მიწიერი ცხოვრებაა დამნაშავე, რადგანაც ისაა უსამართლობაზე დაფუძნებული. ყოფიერი შეგრძნებები განაპირობებენ ადამიანთა ზნეობის ნორმებს. რა იქნებოდა მეც რომ მონად მოვლენილიყავ წუთისოფელში? – თავისსავე ფიქრმა შეაკრთო დავითი. აღარაფერი უპასუხია. მალე კვლავ დაადეს ბორკილები ხელებზე და ქვაბში შეაგდეს.

შეუმჩნევლად მიილია რამდენიმე დღე. ქვაბის კართან ოთხკუთხა ქვაზე დამაგრებული კვარის ნაპობით განათებულ სადგომში, სიჩუმე სუფევდა. გარეთ ღამეს დაესადრგურებინა. ხანგამოშვებით ჭოტისა და ბუს მინავლული ყივილი შემოდიოდა ქვაბში. ჩურჩულით მასლაათობდნენ ტყვეები. შესასვლელთან დაენთოთ კოცონი მცველებს. ხმამაღლა საუბრობდნენ ისინიც.

ულვაშა მიუჩოჩდა დავითს. ხომ არ გძინავსო, უჩურჩულა. არაო, უპასუხა და მოსაუბრისკენ გადმოტრიალდა უფლისწული.

– მცირე ხანში მორიგეები იცვლებიან, – პირდაპირ სათქმელზე გადავიდა ულვაშა.

– იცვლებიანო, – თავი დაუკანტურა დავითმა.

– მორიგეების შეცვლისას, ძველ ყარაულთაგან, ერთი რჩება ადგილზე ცვლის მოსვლამდე. დანარჩენები კი, სანამ ახლები მოვლენ, მალევე მიდიან.

– ასეაო, – კვლავ დაეთანხმა დავითი.

– ჰოდა, ის მინდა გითხრა, ყარაულთა ცვლა რომ დაიწყება, შემოსასვლელთან ახლოს მივჩოჩდეთ და ვეცადოთ, როგორმე შიგ შემოვიტყუოთ აქ დარჩენილი.

– მერედა, როგორ ფიქრობ მის შემოტყუებას?

– ეგ სულ ადვილი საქმეა, – იმგვარი დაჯერებით ჩაიჩურჩულა ულვაშამ, თითქოს ეს-ესაა უკვე ყარაული შიგნით ჰყავს მოკალთებულიო. – ჩვენ შესასვლელთან აქეთ-იქით ავიტუზებთ. როგორც კი ფეხს შემოდგამს ქვაბში მცველი, იმ წუთშივე ძონძის ნაჭერს ჩავჩრით პირში და იარაღს ავყრით.

კინაღამ ხმამაღლა გაეცინა ულვაშას მსჯელობაზე დავითს და უჩურჩულა, ვქთვათ და არ შემოვიდეს შიგნითო.

– შემოვა!

– ჰმ, რანაირად?

– რამდენიმე ტყვე გავაფრთხილე, ნიშნის მიცემისთანავე ხმაური ატეხონ. ხმაზე ყარაული აუცილებლად შემოიხედავს.

– ხმაური დანარჩენებმაც რომ გაიგონონ?

– არა მგონია, იქამდე მისწვდეს. მართლაცდა კიჟინს ხომ არ დაიწყებენ!

– ვთქვათ შევიპყარით. შემდგომ რაღას აპირებ?

თავი მოიქექა ულვაშამ. მცირეოდენ შეყოვნდა, – ერთ-ერთი ჩვენთაგანი ყარაულის სამოსითა და იარაღით უნდა შეიჭურვოს. ცვლაში მოსული დანარჩენებიც ამგვარი ხერხით უნდა უვნებელვყოთ. ოღონდ, ამის მოგვარებაში მეტი ხალხია საჭირო.

– ბორკილებს რაღა ეშველება?

– დავამტვრევთ.

– ჰეეე...

– აი, იმ ქვის ქვეშ, – გააგრძელა ულვაშამ, შემოსასვლელთან რომ ქვა იდო, იმაზე მიუთითა. – ჩაქუჩი და ხანჯალია.

– შენ გადამალე?

– არა. ხუთიოდე დღის უკან, უნებლიედ ვიპოვე. შემოსვლისას ჯაჭვი გამოედო, ქვა გადავატრიალე და ნაცრის ქვეშ შევამჩნიე

რადაც საგნები. გავაცალე ნაცარი, ჩაქუჩი და ხანჯალი აღმოჩნდა. სწრაფადვე იმავე ადგილას ჩავფალ ისინი და ქვა კვლავ თავის ადგილზე დავაბრუნე.

– მცველებს ხომ არ შეუმჩნევიათ?

– არა. ბნელოდა და ყარაულებს ყურადღება არ მოუპყრიათ ჩემთვის.

– ნამდვილად იცი, ისინი ახლაც იქაა?

– იქაა, – დაუდასტურა ულვაშამ.

– ვინმესთვის ხომ არ გაგიმხელია ეს ამბავი?

– არა, ყველა როდია სანდო. სიმართლე გითხრა, – გააგრძელა, – შენზეც ეჭვი შემეპარა თავდაპირველად. მაგრამ ბოლოს უარვყავი ის ეჭვიც. უფლისწულიაო, ესეც მომესმა შენზე. თუმცა არ დამიჯერებია. ზოგმა ისიც კი თქვა, ფოცხვერის მოკავშირე იყოო.

– მერედა, ფოცხვერის ყოფილ მოკავშირეს, რატომღა მენდე?

– არაფერი გიგავს ფოცხვერის მოკავშირეობისა.

– ნუთუ... – შეაცქერდა დავითი მოსაუბრეს. ერთხანს უყურა, იფიქრა, სიმართლის თქმა აჯობებს, ყაჩაღებმა ხომ მაინც იციან, ვინცა ვარო და უთხრა: – მე მართლაც უფლისწული ვარ, დავით უფლისწული.

– როგორ თუ უფლისწული.... – გაკვირებით შეხედა ულვაშამ. უკან გასწია სახე, გაოცებულმა კიდევ ერთხელ შეათვალიერა დავითი. იცნობდა უფლისწულს, მაგრამ ეს ახალგაზრდა არ ჰგავდა მას. ის ბეჭებფართო, ჩასკვნილ და შეხედულ ჭაბუკად ახსოვდა. ამას კი, მის აჩრდილადაც ვერ წარმოიდგენდა კაცი. ლოყებჩაცვენილ სახეზე, ავადმყოფური იერი გადაჰკრავდა. მხრებში მოხრილი, ნელა დადიოდა. დავითზე კი სმენოდა, ძლიერ სწრაფიაო. იმგვარად სწრაფი, გაჭენებულ ბედაურსაც კი ეწევაო. დაუჯერებელია, მაგრამ რაში დასჭირდა მთქმელს ტყუილი? ჩაეკითხა: – მართლა უფლისწული ხარ? საიდან მოხვდი ამათთან?

მართალიაო, კვლავ დაუდასტურა დავითმა. თუ როგორ დამატყვევეს, ამის თხრობის დრო აქ არ არის. უმჯობესია, გაქცევაზე ვიფიქროთ და საბოლოოდ დავასკვნათ, როგორ ვიმოქმედოთო.

გადაწყვიტეს, შემოტყუებულ ყარაულს რომ გაუსწორდებოდნენ, მისი ტანსაცმლით შემოსილი ტყვე, სხვა ყარაულთათვის მახედ უნდა გამომდგარიყო.

ზურგით კედელზე მიყრდნობილი დავითი, ათასგვარ ფიქრს მისცემოდა. გამოქვაბულთან ხორხოცი გაისმა. ასტაფურის ხმას

ჰგავდა. სანთლით ხელში აქეთ მოიწევდა. ბარბაცით შემოალაჯა შიგნით, ნასმურევი ჩანდა.

– მაშ უფლისწულია? ჰა-ჰა-ჰა... – იცინოდა ასტაფური, – მე ვუჩვენებ, როგორ უნდა ჩემთან ძიძგილი. ვერ უშველის უფლისწულობა! სად არის, ჰგონია შევარჩენ? – ხმამაღლა ბუტბუტებდა. ზოგიერთ სიტყვებს ვერც კი ხვდებოდა დავითი.

– შენ, ეი! უფლისწული ხარ, თუ ვიღაცა ხარ, ახლავე მოდი ჩემთან! – შემოსასვლელთან დადგა და დაუყვირა. – ფეხის ტერფები დამიკოცნე, თუ გინდა მთელი შეგრჩეს სული! მოდი მეთქი, გაიგონე? მე მეთაყვანე!

მცირედ დააყურადა. არავინ რომ არ მივიდა მასთან, თვითონვე გაემართა. გაურკვეველი ბურდღუნითა და ბარბაცით. რიგრიგობით ანათებდა სანთელს ტყვეებს. ბოლოს დავითი რომ აღმოაჩინა, ძალუმად ჩაავლო მხარში ხელი.

– ააა... თურმე სად ყოფილხარ! მე კი მეგონა დაიმალა-მეთქი, გეყურება?

– რად უნდა დავმალულიყავი, ვითომდაც.... – დინჯად შეაგება დავითმა.

– მაშ, ჩემი არ გეშინია? ჰა-ჰა-ჰა! – გაიცინა, – გესმით ბიჭებო, არ შინებია! არ გეშინია ხომ? აი! – და ძლიერად გაარტყა სილა ყბაში, – აი! – ახლა მეორედ მოუნაცვლა.

სიმწრის კურცხლები გადმოუცვივდა თვალთაგან დავითს. სირცხვილისგან მოედინა ცრემლი. რა ექნა, უნდა მოეთმინა, თორემ ამათგან უარესიც იყო მოსალოდნელი. მოთმინების ძაფი კი მაინც გაუწყდა. გაწყდა, როცა მესამედაც მოუნაცვლა ხელი ყაჩაღმა. მისდაუნებურად ორივე ხელი გამეტებით ჩააფარა სახეში. ძირს დაეხეთქა გარეწარი, ფეხებით დაუწყო სრესა დავითმა.

– მიშველეთ! მომკლეს! – აბღავლდა ყაჩაღი.

შემოცვივდნენ მცველები გარედან. ბრახუნი, ლანძღვის ხმები აირია ერთმანეთში.

უცებ შუქმა გაანათა ქვაბი. მცველებით მჭიდროდ შემორკალული ტყვეები შეაკრთო სინათლემ. – უკან დაიწით! – უყვირა ერთ-ერთმა მცველმა და მასთან სულ ახლოს მისულ ტყვეს შუბი ჩაჰკრა მკერდში გამეტებით. უხმაუროდ ჩაიკეცა დაჭრილი ტყვე. უკან დაიწიეს ტყვეებმა.

რამდენიმე ავაზაკი ერთბაშად წამოესია დავითს. ძლივს შეიპყრეს გაშმაგებული უფლისწული, მაგრად შეკრეს და შებოჭილი იატაკზე მიაგდეს.

ამასობაში ფოცხვერიც შემოიმართა ქვაბში. რა ამბავიო, იკითხა. როცა აუხსნეს საქმის ვითარება, ყარაულთა მკაცრი განაწესი დაადგინა და ქვაბიდან გავიდა.

ახლა უკვე იმ ქვაზე ისხდნენ ყარაულები, რომლის ქვეშაც ხმალი და ჩაქუჩი იყო. რამდენიმე ადგილას ენთო კედელზე მიმაგრებული კვარი. ტყვეები მჭიდროდ შეაქუჩეს, ოდნავი განძრევაც კი აუკრძალეს. ამგვარად გაილია რამდენიმე დღე.

ერთ საღამოს, ორი ტყვე კვლავ მიუმატეს. საოცრად ნაცნობი მანერა დალანდა ახლადმოყვანილ გოლიათ ტყვეში დავითმა. ჯერ კიდევ არ აენთოთ ქვაბში კვარი, გარკვევით დააცქერდა სიბნელეში. ვერ ამოიცნო მისი სახე, მაგრამ როცა შუქი მოეფინა სადგომს, თივის ბულულივით დაზვინულ ტყვეში ორთაყვა შეიცნო. ჩუმად გამოაპარა მზერა დავითისკენ ორთაყვამაც. სს-უო, ტუჩზე თითის მიდებით ანიშნა.

შუაღამე გადაიწვერა. ეძინათ ტყვეებს. დავითს ერთი სული ჰქონდა, როდის გაესაუბრებოდა ძმობილს. ჩუმად მასლაათობდნენ ყარაულები. ნელა მიჩოჩდა ორთაყვასთან, მონატრების ნიშნად, სიყვარულით მიადო მხარი.

– საიდან გამოჩნდიო, – უჩურჩულა.

ჩუმი ხმითვე უამბო თავდახრილმა ორთაყვამ:

– რაც ღვარცოფმა გადაგკარგა, მას აქეთ გეძებთ. რამდენიმე ჯგუფად ვართ გაყოფილი, სადღაც აქვეა ბაგრატის რაზმიც. ჩვენს გარდა, კიდევ სხვა ხალხიცაა დაგზავნილი. თუმცა, მაინც ვერ მოგაგნებდით, შენი გადამრჩენი მეუდაბნოე რომ არ მოსულიყო სასახლეში. იმისგან გავიგეთ ყველაფერი. მეუდაბნოეს ეჭვი მეზობელ ბერებზე ჰქონდა. მართლაც, მათი მეშვეობით ვიპოვეთ ხელჩასაჭიდი ძაფი, რამაც ყაჩაღთა სამყოფამდე მოგვიყვანა. ბევრი ვუტრიალეთ, ბუნაგში შემოღწევა კი ვერ შევძელით.

თვალთვალი დავიწყეთ. შევამჩნიეთ, ხანგამოშვებით ბორკილებიანი ტყვეები რომ გამოჰყავდათ ქვაბიდან. რაღაც ხერხით უნდა შემოგვეღწია აქამდე, რომ გაგვეგო, ვინ იყვნენ ეს ტყვეები და აი, ახლა აქ ვარ. მადლობა ღმერთს, საღ-სალამათს რომ გხედავ.

– რისთვის მოიმოქმედე ამგვარად, ამათგან თავის დახსნა ძნელზე ძნელია. თავისუფალს უფრო ადვილად შეგეძლო დაგვხმარებოდი. – არჩევანი დაუწუნა დავითმა.

– რომ არ ვიცოდით, ნამდვილად აქ თუ იყავი, რაგვარად გვემოქმედნა? ბიჭები მყავს ისეთი, ჯარსაც არ შეუშინდებიან. ათანასეც ჩემთანაა.

– რაზმით ფიქრობ ამათ დამარცხებას? გახსოვს, შენც არ იყავი, ათასეული კუდამოძუებული რომ გამოისტუმრეს ოლთისთან? მერე შევიმწყვდიეთ და შვეულ ციცაბოდან მაინც დაგვიძვრნენ? ამათთან ფიქრობ მცირე ჯგუფით შერკინებას? ვერა, ძმაო, ვერ მოგიწონებ ამ აზრს, ტყუილი მცდელობაა.

– ოლთისთან სხვა ვითარების გამო დავმარცხდით, დავით და ახლა ხელჩართულ ბრძოლას არც ვაპირებთ.

– აქ ყოფნა როგორ უნდა აცნობო შენს რაზმს?

– ყველაფერი გავითვალისწინეთ, სანიშნე დავთქვით წამოსვლისას.

– ეს მეორე. შენთან ერთად რომ მოიყვანეს, ვინღაა? – იქვე ახლოს მძინარე ყმაწვილზე მიუთითა დავითმა. – რაღაც არ მეცნობა.

– ბიძისშვილია ჩემი.

მცველმა შეამჩნია ლაპარაკი. თითი დაუქნია. მეტი აღარაფერი უთქვამთ.

დილის გასეირნებისას ორთაყვამ ლოდი დააგორა ხევში. ექო მთებს ზვავად შეასკდა. მალე გაღმა მთის ფერდობიდანაც გაისმა საპასუხო ხმა.

ნიშანი მივეციო, ახარა დავითს შემოსვლისთანავე.

– რას მოიმოქმედებენ ამის შემდგომ ისინი? – შეეკითხა დავითი.

– ვნახოთ.

ათანასეს იმედი ჰქონდა დავითს, მაგრამ ეს იმედიც ცისკრის ნისლივით გაქრა მალე. შუადღისას აყარეს ტყვეები და ტყე-ტყე, უკაცრიელი ბილიკებით გაუყენეს გზას. მალულად იარეს სამი დღე-ღამე. უამრავი ცხენოსანი ავაზაკი მიაცილებდა ტყვეთა აღალს. ფანასკერტი რომ გადაიარეს, მაშინღა მიხვდა დავითი, რომ ანისის მიმართულებით მიერეკებოდნენ.

ერთგან, ციცაბო ბილიკიდან დაშვებისას, ფეხი დაუცურდა შქერიანებში ულვაშას. ძლივს ამოიყვანეს ხრამიდან. ჩავარდნისას ფეხი სტკენოდა, ვეღარ შეძლო ნაღრძობი ფეხით სიარული, უღონოდ ჩაიკეცა მუხლებზე.

სიბრტყივ დაჰკრა შუბი ჩაჩოქილს ყაჩაღმა, ჩქარა ადექიო. არ დგებოდა ტყვე. ჩქარა, ჩქარაო, ახლა კი ხმამაღლა უყვირა.

შეეცოდა დავითს ულვაშა. თუკი ვეღარ წამოდგებოდა, აუცილებლად მოკლავდნენ. ასე გამოასალმეს სიცოცხლეს ორი ტყვე ადრე. მცველს სთხოვა, მე წამოვიყვანო. დართო ნება მცველმა.

როგორც იქნა ბეჭებზე მოისვა დავითმა ფეხმტკივანი და ფრთხილად ჩაუყვნენ დაღმართს.

რიგრიგობით ატარეს მან და ორთაყვამ.

დაბლა, ვაკეზე, შესვენება ბრძანა ფოცხვერმა. საღამოვდებოდა. მზის ცეცხლოვანი დისკო სანახევროდ ჩამალულიყო უღელტეხილზე. შიმშილისა და დაღლილობისგან დაოსებული ტყვეები, მოცელილი ბალახებივით მიეყარნენ კორდზე.

მცირეოდენი ულუფა ჩამოურიგეს ტყვეებს.

ნავახშმევს აყარეს ბანაკი. შუაღამე იქნებოდა მოწეული, ბანაში რომ შევიდნენ.

იცნო ბანას ეკლესია დავითმა. ეკლესიის სარდაფში შერეკეს ყველანი, დაქანცულს მალე ჩაეძინა.

დილას ორთაყვას შეხებამ გამოაღვიძა. ჩვენი ბიჭები აქ არიანო, უჩურჩულა ძმობილმა.

თურმე, ცისკრისას, მცირე სარკმლიდან გარეთ იყურებოდა ორთაყვა. ამ დროს ვიღაცამ ოთხკუთხა ქაღალდი შემოდო სარკმელზე. გახსნა ქაღალდი. ნაწერი არ აღმოჩნდა, დანერწყვა ქაღალდის შიგნითა პირი და თვალწინ ჩვეულებრივი ბარათი გადაეშალა. წაიკითხა, მათ მოსვლას ატყობინებდა ათანასე. უფლისწულს მოიკითხავდა და სულ მალე განთავისუფლებას ჰპირდებოდა.

ღამით ტყვეებს უბრძანეს გარეთ გამოსულიყვნენ.

ათ-ათი ტყვე რიგრიგობით ჩასვეს ორთვალა ურმებში და მცველებით გარსშემორტყმულნი გზას გაუყენეს. სულ ხუთი ურემი დაითვალა დავითმა. ურმები ჭილოფით იყო გადახურული.

დავითი და ორთაყვა ერთ ურემში მოხვდნენ.

მთელი ღამე უსწორმასწორო გზაზე იჯაყჯაყეს. მცირე ხნით წათვლემდა დავითი, ისევ მალევე გაუკრთებოდა ძილი.

გამთენიისას, ფრინველთა ჟღურტული რომ მინელდა, ჭილოფის ნასვრეტიდან მცირე სინათლე გამოკრთა. გარეთ გაიხედა ნასვრეტიდან დავითმა, გარშემო მხოლოდ ტყე მოჩანდა. ალბათ, ტყვეები მივიწყებულ გზა-ბაწარებით მიჰყავდათ.

– უკაცრიელი გზებით მივდივართ. ირგვლივ უღრანი ტყეა, – უჩურჩულა ორთაყვას.

– მეც შევატყვე, გაუკაფავში მიერეკებიან კამეჩებს. ნეტა შორს არიან ჩვენები?

– მოგვდევენ კი?

– უეჭველად დავით. ხელსაყრელ ვითარებას ელოდებიან. ამიტომ დუმან, ალბათ.

– კაცი იმედით ცოცხლობს. ვნახოთ, მაგრამ ვაითუ ცდა ტკბილ სიზმრად დაგვრჩეს და მონათა ბაზარზე გასაყიდად ჩამწკრივებულს

რადა გვეშველება? შეეტყობინებინათ მაინც ბანაში სამეფო ჯარისათვის.

– შეიძლება აცნობეს კიდეც. თუმცა ესეც სრულიად საიმედო არ არის. უდიდესი სიფრთხილეა საჭირო. თუნდაც ეჭვითაც რომ გაიგონ მდევართა ამბავი, ძლიერ გაფრთხილდებიან ავაზაკები და მაშინ ხსნის იმედი გადაგვეწურება.

აღარ შეპასუხებია დავითი. ორთაყვა მართალი იყო, ყაჩაღებს ყველგან ჰყავდათ ხალხი, თვით სასახლეშიც კი.

ურემი კვლავ უსწორმასწორო გზაზე მიჯაყუნობდა. ტყეს ნისლი შემოჰფენოდა.

– ნეტავ საითკენ მივყავართ? – უჩურჩულა ორთაყვამ მცირე ხნის შემდეგ.

დავითმა მხრები აიჩეჩა, ვერ გეტყვიო, უთხრა. მგონი, ანისის მიმართულებით ვადგავართ გზასო, დაამატა.

– მეც ასე ვფიქრობ. ბანადან აღმოსავლის მხარეს დავადექით და ჯერ მიმართულება არ შეგვიცვლია. თუმცა, არა მგონია იქითკენ მივდიოდეთ, რადგანაც ეს გზა უფრო შორია და ყაჩაღთათვის სამხრეთისაკენ სავალი უფრო უპრიანია. სამხრეთში ახლოა არაბთა სამფლობელო, რაც უფრო ადრიან გავლენ სამშვიდობოს, მით უკეთესი არ იქნება მათთვის.

– არც მაგგვარადაა, შენ რომ ბჭობ, ძმაო. განა არ იციან ავაზკებმა ეგ ყოველივე? აქ უფრო სხვა რამეა სავარაუდო. ეტყობა, მჭიდროდაა შეკრული სამხრეთის გზა. მეორეც, ადარბადაგანის ამირას ძველი ქიშპობა აქვს ჩვენთან. ჯერ კიდევ ვერ მოუნელებია ვალაშკერტის მარცხი. ძვირფასი განძი ვიქნები ამირასათვის, დიდ გასამრჯელოს მიიღებენ ავაზაკები. თუ დაკვირვებიხარ, ამათგან უმრავლესობა სხვა ენაზე მოსაუბრენი არიან. ვფიქრობ, ესენი განგებ შემოგზავნილი ჰყავთ ჩვენში, რათა მეტი არევ-დარევა გამოიწვიონ. განა ფოცხვერი გაუმკვლავდებოდა სამეფო ჯარს, მხოლოდ თავისივე ხალხით რომ ყოფილიყო? მტრები მას ყოველგვარად ხელს უწვდიან. ამიტომაც არ მოხერხდა ჯერხნობამდის მისი შეპყობა და ასე თავისუფლად დათარეშობს.

– ეგ ჩვენი ბრალიცაა, დავით. მარტო მტრებს ნუ ვადანაშაულებთ. გეკითხები, რამდენი მოწინააღმდეგე ჰყავს მეფეს თავისსავე საბრძანისში დღეს? კლარჯთა დაქვეითებული მეფენი, დიდაზნაურნი მრავალნი, ერისთავნი, კიდევ ბევრი სხვა. განუკითხაობა სუფევს ქვეყანაში, განუკითხაობა.

აზნაურნი ყმებით მოვაჭრეებად იქცნენ. ღვთისმსახურნი ავაზაკებად. ნუკი გეწყინება, მეფე მამაა შენი, დავით, თუმცა ერთეული ერისკაცითაც არ დამყარება წესრიგი. ხალხის უმრავლესობა უნდა იდგეს ერის სამსახურში, უმრავლესობა.

– მაგრამ ასე რომ არაა, ძმაო, რა გვეშველება? რით შევკრათ ხალხი მთლიან და სამართლიან ძალად? რით, თუკი ცოტანი და უღონონი არიან ამის მოსწრაფენი? რაგვარი ძალმოსილებით გავაერთიანოთ, მითხარი ერთი, ბოროტი და კეთილი თუ შეისისხლხორცებს ერთიმეორეს?

– არასოდეს, – პირდაპირ მიუგო ორთაყვამ.

– ჰოდა, მეც მაგას ვამბობ. იმ საზოგადეობაში, სადაც ბოროტებას ხარკს სწირავენ, ყოველგვარ წინსვლაზე მსჯელობა ზედმეტია. მამა მოხუცდა, ორთაყვა, შენც იცი, ქვეყანას შეალია საკუთარი ძალ-ღონე. რამდენი წინააღმდეგობა, ქიშპი, ორგულობა და ღალატი გადაიტანა ამ ხნის მანძილზე. მეფეთ მეფის წოდებამ კლარჯნი მეფენი მოუმდურა, შურისგან გადგნენ განზე, შავშეთში დაიდეს ბინა და დღესაც მოღალატურ ქსელს ხლართავენ იქიდან. მოსწყინდა მამასაც ამდენი კინკლაობა, საშველი კი არსაიდან ჩანს.

– საშველი ერთადერთია, დავით, დამსახურებისამებრ უნდა მიეზღოს ყველას. არაკაცმა უნდა იგრძნოს, რომ პასუხისმგებლობას საკუთარი დანაშაულის სამსჯავროთი იხსნის და არა გულისამაჩუყებელი შეწყალებით, ან უარეს შემთხვევაში, სამართლის მოსყიდვითა და დიდგვაროვნობის ცუდამაყობით.

– ვერც ეგ ქმედება განკურნავს იმ ხალხს, რომელიც არ არის ამისათვის მოწოდებული.

– სრული სიმართლეა. ხალხი ადამიანთა ერთობაა. თითოეულს თუ არ გააჩნია ზნეობის მცირეოდენი მარცვალიც კი, ასეთებისგან შემდგარი ხალხიც ნაკლები ღირსებისაა. ესაა ჩვენი უბედურება. მკერდში ხელის ბრახუნით თითქოსდა მამულიშვილობაზე ვდებთ თავს, მაგრამ საკუთარი თავის გარდა, არავინ გვახსოვს.

ჭილოფის საფარზე წვიმის წვეთებმა დაიწყო წკაპუნი. ნელ-ნელა მოუხშირა და მალე თავსხმად წამოვიდა. დაცხავებული საფარი ვეღარ გაუძალინადა ერთბაშად მოზღვავებულ წყალს და სულერთიანად გაიწუწნენ ტყვეები. მალე ძლიერმა ქარმაც მოუბერა.

გარედან მეურმეთა ყიჟინი მოისმა. მალე შეწყდა წვეთების ხმაური, გადაიღო. ჭუჭრუტანიდან მზის შუქი დალანდა დავითმა.

– რა სწრაფად გამოიდარა, – თავისთვის ჩაილაპარაკა.

– იმიტომ იტყვიან, დილის წვიმის ნუ მოგერიდებაო. – ჩაურთო ორთაყვამაც.

– დილის წვიმისა რა გითხრა და მე უკვე შენი ბიჭების მოუსვლელობამ შემაფიქრიანა. ხომ არაფერი დაუშავდათ, ბაგრატიც რომ არსად არა ჩანს?

– ბაგრატსაც და მის თანმხლებთ, ჩვენ ადრიანად დავცილდით დავით და ამის შემდგომ მათი არა ვიცით რა. ხოლო რაც შეეხება ჩემს ბიჭებს, სადარდო არაფერია. მე მჯერა, ისინი აქვე გვერდით ტრიალებენ, ხელსაყრელ დროს უცდიან, ჭკუა და შორსმჭვრეტელობა არ აკლია ათანასეს, – დაამშვიდა ორთყვამ.

ათანასეს იმედი ჰქონდა დავითსაც. ჭკუა არც ორთაყვას აკლდა. გუნებაში შეაქო ძიძიშვილ-ძმობილი.

აჩქარებული სვლით დაეშვა დაღმართში ურემი. მეურმე წამდაუწუმ უწყრებოდა კამეჩებს. მაინც სწრაფად მიექანებოდნენ. ასე იარეს დაღამებამდე.

საღამოს პირზე ურმებიდან ჩამოსვეს ტყვეები. ერთად შეყარეს და მცირეოდენი ულუფა ჩამოურიგეს. შემდეგ უზარმაზარი სოჭის ძირში მოაქუჩეს. ისე ინათა ცისკარმა, სიცივისგან რული არ მიჰკარებია დავითს, არც ორთაყვას სძინებია.

დილას რომ ტყვეები წამოშალეს გასამგზავრებლად, დავითმა შეამჩნია, ავაზკები ცოტანი დარჩენილიყვნენ. სხვები ალბათ წინდაწინ გაემართნენ რაიმე თადარიგის დასაჭერად.

გზის გაგრძელებაზე უარი თქვეს მეურმეებმა. ჩვენ აქამდე გვიბრძანეს და ამის იქით ვეღარ წამოვალთო. დიდხანს ედავებოდა რაღაცას ასტაფური მეურმეებს, ბოლოს მუქარა დაუწყო.

გაჯიუტებული მეურმეები ფეხს აღარ იცვლიდნენ. გასამრჯელო რომ მოითხოვეს, მაშინ სულ გადაირია ავაზაკი, მათრახით აუჭრელა თავ-კისერი თითოეულს. თავპირდასისხლიანებული მეურმეები ბატონთან დაბეზღებით დაემუქრნენ. სასაცილოდ არ ეყო მათი მუქარა ყაჩაღს. ჰა-ჰა-ჰა... მჭახე ხარხარი მიასკდა ტევრს. სიცილით რომ გული მოიჯერა, უყვირა: – აქედან გაეთრიეთ, სანამ მხრებზე თავები გაბიათ, თორემ თქვენს ბატონთან უთავებოდ გაგგზავნით და პასუხსაც მასვე მოვთხოვო.

უკმაყოფილო ბუზღუნით მოატრიალეს კამეჩები მეურმეებმა და ნელი ხლაზვნით გაემართნენ უკან.

წამოყარეს ზეზე ტყვეები. კვლავ გაიჭიმა მცველებით გარსშემორტყმული აღალი.

ჩამოქვეითებული ყაჩაღები აჩქარებდნენ ტყვეებს. სულ მეწინავე რიგში დავითი და ორთაყვა მიდიოდნენ, განგებ ზოზინებდნენ.

– ჩქარა გადადგი ფეხი, რაღას იზლაზნები, – ორთაყვას დასჭყივლა მცველმა და შუბი გვერდულად შემოჰკრა.

ტკენისა თუ დამცირებისგან გაგულისებულმა გოლიათმა, თავი მძლავრად დაჰკრა მასთან ახლოს მისულ ყაჩაღს და ბურთივით გააგორა მიწაზე.

დედის სული უხსენა წაქცეულმა გარეწარმა.

შეჩერდნენ ტყვეები. შემოტრიალდა ცხენდაცხენ წინ მიმავალი ასტაფური, რა ამბავია, ყველას ამოგხოცავთ, თქვე ღორის ნაშიერნოო, იყვირა.

სწრაფად წამოხტა ძირს დავარდნილი მცველი. მცირედ გაიწია წინ, შუბი მოიმარჯვა და ის იყო მკერდში უნდა დაეკრა ორთაყვასთვის, რომ ელვის უსწრაფესად მიეჭრა დავითი, სარმა გამოჰკრა და დაცემულს მძლავრად ჩაარტყა ფეხი საფეთქელში. რამდენიმეჯერ გადატრიალდა მიწაზე დაცემული მცველი და აღარც განძრეულა.

ამის შემყურე ერთთავად წამოესივნენ დანარჩენები დავითს. ჯიქურ შეუტია ტყვეთა კოლონამაც. მაგრამ ბორკილებდასხმული ხალხი რას გახდებოდა თავითფეხამდე შეიარაღებულ ავაზაკებთან.

რკენა ხანმოკლე აღმოჩნდა.

– დაწექით ძირს! – დაიღრიალა ასტაფურმა.

ნელ-ნელა ჩაიჩოქეს ტყვეებმა.

– ძირს-მეთქი! – ყველამ უყვირა მჭიდროდ შეჯგუფებულთ. ტყვეები მიწაზე განერთხნენ.

– ლასტიავ! – ასტაფურმა უბრძანა ერთ-ერთს, – მოათრიე ეს ღორის ნაშიერი. – დავითზე მიუთითა, – მე ვუჩვენებ ამას, როგორ უნდა ურჩობა.

რამდენიმე ერთად მიეჭრა დავითს, როგორც იქნა ძალისძალ გამოათრიეს.

– გახადეთ! – ბრძანა ასტაფურმა.

მსწრაფლ გააძრეს წამოსასხამი.

– დააწვინეთ პირჩაღმა! – ხელქვეითებს უბრძანა კვლავ ასტაფურმა, – დაე, იცოდნენ ჩვენი ძმის სისხლი არავის შერჩება. მე თვითონ გავუსწორდები.

ამის თქმისთანვე მივიდა პირჩაღმა მყოფ დავითთან, მაღლა აღმართა მათრახიანი ხელი და დარტყმა აღარ დასცალდა. ტყიდან ერთბაშად გამოტყორცნილმა რამდენიმე ისარმა, მაჯის სახსარში

გადაუმსხვრია ხელის მტევანი. შეცბა ავაზაკი, ყრუდ დაიღმუვლა, უმიზნოდ მიმოატარა თვალები გარშემო და ბუჩქებში ისკუპა.

ისართა ტევრი წამოვიდა ყოველი მხრიდან. ვიდრე ყაჩაღები გონს მოეგებოდნენ, უმრავლესობა უკვე დაჭრილი ფართხალებდა ნამიან კორდზე. პირველი სატევარშემართული ათანასე გადმოხტა.

ფიცხელი შეტაკება და სულ მალე იძლივნენ ყაჩაღები. მხოლოდ რამოდენიმემ უვნებლად მოასწრო ტყეში გაუჩინარება. დანარჩენები კი ბრძოლის ველზე დაჭრილ-დასახიჩრებულნი ეყარნენ.

მძლავრი ყიჟინით მიესალმნენ ტყვეები მათ გადამრჩენლებს. ყიჟინ-ძახილით შემოერტყნენ გარშემო.

მაშინღა გამოერკვა დავითი, ათანასე რომ წაადგა თავზე. ენით აუწერელი სიხარულით გადაეხვია ძიძიშვილს. წყვილი კურცხალი მოადგა თვალზე. კინაღამ ატირდა, მიშველე ძმაო, არცთუ შეცნობილად ესღა ამოილუღლუღა და ზედმეტი მღელვარებისგან დადუმდა.

– აბა, სწრაფად ბიჭებო! – შეაგულიანა თანამებრძოლნი ათანასემ.

ბორკილები შეუხსნეს ტყვეებს. ვისაც ღონე შესწევდა, ყაჩაღთა ბედაურები დაისაკუთრეს, ნადავლი იარაღით შეიჭურვნენ. დავრდომილებისთვის ახლახან მიბრუნებულ მეურმეებთან აფრინეს კაცი.

ნახევარი საათიც არ იყო გასული, მეურმეები რომ მობრუნდნენ. ურმებზე შეუძლოდ მყოფი ტყვეები და რამდენიმე მათი დაჭრილი თანამებრძოლი დასხეს და შუადღე გადასული იყო, გზას რომ გაუდგნენ.

წასვლის წინ მაცნე გაგზავნა ათანასემ, სერის გადაღამა მყოფ ბანელთა მეომრებთან ამბის შესატყობინებლად. უკანვე მობრუნებას უთვლიდა ათანასე.

შეღამებამდე შეუჩერებლივ იარეს. გზაში უკვე მერამდენედ ეკითხებოდა დავითი ძიძიშვილს სახლის ამბავს. შეძლებისდაგვარად პასუხობდა ათანასე, თუკი ამას პასუხი ერქვა. კარგა ხანია თვითონაც ტყეში იმყოფებოდა, თუმცა ყველაფერს მონატრებულ დავითს, ცნობისწადილს მაინც უკმაყოფილებდა ათანასეს ძუნწი პასუხი.

უსიერ ტყეში შემოაღამდათ.

ჩამოხდნენ ბედაურებიდან. დააგზნეს ცეცხლი. გზადაგზა სახელდახელოდ ნანადირევით ააშიშხინეს მწვადები.

მცირედ წაივახშმეს, იმასლაათეს და დაღლილებს მალე ჩაეძინათ. მხოლოდ ყარაულები და კოცონთან მსხდარი ათანასე და დავითი ფხიზლობდნენ. ჩაფიქრებული დაჰყურებდა დავითი ცეცხლს. ერთხანს დადუმებულმა ათანასეს უთხრა: – სულ სხვადასხვაგვარი მხარე ჰქონია ადამიანურ ყოფას, ათა. უკიდურესად დამდაბლებულ უუფლებობას თურმე შესძლებია უსამართლობის გამო მოჯანყე სულის აბობოქრება. უფლისწულს არასდროს მიაზრია ეს. მშობლებსა და ნათესავთაგან მოშორებულმა, ბევრი შეურაცხყოფა გადავიტანე ამ ერთ თვეში. თავისუფლება ნატვრად გადამექცა, ყოველწამიერ ნატვრად, მაგრამ აი, უკვე ტყვე აღარა ვარ და ის ტკივილიც თითქოსდა დავიწყებას მიეცა.

– წარსულ გმირთა გახსენება, – უპასუხა ამაზე ათანასემ, – შვების მალამოა. გადაქროლილ გრიგალს ჰგავს გარდასული შავჟამობა.

– სიცოცხლის ასაკი იმდენად მცირეა და ყოფიერების აღქმა იმგვარად დაუტევადი, რომ რაც უნდა ძნელბედობაში განვლოს კაცმა ამსოფლიური არსებობა, მცირე მოგონებად თუ შერჩება გონებას. ჭირთა სიახლოვე გვაფიქრებინებს მასზე, დაშორება კი – პირიქით.

ვერ წარმომიდგენია, როგორი მონა ვიქნებოდი. ან შევძლებდი თუ არა მონობას. თუმცა უიმედობას მაინც არ განვიცდიდი. ერთადერთი აზრი მიტრიალებდა, რომ ყოველივე თითქოს წარმავალი სიზმარი იყო და არა სინამდვილე. რაღაცნაირად დღესაც კი მიჭირს ამის აღიარება.

– ეს ასეა, – მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღიმილა ათანასემ, – ვერც აღიარებდი სინამდვილედ. მთელი განვლილი ცხოვრება სხვა ზრახვა გასულდგმულებდა და რა გასაკვრია, თუ ვერ შეეგუე იმას, რაზეც მხოლოდ საზოგადო წარმოდგენა გქონდა. ვიკითხოთ ერთიც, მონობაში აღზრდილისათვის მეფობა რომ გვებოძებინა, რა იქნებოდა?

მოზარდის ცნობიერებაში ჩამოყალიბებული აზრი, ზოგჯერ სავალალო შედეგით ხასიათდება და საბოლოო დაცემამდეც კი მიჰყავს პიროვნება. სულში ერთხელ უკვე ჩაბეჭდილის ამოშლა ძნელია. რადგან ამისათვის ის არაა მზად. სწორედ ამგვარებისგან წარმოიშობიან ყველაზე მეტად ზნედაცემული და უპრინციპო ადამიანები.

ბავშვის სწორად გაწვრთნა უპირველესი მიზანია. ძველ სპარტაში ბავშვებს მეომრად ზრდიდნენ. ამიტომაც გამოირჩეოდნენ სპარტელები ბრძოლაში შეუპოვრობით.

– თუ ჭეშმარიტი გაწვრთნა გადამწყვეტია მოზარდისათვის, მაშინ საიდანღა გამოტყვრებიან ამდენი ცუდისმოქმედნი?

– წვრთნა მთავარი პირობაა დავით და არა ერთადერთი. ბევრს სურს საკეთილოდ იღვაწოს, კარგი სახელი დაიმკვიდროს წუთისოფელში, მაგრამ ამის ჭეშმარიტი მოქმედი ცოტა თუ ვინმე გამოვა ბუნებრივად. რატომო, იკითხავ. აი, პასუხიც. ყოველ ადამიანს სიკვდილ-სიცოცხლის იდუმალი შიში დაჰყვება ცხოვრების თანამგზავრად. სიკეთე რომ ქმნა, სიკვდილს უნდა ჩახედო გულუშიშრად თვალში. ამგვარი ვაჟკაცობა კი ბევრს არ ძალუძს.

– სიკვდილ-სიკეთეს რა კავშირი აქვს ერთმანეთთან? – შეეკითხა ცოტა არ იყოს, გაკვირვებული დავითი.

– ის, რომ ბოროტება ძლიერია დღეს და მას ერთადერთი საშიში იარაღი უპყრია ხელთ – სიკვდილი. კაცობრიობის წინსვლა მრავალ ტანჯულ სულთა ნაყოფია, თვით მაღალ ღმერთსაც კი არ ძალუძს ავზნეობის სრული მოთოკვა. ამიტომაც ხარხარებს აგრეგრიგად სატანა.

გულიანად გაეცინა ამ სიტყვაზე დავითს. წრფელი სიყვარულით ათვალიერა ძიძიშვილი. იყუჩა. მცირე ხნის შემდეგ შეეკითხა: – ერთი ეს მითხარი, ათა, როგორ გაიგე ყაჩაღთა მთავარი ძალის წასვლა?

– მსტოვარი შევგზავნე მათს ბანაკში. მაცნობა, დილას აპირებენ გამგზავრებასო. როგორც კი საკმაო მანძილზე გაშორდნენ ტყვეებიან ურმებს, თათბირი ვქმენით, რანაირად დავცემოდით ავაზაკებს.

– ამგვარად რომ არ წასულიყო საქმე?

– ეგ არც გვივარაუდია. ჩვენი ერთადერთი მიზანი იყო დაბლა, ხევში დავხვედროდით, ხუთასი ბანელი მეომარი იცდიდა იქ.

– სადღა წავიდნენ ბანელნი, რატომ ვერ წამოგვეწივნენ აქამდე?

– ვერ გეტყვი, – მხრები აიჩეჩა ათანასემ.

სიჩუმე ჩამოვარდა. შეშის ტკაცუნის ხმაში ნებივრად მძინარეთა ჩუმი ფშვინვა ისმოდა. სადღაც ბუ გაჰკიოდა ღამის უკუნს. მარტოსული მგელი ყმუოდა.

მისდაუნებურად, რული მოერია ხეზე ზურგით მიყრდნობილ დავითს. ძილ-ბურანიდან ჩოჩქოლმა გამოაღვიძა.

ბანელებთან წასული ორთაყვა მობრუნებულიყო. ცხარედ ეკამათებოდა ათანასეს. ვიღაც უცნობნი ირეოდნენ მათ გარშემო. სწრაფად წამოდგა ზეზე, მოსაუბრეებთან მივიდა. საოცარი ამბავი მოუთხრო ორთაყვამ.

ბანელთა უკან მიმავალ მეომრებს ფოცხვერი დასცემია, ხელი მოსცარვიათ ბანელებს. რკენაში განახევრებულთ ძლივსღა გამოუსწრიათ.

– სად არიან ახლა ბანელნი? – იკითხა დავითმა.

– ამ მთის გადაღმა დაიდეს ბინა.

– ფოცხვერი?

– ისიც იქვეა, იმდენად ახლოს, რომ მცირე შეძახილი მოწინააღმდეგის ბანაკამდე მისწვდება.

– ალბათ ხვალინდელი ბრძოლისათვის ემზადებიან.

– არა, – უარყო ორთაყვამ, – არ აპირებენ ბრძოლას. მტერი ძლიერიაო, სულ კუდში მისდია თურმე გამოქცეულთ. აქეთ რომ წამოვედი, მაცნემ გვაუწყა, მტრის გაღმა დაბანაკება.

– ისე სწრაფად საიდან გაჩნდა, – ჩაილაპარაკა დავითმა.

– ათანასე! – უბრძანა, – ახლავე გაგზავნეთ კაცი, შეატყობინოს ბანელთ, კარავი არ მოშალონ, ჩვენც მალევე ჩავალთ.

წამოშალეს მეურმეები. უბრძანეს, შეუძლოდ მყოფი ყოფილი ტყვეები ბანაში ჩაეყვანათ. დანარჩენები კი სწრაფად მოევლნენ ბედაურებს. სერი გადავლეს.

ეღვიძათ ბანელებს. ცხარე ლაპარკი ისმოდა ირგვლივ.

– საღამო მშვიდობისა! – უთხრეს მოსულებმა.

წამოიშალნენ მასპიძლები. კოცონის გარშემო ადგილები დაუთმეს სტუმრებს.

ბანელთა უფროსი კალთაზე ემთხვია დავითს. მშვიდობიანი გადარჩენა მიულოცა.

ამის შემდეგ ყველანი დასხდნენ. ითათბირეს და დილაადრიან მტერთან შერკინება გადაწყვიტეს.

თითქმის არავის ეძინა იმ ღამეს.

გამთენიისას ცაში აქა-იქ ფთილებად გაფენილ ღრუბლებს მნათობის პირველი სხივი რომ დაეცა და მეწამულისფრად შეღება, აყრა ბრძანა დავითმა. სამასამდე შეიარაღებული მხედარი ჯიქურ გაემართა მოწინააღმდეგისაკენ.

მზად დაუხვდა ფოცხვერიც. მინდორზე დაეწყო მისი მეომრებიც. თვითონ სულ მეწინავე რიგში ამაყად წამომართულიყო ცხენზე. ბევრნი ჩანდნენ.

შორიახლოს დადგა დავითიც. ერთხანს თვალმოუცილებლად შეჰყურებდნენ ერთმანეთს მოწინააღმდეგენი. ბოლოს მარჯვენა ხელი აღმართა დავითმა და ყველას გასაგონად თქვა: – ვბრძანებ დაყაროთ იარაღი და დაგვემორჩილოთ! სიტყვას ვდებ, ჩადენილ ცოდვებს

შეგიმსუბუქებთ. უკეთუ კვლავ იარაღს მიმართავთ ჩვენს წინააღმდეგ და განუსჯელად დაანთხევთ უმწიკვლო სისხლს ჩვენთა მოძმეთა, სამართლის უფლებით სრული სიმკაცრით დაგედებათ მსჯავრი და შერისხულ იქნებით ერისა და ღმერთისგან ერთობლივ.

დაგუბული ზმუილი გაისმა ყაჩაღთა მხრიდან. მჭახედ იგვრგვინა ფოცხვერის სიტყვამ:

– აზატობისთვის მებრძოლთ არა გვყავს მბრძანებელი! ხომ ასეა ძმებო?! – მიმართა თავისიანებს.

– ასეა! ასეა! – ხმამაღლა შეუკიჟინეს აქეთ-იქიდან.

– ხელშეუხებელია ჩვენი სამფლობელო და არავის მორჩილად არ გავმხდარვართ! მაშ, რა მსჯავრით გვაშინებენ?! ჩვენ არ გვჭირდება ერი და ღმერთი, რადგან ისინი ორივე იმთავითვე თქვენს მხარეზეა! ჩვენი წინადადებაა დაგვიბრუნოთ ტყვეები! თუკი არ შეასრულებთ ამ მოთხოვნას ნებით, სატევრის ძალით ავასრულებთ!

კვლავ მიმართა დავითმა:

– თქვენივე ბედი საკუთარ ხელში გიპყრიათ! განუდექით სატანას, შეწყვიტეთ წინააღმდეგობა და მართლმსაჯულების წყალობა დაიმსახურეთ!

ახლა ფოცხვერმა უკიჟინა:

– ძმებო, ხომ გაიგეთ, რა ცდუნებით სურთ გადაბირება? სატევარია ჩვენი პასუხი! რაღას უდგეხართ, უწყალოდ დავკრათ ამ ქვებუდანებს, წინ! – ამ სიტყვებზე სწრაფად იშიშვლა ხმალი და გამეტებით გააჭენა ცხენი.

ყიჟინითა და სტვენა-ღრიალით ეკვეთნენ ყაჩაღები.

ხმალთა ცემისა და ჰოროლთა ზუზუნის ხმამ გაკვეთა მიდამო.

მცირე რაზმით შეიჭრა ფოცხვერი ბანელთა შუაგულში. იქეთ და აქეთ უწყალოდ დაუწყო ჩეხვა. განსაცვიფრებელი სისწრაფით იქნევდა მახვილს. დამფრთხალი ქურციკებივით მიმოიფანტნენ მისგან დაშინებული ბანელნი. მძლე სატევარს გაურბოდნენ.

იქვე, შორიახლოს მებრძოლი დავითი ხედავდა ბანელთა შეჭირვებას. მახვილით გაიკაფა გზა იქითკენ და მალე ფოცხვერის პირისპირ აღმოჩნდა.

შეავლო ფოცხვერმა თვალი მის წინ აღმართულ უფლისწულს, გაურკვეველი ქუფრი გადაეფინა სახეზე. მძლავრად მოუქნია ჰოროლი.

გვერდზე გაუტია ცხენი დავითმა, ჰოროლის ზუზუნი გაისმა ჰაერში.

განზედ გამხტარმა დავითმა უცებ შემოატრიალა ბედაური და ვიდრე მოწინააღმდეგე ხმალს შემართავდა, შუბი უსწორა.

მთელი სისწრაფით გააქანა ცხენი, მკერდის არეში დამიზნებული შუბი ტყუილად გაცდა. ფოცხვერი ცხენს მუხლიდან შემოევლო და ხმლის მძლავრი დარტყმით გადასხიპა ბუნიკი.

იძრო ხმალი დავითმაც. მტრის მოქნეულ მახვილს დაუხვედრა. ჰაერში უსიამოდ გაიჟღრიალა ფოლადმა და ასხლეტილი სატევარი ჩაჩქანს დაეძგერა. ოთხჯერ დაჰყარა ნაპერწკლები მისმა სატევარმა, ოთხივეჯერ უშედეგოდ.

კვლავ შეუტია. არაფერი გამოუვიდა. ყოჩაღ, შენს ქველობასო, გულში შეაქო. ერთიც მოიქნია და ყაჩაღი უკვე ვადაში გადამტვრეულ თავისსავე ხმალს დაჰყურებდა.

წამით მოადუნა თვალი. ეს წამიც კინაღამ საბედისწერო აღმოჩნდა. უხმლოდ დარჩენილმა ფოცხვერმა კვლავ ჰოროლს დასტაცა ხელი და მთელი სიძლიერთ დაჰკრა.

ვეღარ გაუძლო ტყვეობაში ნაგვემმა სხეულმა ძლიერ დარტყმას და უნაგირს მოსწყდა.

მიწაზე დაცემისთანავე სწრაფად წამოხტა. ხელმეორე დარტმისგან რომ თავი დაეღწია, ყალყზე შემდგარ თავის ბედაურს ამოეფარა.

საშველად ათანასე მოიჭრა, შუბი აძგერა ყაჩაღს, მხარს უწვდინა წვერი.

შადრევანივით იფეთქა ფოცხვერის მხრიდან სისხლმა. გამწარებულმა კვლავ გადმოუქნია ჰოროლი. ჰოროლი დავითის ცხენს მოხვდა, ამჯერად თავში და გარდაქცეულმა დავითიც დაიყოლია თან. მსწრაფლ გამოაძრო გვამის ქვეშ მოყოლილი ფეხი. წამოხტა, იქვე დავარდნილ მისსავე სატევარს დასტაცა ხელი და ირიბად შეაშველა ვიღაცის მოქნეულ მახვილს.

ყაჩაღს, ვიდრე მეორედ მოუქნევდა, ქამარში ჩასჭიდა ხელი, მთელი სიძლიერით დაიქნია და უნაგირიდან ისროლა.

სწრაფად მოევლო მისსავე ცხენს, ათანასესკენ გაიწია.

ცოტაოდენ შემდრკალიყო მარჯვენა ფეხში დაჭრილი ათანასე. ძლივსღა იცავდა თავს ერთბაშად მომწყდარი რამდენიმე ყაჩაღისგან.

ხმალაღმართული მიეჭრა ერთ იმათგანს და ვიდრე გონს მოვიდოდა, ცხენიანად შუაზე გააპო, მეორეს მხარი ჩამოათალა. ორის წინააღმდეგ დარჩა ფოცხვერი. ერთიც შემოუქნია სატევარი ათანასეს და თავისსავე მეომრებში შეერია.

მათგან მარცხნივ ორთაყვა იბრძოდა. შეევიწროვებინა ყაჩაღები გოლიათს. ციბრუტივით ტრიალებდა. მკვდართა და დაჭრილ-დასახიჩრებულთა გროვა ეყარა მის გარშემო. ხაფი ხმით გაჰკიოდა.

გაგულისებულ ბუმბერაზს ახლაც ხუთმა შემოუტია. გრძელ-გრძელი შუბები მიაბჯინა ხუთივემ, თანდათან შეავიწროვეს.

ნელ-ნელა დაიწია ორთაყვამ. ახორავებულ გვამებზე ასკუპა ცხენი. დაცემისას, უსულო გვამებში ფეხები ჩაეჭედა ბედაურს და ჩაიჩოქა.

კინაღამ შეეწირა ამას ორთაყვა. მძლავრმა ბიძგმა უნაგირს მოსწყვიტა და მისდაუნებურად ხუთიოდე ნაბიჯზე გადატყორცნა. სანამ ფეხზე აიმართებოდა, შუბები ნახევარრკალად შემოეჯარნენ. შიშველი ხელებით მდგარი გოლიათი თითქოსდა დაიბნა, ვეღარ მიმხვდარიყო რა ექნა. დროზე მიუსწრო ათანასემ, ჰაო, მახვილი გადაუგდო და თვითონაც შეუტია.

შენივთდა ბრძოლა. აქეთ-იქით ირხეოდა გამარჯვების სასწორი. არ დრკებოდნენ ყაჩაღნი, არც მოწინააღმდეგე აპირებდა ზურგის ჩვენებას.

შეთხელდა მორკინალთა რიგები. ისარს გაეკაწრა დავითის მარჯვენა. აღარც კი ახსოვდა, ვინ შეუხვია ჭრილობა. ვეღარ იქნევდა მთელი ძალით სატევარს. უჩვეულოდ უჟრიალებდა მუხლები. თითქოსდა ეს-ეს იყო, ქანცგამოლეული ჩაიკეცებოდა. ნავარჯიშევ, გაფოლადებულ სხეულისათვის სავალალო დაღი დაესვა ტყვეობას. უძალოვნოდ აქნევდა სატევარს. ათანასე რომ არა, ვინ იცის... ახლაც მის გვერდით შეუვალ კლდედ აღმართულა ძიძიშვილი.

რკენის გრიალი უკანიდან მომსკდარმა ყიჟინისა და სტვენის ხმამ დაფარა. წამით შეავლო თვალი წამომდგარ ბექობს დავითმა. ფერდობზე თავდაუზოგავად მოქროდნენ შუბოსნები. სულ წინ მხედარში, ხმალამოწვდილი, ყივილით რომ მოექანებოდა აქეთკენ, ბაგრატი შეიცნო. სიამის ტაღლამ დაუარა სხეულში. ახლა კი ნამდვილად მიეცა გამარჯვების იმედი და უფრო გულდადინჯებით დაჰკრა მახვილი.

გადამწყვეტი აღმოჩნდა ყაჩაღთათვის მოწინააღმდეგის დამხმარე ძალის მოსვლა. უკან დახევა ბრძანა ფოცხვერმა. საბოლოო შერკინება ტყის პირას მოხდა. ნამდვლ ბრძოლას ახლა უკვე შეგნებულად გაერიდნენ ყაჩაღები და თანდათანობით უღრან ტყეში გაუჩინარდნენ. აზრი აღარ ქონდა დევნას. თუმცა არც აღარავის ეცალა ამისათვის.

დავითის სიმრთელით გახარებული ბაგრატი და მისი თანმხლებნი, ეს უკვე მერამდენედ ჩაჰკითხავდნენ გარდახდენილს. ბრძოლის შეწყვეტისთანავე, პირველი მირიანი გადაეხვია უფლისწულს. ყმაწვილს დიდი მოწონება და სიყვარული შთაენერგა

მისდამი. სიხარულის ცრემლით დაენამა თვალები ლომფერს. გუბაზმა ერთი მისებურად ჩაიროხროხა და გრძელი ხელები ბეჭებზე შემოაჭდო, კარგა ხანს არ გაუშვია.

ერთ საძმო საფლავში ჩაასვენეს მკვდრები.

დაჭრილებს ათანასემ მიხედა. აქიმობის ცოტ-ცოტა გაეგებოდა.

შუადღე კარგა გადასული იყო, ადგილიდან რომ დაიძრნენ. ბანამდე კარგა მანძილი იყო. დაღლილ-დაქანცული მხედრები ნელ-ნელა მიიკვლევდნენ გზას.

საღამოს ბინდმა დაჰკრა მიდამოს. არ ჩანდა ახლომახლოს დასახლება. გადაწყვიტეს, ტყეში გაეთიათ ეს ღამეც. ხშირ ჩირგვნარში გაშალეს კარვები, რამდენიმე ადგილზე გააჩაღეს კოცონი.

ღამის სათევად აღარ დარჩენილან ბანელნი, შეუჩერებლივ გააგრძელეს გზა.

რამდენიმე მონადირე სავახშმო ულუფის მოსაპოვებლად გაიფანტა ტყეში.

ორ თანამგზავრთან ერთად, შამბნარით დაფარულ ვაკობს მიარღვევდა მირიანი. ერთგან გათელილ შამბიანში ორმოს წააწყდა, უზარმაზარი ლოდები და დამპალი კუნძები ეყარა ამონათხარზე, დათვის ნაქნარიაო, – გაივლო გულში. შეჩერდა, სახიფათო იყო ამ მხარით წასვლა. აქვე ახლომახლოს ჩასაფრებული დათუნია ვერ აიტანდა მის მიერ ჩამარხულ საკბილოსთან უცხოთა მიახლოებას და შამბიანში მიმალულს, შეიძლება მონადირეთათვის უსიამოვნება მიეყენებინა.

თანდათან შეთხელდა წვრილი წიფლნარი. ქვემოთ, მწვანედ აბიბინებული მინდორი გამოჩნდა. ირმის ჯოგი გაფენილიყო ჭალაში. ნებივრად ძოვდნენ ბალახს. ფრთხილად მიეპარნენ ჯოგს მონადირენი. სამი ისარი გაფრინდა ერთდროულად და ამდენივე ცხოველი დაენარცხა მიწას.

ნანადირევი გამოშიგნეს, მხრებზე აიკიდეს და ბანაკისაკენ გასწიეს.

ივახშმეს და მოსასვენებლად კარვებში დანაწილდნენ.

ყარაული განაწესა დავითმა. დაღლილი ნებივრად წამოწვა ნაბადზე და მასლაათს ყური მიაპყრო.

– როგორ მიაგენი უფლისწულის ადგილსამყოფელს? – ათანასეს ეკითხებოდა ლომფერი.

– არცთუ დიდად გაგვძნელებია, ერისთავო, – უპასუხა ათანასემ, – იმ მეუდაბნოეს დაწვრილებით მოვათხრობინე ყოველივე. მისმა

მეზობელმა ბერებმა დაგვაეჭვიანეს. მეტადრე, არც თვითონ აქებდა. სამეთვალყურეოდ მივუჩინეთ კაცი ამ ბერებს. მალე მეთვალყურემ გვაცნობა, ბერები ქვაბში მობრუნებულიყვნენ. ეს კარგად გვენიშნა. მათთან ახლოს დავბანაკდით, მონადირენი ვართო, ასე გავაცანით თავი. ვნადირობდით, ტყე-ღრეში დავეხეტებოდით და თან შეუმჩნევლად ვუთვალთვალებდით.

რამდენიმე დღეში, მოყურადემ კვლავ გვამცნო, ეგ სატანის ნაშიერნი, ავაზაკებთან ყოფილიყვნენ შეკრულნი. წვრილად გამოვკითხეთ მთხრობელს მომხდარი. თურმე, მოყურადე ორი დღის სავალზე, ჩუმად გაჰყოლია ერთ იმათგანს. ყაჩაღების ბუნაგში მისულა ბერი. შორიდან თვალთვალით ტყვეებიც შეუმჩნევია ჩვენს კაცს. მეომარნიც ბევრნი იყვნენ თურმე.

ამის შემდეგ, კვლავ ავიყარეთ და ყაჩაღთა სადგომიდან, ერთი დღის სავალზე დავიდეთ ბინა. რა არ ვეცადეთ, როგორმე შეგვეტყო ვინ და სადაური იყვნენ ტყვეები. არაფერი გამოვიდა. ბოლოს, ორთაყვამ მოიგონა, ტყვედ ჩავუვარდები და იქაურ ამბავს მოგაწვდითო. და აი, ყოველივე ისე წარიმართა, როგორც ადრევე გვქონდა განზრახული. ტყვედ ჩავარდნილმა ორთაყვამ, დავითის იქ ყოფნის ნიშნად ლოდი დააგორა, საპასუხოდ ჩვენც მოზრილი ქვა ჩავუშვით ხევში.

– რატომ არ აცნობეთ მეფეს ეს ამბავი, განა უფრო ადვილი არ იყო სამეფო სპით გემოქმედათ? – ჰკითხა გუბაზმა.

– მეომართა სიმრავლე ვერაფერს გვიშველიდა. სპის მრავალრიცხოვნობით შეშფოთებული ყაჩაღები ადრევე შეიტყობდნენ მათი სვლის მიზეზს და ისე დაგვეკარგებოდნენ, ასავალ-დასავალსაც ვეღარ მივაგნებდით. მცირე სპით შერკინებასაც აზრი არ ჰქონდა.

– ბანელთა მოშველიება ხომ მაინც დაგჭირდათ.

– მეციხოვნეთაგან შემდგარ ბანელთა რაზმში, მხოლოდ ერთმა იცოდა საქმის ასავალ-დასავალი და ეს იყო მეციხოვნეთა უფროსი. დანარჩენებს კი ეგონათ, ვითომდაც მოთარეშეთგან სავაჭრო ქარავნების დასაცავად მოდიოდნენ.

– ყაჩაღთა მთავარი ძალა წინ რომ არ წასულიყო და მცირე ჯგუფით შებრძოლების საშუალება რომ არ მოგცემოდათ, მაშინ რაღას იქმოდით? – შეეკითხა ლომფერი.

– მაშინ ერთიანი თავდასხმა გვქონდა განზრახული.

ორივ ერისთავმა შეაქო ათანასეს გამჭრიახობა.

– ჩვენს ნაღვაწს შედეგი არ ექნებოდა, ორთაყვას ვაჟკაცობა რომ არ გამოეჩინა, – მიუგო ათანასემ, – ყველაზე მძიმე განსაცდელი

მან გადაიტანა. საკუთარი თავი სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზეც კი შეაგდო და დღესაც ვაჟკაცურად იბრძოდა.

შექება ეხამუშა გოლიათს, ბეჭებში მოკუნტული, მდუმარედ დააცქერდა მიწას.

შემდგომი საუბარი აღარ ახსოვს დავითს. ძილისგან გონმიტაცებულს, ნაბადზე ჩაეძინა. ცნობა რომ დაუბრუნდა, თინათინს ახსენებდა ვიღაც. გულდასმით დაუგდო ყური, ბაგრატი ჰყვებოდა:

– ახლა მუქარაზეც გადავიდა ადარბადაგნის ამირა. წერილი მოგვწერა, თუკი თინათინს სარძლოდ არ გაგვატანთ, აურაცხელი ჯარით მოვალ და თქვენს სამყოფელს ცეცხლსა და მახვილს მივცემო.

– მერედა, რა მისწერა მეფემ? – შეეკითხა გუბაზი.

– მამა დუმს. ჯერჯერობით ვერ გადაუწყვეტია, რა უპასუხოს: უარით გაისტუმროს მაჭანკალი, ვაითუ, მართლა გამოილაშქროს ამირამ. ქვეყანა დაარბიოს და ძალისძალად მაინც აისრულოს წადილი. დაეთანხმოს? უარზეა თინათინი, უმალ სამარე გამითხარეთ, ვინემ სხვა რჯულის გადამთიელს გავყვები ცოლადო.

ლამაზულვაშიანი, დასაქორწინებლად აღერებული სასიძო გაახსენდა დავითს. არცთუ ურიგო შესახედაობის, ფიცხელი და ძალოვანი ყმაწვილი. შარშან, სტუმრად ყოფნისას, რამდენიმეჯერ ახლდა სანადიროდ. ერთხელ ხელდახელ ეცა გაავებულ, ვებერთელა დათვს. ღრანტეებში კვალდაკვალ მისდია ირემს, ისრის მისაწვდენზე რომ მიუახლოვდა, ლოდებზე შეუჩერებლივ მსხლტომარე ცხოველს უწვდინა ისარი.

განსწავლულობითაც არავის დაუდებდა ტოლს. ხშირად პაექრობდნენ ის და დავითი. ყოველგვარი რწმენა სიკეთეს ემსახურებაო, ამტკიცებდა სტუმარი. ხალხი მხოლოდ მაშინ იქნება ღირსეული, როცა წაიშლება მტრობა და რწმენასა და წარმომავლობას შორის ზღვარი გაქრებაო.

დავითს ყოველმხრივ მოსწონს ვაჟკაცი. მაგრამ სიძედ მაინც ვერ იგუებს სჯულის სხვადასხვაობის გამო.

– რომ დათანხმდეთ ადარბადაგანელის პირობაზე, უფლისწულო? – მიმართავდა გუბაზი ბაგრატს, – ძლიერი მომხრე გვეყოლება და არაბთა შემოსევის საფრთხეც აღარ იქნება. ერთიც სათქმელია, სასიძოს ვერაფერს დაუწუნებ კაცი. ზრდილი და გონიერია. თინათინის ტრფობისაგან გახელებული ვაჟკაცი, ველად გაიჭრაო, ამბობენ. ამიტომაც გადაგვემტერა ადარბადაგანელი აგრერიგად.

საშველს აღარ გვაძლევს, თორთომი დაგვირბია, ხვალ სულ სხვა მხრიდან შემოგვიტევს. ძნელია მეზობლის გადაკიდება.

– სწორედღა მაგას აზრობს მამაც, – უხსნიდა ბაგრატი, – მაგრამ თინათინი უარზეა და ჩვენც ვერაფერი დაგვისკვნია უმისოდ. ძალით შეკოწიწებული სიყვარული უდღეურია, ერისთავო და უსიყვარულოდაც ცხოვრება ტანჯვაა. რატომ ჩავაგდოთ შავ დღეში ჩვენი სისხლი და ხორცი?

– ძალა აღმართს ხნავსო, – კვლავ შეეპასუხა გუბაზი, – ჩვენს წინაპარს უთქვამს. ძლიერია არაბული მახვილი დღეს, ხომ ხედავთ, თვით უძლეველი ბიზანტიაც როგორ წამოაჩოქა.

– არც მაგგვარადაა საქმე. ადრე თუ გვიან მაინც ის იზეიმებს გამარჯვებას, ვისთანაც სიმართლე სუფევს. პირველ რიგში, მთავარია ვეუფლოთ სულის სიმაღლეს და ხვალ ჩვენ აღმოვჩნდებით ძლიერნი. ბიზანტია, – განაგრძო ბაგრატმა, – დახავსებული კლდეა. ქვეყანაში უსამართლობაა გამეფებული და სრულიადაც არაა გასაკვირი მისი ხვედრი. ყველას თავის წილს უზღავს განგება, ერისთავო. როცა ბიზანტიის მამაცი სტრატეგოსები მახვილით ერკინებოდნენ არასამართლიან მტრის მიმძლავრებას, გამარჯვების კვარცხლბეკზე ავიდნენ. ბოლოს, ისინი მოქიშპეობამ და ღალატმა მოინელა. ჩვენ უღონონი ვართ არა ძალის უქონლობით, არამედ სულის სიმდაბლით. მიუწვდენელია ზნეობრივი სრულქმნილი ადამიანის შესაძლებლობა.

– შენ ზნეობრივი სრულქმნა ასხენე, ბაგრატ, – სიტყვა ჩაუჭრა ლომფერმა, – თუ კაცი გრძნობს მის სინაკლულს, რა ხერხით შეიძლება შეივსოს?

– თავმდაბლობა, მოძმის ჭეშმარიტი სიყვარული, დანდობა მტრისაც, საკეთილო გარჯა, აი, ეს მიგვიყვანს ნანატრ სრულქმნამდე.

– განა იქნება ეს როდისმე?

– იქნება!

– მე კი მეეჭვება და...

ძილმა კვლავ წაართვა თავი დავითს. გამოღვიძებისთანავე გუგუნის ხმა შემოესმა. ქარაშოტი მოვარდნილიყო, ტყე უცნაურად ხმაურობდა. ქარისგან ატალღებულ კარავს, ხანგამოშვებით წვიმის წვეთები ეცემოდა. წვიმამ თანდათან მოუხშირა და ბოლოს ძლიერ დაუშვა.

გაუკრთა ძილი. მოუსვენრად აწრიალდა ნაბადზე.

ვიღაცა შეირხა მის გვერდით.

– გღვიძავს უფლისწულო? – მირიანი იყო.

– მღვიძავს, – უპასუხა.

– მეც ვერ დავიძინე, – კვლავ გაისმა მირიანის ხმა, – ოცნებამ წარმტაცა გონი. კარგია ოცნება, ყოველგვარ ყოფითს დაშორებული, თავისთავზე აღმატებული გრძნობანი შემოერტყმიან გონებას. ცისფერი სილურჯის ბურუსში ფიქრად დაიღვრები, თითქოსდა დრო შეწყვეტს სწრაფვას. მრავალფერად დაგუბებული დინების მორევში, სულ სხვანაირი ელვარებით აკიაფდება სამყარო და მის მწვერვალზე დგახარ ლაღი და ბედნიერებით გასხივოსნებული. ოცნებაში ბევრი მტერი და ვერაგი დამიმარცხებია, სიკეთისთვის გამიწვდია ხელი.

მტრის ხსენებაზე ღიმი დაესარკა ბაგეებზე დავითს.

– მტერი ბევრი გყავს, მირიან? – ჰკითხა.

– არცთუ ცოტა, უფლისწულო!

– კი მაგრამ, ჯერ ყმაწვილმა, სად ჰპოვე ამდენი მოძულე? პირადი წყენა თუ არ გიგემნია, რატომ დაგიგულებია ასეთი მტრად? იქნებ გულწრფელია შენთან და სულაც არ არის ბოროტი? – ნაბადზე წამოჯდა დავითი.

– სხვის მიმართ ეშმაკს რომ ზიარებულა?

– ჭეშარიტ ვაჟკაცს და შემოქმედს არ ეკადრება ამგვარი განსჯა. ყოველი წყენა მიტევებით განიწონება. ერთმანეთს თუ არ მივუტევებთ, მეგობარიც აღარ შეგვრჩება, მირიან. უშეცდომო ჯერ არავინ მოვლენილა წუთისოფელში.

– რა ვუყო, ასეთი ხასიათი დამყვა და ვერაფრით გარდამიქმნია თავი. მცირე უნებლიე ცოდვის ჩამდენი ჰო, კიდევ კარგი, მაგრამ ჩემს გვერდით მყოფ ცოდვის სავალზე მოჯირითეს ვერაფრით შევეგუები.

– მაგრამ უმრავლესს მტრად მოიკიდებ, – მირიანისკენ გადატრიალდა დავითი, – ჭეშმარიტ მეგობარსაც დაკარგავ. მთავარი არაა კაცში მხოლოდ ნაკლი ეძიო და ამავე დროს ღირსებას ვერ ხედავდე.

– ნაკლის უგულვებელყოფა შეუძლებელია, – შეედავა მირიანი.

– გააჩნია ნაკლსაც და დანაშაულსაც. კაცის მკვლელს შენდობა არა აქვს. მაგრამ ამას ვინც უნებლიედ სჩადის, სინდისის სამსჯავროზე შეღავათის ღირსია.

– რაზედ საუბრობთ ამ შუაღამისას? – ჩუმი, ოდნავ ბოხი ხმით იკითხა კარვის შემოსასვლელიდან ლომფერმა.

– ძილი გაგვიკრთა ერისთავო და უნებლიე ფიქრმა დაგვძალა, – მიუგო დავითმა.

– უფრთხილდი ჩემს სახლიკაცს, უფლისწულო. უაღრესად განსწავლული და ნიჭიერი ყმაწვილია. მაგგვარებთან მსჯელობისას, ყოველ თქმას ასგზის დაწონ-გაზომა უნდა.

– არაფერია, სიტყვიერ კამათს როგორმე ბოლო მოეღება. მხოლოდ ერთი რამ მაფიქრებს, ერისთავო, ოშკის მომავალ ხუროთმოძღვარს როგორ შევეწყობი არ ვიცი.

– განიფანტე მაგაზე აზრი. მირიანი ძლიერ გამრჯე და დახელოვნებული ოსტატია. ოღონდ საშენი და მუშაკნი არ უნდა მოაკლო. – შეაქო ჭაბუკი ლომფერმა.

– ასეა ვითომ? ვნახოთ! თვითონ კი დუმს. ჰე, რას იტყვი მირიან? – მირიანს მიუბრუნდა დავითი.

– მართლაც ამგვარი სულისკვეთებით თუ წარმართე სამუშაოები, კარგ ჯილდოსაც დაიმსახურებ. თუმცა, უმჯობესია ჯერ ვიკითხოთ, საჩუქრად რას ისურვებდი.

– თვითონვე მოგეხსენებათ, – ოდნავ რიდნარევი ღიმილით მიუგო მირიანმა, – ჭაბუკს რა სჭირდება ქეყანაში გამოსაჩენად. რა თქმა უნდა, ყველა იმათგან სახელია უპირველესი.

– მარტოოდენ სახელიც არაა დიდი სიმდიდრე, – უპასუხა დავითმა, – საჭურჭლეთა სიუხვე სჭირდება ცხოვრებას. იოლია მარტოსულ კაცთათვის უმაგისობაც. მაგრამ საქორწილოდ შეღერებულ ვაჟკაცს ვინ გაგატანს ქალს, თუ უქონელი ხარ? ვინ გამოგიწვდის სამოყვროდ ხელს? სახელოვანი უპოვარის სული უკმარისობის ჭიითაა დაავადებული და უსხივო მნათობივით ჩრდილმომფინარე. თუმცა, არც ეგაა მარადიული. ქონება ტაროსივით ცვალებადია. სახელსაც ბურუსს აფენს დრო. რაგიდ დიდი მოღვაწე იყო, შენს ნაღვაწში ნაკლს აღმოაჩენს შთამომავლობა. დიდი შემოქმედის კვარცხლბეკს მიწის რყევა შლის, – მცირედ შეყოვნდა დავითი. ჭაბუკს კითხვით მიმართა: – მირიან, რამდენი წელი სჭირდება საერთოდ, საშუალო სიდიდის ტაძრის აგებას?

– არანაკლებ ხუთი და უფრო მეტიც.

– რამდენ ტაძარს ააშენებს კაცი ნეტავ, თავის სიცოცხლეში?

– მრავალს, მდარედ ნაღვაწარს. ღირსშესანიშნავს, მხოლოდ ერთადერთს.

– ერთადერთს? – თავი ორჭოფულად გააქნია დავითმა. – რატომ ერთადერთს?

მხრები გაურკვევლად აიწურა მირიანმა.

– ცნობილი ადამიანები ერთეული ქმნილებებით არიან გამორჩეულები. ალბათ ნიჭიერება საზღვარდადებულია.

– მაგრამ ერთი თუ ვერ სწვდება, მეორე ხომ აღწევს ამას?

– რასაკვირველია, – თავი დაუკრა დასტურად მირიანმა, – ის, რაც ერთისათვის ციური სიზმარია, მეორესთვის აღარ არის საძნელო.

მაგრამ არსებობს ადმიანური შესაძლებლობების ზღვარი, რომლის მიღმა მისი გონთჭვრეტა უქმია.

– მაგ ზღვრამდე ჯერ არ მივსულვართ, მირიან.

– არა მგონია როდისმე თუ მივალთ, უფლისწულო.

წვიმის წვეთების წკაპუნი შეწყდა. იკლო ქარაშოტმაც. გაურკვეველი ბუბუნი კაცთა მოძახილივით შემოიჭრა კარავში. სს-უო, – ჩუმად გამოუძახა ლომფერმა, – ცხენთა ჭიხვინი არ გესმით?

ყური მიაპყრო დავითმა ხმაურს. უჩვეულო ჩოჩქოლი მოაწყდა ყურთასმენას. ნადირი ხომ არ დაერია ცხენებს? – გაიფიქრა და იმწამსვე ადამიანის ხმამაღალი შეძახება მისწვდა. ვიღაც შველას ითხოვდა. სასწრაფოდ ტანთ ჩაიცვა, იარაღი აისხა და ნაბდიანად გარეთ გავარდა.

ახლა უკვე გარკვევით გაიგონა. ყიჟინი დაბლა, ცხენთა სადგომიდან ამოდიოდა. საგანგაშო ბუკი დაარისხეს ყარაულებმა.

შეუჩერებლივ გარბოდა დავითი. ჩამობინდულ ნისლში ძლივს ირკვევდა გზას. უკან ფეხდაფეხ მირიანი და ლომფერი მისდევდნენ.

დაბლა ჩასულებმა, საოცარი სურათი იხილეს. რამდენიმე ადგილას გიზგიზებდა კოცონი. ბედაურის ჭაჭანება აღარსად იყო. ხუთი ყარაულიდან ოთხი გულგანგმირული ეყარა. ნამიან მინდროზე, ერთიც საცოდავად მკვნესარე, მიწაზე გართხმული, ძლივს ბობღავდა. შესტირა მოსულებს, ჩუმად ტყიდან შემოგვესივნენ და ცხენები წაგვართვესო.

– ვინ იყვნენ? – დაეკითხა ლომფერი.

– არ ვიცი.

– ფეხზე რატომ ვერ დგები? – ყარაულს მიუახლოვდა დავითი.

– წელი გადამიმსხვრია ავაზაკმა. შევებრძოლე, ჰოროლი გადმომკრა.

ეტყობოდა ხერხემალი ჰქონდა დაზიანებული საწყალს.

– რაგვარად მეტყველებდნენ თუ გაარჩიე?

– ჩვენი მოდგმისანი იყვნენ.

– საითკენ გაირეკეს ბედაურები?

აღმოსავლეთისკენ გაიშვირა ხელი დაკოდილმა. მალე კოცონთან ბარათი იპოვეს. სისხლით მოთხვრილ ბარათზე, საკმაოდ მსხვილი ასოებით, წითლად მოელვარე მინაწერი გაეკეთებინა მკვლელს. შეუმხმარი მეწამულის ლაქები აქა-იქ წვრილ, დაკლაკნილ ხაზებად ჩამოღვრილიყო. გარკვევით ჩანდა: „ძმათა სამაგიეროდ.“ ამის ქვევით, უფრო მოზრდილი ასოებით გამოეკვეთა დამწერს – „ფოცხვერი“.

აფრთხილებს ყაჩაღი, აფრხთილებს და ვაი იმას, ვისაც მისი დაუნდობელი კლანჭი მისწვდება.

– ეგ რა ხიფათში ჩაგვყარა ფოცხვერმა, – სევდანარევი ხმით ამბობდა ახალმოსული ათანასე, – სჯობია ამღამესვე მოვკურცხლოთ აქედან, თორემ ხვალინდელი დღე უარესის მომასწავებელია.

– გგონია გაქცევით ვუშველით თავს? – გამოეხმიანა გუბაზი, – ასეთ ავაზაკთან სიფრთხილეა საჭირო. ხომ ხედავ, რა ჩუმად მოგვყოლია უკან. ვის ეგონა თუ ბრძოლაში მარცხის შემდგომ ამას იქმოდა.

– თქვენ იქნება ხუმრობთ, მე კი მართლაც მაფიქრებს ეს ამბავი, – საუბარში ჩაერია ორთაყვა, – რას ვიზამთ ხვალ, უბედაურებოდ, ოთხმოციოდე კაცისგან შემდგარი რაზმით? როგორ გავუმკლავდებით რიცხვმრავალ მომხვდურებს? თუკი შევებმით, ვიზარალებთ და თუ გარიდებას ვეცდებით, ვინანებთ. ყაჩაღები ზურგიდან დაგვივლიან და სულ სამიზნე ირმებივით ამოგვხოცავენ.

– აღარ ივარგებს აქ დარჩენა, – დაასკვნა დავითმა. – თუმცა, ღამითაც საშიშია წასვლა. ორივე მხრიდან უსიამოვნება გველის. როგორც ჩანს, ასე იოლად არ დაგვითმობს იმ მარცხს ფოცხვერი. წამიდან წამზე თავდასხმაა მოსალოდნელი. მაშ, რა ვიღონოთ ისე, რომ უვნებლად ვეწიოთ ჩვენს სავალს? პასუხი ერთია. ფანდს ფანდით უნდა შევეჭიდოთ. მოყურადე როგორმე უნდა დავარწმუნოთ, რომ ამაღამ არსად არ მივდივართ. ჭეშმარიტად კი ჩუმად ავიბარგოთ. ამით კვალსაც ავუბნევთ და თან დილამდე შევაყოვნებთ დევნას.

ითათბირეს და ბოლოს ერთ დასკვნამდე მივიდა ყველა. მოზიდეს შეშა, უფრო მძლავრად დააგზნეს კოცონი. ბანაკიდან განაპირა ხის ტოტებისგან შეკრეს კაცის აღანგობის მიმსგავსებული ფიტულები. ნაბდები მოასხეს ფიტულებს, ვითომდაც ხეებზე ამოფარებული ყარაულნი იყვნენ. შემდეგ ჯგუფ-ჯგუფად გაიკრიფნენ. როგორც დათქვეს, სერზე მოიყარა ყველამ თავი. სულ ბოლო ჯგუფიც რომ უვნებლად ავიდა მაღლობზე, ქვევიდან ყიჟინა და ხმაური მოესმათ. როგორც ჩანდა, ბანაკი ყაჩაღებს აეღოთ უკვე. განცვიფრება გამოეხატა ყველას სახეზე. ახლა კი რა ვქნათო, იკითხეს. ზოგი გზის გაგრძელებას არჩევდა, სხვები დარჩენას თვლინენ საიმედო პირობად.

ბოლოს მირიანმა თქვა: – შეირჩეს ორი ძალოვანი ვაჟკაცი. მათ ჩვეულებრივად გააგრძელონ გზა. თან მიმავლებმა იხმაურონ. დანარჩენებმა კი აი, – მარცხნივ გაიშვირა ხელი, – წეღან ციცაბო კლდეები გამოჩნდა ელვისას, იქ შევაფაროთ თავი. მიუვალ ღრანტეებში მიმალვაც ადვილია და თავდაცვაც.

– ორნი ცოტაა წასასვლელად, მირიან, – შეეკამათა ბაგრატი.

– რატომ, უფლისწულო?

– შეტაკებაზე რომ მიდგეს საქმე, ხომ უეჭველი დაღუპვა ელით?

– ისინი ბრძოლისათვის კი არა, მისატყუარად წავლენ და მტრის მიახლოებისას მიმალვაც არ გაუჭირდებათ. თუ ნებას დამრთავთ, ერთი მათგანი მე ვიქნები, მეორე კი თქვენვე შეარჩიეთ.

მცირე თათბირის შემდეგ, შეთანხმდნენ: მირიანი და ათანასე წასულიყვნენ.

მალე ისინი თვალს მიეფარნენ. ვიდრე დარჩენილები კლდეებში ეძებდნენ საიმედო თავშესაფარს, გაღმა სერიდან მოაწყდა ხმაური.

მურა ნაცრისფერი ნისლი ფთილებად დაეფინა კლდოვან მთაგრეხილს. ცივი ქარბორბალა გამეტებული ხმაურით შემოიჭრა ტყეში, მიწის პირიდან ხმელი ფოთლები წარიტაცა და გამაყრუებელი გრიალით გააქანა აღმოსავლეთისკენ.

სერებზე თოვა დაიწყო.

ხევისპირა დაბლობში, წვრილ თქეშად წამოვიდა წვიმა.

საოცრად თბილი ზამთარი იდგა. საუკუნეგავლილ მოხუცთაც კი არ ახსოვდათ ასეთი უთოვლობა.

მოზრდილი ღელის მღვრიე ტალღები, ქვაბის ხავსიან საფეხურს მისწვდა და აბობქრებულ ორომტრიალში, წყლის მცირეოდენი ჭავლი ქვაბში შესტყორცნა. ტლაპოს ბლანტი მასა, ცეცხლის გარშემო მსხდომარეთაგან ერთ-ერთს სახეში მიეპკურა. წვერულვაშაშლილმა ოცი-ოცდაორი წლის ლამაზნაკვთოვანმა მოყმემ, გაურკვევლად დაიქნია თავი, ჩოხის კალთით ჩამოიწმინდა სახე და გაბრაზებით ჩაილაპარაკა: – რა ყიამეთი ტაროსია, თითქოსდა ჯიბრში ჩაგვიდგა, ვერსაით გაივლი კაცი. ღელემ რომ კვლავ მოიმატოს, ალბათ ქვაბშიც შემოაღწევს და მაშინ მოგვიწევს ჩვენი ბარგი-ბარხანით აქედან აყრა! თუმცა ხედავთ, – ხელით უჩვენა მოსაუბრემ იქ მყოფთ. – ღელის მარჯვენა მხარეს განტოტვილი წყლის ნაკადი, მომატებული წყალი იქითკენ გადავარდება და ქვაბს წალეკვით ვეღარ დაემუქრება.

– იქნებ ეს უაზრიათ ამ ქვაბის გამომკვეთლებსაც! – შეეპასუხა მეორე წვეროსანი, – როცა გულდაჯერებულნი, საჭრის-საკვეთით ტეხდნენ ამ პიტალო კლდეს.

– ზაზა! – თავი წამოსწია ქვაბის სიღრმეში ნაბადზე მიწოლილმა, – რატომ გგონია, რომ ჩვენს წინაპრებს ეს მიუვალი გამოქვაბული საცხოვრებლად გამოუყენებიათ? მე მგონი, აქ ისინი ჟამიანობის დროს აფარებდნენ თავს და თანაც დროებით. რა თქმა უნდა, სანამ ჟამი არ ჩაცხრებოდა...

– ჟამიანობის, თუ არა ჟამიანობის დროს, – უპასუხა ზაზას რომ ეძახდნენ იმან, – აფარებდნენ აქ თავს, ეგ ჭეშმარიტად არავინ იცის ვამეხ, მაგრამ გარკვეული დროით ამგვარ ქვაბებს მამა-პაპანი სანადიროდ რომ იყენებდნენ, ეჭვის ნატამალიც არ მეპარება. ჰოდა, სანადიროდ თუ იყენებდნენ, მაშინ რა თქმა უნდა, ყოველგვარ გარემობას თავადვე განსჯიდნენ.

– ჰი-ჰი-ჰი! – გულიანად გაეცინათ იქ მყოფებს, – შენ ისე გვიმტკიცებ, – უთხრა ვამეხმა, – ამას წინათ, ოროთაში ჯამბაზი რომ

ატყუებდა შეყელყელავებულ ბრბოს, წარსული დროიდან მოგვევლინე თუ რა, რწმუნებას რომ დებ სიტყვაში და სამტკიცი კი არ გაგაჩნია, განა წარმოსახვით შეიძლება თქვა ის ყოველივე, რასაც აზრობ?

– რატომ გგონია მაგრე? – წყენა გამოუკრთა ზაზას ხმაში. ფიცხლად წამოდგა ზეზე, სწრაფად ჩაირბინა ქვაბის საფეხურები. ბოლო საფეხურზე მდგარმა, ღელის შუაგულისკენ გაიშვირა ხელი: – აი, ხომ ხედავთ, იმის ზევით, მდინარის კალაპოტი როგორ ფართოვდება და გაგანიერებულ სადინარში წყლის დიდი რაოდენობაც კი მხოლოდ მცირედით თუ აიწევს მაღლა. აბა, დააკვირდით ბოლო საფეხურს, – იმ საფეხურზე მიუთითა, სადაც თვითონ იდგა, – მწვანე ხავსს როგორ დაუფარავს, შემდგომ საფეხურებს კი ხავსის ნატამალიც არ გააჩნია. რას ფიქრობთ? რატომაა ასე? გიპასუხებთ, ჩვეულებრივი წყალდიდობისას, ან გაზაფხულზე წყლის უხვმარაგობის დროს, აწეული მდინარის ჩქერი აქამდე აღწევს და სინოტივე ნაჭარბ საფეხურზე ხავსს მოუკიდნია ფეხი. ამის ზევით კი, ღელე როგორც ჩანს, არასოდეს ასულა... – კიდევ რაღაც ჩაილაპარაკა მოსაუბრემ, მაგრამ ღელის მომეტებულ ხმაურში თქმული აღარ მისწვდენია ქვაბში მყოფებს.

მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. ასე თორმეტ-ცამეტი წლის ყმაწვილმა, კოცონზე მიფიცხებული, გამშრალი ტანისამოსი აკრიფა და ქვაბის კუთხეში მიჰყარა: – წავალ, შეშას მოვიტან, – უთხრა იქ მყოფებს და გარეთ გავიდა.

ქვაბში ოთხნი დარჩნენ. კარის შესასვლელთან, ულამაზოდ გაჩორკნილ ჯორკოზე, ოცი-ოცდაორი წლის მოყმე იჯდა. ფართო მხარბეჭიანს, ახლადაკოკრებული წვერ-ულვაში და ტალღებად ჩამოყრილი, კუნაპეტი თმა ამშვენებდა. ხშირ, ერთმანეთში გადაბმულ წარბებს, მშვენიერნაკვთოვან სახეზე, რკალისებურ მოეხარა ფრთები. სხივიან თვალებში ცეცხლოვანი შუქი უკიაფებდა.

მოყმის მოპირადპირედ, კოცონის მეორე მხარეს, მუხლმორთხ-მული, შუა ხნის ვაჭკაცი ეფიცხებოდა ცეცხლს. გაღიავებული ახალუხიდან, ფართო, ბანჯგვლიანი გულმკერდი მოუჩანდა. ხშირ წვერს სახე სრულებით დაეჩრდილა და ფართო წარბები, ღრმად ჩამჯდარი თვალის ფოსოები, არწივის ნისკარტისებურ, მოკაუჭებული ცხვირის პატრონს, მკაცრ იერს ანიჭებდა.

ქვაბის სიღრმეში, შემაღლებულ ადგილას, ნაბადზე მიწოლილი ორმოციოდე წლის ვაჭკაცი თვლემდა, რიგ-რიგობით ახელდა თვალებს. ვაჭკაცს ბრტყელი ულვაშები სუფთად გაპარსულ სახეზე, ნიკაპამდე ჩამოეშვა და შავი თავსაბურიდან ამოჩრილი, წაბლისფერი

თმის კულულები, გარდი-გარდმო გადაჰყროდა. იქვე, მის გვერდით, ალბათ ასეთივე ასაკის მოყმე იწვა. ნაბადში შეყუჟულს, მხოლოდ მელოტი თავი მოუჩანდა. მხარზე მწოლარე, ძილ-ბურანიდან ახლად გამოსულიყო.

მწოლარეთა ფერხთით, ჯაჭვ-მუზარადნი, სამკლაურ-საბარკულნი და სხვა საომარი აღჭურვილობა უწესრიგოდ იყო მიმოფანტული.

– შენ წეღან ოროთა ახსენე, – ნაბადზე მიწოლილს მიმართა ჯორკოზე მჯდარმა მოყმემ, – გუშინ, საღამოსპირას ჩამოხვედით იქიდან. მაინტერესებს, რა მოიმოქმედეთ! ზაზა ყვებოდა წუხელის, მაგრამ ძილ-ბურანში ვიყავი და აღარც მახსენდება. იქაურ აზნაურთა ვაჟკაცობა საქვეყნოდ ცნობილია. სულ მცირე ხნის წინათ, კვლავ გაუყიდიათ მონებად ყმები. თუ დაადგინეთ, ვინ არიან ამის მოქმედნი?

მხარ-თეძოზე მწოლარემ, ნაბადი კუთხეში მიაგდო, ზე აღიმართა, ნამძინარევი თვალები მჯიღით მოისრისა და უთხრა: – ოროთაში მცირედ შევყოვნდით, ბექუ! დიდაზნაურ ქიბროწაშვილს ჩაუდენია ეგ ვაგლახი საქმე! სოფელში გავიკითხ-გამოვიკითხეთ, მისი ამჟამინდელი საბინადრო ვერავინ გვასწავლა. თურმე იმალება, ბექუ-ყაჩაღს უფრთხისო, გვითხრეს.

– ეგ ამბავი კარგის მაუწყებელია, ვამეხ! ბექუ-ყაჩაღს თუ ასე შიშით განერიდნენ ეგ ავაზაკები, იქნებ გვეშველოს რამე. ყმები მონებად ვეღარ გაყიდონ და ქვეყანა ამ ჭირისგან გათავისუფლდეს! ქიბროწაშვილს კი როგორმე უნდა მივაგნოთ და ხალხის თვალწინ, ყველას საჩენად დავსაჯოთ.

– კი მაგრამ, – საუბარში ჩაერია ვამეხის იქეთ მწოლარე (ახლად გამოღვიძებულს მთქნარება რომ ვერ შეეჩერებინა, პირზე მარჯვენა ხელი აეფარებინა), – სულ ნახევარი თვეც არაა გასული, რაც მეფემ გამოსცა კანონი ყმათა სყიდვის აკრძალვის შესახებ. ყმათა გამყიდველს სიკვდილი შეუწონადეს. ნუთუ, მაგ არაკაცებს სასჯელის არ ეშინიათ?

– ეჰ! – მრავალმნიშვნელოვნად აკიაფებული, ოდნავ ღიმილიანი სხივი გადაეკრა ბექუ-ყაჩაღს სახეზე, – საკვირველებად მიჩანს შენი ნათქვამი, თარხოჯ! ავაზაკთ ქაღალდზე უტყვად დაწერილი კანონის კი არ ეშინიათ, არამედ მსჯავრდების სამართლიანი აღსრულების. კანონი გამოიცა, მაგრამ დაისაჯა კი ვინმე? მებატონენი კვლავაც განუკითხავად ჰყიდიან მონებად ყმა გლეხებს.

– მერედა რას აკეთებს მეფე? შეიპყრას და დასაჯოს დამნაშავენი! – მარჯვენა მხარსზევით აიქნია თარხოჯმა.

– ეგ ადვილია სათქმელად, მაგრამ, აბა ერთი მითხარი, რა უნდა ქნას თუ გინდ მეფემ, სადაც მებატონეთა უმრავლესობა მსჯავრს იმსახურებს? შეძლებს კი მისი ძალაუფლება გაუმკლავდეს მათ? ბოლოსდაბოლოს შეკავშირდებიან ეგ არაკაცნი, შეკაზმულ-შეჯავშნული შემოეწყობიან არტანუჯს და დაამხობენ ხელისუფლებას.

– მაშ, შენი აზრით, მეფე უძლური ყოფილა.

– უძლურია, – თავის დაკვრით დაუდასტურა ბექუ-ყაჩაღმა, – უძლური! განა ვერ ხვდები? როგორ გგონია, აქამდე არ იცოდა ხელისუფლებამ, რომ განიძარცვა ქვეყანა? მაგრამ რა იღონოს? უძალოდყოფილის ლომთან ჭიდილი რეგვენთა ხელობაა.

ამბობენ, ყმათა სყიდვის აკრძალვის კანონი მეფემ, დავით და ბაგრატ უფლისწულების დაჟინებითი მოთხოვნით გამოსცაო, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. რად ხდება ასე? მეფე სცემს კანონებს, მაგრამ ისინი მცირე ხნითაც არ ცოცხლობენ. ამგვარად არ იყო ერთი წლის წინათაც? მაშინ მოყურადე, მორიგე ჯარი უნდა შექმნილიყო. შეიქმნა კი? არა. რატომ? აზნაურთა გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა ხელისუფალი. მათ უარი თქვეს თავიანთ ყმათა ჯარში გამწესებაზე. ზოგი რას იმიზეზებდა და ზოგი რას. ამათგან გამონაკლისებმა ისიც კი განაცხადეს, ყმები სარჩოს მოსაპოვებლად გვჭირდება და არა იარაღის ხელში საპყრობლადო.

კანონს მარტო გამოცემა არ შველის, მას დაცვა სჭირდება და მარტო მეფის დასაცავიც არ არის ის, თარხოჯ! თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა ვასულდგმულოთ და შევიფაროთ. სწორედ ერთეულ ადამიანებში უნდა ჩამოყალიბდეს ის აზრი: რა შეიძლება და რა არა! კანონებს ხელისუფალნი ხალხის ინტერესებიდან ქმნიან და იმას, რაც ადამიანური ყოფისათვის მისაღებია, იმავე ხალხმა, წინამძღოლ ბაირაღად უნდა აიტაცოს მაღლა.

– მჯერა, ეგ ასე უნდა იყოს, ბექუ. მაგრამ გამაგებინე, ყაჩაღებს რაში გვჭირდება კანონიერების ჩამოყალიბებაზე ფიქრი ან აზრი? მე უფრო ის მაკვირვებს, თითქმის ხუთი თვე მიიწურა რაც თქვენთან ვარ და ამ ხნის განმავლობაში, ერთი სათარეშო ჩახდომაც არ გვიცდია. საწყალი ხალხის მძარცველ ავაზაკებზე და არც რომელიმე დიდაზნაურის ძილი გაგვიფრთხია.

ყმათა მონებად მსყიდველების კვალში ჩამდგარნი, სოფელ-სოფელ დავეხეტებით და ვსჯით ამის ჩამდენს. მითხარი, რისთვის გვჭირდება ეს ჩვენ? მრავალი აზნაური გადავიკიდეთ, ბევრი ყაჩაღიც აღარ გვიცქერის კეთილი თვალით.

ბექუმ თავი დაბლა დახარა, ერთხანს თვალდატიებით დასცქეროდა ცეცხლში მოელვარე ნაღვერდალს. ბოლოს ცერად გახედა მოსაუბრეს, მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მიაშვირა და უთხრა: – შენ განა იმისთვის დაგიამხანაგეთ, რომ ყაჩაღობაში მარჯვე ხალხი გვჭირდებოდა? ანდაც შენს ძალ-ღონეს დავეხარბეთ? არა, თარხოჯ. შევიტყვეთ, აქ მობინადრე ყაჩაღთაგან, ყველაზე კეთილი, უუფლებო ხალხის ქომაგი იყავი. სიტყვაპირიანი და პირდაპირი, უღალატო. ამიტომ მიგიღეთ მეგობრად და თუ არ მოგწონს ჩვენი ქმედება, გზა ხსნილი გაქვს, შეგიძლია წახვიდე და შენი სავალი მოიძიო.

– არა, ბექუ! – მარჯვენა მაღლა ამართული რამდენჯერმე გააქნია თარხოჯმა. – ეგ სრულებითაც არ მიაზრია. ვერც ასე იოლად ვერ დაგშორდები. ტყე-ღრეში თხუთმეტი წელია დავეძებ თქვენისთანა ვაჟკაცებს. ამ ხეტიალში რას არ გადავეყარე, რამდენნაირი საძაგლობა არ ჩაუდენიათ ჩემს თანამებრძოლებს. მათ გვერდით მყოფს, ზოგჯერ სიცოცხლეც შემზიზღებია. ერთხელ იქამდეც მივედი, კინაღამ საკუთარ თავს არ გავუსწორე ანგარიში სხვის მიერ ჩადენილი ავკაცობისთვის.

– თავს რად იმეტებდი სხვათა ცუდქმედებისათვის? – სიტყვა ჩაურთო ვამეხმა.

თარხოჯი ზე აიმართა, ორივე ხელებით ტანსაცმელი ჩამოიბერტყა და ბექუს პირდაპირ, კოცონთან, ჯორკოზე ჩამოჯდა. მცირედ შეყოვნდა და მიუგო: – იმიტომ, რომ დამნაშავე ვიყავ. ცუდსაქციელის ჩამდენელს ვახლდი და ვერაფრით დავეხმარე ცხრა წლის ბავშვს, რომელიც საზარლად გმინავდა მხეცქმნილი პირუტყვის არაადამიანური ჟინის დაცხრომისთვის. მაშინ გამოვიგლოვე ჩემი ვაჟკაცობა. ახლაც რომ გამახსენდება, ლამისაა გაგიჟებამდე მივყავარ, ხშირად ძილშიც სიზმარეულს ჩამესმის ის კვნესა-გოდება. საშინელი ზმანებით გამოღვიძებულს, რამდენჯერ ამიმართავს სატევარი, ოდეს ქვადქმნილი გულის გასაგმირავად. თქვენ ვერ გამიგებთ, თუ რა საშინელი სინდისის ქენჯნა მღრღნის და მაწვალებს ამ დროს.

– თუ ასეთ სატანჯველს მოგცემდა ის ავკაცობა, არ სჯობდა გადაგერჩინა უმანკო მსხვერპლი? თუნდაც სიცოცხლე შეგეწირა ამისათვის? – ჩაუკირკიტდა ვამეხი.

– იცი ვამეხ! – უამურ ლაქებად შეეჭმუხნა სახე თარხოჯს, – გულგახსნილობა მჩვევია, სიმართლით გეტყვი, არ მეყო ვაჟკაცობა.

ნურავინ იფიქრებს, ვინმესი მშინებოდა. ოცნი ვიყავით, ოცივეს გავგმირავდი ჩემის მარჯვენით.

– სულში ანთებულ კელაპტარივით გიდუღდა ეგ აზრი და მიეცი ავ საქმეს აღსრულების დრო? მერე მაინც გამოგესყიდა დანაშაული! – სიტყვა მკაცრად შეუზავთა ბექუმ.

– გამოვისყიდე. იმგვარად, ჯერ რომ არ უქმნია არც ერთ სულიერს: შევაპყრობინე ის არაკაცი იდუმალად, ჩავამწყვდიე და მივეცი ართქმულ სატანჯველს. იმ მიდამოებში რაც თუ ბზიკთა ოჯახი იყო, სულ შევაგროვეთ. გამძვინვარებულ ბზიკებს ყოველდღე მივუსევდი. ორ თვეს იტანჯა. სხეულის ყოველი ნაკვთი რომ შემოალპა, პატიება მთხოვა. ვერ ვაპატიე. მესამე თვის მიწურულს, დაოსებულმა სული განუტევა.

– არ სჯობდა, ეგ იმ ბოროტების ჩადენამდე აღგესრულებინა? – ახალუხმოღიავებული ვაჟკაცი ჩაერია საუბარში.

– არ მეყო-მეთქი, ვაჟკაცობა! მე იმ წუთებში ძალისძალ ნამუსახდილი საცოლის ჯავრი ამოვიყარე; სულში აღძრულ წინააღმდეგობას თრგუნავდა დიდი ხნის წინათ ჩაგუბებული დაუყუჩარი წვა. სხვისმა ტანჯვამ ის ვარამი მომირჩინა, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული შევიქენი, მეღიარებინა, რომ არ ვიყავი მართალი ღმერთისა და კაცის წინაშე.

– და პირადულს საზოგადო მრწამსი ხარკად მიუგდე! – სიტყვა შეატეხა კვლავ ახალუხმოღიავებულმა.

– შავთვალ! – დამარცვლით წარმოთქვა თარხოჯმა, – შავთვალ! – კვლავ გაიმეორა, – მე ალალ ზრახვით ვაღიარე ეს შეცოდება. ოცი წელია ვყაჩაღობ და ბედაური რომ მეღუპება, ან მომიკლავენ, ნაცნობ-მეგობრებში ვთხოულობ დაკარგულის სანაცვლოს. ჩემს მიერ გაძარცულ აზნაურთა საჭურჭლე რომ მენახა და არ მიმეცა უპოვართათვის, ძალზედ მდიდარი ვიქნებოდი. დავსახლდებოდი რომელიღაც სოფელში, შევიძენდი ყმებს და მამულებს.

– რა გასულდგმულებს ზამთარ-ზაფხულ, ხვატსა და ყინვაში, სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე შემდგარი, უპოვართათვის თავის გამეტებას? შესძელ, რაიმე სარგებელი მიგეცა მათთვის?

– მგონი კი, შავთვალ!

– გაძარცული აზნაურნი სულ უფრო მეტის სიხარბით რომ დაერევიან ყმა გლეხებს, ამას რას უშველი?

– დასტურის საბუთს ვართმევ, რათა საბატონო ბეგარა იმაზე გაცილებით ცოტა აკრიფონ და არც ძველის ქცევებით შეაწუხონ ყმები.

– გიჯერებენ კი? – ოდნავი ღიმი გადაეფარა შავთვალას.

– ერთნი ყაბულს არიან, ზოგიერთნი არას დაგიდევენ. თუმცა, თვალდაშრეტილნი, ბოლოს კი მთხოვენ პატიებას, რათა სიცოცხლე შევუნარჩუნო.

ყმაწვილმა იღლიით წვრილ-წვრილად დაჩეხილი შეშა შემოიტანა და კოცონის გვერდით, ფრთხილად დააწყო.

– გური! ზაზა სად წავიდა? – ჯეელს ჰკითხა ბექუმ.

– სანადიროდ მივალო, ძია!

– რა დროს ნადირობაა ამ ჟინჟლში?

– ვერაფერს მოგახსენებ! – მხრები აიჩეჩა ყმაწვილმა და გასასვლელისაკენ გაემართა.

– შენ საით მიდიხარ?

– ქვევით, ბანაკში. თან ბედაურებს დავხედავ.

– კარგი, ჩადი! მეთაურს გადაეცი, ხალხი არსად მიმოფანტოს სხვაგან.

ვეტყვიო, ყმაწვილმა თავი დაუქნია და გარეთ გავიდა.

რამდენიმე ნაპობი შეშა შეუკეთა ცეცხლს ბექუმ. კვლავ ჯორკოზე ჩამოჯდა და თარხოჯს მიუბრუნდა: – თარხოჯ, ჩვენთან მოსვლამდე, საკმაოდ ძლიერი რაზმი გყავდა, რატომ მიატოვე ისინი?

– ვერ ავიტანე ამდენ თავზეხელაღებულ ავაზაკებთან ყოფნა. დამეშალა, კბილებით შემჭამდნენ. არადა, იმგვარ ქმედებებს სჩადიოდნენ, ვეღარ შევძელი ყოველივე ამის მოთმენა და გამოვერიდე!

– რისთვის ტყიურობ ამდენი ხანი? საოცარია, ყაჩაღი ხარ თუ მართალ საქმეთა დამცველი? – კვლავ შეეკითხა ბექუ, – არ სჯობდა, ხალხთან ყოფილიყავი, მათთან ერთად გებრძოლა სიკეთისათვის?

– ჰმ! – შუბლზე ნაოჭები ღარად დაასხდა თარხოჯს. რამდენჯერმე იქით-აქეთ გააქნია თავი, – ხალხთან ვყოფილიყავ? ხალხთან? იმათთან, ვინაც დახმარების სანაცვლოდ, მოსისხართან დამაბეზღა და შეაპყრობინა? მაგათ რომ სიმართლე ჰქონოდათ, განა ტყეს შევაფარებდი თავს? იცი, რარიგად მენატრება გაზაფხული რომ ააფერადებს რუხ მთაგრეხილებს და ყანებში პირველ კვალს გაიტანენ გუთნისდედები? თბილ მიწას ოხშივარი რომ აედინება და რქებდახრილი ნიკორა ხარი, სანეტარო სიხარბით შეისუნთქავს მზისა და მიწის ნექტარს?

– რაღაზედ იბრძვი მათდა საკეთილოდ, თუკი ასე გაგიმეტეს და გაავებული მტრის ხელში მიგცეს?

– არა! – ხელი გააქნია თარხოჯმა, – მათთვის არ ვიბრძვი, არც მიფიქრია. მე უზნეობას ვთრგუნავ და ამ რკენაში მის ძლიერებას უღონოდ ვქმნი, რაგვარაც შემიძლია.

– მაგრამ ნაძარცვ საჭურჭლეს ისევ ხომ მათ ჩუქნი, ვინც ერთი ბიჯიც კი არ გადადგა შენდა სასიკეთოდ?

– არც თუ ეგრეა, ბექუ! ვინღა დამიხსნა გაჭირვების ჟამს დილეგში პყრობილი? ანდაც ვინ გამომიწოდა დასახმარებლად მარჯვენა? ისევ და ისევ იმავე ხალხში მყოფმა კეთილმა ადამიანებმა, ვისაც სინდისშეუბღალვად უტარებიათ აქამომდელი წუთისოფელი. მაგრამ, ასეთნი ძალზედ მცირედნი არიან. მათი ხმა დახშულია დანარჩენთაგან და ეს ძახილი სანამდის მძლავრ მეხთატეხად არ შემოატყდება ამქვეყნიურ ჰორიზონტს, მანამ იქნებიან ჩემისთანა ყაჩაღები, უზნეო ავაზაკნიც და უვიც ბრბოსაგან გათამამებული მედროვენი, რომლებსაც ათასგვარი ხერხი გამოუგონიათ ამავე ბრბოს ძარცვა-გლეჯისათვის.

ცეცხლი მძლავრად მოედო შეშას, შიშინითა და ტკაცუნით ავარდა ალი.

– ეს ბიჭი, გურიზე მოგახსენებთ, – განაგრძო თარხოჯმა, – ჩვენთან, ტყეში გაიზარდა. ტყვეობიდან რომ დავიხსენი, მხოლოდ სამი წლისა იყო. მაშინ საკმაოდ ძლიერი რაზმი მყავდა. ტყვეებიან აღალს ფარულად დავეცით, დედამისი შეტაკებისას დაიჭრა და მალევე მიიცვალა.

ძაღლისხევიდან აღმოჩნდნენ ტყვეები. კაცი გავგზავნე ძაღლისხევში, ეგებ ბავშვს ვინმე ნათესავი გამოუჩნდეს-მეთქი. არავინ აღმოჩნდა. ერთი წლის წინ გაეყიდა ბატონს მამამისიც. სხვა გზა აღარ დამრჩენოდა, ბავშვი ტყეში უნდა გამეზარდა.

რაზმში ერთი ბერძენი მყავდა, კაცი დიდად განსწავლული და მეცნიერი. ბიჭი რომ წამოიზარდა, შეგირდად აიყვანა. არითმეტიკაში და ფილოსოფიაში გაწვრთნა, შეასწავლა რამდენიმე მეტყველება. თუ ღმერთმა დამაცალა, სადმე რიგიანი ოჯახი უნდა გამოვუნახო და დავასახლკარო.

– სადაა შენი რაზმი ახლა? – ჰკითხა ვამეხმა.

– რაზმი აღარ მყავს, ვამეხ. ნაწილი დამიხოცეს, ზოგნიც სხვა ყაჩაღებს გაუამხანაგდნენ. ორი კაციღა შემომრჩა. ბექართან რომ მივედი, ისინი იქ დამხვდნენ. მე კი, როგორც გითხარი, ვერ შევძელ უმსგავსობის ქმნა და მივატოვე რაზმი.

– შენი რაზმელები კვლავ ბექართან არიან?

– დიახ, – თავი დაუქნია თარხოჯმა.

– კავშირი ხომ არა გაქვს ძველებურად მათთან?

– არა!

– იცი თარხოჯ, – ახლა ბექუ ჩაება საუბარში, – როგორმე უნდა დავუკავშიოდეთ. შენი დახმარება გვჭირია. არ გიუცხოებენ, საბჭობად მიგაგზავნით. შეხვედრა დავუთქვათ.

– ბექართან კავშირი რაში გვჭირდება?

– გასარკვევია ზოგიერთი რამ. გეტყვი ყმა გლეხებით მოვაჭრე აზნაურებს შეუჩივლიათ მისთვის, გვაწიოკებსო და ჩვენი დასჯა მოუთხოვიათ. ბექარს დახმარება აღუთქვამს, არ ვიცი, როდის დაგვესხმის თავს. ანდაც რა ხაფანგს დაგვიგებს. მანამდე კი, ჩვენ უნდა წავუყენოთ პირობა და თუ არ დაგვთანხმდება, ალბათ შებრძოლება მართლაც მოგვიწევს.

– ბექართან ჭიდილი არც ისე იოლია, ბექუ! – თავი რამდენიმეჯერ გააკანტურა თარხოჯმა, – ამ მიდამოებში ყველა ავაზაკთა და თავზეხელაღებულთა მბრძანებელია, უშორეს მანძილზეც კი სჭრის მისი სიტყვა.

– რაც არ უნდა ძლიერი იყოს, მოფრთხილება ვერაფერს გვიშველის. განა შიშით მოუკლავს მონადირეს როდესმე მრისხანე ლომი? მათ ზღვარდაუცველ პარპაშს გვერდს მაინც ვერ ავუვლით. გარდა ამისა, ყოველგვარი უხამსობის მფარველი და ქომაგია, ტყვეებით მოვაჭრეცაა!

– ბექუ, ვერ გამიგია! – ცნობისწადილით შეაცქერდა თარხოჯი, – სიკეთის ქმნა მწამს, მაგრამ რა საჭიროა ბექარის გადამტერება? ვერ შევძლებთ სრულიად ქვეყნიერებას ნათელი მოვფინოთ, ეს მაღალ ღმერთს არ უქმნია. ჩვენ კი ვინა ვართ, მცირედი მღილნი წუთისოფლის გზაზე.

– ჩემი გატყიურების მიზანი სწორედ ეგ არის. უნდა ავლაგმო ყაჩაღთა და მონებით მოვაჭრეთა თარეში. ქვეყანა უნდა დამშვიდდეს და მოისვენოს, თარხოჯ. კმარა, რაც იტანჯა. ყმა გლეხს სიმშვიდე სწყურია. მებატონეთა აულაგმავმა ქმედებამ, ლამისაა დააქციოს საკეთილო წესი და რიგი. შენ შეიძლება მართალიც იყო და ვერაფერი დიდი სარგებელი ვერ მივცეთ ხალხს, მაგრამ მცირეოდენი წვლილის შეტანას ხომ მაინც შევძლებთ ამ დიდ საქმეში.

– ისე მსჯელობ, თითქოს ხალხის წინამძღოლი იყო და მის ბედ-იღბალს განაგებდე.

– წინამძღოლი რა მოსატანია, განა სიკეთისათვის გარჯა მხოლოდ ხელისუფალთა სამსახურია? შენც ხომ კეთილისქმნით გაითქვი სახელი?

– კეთილქმნა და ქვეყნის ჭირბოროტებაზე ზრუნვა და ფიქრი სხვადასხვაგვარი მსჯელობაა. მე სიკეთისათვის ვიღვწი, მაგრამ ეგენი აზრადაც არ მომსვლია და ბექართან შერკინება არასოდეს არ მიაზრია!

– იქნებ შიში გძალავს? – სიტყვა ჩაუჭრა ბექუმ.

– შიშიი? – დამარცვლით თქვა, – შიშიი? – კვლავ გაიმეორა თარხოჯმა. თავი უცნაურად აქანა ერთხანს, შემდეგ ფიქრიანად გააგრძელა: – მას რომ შევბრძოლებოდი, მთელ ქვეყნიერებას მტრად მოკიდებულს როგორღა გამეძლო ტყეში? აქ დარჩენაც სანატრელი გამხდენოდა? ვინ დამიცავდა? ის უპოვარნი? რომლებსაც ხანგამოშვებით მდიდრების ნაძარცვ ქონებას რომ ვუნაწლებ? არა მგონია! რწმუნებით გეტყვი, ერთიც არ დამიდგებოდა მხარში საჭიროების ჟამს.

ქვაბის შემოსასვლელთან ხმაური მოისმა. ორ იარაღშეჭურვილ მოყმეს ზაზა შემოუძღვა. საერთო სალამით შეეხმიანენ სტუმრები. მასპინძლებმა გაიწ-გამოიწიეს, ცეცხლთან ახლოს დასაჯდომი ადგილები დაუთმეს შემოსტუმრებულთ. მოსულებმა გაიხადეს სველი ნაბდები და ყაბალახები, ცეცხლის პირს გაფინეს და კოცონს მიეფიცხნენ.

ყველა რომ დალაგდა, მცირე ხნის შემდეგ ბექუ შეეკითხა: – ბანაკში ხომ არა შემოგივლიათ, ზაზა?

– ამოვიარეთ! – დაუდასტურა ზაზამ.

– ბიჭები როგორ არიან, მოსწყინდათ უქმად ყოფნა? არ არიან მიჩვეულნი ნაცნობ ადგილთა ხანიერ ჭვრეტას. თუმცა, მცირედიც გაუძლონ, ძლიერ მტერთან მოგვიწევს მალე რკენა.

– ბექარზე ამბობ? – უკან მჯდარ ბექუს მიუტრიალდა ზაზა, – მისი კაცები ეს ესაა მოიყვანა ყარაულმა ბანაკში. მცირე ხანში ალბათ აქაც ამოვლენ. ორნი არიან, შენთან შეხვედრა სურთ.

– ფრიად სახარბიელო ამბავი მამცნე, ზაზა! ეგენი რომ არ მოსულიყვნენ, ჩვენ მივიდოდით მათთან. თუმცა, ეს არაფერია, გასარკვევი გაირკვევა, გადასაწყვეტი გადაწყდება! ეს მითხარით, – ახალმოსულებს შეეკითხა ბექუ, – როგორ იმგზავრეთ, მოიარეთ სოფლები? თუ შეიტყვეთ რაისთვისაც იყავით წასულნი? მართალია ის ხმები, აქადე რომ აღწევს?

– როგორ გითხრათ, – შემოსტუმრებულთაგან ერთ-ერთმა დაიწყო, – სულ გოჯი-გოჯ დავიარეთ ოლთისი, თორთომის მხარეშიც ჩავედით. ზედკარეკში ჩვენს მიერ ტყვეთა სყიდვისათვის დასჯილ აზნაურთა თავყრილობასაც დავესწარით, – ოდნავი ენამოკიდებით

ყვებოდა მოსაუბრე. მარჯვენა მხარეს, შუბლის კიდიდან ნიკაპის ძირამდე, ღრმა ნაჭრილობევი აჩნდა. უსწორმასწოროდ შეშუპებულ ნაიარევს სახის ნაკვთები ხორცოვან ბოლქვებად დაეძაგრა და მცირედით მოექცია ლოყა, – კრება სოფლის განაპირს ჩატარდა. ათასამდე კაცი იქნებოდა, სულ დარჩეული ვაჟკაცები. ომახიანი შეძახილებით ბექუ-ყაჩაღის შეპყრობას გაჰკიჟინებდა ყველა. აქეთ რომ მოვდიოდით, ერთგან ტყეში შეკაზმულ-შეიარაღებულ მეომართა მოზრდილ ჯგუფს წავაწყდით. ბექუ-ყაჩაღის ასავალ-დასავალი გამოგვკითხეს, კინაღამ არ დაგვბაწრეს. ღამით გამოვიპარეთ. მოკლედ, ამგვარადაა ბექუ საქმე. მართალია, ტყვეებით ვაჭრობა მინელდა, მაგრამ სრულიად ქვეყნიერება გადაგვემტერა. მოშუღართა-გან ბევრმა არც იცის ვინაა და რას სჩადის ბექუ-ყაჩაღი. უცოდველ-უდანაშაულო ხალხს თვალთა ჩინს ართმევსო, ასე ამბობენ. ამიტომ ერთი ჰაზრით შეიკრა პატიოსანი თუ უპატიოსნო ადამიანები, როგორმე სამაგიერო გადაგიხადონ. არ ვიცი, როგორ იქნება, მაგრამ ვფიქრობ, ასიოდე მეომრით აქ დარჩენა გაგვიძნელდება. ჩვენს სამყოფელს, შეტყობილი თუ არა აქვთ, მაინც გაიგებენ და ხიფათს გადაგვყრიან. ალბათ აჯობებს, დროებით გავეცალოთ აქაურობას.

– ჰეეე!... – მარჯვენა ოდნავ შემართა ბექუმ – რაებს ლაპარაკობ, ეგღა გვაკლია სამალავში ვძვრეთ! ვის შევუშინდეთ, მაგ არაკაცებს? ნამუსუქონელთ? არა და არა! შენ ეგა თქვი, ქიბროწაშვილის კვალს თუ მიაგენით.

– ქიბროწაშვილი ზედკარეკში იმალება ამჟამად.

– სარწმუნო სიტყვაა?

– ჭეშმარიტად! ზედკარეკში ნათესავისგან შევიტყვე, თურმე ძლიერ შეშინებულია. გარეთ სრულიად არ გამოდის სადგომიდან. რამდენჯერ ელდანაცემს საგანგაშო ყვირილიც აუტეხია. ორმოცამდე შეიარაღებული ყმა იცავს თვალუხრელად დღისით და ღამით.

– ეგრე თუა, ხვალიდანვე უნდა დავიჭიროთ ზედკარეკში ჩასვლის თადარიგი.

– ამგვარ ტაროსში მგზავრობა გაძნელდება! იქნებ გამოდარებამდე დაგვეცადა? – ხმადაბლა ჩაილაპარაკა ზაზამ.

– უგუნურებაა ამინდზე ცდა. – უპასუხა ბექუმ, – თითქმის მთელი ზამთარი დარად გაილია. მზრალობაც კი არ ყოფილა. შემოდგომის მშრალობას მაგონებდა და რა გასაკვირია, ახლა თუ ერთხანს წვიმა და თოვლი დაედება გარემოს. მზის მაცოცხლებელი სხივი ვეღარ გამოატანს დაგრაგნილ, მრუმე ღრუბლების შეფარულ ფარდას და უწყვეტლივ ავდარი იქნება. ეგეც რომ არ იყოს, ის

გაიძვერა მოგვიცდის იქ მანამდე? აგერ ამათ არ მოგვიტანეს, – მოსულებზე მიუთითა ბექუმ, – ეს წუთია ამბავი, შიშით კარში ვეღარ გამოდისო. კაცს შიში რომ შეიპყრობს, ერთ ადგილას ვეღარ გააჩერებ. წარმოსახვები დატანჯავს. ყოველგნით ღალატი მოელანდება და დამფრთხალი კურდღელივით უფრო საიმედო საფარის მოსაძებნად ბუჩქიდან ბუჩქში იწყებს გადაბარგებას. უკეთურებს ხელუხლებელი ზნე გააჩნიათ. იშვიათად გასცემენ მისებრთ. ეს შენი ქიბროწაშვილი ერთ მშვენიერ დღეს, უკვალოდ დაიკარგება და სდიე მერე ცაში ჩამოვარდნილ ვარსკვლავის ნაფეხურს.

სანამ ცხელია რკინა, სატევარი მაშინ გამოიკვერება, თორემ თუ გაცივდა, მისგან ბევრიც რომ ეცადო, აღარაფერი აღარ გამოვა.

– კარგი მაშინ! – ზეზე წამოდგა ზაზა, – ჩავალ ბანაკში და ხვალისათვის თადარიგს დავიჭერ.

– ჩადი, – უთხრა ბექუმ, – ბედაურები აღკაზმეთ იარაღ-საჭურველი შეამზადეთ და ხვალ, სისხამ დილას, სავალს ჩავუყვეთ. ორმოცდაათამდე მოყმე ვიახლოთ.

ნაბადი მოისხა მხრებზე ზაზამ, თავსაბური ჩამოიწია, წუღა-მესტები შეისწორა, ორივე ხელებით დასწვდა საჭურველს და გარეთ გავიდა.

მცირე ხანი მიიწურა ზაზას წასვლის შემდეგ. ქვაბის საკარესთან ყარაული წამოიმართა: – ბექარის ხალხი მოვიდნენ შენთან, ბექუ! – დინჯად მოახსენა.

– შემოიყვანეთ! – ხმამაღლა უთხრა ბექუმ.

მალე სტუმრებს შემოუძღვა ყარაული ქვაბში. ორნი იყვნენ, წვეროსანნი და ახალგაზრდულად შემაროთულნი.

დამხვდურნი წამოიშალნენ. მოსულთაგან ერთ-ერთმა სიბრტყივ ამართა მარჯვენა თავსზემოთ. ამაყნაჭარბი, ბოხი ხმით თქვა:

– ბექუსა და მის ხალხს მიესალმება ბექარი და იმედს იტოვებს, მის წარგზავნილებს გულდასმით მოუსმენენ და აღასრულებენ იმ მოთხოვნებს... მოთხოვნებს, რასაც ჩვენი მეთაური წამოუყენებს.

უნებლიე ბრაზი გულში მძიმედ ჩაიკლა ბექუმ. სტუმრის კვლავინდებურად შემართულ ხელს დააკვირდა. სახელოჩამოწეულს, მაჯის სახსარში ირიბად შეზრდილი და მცირედ ამობურცული მკლავი მოუჩანდა. რასაც ჩვენი მეთაური წამოაყენებსო, სადღაც გონების ფსკერში ჩაეჭედა. სიტყვა ზარივით სცემდა და უფრო და უფრო აშმაგებდა. რას ნიშნავდა ვითომ? ჰმ, თავხედობას? არა,

იმაზეც მეტსა და მეტს, მბრძანებლობას, უსიტყვო მორჩილებას და მარცხს.

– მოკითხვა მოახსენეთ ჩემგანაც! – დახანებით მიუგო ბექუმ. – მაგრამ ვფიქრობ, თქვენს მეთაურს, მცირედით თუნდაც, ეშლება ვისთან რა სიტყვა გაგზავნოს, როგორ მიმართოს და რისი უფლებრივი შესაძლებლობები გააჩნია. თუმცა, ზრდილობის უმარტივესი არჩევანია მთქმელს მოუსმინო და პასუხი იმგვარივე გასცე, რა ღირსებაც შენ გაგაჩნია. გთხოვთ დაბრძანდეთ! – ბრტყელ, გრძელ სკამზე მიუთითა ბექუმ, – რით შეგვიძლია გემსახუროთ? – ბოლო სიტყვა გაჭიანურებითა და მარცვალგებით წარმოთქვა.

კოცონის ერთ მხარეს მასპინძლები ჩამოსხდნენ, მეორე მხარეს სტუმრებმა მოიკალათეს ძელსკამზე.

მახინჯმკლავიანმა ყაბალახი მხარზე გადაიგდო, ნაცრისფერი დოლბანდით სახეზე დაცვარული ოფლი შეიმშრალა და პირდაპირ, მოურიდებლად დაიწყო:

– ჩვენ წარმოგზავნილი ვართ მეთაურისგან. გამოვხატავთ რა მის ნება-სურვილს, ვალად ვთვლით მოგახსენოთ: მეთაური უბრძანებს ბექუ-ყაჩაღს თავი ანებოს ტყვეებით მოვაჭრე აზნაურთა დაშინება-აწიოკებას. თავისუფალი გზა-სავალი მისცეს ტყვეებიან ქარავნებს, ნუ შეეცდება მათზე თავდასხმასა და მონების გათავისუფლებას. უკეთუ, ბექუ-ყაჩაღი უარს განაცხადებს ყოველივე ამაზე, მაშინ ბექარი შეიპყრობს ყველა იმათგანს და ბორკილდასხმულებს მონებად გაყიდის!

უტიფრად თქმულმა, მოულოდნელი გაოგნება გამოიწვია. გამომცდელი ხედვით შეაცქერდა ბექუ ფოცხვერის წარმოგზავნილს და მის უამურ თვალებს მზერა აარიდა.

– თქვენს მეთაურს ავიწყდება, – უთხრა, – ერთი სიბრძნე: რაც არ მოგიპოვებია, მის ბატონ-პატრონად ნუ ჩათვლი თავს, თორემ წინა მოპოვებულსაც დაჰკარგავო. საკვირველია, ბექარს ყმები ხომ არ ვგონივართ, ან მორჩილნი ხელქვეითნი, რასაც ვიქმთ, ნება ჩვენია და არავის ძალუძს ჩვენს ქმედებაში ყური იჩხრიკოს.

ამ ტყეში ყველას თავისი გზა-ბაწარი გააჩნია. განა მგელს პასუხი მოეთხოვება სნეულადქმნილ ირმის შეჭმაზე? ირემი რის ირემია, თუკი მგელს ვერ გაუსხლტება და მგელიც მგლად არ ჩაითვლება სნეული ირმის სისხლი თუ არ ჩამოეღვარა წვერბასრ ღოჯებზე.

ირემზე მდევარ მგელს და ირემსაც, ორთავეს, ერთადერთი მიზანსწრაფვა ამოქმედებს: სიცოცხლის წყურვილი! მათ ამისათვის

თანაბარი შესაძლებლობა მისცა ბუნებამ. ირემს მძლავრი და ფიცხელი მუხლი, მგელს ღონიერი და სხარტი კბილები. იქნებ უაზრობაა ვიკითხოთ ან ერთი რად გარბის, მეორე რისთვის მისდევს. საჭოჭმანო და საკამათო კი ორივესა აქვს.

თითქმის ორი წელიწადია, რაც ტყვეებით მოვაჭრეებს ვებრძვით. ამ ხნის მანძილზე, ბევრჯერაც შევრკინებივართ ბექარის რაზმელებს. სიტყვაც შემომითვლია რამდენჯერ, უკეთურობას თავი ანებეთ მეთქი, ყურად არ იღეთ. პირიქით, კავშირი შეკარით არაკაც აზნაურებთან და შეერთებული ღონით შემოგვიტიეთ. ვერასდიდებით ვერ გაპატიებთ, შარშან, ეშმაკის ხევში, ჩემი ხალხის ვერაგულ ამოხოცვას. ღალატით ჩასაფრებას და მკვლელთა მოგზავნას. ადამიანებს სწორი მსჯავრი უნდა ჰქონდეთ ცხოვრების სავალ ბილიკად. უკეთურ ნავალს, უკეთური მომავალი აქვს. მართლმსაჯულება გვიპყრია ხელში და სამართლიანობის გადაწყვეტას არავის არ ვეკითხებით.

– მაინც ვინ ხართ ასეთნი?! – ბრაზი შეასკდა ხმაში მახინჯმკლავიანს, – ყაჩაღთა საბატონოში სამართალს რომ იშველიებთ, ეგ თვით მაღალ ღმერთსაც არ დაუწესებია. თქვენ კი, მიწაზე მღოღავი პაწაწკინტელა, უსუსური ჭიაყელები ცდილობთ ამის გაკეთებას? სასაცილოდაც არ კმარა. მინდა იცოდეთ, ეს მიდამოები ბექარის გამგებლობაშია და აქ მხოლოდ მისი აზრი აღსრულდება!

ბოლო სიტყვები მუქარაშეპარული ტონით წარმოსთქვა მოსაუბრემ, სტუმრის თვითდაჯერებული, მბრძანებლური კილო უფრო და უფრო აღიზიანებდა ბექუს. სათქმელს სიმკაცრე ჩააყოლა: – უთხარით ბექარს, არავითარ პირობას არ ვუყენებთ და არც ბრძანებით არ შევაწუხებთ. თუმცა, სამაგისო ღონეც გვაქვს და პატივიც. ერთს კი ვურჩევდით, სიავით დაღვრილ ცრემლის ნიაღვარს, თვით ავისმქმნელი ჩაუხრჩვია. რაც მალე გაეცლება ცოდვიან ღვარცოფს, მით უკეთესია! აი, ეს არის ჩვენი სათქმელი.

ზეზე აიმართა ბექუ. აიშალნენ სტუმრებიც. კარში გასვლისას, მახინჯმკლავიანი კვლავ მოუტრიალდა: – საბოლოო პასუხია თუ...

– ბოლოც და გადაწყვეტილიც!

– იქნებ მოფიქრება სჯობდეს, სანანებელი რომ არ გაგიხდეს. მერე გვიანდა იქნება, ნაჩქარევ სიტყვას სიკეთე არავისთვის მოუტანია!

– ნანობს ის, ვინც ბოლოს ნანობს!

– მაშ, ასე მოვახსენო მეთაურს?

– ასე! – საბოლოოდ მოუჭრა ბექუმ.

ადარ გამომშვიდობებიან სტუმრები დამხვდურებს. უხმაუროდ გავიდნენ ქვაბიდან.

– გააცილეთ! – უბრძანა ყარაულებს ბექუმ და კვლავ იმავე ადგილას ჩამოჯდა.

***

ორმოცდაათი მხედრით, მესამე დღის ადრიან დილით, მიაღწია ბექუმ ზედკარეკს. სოფელში შესვლისას, მოსულებს მამაკაცთა მცირე ჯგუფი გამოეგება, მეფის სპა ეგონათ. რა ნახეს ბექუ თავისი რაზმით, სიხარულით შემოეხვივნენ გარშემო, სალამითა და მოკითხვით აავსეს:

– ბექუს სალამი და გამარჯვება!

– დღეგრძელი იყავი!

– ჩვენს მხსნელს გაუმარჯოს!

– მოკითხვა და კარგად ყოფნა გადამრჩენელს!

– დიდება არ მოაკლდეს მტრის დამთრგუნველს!

– ვაშა და ვაშა მარადჟამს!

– ბექუ-ყაჩაღი! ბექუ-ყაჩაღი! – გაისმა ბავშვთა გადაძახილები მცირე ხნის შემდეგ.

მთელ სოფელს ელვასავით მოედო ბექუ-ყაჩაღის მოსვლის ამბავი. დიდ-პატარა გამოეფინა მის სანახავად. მხცოვანი დედაკაცები მხედრებს კალთებს უკოცნიდნენ, ლოცვითა და ვედრებით ავსებდნენ. თავსაბურმოხდილი მამაკაცები მდაბლად თავდახრილი ესალმებოდნენ და იმედიანი ღიმილით აცილებდნენ. ჯეელები კი უკან მიჰყვებოდნენ და თბილად ემასლაათებოდნენ რაზმელებს.

ბექუმ გზაშივე გაიგო, მამასახლისთან ვინმე უცნობი იმალებაო. უმალვე იქითკენ გასწია.

საბინადრო სოფლის განაპირას ჰქონდა მამასახლისს.

მცირე ღელე გადავლეს და ქვითკირიან, ყრუ კედელს მიადგნენ. ჭიშკარში მცველები ეყენათ. ჭიშკრის მიღმა ჩასაფრებული ხალხი შეამჩნია ბექუმ: ჩანს, ყველაფერი მართალი მითხრესო, გაიფიქრა. ალბათ, აქამდეც მოაღწია მისი მოსვლის ამბავმა და თადარიგიც უმალვე დაიჭირეს.

– ვინა ხართ და საით მიდიხართ? – გადმოსძახა გადავანზე შემდგარმა მცველმა, რა დაინახა ჭიშკარზე მიმტყდარი ორმოცდათიოდე შეჭურვილ-შეიარაღებული მხედარი და ხალხი.

– მამასახლისს დამიძახეთ, საქმე გვაქვს რამე! – გასძახა ბექუმ.

– მამასახლისი შინ არ ბრძანდება! – უპასუხა იმავე ხმამ.

გალავანის გარშემო სანახევროდ მოიწიეს მცველებმა. სულ თხუთმეტიოდე იქნებოდნენ. მუზარადჩამოფხატულები და საომრად აღჭურვილები, საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ.

– მაშინ რომელიმე სახლიკაცი გამოვიდეს!

– არავინაა, ყველანი მოკეთესთან გაემგზავრნენ გუშინწინ, ოლთისში! – ეხმიანებოდა ისევ ის მცველი.

ბექუს ყმაწვილი მიუახლოვდა: – ტყუის ბატონო, – უთხრა, – დღეს სისხამზე აქეთ გამოვიარე, დაკარგულ ბედაურებს ვეძებდი. აივანზე დავინახე თვით მამასახლისიც და ის უცხოც. მათ კიდევ რამდენიმე კაცი ახლდა.

– მამასახლისი ვიცით რომ სახლში იმყოფება! გამოგვხედოს, არას არგებს ტყუილი! – პასუხს დაახანა ბექუმ.

– უქმად ირჯებით, მიბრძანდით საიდანაც მოსულხართ. ყაჩაღებთან არარა საქმე გაგვაჩნია, არც გვსურს რომ გვქონდეს. მალე გაეცალეთ აქაურობას, თორემ ვუხმობ ჩემს ბიჭებს და მერე ვაი თქვენი ბრალი! – დაემუქრა მცველი, თან მარჯვენით შუბი რამდენჯერმე შეათამაშა.

– ღვთისა და სამართლის ნებით ვბრძანებ! – ბრაზი წაეკიდა ბექუს, – გახსენით ჭიშკარი და გადმოგვეცით თქვენთან მალულად მყოფი დიდაზნაური ქიბროწაშვილი! ის ხალხის მტერია, კანონისა და ხელისუფლების შეურაცხმყოფელია და სასჯელს იმსახურებს! უკეთუ უარს განაცხადებთ, თითოეული თქვენთაგანი იმგვარივე მსჯავრს მიიღებთ, რაიც ხსენებულ დიდაზნაურს ეკუთვნის!

– ჰა-ჰა-ჰა! – ზომადაუცველი ხარხარი გადმოსკდა გალავნიდან, – რაზედ ახანებთ, მობრძანიდით და წაიყვანეთ, ძალა თუ შეგწევთ! ნებით კი ჭიშკარს არავინ გაგიღებთ!

– ბიჭებო! – გადაუჩურჩულა რაზმელებს ბექუმ. – ქონგურებზე მყოფთ უწყვეტლივ დაუშინეთ ისარი, თარხოჯი და მე გალავანზე შევახტებით. დანარჩენებმა მოგვყევით უკან, ჭიშკარი გავხსნათ, მერე ადვილად შევუტევთ.

დაჰკიჟინეს რაზმელებმა, ისრები აფრინეს.

– მომყევით! – გადაუძახა ბექუმ და ბედაური ჭიშკართან მიაგდო. ვიდრე გალავანზე მყოფნი რაიმეს მოიფიქრებდნენ, ბედაურის ქედზე შეხტა და ელვის სისწრაფით გალავანზე ამოჰყო თავი. დამხვდურებმა სწრაფადვე შუბები აძგერეს. ფარით იფარა წვერმახული ბუნიკები, მაგრამ ჰოროლის ძლიერმა დარტყმამ კინაღამ მოსწყვიტა საყრდენს. ძლივსღა გადარჩა ძირს ჩავარდნას. კედელზე ჩამოკიდებულს, ისევ მოწინააღმდეგემ უშველა. ფეხზე მოეჭიდა

ახლოს მდგარ მეგალავნეს და ბექუ-ყაჩაღი, ეს კისკასი მოყმე, კედლის გალავანზე კვლავ აღიმართა. ხელახლა შემართულს ჩუგლუგი მოუქნია მტერმა. ბექუ მაღლა ახტა, ჩუგლუგიანს მძლავრად დაჰკრა ფეხი მხარზე და მოსხლეტილი ნაფოტივით ძირს გადააგდო. მეორეს ფარი წაართვა და სატევარი უმალვე მოუქნია. ხმაურითა და რახრახით ჩაგორდა მუზარადიანი თავი კიბეზე. ერთბაშად მიესივნენ რამოდენიმე, ვინ შუბი აძგერა, ჰოროლი სცა თუ ჩუგლუგი დაჰკრა. სატევარი დაატრიალა და ცხემლის ყლორტივით დასხიპა მომხვდურნი. კვლავ მიეძალნენ, ქვა-რიხი დააყარეს. მძიმე რაღაც მარცხენა მუხლისთავზე მოხვდა, კინაღამ ჩაიჩოქა. მარჯვენა მხარი ჰოროლმა დაუბეჟა, ერთი ორგან ჭრილობიდან სისხლმა ითქრიალა. გაჰყვიროდნენ და სცემდნენ, რაც თუ ხელში ხვდებოდათ. გრძელი, მძიმე რკინა აჯახეს. ყინულივით დაიფშვნა ფარი. დარტყმამ ნაპირზე მიაგდო. კიდევ ასეთი დაკვრა და ბექუ ალბათ მკერდშელეწილი გადმოეშვებოდა გალავნიდან. ძელრკინა ხუთს ეკავა, მომეტებული რიხით გამოაქანეს. ამჯერად კი განზე უყელა და სანამ კვლავ დასაკრავად მოიმარჯვებდნენ, თითოჯერ უთავაზა ხელი თუ ფეხი და ძირს გადაყარა. ძელრკინას გადასწვდა, დაატრიალა და ჯგროდ მომწყდარნი ღრიალითა და ვაი-ვიშით ერთად ჩაცვივდნენ დაბლა. თარხოჯი წამოეშველა, სხვებმაც ამოადგეს ფეხი, უმალ გადაეშვნენ გალავნიდან, სწრაფად ჩახოცეს წინამდგომნი. ჭიშკარს მივარდა ბექუ, სატევარი აჰკრა საგდულს და გარეთმყოფებიც ზრიალით შემოცვივდნენ. ბრძოლა მცირე ხანს გაგრძელდა. დამხვდურნი სრულიად ჩახოცეს და ქვის ხვეულიან კიბეზე აიჭრნენ.

ცხენზე ამხედრებული, ეზოში იდგა ბექუ. ახლა იქიდან ხელმძღვანელობდა რკენას. მალე ხელებდაბორკილი დიდაზნაური მოათრიეს რაზმელებმა, მას მამასახლისი და მისი უფროსი ვაჟიც, არანაკლებ გაწვრთნილი ვერაგობაში, მიუმატეს. კიდევ სამი უცნობი შეიპყრეს და ბედაურზე ამხედრებულ ბექუსთან დაყარეს.

***

იარები სახელდახელოდ შეუხვია დაჭრილებს დასტაქარმა. სამი გამოჰკლებოდათ რაზმელებს, ხუთნიც მსუბუქად დაეჭრათ. მიცვალებულებს ტყის პირად, საერთო საფლავში მიუჩინეს განსასვენებელი და სოფლის ცენტრისაკენ გასწიეს.

მტირალი დედაკაცი ჩაუვარდა ცხენის ფეხებში წინ მიმავალ ბექუს, მამასახლისის მეუღლეაო, უჩურჩულეს.

– რაზედ შეწუხებულხარ და რით შეგვიძლია გემსახუროთ? – მიმართა მწუხარშეპყრობილ ქალს.

ცრემლის ღვრითა და მომეტებული სლუკუნით ძლივს ამოღერღა მოვიშარმა:

– არ არიან დამნაშავენი ჩემი ქმარ-შვილნი, გეხვეწები შეიბრალე და ნუ დამიხოცავთ!

– ხალხი გადაწყვეტს, რაის ღირსნიც ეგენი არიან! – შეუვალად უპასუხა ბექუმ და გზა განაგრძო.

დაიძრა რაზმი, უკან ხალხი მიჰყვა.

სოფლის შუაგულში, დიდ მუხის ძირას შეჯგუფდა რაზმი. იქაურობა სულ ერთიანად გაივსო სოფლის მკვიდრთაგან. მოედინებოდნენ და მოედინებოდნენ მამაკაცების და ქალების, ბავშვებისა თუ მხცოვანთა ნაკადი. უთავბოლო ღრიანცელსა და ჩოჩქოლში ყურთასმენა აღარ იყო.

მცირე ხნის შემდგომ, მუხასთან, შემაღლებულზე მდგარმა ბექუმ, მარჯვენა აღმართა: – ხალხო! – ხმამაღლა დაიყვირა, – ალბათ გაგიგონიათ ჩემი სახელი!

ხმაური მიწყნარდა.

– გიცნობთ!

– გაგვიგონია!

– გვსმენია! – აზუვლდნენ აქეთ-იქიდან.

– ჰოდა, რახან მიცნობთ, – კვლავ გააგრძელა მან, – ისიც გეცოდინებათ, რომ მე ტყვეებით მოვაჭრეებს ვდევნი. იმ გაუკუღმართებულ ქცევათა მიმლტოლ არაკაცებს, ვისაც უფლებააყრილი ყმის ვარამი, ლაღობად გაუხდია საკუთარი ჯიბისა და უმაძღარ სტომაქის სისავსისათვის. ყმის სყიდვა ბილწ ზნედ ჩაუნერგია და იქმს მას, რაიც ღმერთის ნებით ცოდვად ითვლება! – მცირედ შეყოვნდა და სათქმელს მიჰყვა: – რამდენიმე წელია ვებრძვი ამგვარებს. ამ ხნის მანძილზე, ბევრი ტკივილი და განსაცდელი გადავიტანე საკუთარ თავზე. არც გვერდში მყოფნი დავინდე, არც მოკეთე და ახლობელი. აგერ ახლა, სამი ვაჟკაცი კიდევ შეეწირა ამ უკუღმართ საქმეს. გარდაისახნენ მარადიულ სასუფეველში და დაგვიტოვეს მონატრების ცრემლი და წუხილი. უდროოდ დაფერფლილი სიცოცხლე, რომლითაც მრავალ და მრავალ სიკეთეს მოუტანდნენ ადამიანებს. ძნელია, ერთობ ძნელია გამუდმებული ჭიდილი უკეთურებთან, მითხარით, რას იმსახურებენ ესენი, ხალხო?! – ტყვეებზე მიუთითა.

– სიკვდილი, სიკვდილი! – აგრიალდა ხალხი.

– ეს, – ბორკილდასხმულ ქიბროწაშვილზე მიუთითა ბექუმ, – ოლთისელი დიდაზნაურია, ყმებით მოვაჭრე და მტაცებელი. უზნეო სული. მრავალგზის გავაფრხითლე, არა ეშველა, ცუდი ქმედება არ მოიშალა. დამემუქრა კიდეც. მალულად, კვალდაკვალ მდია ჩასაფრებულმა, მარტოკას დამესხა თავს ოცდაათამდე მეომრით. თუ არა სიჩაუქე, ალბათ იმ ქვეყნად გამისტუმრებდა. ვინც ბექუს მოკვეთილ თავს მომიტანს, ხუთას სულ რქოსანს ვჩუქნიო, განაცხადა და შენაპირები სოფელ-სოფელ დაარიალა.

მშიერი მგლებივით მომესივნენ ათასგვარი ჯურის ავაზაკები. გაავებულნი, კვალის გეშს ჩაიყნოსავდნენ და სწორედ იმ დროს მეკვეთებოდნენ, როცა მცირე რაზმით ან სრულიად მარტო ვიყავი. არაფერი არ გამოუვიდათ, მე მთელი და საღ-სალამათი ვრჩებოდი. ბოლოს შეშინდა და უგზო-უკვლოდ გაქრა.

ორ თვეზე მეტია ვეძებთ, აქ მოვაგენით და აი, ახლა თქვენს წინაშეა: – თავდახრილ დიდაზნაურზე მიუთითა. ჩაჩოქილს და წელში მორკალულს, ლამისაა მიწაზე დაეხალა შუბლი. – ზეზე ააყენეთ! – ბრძანა ბექუმ.

წამოახტუნეს ყარაულებმა დიდაზნაური, თავი მაღლა აუწიეს, სუფთად გაპარსულ სახის კანზე, მრუმე ფერი დასდებოდა. მხოლოდ ლოყები უღაჟღაჟებდა ძველებურად. ქვედა ყბის მცირეოდენი ცახცახი მთლიან სხეულში გარდასახულიყო, ჭროღა თვალებში კი ზიზღი და სიძულვილი ეხატა.

– ხედავთ ხალხო?

– ვხედავთ, ვხედავთ!

– ნაცნობია, აქაც ყოფილა ადრე!

– ერის ჯალათი, გამყიდველი და მოღალატე! ბოროტმზრახველი და ავისმოქმედი, ამგვარებს რაგვარად სჯიან ხალხო?!

– სიკვდილი! სიკვდილი! – კვლავ აგრიალდა ხალხი.

– ამან, რაც კი ყმა ჰყავდა, სულ მონებად გაყიდა. მოხუცნიც, ქალები და ძუძუთა ბავშვებც არ დაინდო, ასეთი რის ღირსია?!

– სიკვდილი!

– მოკვდეს! – გრიალებდა ექო.

– ძელზე მიაბით ეგ უკეთური და შანთები გაავარვარეთ, – რაზმელებს მიმართა ბექუმ.

მცველებმა ძალძალად წაათრიეს დიდაზნაური და სახელდახელოდ აღმართულ ძელზე მიაბეს. მჭიდროდ შეუნასკვეს ხელ-ფეხი ისე, რომ მცირედი განძრევის საშუალებაც კი არ ჰქონდა.

– მაღალი ღმერთისა და სამართლის ნებით! – დაიგრგვინა ბექუმ, – დამნაშავეს საკადრისი უნდა მიეზღოს! სიკვდილი ნეტარებაა ერის მოღალატისთვის! უკეთურს სიკვდილი ვერ შეეწონება, ამგვარებს შანთით უნდა დაეწვას თვალის ჩინი, შანთით, რათა უჩინოქმნილს მარადიული წყვდიადი ჩაუსახლდეს, ვეღარ იხილოს წუთისოფელი და ბნელმა ბურუსმა დაუბინდოს გული და გრძნობა! ვინც დღეის იქით მას, – დიდაზანურზე მიუთითა ბექუმ, – მშიერს ნახავს და ლუკმას გაუტეხს, მწყურვალს ნახავს და წყალს მიაწვდის, უბინაოს ნახავს და თავშესაფარს გაუჩენს, არამად ეზღოს! ცრემლის წილ ცრემლი! იტანჯოს და ნატვრით ილოდინოს სიკვდილი, ამინ!

– ამინ იყოს!

– ამინ იყოს! – გაჰყვიროდა ხალხი.

გავარვარებულ შანთზე აშიშხინდა თვალის გუგა. არაადამიანურად დაიღმუვლა დიდაზნაურმა და გონწართმეული ჩვარივით დაეკიდა ძელზე.

მეორე თვალის დაშრეტა აღარ შეუტყვია, არც მარჯვენის მოკვეთის დროს უგრძვნია რამე. წარკვეთილი მხრიდან თქრიალით დაედინა სისხლი, რამდენიმე რაზმელმა უგონოდ მყოფი გაათრიეს და გვერდზე მიაგდეს.

ახლა მამასახლისი მოიყვანეს რაზმელებმა. დაინახეს თუ არა მამასახლისი, ხალხში ჩოჩქოლი ატყდა.

მარჯვენა მაღლა ასწია ბექუმ: – იყუჩეთ, ხალხო! – შეუძახა.

ხმაური ნელ-ნელა მიწყნარდა და ბოლოს სრულიად მიწყდა.

– ეს, – ხელი გაიშვირა მამასახლისისაკენ, – თქვენი წინამძღოლია და როგორც სოფლის თავკაცი, ავისა და კარგის გამრჩევი, ჭირისა და ლხინის მოზიარე უნდა იყოს! ერის სამსახური დიდ მოთმინებასა და ჯაფას მოითხოვს! ჭეშმარიტი ერისკაცი სულგრძელი, სპეტაკი და სინდისშეუბილწავია! არის თუ არა ეს ადამიანი ამგვარი, ხალხო?!

– არ არის, არ არის! – გაისმა გარშემო.

– სხვათა ნამუსის შემბილწავს, ბოროტის შემფარავსა და შხამის მგესლავს, უნდოსა და შეუბრალებელს, რა სასჯელი მოეთხოვება ხალხო?

– მოკვდეს, მოკვდეს! — კვლავ იგრიალეს.

შუახანს გადაცილებული, ჭაღარაშერეული წვეროსანი მიუახლოვდა ბექუს, – თუ შეიძლება, ორიოდ სიტყვას მეც ვიტყვი, – უთხრა.

მობრძანდი, თქვიო, მიიპატიჟა ბექუმ და მარჯვენა აღმართა: – სმენა იყოს და გაგონება! – ხაფით თქვა.

აგნიასებული ხალხი თანდათან დამშვიდდა. წინ წამოდგა ჭაღაროსანი: – მეზობლებო! მოკეთენო! – დაიძახა, – ეს კაცი, დარწმუნებულნი მის უბიწობაში, ჩვენ ავირჩიეთ თავკაცად! ვერ ვიტყვი, არ შევცდით-თქო, თითქოს მოვტყუვდით და ძვირადაც ვიგემეთ. ამჟამად, თითქმის არ არის ოჯახი სოფელში, საწუხარ-სავიშარი რომ არ ჰქონდეს. ძაძებითა და თალხებით შეიმოსნენ დედაკაცები. ვის შვილი წარტაცეს, ვისი ძმა და მშობელი დასაკარგში მონებად გაყიდეს. დაბეჩავებულებს შიშისგან ხმა ვერ ამოგვიღია, ვიწვით და ვიხრუკებით. ჩვენი გამკითხავი კი არავნიაა. ვტირით, ვგოდებთ და ამ გოდებაში მეტი წილი ამას მიუძღვის! – მამასახლისზე მიუთითა ჭაღაროსანმა, – სწორედ ესაა მრავალი ჯურის უკეთურებს რომ იფარავს, წაქეზებულებს თვითონვე ეხმარება რითაც შეუძლია. ცოდვით გასუქებულს, ცოდვა დაამჭლევებს, ცრემლით აღვსებულს, ცრემლივე დალევს, გვჯეროდეს ამ ჭეშმარიტებისა, ხალხო!

– გვჯერა, გვჯერა!

– გვწამს, ასეც იქნება! – მოაწყდა შეძახილები.

– ეს იყო შარშან, – კვლავ გააგრძელა ჭაღაროსანმა, – ერთადერთი შვილი რომ გამიწირა. ესეც არ ეყო, მოდგა და სულ ერთიანად დამანელა: ჯერ რძალი შემირცხვინა და გაუბედურებულმა, პატივახდილმა, სიცოცხლეს სიკვდილი არჩია. მერე ბადიშებიც გადამიკარგა მოუსავლეთში! დავრჩი მარტოკა ყველასგან მიუსაფარი. მითხარით, რამ მანუგეშოს, როგორღა გავათრიო ამის შემდგომ მოუშუშარ ტკივილად დარჩენილი წუთისოფელი?! ეგაა, თავზეხელა-ღებულ კაცის მკვლელებს რომ იფარავს სახლში, თავისი ბოროტი ზრახვის აღსრულებისთვის! ეგაა, რომ გვისევდა ავაზაკებსა და ყაჩაღებს დასაშინებლად! ეგაა, ჩვენი ოჯახების სინდისსა და პატიოსნებას რომ ბილწავდა! სწორედ მაგის წყალობით არ დარჩენილა არც ერთი სახლი, ცრემლის ტბორი რომ არ დაღვრილიყო! მართალი ვარ თუ არა, ხალხო?!

– მართალი ხარ, მართალი!

– სიმართლეა! – გაჰყვიროდნენ აქეთ-იქიდან.

– სიკვდილი ჭეშმარიტად ცოტაა ამგვარებისთვის, მეზობლებო! ჩაიქოლოს უწმინდური და ჩაიქოლოს არა მარტო ის, არამედ მთელი მისი სახლეულობა!

– ჩავქოლოთ!

– ჩავქოლოთ! – გაავებული ნადირივით გაჰკიოდა ყველა იქ მყოფი.

მარჯვენა აღმართა ბექუმ: – ხალხო! – დაიძახა, – რადგან მამასახლისის მთლიანი სახლეულობის ჩაქოლვა გსურთ, არავითარი მიზეზი არ გამაჩნია წინ აღგიდგეთ. ნება თქვენია, მაგრამ რა დანაშაული მიუძღვის ძუძუთა ბავშვს, რომელსაც ჯერ მზის ელვარება არ უგრძვნია? ავადხსენებულ ბაბუას უმგვანო ქცევისათვის რა მოეთხოვება ახლად ღიმილაფურჩქვნილ ყრმას? სოფლის ჭირ-ვარამისა რომ არაფერი გაეგება? თუნდაც ყველა მათ, ვისაც დანაშაულში იოტისოდენა წვლილიც არ მიუძღვით. ამას ნუ იქმთ ხალხო, გონს მოვუხმოთ, რადგან დრო შემგომში მარცვალ-მარცვალ აკინძავს ჩვენს ნამოქმედარს და ავსაქმისათვის ზიზღსა და სიძულვილს დაგვაწინდებს!

– ჩვენმა ძუძუთა ბავშვებმა რა დააშავეს? – უკანა რიგებიდან დაიძახა ვიღაცამ, – მაგ ბილწებმა რომ არ დაინდეს?! ყველა ჩაიქოლოს, უკლებლივ ყველა!

– ჩავქოლოთ!

– ჩაიქოლოს ყველა!

– მოსპეს უხსენებელი! – ანგარიშმიუცემლად გაჰკიოდნენ ადამიანები.

– ხალხო! – კვლავ შეუძახა ბექუმ, – არავის არა აქვს უფლება თქვენს სამართალში ხელი აფათუროს! დაფიქრდით, იქნებ ცდებით, ცოდვიან სავალს ვგმობთ და მასვე ნუ გავყვებით! ყოველ ბოროტებას ბოროტებითვე ნუ ვუპასუხებთ, სიკეთით ვცადოთ, სიკეთით!

– ბოროტებასთან სიკეთე უძლურია!

– სიკეთით არაფერი გამოდის!

– ჩავქოლოთ! – აზრიალდა გარემო.

– ხალხო, გეთანხმებით მხოლოდ ერთი პირობით. განაჩენს აღასრულებთ და პასუხისმგებლობასაც თქვენვე იკისრებთ, ნურავინ იტყვის, ბექუს რაზმელებმა ძუძუთა ბავშვები არ დაინდეს და გაავებულ სოფელს უმწეონი გამოასალმებინეს სიცოცხლესო! ჩასაქოლავი ჩაქოლეთ!

კმაყოფილების სტვენა-კიჟინა ატყდა. მამასახლისის სახლეულო-ბის მოყვანა ბრძანა ბექუმ.

მცირე ხანი გავიდა. მოიყვანეს მსჯავრდებულნი. მსხვერპლთა რიგში ძუძუძთა ბავშვიც იყო. ჩვილი გამეტებით მოთქვამდა. ჩუმი ზუზუნივით ისმოდა დანარჩენთა გოდებაც.

ხელფეხშებორკილები ერთმანეთზე მიჰყარეს.

– ჩავქოლოთ! – გრგვინვად გავარდა ჰაერში და აყალყულ ტალღასავით დაიძრა გამძინვარებული ბრბო. ვინ ქვა დაუშინა, ვინ მიწის გოროხი, თუ ხის ტოტი. რამდენიმე წუთში, იქ სადაც გათოკილი ადამიანები უმწეოდ ეყარნენ, პატარა ბორცვი აღიმართა.

ხალხი დაწყნარდა. იმ სამ უცნობს, თანამზრახველობისთვის თავები წაკვეთეს. ბექუმ საბოლოო სიტყვა თქვა: – ხალხო, იცოდეს ყველამ, ვინც ყმას უმგვანოდ მოექცევა, მონად გაჰყიდის და პატივს ახდის, გუთნისდედას შეაწუხებს, ამგვარადვე დაისჯება! დანდობა არ ეღირსებათ მწვალებლებს! ნურც ვინ შეეცდება მიჩქმალოს ჩადენილი სიცუდე, ქვესკნელში რომ ჩაძვრეს, მაინც ვიპოვით და ავ საქმეთ კი არ ვაპატიებთ! გაფრთხილდნენ მებატონენი, ნუ დააბიჯებენ ღვთისაგან ბოძებულ უფლებათა ზღვარს, ლმობიერებით მოექცნენ ყმა გლეხებს, მამულის ბურჯსა და მახვილს!

ახლა კი გემშვიდობებით, ხალხო! კარგად ბრძანდებოდეთ და თუ ვინმემ დაგჩაგროთ, უცილობლივ გვაცნობეთ, სადაც არ უნდა ვიყოთ, თქვენს საშველად მოვალთ და საკეთილო ხელს გამოგიწვდით! – მოსხლეტილად ჩაათავა სიტყვა ბექუმ. სწრაფად მოახტა ბედაურს და წინ გაიჯირითა. რაზმიც უკან მიჰყვა ცხენოსნებს.

მიმავლებს დიდხანს ესმოდათ შეძახილები:

– ბექუს დიდება!

– გამარჯვება ბექუს!

– დღეგრძელობა, ჯანსრულობა ბექუს!

***

ღრუბლოვან ციდან მზემ გამოიხედა და სინათლის კონა დააფინა გზაზე. აქედან მეზობელ სოფელში გადავიდა რაზმი. სამ დღეს შეყოვდნენ. წესრიგი დაადგინეს და მეოთხე დღეს, სისხამზე, საბინადროსკენ გასწიეს.

ნახევარი დღის გზობაზე შეისვენეს. დანაყრებულებმა, ბედაურებს მოლი მოაძოვეს და ის იყო, უნდა აშლილიყვნენ, რომ სამჯერ დაუსტვინა გაფრთხილების ნიშნად ყარაულმა. მზადყოფნა ბრძანა ბექუმ. ბედაურზე ამხედრებული რაზმი მწყობრად ჩადგა. წინიდან შეჭურვილი ორასიოდე მხედარი, ჩირგვთა კენწეროებს გამოსცდა და ვაკობზე გამოეფინა.

ირგვლივ, ტყით შემოზღუდულ, საკმაოდ მოზრდილ ვაკეს, უკანა მხრიდან მცირე ღელე ჩაუდიოდა. ღელის იქით, დაბალტანა ბუჩქნარი და ფიჭვის მარტოსულად გაბნეული ხეები იყო. გარშემო მოატარა

ბექუმ მზერა. ხმაური უკანიდანაც მოსწვდა. თუმცა კი ჯერჯერობით არავინ ჩანდა.

მეომართ სამი მხედარი მოუძღოდათ. სულ წინ, გრძელკანჭება და საოცრად დიდ ცხენზე, ანჩელი დიდაზნაური გულუშიშ ოტოვანიძე იჯდა. შორი მანძილიდანაც კი გაარჩევდა ბექუ ამ გოლიათის მძლავრ აღნაგობას. აგერ შედგა ის, ნახევრად მოუტრიალდა უკან მავალებს და ალბათ შეჩერების ნიშნად, მარჯვენა მაღლა შემართა. მებრძოლები შეჩერდნენ და მწკრივებად დაიწყეს გაშლა ველზე. ახლა მათსა და ოტოვანიძეს რაზმს, სამასიოდე ნაბიჯიღა აშორებდა.

კარგად მოეხსენებოდა ბექუს გულუშიშის ვინაობა. ეს თავნება, პატივმოყვარე კაცი, უდიდესი ძალ-ღონისა და შემართების მქონე, საჭურჭლეთა ხარბობისთვის, ღვიძლ ძმასაც კი გაიმეტებდა და არაფერია გასაკვირი, თუ ხელისუფლებას იმთავითვე ათასგვარი ხრიკებითა და ვერაგობით უგანებდა ხოლმე.

შარშან, ბაგრატ უფლისწული კინაღამ შეეწირა მის მორიგ მზაკვრობას. დაპატიჟა ბაგრატი დიდაზნაურმა, უმასპინძლა და მოალხინა, წასვლისას კი, გზაში რაზმი ჩაუსაფრა და ყოფილ სტუმარს, მგლებივით მიუსია. მან ვეღარ გაბედა სააშკარაოზე გამოსვლა, ტყეში დაიმალა. როცა სულერთიანად გაჟუჟეს მომხვდურნი ბაგრატის მხლებლებმა, ვითომდა საშველად, დაოთხილი მოაჭენა ცხენი. უთვალთმაქცა და ელაქუცა უფლისწულს, მაგრამ მალევე გამომჟღავნდა მოღალატე. გზაში დაგვიანებული მაცნე ეახლა, ხაფანგს გიგებს ოტოვანიძეო, მოახსენა.

უტიფარსა და ქალების მოყვარულს, უზნეო საქციელითაც ჰქონდა განთქმული სახელი. ორი წლის წინ, პარხალში გადავიდა ნათესავთან. მოეწონა ნათესავის მეუღლე, ძალისძალ წაართვა და სახლში წამოიყვანა. ესეც არ აკმარა და ქალიშვილიც მოსტაცა.

ბანაში ერთ-ერთ დიდაზანურთან, ღონით რომ ვერაფერს გახდა, მოტყუებით წაჰგვარა იმ მხარეში სილამაზით განთქმული ასული. მოკლედ, რა არ ჰქონდა ჩადენილი ვერაგსა და კაცთმოძულეს.

– აქეთაც არიან! – გაისმა მარჯვნიდან, – აქაც გამოჩდნენ! – მარცხნიდან დაიძახეს.

– ზურგიდანაც მოუვლიათ!

გარემო მოათვალიერა ბექუმ. წინის დარი მხედრობა იქნებოდა. თითოეულ მხარეზე, ჯგუფ-ჯგუფად გამოვიდა ტყიდან მტერი და ველზე მწკრივებად გაშლილი, არც თუ შორ მანძილზე შედგა.

არა, ეს არ ჰგავდა უნებლიე შემთხვევას, მოულოდნელ დახვედრას რომ ახლავს თან. კარგად გაუმიზნია ყოველივე

მოწინააღმდეგეს. მაინც რამდენი არიან? ათასი, ათასორასი თუ მეტი? ორიათას მეომარს ოცითაც დახვედრია ბექუ. თუმცა, მაშინ დარჩეული ვაჟკაცები ჰყავდა გვერდით. დღე-ღამით უომნია შეუჩერებლივ. ზაზა, თარხოჯი, ვამეხი და შავთვალა რომ არიან, იმგვარი ოცი მოყმით, სამიათასსაც გაუმკლავდება.

– ბექუ-ყაჩაღო! – ოტოვანიძის ხმამ ფიქრიდან გამოარკვია, – წინდაწინ სჯობს გითხრა, დაგვნებდით, ხომ ხედავ, მუმლივით შემოგესიეთ! უაზრობაა მაგ სიმცირით რაიმე გვავნოთ და ტყუილუბრალო სისხლისღვრა არარას მოგცემს. ჩვენის მხრით, გპირდებით, რაინდულ წესის პატივმიგებით შეგიწყნარებთ. არ იქნება შეურაცხმყოფებლობა, სხვა რამ დამამცირებელი და ვაჟკაცის შემარცხვენელი!

– მუმლისგან მოშიშარს, – ხაფით გაეპასუხა მანაც, – მუმლივით გაქრობა ელის! განა ტყე-ღრეში მიტომ დავეხეტებით, რომ ყოველგვარ არაკაცთ შევაბილწიოთ ვაჟკაცური თავმოყვარეობა? ანდაც, ვინა ხართ ასეთნი? ქვეყნის ორგულნი, მოკეთის დამაქცევარნი და სატანას შეამხანაგებული ავი სულები! შენს დიდაზნაურულ ნაღვაწს კარგად იცნობს ხალხი. დიაცთა მდევნელს, თვალის ჩინი გაგქრობია და ეს დედამიწა უკეთური ზრახვების ასპარეზი გგონია, ოტოვანიძე! – ხმას მოუმატა ბექუმ, – არ შეგრჩება უმწეოთა ცრემლი, მოგწვდებიან შურისმაძიებელნი და რაც ბოროტება ჩაგიდენია, ერთიანად გადაგიხდიან!

– ჰე-ჰეე! რითია რომ გვაშინებ, ბექუ-ყაჩაღო? გიჯობს, შენს ნამოქმედარს გაუსწორო თვალი! ოთხი დღის წინ არ იყო, ჩაქოლე თუ მკვლავნი დაუსხიპე უდანაშაულო ადამიანებს?! სოფელ-სოფელ წანწალს რა უჭირს, ღმერთის დაწესებულ ნებას განუდექ და ყმებს გვიმბოხებ! შენ არ იყავი, ფანასკერტში დედაბუდიანად ამოწვი რამოდენიმე კეთილშობილური წარმომავლობის სახლეულობა? ფანასკერტელს შანთით დაუშრიტე თვალები და არც მისი ოჯახი დაინდე? ისპირში აზნაურნი ხრამში ჩაჩეხე? სამცხესაც მისწვდი, ანჩის ეპისკოპოსმა შეგაჩვენა და ეშმაკის მძლავრობა დაარქვა მაგ ნაღვაწს. ბანაში შეგრისხეს, ტაოსკარში ხომ დიდ-პატარა ამხედრდა შენს წინააღმდეგ. ამდენი ცოდვის მატარებელი, რაითდა სულდგმულობ და ანგარიშს უგებ ერსა და ღმერთსაც?

– სიმართლის დაცვითა და სამართლიანობით! – გასძახა ბექუმ.

– ყაჩაღის სამართლიანობა ვის გაუგონია?! ცხოვრების დადგენილი წესი უარყავით, ტყედ გაჭრილები, ნადირის კლანჭებით სამართალს ჩასჭიდებიხართ, ამაზე მეტი სიცრუე ჯერ არ მსმენია,

ხალხო! გიბრძანებ, დაჰყაროთ იარაღი და დაგვემორჩილოთ, უკეთუ მოვალთ და მაშინ გვიანღა იქნება!

– ოტოვანიძე! – ბრაზი ბურთივით გაეჩხირა ყელში ბექუს, – საიდან მოიტანე ჩემი ხალხზე თარეშ-წიოკი? თვალთ ვუშრეტ მათ, ვისაც არ სწამთ ერის შვილობა, სტომაქს გადაყოლილი, შეუბრალებლად ნოქავს ყოველივეს. ქვეყანა საჯირითო მინდვრად გადაუქცევია და იქმს მას, რაც თუ სურვილად გაუაზრია. მკლავს ვჭრით, ვისაც სავაჭროდ გაუხდია სოფლის აღმდგენელ-ამყვავებელნი, ხნულის გამკვალავი და ჭირნახულის მომპოვებელი, მამულ-საყდარი და ციხე-სიმაგრე. იცის მაღალმა ღმერთმა, არა რა უკეთურობა ჩამიდენია. მითქვამს და კიდევაც ვამბობ, გზა გვიტიე და ჩამოგვეცალე. თქვენთან რკენისათვის არც დრო გვაქვს და არც სურვილი, თორემ რაც დატრიალდეს, საკუთარ სინდისს დააბრალე შემდგომში!

– ჰა-ჰა-ჰაააა! – სიცილმა ბექუმდეც კი მოაღწია, – რის იმედი გაქვს? – სჭექდა დიდაზნაური, – ორმოცი ყაჩაღის? ეგენი დედაკაცებს უფრო გახდიან საცვალს, ვინემ იბრძოლებენ! გარშემორტყმული ხართ, ძალაც გვიპყრია და ქადილიც სურვილად გვიჩანს. ხელდახელ არც მოვალთ, სულ მშვილდზე აგაგებთ, შუბებით დაგცხრილავთ და ყვავ-ყორნების კერძად დაგყრით!... – კვლავ გაჰკიოდა რაღაცას დიდაზანური, მაგრამ ბექუს ის აღარ ესმოდა. რაზმელებს დარიგება მისცა: – წრედ განლაგდით, – გადაუძახა, – ცხენთა საბორკი ღვედები მოამზადეთ. ჩემს ნიშანზე ფეხები შეუკარით ბედაურებს, მიწაზე გაწოლილებმა ფარები იფარეთ, როგორც შეწყდება ისართა სროლა, მწყობრში, წრედ მდგარნი ვიბრძოლებთ.

აყალყდა ყიჟინა და ზრიალი. ისართა პირველი წყება წამოვიდა.

ანიშნა ბექუმ, ცხენკაციანად განერთხნენ მიწაზე რაზმელები. უწყვეტ ნაკადად დიოდა და დიოდა ისარი. თუმცა, ვერაფერი დააკლო ალყაში მოქცეულებს.

მტერი ხედავდა, მაინცდამაინც საგრძნობი ზიანი რომ ვერ მიაყენა მოწინააღმდეგეს. სროლა შეწყვიტა და ოთხივ კუთხით საიერიშოდ დაიძრა. ფლოქვთა ცემის ხმა მოასკდა. მას ყურისწამღები სტვენა-ყიჟინა მოჰყვა.

– თასმები მოუშვით! ბრძოლა იწყება, სწრაფად ცხენებზე! – დაიძახა ბექუმ და პირველი ამხედრდა.

– წრედ დექით! ორ მწკრივში, წრედ დექით, მცირედ გაიშალენით, მთავარია, პირველ შემოტევას გავუძლოთ!

და ბედაურთა ჭიხვინითა და ზარით მოაწყდა მტერი. სატევართა ჩახუნსა და ჰოროლისა თუ ხელშუბების გაზუილებამ დაფარა პირველ დაჭრილთა გმინვა-გოდება.

შეუჩერებლივ იქნევდა ბექუ სატევარს. თან გვერდით მყოფებს ამხნევებდა, არ შედრკეთ, ბიჭებო, დაჰკარით ქვეშუდანებსო და მთელი ძალით ჩეხავდა მომხვდურებს.

მკვდართა და დაჭრილთა გვამებით აივსო საბრძოლო არე. თვალი ჰკიდა ერთგან, წრე გაერღვია მტერს. იქით ახტუნა ბედაური, ახლადაყრილი თხმელის ყლორტივით ჩასხიპა მოიერიშე. მარჯვნივ ოტოვანიძე შენიშნა, სხარტულად დაკრულ ხმალს თან ააა-ს აყოლებდა დიდაზნაური. აგერ, ბექუს ორი თანამებრძოლი ცხენკაციანად გააპო. შავი უფსკრულივით პირი დააღო საშიშროებამ. სულ ცოტაც, მტერი წრეს გაარღვევდა და მცირერიცხოვან რაზმელებს შემდგომში ძლიერ გაუჭირდებოდა ბრძოლა. სახიფათო ადგილას უცილობლივ უნდა ჩამდგარიყო. გვამებზე გადაახტუნა ბედაური. ერთბაშად მომსკდარი ზავთი ფიცხლად ჩაკაფა და მომტევი კვლავ პირვანდელ საწყისზე აბრუნა.

ხმლის გაშმაგებული ქნევით მიეჭრა ოტოვანიძე. შუბი აძგერა, შუბის დაკვრის ასაცილებლად გადახრილ ბექუს, ჰოროლი გადმოუქნია მარცხენათი. მძლავრმა დარტყმამ ფოლადის გულფურცლოვანი ფარი ეტრატივით ჩახია, უზანგები გაწყდა და ბექუ თავდაყირა დააქანა, კინაღამ გვამთა შუა ამოჩრილ შუბზე დაეგო. შუბს ჯერ კიდევ ხელში მყოფი სატევარი აძგერა და ჩახერგილ გვამებზე უვნებლად დაეცა, სწრაფადვე წამოხტა. გამარჯვების ღიმი გადაფენოდა სახეზე დიდაზნაურს. გულმოცემულმა, კვლავ გადმოუქნია სატევარი. მახვილი მათ შორის მყოფ ბედაურის ზურგზე დაუშვა და ორად გააპო. ვიდრე ბედაურის მკვდარი სხეული ზე იყო ამართული, ბექუმ ელვის უსწრაფესად წინიდან შემოურბინა. გვამებზე თვალებმატევარ დიდაზნაურის ცხენს ზურგიდან შემოასკუპდა და მოწინააღმდეგე სანამ გაიგებდა, ეს გოლიათური აღნაგობის მთაკაცი, შხამას ძირივით ააძრო უნაგირიდან და ძირს გადატყორცნა.

ცხენზე გამართულმა, სატევარი წაგლიჯა ხელიდან რომელიღაც მომხვუდრს, მასვე ძალუმად გადაუშხივლა, გვამის ჩამოვარდნამდე წაართვა ფარიც. რამდენიმე ბიჯზე ნასროლი დიდაზანური, ფორთხვით ცდილობდა გასცლოდა იქაურობას. მკვდარ-დაჭრილთა ახორავებულ ზვინულზე ახოხებულს, ბექუ მაინც მისწვდა ხმლით და ცხენდაცხენ გადაჰკრა. დაჭრილი ოტოვანიძე ზვინულის კენწეროს

მოსწყდა და გადაღმა, თავისიანებში ჩაგორებულმა, ღრიალით აიკლო იქაურობა.

ბრძოლის კიჟინა და ზავთი თანდათანობით მიწყნარდა, ჩვეული სახე მიიღო. ეტყობა შედრკა მტერი, იმგვარი რიხით ვეღარ უტევდა რაზმელებს.

ბექუს მხარმარჯვნივ, ზაზას ახლადაღერებული ბალახივით გაჰქონდა ყულევი. მკლავჩაუხრელად სხეპდა და სხეპდა. მხარში დაჭრილს, ჭრილობაზე ბელტებად მიმხმარი სისხლი თუ ახსენებდა ტკივილს, ისე სხვაფრივ ყოჩაღად იყო. უფრო მეტიც, გამეტებით გაჰკიოდა. აგერ, ხუთნი ერთბაშად წაესივნენ, შუბები აძგერეს. ქვემოდან შემოევლო ზაზა ცხენს, მიბრჯნით გაჰკვეთა სამი მხედარი. ნამგალისებრ გვერდიდან მოუსვა ხმალი, სარეველა ბალახივით გათიბა.

ბექუს უკან თარხოჯი ჰკიოდა. მახვილშემართული გოლიათი, სატევარზე წამოგებულ მსხვერპლს ზურგში ისროდა. ამიტომ, სხვაგან ყოველგნით თუ ჩაჩეხილი მკვდარ-დაჭრილთა გროვა ეყარა და მეტისმეტად ძნელდებოდა მოძრაობა, თარხოჯის წინ, საბრძოლო ასპარეზი სრულიად ცარიელი იყო. თავისუფლად ანავარდებდა ბედაურს. ჩუგლუგებს სცემდნენ, ჰოროლებს ისროდნენ, თითქმის ოთხი მხარის სიფართე ფარით, ცხენსაც იცავდა და რაც უფრო გაძნელდა რკენა, უფრო მეტი მონდომებით აეშალა ბრძოლის ჟინი. ბეჭსა და მარჯვენა ფეხში წვას განიცდიდა, მაინც ძველებურად სხეპდა მტერს.

მტერი კი, მძლე სატევრისგან დაშინებული, განზრახაცილებით მის თანამებრძოლებთან არჩევდა შებმას.

იქვე ახლოს, შავთვალა ტრიალებდა. ბრძოლის დასაწყისშივე არ გაუმართლა შავთვალას. ქარაშოტისებრ მოვარდნილმა პირველმა ზავთმა შეაჭოჭმანა და ეს უშიშარი, პირგამეხებული მეომარი, რაღაცნაირად შინაგანად დააბნია. არა, შიში სრულებითაც არ უგრძვნია. მაგრამ გამოუცნობმა აღქმამ გონება მოადუნ-მიაყუჩა. ბურანში მყოფს, ატალღავებული მეხი უფრო მეტი ძალით წამოეზვირთა. პირველ შეტაკებაზევე, რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს. სისხლიდან რომ არ დაშრეტილიყო, ბრძოლის არეს გაეცალა. თანამებრძოლთა წრის შიგნით, იარებში სახელდახელოდ ტანსაცმლის ნახევები ჩაიჩურთა და ტანსაცმლის ნაწიბურებითვე მაგრად შეიკრა. მცირედ დაახანა და სწორედ ამ დროს გამოარღვია მტერმა მისწინეული ზურგი. ბექუ რომ არა, ალბათ უარესად წავიდოდა საქმე. წრეში შემოჭრილი მტერი, მცირერიცხოვან რაზმელებს სამწვადე

ხორცივით ჩეხავდა, მეტადრე რაოდენობრივად ერთზე ოცითაც სჭარბობდა და ვინ იცის, რომელიმეს თუ ეღირსებოდა ამ სასაკლაოდან შემდგომში ცოცხლად გაღწევა.

შეტორტმანდა მოვარდნილი პირველი ზავთი. მოწინააღმდეგემ რა ნახა დაუძლეველი, კლდედ აღმართული კედელი, თავბრუდამხვევი სისწრაფით აღარ ცდილა რაზმელთა დათრგუნვას. ბრძოლა უფრო დინჯად წარიმართა. თუმცა ამანაც ვერ მოუტანა სასურველი შედეგი. მცირდებოდა და მცირდებოდა მტრის რიცხვი. ცხენ-კაცის უწესრიგო გროვები ეყარა გარშემო, მათში რაზმელებიც ერივნენ.

ოციოდე მხედარი იდგა ახლა წრეში. წრის შიგნით დაცულ ადგილას მძიმედ დაჭრილნი მისავათებულიყვნენ.

– ცოტანი დავრჩით, იქნება ალყა გაგვერღვია. ტყე ახლოსაა, თავს შევაფარებდით! – ზაზამ სულ ახლოდან გადაუძახა ბექუს.

– ჯერ კიდევ ბევრნი არიან! გაგვიჭირდება და ამასთან, დაჭრილებს ხომ ვერ დავტოვებთ, მათი უვნებლად გაყვანა აქედან შეუძლებლია. ვიომოთ, როგორც ვიბრძოდით, ვნახოთ რას მოგვიტანს შემდგომდროინდელი ვითარება.

– დაწევით, შეავსეთ შეთხელებული რიგები! – ჩუმადვე გადაულაპარაკა ბექუმ.

ბრძანებამ სწრაფადვე შემოუარა წრეს.

უკან დახეული რაზმელები შემჭიდროვდნენ. ეს მარცხად ინიშნა მტერმა და გაგულისებული სტვენა-კიჟინით მოატყდა. რა ნახა გაუტეხელი წინააღმდეგობა, მკვდარ-დაჭრილები მიატოვა და პირველ საწყისს მიუტრიალდა.

ზავთი შეჩერდა. აქა-იქ კანტი-კუნტად გაისმოდა ორთარკინების ექო.

ჩვეული სისხარტით იქნევდა ბექუ სატევარს. მისგან მარტოულად შეშინებულნი, ჯგუფ-ჯგუფად აცხრებოდნენ ვითარცა ყორნები ძერას. მაგრამ ძლევის სასწორი მაინც ყაჩაღის მხარეზე იყო. ნახევარსულად თუ უსულოდ დაყრილებს, ახლა სხვა ჯგუფი სცვლიდა. ნამდვილ გმირობას ჰგავდა ეს სამკვდრო-სასიცოცხლო რკენა.

მოათავა მორიგი შეტაკება. ათ კაცამდე ჩაჩეხა. ერთმა ძლვის გაასწრო, თავგაპობილს, სისხლი ნაკადად სდიოდა ტანზე. ცხენზე ძლივს იჯდა. სიბრალული გააყოლა ბექუმ დაჭრილს. წამით შეყოვნდა და სამი ზორბა მხედარი აიმართა წინ. სამივემ გამეტებულად აძგერეს იქით-აქეთიდან შუბები, ერთობ გაუთვალისწინებელი აღმოჩნდა მათი ჯიქური რკინება. ერთ-ერთის შუბმა

ბედაურის ფერდში გაიარა. მეორისამ ფარიდან ასხლეტისას, მუზარადს ეტაკა და გვერდზე გადააქნევინა ფარი. დანარტყამი ადგილი ემწვავა ყაჩაღს, ტკივილმა ყრუ ფეთქვად ჩაიბუდა. კინაღამ გონი წაერთვა. სისხლი რომ ფეხზე დაედინა, მაშინღა მიხვდა.

ფერდგახვრეტილმა ბედაურმა ტორტმანი დაიწყო. სადაცაა გადაყირავდებოდა. სწრაფად ჩამოხტა დაბლა. ცხენის გამგვირავს, შუბზე მარჯვენათი წაეტანა და მძლავრად დაიქნია.

ძირს ჩამოიღუნა მხედარი ისე, რომ შუბისთვის ხელი არ გაუშვია. გადმოხრილს ფიცხლად მოუქნია ხმალი და თავი წარკვეთა. უნაგირზე ჩამოეკიდა გვამი. დამფრთხალმა ცხენმა განზე გაიწია. ბექუმ ისღა მოახრეხა, ცხენის გავაზე შემხტარიყო. ცხედარი მოიცილა და უნაგირზე აიმართა. წინ გადავარდნილ სადავეს კი ვეღარ მისწვდა.

სადავეწართმეული ცხენი შუბოსნებისკენ გაქანდა. დაოთხილმა ისკუპა მხედრებს შუა. ხელახლა მომიზნებული შუბები მიბრჯნით დაეძგერა. გავაზე გადაწოლილმა, ფარით აიცილა სამიზნე და სანამ გასცდებოდა, ორვეს თავი წააცალა. როგორმე სადავე უნდა აეკრიბა. ცხენი გაოჩნდა. უკანა ტლინკებს მაღლა ისროდა, თანაც ყალყზე შემდგარი, ჭიხვინით იკლებდა არეს. ნატყორცნ ხელშუბებს ზუზუნი გაუდიოდა გარშემო. ერთიც ბედაური თავაწყვეტით დატრიალდა და რამოდენიმე ბიჯზე გადამხტარს, ფეხები ჩაეჭედა. წამით შეყოვნდა. ამ მცირე მონაკვეთში მოასწრო სადავის აკრება და კვლავ ამხედრება ბექუმ.

ხელშუბების სეტყვა დაუშინეს, ჰოროლები ჰკრეს, ოსტატურად ახტუნებდა აქეთ-იქეთ ცხენს. თუმცა, ხიფათი დიდი იყო. საკმაოდ მოშორებოდა თავისიანებს. მარტოდ დარჩენილი მეთაურის მისაშველებლად გამოექანენ რაზმელები.

– წრედ დექით! – უყვირა ბექუმ.

კრაზანების გუნდივით შემოერტყა მტერი. საოცარი მოხერხებულობით და სისწრაფით იგერიებდა მოხეთქილ ზავთს. შუბი აძგერეს მკერდზე, ჰოროლმა დაუბეჟა მარცხენა ბეჭი.

თანამებრძოლებისკენ მოატრიალა ცხენი, დაუმცხრალად იქნია ხმალი მარცხნივ და მარჯვნივ. სავალი გაიკაფა და როგორც იქნა, რაზმელებს შეუერთდა.

მზე დასალიერს მიუახლოვდა. ალმაცერი სხივები დააფინა ვაკობს. ველზე კი შემაზრზენი სურათი იშლებოდა, ახორავებულ გროვებად ეყარა დაჩეხილ-დაკეპილი ცხენ-კაცი. დაჭრილთა კვნესა-გოდებას დაეფარა მოიერიშეთა კიჟინ-შეძახილები.

ბრძოლის ქარ-ცეცხლით ჩამქრალი, დაშოშმინებული მოქიშპეები აქა-იქ კანტი-კუნტად ერკინებოდნენ ერთმანეთს.

რაზმელებიდან თხუთმეტი კაციდა იყო უვნებელი. უვნებელიო ვამბობთ, თორემ ყოველ იმათგანს, ჭრილობებიდან ნადენი სისხლით სულერთიანად მოთხვროდა ტან-ფეხი. არც მოპირდაპირეს უდგა კარგი დღე. ორმოცდაათ მეომრამდე შერჩენოდა ბრძოლის ველს, ალყა მოიხსნა. ერთად შეჯგუფულნი, ახლა უკვე ერთმხრივ ბრძოლობდნენ.

ვეება მხედარი გამოეყო მტრის ჯგუფს. ცოტა მოშორებით, მინდორზე, რამოდენიმეჯერ გააგელვა ცხენი. ბოლოს შედგა და დოინჯშემოყრილმა, აქეთ გადმოსძახა: – ბექუ-ყაჩაღო! ორთარკინე-ბაში გიწვევ, თუ ლაჩარი არა ხარ, გამოდი!

დათვია იყო, ანჩელი. აზატობა უბოძა შარშანწინ მეფემ, ვალაშკერტის ბრძოლაში ვაჟკაცური თავდადებისათვის. მოყმე, ჭეშმარიტი მამულიშვილი, ძალგულოვნებით ტოლდაუდებელი და სამართლიანი. თხუთმეტი წლის ყრმა ყოფილა მაშინ, დათვია ტყეში გაავებულ დათვს რომ გადაეყარა თურმე. გზაარეული ნადირი გააფთრებით სცემია ყმაწვილს. დათვიას მოუგუდავს ცხოველი და მხარზე წამოკიდებული სოფელში მიუტანია. საკმაოდ ტანაყრილ და ზორბა სხეულიანი ბიჭისთვის, ამის შემდგომ, სოფლელებს ზედმეტ სახელად დათვია შეურქმევიათ. ნეტავ, რად ექიშპება ბექუს ეს ყმების მოსარჩელე გოლიათი? მათ ხომ ერთნაირი მისწრაფება გააჩნიათ, მიზნებით მხარიმხარ დგანან. შარშან არ იყო, ამისთვის აზნაურებმა კინაღამ არ გაუყენეს იმქვეყნად? ბაგრატმა უშველა, იხსნა განსაცდელისგან. ნუთუ, შეიცვალა განწყობილება ამ არაკაცებთან რომ შეამხანაგებულა?

– ბექუ-ყაჩაღო! – დათვია კვლავ უყიოდა, – თუ კი ვერ ბედავ ორთაჭიდილს, რაინდული წესთა რიგით დაგვემორჩილე! მხოლოდ შენ, მარტომ, სხვას არას ვერჩით, ნება აქვთ, საითაც სურვილი გაუწევთ, იქით მიჯარდნენ.

ჯაბნობას სწამებდა მეტოქე. ან უნდა დანებებულიყო, ანდაც ბრძოლით დაემტკიცებინა სიტყვით შელახული თავმოყვარეობა. მცირედ შეყოვნებულმა, ხმამაღლა გასძახა: – არავის ეგონოს შიში მთრგუნავდეს! გვეყოფა ამდენი სისხლი! შენც მეცოდები დათვია, ღირსეულ მოყმედ გიცნობ, ჩამოგვეცალე, სხვის თარზე აცუნდრუკებულმა, სავალი მოძებნე!

– ბექუ-ყაჩაღო! – საპასუხოდ მოესმა, – თავი ანებე გარეშე გზა-სავალის ჩხრეკას! ცოდვა ცოდვით განიბანება! რაღას აყოვნებ, გამოდი თუ ვაჟკაცი ხარ და გული გერჩის!

ბექუმ ფარ-ხმალი მოსინჯა, უნაგირზე შეიმართა. სარგძნობლად სტკიოდა მარჯვენა დაბუჟებული ბეჭი, წვივი რუმბივით გასიებოდა, იარებიდან ნადენი სისხლი სქელ ფენად შეხმობოდა ტანსაცმელს და მეწამულისფრად გაეპოხა. სადავე მაღლა ამოქაჩა მკვირცხლად ასკუპა ცხენი.

რკენა დაიწყო. შესახვედრად დაძრეს ბედაურები. პირველ წამებზევე ჰოროლი ესროლა გოლიათმა. მძიმე რკინამ უხილველად გაიშხუილა ჰაერში და ბექუს ფარს მიაწყდა. მძლავრმა დარტყმამ, ნაჭრილობევ მხარზე საშინელი ტკენა მიაყენა, ფარი ხელიდან კინაღამ გააგდებინა.

წინ გამოშვერილი შუბები აძგერეს მიმქროლავ ბედაურებიდან ურთიერთს. ბექუს ფარზე ჭახანი გაიღო შუბმა. ფარიდან ასხლტა და დაბლა მიმართულმა, მცირედით გაკაწრა მარჯვენა ფეხი. შადრევანივით იფეთქა სისხლმა ჭრილობიდან, ვიდრე მოწინააღმდეგე შემოუტრიალდებოდა, ჩახეული ახალუხის ნაწიბური მჭიდროდ შემოატმასნა ჭრილობას. მკერდში მწვავე ჭავლი იგრძნო. გულმა ძალუმად დაჰკრა და თითქოს წამიერად შეაჩერა კრთოლა. ცხენიდან ძირს გადმოხტა, უფრო სწორად, მისდაუნებურად გადმოეშვა. ცოტად ღონე რომ მოეცა, სატევარი იშიშვლა.

შუბი რომ ატაკა, ხუთიოდე მეტრზე შეაჩერა გაჭენებული ცხენი დათვიამ. უკან მოიხედა, დაინახა, როგორ ჩამოვარდა მეტოქე დაბლა და ის იყო, წინასწარ უნდა ეზეიმა გამარჯვება, რომ ფეხზე ამდგარმა ბექუმ, ხმალი აღმართა, შუბი განზე მოისროლა, მახვილი იშიშვლა მანაც და გაგულისებით ასკუპა ცხენი.

ხმალი რომ დაიქნია, იქ, სადაც სულ მცირეოდენი ხნის წინ ყაჩაღი იდგა, მისდა გასაკვირად, სიცარიელემ შემოაჭყიტა. ამაოდ გაიშხუილა მახვილმა. ბექუ წინეული შეტაკების ადგილიდან გამომყურალი მოეჩვენა, თითქოსდა, მას დასცინოდა. ბრაზმორეული გოლიათი. ცხენდაცხენ მიეჭრა, გადავთელავო გაიფიქრა, იქ კი კვლავ არავინ დახვდა. ამხედრებული ბექუ ახლა სულ სხვაგნიდან ხარხარებდა. დაჭრილი მხეცივით აწყდებოდა იქეთ-აქეთ დათვია, ყაჩაღი ვერა და ვერ მოიხელთა.

დოინჯშემოყრილი, გვამთა ზედახორაზე შემდგარი ბექუ, მეტოქის ცუდბუქნაობას უჭვრეტდა და ამჯერად მართლაც მცირედი ღიმი დაჰფენოდა სახეზე.

დათვიას, ამ უბადლო მეომარს, სიშმაგემ ლამის ტვინი გაუხვრიტა. ჰაااااა-აა! – მძლავრად დასჭექა და ზედახორაზე მიაგდო ცხენი. გვამებში ფეხები ჩაეფლო ბედაურს, წაიბორძიკა და ორჯერ გადატრიალებული, ქვევით ჩაგორდა.

უნაგირიდან შურდულვით მომწყდარი მხედარი, ლამის თავისსავე ხმალზე არ დაეგო. გვამებში ჩაჭედილი, ძლივს აიმართა ზეზე. სულ ხუთიოდე ნაბიჯის დაშორებით წამოდგომოდა ბექუ, ფარ-ხმალი შორს გატყორცნილიყო, ვეღარ მისწვდებოდა.

– აიღე ხმალი! – გასძახა ბექუმ.

წაეტანა სატევარს გოლიათი, ფარი იფარა. ყრუდ გაიჟღარუნა ფოლადმა. თავბრუდამხვევად შეუტია მარცხნიდან და მარჯვნიდან, რამდენჯერმე ზემოდანაც დაუქნია. ცეცხლის ნაპერწკლები ცვიოდა ირგვლივ. მეტოქეებმა ვერა-რა დააკლეს ერთმანეთს, თუმცა მათი საბრძოლო ოსტატობით აღფრთოვანებაში მოჰყავდათ მოყურადეები. მოწონების ნიშნად, ხან ერთი მხარე გაჰკიჟინებდა, ხანაც მეორე ამხნევებდა მისიანს.

მორიგი შერკინებისას, წაბორძიკებულ ბექუს, ხმალი დაბლა მოუქნია დათვიამ. ბექუმ მახვილითვე დაუხვედრა, რაღაც უცნაური ხერხით წარტაცა მეტოქეს იგი და მაღლა შეისროლა. ბზრიალ-ბზრიალით ატყორცნილი სატევარი, ძირს ჩამოვარდნისას, ბექუს წინ, მიწაზე დაესო.

ბექუ განზე გადგა. ანიშნა გოლიათს, მახვილი აიღეო. მაგრამ გაოგნებულ მოწინააღმდეგეს ხმლის აწევა აღარც უცდია. ცალკერძ მარცხის სირცხვილითა და ცალკერძ კიდევ, გამოუცნობი გრძნობით შებორკილს, თავი დაბლა ჩაეღუნა, დარტმას ელოდა. მეტოქე კი სასიკვდილო დაკვრას არც აპირებდა.

სირცხვილეული ოფლისგან დაცვარული სახით შემოხედა დათვიამ გამარჯვებულს. დაკიბულად უთხრა: – ბექუ-ყაჩაღო, ჭეშმარიტი მოყმე ორთაბრძოლაში დავარდნილ ხმალს, განმეორებით ხელში აღარ აიღებს. მაჯობე, ალალი იყოს. შენი ნებაა, დამკარი ბარემ და შერცხვენის ლაფი ჩამომრეცხე.

– მარცხი შერცხვენას არ ნიშნავს! – უთხრა ბექუმ, – სირცხვილი და დამდაბლება ისაა, მოკეთეს რომ უგანიგანებ. კარგი ვაჟკაცი ჩანხარ, წადი, გზა დამილოცნია. ერთი პირობით, – დაამატა, – ჩემს ხალხს სადაც გადაეყრები, სავალი მიეც და ნურც უკანიდან მოუქნევ მახვილს.

– ბექუ-ყაჩაღო! რაინდულ წესთა რიგით მიმსახურე როგორც გენებოს, – კვლავ თავდადრეკით შეჰყურებდა გოლიათი.

– მე მსახურნი არა მჭირდება. ტყედ გავარდნილი, უფლებააყრილთა სასკეთოდ ვიღწვი და ამ აზრით ბოლომდე ვისულდგმულებ, თუკი მაღალმა ღმერთმა მომცა შეწევნა. შენ კი, პატივს თუ მომაგებ, ისე ქმენ, როგორც ეს წუთია გითხარი. სხვაფრივ იმსჯელე, იკამათე საკუთარ თავთან. აუწონავ ბიჯს აუწონავი ცრემლი და ცოდვა მოაქვს და ყოველ გადადგმულ ბიჯსაც ადამიანი უცილობლად უნდა საზღვრავდეს.

ჩახორგილ გვამებზე გადაახტუნა ბექუმ ბედაური და რაზმელებისკენ გასწია.

ასპარეზზე მარტოდმარტოდ დარჩენილი დათვია, ერთხანს სახეშეჭმუხვნილი გაჰყურებდა თავისიანებში მიმალულ ყაჩაღს. ბოლოს თვითონაც შემოტრიალდა, აკრიფა თავისივე ფარ-ხმალი და თავდახრილი, ფეხდაფეხ გაემართა.

ამის შემყურე დათვიას მომხრეებს, გაკვირვებული ზრუნი აღმოხდათ. შეძახილები დააყარეს.

– რას სჩადიხარ? მაგას მებრძოლის ხვედრი სჯობდა მიგეღო!

– ეჰეეე, ლაჩარო!

– მშიშარა კურდღელო!

უსამართლოდ შეურაცხყოფილი მოყმე ალად აენთო, სიამაყის ღელვამ დაურბინა სხეულში, გამხეცებული ბედაურს მოევლო და ხაფით დასძახა: – არც ლაჩარი ვარ და მეტადრე არც მშიშარა, ე, მაგ სიტყვებს ეხლავ გაზღვევინებთ! – ამის თქმისთანავე, გამეტებით გააჭენა ცხენი და ხმალდახმალ ეცა უტიფარ მოკიჟინეებს.

შემოეჯარნენ გარშემო გოლიათს. ჩუგლუგებს სცემდნენ, ხელშუბებს ესროდნენ, რამოდენიმე ჭრილობა მიაყენეს. მაინც კაფავდა იქით-აქეთ.

საღამოს ბინდი ერთბაშად შემოიპარა ველზე.

დათვიას გასაჭირს ხედავდა ბექუ. გაუძნელდებოდა ნამდვილად ამდენთან ჭიდილი მარტოს, – აბა, ძმებო, – დასძახა თანამებრძოლებს, – გაიშალენით, ფართო ფრთით დავკრათ.

სტვენა-ყვირილით ეკვეთნენ რაზმელები მტერს.

ჩამობნელდა. რკენა შეჩერდა. გაშორიშორებული მეტოქენი მოპირდაპირედ გაემართნენ. მძიმე ბრძოლისგან ქანცგაცლილი რაზმელები, იქვე, ტყის პირას, მიეყარნენ ის ღამე.

მეორე დღეს დროებით ზავი ჩამოვარდა. ყოველმა იმათგანმა თავიანთ მკვდრებს მიუჩინეს სამარე. დაჭრილები გადაიყვანეს სასაკლაო ველიდან და შეტაკების განუახლებლად გაეცალნენ იქაურობას.

ორი დღის გაუსაძლისი მგზავრობის შემდეგ, მეუდაბნოეთა მცირე სენაკში იდუმალად დაბინავებული რაზმელები, აქვე პატარა ხანი შეყოვდნენ იარათა მოსაშუშებლად.

***

წელიწადნახევარი მიიწურა თითქმის, რაც არტანუჯში იმყოფება მირიანი. აქ სამშენებლო საქმეთა თანადროული მიღწევების შესასწავლად მოიწვია დავითმა. მეცნიერებასა და მეტყველებასაც ეუფლება ჭაბუკი. ბერძნულსა და არაბულში გაიწაფა გონება. ახლა სპარსულის შესწავლასაც შეუდგა. ენებში არიშა ბრძენი ამეცადინებს. სამშენებლო ხელოვნებაში – ვიღაც ბერძენი კაცი, უხიაგი და სიტყვაძუნწი. მოძღვარს სევასტოსი ჰქვია. მეტისმეტად მკაცრსა და ულმობელს, შეგირდნი თითქმის შემოეფანტა. ზოგიერთმა წვრთნას სრულებითაც ანება თავი.

სწორედ კვირის წინ წარსდგა მოძღვრის წინაშე ცოდნის შესამოწმებლად მირიანი. სხვებთან უკმეხი მასწავლებელი, მას ყოველთვის გულთბილად ეპყრობა. თუმცა, ამჯერად არ მოუწონა შეგირდს განსწავლულობა და ურჩია, უფრო საფუძვლიანად გადაეკითხა განვლილი მასალა. რათა ერთი თვის შემდეგ, კვლავ საგამოცდოდ გამოცხადებული, მოძღვართან საოსტატო ხელოვნებას ძირფესვიანად დაუფლებული ყოფილიყო.

სასახლიდან მოშორებით, დავითის საცხოვრებელ სახლში დაიდო ბინა. მცირე აივნიანი საცხოვრებლის მეორე სართულზე, უფლისწულის საძინებელი ოთახის მოპირდაპირედ.

ჭაბუკი როგორც კი დააკარა დავითმა, იმ დღიდან აღარ გამოჩენილა აქ. ერთხელ იხილა მხოლოდ მირიანმა და ისიც სასახლეში, გასული წლის შემოდგომის პირზე. ორიოდე ძუნწი სიტყვა მიუგდო შორიდან და ნაჩქარევი ნაბიჯით გაეცალა. არავინ არ იცის, სად იმყოფება დავითი ახლა. ზოგიერთის თქმით, ბიზანტიაშიაო. ერთნი ვარაუდობენ, ჩრდილოთა ქვეყნების მოსახილველადაა წასულიო. ამას წინათ, თინათინს შეეკითხა, უფლისწული სად არისო. ქალწულმა ამაზე მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და უთხრა, მკლავის ძალოვანებას ცდის ველად გაჭრილიო. ეს სერიოზულ თქმად არ მიუღია, თუმცა, ამაში რაღაც ჭეშარიტების მარცვალი კი ერია.

***

ეს წუთია, სასწავლებლიდან დაბრუნდა მირიანი. დაღლილმა, ოთახში შემობიჯებისთანავე, მაგიდაზე უწესრიგოდ მიჰყარა წიგნები, ხელნაწერი ეტრატები, სარკმელი გამოაღო და გამოუცნობი ნეტარებით გაჰხედა გაზაფხულით ახასხასებულ მიდამოს. თეთრად დაექარგა კვირტები ტყემლებს. მთების ძირეულ ტყეთა კორომებში, ახლად შემოპარულიყო სიმწვანე. მაღალ მწვერვალებზე, ჯერ კიდევ შემორჩენილ თოვლის საფარველს, ზურმუხტისფრად ალივლივებდა საშუადღეოზე გადაწეული მზის ბაცი სხივები. გარშემო ფრინველთა ჟღურტული და გნიასი ისმოდა. ოთახში სითბოსა და სინესტის საამო სუნი შემოიჭრა. ხარბად ჩაისუნთქა მირიანმა გაცოცხლებული ბუნების სურნელოვანი ჰაერი და შუბლი ოდნავ მქროლ ნიავს მიუშვირა.

კარებზე კაკუნი მოისმა,

შემოტრიალდა. – მობრძანდით! – გასძახა.

კარი ნელა გაიღო. ოთახში შუახანს გადაცილებული, ნაადრევად გაჭაღარავებული, მანდილბურვილი, სათნო და კეთილი იერის შაოსანი დედაკაცი შემოვიდა.

შავი, გახამებული, კოჭებამდე დაშვებული კაბა და მეშის ჩუსტები ემოსა ქალს. შავ თავსაბურში, ბორჩხად გამოშვერილი თეთრი თმის კულულები, საოცარ მიმზიდველობას აძლევდა შემოსულს. თვალებში მინავლული ალი, დაღარული, ეშხშერჩენილი პირისახე, ახალგაზრდობაში მფლობელის დიდ სილამაზეზე მეტყველებდა.

– ხომ არაფერს ინებებდით, ერისთავის ძევ? – მიმართა ქალმა.

ქალის ღრმად დაღარული შუბლი, სევდანარევი, კაეშნიანი თვალები, მშობელ დედას აგონებს. ამ ადამიანის შემყურე, ჭაბუკს უხილავი მონატრების საამო სითბო ეღვრება სხეულში. მშობლები არ ახსოვს. ჯერ კიდევ პატარას, ბუნდოვნად შემორჩა გონებაში დედის ცხედარი, მოტირალი ქალები და ვეება, დიდულვაშებიანი კაცი, ცხედარზე დამხობილი მირიანი რომ აიტაცა მაღლა და გააშორა იქაურობას. ეს კაცი ლომფერის მამა იყო, მირიანის ბაბუა და შემდგომში, მისი აღმზრდელი და მოძღვარი.

მამამისი, დიდი ძალ-ღონის მქონე ვაჟკაცი ყოფილა. გვარით მაინცდამაინც დიდად არ გამორჩეული, მაგრამ ღირსებასრული და კეთილშობილი. ეს უბადლო დევგმირი, თურმე მაშინ ღალატით მოკლეს ბრძოლაში, მირიანი რომ ერთი წლის შესრულებულა.

მას შემდეგ, დრო გავიდა და ახლა, ერისთავის ოჯახში აღზრდილი და ყოველმხრივ გამორჩეული ჭაბუკი, დედობრივი ტრფობის სინაკლულს, ამ ქალის სევდიანი თვალებით ივსებს.

– არა, დედაო! – უპასუხა მირიანმა.

– სამზადისში გადავალ, გემშივნება და რაიმეს მოგიტან.

– ნუ შეწუხდები, თვითონვე მოვალ, საჭამანდსაც იქვე მივირთმევ. დაისვენე, საჭირო თუ იქნები, გიხმობ.

მრავლისმეტყველი თვალებით შეხედა ჭაბუკს ქალმა. უნდოდა რაღაც ეთქვა, მირიანმა დაასწრო და კვლავ გააგრძელა: – ე, მაგისთანებისთვის არა ღირს გარჯის გაწევა და სხვა რამეებისთვისაც. ეგ არის, სარეცხს ვერ ვიტან, დედაო! ყოველგვარ შრომაში ნეტარებას ვგრძნობ, გასარეცხი კი.... საკუთარი ტანსაცმლის გარეცხვაც, სიმართლეს გეტყვით, რაღაცნაირად მეხამუშება. ადრეც ბევრჯერ გთხოვე დედაშვილურად, აი, ამ საქმისგან რომ გამანთავისუფლებდე, ეს დიდზე დიდი პატივისცემა იქნება!

მცირე ღიმი შეადნა ბაგეებზე ქალს: – რა საინტერესოა, – ჩაიდუდუნა, – ერთურთს გავხართ შენ და დავითი, ჩვენი უფლისწული. ისიც მხოლოდ ტანსაცმელს მარეცხინებდა. სხვამხრივ თავისუფალი ვიყავი, თუმცა მოსამსახურე კი მქვია.

– როგორც ჩანს, კეთილი ბუნებისაა უფლისწული, თავმდაბალი და სათნო. სულ მცირე ხანი მომიწია მასთან ურთიერთობა, ძმასავით ვიგულე და შევიყვარე. ამ ბოლოს, სადღაც გადაიკარგა და მოგვანატრა თავი. არავინ არ იცის მისი ნამდვილი ადგილსამყოფელი. ბიზანტიაშიაო, ამბობენ. არა მგონია, ამდენ ხანს სხვათა ქვეყანაში დარჩენილიყო დავითი. ვფიქრობ, აქვეა ახლოს, მაგრამ რათ იმალება, ეს უკვე ვეღარ გამიგია!

– ერთხელ კიდევ იყო, – შუბლი მარჯვენათი შეისრისა ქალმა, – სამი წლის წინ, ოთხ თვეს სრულებით გადაიკარგა. თვით სასახლეშიც არ იცოდნენ მისი ასავალ-დასავალი. თურმე, ორმოცდაათი მეომრით წასულიყო კლდეკარს, გადამდგარი ერისთავის შესაპყრობლად. ტყვედქმნილი კლედკარის მმართველი, ხელ-ფეხ დაბორკილი მოიყვანა უფლისწულმა, მაგრამ დაჩეხილ-დაიარალებული სხეულის გამრთელებას, ნახევარი წელი მოუნდა. კინაღამ გადაყვა, სრული ერთი თვის განმავლობაში ბეწვზე ეკიდა მისი სიცოცხლე. ამ ხნის მანძილზე წამითაც არ მოვშორებივარ. სულის მბჟუტავ ფეთქვას ყურს ვუგდებდი, ვევედრებოდი მაღალ ღმერთს, გადაერჩინა კეთილი არსი. მისმინა გამჩენელმა, მობრუნება დაეტყო.

ერთი მალამოს შეზავება, საიდუმლოდ გამანდო ჩემმა მოძღვარმა, შვილო. სწორედ, ამ წამალმა და ჯერ ღმერთმა, შესძლო უფლისწულის განკურნება. ფიცდადებული ვარ, არავის ვასწავლო იმის დამზადების ნაირგვარობა. ძლიერ სასარგებლო მალამოა, მცირეოდენი უზუსტობა და იმ წუთიდანვე, საიქიოს გაამგზავრებს ავადმყოფს. მხოლოდ შენ იდუმალ იცოდე, მითხრა იმ ცხონებულმა, სხვა არავის გაანდო, რადგან, ადამიანები იმდენად ვერაგები არიან, რომ საღად მყოფთა საზიანოდაც გამოიყენებენ და ჩადენილი ცოდვის მზიდველი ჩვენც ვიქნებითო.

– ამგვარად თუ იყო, სრულიად საღ-სალამათი რაღაზედ გაუშვეს უკან, კლდეკარის ერისთავი? მსმენია ეგ ამბავი, თვალთა დაშრეტის ნაცვლად, ჯილდოებით აავსესო, ლაპარაკობდა ხალხი.

– მეფემ არ ინდომა ერისთავის დასჯა. უფლისწული კი, სიკვდილ-სიცოცხლის სარეცელზე იყო მიჯაჭვული იმჟამად. როცა გამომჯობინდა და შეიტყო ყოველივე, მშობელთან უთანხმოება ჩამოუვარდა. რაღას გააწყობდა, ხომ ვეღარ დაიჭერდა?

– დაბრძანდით, დედაო! – სკამი მიუჩოჩა მირიანმა. თვითონაც ჩამოჯდა სკამზე, – ფეხზე დაგაყოვნე, შეგაწუხე, ვერ-კი ვიაზრე!

– მსახური პატრონისათვის თუკი არ შეწუხდა, აბა რაის სამსახური იქნება შვილო? ჩემი მოვალეობაც სწორედ ეგაა!

– მსახურად არა გთვლი, დედაო! ბევრჯერ მითქვამს და ნურც შენ ეცდები ვითარცა პატრონს მემსახურო. ერთს კი გთხოვდი, დედობრივ ზრუნვას ნუ დამამადლი, რადგან მის სინატრულით გამიტარებია ჩემი ბავშვობა. მართალია, აღმზრდელს არაფერი დაუშურებია ჩემთვის, რომ სრულქმნილ პიროვნებად ჩამოვყალიბებულიყავ, მაგრამ მშობლის საწუხარით აღსავსე ნატრულ ალერსს ვარ ნაკლული და დღესაც მოწიფული, ოცი წლის ვაჟკაცი, წუთისოფელში მარტოსულად მიგრძვნია თავი. თუმცა, ობოლი აღარ მეთქმის, არც გარიყული ვარ. კაცთაგან მყავს ნათესაობა, ნაცნობ-მეგობრები, საკმაო სიმდიდრეცა და მამულიც გამაჩნია. ერთი არა მაქვს, ყველაზე ძვირფასი და სანუკვარი, დედობრივი სიყვარულის სითბო... არ ვიცი, წინასწარჭვრეტის უნებლიე აზრმა თუ ოცნებისმიერმა წარმოსახვამ, შენში მშობელი მაპოვნინა. ალბათ დედაჩემიც შენებრი იქნებოდა.

მაგიდაზე უწესრიგოდ დაყრილ ეტრატებს ალაგებდა ქალი. თვალებიდან მისდაუნებურად ჩამოუცურდა ცრემლები და თეთრ წერტილებად დაეღვენთა მაგიდის საფარს.

ფანჯარასთან, ზურგშექცევით მდგარი მირიანი უცქერდა, რა გაფაციცებით ამოიწმინდა შავფერი თავშლით თვალები ჭაბუკის ნათქვამით გულამომჯდარმა სათნო ქალმა და მისდამი შვილისმიერი ალერსის გამომხატველი მოფერება მოეძალა.

– ძალიან პატარა იყავ, შვილო, დედა რომ დაკარგე? – თავაუღებლად ჰკითხა ქალმა.

– ბუნდოვან ლანდად მაქვს შემორჩენილი მშობლის გაცივებული ცხედარი! ეგ არის და ეგ.

– რა ასაკის იყავი მაშინ? – კვლავ ჰკითხა.

– ხუთი წლის თუ ვიქნებოდი, დედი!

– მამა, და-ძმები არავინ დაგრჩენია?

– მამა, ერთი წლის რომ შევსრულებულვარ, მაშინ გარდაცვლილა. უფრო სწორად, ომში ღალატს ემსხვერპლა. და-ძმები არავინ მყოლია. უმწეოდ დარჩენილი ბავშვის მეურვეობა კი, ერისთავს აუღია საკუთარ თავზე.

– ნუ იჯავრებ შვილო. შენ კიდევ რა გიჭირს, სახელოვანი პატრონის აღზრდილს, ლუკმა არ დაგკლებია და სამოსი. ზოგიერთნი, სრულებით უთვისტომო, ულუკმაპურო რჩება და კეთილი ადამიანების მიერ, სამადლოდ გაზრდილი, წუთისოფელში ცხოვრების სიდუხჭირეს დაუჩაგრავს. საჭურჭლეთა მქონებელის ძეობა იქნება თუ მეურვეობა, ბევრს ნიშნავს, შვილო. რაც შეეხება დედობრივს, თუ კი რამ შემატია ავბედითმა ყოფამ, ვითარც მშობელ, ღვიძლ პირმშოს, უკლებლივ თანაგიგრძნობ! – მირიანის შარვალ-ხალათს მისწვდა ქალი, სადგამზე ჩამოკიდა. ცოცხი აიღო ხელში და ჭაბუკისკენ მიტრიალებულმა გააგრძელა, – ადრე დამეხოცნენ მეც სახელოვანი ქმარი და შვილები. გაიკრიფნენ ამ ცოდვა-მადლიან სავალიდან და მარტო დამტოვეს. რას იზამ, სულდგმული ვერ მოისწრაფებ სიცოცხლეს. განა იმიტომ, რომ გწყურია? არა, ამით ვერ წაადგები დაკარგულებს და ცოდვას კი ჩაიდენ. დიდსა და შეუწყნარებელ ცოდვას.

– ქმარ-შვილი? ასე ერთიანად როგორ მოხდა, დედაო?

– შავმა ჟამმა მოინელა! – თქვა და თვალები ამოეცრემლა ქალს.

– ოჯახის შექმნა კვლავაც შეგეძლო...

– არა! – თავი დანანებით გააქნია მოსაუბრემ. – ღმერთს ჩემი გახარება ღირსად რომ ეყო. იმგვარ ქმარ-შვილს არ წამართმევდა! ჩანს, ასეთი ბედის დავიბადე. ქალისათვის სარეცლის გამოცვლა, დედობრივი ღირსების შეურაცხყოფად მიმაჩნია. ის დედა, რომელიც ყოფილი ქმრის შემცვლელთან საწოლს გაიზიარებს, არამც თუ მშობლად, ადამიანადაც არ ივარგებს!

– მაგრამ, მატოსული ტანჯვაშიც რომ მარტოა?

– წუთისოფელი წარმავალია, შვილო! თუ არ იგვემე, აბა მადლს საიდან ჰპოვებ? განცხრომაში, ფუფუნებთ აღვსებულს, უშიშარობა მოაქვს. ამ ქვეყანაზე ტანჯვისთვის გაგვაჩინა უზენაესმა, რათა წამიერიდან მარადიულში გარდავისახოთ.

– მართალი ხარ, დედაო! – მცირედი ღიმი შეეპარა მირიანს. მივიდა ახლოს, სიყვარულით მოხვია ხელი და ჭაღარაშერეულ თმაზე, ნაზად ეამბორა.

ქალმა შუქჩამდგარი თვალები მიაპყრო ვაჟკაცის ფართო შუბლს და მარჯვენა მშობლიური თანაგრძნობით, რბილად მოუთათუნა ლოყაზე.

ცოცხით სწრაფად ჩაგავა ოთახი. მიალაგ-მოალაგა იქაურობა და ფანჯარაში მოყურადე მირიანს უთხრა: – რახან სამსახური არ გჭირდება, წავალ, შვილო!

– კარგიო, – თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა მირიანმა და კართან მისულს დაადევნა: – კახას თუ გადაეყარო სადმე, მიხმე, ჩემთან მოვიდეს!

კახა, მირიანის თანაკბილა, სამცხელი ჯეელი იყო. ერთად სწავლობდნენ. ბერძნულისა და სპარსული ენების კარგ მცოდნედ ითვლებოდა და ეხმარებოდა მეგობრს მათ ათვისებაში.

დედაკაცის წასვლის შემდეგ, მირიანმა ჩოხა გაიხადა, ახალუხის ღილები შეიხსნა და სკამზე ჩამომჯდარმა, ფილოსოფიის საფუძვლები აიღო ხელში.

***.

საშუადღეოს მოახლოებულმა მზემ, ფანჯარაში შემოიჭყიტა. ეტრატებიდან ირიბად ასხლეტილმა სხივებმა თვალი მოსჭრა, მაგიდასთან ადგილი მოინაცვლა და გადაშლილ პირველივე გვერდს დააცქერდა. გვერდზე მკვეთრად ჩანდა ფილოსოფიის ფუძემდებლის ნახატად გარდასახული ბიუსტი. ზებუნებრივი ჭვრეტა იგრძნობოდა გენიოსის გამოხედვაში. ამ უდიდეს სწავლულთა სურათებს რომ დახედავდა მირიანი, შიგნეული ჟრჟოლა დაუვლიდა სხეულში. უკვირდა, ჩვეულებრივ მოკვდავთაგან აღმატებულ ნიჭს, კაცობრიობისათვის რა სარგებლობის მოტანა შეეძლო. მათ მიერ ნააზრევი, ბევრი დღეისთვისაც ამოუცნობ ამოცანად რჩებოდა.

ფილოსოფიაში ჩაღრმავებულ მირიანს, ხშირად სამყაროს შეგრძნება იდუმალ არსამდე დაუყვანია.

***

კარზე კაკუნის ხმა მოესმა. სკამზე, შემოსასვლელიდან ზურგშექცევით მჯდარი მირიანი შემოტრიალდა, მოდითო, გასძახა სტუმარს.

ნელა გაიღო კარი და ოთახში გაზაფხულის ფრთახატულა პეპელასავით, შემოფრთქიალდა თინათინი. ქალწულს გრძელი, კოჭებამდე დაშვებული, ყავისფერი შალის კაბა ეცვა. ფეხებზე შავი მაშიები და თეთრი, გამჭვირვალე წინდები ემოსა. ნაირგვარ ფერში გარდამავალი, უღილებო, ორმაგად ნაქსოვი, შალის უსახელო წამოსასხამი, მუხლებამდე სწვდებოდა. შავფერ მოჭარბებული სათბური, უფრო ეშხიანსა და მიმზიდველს ხდიდა ისედაც მშვენიერი ასულის იერს. მოშვილდული, წაბლისფერი წარბები, განუმეორებელ სილამაზედ შეხამებოდა თეთრ-ყირმიზ პირისახეს. თვალებში იაგუნ-დები უღვიოდა და მკერდზე გადმოყრილი გრძელი, ოქროსფეროვანი ნაწნავები, მზის სხივებში დაბანილი ეგონებდა მნახველს.

– მყუდროება ხომ არ დაგირღვიე? – მორცხვად შეჰღიმა ქალწულმა და მომხიბვლელი თვალები შეანათა ჭაბუკს.

მირიანი ზეაიმართა: – მობრძანდი, – მიიპატიჟა სტუმარი, – დაბრძანდი!

თინათინი მირიანის მოპირდაპირედ, სკამზე ჩამოჯდა, გადაშლილ ეტრატს დასწვდა და ცნობისწადილით დახედა.

– ფილოსოფიას სწავლობ, მირიან? – ჰკითხა, – უჰ, რა მეზარება მაგ აბდა-უბდაში ჭვრეტა და რაღაც შეუცნობლის ცნობიერებაში ჩამოყალიბება! მაგას რომ ვკითხულობ, თითქოს ასე მგონია, სამყარო ვეება, ქაოტური ნაწილაკებია და ბრუნავს ჩემს გარშემო ქარბუქის ფანტელებივით. არეულია ერთმანეთში წარსული, აწმყო, მომავალი და ამ ყოველივესი და ყოვლისმიერი სრბოლის მიღმა, იქნებ ვერც ვხვდებით, რომელ დროში ვართ და რას მოგვიტანს მისი უსრულო კიდეგანიდან მზირალი მარადისობა.

– სამყარო განუსაზღვრელი და შეუცნობადია! – სკამზე ჩამოჯდა მირიანი. ქალწულს ჯიქურ ჩახედა თვალებში. ქალმა ვერ გაუძლო ვაჟის დაჟინებულ მზერას და თავი დახარა. – კაცობრიობამ დასაბამიდან ბევრი რამ ისწავლა, მაგრამ ეს მცირეთა შორის, სულ მცირე მარცვალია გარშემო მოჯარულ საიდუმლოებათა ლაბირინთში. აბა რას იტყვის ძველისძველი შუმერი, რომ იხილავდეს თანადროულ ქვეყნიერებას? ანდაც გაივლის მრავალი საუკუნეები და იმ ადამიანებისთვის, რაღა იქნება ეხლანდელობა?

– იცი რა, მირიან? სიღრმისეულად რომ ჩაუკვირდები ყოველივეს, რაღაც შინაგანად შემბოჭავს და გონების ჰორიზონტზე უხილავ ფერებად წაიშლება გარემოსილი სინამდვილე. თითქოს ირგვლივ არსუცნობელი უაზრობა სუფევდეს. ამგვარ წარმოდგენებში გონებამიქცეული, იძულებული ვხდები, ნაფიქრალიც კი უარვყო, რათა ჭკუას არ ავცდე!

– მართალი ხარ! – დაუმოწმა ვაჟმა. – გარესამყაროს იდუმალებაში ჩაღმავება სიგიჟის ზღვრამდე დასცემს ადამიანს. ამიტომ უმჯობესია, უფრო ზერელედ იმსჯელ-ივარაუდო კაცმა!

– ძია არიშა გასწავლის ფილოსოფიას? – შეეკითხა ქალი.

– დიახ, – თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია მირიანმა.

– ჩემი მოძღვარიც არიშა ძია იყო. ანცობას ვერ იტანდა. სმენანაკლულს ხმაურის საოცარი ალღო ჰქონდა, ქაღალდის უამურ შრიალსაც არ გაპატიებდა. რამოდენიმეჯერ, ყურიც აქვს აწეული ჩემთვის, პატარა რომ ვიყავი! ერთხელ იყო და ტირილით მივმართე მამას, გააგდე სასწავლებლიდან-მეთქი. მამას გაეცინა – შენ შეგირდი ხარ და არა მაქვს უფლება, უდანაშაულო მოძღვრის დათხოვნისაო. ამიტომ, მეცადინეობის დროს, არ უნდა იცელქო და კარგადაც ისწავლოო! ამ სიტყვაზე გაკვირვებულმა ვუპასუხე, შენ ხომ მეფე ხარ და ქვეყნის მბრძანებელი, ნუთუ ცუდმასწავლებელთა გაგდება არ შეგწევს-მეთქი? ბევრი იცინა მამამ. ბოლოს მითხრა, ვთხოვ არიშას, მეტი აღარ დაგსაჯოს, ოღონდ პირობა მომეცი, კეთილსინდისიერად მოიქცევი და მოწინავე შეგირდი იქნებიო; კარგი-მეთქი, დავეთანხმე. ამის შემდგომ აღარ შევუწუხებივარ ძიას. თუმცა, ყოფაქცევითა და სწავლით სამაგალითო ვიყავი იმ დღიდან.

– მაშინ პატარა იქნებოდი, თინათინ! უასაკოს ცელქობა შეენდობა, მე კი ჭკუადამჯდარ ვაჟკაცს, ასეთი რამ არ მეპატიება. არ ვანცობ, მონდომებით ვმეცადინეობ და აბა, მოძღვარს რაღა ინტერესი ექნება რომ მე დამსაჯოს?

– მირიან. პატარაობისას სრულებით არ მიგიღია სწავლა? – თვალებში შუქჩამდგარი შეაცქერდა ქალი ვაჟს.

– ჰეე! – ღიმი შეეპარა მირიანს. მხრები უნებურად აიწურა. – როგორ არა, წერა-კითხვა მშობლიური ენისა და საღმრთო კანონები ბაბუამ შემასწავლა. ათი წლისა, მშენებელ ოსტატს მივებარე. პირველ ხანს, კირის შეზავებაში გავიწაფე, ხელები სულ დატყავებული მქონდა. ხარაჩოებზე მძიმე კასრების ზიდვით, წელი და ზურგი მტკიოდა. ფეხები აღარ მემორჩილებოდა. ერთხელ,

გადაღლილობისგან ჩავიჩოქე. ოსტატმა თვალი შემასწრო და დამიცაცხანა.

– მერედა, – ხელები გაკვირვებისგან გაშალა ქალწულმა, – საოსტატო ხელოვნების ცოდნას, რადაში სჭირია უბრალო მუშის შრომითი ჭაპან-წყვეტა?

– მეც მაგგვარად ვმსჯელობდი მაშინ, ჩემს აზრიანობაში. ხმამაღლით კი კრინტი არ დამიძრავს. ერთ სისხამ დილით, უგუნებო მოვიდა ძია ლომფერი. ოსტატი და მე ხარაჩოზე ვიყავით. სამშენებლო ხელსაწყოებს დავატარებდი. რად აწვალებ ასე ჩემს უმცროს ძმასო, მიუსალმებლად შეატეხა სიტყვა. განა მძიმე კირის დუღაბით სავსე კასრები ათრევინე-თქო, დაგავალე? მშენებლობა ასწავლე, ხუროთმოძღვრად ჩამოაყალიბე-მეთქი! თურმე, ძიასთან ენა მიუტანიათ, მკაცრად ეპყრობა და პატარა ბავშვს შეუძლებელ ტვირთს აზიდვინებსო. ბრძენი ოსტატი მყავდა, ღიმილით შეხედა კუშტად მაცქერალ ერისთავს და უთხრა: ერისთავო, უპირველესად, ადამიანობა უნდა ისწავლოს კაცმა და ხელობას მერე ეუფლოსო. მისთვის დაუძლეველ კირიანი კასრების თრევით, ჭეშმარიტი მსოფლმხედველობა შთავუნერგე, ადამიანობა განვაცდევინე და სინდის-ნამუსის წასადეგში ჩავახედეო.

გაკვირვებული ძია ოსტატს შეჰყურებდა, ვერ ჩაწვდენოდა თქმულს. ოსტატი მიხვდა, ვერაფერი გაიგო ერისთავმაო. ცოტათი შეყოვნდა და მოკლედ მოუჭრა, მუშის ხვედრში ჩახედულ-გაზიარებული ოსტატი, მის მძიმე ყოფას კეთილსინდისიერად მოეპყრობა და დააფასებს. მუშას ოსტატის სიყვარული და რწმენა უნდა ჰქონდეს, თორემ, ურწმუნო-უსიყვარულოდ ნაგებ ქმნილებას, დრო წვრილ ნამსხვრევებად მიმოაბნევს და ერთ დროს რუდუნებით შექმნილში, არარაობა გამოაჭყიტებსო.

აღარ გამოპასუხებია ძია, უსიტყვოდ მიტრიალდა და ნელა ჩაუყვა ხვეულ კიბეებს.

– მართლაც საკვირველი და ჭკვიანი კაცი ყოფილა! – კვერი დაუკრა ქალმა.

– საკვირველიო? – თავი გააკანტურა მირიანმა, – საოცარიც! ერთხელ, დამუხლული, ნაშენ კედელს გადავყურებდი. ვიგრძენი, უცებ რაღაცამ მიბიძგა, ძირს გადავქანდი, კედელი არ იყო მაღალი და ქვემოთაც საკმაო ხის ბურბუშელა გაეფინათ. ბეჭით რბილად დავეცი. არაფერი მტკენია და ზეზე რომ ავიმართე, ოსტატი ღიმილიანი მზერით გადმომცქეროდა. კვლავ ხარაჩოზე რომ ავძვერი, რამე ხომ არ დაიშავეო, არა-მეთქი. უცებ მოვატრიალე ხის ძელი და ვერ

შეგნიშნე, რომ კედელს ხიფათის მოურიდებლად ჩასცქეროდი. არაფერია, გაფრთხილდები და ამის შემდგომ ყოველ ნაბიჯს ხიფათზე არიდებით დაადგამ. კიდევ კარგი, რომ მიწაზე ხის ნარანდ-ნახერხი გავაშლევინე გუშინ მუშებს, თორემ აბა ეგ არ ყოფილიყო, ხომ სულ დაიმტვრევდი სხეულს. ხუროთმოძღვარი ჯამბაზი უნდა იყოს, ხარაჩოდან ჩამოვარდნისას, მოტეხილობებს გაუძლოს, ადამიანთა ქიშპი და ვერაგობაც აიტანოსო!

რატომ ბრძანეთ მაგრე-მეთქი, შევეკითხე.

– იმიტომ რომ, მაღალ ხარაჩოზე ყოველგვარი მოსალოდნელია. საყრდენი ფიცრის გამოცლა, მზის დაკვრა, თანაშემწის ღალატი...

– თანაშემწემ რაღაზე უნდა გიმტყუნოს? – კითხვიანი სიტყვა ჩავუჭარ.

გაეცინა: სწორედ მის სივერაგეს ერიდე ყველაზე მეტად, სამუშაოთა დამთავრებისხანს გაგისტუმრებს იმქვეყნად და საკუთარი სახელ-დიდება რომ შარავანდედით შემოსოს, აშენებულს თვითონვე დაიბრალებს.

– მერედა, ხალხს ხომ ეცოდინება, ვინაც ააგო? – კვლავ ვკითხე.

– ხალხი ცხვრის ფარაა, ოღონდ ნოყიერი საზრდო მიეცეს და სრულებით არ იკითხავს, რომელმა რა ქმნა და რით იყო გამორჩეული. გოდება და ცოდვა მისია, ვინც სიკეთისთვის იღვაწა. – ამით ჩაათავა სიტყვა ოსტატმა და გონიო აიღო ხელში.

ყოველთვის, როცა მაგონდება ეს შემთხვევა, თინათინ, თქმულის დაფარულ აზრში ჩავიხედავ და ვრწმუნდები, რომ მან განგებ მიბიძგა და გადამაგდო. იქნებ, ასეც უნდოდა მეტკინა რამე, რათა ყოველწამიერ გულისფიცარზე ჩამებეჭდა გარდახდენილი.

– ამდენ ვაგლახის შემდგომ, ბოლოს და ბოლოს თუ გიბოძა ხუროთმოძღვრობა?

– აბა, როგორ აგიხსნა, – ხელი ნელად გაატოკა მირიანმა, – მშენებელთა ხელმძღვანელობის ნება დამრთო, მაგრამ, სათანადო სიგელი არ მოუცია.

– როგორ?!...

– მითხრა: შენ შეგიძლია ააგო ასეთი, აი, ახლახანს რომ ავაშენეთ, მაგრამ, ეგ არაფერს ნიშნავს დიდი ნიჭით გამორჩეულ ყმაწვილისათვის. მასწავლებელზე ღირსეულ ქმნილებას რომ დაუტოვებ შთამომავლობას, ის იქნება პირველ რიგში ჩემი გამარჯვება და ხუროთმოძღვრის სიგელსაც შემდგომში ისტორია მოგანიჭებსო.

ქარმა ძლიერად დაუბერა. ღია სარკმელი ჭახანით მიასკდა კედელს.

თინათინი სწრაფად წამოდგა, კვლავ გამოაღო ფანჯარა, შემოტრიალდა და ჰკითხა: – დამოუკიდებლად თუ აგიშენებია რამე?

მოსაუბრისკენ შებრუნდა მირიანი. ზურგით კედელს მიეყრდნო და უპასუხა: – რამოდენიმე მეუდაბნოე-მლოცველთა სენაკი, ორიოდ მცირე ტაძარიც. უმთავრესად, ხიდებს ვაგებდი. დიდაჭარის თაღოვანი ხიდი დავასრულე აქ ჩამოსვლამდის.

– თქვენს მხარეში ზამთარი მკაცრი სცოდნია. ასე ამბობენ, სამი-ოთხი მხარის სიმაღლეზე დაიდებს თოვლი ბინას, ჩაიხერგება გზა-სავალი და გაზაფხულამდის მგზავრობა შეუძლებელიაო, მართალია?

– ნაწილობრივ ასეა! თოვლი ჭეშმარიტად სქელ ფენად დაედება მიწას. თუმცა, ზოგიერთ წლებში ფიფქი სანატრელიც გაგვხდენია. ხოლო რაც გზა-სავალზე თქვი, ეს პირველ ხანებშია, დიდთოვლობას. მერე კი, დაბერტყილ თოვლს გაკვალავს ხალხი და მიმოსვლა აღდგება.

– იქაც მთა-გორებია, ხომ?

– უჰ! – ჩუმი შეცხადების ღიმი აისარკა მირიანის სახეზე. – მთა-გორები მართლაც იქ უნდა ნახო! არა, იმდენად მაღლები და ზვიადნი არ არიან, მაგრამ ციცაბო ხრამებითა და ღრანტეებითაა დაღარული. ვარგისი მიწა ცოტაა და იქაურ მოჭირნახულეს, გაცილებით მეტი ჯაფა ადგია. ხან ღვარცოფი ჩამოირბენს, ზოგჯერ გაზაფხულის უდროოდ მოსული თოვლი ახლადდახნულ მიწას ერთიანად წალეკავს. გვალვებიც იცის. მოკლედ, მწირი და ვერანაა ჩვენი საბინადრო!

– აკი ბარაქიანი კუთხეაო!

– ნამდვილად, – თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია ვაჟმა, – გერწმუნები, არა უჭირს ხალხს, ლუკმა-პური და სულიერი სიმდიდრე მოეძევება. შრომის სიყვარული და ვაჟკაცობა მოსდგამს. ისე სხვაფრით, უხვი დოვლათიანობა არ დაუბერტყია ბუნებას ჩვენთვის. აჭარის წოდებაც აქედან წარმოსდგება: „აჯარ“ ძველ, ლაზურ სიტყვიერებაში მწირს, უნაყოფოს ნიშნავს... მკაცრ კლიმატსა და უბარაქო მიწასთან ჭიდილი, გამორჩეულთა ხვედრია, ვაჟკაცობის ჯიქური გამოხატულებაა!

– უჰ! – ზომიერად ჩაიღიმილა ქალწულმა, – არა თქვა ახლა, მხოლოდ იქაურები ვართ ვაჟკაცებიო! თუმცა, მსმენია შენზე, ძლიერი

მეომარიაო. ერთი დიდი საჯილდაო ქვა ასწია სანიშნედ, ფალავანთა გადამწყვეტი ჯიბრის დროს, დანარჩენებმა ძვრაც ვერ უყვესო.

– მაშინ ზარზმელმა ორთაყვამაც აუქარულა იმ საჯილდაო ქვას, მაგრამ, სრულებით მიწის პირს ვერ მოსწყვიტა და გამარჯვებაც ამიტომ მე მომაკუთვნეს მსაჯებმა.

მცირე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. წიგნის ფურცვლაში გართული იყო თინათინი. ბოლოს, რომ მოეწყინა ეს უმიზნო ქაღალდის შრაშუნი, წიგნს თავი მიანება, ფარულად ახედა ფანჯარაში გამყურე მირიანს და უთხრა: – დიდაჭარაში სასურველი არსება გეყოლება, – თვალებში ლაჟვარდი უკიაფებდა ქალწულს, ოქროსფეროვანი დალალები სარკმლიდან მონაქროლმა ნიავმა შუბლზე ჩამოუფინა და ხვეული თმის კულული ტალღისებურად აათამაშა. – ალბათ, ნატრულობით დაიღალა, გელოდება, როდის მოვაო!

მირიანი წამოიმართა, მოეჩვენა, თითქოსდა ვიღაც მოყურადე კართან იდგა ატუზული. სწრაფად გამოაღო კარი, კარს ზემოთ, ჭერში, მერცხალმა გაიფრთხიალა და შურდულისებრ გაუტია.

აივანზე არავინ იყო. არც კიბეებზე ჩამავალი შეუნიშნავს.

კარი მიხურა. ერთხანს უჭვრეტდა ქალწულის შეფაკლულ ღაწვებს. ბოლოს მიუგო: – სასურველისა რა მოგახსენო, გოგონები შორს გამირბიან, იქნებ სიგონჯით მიფრთხიან. სწორედაც ამიტომაა, რომ ჯერ კიდევ ვერ მიპოვნია ხვაშიადის გამზიარებელი. ასე მარტოულად ვკლავ წუთისოფლის ნეტარ ხანას! – ნახევრად სიმართლე, ხუმრობით თქვა მირიანმა და სკამზე ჩამომჯდარი, კვლავინდებურად ქალწულის იაგუნდებში ჩაიძირა.

– შენი ბრალი იქნება! – თავის ქნევითა და თანაც სიცილით უპასუხა თინათინმა, – სახიერებით, ზრდილობითა თუ გონით, წუნი არა გაქვს. ლამის, სულ ერთიანად ჭკუას ააცდინო იდუმალ გამიჯნურებული სასახლის ლამაზმანები! ერთმა ამასწინათ, ისიც გამანდო: გული არ ჰქონია, ნუთუ ვერ იგებს, გასათხოვარი ქალი, ყოველდღე ერთსა და იმავე ადგილას ფარვით შეხვედრილი, სალამს რომ ეუბნება, მარტო სალმითვე ნუ გააბრუნებს, ორიოდ სხვა, იმედიანი სიტყვაც გამოიმეტოსო.

გამგეთუხუცესის მომხიბლავი ქალი, ელენეც ეტრფისო, ვიღაც გუშინ მეუბნებოდა. ახლახანს, აქეთ რომ მოვდიოდი, შურიანი მზერა გამომაყოლა ელენემ. მირიანთან მიხვალო, კითხვა დამადევნა. დიახ-მეთქი, თავი დავუქნიე. ხშირად სტუმრობ მაგ დიდაჭარელს, ბატონიშვილო, უფრთხილდი, ძლიერ მომხიბვლელი თვალები აქვს, ცეცხლიანი ნაპერწკლების ბადეში არ გაგხვიოსო, ღიმილშეპარვით

მითხრა. ცეცხლოვანი თვალები არაფერია, ცეცხლოვანი გული თუ არ ახლავს-თქო, მეც განგებ ვუპასუხე. მოვდიოდი და ვგრძნობდი უკნიდან მის თვალდატიებულ მზერას!

თინათინის ნათქვამზე გაეცინა მირიანს. ერთხას უჭვრეტდა ქალწულის დაფენილ წამწამებს და შემდეგ მიუგო: – ვგონებ, ძალზე აზვიადებ, თინათინ! სიყვარული განა სახიერებით იბადება? ეგ თქვენი, მომიტევე და ქალური ჭორის ნაყოფია! სიყვარული სულ სხვა რამეა, მე ასე მგონია, მასში ისეთი ჩაუწვდენელი სიღრმეა, იმგვარი ვერ შეცნობილი აღქმა, რომ ადამიანებს ხშირად ჭკუათამცდარობა მოსდევთ მისგან.

ქალწულმა დახრილი წამწამები აფახურა ერთხანს, გაუბედავად შეხედა ვაჟს და მის ფართო შუბლზე, გრუზად დაყრილ, კუნაპეტ თმას დააშტერა თვალი. რამდენჯერმე ნერვიულად შეისრისა ხელები და დაკიბულად შეეკითხა: – სიმართლე მითხარი, მირიან! ელენე ხშირად სტუმრობს შენთან?

ვაჟი გაკვირვებული შეაცქერდა ქალს. ვერ ამოეცნო ეს კითხვა. წადილი თუ მისდაუნებურად წამოსროლილი, განუსჯელი ფრაზა რას გამოხატავდა, რისთვის იყო ნათქვამი, თუნდაც გამიზნულ-აწონილი.

რატომ აფორიაქებს ელენეს სტუმრობა თინათინს? ნუთუ, ქალური თავმოყვარე შური და ამპარტავნობა? ვერ დაიჯერებს მირიანი, თინათინის უზადოდ შემკულ სხეულში, სულიც უმანკო ჰგონია. განა, ამის დასტური არაა რომ, ტოლ-სწორად მიაჩნია არცთუ დიდად გამორჩეული გვარის ვაჟი? ათამამებს და თვითონაც თამამად ეპყრობა. მეგობრობს და ამასვე მოითხოვს მისგანაც. იქნებ ეჭვი! ეჭვი? რის გამო? ფიქრი შეაცივდა მირიანის გონებას: – არც თუ ხშირად! – შემცბარმა უპასუხა და მცირეოდნად შეყოვნებით, იქეთ მიუგდო კითხვა: – მაინც, რისთვის აღგეძრა ინტერესი ამ სტუმრობაზე?

წითლად აუკიაფდა ლოყები ქალს, თავდახრილმა ჩაილაპარაკა: – სასხვათაშორისოდ ვთქვი! – ცოტაც დააყურადა. შემდგომ თვალი-თვალში გაუსწორა ვაჟს და გაბედულად დაამატა: – ელენე ბევრჯერ მინახია აქედან გამომავალი. ღამის ბნელშიც კი შევხვედრივარ! სასახლის მანდილოსნები ჩუმ-ჩუმად ჭორაობენ, ისეთი რამეები მესმის თქვენზე, ისეთი რამეები! მირიან, რომ იცოდე, ხანდახან ყურს დავიხშობ, რათა არ ვისმინო უზნეურობა!

– ნეტავ, საიდან მოაქვთ ეს ჭორები? – ხორხიდან ნერვიულად ამოისროლა მირიანმა და მოუსვენრად რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში.

სიარულისას, ჩამოშვებული ახალუხი გამოსდო სკამს.

გადაყირავებული სკამი, იატაკზე ხმაურით დაეცა.

წაქცეული სკამი გაასწორა, თავისსავე ადგილას, ფანჯარასთან მივიდა და მთებზე, მზის მცხუნვარებისგან ალივლივებულ თოვლს შეაცქერდა.

უკნიდან უჟამურ სიტყვას აწვეთებდა ქალი.

– ჭორი? რაის ჭორია, მარტოულ ვაჟთან ქალწული მალვით, ხშირად რომ დაიწყებს სიარულს, ხანდახან ღამითაც, აბა, რას იფიქრებს ხალხი? მოყურადე-მოენეს რა გამოლევს და თვალებსაც ვერავის აუხვევ. გასათხოვ-დასაქორწინებელი ქალ-ვაჟის ერთად აზრგაცილებული ყოფნა, ურთიერთისადმი ლტოლვამ იცის, რაიც სხვა მიმართების საწინდარიცაა!

– ჩვენ მეგობრები ვართ, – კვლავ ფანჯარაში გაჰყურებდა მირიანი, – და უმსგავსიც არაფერი ჩაგვიდენია.

– ნუთუ, დღის სინათლე არ გყოფნით მეგობრული ხვაშიადის მოსაჟინებლად? – გამომცდელი თვალებით უცქეროდა ვაჟის განიერ მხრებს თინათინი.

– ბერძნულ მეტყველებასა და ფილოსოფიაში ვმეცადინეობთ! ელენე საოცრად ნიჭიერია უცხო ენათა ათვისებაში, სულ მოკლე ხანში შეისწავლა არაბული, პართიული და ინდური. წვრთნისას, რა გასაკვირია, რომ ზოგჯერ ბინდმაც შემოგვისწროს?

– აქ ხანგრძლივი ყოფნით, იქნებ სხვა რამ ამოძრავებდეს?

– რა, მაინცდამაინც? – მხარი აიწურა მირიანმა.

– მაგ კითხვაზე შენგან ველი პასუხს!

– პასუხიც ხომ მოგახსენე?

– და მეგობრობით ხსნი ყოველივეს?

– რა თქმა უნდა!

– დაუჯერებელია! – თავი ეჭვით გააქნია ქალმა.

– ჩემთან სიახლოვეს ვერავის დავუშლი, თინათინ!

– კარგი და, გამკილავი მზერა და ქარაგმული სიტყვა რომ გამომაყოლა წედან, ის რაღას ნიშნავს?

– ვერ გეტყვი... – მხრები აიჩეჩა მირიანმა.

– მე კი შემიძლია გითხრა! ეს შინაგანი ღელვის დაფარული გამოძახილია, გაუმჟღავნებელის და ფარულის წართმევის შიში!

– ვერც სიყვარულს ავუკრძალავ ვერავის! ვისაც ტრფობით აღვსია გული, დაე, უყვარდეთ, რა არის ამაში ცუდი და ავადსახსენებელი?

– არაფერი...

ზურგშექცევით მდგარი მირიანი ქალწულისკენ შემოტრიალდა, მისი უგულობით ნაკარნახევი პასუხისგან განაწყენებულ ქალს, ჩუმი საყვედური ჩანთებოდა იაგუნდებში. სიტყვა მოარბილა: – იქნებ, უწესობაა ოთახში მარტოულად ქალთან ყოფნა და ამიტომ მიგაჩნია არასწორ ქმედებად ჩვენი საქციელი? თუ ასეა, სრულებითაც აღარ შევხვდები აქ ელენეს! რაც არ უნდა იყოს, უფლისწულ დავითის სამყოფი ბინაა და ურიგობა უფლისწულის შეურაცხყოფაცაა, – წყენამ გაიჟღერა მირიანის ხმაში.

ქალი ჩაუკვირდა წარმოთქმულ სიტყვას. ვერ გამოუვიდა თქმული. შეცბუნებულმა, თვალები იატაკს ჩაუსწორა:

– მაპატიე მირიან, მე კი სხვაგვარად მსურდა გაგეგო.

– ჰმ!..

– იცი, – მცირეოდენი დახანებით კვლავ გააგრძელა ქალმა, – სრულყოფილად მგონია, ვერც აგიხსენი! – ნათქვამით შეცბუნებულმა, პირდაპირ შეხედა ვაჟს თვალებში და ნათქვამს გულისმიერი, ჯერეთ მალული აღსარებაც ამოაყოლა: – რაღაც, დამთანგველმა წინათგრძნობამ იძულებულ-მყო მეთქვა ეს ყოველივე და სხვაფრივ არც მიაზრია. ნუ მიწყენ, გეთაყვა, სასურველის დაკარგვის შიშს, თურმე ყველაფერი შესძლებია!

„სასურველის დაკარგვის შიშს, თურმე ყველაფერი შესძლებია!“ ეს ხომ ხილულად თქმული ხვაშიადის ახსნაა.

შეფაკლულ ლოყებზე მოდებულმა ალმა, სახე აუწვა ქალს.

სწრაფად გაიშრიალა კაბის კალთამ და კარს იქით, შეღამების ბნელ ჯანღში, შთაინთქა.

ამოუცნობი გუმანით გაჰყურებდა ღია კარის საჭვრეტიდან, მწუხრის ბინდ-ბუნდში შეფარულ ქალწულის ფარფარტა ლანდს და მრავალგვარი ფიქრები მოსძალებოდა გონებაში მირიანს.

Tavi mexuTe

ორიოდ თვეში, ძლივს მოუშუშდა გულუშიშ ოტოვანიძეს, ბექუ-ყაჩაღთან შერკინების დროს მიღებული ნაიარევი.

მხოლოდ დღეს შეძლო საწოლიდან წამოდგომა გულზვიადმა მებატონემ. ერთხანს უცქირა ამომავალი მზით აფერადებულ ზეცის თავანს, გაზაფხულის ყვავილები მოფენოდა სარკმელს, პირდაპირ, დამრეცად აყოლებულ ფერდობს. იებს დაეხუნძლათ მოლის პირები, ბუჩქის ძირებში აღერებულ ენძელებს მელნისფერი ყვავილრტოები ჩაეხატათ. თეთრად ქათქათებდა მთებზე თოვლი.

გაჰყურებდა ბუნების ლაღობას და სულ უფრო მეტი ძალით, მოუცილებლივ ასკდებოდა ბოღმა.

ვიღაც უსახელო და უგვარო ყაჩაღთან, სამარცხვინო მარცხი ჯერაც ვერ მოენელებინა გულუშიშს და ახლაც, ამ ამბის გახსენებისთანავე, ანგარიშმიუცემლად დააბოტებდა ოთახში.

გოლიათის მძიმე ნაბიჯებისგან, იატაკი ჭრაჭუნით იღრიცებოდა დაბლა.

იატაკის ჩქამზე, მოახლე ქალმა შემოიჭყიტა: – გაწუხებთ რამე, ბატონო? – ჰკითხა. – არაო, – ხელი აუქნია გულუშიშმა და დაღლილი, სექვზე მიესვენა.

მუთაქაზე მიყრდნობილს, ფიქრი მოეძალა. ვინაა ეს ქვეყნიერებისათვის უცნობი ბექუ-ყაჩაღი? ბევრ გამოჩენილ მეომარს შეხვედრია, ორთაბრძოლაში მარცხი არ ახსოვს. ამ უთვისტომო მონასთან ჭიდილმა კი კინაღამ შეიწირა, იღბალმა გადაარჩინა. მაინც, რა ვაჟკაცური თავგამოდებით იბრძოდა ეს ერთი მუჭა ხალხი, ორმოცდაათამდე იქნებოდნენ, მეტი არაფრის დიდებით.

მარცხი ლტოლვილ მონებთან, უძალოვნო და უპოვარ მონებთან? გასაკვირია!

ეს სხვათაგანს რომ მოეთხრო, გულუშიშისათვის ჭეშმარიტად ვერ დაიჯერებდა.

ორმოცდაათ მოყმეს, თუნდაც ძლევით აღვსებულს, მარტოდმარტო, თვითვე შეებმოდა. რამდენი ახსოვს ამდაგვარად გარდახდენილი ბრძოლები, ბევრჯერაც კი მარცხნაწვნევს, ოტებული, უკან ხაფითა და კიჟინით მისდევნებია. უკეპია და უჩეხავს, სანამ მუხლმოდრეკით არ შევედრებიან.

იქნებ ღონე მოაკლდა?

არა, ოცდაათი წლის დევგმირის მკლავში, უძალოვნობას არ დაუბუდებია. ერთ დიდ ხარ-კამეჩს დღესაც ბეჭზე მოისვამს და საითაც უნდა, იქით გადაისვრის.

აბა რა მოუვიდა ბექუსთან რკენის დროს, თვალსა და ხელს შუა გაუქრა მეტოქე. ასეთ უსწრაფეს მეომარს, არასოდეს შეხვედრია გულუშიში.

ბექუ, დავით უფლისწულს თუ გავს სიკისკასეში, მამაცობასა და მკლავუხრელობაშიც მას მიამგვანებ კაცი.

ორი წელია ბექუ-ყაჩაღი შიშის ზარს სცემს მონებით მოვაჭრეებს.

ორი წელია დავით უფლისწული გადაკარგულია სადღაც. ამბობენ, ბიზანტიაშიო. ბიზანტიაში? თუ უნახავს ვინმეს?

ახლახანს ჩამოვიდა გულუშიშის ძმისწული კონსტანტინეპოლი-დან. წელიწადია, სამშობლოუხილავი ყმაწვილი ამბობს, უფლისწული ამ ხნის განმავლობაში იქ არ გამოჩენილაო.

კეისრის კარზე, რამდენგზის ნამყოფია თვითონ გულუშიშიც. იცის იქაური წესი და რიგი.

ქალაქს ციბრუტა ქარივით გადაუვლის სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ ელჩ-დესპანთა და მდაბიო მესტუმრეთა ამბავიც.

ორი წელია არ ჩანს დავითი. ნუთუ, ესოდენ ხნობით მყოფი, ერთხელ მაინც არ ხლებია კეისარს? ბოლოს და ბოლოს, კეისრის უპატივცემულობაა ტაო-კლარჯეთის მაგისტროსის მემკვიდრემ, რომის გულამაყ იმპერატორს რომ არ წარუდგეს თაყვანცემითა და მორჩილებით.

არა, უფლისწული არაა ბიზანტიაში!... ბექუ-ყაჩაღი რაღაცით დავითს აგონებს. ტყედ გავარდნილი რომელი ყაჩაღი იშველიებს ღმერთისა და სამართლის ნებას? დაუშინა ტყვეებით მოვაჭრე მებატონეები, ლამისაა, მთლად შემოეცალონ თანამზრახველნი.

არადა, საჭურჭლეთა ხვეჭა, ტყვეთა სყიდვას მოაქვს. ბევრი ჰყავს ყმები, რა დაშავდება თუ თითოეულ სახლობიდან ერთ-ორ ახალგაზრდას წაიყვანს? ახლები გაჩნდებიან!...

ტყვეთა სყიდვის აკრძალვა სულ დავითის ბრალი ყოფილა. თურმე, ყოველწამიერ ჩასჩიჩინებდა მეფეს, აკრძალე ეს უკეთურობაო.

ყმებითა და ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვა და ბექუ-ყაჩაღის გამოჩენაც ერთი იყო.

ბევრი ავაზაკი უნახავს, შეხვედრია და შეამხანაგებულა კიდეც, მაგრამ ყაჩაღი, რომელიც სამართლის ნებით ებრძვის უსამართლობას, ყაჩაღი არ არის!

უმალ სიკვდილი ურჩევნია გულუშიშს, ვინემ ყმებით არ ივაჭროს. განა ამ ხელობით არ შეიძინა ურიცხვი საჭურჭლე და დიდი ზეგავლენა, შიშის ზარს რომ სცემს ხალხს, მისი მონაპოვარია.

ბრბოს შიში უნდა თრგუნავდეს შენი, თორემ ნამიან ბალახივით გადაგთელავს.

ბექუ-ყაჩაღი, მებატონეთა რისხვად მოვლენილი, უნდა მოისპოს!

ზეზე წამოიმართა გულუშიში, მსახური იხმო.

– გისმენთ, ბატონო! – კარში უმალ გამოჩნდა მოახლე.

– საურმაგს დამიძახე! – უბრძანა.

– ახლავე ბატონო! – თავდაკვრით ჩაილაპარაკა მოახლემ და კარში გაუჩინარდა.

მცირე ხანი გავიდა. კარის ზღურბლზე შემოიმართა ოცდათხუთმეტიოდე წლის, ვეება, ჩასკვნილკუნთოვანი ვაჟკაცი. ოდნავ ჩამოგრძელებული, შავგვრემანი, თუმცა, სანდომით შეზავებული სახე ჰქონდა. ბრტყელი ნაჭრილობევი, შუბლზე უსიამოდ შეხამებოდა მის ნაკვთსრულ აღნაგობას. ელვარე თვალებში მრისხანება გამოსჭვიოდა. არწივისებურ მოკაუჭებული ცხვირი, კუნაპეტი, ბურდო წარბები და ტალღებივით ჩახუჭუჭებული თმა, უფრო მიუკარებელსა და უნდოს იერს აძლევდა. მამაკაცურად მომხიბლავი იყო.

შემოსულმა, მკერდზე რბილად მიიდო მარჯვენა, კართან შეჩერებულმა, – გისმენთო, წყნარად უთხრა.

– საურმაგ! – კვლავ ბოლთას სცემდა გულუშიში, – ფრიად მნიშვნელოვან საქმისთვის უნდა წარგგზავნო. რას იტყვი, თანახმა თუ ხარ?

– მე ყველაფრისთვის მზად ვარ!

– ძნელი და ხიფათიანი საქმეა! – ოთახის შუაგულში შეჩერდა გულუშიში. პირდაპირ შეაცქერდა მოსაუბრეს, – თანაც ეჭვი მეპარება, შეასრულებ თუ ვერა!

– შეუძლებელი არაფერია! მთავარია, მიზნისკენ სწორი გზა მოიძიო კაცმა. განძის ამირას ქალი მოვსტაცე, იცი შენ და შირვანის მპყრობელს მივგვარე. თბილისის პატრონს ხარკი შევაწერე, ბიზანტიელი სტრატეგოსები, მარცხისაგან დაშინებულნი, ზავს მთავაზობდნენ. კიდევ რა გითხრა, აბა რა საწუხარი გექნება ისეთი, რომ ვერ აღვასრულო? თქვი, გისმენ!

რამოდენიმეჯერ გაიარ-გამოიარა გულუშიშმა ოთახში. კვლავ იმავე ადგილას შედგა, საურმაგისკენ ხელი გაიშვირა და უთხრა: – არც შირვანის ბატონია და არც ადარბადაგანელი, მითუმეტეს, არც ბიზანტიის მშიშარა სტრატეგი! ბექუ-ყაჩაღი გაგიგონია? დარჩეული

ვაჟკაცები წაიყვანე რამდენიც გსურდეს, ოღონდ გათოკილი მომგვარე ეგ უყმო მონა!

– ბექუ-ყაჩაღი?! – ულვაშებში ჩააკვდა ღიმი საურმაგს, – ბექუ ყაჩაღი?!! – გაიმეორა. – ვიფიქრე, ბიზანტიის იმპერატორის ქალის წაგვრა მოსურვებია-მეთქი! ეგ რაღა არის, ბექუ-ყაჩაღი, უდღეური მონა, უთვისტომო! საურმაგს ახლადგამოჩეკილი ყორნის ბახალის ყრანტალისა არ ეშინია!

– არც თუ ეგრე ადვილია მაგის შეპყრობა, ძმაო! – თავი ორჭოფულად გააქნია გულუშიშმა. – სამჯერ ვერკინე, სულ დარჩეული ვაჟკაცებით, ვერა დავაკელ. რვაასი მხედრით შევებრძოლეთ ორმოცდაათს, მარცხი ვიწვნიეთ. ამ ომს კინაღამ მეც შევეწირე! ნუ გეღიმება, არ შეხვედრიხარ ჯერ მაგათ და არ იცი რა ძალუძთ! ეს-ესაა, აზნაურნი მეფის კანონთა უტყვ მონა-მორჩილად გვაქციოს! იმათი შიშით, ბევრი თანამდგომი გამომეცალა, ლამისაა, აქედან მეც გადავიხვეწო!

– ფიქრს ნუ დაიდებ. მე საურმაგ მძლეთა-მძლედ მიხმობენ! ბაღდადის მბრძანებლამდე მიღწეულა ჩემი სახელი და ყინჩად შემხვედრი ყველა თავნება, ერთიანად ამიხვეტია! ექვსი წლიდან ყაჩაღობაში გავიზარდე. აღმავალ მზის სხივში ვბანაობდი. დიდებით მამკობდა ადარბადაგანი თუ კარნუ ქალაქი. ამირებიდან მრავალთაგანს ძღვენი უწირავს, ურჩებიც მომითვინიერებია! გაგულისებით შემოვწყობივარ მათ საბინადროს ჩემი ხალხით. ხარკი ან მძლე ვაჟკაცი პირობა მითხოვია. რანაირი თავდადებით მერკინებოდნენ, რომ იცოდე გულუშიშ, რანაირი თავდადებით!... კაბალში ოც ნარჩევ მოყმეს, ორთაბრძოლისას, თავები გავაცალე. ასიც იყო, რაზედ ისწრაფვოდნენ უმაქნისად სიცოცხლეს. ტოლი რომ ვერ მიშოვნეს, კაბალის პატრონს ქალი მოვთხოვე. არ მომცა ქალი. არ მომცა და ციხე ჭოტების სათარეშოდ გავუხადე. ქალიც წავართვი და საჭურჭლეც. სხვა კიდევ რა გიამბო? ეჰეეე! – შუბლზე ხელი მიიდო საურმაგმა – ჯერაც მერიდებიან, ჯერაც ვახსოვარ! მაგ უდღეურს, შებორკილს მოგგვრი! არადა, მისივე თავზე დაცმულ შუბს ძღვნად გიფეშქაშებ!

ოთახში კვლავინდებურად დააბოტებდა გულუშიში. ბოლოს მივიდა, მარჯვენა გაუწოდა და უთხრა: – აბა შენ იცი, ვინძლო ეს ჟინი ამომიყარო! მერე კი, მთხოვე რაც გსურდეს!

მარჯვედ შეაგება ხელი საურმაგმა. საღ-სალამათობა უსურვა და დამშვიდობებისას, მძლავრად შეანჯღრია დიდაზნაური.

***

ხუთი რჩეული მოყმით, ხუთ დღე-ღამეს, ცხენდაცხენ იარა საურმაგმა. თუხარისში ბედაურები გამოცვალეს.

ფოცხვერის საბინადროს ეძებდა. გადაწყვიტა, ენახა ძველი ნაამხანაგარი. რჩევას ჰკითხავდა, დახმარების საჭიროებისას, საშველად იხმობდა.

ოლთისში წარსული, ნაცნობიდან თქმულ კვალს აუყვა მაღლა, მთებში.

ორ დღეს ბედაურებით ძლივს მიჩოჩავდნენ გაზაფხულის დანამქრულ თოვლზე. ფეხები ეჭედებოათ ფიფქებში ცხენებს.

მესამე დღეს, შებინდებისას, როგორც იქნა, ააღწიეს ქედს. ქედის გადაღმა, ტყეებით შემოზღუდულ ზეგნის ჩრდილო ნაპირას, რამოდენიმე ხის ძელური მოჩანდა. სულ ხუთი დათვალეს. სახლების საკვამურებიდან აღმართული კვამლი, მოსარკულ შემოგარენში, ვიწრო სვეტებივით შედგომოდა ზეცას. ჟრიამული და გადაძახილ-გადმოძახილი აქამდე აღწევდა.

მზის მწვავე მცხუნვარებისგან ნაორთქლი თოვლის ბუღი, ლულად გაფენილიყო და შორეული ხილვადობა დაეფარა.

რძისფერი ბურუსისებრ გართხმულ ლულის ზევით, მთათა კენწეროები დაკიდულიყვნენ. ჯერ კიდევ რიგიანი ტკბობა არ მიეღოთ ამ სანახაობით, რომ წინიდან ოციოდე მოყმე აღიმართა.

– ვინა ხართ და საით მიდიხართ? – ხაფით დასძახა წინ წამომდგარმა, ზორბა ვაჟკაცმა. მოყმეს მუზარადზე ისრით შუაგაპობილი გული ეხატა.

– მგზავრნი ვართ! – საურმაგმა უპასუხა, – ბექართან შეხვედრა მოგვსურვებია.

– მგზავრნი! თქვა ვითომ რამე! თქვენისთანა უგზოდ მავლებში, მსტოვრები ილანდებიან! დაჰყარეთ იარაღი! – დაუყვირა.

მგზავრები კვლავ ისევ ისე იდგნენ, არც უფიქრიათ იარაღის დაყრა.

– ჰა, ჩქარა-მეთქი! – გაუმეორა იმავე ხმამ და თმენადაცლილმა ხელშუბი ესროლა.

ამას ნამდვილად აღარ ელოდა საურმაგი. ნატყორცნ ხელშუბს ძლივსღა ასცდა. თუმცა, სწრაფადვე ჩაღუნულს, მხარზე კიდეც შეესო ხელშუბი და მხარიც დაუკოდა.

ნაიარევიდან თოვლზე წვეთ-წვეთად დაეკიდა სისხლი.

ამით გაგულისებულმა, უმალ სატევარი იშიშვლა და მკვირცხლად მიუხტა შეურაცხმყოფელს.

ბედაურზე დაკრული ფარი, ჯაჭვ-მუზარადი, აღარც გახსენებია.

დაჰკრა და დაჰკრა მახვილი. ცეცხლის ნაპერწკლები დაადნა ფოლადს.

ხმალი ირიბად დაუსვა და მოწინააღმდეგის ფარიც და მახვილიც მოწყვეტილი ფოთოლივით ჩაცვივდა ფერდიან ნამქერში. ფარი ხრიალით დაეშვა დაბლა და სადღაც ქვევით, სულ ქვევით, სოჭების ღეროებზე მოადინა ჭახანი.

უიარაღოდ დარჩენილ, გაოგნებულ მეტოქეს, ფეხი დაჰკრა და ტრიალ-ბზრიალით გადაყირავებულს, ზევიდან ჩაჰხედა.

თვალის დახამხამებაში, სამნი მოვარდნენ. მძლავრი ხაფით დაჰკიჟინა მომხვდურებს, სხარტად დაატრიალა სატევარი და სამივე მათ წინამორბედს გაუყოლა.

ყინვადქმნილ ნამქერზე ლანძღვა-გინებით, უნებურად მიგორავდნენ ჩაჩეხილები და ალბათ, ტყის ძირამდე ჩასრიალებულებს, იქედან საკმაო დრო დასჭირდებოდათ კვლავ ქედზე ამოსასვლელად.

დანარჩენები ერთბაშად შემოესივნენ.

შეჭურვილ-შეჯავშნულმა საურმაგის მხლებლებმაც გაიძრეს მახვილები.

ბრძოლა ფიცხელი იყო.

დაჭრილი ვეფხვივით, მკვირცხლად მიმტევი საურმაგი, სულ უფრო მეტი გაშმაგებით ატრილებდა სატევარს.

ის იყო, ბოლო მებრძოლიც გადაუძახეს მგზავრებმა, რომ ტყიდან კვლავ ამოყელყელავდა მეომართ რაზმი, ორმოცდაათამდე იქნებოდნენ.

რაზმი სწრაფად მოემართებოდა აქეთკენ. მცირედ რომ მოუახლოვდნენ და შეიცნეს ერთმანეთი, სულ მეწინავემ უკიჟინა: – საურმაგ! ნუთუ შენა ხარ? ძველ მეგობართ რად იმეტებ ნამქერში ჩასაჩეხად? დავიწყებას მიეც განა, ადრე მისხლობით გაყოფილი პური და ლაზათი?

ასტაფური იცნო საურმაგმა. დაუძახა: – მოკეთეს მოყვრული დახვედრა ამშვენებს, ასტაფურ! აბა რას გავს, უჭკუოდ მახვილს რომ უღერებთ თანამოძმეებს?

– კარგი და კეთილი! ზავი გვითხოვნია! სჯობს, ძმებმა საამო შეხვედრით დავიტკბოთ საკმაო ხნით მოსაკლისებული ერთი-მეორე! – მშვიდობა ჩამოაგდო ასტაფურმა.

– ე, მაგისთვის მოვედით ჩვენც და კვლავ ძმური სიყვარული გვიფეშქაშია! – თავის მხრივ მშვიდობა ისურვა საურმაგმაც.

დინჯი ნაბიჯებით გაემართნენ ერთმანეთის შესახვედრად მოყმენი.

მიახლოებისთანავე, ძმურად გადაეხვივნენ ერთმანეთს. გულთბილად უთათუნებდნენ ხელებს ბეჭებზე და ათასგვარ კითხვა-პასუხს ჩიხავდნენ პირში.

როცა გული მოიჯერეს, მერე თბილი სჯა-მუსაიფით გასწიეს ბანაკისკენ. გალახულები, ნამქერიდან რომ ძლივს ამობობღდნენ, სულ უკან მიჰყვნენ სტუმრებს.

დაშავებული არავინ იყო, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე მსუბუქ განაკაწრს. ზოგიერთს მახვილი შეხებოდა, დანარჩენიც ყინულოვან თოვლს დაეზიანებინა.

ყაჩაღთა სადგომებს მიუახლოვდნენ. სტუმრების შესახვედრად, ჯგუფ-ჯგუფად გამოფენილ მეომართა წინ, ბექარი შენიშნა საურმაგმა.

ბექარს გრძელმატყლიანი, ტყავის სერთუკი ემოსა. შალის სელზედ ნაქსოვი შარვალი, მაღალყელიან მესტებში ჩაეჩურთა.

კუნაპეტ წვერ-ულვაშს, ჭაღარა შეპარვოდა. ადრე, ცეცხლოვანსა და გოროზად მაცქერალ თვალებში, სხივჩამქრალ ბურუსს დაევანებინა. ხანს ბეჭებში ოდნავ მოეხარა და ეტყობოდა, წარსულის სიკისკასე და ფიცხლობაც დაედრიკა.

გულღიად მიეგება ნაამხანაგარს ფოცხვერი. ღიმილით უთხრა: – აქედან გიყურებდი, მაშინათვე შეგიცანი, საურმაგი იქნება-მეთქი. შენმიერი კვეთების ალღო შევიგრძენი, ასტაფური ამაზედ გამოვგზავნე. როგორც იქნა, მომაგენი მეგობარო, ჰა! უჰ, რარიგად გამახარე! ხომ არ მოგწყინდა ჩემსავით ეს ყოველივე, ჰა? – ამ სიტყვებით მივიდა და მხურვალედ გადაეხვია ნაამხანაგარს. ერთხანს დათვივით ბუბნა, შემდგომ მისი ჯანმრთელობითა და ყოფით დაინტერესდა. – ესენი ვინღა არიან? – მხლებლებზე ჰკითხა ბოლოს.

– საჭირო საქმისთვის წამოვიყვანე! – მიუგო სტუმარმა, – უფრო წვრილად მარტოს გეტყვი.

მკლავი მკვლავში გამოსდო ბექარმა საურმაგს და ძველი მეგობრები ასე, ხელიხელ გადაჭდობილი გაემართნენ ძელურის შესასვლელისკენ.

სიტყვა კვლავ მასპინძელმა გააგრძელა: – გლეხკაცის ცხოვრება მენატრება! გაზაფხულის დაორთქლილ ყანაში, ხარ-კამეჩს რომ გააბამ და ახალგაკვალულ ხნულს მეღობია ჩიტები დაასხდებიან, შვილიშვილი რომ სახრეს ააზუილებს და წკრიალა ხმით გუთნისდედურს დასძახებს, თეთრ ბოლქვებად ამომდინარი ოხშივარი

რომ სასუნთქში შეიჭრება და ნედლი მიწისა და ჰაერის სურნელს ჩაადუღებს, რაღა სჯობია ამას, ჰა? ეჰ! რა დრო მქონდა და რაგვარად ვფლანგე, უმიზნოდ ვფლანგე!

წინ მავალმა მსახურმა ძელურის კარი შეაღო და შეიპატიჟა სტუმარ-მასპინძელი.

საკმაოდ დიდ ოთახში, ორ მხარეს, ორი სიგრძივ გაწვდენილი სექვი იდგა. სექვებზე მატყლ-ბეწვიანი ტყავები ეფინა.

შესასვლელის მხარმარცხნივ, მაგიდა და სკამები ელაგა. მაგიდის იქეთ, ბუხარში, ახლად ანთებული ცეცხლი გიზგიზებდა. რამდენიმე ვიწრო სარკმლიდან, შუქი ძლივს ანათებდა ოთახს.

სტუმრები ცეცხლისპირას, დაბალ ჯორკოებზე ჩამოსხდნენ. ცეცხლს მიუფიცხეს დასველებული ტანსაცმელი და წუღა-მესტები.

ნელა დაიარებოდა ოთახში ბექარი: – რაისთვის შეწუხდი, მეგობარო, ჰა? – მცირე ხნის შემდეგ ჰკითხა, – ამ სიშორეზე აქ ამომაკითხე. შევიტყვე, გულუშიშთან ყონაღობსო, ტყიურობას თავი ანებაო.

– ბექუ-ყაჩაღის ცოცხალი თავი სჭირდება გულუშიშს. დახმარება მთხოვა, – უპასუხა საურმაგმა.

– ბექუ-ყაჩაღის? – მცირედ შეყოვნდა ბექარი. თავმოდრეკით, ირიბად გამოხედა მოსაუბრეს. ბოლთისცემისას უცქირა ერთხანს. – და თანაც ხუთი მეომრით? ჰა-ჰა-ჰაااა!.. – გულიანად იცინა, – ხუთი მეომრით ბექუს ცოცხალი თავი? ჭკუას ხომ არ აცდით? სამი ათასი მეომრით ვებრძვი ორი წელია, სამი ათასით! მეფის ჯარი მიძლევია ამ რიცხვით და მას კი ვერა დავაკელ. მაინც რაზედ გააგულისა ბექუ-ყაჩაღმა, ჰა? – შუა ოთახში შემდგარმა მოსაუბრისკენ ხელი გამოიშვირა.

– როგორც კი ქვეყნიერებას მოევლინა რისხვად და ზარად, – სველი ჩოხის კალთები ცეცხლს მიუფიცხა საურმაგმა, – იმ წამიდანვე გზად გაეხირა. შენც კარგად იცი, ყმებით ვაჭრობს გულუშიში. ბექუ-ყაჩაღი კი ყმებით მოვაჭრეებს სასტიკად უსწორდება. მისი შიშით დაჰკარგა ძველი თანამზრახველნი და ის შემოსავალი, რაც აქამომდე ასაზრდოებდა.

საჭურჭლეთა უხვობაში, თვით მეფის ხაზინასაც უტოლდებოდა გულუშიში. ეს ბოლო ხანია კი ტოტებდასხეპილ მუხას დაემგვანა. ჯერ იყო, მასთან ორთარკენისას, კინაღამ შეეწირა, ძლივს გადაურჩა. რამდენ მოკეთეს თვალები ამოუჭამა შანთით. ერთიც იქნება, ალბათ მასაც მიწვდება და უთვალისჩინოს მიუგდებს წუთისოფელს საჯიჯგნად.

– ბექუ-ყაჩაღი! – მოუსვენრად მიმოდიოდა მასპინძელი, – ბექუ-ყაჩაღი!... – თავისთვის იმეორებდა. – ე... ე... ე... ეეეეე! – კართან მისული მოტრიალდა, დოინჯშემოყრით ჩაილაპარაკა, – საკმაოდ მოგვბეზრდა, ჩემს ხალხს კუდში დასდევს. ბევრი იმქვეყნად გაისტუმრა. ჰგონია, შევარჩენ? ჰა�ა! საურმაგ, რომ არ მოსულიყავ, მისთვის სასჯელი გადაწყვეტილი მქონდა. მწვადივით უნდა ავხრაკო ალში, შანთებით დავდაღო! რახან ეგრეა, გულუშიშისათვის დამითმია. ლაღობად უჩანს მაგისთანების დადრეკა! – მცირე ხანს ნერვიულად იბორიალა ოთახში, კბილებს ახრჭიალებდა მალიმალ და გულ-მკერდში მჯიღს იცემდა. მერე დაღლილი სკამზე ჩემოესვენა და გააგრძელა, – ორიათასი მეომრით დავესხი შარშან. ოთხასამდე იქნებოდნენ, ხუთ დღე-ღამეს ვიომეთ. მეექვსე დღის სისხამზე, უკაცრიელ ხეობაში, საიდანღაც მაშველი მოუვიდა. მთელი სპა იყო. არე დაფარა მათმა სიმრავლემ. შეთხელებულმა რიგებმა, ვეღარ გაუძლო მტრის მოზღვავებულ ზავთს, უკან დახევა ვბრძანე. უკუსვლა ჩქარ ბიჯად იქცა და ბოლოს გაქცევით ვუშველეთ თავს.

ყოველთვის მიკვირდა, მაშველი საიდან და ვინ მოუდის-მეთქი. მოენეთაგან შევიტყვე, იმ ბრძოლაში მეფის სპა ერია. ბაგრატ უფლისწული უძღოდა თურმე ჯარს.

– ბაგრატ უფლისწული?! – განცვიფრებით ამოიძახა საურმაგმა, – ყაჩაღის საშველად?! ჰე!!! ჭორი იქნება!

– არა! – ხელი უარყოფის ნიშნად გააქნია ბექარმა, – სამეფო სპის სამსახურში სანდო კაცი მყავს. შემომითვალა, ბექუს უფრთხილდიო. ეჭვი აქვს რაღაც.

– რა ეჭვი? – ვეღარ მოითმინა საურმაგმა.

– ბექუ-ყაჩაღი დავით უფლისწული მგონიაო.

– დავით უღლისწული?!

– დიახ! – თავი გააკანტურა ბექარმა.

– როგორ, უფლისწული ხომ თითქმის ორი წელია სრულდება, ბიზანტიაშია!

– ჰმ! – ღიმისმაგვარი გაუკრთა ბაგეებზე ფოცხვერს, – ბიზანტიაში? ეგ ყოველივე მონაგონია! ჯერ ერთი, უფლისწულის გამგზავრებისთანავე გამოჩნდა ბექუ-ყაჩაღი. მეორეც, ვის უნდა სტუმრებოდა რომაელებთან ჩასული დავითი? ცხადია, იმპერატორს, ერთხელ მაინც. რაც ამ დროის განმავლობაში არ მომხდარა!

– საიდან იცი ეს ყოველივე?

– სანდოს პირით გავიგე!

– იქნებ, კეისრის კარამდე არ მიღწეულა და რომელიღაც პროვინციელ პატრიციუსთან დაიდო ბინა?

– შეუძლებელია. ეგ ნამდვილად შეუძლებელია! კეისრის უპატივცემულობა იქნებოდა მისი მხრიდან და დამცირება. რასაც არავინ აპატიებდა ამგვარ ქცევას!

უსმენდა საურმაგი ადრინდელ მოკავშირეს და რაც მეტი ჭკუათა ხედვით ფურცლავდა თქმულს, მით უფრო თვალსაჩინოდ ისახებოდა სიმართლის მცირეოდენი მარცვალი გონებაში. ჭეშმარიტება კი ნამდვილად ვერ დაედგინა.

მოუცილებლივ აეკვიატა ერთი და იგივე კითხვა. რაში დასჭირდა დავითს გაყაჩაღება? ათასგვარ ფათერაკებთან პირისპირ შებმა და ჭიდილი?

ამ კითხვას ვეღარ დააღწია თავი და უთხრა: – რატომ გავარდებოდა ტყედ დავითი? განა არ აჯობებდა, ხილულად გაძღოლოდა სპას და ექმნა ის, რასაც აზრობდა?

– ჰეეეეე! – ყელიდან ყრუდ ამოიძახა ფოცხვერმა, – ნუთუ ვერ ხვდები ჰა? ცხადლივ რას დამაკლებდა! ერთგნით თუ მომწვდებოდა, სხვა მხრივ გავუტევდი. ტყეს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე? ასეთნაირად კი, ხომ ხედავ, მიუვალში ამოგვრეკა საიალაღო ცხვარივით. მე ამ მიდამოთა მპყრობელს, ბარში ჩასვლა მაფიქრებს! რამდენგზის, თვით მეფის სპა მიოტებია, იმიტომ რომ სადაც არ მელოდნენ, სწორედ იქ ვჩნდებოდი. ღამ-ღამობითაც შევბმივარ მოწინააღმდეგეს. ახლა როგორ ვეომო ქარს მინდორში, ანდაც სად ვეძიო, ჰა?

სიჩუმემ დაისადგურა.

საკმაო ხანი გავიდა. ოთახში შემოსულმა ასტაფურმა, საურმაგის მხლებლები გვერდით სადგომში მიიწვია.

ადრინდელი მეგობრები მარტოდ დარჩნენ ოთახში.

– ბექუ-ყაჩაღის ამჟამინდელი სამყოფი ხომ არ იცი? – საურმაგმა დაარღვია სიუჩუმე.

– ბექუ-ყაჩაღის? – თითქოს თავისთვის თქვა ბექარმა. ალმაცერად შეხედა მოსაუბრეს თვალებში და მისმა უამური ხედვით ცივმა მზერამ, ცივად შეაჟრჟოლა. წამოდგა, სარკმელთან მისულმა, სარკმელს ხელი ჰკრა, გამოაღო და თოვლიან მთებს გაუსწორა თვალი.

კვლავ მოტრიალდა, იმავე ადგილას, სკამზე ჩამომჯდარმა გააგრძელა: – გუშინ ამოვიდა კაცი, მაცნობა, სოფელ სხლოვანიდან

ჩრდილო მხარეს ორი დღის სავალზე, მთებშია დაბანაკებულიო! სხლოვანში მებატონენი დაუშანთავს, – მოგვიანებით დაუმატა.

– მცირე რაზმით თავისუფლად პარპაშს როგორ ახერხებს, აზნაურთა შურისგების არ ეშინია?

– ჯერხნობამდის გამარჯვებულის შარავანდედი მოსავს. ბევრიც ერკინენ, ვერა რა ავნეს. თუმცა, რას დააკლებ?! ერთხელაც, იდუმალ მთელი თვე ვსდიე სპით. ვიწროში ალყა შევუკარ, ოცდაათამდე იქნებოდნენ. ვერ წარმოიდგენ, რა საშინელი ბრძოლა იყო. მეხივით დაატყდებოდნენ მოიერიშე მხარეს. სვრელი გაჰქონდათ კიდით-კიდემდე. მერე მოტრიალებულნი, ახლა სხვა მხრიდან დაუვლიდნენ. რკენა სატანისებური თუ გინახავს, სწორედ ეს რკენა იყო! გაჭირდა საქმე. ჩავხერგეთ ვიწრობის გასასვლელები. ფერდიდან საგორავები დავუშინეთ, საოცრების მხილველნი გავხდით! ცხენკაციანად ციცაბოში გადაეშვნენ და ის იყო, სიხარულით შევკიჟინეთ, ჩაიჩეხნენო, რომ ვხედავთ, დაბლა, სულ დაბლა, ღელისპირს, დაოთხილ ბედაურებს მიაქროლებდნენ. ეხლაც მიკვირს, ფრთები ჰქონდათ მათ ცხენებს თუ... რაგვარად გადარჩნენ?

ხუთი თვის შემდგომ, იმავე ადგილას ვცადე საოცრების გამეორება. ათი ბედაური ვახტუნე. ათიდან ერთმა ჩააღწია უვნებლად. დანარჩენებმა ქარაფებზე განუტევეს სული.

სიტყვა გამექცა. იმას ვამბობდი, ციცაბოდან გაგვექცნენ მეთქი. სულ მცირე ხანში კი, ხევი სპით გაივსო. ალყაში ვიყავით მომწყვდეული. ორმოცდაათი მეომრით ძლივს დავაღწიე თავი ამ ხოცვა-ჟლეტას.

ბექუ-ყაჩაღი თუ ვერ მოვსპე, ალბათ სხვაგან მომიწევს გზათა ძიება.

მე უფრო მეტჯერ სამაგიეროს მიზღვის ქენჯნა მკლავს. – მუშტი ბრაზით დაიკრა მკერდზე ბექარმა. – ვინემ ალბათ გულუშიშს და თუ მასაც შურისძიების ალქაჯი შესდგომია, დახმარების ხელს ვუწვდი. ოღონდ ერთი პირობით, ბექუ-ყაჩაღს თვალისჩინს მე დავუშანთავ, სხვაფრივ მან იცოდეს!

– გულუშიშს, – მოსაუბრისკენ შემოტრიალდა საურმაგი – მკვდარი სურს ბექუ-ყაჩაღი, თუ გინდ, ნაჭერ-ნაჭერ აჰკუწე! ოღონდაც, ვითარც ასპიტი, ისე გაქრეს იმის სახსენებელი.

მცირე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. გაღმა ფერდიდან ძაღლების წკავწკავის ხმა მოდიოდა. მას ადამიანთა კიჟინი და შეძახილები ერთვოდა.

სწრაფად მიიჭრა მასპინძელი სარკმელთან და იქით გაიხედა. – ძაღლებს წამოუგდიათ დათვი ბუნაგიდან! – თქვა. – დაუფრთხეს საღათას ძილი ტყიურს! ჰეეე, ჰე, ჰეეე, შეხედე, რა სასაცილოდ მიბღლარძუნობს, ჰა! მყეფარებს მძლავრი ტორით უმასპინძლდება!

სარკმელთან მისული საურმაგი, სასაცილო სანახაობის მოწმე გახდა. ძაღლები, სულ ათამდე, ალბათ დათვის კვალში მიდევნებული, ზოგჯერ მოუზომველად მისწვდებოდნენ ახლოს ტყიურს. მოუბრუნდებოდა უკან დათვი, ხან თათით, ხანაც პირით დასტაცებდა მდევარს და შორს მოისროდა...

დაბალ ბუჩქნარსა და ხეთა ღეროებზე შელეწილ ძაღლს, სიმწრისგან წკავწკავი გაუდიოდა და საზარელი ღმუილით იკლებდა არეს.

დევნილ-მდევარნი, მალე ტყიდან ხევში გაუჩინარდნენ. ხმაურიც უმალ მიწყდა.

კვლავ სარკმელში გაჰყურებდა ბექარი. მცირე ხნის შემდგომ, უკან მდგარ საურმაგს შეეკითხა: – საიდან მოგვაგენი აქ? ვინ მოგასწავლა ჩვენი სადგომი?

– ერთმა ძველმა ნაყაჩაღარმა!

– მაინც ვინ? სანდო თუ არის?

– ბერთახეველი, გაგიგონია?

– ბერთახეველი? – გაკვირვებით მოხედა მოსაუბრეს ბექარმა. – ცოცხალია? უვნებელი როგორ გადაურჩა სააჯო კარს, აკი თვალებდაშანთული, ძელს აცვესო?

– სრულიად საღ-სალამათი დაბრძანდება იშხანის საეპისკოპოსო კათედრაზე, მამაო ტიმოთედ იწოდება.

– ჰა�ა?! – უნებურად აღმოხდა მოსაუბრისკენ კისერმიდრეკილ მასპინძელს. უნდოდა რაღაც ეთქვა, ყელში გაეხირა ბგერა და ყრუ ხავილიღა ამოაყოლა.

– საეპისკოპოსოს გამგებლობს იშხანის ტაძარში! – განაგრძობდა თხრობას საურმაგი. – ძელს კი სხვა აცვეს, ღმერთთან მართალი და ჭეშმარიტი კაცი!

– რას ამბობ, ვითარ დააღწია თავი სასიკვდილო განაჩენს?

– მისივე თანამზრახველებმა იხსნეს. მათვე განამწესეს უმაღლეს ღვთისმსახურადაც! ახლა კი, ოდეს სულ სხვა ცხოვრების მიმლტოლი, ადამიანთა ზნეობის ქადაგად დამდგარა!

– რაიო?! – ხრიწით ამოაყივლა ბექარს, – ზნეობას ქადაგებსო?! რას უბნობ, ძმაო, ბერთახეველი?!!! ეგ გარყვნილი და უკეთური? დედამიწაო! – ხელები მაღლა აღმართა, – რაოდენ ცოდვას იტან,

რაოდენ ცოდვას! რათ არ განქარდები უსხეულო არსად, ჰა?!! – იწრიალ-იბორიალა ოთახში, სათქმელს მიჰყვა, – იცი, საურმაგ, ტყვეებით ვვაჭრობ, საჭურჭლეც მიტაცნია და ხალხიც, მაგრამ მისი ნამოქმედარი დღესაც მზარავს! თვითვე ვარ ამის მხილველი! ათი დედა წული გაეუპატიურებინა ერთგან. ათი დედა წული! ათივე ტანსაცმელ შემოძარცულები, დაჭრილ-დასახიჩრებული ეყარნენ. გარშემო ჩვილ ყრმათა გვამები იყო მიმობნეული! დაუნდობლობა მინახავს, მაგრამ ასეთი არა! ბილწებს შევხვედრივარ, ამგვარებს კი არასოდეს! – სიტყვა დააბოლავა და უსაზმნოდ იტრიალა ოთახში. შედგებოდა, ჭერს გაუსწორებდა თვალებს, ხან სარკმელს მიჰხედავდა. მცირე ხანი რომ გავიდა, ცეცხლთან მიმჯდარ სტუმარს შეეკითხა, – იშხანში შეხვდი?

– ვისზედ ამბობ? – ნათქვამს ვერ ჩაუწვდა საურმაგი.

– ბერთახეველზე!

– ჰო, მის კაცს გადავეყარე ოლთისში. ადრე ჩემთან იყო შეამხანაგებული, იქიდან ვიცნობდი. მერე დავშორიშორდით, რომელიღაც მონასტერში ბერად აღკვეცილა. მან მიმასწავლა ეპისკოპოსის სადგომი.

– ხომ არ გიამბნია რისთვის მეძებდი?

უარყოფის ნიშნად თავი გააქნია საურმაგმა.

– სწორედ მოქცეულხარ! ბექუს ბევრი მოკავშირე ჰყავს. მონანი, მდაბიონი და უპოვარნი ყველგან აღტაცებით ხვდებიან, მისგან ელიან საშველს.

– ერთი რამე ჰქმენ! – მცირედი შეყოვნების შემდგომ თქვა. – ხვალვე დაეშვი ბარში, ბექუს ბანაკს უთვალთვალე. ყველა წამსვლელ-მომსვლელის მიზანი და გულისთქმაც არ გამოგეპაროს. კვირის ბოლოს ჩამოვალ საშველად ლაშქრით. ყველა მოკავშირე მოხმობილი მყავს. ბექუს ცოცხლად ჩაგაბარებ, ძღვნად მიართვი ჩემგან გულუშიშს. ესეც გადაეცი, მოკეთეს ბექარი არ ივიწყებს-თქო!

ნაამხანაგარისკენ შემოტრიალდა საურმაგი. გამჭოლად შეხედა თვალებში, აღარაფერი უპასუხია.

რამდენიმე ხანში, კარმა გაიჭრიალა. ოთახში ხის ჯამებითა და ღვინიანი კასრით შემოალაჯა ასტაფურმა.

მას, ხელში ხის ყელიანი ტაბლით, ფეხდაფეხ შემოჰყვა სანდომიანი ახალგზრდა, ოციოდე წლის, მოახლე ქალი.

შავ, წვრილ წარბებსქვეშიდან, ეშხით მზირალი, მაყვლისფერი თვალები მორჩილად დაბლა დაეხარა და გაფაციცებით ალაგებდა ტაბლაკიდან ახორავებულ საჭმელ-სანოვაგეს.

ბლომად დაალაგა მაგიდაზე ახლადშემწვარი ირმის მწვადები. გარშემო რამდენიმე წვნიანი ჯამი ჩამოარიგა. ქერის პურები დააწყო, ღვინიანი კასრი სკამზე შემოდგა და ნაპერწკლიანი მზერა ესროლა მისკენ გამომყურე საურმაგს.

ანდამატივით მიიზიდა სტუმარი ქალის ეშხმა და სინატიფემ. უნებურად მისადმი სიახლოვის ლტოლვა მოეძალა და გამოუცნობმა გზნებამ, სრულიად წარსტაცა სტუმარ-მასპინძლობის მოკრძალებული ხალვათი.

ბექარი რომ არა, ალბათ უჭკუოდ აცეტებული, კაბის კალთას დაუკოცნიდა ამ ლამაზ მხევალს.

ქალი კი, მართლაც მომხიბლავად გამოიყურებოდა. აბრეშუმის გამჭვირვალე რიდით, იისფერი შალის, მოწითალო ვარდებით შემკულ კაბასა და საწმერთულში, ფაქიზად ინაკვთებოდა მისი ჩამოქნილი, ლერწამა ტანი.

არა, დიაცთა განუკითხავი მოტრფიალე არ ყოფილა არასდროს საურმაგი. ასაკის კვალობაზე, მოყირჭებულიც კი ჰყავს ეგენი, მაგრამ ადამიანებს ზოგჯერ, ცხოვრების გასაწვდენზე, აღეძვრება გამოუცნობი მისწრაფების აღქმა სულიერისა თუ უსულო არსებისადმი და მისი დასაკუთრების სურვილი მოუცილებლივ ჩაეჭედება გონებაში.

აი, სწორედ ამგვარი გრძნობა დაუფლებოდა სტუმარს და ციებიანივით აკანკალებულს, თვალი ვერ მოეწყვიტა მხევალისათვის.

ქალმა სუფრა გააწყო, ერთიც კიდევ მოჰხედა თვალდატანებთ მზირალ სტუმარს, მისდა უნებლიედ, ბაგეებში ჩუმად შეყუჟული ღიმი შეაფრქვია და ფრთამალი ნიავივით გაიჭრა კარში.

საურმაგს უმისოდ ძელური ოთახი ჯურღმულად გამოესახა და სადგომის მოჩვენებითმა სიცოტავემ, სული შეუგუბა.

მაშინღა გამოერკვა, ასტაფურმა სუფრაზე რომ მიიწვია.

ძლიერ მოშიებულს, თავპატიჟი აღარ დაუწყია. სუფრას მიუჯდა და მადიანად შეექცა საჭმელს.

მუხუდოს გემრიელ წვნიანს, ახლადაქნილი ირმის მწვადები და ორიოდე ღვინით სავსე ჭიქა დააყოლა.

მცირედ რომ დანაყრდნენ, ბექარმა დაცარიელებული ჭიქები ღვინით შეავსო. ღვინიანი სასმისი ხელში აიტაცა და თანამესუფრეს უთხრა: – ათი წელი გავიდა, რაც ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ. შენ ამ ხანში, სულ სხვაგვარი ყოფის ბილიკს დაადექ. არ ვიცი, როგორ შეეთვისე, ან საერთოდ შეეგუე, თუკი... ჭეშმარიტება კი ერთია, საურმაგ. გულისგარეთ ნაღვაწმა უამურობა იცის, მოწყენის

ჩრჩილი იცის. იქნებ, მობეზრებულ სულს ვეღარ გაუძელ და სხვასთან შეყონაღდი.

თუმცა, ვერ გეტყვი, ნამდვილად რამ გაიძულა ამირების მუხლთა დამდრეკელი, აზნაურის კარზე მისულიყავ, თუგინდ მდგმურადაც. მე ასეთ სამსახურს, ასწილად სიკვდილს ვარჩევდი! ალბათ, ამდაგვარმა სულისკვეთებამ მომიყვანა აქამომდე, თორემ, აბა რა ვიქნებოდი, ბორკილებდასხმული მონა?

ხანდახან ფიქრს მივეცემი და ზიზღი ამომიშიგნავს გულ-ღვიძლს, ზიზღი საკუთარი თავისადმი. რა არის ჩვენი ცხოვრება? კაცის კვლა, მონათა სყიდვა, ძარცვა და გლეჯა.

ამიხსენ, თუ კაცობის მცირეოდენი ნაპერწკალი მაინც გიელავს, შვებას მოგცემდა დაობლებულ ჩვილთა ცრემლი და მუდარა? დაუმსახურებლად მიყენებული ვაება? ჰმ, გადამიჩხრიკავს აქამომდე გათელილი ცხოვრების გზა-ბაწარი და სხვა ვერაფერი დამინახია! მარტო ეს არის საურმაგ, მხოლოდ ეს არი!

მცირედ შეყოვნდა და გააგრძელა: – უანგარიშოდ მივყვები სისხლიან ბილიკს და ვერც კი მიაზრია, როგორ და სად, ან როდის ჩამოვვარდები ნეკერჩხლის დამჭკნარ ფურცელივით, რომელსაც დრო ისე მოისვრის, ვითარც ავადსახსენებელ შხამთა მგესლავ ასპიტს და წყევლა-კრულვას გამომაყოლებს ავზნეობის სამსახურისთვის!

მეტი რა გითხრა. აი, შენ მოიტოვე ეს ცოდვიანი სავალი და მაშინ, როცა ამირებიც შიშით გიფრთხოდნენ, სხვა რამ ამჯობინე. უკეთურებას კი სრულიად ვერ ჩამოშორდი! გინდოდა, იქნებ ძალუმ გინდოდა...

კბილი კბილზე დაუჭახუნა მასპინძელმა. ერთიც ღრმად შეისუნთქა და სულმოუთქმელად გადაჰკრა სასმელი.

კრინტდაუძვრელად დალია საურმაგმაც. მეგობრის ნათქვამიც ესხვაფერა და ნაქნარიც. დაუმთავრებელ აზრს ჩაუკირკიტდა. მიხვდა ყოველივეს. ფოცხვერს ავადობა შეჰყროდა და ვეღარ ივარგებდა დასნეულებული კლდეზე ხლტომაში.

ალბათ აჯობებდა სრულებითაც არ მოსულიყო მასთან. თუმცა, ვნახოთ, იქნებ გამოვიდეს რამე აქედან. არადა, სხვა ხერხიც გამოიძებნება. გულუშიშის ყმებისგან შეკრებს ლაშქარს და იმ უჯილაგო მონას კი არ აბოგინებს.

მოზრდილი ჯამი შეავსო ბექარმა. ნელ-ნელა, ყლუპით დასცალა. კბილები მჭახედ დაახრჭიალა.

ჯამი კვლავ შეავსო და თანამესუფრეს მიაწოდა: – თქვი რამე! – უთხრა, – მოძალებულ სიტყვას ხვაშიადი სჭირდება, უთქმელ წუხილს

თქმული ბევრად სჯობია. არცადა თქმა შველის ყოველივეს. თქვი მაინც, იქნებ სიტყვა მალამოდ მოეცხოს ვაიკითხვიან წუთისოფლის უმადურ ჩივილს, ჰა?!

– რაი ვთქვა? – საურმაგმა ჯამი მარცხენათი დაიჭირა, – საბჭობი დიახაც მაქვს. აქ გულის ამაჩუყარ საუბრისთვის არ ამოვსულვარ, არც სხვა რამისთვის. მოკეთისგან აზრიანი რჩევა-დარიგება მჭირდება.

ერთი კი მიკვირს, რამ დაგიდრიკა ესოდენი შემართება, თითქოს გმობ განვლილ ყოფას? დაგვიწყებია მეგობარო, ჭეშმარიტად დაგვიწყებია, თუკი არ შესჭამ, შენვე შეგჭამენ!

წუთისოფელი ახორავებული მსხვერპლითაა სავსე, უმანკო მსხვერპლით.

იქნებ ეგ მონა გაღელვებს? ხუთიოდ დღეში იმდენ სპას შევყრი, ბექუ-ეშმაკიც რომ იყოს, თავს ვერ დააღწევს.

– ჰი-ჰი-ჰი! ჰიიი! – გულიანად იცინა ბექარმა. – რად ფუჭსიტყვაობ? ქადილს ჯერ საქმისთვის თუ უშველია? გითხარი წეღან, სამიათასი ძალგულოვანი მეომრით შევები შარშან. ზამთრისპირს, დალაშენში, ვიწრო ხეივანში მივიმწყვდიეთ. ორმოციოდე მხედრით, ხუთ დღეს იომა. ჯერ არ შემხვედრია ასეთი გაუტეხარი, კისკასა მხედარი! ჩვენი სპის მძორით ახორავდა ვიწრობი. მეექვსე დღეს, მეფის სპა შემოგვერტყა გარშემო, ძლივს გავასწარით.

ორი თვის შემდგომ, თმოგვთანაც დავხვდი. კვლავ იმდაგვარად განმეორდა. ამ ომში ბაგრატ უფლისწულთან მომიხდა ხელდახელ რკენა.

ბრძოლისას, ჯაჭვის პირბადე აეხადა და აქედან ვიცანი.

შენ შიშზე ამბობ. ბექარი და შიში გაგიგონია?! ბექუ დავით უფლისწულია და თუ უფლისწულია, ყველაზე მეტად მიღირს ანგარიშსწორების ჟინი. სხვა რამ მაშფოთებს, სხვა რამ, რომც გითხრა, ვერც რას გამიგებ! ვერც რას გამიგებ! – კიდევ რამდენჯერმე გაიმეორა ეს ბოლო სიტყვები, მაგიდას მუშტი დაჰკრა და თავი ჩაღუნა.

ერთხანს უცქერდა საურმაგი. ბოლოს დუმილი რომ მოეწყინა, უთხრა: – განა მოშველებას გთხოვ? საკმაო სპას თვითონაც ვნახავ!

თავი მაღლა ასწია მასპინძელმა. მოსაუბრეს მიაპყრო თვალები. – ჰეეე! – ერთიც ამოიძახა, – საშველად ვერ წამოვალ-მეთქი, მაგას არ გეუბნები! – თქვა. – უშენოდაც განზრახული მქონდა, დავცემოდი ბექუს. ამ ახლოებში, დიდაზნაური ბევრი მოვიმხრე, ნიშნის

მიცემისთანავე აიშლებიან. შენ კი, როგორც გითხარი, ჩადი ბარში, დღეისსწორს ჩამოვალთ. დანარჩენს კი, ხმალი გადაწყვეტს!

რვაჯერ შეავსო დიდი ჯამი ბექარმა და რვაჯერ დასცალა. სტუმარსაც დაალევინა.

კიდევ შეავსო სასმისი და სარკმელს სევდიანად გახედა. სათქმელს ჩაუყვა: – მცირე ყოფილა წუთისოფელი, მცირე და დაუნდობელი! ის ჭრილობა მტკივა, რითაც სხვას ვაიარალებდი. ღალატის მთესველს, მოსამკელიც ღალატი მქონდა. მონად ვყიდდი სხვას და მე კი, თურმე დიდი ხანია გაყიდული მონა ვიყავი. შარშან, თმოგვში დავეცით ყმათა წარსატაცებლად. ერთმა ჟამნახულმა ბერიკაცმა შემაჩვენა. ხელებაპყრობით ღმერთს ევედრა, სამაგიერო გადაეხადა ჩვენთვის.

რას ბუტბუტებ შე უბედურო-მეთქი, შევუყვირე. უბედური მე კი არა, ისაა, ვინც უბედურების მომტანიაო, მითხრა. საკმაოხანი ვატარე წუთისოფელი. საყვარელი ბადიში მომიკალით, მაგრამ სიყვარულს ჩემს გულში ვერ ამოძირკვავთ, რადგან მასში უსრულო კიდეგანი გამაჩნია, კვლავ ბევრზედ ბევრი დამრჩა შვილთაშვილები, სხვა მოკეთენიც.

შენ კი, სიყვარული არასოდეს არ გქონია და თუ ის მცირეოდენ ნაპერწკლად მაინც გიღვივის, შანთით ამოგიწვავენ. დარჩები ეული, ყველასა და ყველაფრისგან მიტოვებული. სიკვდილს ინატრებ, მე კი, ამ დროულ ბერიკაცს, დღესაც სიცოცხლე მწყურია, აბა რა სჯობს ამდენ ნაგრამთან ყოფნას?

კიდევ რაღაცას ამბობდა მოხუცი, მაგრამ მე აღარ მომისმენია. სწრაფად გავეცალე იქაურობას.

მის შემდგომ, არც-თუ დიდი ხანი გავიდა და ის, რომელიც ამქვეყნიურ ყოფაში ერთადერთი, ჭეშმარიტი სიყვარულით ვიწამე, ღალატით ჩამომაშორეს. ახდა ბერიკაცის ნათქვამი. ალბათ მიხრწნილობაში გადამდგარს, მოზარეც არავინ მეყოლება. ვინ მიჭირისუფლებს, მგლები? ის მგლები, რომლებთანაც ჩემი სიცოცხლე გავატარე? მგელს სისხლის სუნი აცეტებს, მსხვერპლი რომ ვერ მოიძიონ, ერთმანეთს დაგლეჯენ. დაუნდობლად დაგლეჯენ! – მოსხლიტა სიტყვა ბექარმა და ღვინიანი ჯამი სულმოუთქმელად დააპირქვავა.

კარში შემოსულმა მხევალმა, ახლადნამზადი საჭმლიანი ჯამები შემოიტანა. – ხომ არაფერს ინებებდით? – იკითხა.

ღვინისაგან ძალანაჭარბი სტუმარი, თვალდაშტერებით შესცქეროდა ფანტელივით მოფარფატე ლამაზ მხევალს და ხანდახან

მისკენ გამომზირალ, მოცხარისფერ ბაგეებზე ათამაშებული ჯადოღიმილი, მხოლოდ მისდამი მიძღვნილი ეგონა.

სულშეგუბულმა უყურა კარებში გასვლამდე.

დაღამებამდე ილხინეს. ბინდმა რომ სარკმელში შემოიხედა, საურმაგი წამოდგა სუფრიდან და გასასვლელისკენ გაემართა.

უკან მომავალმა, იმავ ძელურის სულ ბოლო ოთახში, გამომკრთალი სინათლის შუქი შენიშნა. მალულად შიგ შეიჭყიტა.

მომცრო სამყოფში სანთელი ენთო. სექვზე ის მხევალი იჯდა და წითელ-ყვითელ ბაფთებით ქსოვილს ბლანდავდა.

მარტო იყო. ალის სანთლისფერი შუქი დასდებოდა სახეზე და არამიწიერ სილამაზეში ჩაექარგა შავი წარბ-წამწამი.

ერთხანს უყურა.

ალბათ საკმაო ხანსაც დარჩებოდა ასევე, უკან მომავალთა ხმა რომ არ მოსწვდენოდა. ჩუმად გაეცალა იქაურობას.

ოთახში შემოსულს, მასპინძელი ზეამართული დახვდა. სუფრა აელაგებინათ.

– სტუმარს მიხედე! – ასტაფურს დაუბარა ბექარმა და კარში გავიდა.

– დაისვენე! – გაშლილ ლოგინზე მიუთითა ასტაფურმა. ძილი ნებისა უსურვა და ისიც გასასვლელში გაუჩინარდა.

მარტოკას სრულებითაც არ გაეკარა ძილი. სარკმელში მთვარის ფერმკრთალ ნათელს უყურა საკმაო ხანს.

შუქი სანთლის სახეს ჩამოჰგავდა და ამ სხივის სიკისკასეში, მხევალის მაყვალა თვალები მაცდურად უღიმოდა.

კედლისაკენ გადატრიალდა.

მრუმე სიბნელიდან, სანთლის სახემ კვლავ გამოაჭყიტა. იბორგა, იწრიალა, ვერა და ვერ დაიძინა. ზეაიმართა. პერანგისამარა, კიდიდან კიდემდე ოთახში იარა, დიდხანს იარა.

შარვალ-ახალუხი ჩაიცვა, შალიფად მოირგო ფეხებზე მესტები და კარში გავარდა.

ცივმა ქარმა დაუსუსხა გრძნობა და გონი. შეაჟრჟოლა.

მოშორებით, თვალის გასაწვდენზე, კოცონი ენთო. კოცონს რამდენიმე კაცი შემოსხდომოდა გარშემო. ალბათ ყარაულები იყვნენ. ტყიდან ძაღლების ყეფა და წკავწკავი ამოდიოდა. მთვარეს ცის მცირე ნაწილი დარჩენოდა გადასავლელი.

აზრგანუცდელად გაემართა ძელურის ბოლო სადგომისკენ. სარკმელში მალულად შეიხედა. სარკმლის პირდაპირ, სექვზე გაშლილ ლოგინში, მხევალი იწვა. მარტო იყო ოთახში. ჩამავალი

მთვარის ნათელი, სახეზე დაშუქებოდა ქალს და ოქროფენილ ლაქებში ალივლივებდა თეთრ შუბლსა და ლოყებს.

სარკმელი მცირე იყო, ვერ გაეტეოდა. კარიდან მოუარა, სახელურს ჩასჭიდა ხელი, დაეჯაჯგურა. მკვიდრად იდგა ჩარაზული კარი. კვლავ ძალოვნად მოსწია და საგდულმა ჭახანი გაიღო.

განუსჯელად შეალაჯა ოთახში. მწოლიარესკენ გაემართა.

ხმაურზე წამოვარდნილი ქალის შიშველმა სხეულმა, უფრო გაახელა. თხელ, გამჭვირვალე პერანგსა და მოკლე საწმერთულში ილანდებოდა ქალის შოლტა ტანი.

ორჯერ თუ სამჯერ შეჰკივლა ქალმა, კივილმა მაინც ვერ მოიყვანა აზრზე. ცალკერძ ღვინისა და ცალკერძ გზნებისგან მთვრალი, თამამად მიიწევდა და ის იყო, პერანგიდან გასხლეტილ ქალის მკვრივ ძუძუს წაეპოტინა, რომ უკანიდან ვიღაცამ მძლავრად ჩასჭიდა ხელი.

შემოტრიალდა. ბექარი დასდგომოდა თავზე.

სიმთვრალემ გაზაფხულის ნისლივით გადაუარა. ერთბაშად გამოფხიზლდა. შერცხვა მეგობრის, თავი მის მკერდზე მიასვენა და ეს დევკაცი ბალღივით აზლუქუნდა.

ასე მტირალი წაიყვანა საწოლ ოთახში ბექარმა. ლოგინზე დაასვენა მთვრალი და აღარც მთვრალი.

უთხრა: – ჩემი ბრალია, ადრევე რომ არ გაგაცან. ეგ ასული განსვენებული მეგობრის ქალიშვილია. ღვიძლი შვილივით ვზრდი, მის შეურაცხყოფას კი არავის არ ვაპატიებ! შენთვის ამჯერად დამითმია. არ იცოდი, ალბათ მოახლეაო, იფიქრე. მართალიც იყავი. სტუმარზე ხელის ხლებაც რა ვაჟკაცობაა! ახლა მოისვენე, დილას კი, ადრიან წადი, გაშორდი, შენ არც მოკეთის ხათრი და არც პურ-მარილის მადლი არ დაგბედებია!

ღვინისგან აღრეული გონება გაუნათდა საურმაგს: – მხევალი მეგონაო, – პატიებას ითხოვდა.

სირცხვილისგან მხრებში მოხრილს, პირში ენა ვეღარ დაეძრა. რაღაცას გაუგებრად ბუტბუტებდა.

გულდამძიმებული, სინანულის ქარცეცხლში მდუღარე მიატოვა მასპინძელმა და კარში გავიდა.

საურმაგს რაღა დააძინებდა. შუაღამე რომ გადაიზნიქა, მხლებლები წამოახტუნა და ღამითვე დაეშვნენ დაბლა.

მეორე დღეს, საღამოსპირს, მუხოვანში ჩააღწიეს. სოფელში დიდაზნაურ ბიმურზა დიდგულაშვილთან მიდიოდა საურმაგი.

გულუშიშმა წამოსვლისას სიტყვა დაუბარა, ბიმურზა აუცილებლივ მოინახულე, დახმარებას გაგიწევსო.

ბიმურზა გაქნილი ავაზაკი და უზნეო, საურმაგის მკვიდრად ითვლებოდა. ათი წელი ერთმანეთის მხარდამხარ იყაჩაღეს. ძმობა და მეგობრობა ჰქონდათ ნათქვამი. მრავალი ჭირიც დაუძლევიათ და ლხინსაც არ გამოკლებიან.

ბევრი რამ ახსოვს ბიმურზასთან გატარებული დროინდელი და განსაკუთრებით, შირვანის ამბავს რომ გაიხსენებს, ახლაც ტანში ცივად შეაჟრჟოლებს.

ეს იყო თხუთმეტი წლის წინ, შირვანში, დიდი მებატონის ქალი შეაცდინა საურმაგმა. მოტყუებით შეიპყრო შეურაცხყოფილმა მებატონემ სტუმარი და დილეგში ჩასვა. რა სატანჯველით არ აწამებდნენ, დღესაც უსიამოვნოდ შეაძაგძაგებს სხეულში, იმ დროისას რომ გაიხსენებს. ცოცხლად აგლეჯდნენ ხორცს, სწვავდნენ და დაღავდნენ.

ნაშიმშილარი და დაიარალებული, სრულად დაოსდა. ცოტაღა აკლდა სიკვდილის პირს. განსაცდელისგან ბიმურზამ იხსნა. მოქრთამა მედილეგეები და მალულად გამოაპარა საპყრობილედან მეგობარი.

გიშში საქვეყნოდ ცნობილ დასტაქართან მიიყვანა, სულ უგრძნეულო, ქვეშაგებზე მწოლი სნეული. წელიწადნახევარი დასჭირდა განკურნებას. ორი წლის შემდგომ კი, ოცდაათი დარჩეული მოყმით, მალულად ჩავიდა თვითონ შირვანში. ბიმურზაც გვერდით ეახლა.

ღამით ჩუმად დახოცეს ყარაულები, შეიპარნენ სასახლეში და დიდი მებატონის ცოლი გააუპატიურეს, რვა ქალი და ხუთი ვაჟი მოსტაცეს. ყველანი მონებად გაყიდეს.

წამოსვლისას, სიტყვა დაუტოვეს, თუ ას ოქროს დინარს არ გამოგვიგზავნი, შემდგომ მოსვლისას, თავს მოგკვეთთ და შენს გვამს კი ყვავ-ყორნებს მივუგდებთ საჯიჯგნადო.

შეშინებულმა შირვანელმა, ოქროც მისცა და ათი მზეთუნახავი ქალწულიც უფეშქაშა. ერთხელაც, ჰერეთში ცნობილ დიდაზნაურთან სტუმრობისას, სუფრაზე ვიღაც თავგასული მოყმე აუხირდა. ხელდახელ შეიბნენ. ბრძოლისას, უცბად შემოაკვდა ის თავზეხელა-ღებული.

საზარელი ღრიალით მკვდარი რომ დაეცა მიწაზე, იქ მყოფმა უმრავლესობამაც გაიძრო მახვილი და მარტოკას მიესივნენ. მხლებელნი დაუბორკეს.

საკმაო ხანს იბრძოლეს. ახლოს რომ ვეღარავინ მიბედა მისვლა, ქამანდებით შეიპყრეს და მხლებლებიანად სარდაფში ჩაამწყვდიეს.

ერთ კვირაში, ათასი მეომრით მოევლინა ბიმურზა. ღამით შემოერტყა აზნაურის სახლს და სანამ აზნაურს მაშველი მოუვიდოდა, სულერთიანად ჩახოცა მისი სახლეულობა. ტყვეები იხსნა, სახლ-კარს ცეცხლი შეუგზნო და სწრაფად გაეცალა იქაურობას.

***

ბიმურზას ეზოს ჭიშკარზე მიმდგარმა საურმაგმა, ხმამაღლით შესძახა: – ეი, მოკეთევ! კარი გაგვიღე, სტუმრები დააყონაღე!

ეზოში ტანმაღალი, ზორბა ვაჟკაცი გამოილანდა. ბიმურზა იყო. ბიმურზამ მოსამსახურენი იხმო.

ფაცი-ფუცით გამოფენილმა ყმებმა სწრაფად გახსნეს ჭიშკარი და ცხენოსნები ეზოში შეიწვიეს.

– საურმაგ, ჩემო ძმაო და კეთილო, შენ გელოდი! – მჟღერი ხმით დაიბუხუნა ბიმურზამ და დაქვეითებული სტუმრებისკენ გამოემართა, – აქამდე სად დააყოვნე, რატომ შეგაგვიანდა? – ამ სიტყვებით მივიდა სტუმართან და გულმხურვალედ გადაეხვია.

გადახვეულებმა, გარშემო ტრიალითა და ბეჭებზე ხელების ცემით რომ მოიჟინეს ერთი-მეორე, ხელიხელგადაჭდობილნი გაემართნენ სადგომისაკენ.

– სად იყავი, ჰა?! – კვლავ შეეკითხა მასპინძელი, – სამი დღის წინ, გულუშიშისგან გამოგზავნილი კაცი მომივიდა, საურმაგს დაეხმარეო, მითვლიდა გულუშიში. ბექუ-ყაჩაღის ჟინი სჭირვებია, მეც მალე ჩამოვალ სპითო! ხალხი სოფლებში დავგზავნე. ბევრმა დიდგვაროვანმა გამოთქვა სურვილი, ბექუს ერთობლივ დალაშქვრაზე, სპაც შეამზადეს. ასე რომ, საკმაო ძალით მივუხდებით მაგ ქვეყნის დამაქცევარს და დედაბუდიანად მოვსპობთ!

– ბექართან გახლდი! – მცირე შეყოვნებით უპასუხა საურმაგმა.

– ბექართან?!

– ჰო! – თავი დაუქნია საურმაგმა, – ძლვისღა მივაგენ, მთებში გახიზნულა, ვიფიქრე, რჩევას ვკითხავ-მეთქი!

– მერე?

– აბა რა რჩევის მოცემა შეუძლია კაცს, რომელსაც სანანებლად გაუხდია მისი წარსული? – ფიქრჩახვევით გააგრძელა საურმაგმა, – ავედი, დახმარებას კიდეც შემპირდა, მაგრამ, არა მგონია, საშველად ხელი გამოიღოს!

– ასე ფიქრობ? – მარცხენა წარბი ზეაწკიპა ბიმურზამ, – ბექარი ბექუს დაუძინებელი მტერია. სწორედ მაგის წყალობით შეეფარა მთებს, განა აქამდე როდესმე ყოფილა, ბანაკი დამალულად ჰქონოდა? თორთომის მბრძანებელი იყო, მეფის სპაც კი ერიდებოდა მასთან შებმას!

– არა ჩემო ძმაო! – თავისუფალი მარცხენა, უარყოფის ნიშნად გააქნია საურმაგმა, – კაცს სინანულის გრძნობა რომ გაუჩნდება, ცხოვრება უნდა შეასხვაფეროს, თორემ სადაც არის, იქაც ვერას მოიმკის და მოპოვებულსაც ბევრს დაკარგავს.

ათი მისნაირი გაქცეული ყმით ერკინებოდა ბექარი მთელ ქვეყანას. სახელიც დაიდო და ვაჟკაცობაც. ახლა კი, სამი ათასი დარჩეული მოყმით ეეჭვება ბექუს დამარცხება. ვგონებ, არც უნდა დაამარცხოს ყაჩაღი, ავაზაკური ცხოვრების მგმობი, ვერ შეერკინება იმას, ვისაც ღვთისა და სამართლის ნება მოშველიებული აქვს! ადამიანში გულია მთავარი, გული! უგულოდ შექმნილს, რაც არ უნდა ლამაზი იყოს, მომხიბვლელობა არ გააჩნია. არც სიყვარული გააჩნია და არც სიწმინდე!

ხვეულ ქვითკირის კიბეს აუყვნენ. მცირედით წინ გასწრებული მასპინძელი შედგა. შემოტრიალებულმა დაუცადა სტუმრებს. ზეამომავალი სტუმრები რომ გაუსწორდნენ, უთხრა: – მაშ, ბექარის იმედი აღარ გაქვს? აღარ გაქვს და არც დაგვჭირდება, გულუშიშისთვის შეუძლებელს მოვიმოქმედებ, მისი მტერი, ჩემი მტერიცაა! ათი ათასეულ სპას შევაგროვებ, საურმაგ! ათი ათასეულს! ამდენი მეომარი, თვით ჩვენს მეფესაც არა ჰყოლია არაოდეს. ვითარ გაგვიმკლავდება ეგ ბექუ-ყაჩაღი, მაგასაც ვნახავ!

საურმაგმა მხრები აიჩეჩა. ქვის მორიგ საფეხურს შეადგა ფეხი, შეყოვნებულმა უპასუხა: – არც ისე ხელწამოსაკრავი უნდა ჩანდეს ეგ ყაჩაღი! ბექარი, ეს მართლაც შეუდრეკელი ვაჟკაცი დაუშინებია და აბა, წინასწარი ცუდბაქიობა რას გვარგებს?

კიბე აათავეს. აივანზე გაიშალა სტუმარ-მასპინძელი. მსახურმა მუხის ფართო კარი შეაღო და საკმაო ზომის, დიდ ოთახში შეუძღვა სტუმრებს. დაბრძანდით, მოისვენეთო, უთხრა და მოპირდაპირე კარისკენ გაემართა.

მცირეოდენი ხნის შემდგომ, ორი მხევალი ქალი შემოფრხთიალდა ოთახში. ნაბდები და იარაღ-საჭურველი ჩამოართვეს სტუმრებს. სექვზე, ბეწვიანი ტყავები გაშალეს.

– ესენი, – მხლებლებზე მიუთთა საურმაგმა, – მცირედით თვალს მოატყუებენ, წუხელ მთელი ღამე არ უძინიათ. თუ შეიძლება, მუთაქები საკმაოდ მოიტანეთ, – მსახურს მიმართა.

– როგორ გეკადრებათ, ბატონო?! – თვალჟუჟუნა, ლამაზმა მხევალმა გულღიად შესცინა, – საწოლ ოთახში წამობრძანდით! იქ დაისვენეთ!

– გაჰყევით, ბაშარ! – ერთ-ერთს მიუბრუნდა საურმაგი.

მხლებლები უსიტყოვდ მიჰყვნენ წინ მიმავალ ქალებს.

ოთახში მარტოდ დარჩენილი ბიმურზა და საურმაგი, სექვზე ჩამოჯდნენ.

მოზრდილი მუთაქა კედელზე სიგრძით მიადგა საურმაგმა და მხრებით მიეყრდნო.

– დაგესვენა შენც, არ გეძინება? – ბიმურზამ უთხრა.

საურმაგმა მხრები შეაქანა და შეყოვნებით უპასუხა: – მე საკმაოდ გამოვიძინე გზაში. გამუდმებით მოხეტიალე ყოფამ, ზეზეურ ძილს მიმაჩვია, თვალგახელილ ძილს!

– კარგი, რახან ძილი არ გსურს, მცირედით წავიმუსაიფოთ და ნატვრით სავსე გრძნობები შევაჯეროთ.

ბიმურზა წამოდგა, შიგნითა კარი გახსნა და მსახური იხმო: – ვახშმის თადარიგი დაიჭირეთ, – უბრძანა.

უკან მოტრიალებულმა, სტუმრის პირდაპირ სკამი მიაჩოჩა, ზედ ჩამოჯდა, დაკვირვებით შეაცქერდა საურმაგს და უთხრა: – ახლა კი, გულახდილად მიამბე, როგორ ხარ და რასა იქმ. ცოლი შეირთე, თუ ისევ ისე, ცალად დაიარები? ჯანსრულობას ხომ არ უჩივი, რა გტკივა და სალხენიც თუ გაგაჩნია რამე?

– საიდან დავიწყო? – ძირს ჩამოვარდნილ მუთაქას დასწვდა საურმაგი, კვლავ კედელს მიადო და გააგრძელა: – ბექართან სტუმრობისას, მისი ლაპარაკის დროს, ვფიქრობდი და თანაც მინდოდა ხილულად მეთქვა, რომ ის ჭკუას აცდენილი, გუშინდელი მონა და ყაჩაღი, დღეს სულ სხვაგვარი აზრებით მიყვებოდა გონსუქმნელ სისულელეს. მიყვებოდა და თითქოს დავიწყებოდა, რომ ადამიანმა, ყოვლის ღონით უნდა ეცადოს დაიმორჩილოს სხვები, რათა განცხრომითა და ნებივრად ამოისუნთქოს.

ერთის დამორჩილებით, მეორეც მოიხრის ქედს. იცი, რატომ მოიხრის? შიში დათრგუნავს, შიში! განა, ტყეში მობინადრე ყველა ლომი ნადირთა მეფეა? არა, ჩემო კარგო! ბევრ ლომს, ბევრი ვეფხვიც მოერევა, სპილოც და მარტორქაც! მაგრამ, ისინი მაინც უფრთხიან ნადირთა მეფეს, თუნდ დასნეულებულსა და ძალაუქონელს.

ერიდებიან მასთან სიახლოვეს და მით უმეტეს, ჭიდილს. ეს რათ მოგიყევი იცი? ძალმოსილება შიშს ახლავს, შიშს!

ღრმად ამოისუნთქა საურმაგმა, სარკმელს გახედა. ნელ-ნელა ეშვებოდა ბინდი. სათქმელს მიჰყვა: – აქეთ რომ მოვდიოდით, წინა ღამე, ერთ ღარიბ ყმა-გლეხთან გავითიეთ. თხუთმეტი წვრილშვილი ეხვია ცოლ-ქმარს. სანახევროდ შიშველნი და მშიერნი, ვახშამზე მცირეოდენი პურის ნაჭრები ჩამოურიგა დედამ შვილებს. მადიანად შეექცნენ ბავშვები კუთვნილ ულუფას. ცოტა იყო საჭმელი, მაგრამ კრინტი არ დაუძრავთ. უკანასკნელი ნამცეცი რომ მოასუფთავეს სუფრაზე, მხიარულად გავიდნენ კარში.

ოჯახის დედამ, სტუმრებსაც ჩამოგვირიგა ჩვენი საწილო. საკმაოდ მოზრდილი ნაჭრები გვერგო. სახლის პატრონ ცოლქ-ქმარს კი, შვილების ნორმაზეც ცოტა.

მოვდიოდი და თან ვფიქროდი, რა აკავებს იმ ქალს უქონელ მამაკაცთან, მშიერსა და მწყურვალს? ამგვარ ყოფას უქმარობა სჯობია-მეთქი. სულ ეს მქონდა ფიქრად გზაში და პასუხი ვერ გამეცა.

შენ ცოლი მიხსენე. ოცი მოწონებით მოტაცებული დიაცი მყავდა. ერთი-ერთმანეთზე ლამაზი და მომხიბლავი. არც ერთი აღარ შემრჩა. განაპირებულნი, იმ წამითვე მეკარგებოდნენ. ოცი დიაციდან, მემკვიდრე არც ერთს არ გაუზრდია. საწამლავებით მიკლავდნენ შვილებს. ერთმა, ადიდებულ წყალშიც ისროლა ჩვილი ყრმა.

იმ უსაცვლო ყმა-გლეხს კი, თხუთმეტ შვილს უზრდის მეუღლე...

მე ჩიტის რძეც არ შემიკლია ცოლ-შვილისთვის, მათ კი, სამყოფი პურიც არ ჰქონდათ.

გზადაგზა, სულ ამაზე ფიქრმა დამღალა და ბოლოს მივხვდი, ჩვენი ერთობა შიშით იყო დაფუძნებული და ის როგორც კი ქრებოდა, ძალდატანებითი ცოლ-ქმრული კავშირიც განწირული იყო დასაღუპავად.

ფიქრში კიდევ იმასაც მივაგენი, შიში, რომელიც მხოლოდ ერთეულ ადამიანებს ემსახურება, ჩამავალი მზის სხივის სითბოთი აღვივებს გულებს. არ გააჩნია სიყვარული, არც ნდობა და არც სიკეთე.

მხევალი მომეწონა ბექართან სტუმრობისას. მხევალი მეგონა, თუმცა, ღვიძლ შვილად ვზრდიო, მითხრა მერე ბექარმა.

ღამით, ჩუმად გავტეხე იმ ქალის საწოლი კარი და შიგნით შევიპარე. ანაზდად გამოღვიძებულმა ქალმა, წივილ-კივილი ასტეხა.

ხმაურზე ბექარი წამომადგა თავზე. მეგობარიც მოვიმდურე და სირცხვილიც ვჭამე.

– ჰა-ჰა-ჰაჰა-ჰა�ა! – გულიანად გადაიხარხარა ბიმურზამ და სკამზე გადაქანდა. სკამი ბუმბერაზის რხევისგან, კინაღამ გასხლტა. სიცილით რომ გული იჯერა, ცრემლებისგან აწყლიანებული თვალები, ჭრელი დოლბანდით მოიწმინდა და უთხრა: – რაებს ყვები, დიაცის სიყვარული ვნების ცხრომაა, ვნების ცხრომა! ქალს სიყვარული არ უნდა უჩვენო. არ უნდა უჩვენო, თორემ ქალში სატანაა ჩაბუდებული! რაც არ უნდა ვაჟკაცი იყო, უსუსურ მღილად გადაგაქცევს და აბა, უძალოვნო მღილთან რაღა გააჩერებს? დიაცთ ძლიერნი მოსწონთ, მამაცნი და საჭურჭლეუხვნი.

ოცი დიაცი მყავდაო, ამბობ, ოცივემ მიმატოვაო! ჰე! მათთვის გული გადაგიხსნია, ნამეტან ტრფიალში ჩაძირულხარ და შიში გაქრომიათ შენდამი, ამიტომ გაგპარვიან. შიშს სიყვარული და სიკეთე არ გააჩნიაო, ეეეეე! – ხელი ჩაიქნია ბიმურზამ, – არის კი, სიყვარული და სიკეთე სადმე? მეტყვი, იმ უპოვარ ცოლ-ქმარს ჰქონდათო. იქნებ მაგრეცაა, მაგრამ ისიც ხომ უნდა ითქვას, ვის რაში სჭირდება მაგათი სიყვარული? თუნდაც სიკეთე? დამერწმუნე, ღატაკ სხეულში ღატაკი სიყვარულია, სწორედაც!

მხევალი მომეწონაო, ღამით კარი შევამტვრიე, კივილი ასტეხაო. ეგეც არაფერია. მხევალს გაგაცნობ, თუ ისურვებ, კარგზედ კარგსა და ლამაზს...

მხევალი რა არის, მოწონება რა იყოს.

მამაკაცს ქალი უნდა მოსწონდეს, აბა, ისე რაღა მამაკაცი იქნება!

ბიმურზა შეტრიალდა სკამზე, წამოდგა, გასასვლელთან მისულმა, კარი გამოაღო და მსახური იხმო.

– რას გვიბრძანებთ, ბატონო?! – სულ მცირე ხანში შემოცქრიალდა ის თვალჟუჟუნა, ლამაზი მხევალი.

– სტუმარს მიაქციე ყურადღება, იულია! – მიმართა ოთახში მდგარმა ბიმურზამ.

– ხომ არაფერს ინებებდით? – შესცინა ქალმა და თეთრ-თეთრი კბილები შეანათა საურმაგს.

კედელზე მიყრდნობილი საურმაგი, წელში გასწორდა. მხევალს კითხვიანი თვალები მიაპყრო. ქალის თვალთა ჟუჟუნს ვეღარ გაუძლო და მარცხენა, თეთრი ლოყის, მოყავისფრო ხალზე შეაჩერა მზერა.

მუთაქა სექვიდან ძირს ჩამოვარდა, სწრაფად დასწვდა სტუმარი და სექვზე მოისროლა. პირდაღებულს რაღაც უნდოდა ეთქვა,

სათქმელი ვეღარ მოიგონა. უბრალოდ, ხორხიდან ბგერა აღარ ამოუვიდა. მის ნაცვლად, ყრუ ბუყუნიღა აღმოხდა.

ერთხანს უმზირა მომხიბლავ არსებას. მისდაუნებურად, ფეხზე წამოდგა. ზვინულად დაწნულ მხევალის თმაში, ფირუზი ცისარტყელასავით ელავდა.

– წყალი დაალევინე! – გაოგნებულს მისწვდა მეგობრის ბოხი ხმა.

მხევალი კარში გაუჩინარდა.

– მოგეწონა? – ქალის გასვლისთანავე შეაგება კითხვა მასპინძელმა. სტუმრის თვალებში უსიტყვო თანხმობა იგრძნობოდა და მანვე გააგრძელა, – ერთმა ბიზანტიელმა, დედიჩემის დიდგვაროვანმა ნათესავმა მისაჩუქრა. მაშინ თერთმეტი წლის იყო, რომ აქ მოვიყვანე. ყმაწვილური აცეტების კანონგარეშე ნაშიერია.

მდიდრულ ყოფაში გაზრდილი იულია, კანონიერ შვილებზე მეტად ჰყვარებია მამას, ჩემს მკვიდრ მოკეთესა და ახლობელს. ჰყვარებია და ამას კიდეც კინაღამ უმსხვერპლია, უზნეოდ გაჩენილი გოგო. რამდენჯერმე მოუწამლავს ჩემი მკვიდრის გულბოროტ მეუღლეს, დედინაცვალს. გარდაუვალი სიკვდილისაგან რომ ეხსნა, ნათესავმა მე გამომატანა. თანაც მთხოვა, კეთილსინდისიერად აღმეზარდა და რიგიანი საქმრო მეშოვნა მისთვის. შენ წაიყვანე, თანამზრახველად გამოგადგება, სათნო და კეთილი ბუნებისაა. ჰა, რას იტყვი?

საურმაგი სახეში შესცქეროდა მასპინძელს, არაფერი უპასუხნია. უტყვად გაეცალა და სარკმლიდან გარეთ გაიჭვრიტა.

– რას ფიქრობ? – უკნიდან მოესმა, – ამაზედ კარგს ერთსაც ვერ იპოვი. მართალია, მხევალია, მაგრამ რიგიანი სწავლა აქვს მიღებული. ათზე მეტ მეტყველებას ფლობს. ხელსაქმეც იცის, საჭმლის შემზადებაც.

– ეგ, – უკან მოუხედავად უპასუხა საურმაგმა, – სრულებითაც არ მადარდებს. მე მეგობარო, იმ ასაკში შევდგი ფეხი, ქალი ანცობისთვის აღარ მჭირდება. ერთიც იქნება, სიბერე რომ იანვრის ბუქივით შემომიქროლებს, ბებრული ძვლები დამიამოს, ლოგინზე მიჯაჭვულს წვეთი წყალი დამალევინოს! ახალგაზრდა, ლამაზი ქალი, ასაკშესულთან გაჩერდება? ან უერთგულებს? არა მგონია! ოცი მყავდა უკეთესზე უკეთესები, გაზაფხულის ხატულა პეპლებივით ჩაიფარფატეს. ნებით, თავისი ნებით თუ გამომყვება, ეს კიდევ სხვაა!

– კარგი, მაშინ შევეკითხოთ. იქნება დათანხმდეს!

იულიამ წყალი შემოიტანა სურით. ჯერ საურმაგს მიაწოდა წყლიანი ჭიქა, შემდგომ ბიმურზასაც დაალევინა.

კართან მისული, ბიმურზამ შეაჩერა. შემოტრიალდა.

– იულია! – უთხრა, – სტუმარს მოეწონე! რას იტყვი, მეუღლედ თუ გაჰყვები?

ქალმა გაკვირვებულმა შემოხედა, არაფერი უპასუხნია.

– ჭირის საზიაროდ ვამბობ, თანამეცხედრედ უნდიხარ. თუკი არ ისურვებ, შენი ნებაა. ჩემს ძმასთან ჩიტის რძეც არ მოგაკლდება. საკმაო საჭურჭლის მფლობელიცაა, სახელითაც ხომ განთქმულია და განთქმული. ამასაც ჩაუკვირდი, შენ დიდგვაროვანი მეუღლედ არავინ წაგიყვანს. მხევლად იცი, ბევრსაც უნდოდი, მაგრამ ყველას უარი ვუთხარი. სხვისი ნება-სურვილის აღმსრულებლად ყოფნას, თავისუფლება ყოველთვის გერჩიოს!

იულიამ ბიმურზას შეხედა, შემდეგ მზერა საურმაგზე გადაიტანა. ვაჟკაცის ელვარე თვალებს აარიდა მზერა და თავი რიდით დაბლა დახარა.

– მშობლის ნაანდერძევიც აღსრულდება, ღირსეულ საქმროს მიათხოვეთო! – კვლავ ურჩევდა ბიმურზა.

– როგორც გენებოთ, ბატონო! – კრძალვით ამოიღო ხმა ქალმა. ეს ისე ჩუმად თქვა, რომ იქ მყოფებამდის ძლივს მისწვდა. თავდახრილს, სახეზე ალმური შემოენთო.

– ჩვენი სურვილი არაფერია, თანხმობა შენი უნდა იყოს, იულია! – ბიმურზა მცირედ შეყოვნდა, დაახანა, საპასუხო სიტყვა რომ ვერ მოისმინა, ბოლოს დაამატა:

– ჰო, კარგი, წადი, ვახშმის თადარიგი დაიჭირეთ!

მცირე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

ბიმურზა კარში გავიდა. შეყოვნებით შემოსული, მაგიდასთან, სკამზე ჩამოჯდა.

საურმაგი სექვზე გაწოლილიყო. მცირეოდენმა ჩქამმა ძილ-ბურანიდან გამოარკვია. სექვზე წამოჯდა და კედელს ზურგით მიეყრდნო. – სად წახვედი? – ჰკითხა, – მომეწყინა მარტოდ. სექვზე მივგორდი და დამძინებია.

– მსახურებს რიგი დავუწესე, ამაზე შევყოვნდი! – პასუხი გასცა ბიმურზამ. – ჰა, რა მოიფიქრე? – დახანებით დაუმატა, – მხევალზე გეკითხები, – წაიყვან?

საურმაგმა სარკმლიდან მრუმედ მჩინარ ბინდს გახედა. ერთხანს უყურა, მერე თავი მოატრიალა და თვალებმოჭუტული შეაქცერდა მოსაუბრეს.

– თვითონ თანახმაა? – შეეკითხა.

– მგონი, – თავის დაკვრით დაემოწმა ბიმურზა, – გადაჭრილი უარი არ უთქვამს და ჩუმი ნაზებაც ქალთა წესია.

– მეუღლე მივუგზავნე. ის არ მოსწონს შენი, ცუდ საქმეების ქმნას თუკი დაანებებს თავს, არაფერი საწინააღმდეგო არ მაქვსო.

– რა ცუდ საქმეებზე ამბობს?

– ავაზაკობა, კაცთა კვლა. მოკლედ, ყოველგვარ ბოროტებაზე ხელი უნდა აიღო.

– ჰმ, მერედა რით ვირჩინო თავი?

– პატიოსანი შრომით ვიცხოვროთო!

– რას მოგვიტანს წესიერი შრომა სიღატაკისა და შიმშილის გარდა?

– მაგას კი ვერ გეტყვი ნამდვილად.

– საოცარი ქალი ყოფილა.

– ხომ გითხარი, ზედმეტად კეთილია-მეთქი!

საურმაგი ზეზე წამოდგა, ოთახში რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა. მოსაუბრისკენ მოტრიალებული, ოთახის შუაგულში შედგა და თქვა: – იმდენი საჭურჭლე გამაჩნია, ათ სოფელს შევიძენ. ეს სიმდიდრე რას მომიტანს? ხნულში დათესილ პურის მარცვალს? რომელი გუთნისდედაა ხეირში, ანდა მითუმეტეს, ყმა. ეს ქვეყანა ორი რიგის ადამიანებისგან შედგება. ერთნი იტაცებენ სხვათა ნაამაგარს და ბატონობენ მათზე, მეორენი იძულებით იხდიან და მონობენ პირველებს. თუ არ გსურს მიითვისო სხვისი ნაჯაფი, მაშინ შენი უნდა აძლიო! რომელს აირჩევდი მეგობარო? – კითხვა ჩაუჭრა საურმაგმა და პასუხის მოლოდინში დაახანა.

ბიმურზას ხმა არ ამოუღია და კვლავ მანვე გააგრძელა: – წარტაცებით ყოველთვის იოლად გამოხვალ და ამ გზით სიარულიც რაღა სათაკილოა, თუმცა მოდი, დავანებოთ თავი ამ განსჯას. ჯერ კიდევ მოვიფიქრებ, ახლა კი მითხარი, როდის ჩამოვალო, რას იწერება გულუშიში?

– სამიოდ დღეში აქ იქნება!

– სამ დღეში?

– ასე შეიძლება ადრეც მოვიდეს, ან მცირედით შეაგვიანოს.

– მე დილიდანვე, – კვლავ სექვზე ჩამოჯდა საურმაგი, – მხლებლებით წავალ. ბექუს ბანაკის შორიახლოს დავიდებ ბინას. ჩემს ცნობამდე არ დასძრათ ლაშქარი.

– ბექუს სამყოფი თუ იცი?

საურმაგმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია: – სხლოვანის ზევით, მთებშია, ორი დღის სავალზე!

– კარგი! – დაეთანხმა ბიმურზა, – შენს ცნობას დაველოდებით, ოღონდ ისწრაფე თორემ, ლაშქრის დიდი ხნით უქმად ყოფნას საკმაო ხარჯი გააჩნია!

მცირე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ბიმურზა შემოსასვლელისკენ გაემართა.

მისი წასვლიდან სულ მცირე ხანში, გამოძინებული მხლებლები შემოვიდნენ ოთახში.

მხლებლები ჯერ კიდევ რიგიანად არ იყვნენ დალაგებულნი, რომ თეთრწვერა, ბეჭებში მოხრილმა მოხუცმა გადმოაბიჯა კარის ზღურბლს. სტუმრებს მიესალმა და ნელა გამოემართა საურმაგისკენ.

ბიმურზას მშობელი იყო. საკმაოდ მოტეხილიყო მხცოვანი. თხუთმეტი წლის წინანდელი ახსოვდა საურმაგს. მხრებში გაშლილი, მაშინდელი ზორბა ასაკოვანი წარმოუდგა თვალწინ, სმაში და ხმლის ქნევაში რომ ეჯიბრებოდა ახალგაზრდებს.

ოდესღაც ქალების მოტრფიალე, ხანს დაეჩაგრა. სიკვდილის აჩრდილი დასდებოდა მის მწითურ, დამჭკნარ სახეს.

საოცარი რამ არის წუთისოფელი. ერთ დროს დევგმირი ვაჟკაცი, ახლა დაჩიავებულა და დალეულა. შავი მესტების ფლატუნით რა სასაცილოდ მობარბაცებდა საურმაგისკენ.

საურმაგი ფეხზე წამოდგა, მისკენ მომავალს მიეგება. მოხუცი სტუმარს მოეხვია, ჯერ ბეჭებზე უთათუნა მიმჭკნარი ხელები, შემდეგ, მარჯვენა ლოყაზე ჩამოუსვა.

– კარგად ხომ ხარ, საურმაგ, შვილო? – ჰკითხა.

– არა მიშავს, ძია! – მიუგო საურმაგმა და სექვამდე მიაცილა ასაკოვანი.

მოხუცი სექვზე აჩოჩდა, მუთაქები შემოიწყო გარშემო და კედელზე ჩამოკიდულ, ლამაზად ნაქარგ ხალს, ზურგით მიეყრდნო. დაჯექითო, ხელით ანიშნა სტუმრებს.

საურმაგი სექვზე გვერდით მიუჯდა. ხნიერ მასპინძელს ახლად შემოსული მისი მხლებლებიც, მოხუცის პირდაპირ, სკამებზე ჩამოსხდნენ.

– სხვა რასა იქმ, შვილო? – მცირე ხნის შემდგომ ამოიჩიფჩიფა მოხუცმა, – კიდევ ტაციაობასა და ჩხუბს მისდევნებიხარ თუ ოჯახს მოეკიდე და ცხოვრება დაიწყნარე? – ცოტა დაახანა, პასუხი რომ ვერ მიიღო, კვლავ გააგრძელა, – ბიმურზაც ცუდ გზას ადგია! რით არ ვეცადე, გლახა რომ მოეშალა, მაინც არ ეშველა. ბოლოს სიკვდილია

შვილო, სიკვდილი! ყველაფერს განკითხვა ელის და ამქვეყნიურ ნამოქმედარზეც პასუხი მოგვეთხოვება!

ცხრა მძლე ვაჟი ვერ გამიტოლდებოდა, ახლა რაღა ვარ? დედამიწის უძლური ჩრჩილი, ძლივს დავხოხავ, საკუთარი სხეულიც ვეღარ მიზიდია! სანამ ღონე მოგდევს, მაშინ უნდა დაადგე საკეთილო სავალს, თორემ, ძალამიხრწნილს, რაღაის ქმნა შეგიძლია? წამი-წამზე ველოდები სიკვდილს! ცუდ სიზმარივით გაქრა ყოველივე და განვლილი ცხოვრება, მხოლოდ წუთის მოგონებად შემომრჩა!

– მაგრამ თუ არ გაცლიან წესიერ ცხოვრებას, ძია? რა უნდა ქმნა? – სიტყვა ჩაუჭრა საურმაგმა.

მოხუცმა თეთრად დაფანჩული წარბები დაბლა დახარა, ხელი ნიკაპზე ჩამოისვა, თეთრი წვერი მოიქექა და თქვა: – ახალგაზრდობაში მეც თავაშვებული ვიყავი, შვილო! ჩხუბისა და აყალმაყალის მოყვარული, ნადიმებსა და ღრეობებში ვკლავდი ჯეელობის მოზღვავებულ ძალას. შემრჩა რამე?

მე კმაყოფილი მხოლოდ იმითა ვარ, რომ კაცთა მოძულე ბოროტება არ მიქმნია. ვმრუშობდი, მაგრამ ძალით ნამუსი არავისთვის არ ამიხდია. ვბრძოლობდი, თუმცა დამარცხებული არასოდეს დამიკნინებია. არც ყმა და თანამემამულე მიყიდია მონებად.

ერთ დროს, – სახეზე შესამჩნევი ღიმი გადაეფინა მოხუცს, – ვვაჭრობდი. ვაჭრულ სამოსში გადაცმული, სახეშეცვლილი, ჩემს საპატრონო სოფელში დავიდე ბინა. მრუშობასა და ქეიფში ჩავიძირე. ქალთა მოყვარულის სახელი გამივარდა. საიდან არ მოდიოდნენ ჩემთან დროის სატარებლად ავხორცი დედაკაცები! ასეთებს, საჩუქრებსაც ბლომად ვუფეშქაშებდი, მათში ბევრი დიდგვაროვანიც ერია.

ის იყო, მცირე საქონელი დამრჩა გასაყიდავი, რომ ერთ საღამოს, თანაშემწემ ჩუმად მითხრა, ვიღაც ლამაზ ქალს, შენ მოსურვებიხარო. ეტყობა, დიდგვაროვანია და მალავს, ჩუმად მოსვლა სწადიაო. მე დავუთქვი შეხვედრის დრო და ადგილი. სულწასული ველოდი იმ უცნობ ლამაზმანს და ქვეშსაგებზე ტანსაცმელგაუხდელად გაწოლილი, მოსალოდნელი ნეტარებით ვივსებოდი.

ახლად ძილ-ბურანში რომ გაეხვია ქვეყანა, მოახლემ ქალი შემოუშვა ოთახში. შავ თავსაბურში პირშეკრულ ქალს, სახე სრულებით არ უჩანდა. სანთლის შუქზე, დედაკაცის ელვარე თვალები კვესავდნენ. თავსაბურის ახდა მოვიწადინე. არაო, ხელის აქნევით მანიშნა. კაბა და საწმერთული რომ გავხადე, ლოგინში გადაწოლილ ქალის შიშველ ტანს დავადგი თვალი. მარცხენა თეძოზე ხალი

შევნიშნე. სწორედ ასეთივე ხალი და იმავე ადგილას ჰქონდა იმჟამინდელ ჩემს ცოლსაც. ვეღარ მოვითმინე და თავსაბურს ავკარი ხელი. რა დავინახე, საკუთარი თანამეცხედრე არ აღმოჩნდა? თხუთმეტი ცოლი შევირთე, თოთხმეტს არ უერთგულია! მრუშს, მრუშობითვე მიხდიდნენ საზღაურს!

იცი, ეს რატომ მოგიყევი? ყოველივე არარაობა ყოფილა შვილო! ახლა რანაირი ქალი უნდა მიჩვენო, რომ იმდაგვარი გონუჭვრეტელი სიცეტით მივეტანო. პირიქით, ვნანობ იმ ყოფას და ის ავხორცობაც შემზიზღებია!

ყველა ჯანსრული ქალი, სარეცლის მონაა, ყველა მოქეიფე ღვინის და იქ, სადაც ღვინო და ქალია გარეული, საქმის კეთილობისა არაფერი არ უნდა იწამო.

ბიმურზას ხშირად ვეტყვი, იცხოვრე კაცური სიცოცხლით, გეშინოდეს ღვთის განჩინებისა და სიკეთე ქმენ-მეთქი!

არაფრის მოსმენა არ გსურთ ახლებს, თავზეხელაღებით, ზნემიშვებულნი სჩადიხართ ყოველივეს.

ახლა კიდევ, ომი მოსწადინებია ვიღაც ყაჩაღთან, მეომრებს იკრებს.

ის ყაჩაღი ყმათა ქომაგი ყოფილა, უპოვართა შემბრალებელი.

ჩვენს დროსაც იყო ომები, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მომხვდურ მტერს ვერკინებოდით, ვაჟკაცურ ორთაბრძოლაში ვიწვევდით ტოლი-ტოლს და საფერის ძლევაც გმირობა იყო.

უგვარო ყაჩაღთან რკენას რა სახელის მოტანა შეუძლია?

გლახაკთა ქომაგთან ბრძოლა არ არის საჭირო, რაც არ უნდა მძლავრი შეიქნას, ბოლოს მაინც დამარცხდება, ისევე ის უპოვარნი დასცემენ. უქონელს მეტ შური გააჩნია შვილო, სწორედ ეს შური იმსხვერპლებს მათ მოსარჩლესა და ბელადს.

– ის ყაჩაღი ყველასათვის საშიშია ძია და მებატონეთათვისაც მით უმეტეს, ხომ შავ ჟამად მოვლენილა, თვალთ უშრეტს და მკაცრი განაჩენით სჯის!

– ჰმ! – ღიმილი ჩააკვდა თეთრ ულვაშებში მოხუცს. გვერდით შემოწყობილი მუთაქები მოისწორა, – რატომ სჯის, საკთხავი ხომ არის? მებატონეებზე ახია, ახი! ყმას ისე ექცევიან, ვითომდაც რაიმე უსულო ნივთს. ყმაც ღვთის შვილია, მას უფრო მეტი მოფერება სჭირდება. ყმის ნაჯაფარით ვცხოვრობთ და ვსულდგმულობთ.

– განა ღმერთმა არ დაუწესა ყმები მებატონეებს?

– დაუწესა შინაურად და არა წამებისათვის! სადაც უსამართლო წამებაა, იქ ყოველთვის აღმოჩნდებიან ამისი მოწინააღმდეგენიც ფარულად და ხილულადაც.

ბექუ-ყაჩაღი ღმერთის მოვლენილია, დრომ მოიყვანა!

– შენი აზრით, მაშინ ერთხანს იბოგინებენ ძია, ბექუ-ყაჩაღის მაგვარნი.

– ეგეც ღმერთის ნებაა!

– და ეგ ბექუ-ყაჩაღები ვითომ რაიმეს მოიმკიან სასიკეთოს?

– ვერ გეტყვი, რას იქმონენ! – თავი გააქნია მოხუცმა, – მე კი ეს ვიცი, ყოველგვარ უსამართლობას, მისი ტოლფასი სამართალი უნდა დაუხვედრო. რათა მცირედით მაინც გაწონასწორდეს უკეთურობისაკენ მიმლტოლი ეს ჩვენი ყოფა.

– ჯეელობაში ბევრი უმსგავსოებაც ჩადენილი გექნება, ახლა კი გმობ ამგვარ საქციელს, მაშინაც ხომ იცოდი ცოდვა და მადლი? – შეფარულად შეაპარა კითხვა საურმაგმა.

– ჰა-ჰაა! – გაურკვეველი იერი ჩაესარკა მოხუცს სახეზე. უმწყობრად მოშორიშორებული მუთაქები კვლავ შეისწორა, პირი დააღო, უნდოდა რამე ეთქვა, ყელში რაღაც გაეჩხირა და ამოახველა. ერთხანს ახველა. ხველისგან ცრემლებს იწმენდდა, თან დოლბანდს პირზე იფარებდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოეშვა ხველა.

ხველისგან გამწარებული, ყინჩად შემდგარი, ერთი ღრმად ამოისუნთქა და ცრემლით სავსე თვალებით საურმაგს მიაჩერდა: – ახალგაზრდობისას, – უთხრა, – უმწიკვლო ვიყავი-მეთქი, როდი ვამბობ. მქონდა შეცდომებიც და შეცოდებებიც, მაგრამ ისეთი არაფერი მიქნია, აი, თქვენ რომ სჩადიხართ! გასულ თვეში, ბიმურზამ ორმოცდაათი ყმა გაყიდა მონად. განა, ჩემს დროს მონებით არ ვვაჭრობდით? ვვაჭრობდით! თუმცა ყმებს, საკუთარ ყმებს კი არ ვიმეტებდით, არამედ ბრძოლაში მოპოვებულ ტყვეებს ვყიდდით! ყმის გაყიდვა მაშინ სად იყო, ამის მოქმედი ხალხში როგორ გამოჩნდებოდი! ამაზე დიდი სირცხვილი და დამცირება რაღა იქნებოდა? ახლანდელებს ტყვეების მოპოვება არ შეგიძლიათ, ამისათვის ვაჟკაცობა და ლაზათია საჭირო. ვაჟკაცობის ნაკლულობას კი, ნამდვილად განიცდით.

ახლობაში იოლად მოპოვებულ ლუკმას ეძებთ, ის კი არ იცით, შინაური მტერი გარეულზე ასწილ უარესია და ისე არაფერი აჩანაგებს ქვეყანას, როგორც შინაურობაში დაუმცხრალი ქიშპი და ორგულობა.

ათი მეტყველება ვისწავლე, ბუნებისმცოდნეობასა და ფილოსოფიაში გავიწაფე. ბიმურზას ხეირიანად მშობლიური ანბანის წერაც არ შესწევს. ასეთი გაგონილა? ღვიძლი ენა არ იცოდე კაცმა? აი, იااااა.... – დანანებით დააბოლოვა მოხუცმა, თან ერთხანს თავი აკანტურა გაკვირების ბურუსით მოსილმა.

– ვაჟკაცები არა ხართო, რომ ბრძანებ, – მოხუცი გამოარკვია საურმაგის ხმამ, – რა გვაკლია, ათ მოსხლეტილ მოყმეს ხმალდახმალ გავიწვევ და კიდევაც შევერკინები. მუშტების ცემაში, ას რჩეულიდან ოთხმოცდაცხრამეტს მაინც ამოვუზელ ცხვირ-პირს. ვიჭიდავებ, ვირბენ და ვიჯირითებ, მეტი რაღა არი?!

– ჰეეეე! შენ ასე ფიქრობ? – ბეჭები შეაქანა მოხუცმა, – ვაჟკაცობა მხოლოდ ღონე და შემართება როდია, ის უპირველესად სინდის-ნამუსია! ვაჟკაცობა მაშინ იყო, საურმაგ, შვილო! როცა მოყმის ულვაშის ღერით იწონებოდა სიტყვა და საქმე. აბა, ახლა რაზედ შეიძლება ბჭობა? ნამუსშებღალულ ყოფიერებაში დუმს ყოველივე! ულვაშის ღერი რა არის, ცბიერებაში გარდასახული სახის ხიბლი რომ დასდებია უმრავლეს ადამიანებს! ანგარებით შემოზღუდულა გონება და ოქროს ბრჭყვიალი ფარავს სიმართლეს. ფარავს სიმართლეს! – შეყოვნებით კვლავ გაიმეორა მოხუცმა.

საურმაგი ხედავდა, როგორ აკანტურებდა თავს და მალი-მალ აცმაცუნებდა ტუჩებს მოსაუბრე. სიტყვა რომ არ ეთქვა, ალბათ საკმაო ხანს გააგრძელებდა ასე.

– ცამეტი წლიდან, – უთხრა, – ყაჩაღურ ზნეს მივყვებოდი. ბრძანებ, ათი მეტყველება შევისწავლე, ფილოსოფიას და ბუნებას გავეცანიო. მე კი, განათლება საერთოდ არ მიმიღია. ესოდენ ნასწავლი და მეცნიერი, ლოთობასა და მრუშობას აყოლილი ვაყავიო ამბობ. განა, გეკადრებოდა ამგვარი ქცევა?

ამ სიტყვებზე შეიშმუშნა მოხუცი. გამშრალი ტუჩები ენით მოილოკა. ხან მოსაუბრეს შეაცქერდებოდა, ხანაც მის მხლებლებზე გადაიტანდა მზერას.

– რამდენი წლის ხარ, შვილო? – ბოლოს შეეკითხა.

– ოცდათხუთმეტი შევასრულე! – მიუგო საურმაგმა.

– ოცდათხუთმეტი? – კვლავ კითხვა ჩაურთო, – კაცობის ხანაში შესულხარ. ეგ ის ასაკია, რომლის შემდგომაც, ცუდის ქმნა აღარ გეპატიება. ოცდაათი წლის ვიყავი, რომ სიცუდეს მივანებე თავი. სულ ლოცვით და ვედრებით მოვაღწიე აქამომდე. მანამდელი გლახა ყოფა განა მიხარია? როს ვფიქრობ, სინანული მიპყრობს. ჩემმა ხანდაზმულმა გამოცდილებამ, ბევრი რამ მასწავლა. ასოცდახუთი

წელიწადი დაილია დაბადებიდან, ერთიმეორეს არა ჰგავს არც ერთი. თუმცა, ზამთარს ყოველთვის გაზაფხული ცვლის და გაზაფხულს კიდევ ზაფხული. ბეჭებზე ტვირთად და გონებაში ცოდნად მიზიან გავლილი წლები.

ოთხმოცდაათი წელიწადით მეტი ვიცი შენზე, შვილო, ოთხმოცდაათი წელიწადით, ამიტომ ვამბობ!

მე ვიცი, მტერს შეიძლება დაუმოყვრდე, მაგრამ, აროდეს უნდა დაივიწყო, ის მტერი იყო! მეგობრის ერთგულებაში ეჭვს ნუ დაუდებ ბინას, თორემ ის ბინა შენივე საპყრობილედ გექცევა!

მლიქვნელსა და ფარისეველ კაცს სიტყვა მოუსმინე, დაემოწმე როგორც მას სურდეს და გაშორდი.

უფრთხილდი თავის ნებაზე მიშვებულ ცოლსა და ბედაურს. აღვირახსნილი თანამეცხედრე, სწორედ იქ გიღალატებს, სადაც ერთგულება მეტად და მეტად დაგჭირდება. სადავეაულაგმავი ბედაური, ხიფათს შეგყრის.

ნუ მიენდობი ხმალსა და სიტყვას. სატევარი ფიცხელ ბრძოლაში გადაგიტყდება, სიტყვას დილის ნისლივით ფერმკრთალობა სჭირს! – თითოეულ ფრაზას ხამუშ-ხამუშ, ხანგამოშვებით ამბობდა მხცოვანი. თან თავისსავე ნათქვამს, თავის ქნევით დასტურს აძლევდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. საურმაგს მოხუცისათვის რაღაც უნდა ეთქვა, აღარ დასცალდა. კარი ფრთხილად გაიღო, ბიმურზა შემოვიდა.

ბიმურზას ფეხდაფეხ რამდენიმე მოახლე მოჰყვა. ვის საჭმელ-ხორაგით სავსე ტაბლაკი ეპყრა ხელთ, ვის ტაშტი და წყლიანი სურები.

სუფრაზე საჭმლის დალაგება დაიწყეს.

სტუმრებს ხელები დააბანინეს.

იულია არ ჩანდა. რაღაცნაირად მოესაკლისა საურმაგს, ლამაზთვალებიანი მხევალი.

– მამა, სტუმრებს მოაწყენდი შენი ქადაგებითა და რჩევით. მცირე ხანს მაინც მოასვენე, ივახშმონ! – მოხუცს მიმართა ბიმურზამ.

შვილის სიტყვებზე, ბერიკაცს სახე უშნოდ მოეღრიცა. ძლივს-ძლივობით აიმართა ზეზე. უკმაყოფილოდ რაღაც ჩაიჩიფჩიფა თავისთვის და ნელა გაფრატუნდა ოთახიდან.

მისი გასვლის შემდეგ, ბიმურზამ მამა კვლავ აუგით მოიხსენია: – ასე იცის, – თქვა მან, – ათასგვარ ნაბოდვარს მოიგონებს. მოყვება და მოყვება. ხანდახან, ნათქვამს რამდენჯერმე გაიმეორებს. გულმავიწყობაც დასჩემდა, რას ლაპარაკობს, თვითონაც ვეღარ გარკვეულა!

– არა, მეგობარო! – ხელსახოცით ხელები შეიმშრალა საურმაგმა, – კარგადაც ვისაუბრეთ და გავერთეთ. ურიგო არაფერი უთქვამს და უქნია. პირიქით, ბევრი რამ ჭკუის მოსაკრებიც გაგვიზიარა!

ივახშმეს. ღვინით შექეიფიანებული საურმაგი, საწოლ ოთახში მოსასვენებლად წაიმძღვარა რომელიღაც მოახლე ქალმა.

საწოლ ოთახში შესულს, იულია წყლიანი სურითა და ტაშტით მიეგება. დაბლივ ჯორკოზე ჩამომჯდარ სტუმარს, წუღა და წინდები გახადა, თბილწყლიან ტაშტში ჩააწყობინა ფეხები და დაბანა დაუწყო.

ესიამოვნა სტუმარს ქალის რბილი და ნაზი ხელების ფათური. მარჯვენა მხარზე გადასდო მხევალს. ქალს ვერხვის ფოთოლივით უთრთოდა სხეული. საამო სითბოს სურნელი გამოსჭვიოდა აბრეშუმის სიფრიფანა კაბიდან და გამოუცნობ ნეტარებაში ხვევდა ვაჟკაცს.

კაცის ხელი რბილად, ზრდილობით მოიცილა ბეჭიდან ქალმა: – ფეხები ტაშტიდან ამოიღეთ, ბატონო! აგერ აქ დააწყვეთ, – უთხრა და ფეხებქვეშ ბეწვიანი ტყავი გაუფინა.

ნაღვინევი თვალებით მიაჩერდა ქალის ალმოდებულ სახეს საურმაგი. ერთხანს უყურა მის ჩახრილ წამწამებს.

– რატომ გამირბიხარ, იულია? იქნებ არ გინდივარ, მეუღლედ არ გამომყვები? – შეეკითხა. ქალის წამით გამონათებული, ეშხიანი თვალების მზერაში, იდუმალი თანხმობის თუ გაკვირვების ნიშანი ამოიკითხა.

შეთამამდა.

– ჰა, რას იტყვი? – კვლავ ჰკითხა, – საკმაო საჭურჭლე გამაჩნია, რამოდენიმე საბატონო მამულსა და ყმებს ვიყიდი. დედოფალივით გაცხოვრებ, დილის ნიავსაც არ ავაქროლებ შენს უნებართვოდ. მოახლედ ყოფნას, ჩემთან გერჩიოს. გვეყოლება შვილები, შვილთაშვილები და რაც უპირველესია, ბედნიერება გაგვიცისკროვნებს ცხოვრების აზრსა და ხალისს.

ქალს თავი დაბლა დაეხარა და დუმდა.

მცირე ხანს იდგა ასე. ბოლოს, მორცხვად შემოხედა საურმაგს.

– განა ბედნიერი იქნები, სხვათა სისხლის ღვრითა და ძარცვით? – მორიდებულად ჩაილაპარაკა.

– სახელი მაგან მომიტანა, იულია! სახელმა და ვაჟკაცობამ ქონებაც შემძინა. აბა, მონა ვყოფილიყავი? უპოვარი და შიმშილით მუცელმიმხმარი?

– მე კი ასე მგონია, – კვლავ მორცხვად შეჰხედა ქალმა, – სახელი და ვაჟკაცობა მხოლოდ პატიოსან ნაღვაწს მოაქვს. სხვათა

უბედურებით, საკუთარ ბედნიერებას ვერ შექმნი! – ჩაათავა თუ არა ეს სიტყვა ქალმა, ტაშტს წამოვალო ხელი, სტუმარს ტკბილი ძილი უსურვა და მალევე გავიდა ოთახიდან.

დილით, პირის დაბანისას, იულია სურით წყალს რომ უსხამდა, საურმაგმა კვლავ შეჰბედა ქალს.

– მაშ, არ უნდა გამომყვე, იულია?

პირისახეზე ალაჟვარდებული ქალი, ერთხანს ყოყმანობდა. ეს მერამდენედ ეკითხებოდა საურმაგი.

უპასუხო კითხვებს, ზრდლობის ფორმით პასუხი მოეთხოვებოდა და ბოლოს და ბოლოს, მანაც მიუგო: – რა გითხრათ ბატონო, თქვენ რომ ცხოვრობთ, ისეთ ყოფას მე ვერ ავიტან! ალალი გარჯით მოპოვებული ლუკმა იქნება ჩემი სიხარული და ბედნიერება. მეტი არაფერი მსურს.

– საკეთილოდ თუ შევიცვლები?

– მაშინ უარი რაზედ მეთქმის? თავისუფლება მაინც ხელთ მექნება! – თქვა და სწრაფად მიიმალა კარში.

ამის თაობაზე, მოგვიანებით ბიმურზას მოელაპარკა საურმაგი. დათქვეს: ბექუს დალაშქვრის მერე წაეყვანა მასთან იულია, ხოლო თავის მხრით აღუთქვა, იმ დღიდანვე, წესიერ ცხოვრებას მოჰკიდებდა ხელს.

მზიანი დილა იდგა. მნათობმა სხივები ნაავდრალ მიწას რო-გორც კი დააფინა, საურმაგმა, მხლებლებთან ერთად, ჭიშკარგარეთ გააჯირითა ბედაური.

***

სამი დღის სავალი, ოთხ დღეს იარეს.

გზაში, თავზეხელაღებულ მძარცველ-ავაზაკთა ჯგუფს გადაეყარნენ. მათთან რკენის დროს, ერთი მხლებელი მოუკლეს. დანარჩენებმა კი, ძლივსძლივობით შეასწრეს ტყეში და მიიმალნენ.

ოთხი მხლებლით ჩავიდა საურმაგი დანიშნულ ადგილას. ბექუს ბანაკიდან, ნახევარი დღის სავალზე დაიდო ბინა და ჩუმად თვალთვალი დაუწესა მხლებლებს, მორიგეობით.

დაყურადებიდან მეოთხე დღეს, გულუშიშის მაცნე მოვიდა. სპა მუხუვანში შემოეყვანათ ბექუს მოქიშპეებს. სულ სამიათასმდე არიანო, ათასი მხედრით ფოცხვერი მოსულიყო მთიდან, შენს ნიშანს ელოდებიანო.

საურმაგმა ნიშანიც დაუთქვა. მის ნებამდის სპა არ დაეძრათ.

მეექვსე დღის სისხამ დილას, მეთვალყურე ბანაკში სწრაფად მიიჭრა და საურმაგს მოახენა, ხუთი მხედარი, ბექუს სამყოფიდან, ცხენთა დაუმცხრალი ჭენებით მთებისკენ გამოემართნენო.

სასწრაფოდ ამხედრდა საურმაგი და სამი მხლებლით დაედევნა ბექუს ხალხს. დარჩენილ მხლებლებს კვლავ მეთვალყურეობა დაუბარა.

ციცაბო ხევებით და ღრანტეებით მოცულ მთებში, სამ დღეს უჩუმრად მისდიეს. მეოთხე დღის დილას, ბექუს წარგზავნილები, მიუვალ ტყეთა შუაგულში, პატარა სენაკს მიადგნენ. ორი ბერი გამოაგება სტუმრებს სენაკიდან და მოსულნი სადგომში წაიმძღვარა.

მცირე ხნის შემდგომ, სენაკიდან უკანვე გამომავალი ბექუს წარგზავნილნი, ორად გაიყვნენ. იმათგან სამი, ღელის პირიპირ, ბარში დაეშვა, ორი კი, ქვეითად, ციცაბო ფერდს შეუყვა. იმ ორში, ერთი, სრულებით ყმაწვილი ჩანდა, მეორე ახოვანი, მშვენიერი ვაჟკაცი იყო.

ბარისკენ წასულებს მხლებელი დაადევნა, თან დარიგება მისცა. თვითონ კი, მხლებლებთან ერთად, მეორე ჯგუფს მიჰყვა კვალში.

ციცაბო რომ აათავეს, წინ მავლები ცხენებს მოევლნენ ზურგზე და ნადირთა გაკვალული ბილიკით, მთის წვეროსკენ აწელეს გზა.

მდევრებმაც მათ კვალზე გააჯირითეს ცხენები.

იმ დღეს, რამდენიმე მთა გადაიარეს. გარშემო მიუვალი, ტყიანი ხევები და წარაფები იჭყიტებოდა.

შორს, რამდენიმე დღის სავალზე, კლდოვანი, თოვლის ნამქერებით დახუნძლული მთები მოჩანდა.

იმ მთებს გადაღმა, თორთომის ქვეყანა იწყებოდა. ალბათ, თორთომში მიდიანო, გაიფიქრა საურმაგმა.

როგორმე, ცოცხლად უნდა შეეპყრო თორთომში ჩაღწევამდე.

წინ მავლებმა კლდოვანი, უტყეო ბორცვი გადავლეს და ხევში ჩაიმალნენ.

მდევრები ბორცვზე რომ ავიდნენ, იქით, ტყიანი ფერდობის ძირში, მოზრდილი მინდორი დაინახეს. მწვანე ბალახი ხასხასებდა მინდორზე.

დაბლა, თვალჩაუწვდენ ხევის ქვევით, გაუვალ ქარაფებსა და ბუჩქნარებიდან, ღელის ყრუ გუგუნი ამოდიოდა.

მხედრები ტყის პირას, მინდორში ჩამომსხდარიყვნენ. საღამოვდებოდა.

– ღამეს ალბათ აქ გაათევენ! – მის უკან მდგარ თანამგზავრს მოუტრიალდა საურმაგი.

– ასე ჩანს ნამდვილად. ბინდში სიარული, ამ გაუალ ტყე-ღრეში შეუძლებელიცაა, ბატონო!

– ჩვენც აქ მოგვიწევს ღამის გათევა, ბაშარ! – უთხრა საურმაგმა და ცხენიდან ჩამოხტა.

დაქვეითებულებმა, ცხენებს ლაგამი აართვეს პირიდან და მოლზე მიუშვეს.

– ბაშარ! – თანამგზავრს მიმართა საურმაგმა, – ეგენი, ვფიქრობ, თორთომში მიდიან. ვეცადოთ, მანამდე როგორმე შევიპყროთ! მოდი, ასე ვქნათ: ტყე-ტყე გადადი მაგათ სადგომთან ახლოს, დააყურადე. როგორც კი ხელსაყრელი დრო გაჩნდება, ტვირთიც შეათვალიერე რა მიაქვთ ამ სიშორეზე, მეც მალე მოვალ.

– იქნებ, მალულად ჩაგვეხოცა, ბატონო?

– არა, სიკვდილი არაფერს მოგვცემს. როგორმე ცოცხლად უნდა შევიპყროთ!

ბედაურები გადაღმა ჩარეკეს, რომ უცბად ხვიხვინით არ გამოეაშკარავებინათ მდევარნი.

ტყე-ტყე, მალულად იარა ბაშარმა. მცირე ხნის შემდეგ, მიუახლოვდა ბექუს წარგზავნილთა ბანაკს, ბუჩქებიდან ფარულად გახედა.

ტყის პირას, ვებერთელა ნაძვის ძირში, ცეცხლი ენთო. ტკაცუნით იწვოდა ცეცხლში ხმელი ფიჩხი და კუნძი. ცხენები მინდორში ძოვდნენ.

ღამის მობინადრეებს, უწესრიგოდ მიეყარათ ნაბდები და იარაღ-საჭურველი. თვითონ არ ჩანდნენ. ალბათ, სანადიროდ იქნებიან წასულიო, გაიფიქრა ბაშარმა.

დაურიდებლად გავიდა ტყიდან. კოცონის გვერდით მიგდებული ნაბდის ასაღებად დაიხარა. იქვე, სულ ახლოდან ხმა მოისმა: – ნუ შეწუხდები, მანდ იყოს, არაა საჭირო, კარგად დევს!

გაწვდილი ხელი გაუშეშდა ბაშარს. სახე მთქმელისკენ მოეღრიცა.

მთქმელი კი, ბუჩქებიდან ამოიმართა და ნელი ნაბიჯით, ბაშარისკენ წამოვიდა.

მოყმე ტანმაღალი და კუნთოვანი ჩანდა.

– მეორე სადღა წავიდა? რატომ არ გახლავს? – კითხვა მიაგება.

პასუხი რომ ვერ მიიღო, მანვე გააგრძელა: – ალბათ, ბედაურებს დარაჯობს. ნადირი მრავლად იქნება ამ უღრანებში. მაინც, რისთვის გამოგაგზავნა? ანდა, ამდენი დღე მსტოვრის გეშით, კვალში რაზედ მოგვყვებოდით?

მოყმეს მხოლოდ სატევარიღა ეკიდა, სხვა საჭურველი აქვე, ბაშარის წინ ეყარა.

ბაშარს გული მიეცა. უსაჭურვლოდ იოლი იქნებოდა მისი შეპყრობა, აკი ასე თქვა საურმაგმა, ცოცხლები შევიპყროთო. ხმალი იშიშვლა, ფარს ჩასჭიდა ხელი და მტკიცე ნაბიჯებით გაემართა მოწინააღმდეგისკენ.

– დაყარე იარაღი და დაგვმორჩილდი! – დასძახა.

– ჰეეე? – ოდნავ ღიმი შეადგა ბაგეზე მოყმეს, – დავყარო რა, შენი ნაბოძვარი ხომ არ გგონია?

– დაჰყარე-მეთქი! – კვლავ დაჰკიჟინა ბაშარმა, – თორემ, სიკვდილის მომლოდინეს, სინანულს შეგყრი.

– აჰა, წაიღე! – სატევარი შემართა მოყმემ და გულდაგულ მოუქნია.

არც უსუსური იყო ხმალში ბაშარი. ღონით და ხერხითაც, ერთ კარგ ვაჟკაცსაც არ დაუდებდა ტოლს.

მოწინააღმდეგეს, მანაც ხმალი შეაგება.

ფიცხლად დაატრიალა სატევარი მოყმემ. ხან აქედან დაჰკრა და ხან იქიდან. ჯავშნით და მუზარადით შემოსილს, ვერაფერი დააკლო.

მორიგი შეტევისას, მეტოქემ ბეჭის ქვეშ, იღლიასთან, მძლავრი ხმლის დაკვრით, ჯაჭვი ბოლომდე ჩაუხია.

მოყმემ ბაშარის შეუჯავშნელი ადგილიც მოძებნა, რამოდენიმეჯერ დაჰკრა კისერთან ხმალი.

ბაშარი მძიმე დარტყმებისგან გადატრიალდა და მიწას დაენარცხა.

მოყმე წამით შედგა და ეს წამი სავალალო აღმოჩნდა. ტყიდან ნასროლმა ისარმა, იღლიის ქვეშ, დაუცველი ადგილი მოძებნა. ისრით დაჭრილმა გონი დაკარგა და ძირს დაცემული, ქვევით ჩაგორდა.

საურმაგმა ამ რკენას სწორედ იმ დროს მიუსწრო, როცა ბაშარი უკვე მიწაზე ვარდებოდა. მოწინააღმდეგის შიშველ იღლიას უსწორა ისარი და სტყორცნა. ისრით დაჭრილი მოყმე, უგონოდ ძირს დაეცა.

ფეხმარდად ამოიჭრა ბუჩქებიდან. დაჭრილებისკენ გამოემართა.

რაღაც შეუცნობელი ძალით წამოდგა ზეზე ბაშარი. ანგარიშმიუცემლად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და ნელ-ნელა ძირს ჩაიჩოქა.

სწრაფად მივარდა საურმაგი მხლებელს. პირქვე ჩამხობილს, მუზარადი აჰხადა. კისერში ორი თუ სამი ღრმა ნაჭრილობევი მოუჩანდა. ჭრილობებიდან სისხლი სდიოდა. ერთადერთი შეუჯავნელი ადგილი მიეგნო მეტოქეს.

დაჭრილი პირადმა გადმოატრიალა. მხლებელი მკვდარი იყო, თვალები ღია დარჩენოდა მიცვალებულს. ცხედარი ფრთხილად დაუშვა ძირს და დაჭრილ მეტოქეს მიუტრიალდა. პირადმა მწოლარე, ძლივ-ძლივობით სუნთქავდა, გონს ჯერ კიდევ არ მოსულიყო.

ტანისამოსი მოუსინჯა. ახალუხის შიგნითა ჯიბეში ბარათი იპოვნა.

მცირე ბარათი ჯიბეში ფრთხილად ჩაიცურა და ახლადა დახედა სახეზე. დაჭრილს ნიკაპზე წვერი სრულებით აღარ ჰქონდა და მის ადგილას სითეთრე იჭყიტებოდა.

აქერცლილი კანის ნაწიბურებს მოჰკიდა ხელი. წებოვანი, თხელი აფსკი თავისით აჰყვა და ამ აფსკის ქვეშ, ახლად ულვაშაკოკრილი, მშვენიერი ვაჟკაცის სახე გამოილანდა.

სადღაც მინახავს ეს ჯეელი, გონებაში გაიაზრა საურმაგმა და ამავე დროს, მის მოპირდაპირე ტყის პირიდან, ლაწანი მოისმა.

ხმაურმა იქეთ მიიხედა. ის ყმაწვილი იყო. დაუფიქრებლად გამოედევნა ყმაწვილს.

ერთი უცნაურად შეჰყივლა ყმაწვილმა და ბუჩქებს შეერია.

ყმაწვილს მიდევნებული საურმაგი, ტყეში ფიჩხის ხმაურის კვალს მიჰყვებოდა, მაგრამ მალე ხმაც მიწყდა და ბინდმაც ფრთა ჩამოიშალა, ისედაც ჩამობნელებულ ტევრის ჩრდილში.

დევნა უაზრობად ჩათვალა. უკანვე გამოტრიალდა. ნაბრძოლ ადგილას რომ მივიდა, ბაშარის ცხედარი უკვე გაცივებულიყო, დაჭრილს კი ვეღარ მიაგნო.

ბედაურები კვლავ მინდორში ძოვდნენ.

იარაღ-საჭურველი ისევ ძველ ადგილას ეყარა. მინავლებული კოცონი ოდნავ ბჟუტავდა.

დაჭრილის სისხლის კვალს მიჰყვა. მცირე მინდორი ჩავლო და ტყის პირას, ქვევით, წარაფთან, უზარმაზარი ლოდის გვერდით, მოზრდილი ხვრელი შეამჩნია. ხვრელის პირას წყდებოდა სისხლის კვალი.

ხვრელიდან მრუმე სიბნელე ამოდიოდა.

საურმაგმა გულდასმით მოათვალიერა იქაურობა.

ლოდის გარშემო ციცაბო წარაფებს შეეკრათ პირი. წასასვლელი არსაით იყო. ერთადერთი გზა, პირდაღებული ხვრელისკენ მიემართებოდა.

– ეტყობა, დაჭრილს მიმალვა სწადდა და ხვრელში ჩაეშვა! – გაიფიქრა, – არაფერია, თავისივე სამარე უნახავს, რათა

უშფოთველად განისვენოს, – ხმამაღლით დაამატა და უკანვე გამოტრიალდა.

ამასობაში ჩამობნელდა. მკვდარი ზურგზე მოიგდო და უჩვეულო ტვირთით, ბედაურებისკენ გასწია.

ადგილზე მისულმა, ბედაურებს ძლივ-ძლივობით მიაგნო. ბედაურები მაღლა ამორეკა, ხეებზე ტყავის ბაწრებთი მიაბა. კოცონი დააგზნო, მკვდარი დაასაფლავა, ცეცხლი უფრო მძლავრად ააგიზგიზა და დაღლილმა, მხარფართო ხის ძირში, მოსასვენებლად მოიკალათა.

ტყეში აქა-იქ გაშლიგინებული ნადირის თვალები, წამდაუწუმ კვესავდნენ ღამის სიბნელიდან. საკბილოს საღერღელაშლილი მხეცები, ვერ ბედავდნენ ცეცხლის სიახლოვეს მისვლას. სწორედაც ამიტომ იყო, რომ გაავებით მოძახილი, მგლების ყმუილი, დათვის ბურტყუნი თუ ტურის ჩხავილი, გამუდმებით ირეოდა ერთმანეთში. საიდანღაც ჭოტის კივილი ისმოდა.

ის ღამე ზეზეურად გაათენა.

რიჟრაჟის პირს, ხორცის ნაჭრები რომ ცეცხლს მიუფიცხა, უგზო-უკვლოდ გამქრალი დაჭრილი გაახსენდა. მისი ხვრელში გაუჩინარება ჯერაც ვერ დაეჯერებინა. არადა, ისრით გვერდშელეწილი შორს ვერსად წავიდოდა.

დაჭრილი უსათუოდ იმ ხახადაფჩენილ მღვიმეში ჩავარდა. ჩავარდა თუ ჩაეშვა არავინ უწყის. ერთი კია, ის იქ მიიმალა.

მოაგონდა, ამ მშვენიერ ჭაბუკს, საურმაგი მეფის სასახლეში შეხვედრია. თუმცა, მისი ვინაობა და წარმომავლობა ვერ გაიხსენა.

გაუჩინარებულის გულისჯიბიდან ამოცლილი ბარათი გახსნა. ორმხრივ გაკეცილ ქაღალდზე ნაწერი მსწრაფლ ჩაიკითხა: „სხლოვანში კრაზანების საკმაო გუნდი წამოიშალა. ჯერ ვერ ბედავენ ტყეში შემოსვლას, თუმცა მალე ალბათ ტყესაც მოესევიან. მეწამლეს აცნობე, კრაზანების მომაკვდინებელი შხამი გამომიგზავნოს!“

„კრაზანების მომაკვდინებელი შხამი გამომიგზავნოს“ – ხმამაღლით გაიმეორა საურმაგმა. ერთხელ კიდევ დახედა ბარათს და ნაწერში იდუმალ თქმული ამოიკითხა: „სხლოვანში მომტერეთა სპა დაბანაკდა, ალბათ სხვათა მოსვლასაც უცდიან. რათა საკმაო ძალით მობედონ ტყეში შემოსვლა საბრძოლოდ. სარდალს აცნობე, ლაშქარი მომაშველოს.“

სარდალი ალბათ ახლოებში მყოფი მეფის ჯარების უფროსია. ანდა, თუნდაც ბაგრატი. ბექარიც ხომ ამას ამტკიცებდა, რამდენიმე ბრძოლაში უფლისწულს გადავეყარეო.

აი, თურმე საიდან და რა ხერხით ღებულობს ბექუ დამხმარე ძალას. ამჟამად კი, ამას მოკლებული იქნება. თუ საურმაგი იჩქარებს და სასწრაფოდ დაძრავს ჯარს ყაჩაღთან შესარკინებლად.

მოზრდილი პურის ნაჭრები ერთბაშად ჩაყლაპა. შეისხა იარაღ-საჭურველი ტანზე და ფიცხლად მოსხლიტა ბედაური.

ბილიკზე სწრაფად გაჭენებულ ბედაურს, ბაშარის ცხენიც გაედევნა კვალში.

სამ დღეს აჭენა დაუზოგავად ცხენი. სხლოვანში სწორედ იმ დროს ჩავიდა, როცა ლაშქარი უკვე სრულ მზადყოფნაში იყო. მხოლოდ მისსავე ნიშანს უცდიდნენ.

მეორე დღის სისხამზე, სამიათასხუთასამდე მეომარი დაიძრა ყაჩაღის საბინადროსკენ. სპას გულუშიში ჩაუდგა სათავეში.

ორი დღის სვლის შემდგომ, გზაში, გულუშიშს ბექარის მაცნე ეახლა. ფოცხვერი იტყობინებოდა, მეც მოვდივარ სპით და ერთდროულად დავეცეთ ბექუ-ყაჩაღსო.

რამდენიმე დღე-ღამის დამქანცველი მგზავრობით შეწუხებული აზნაურთა ნაერთი ჯარი, ერთი დღის სავალზე დაბანაკდა ბექუს სადგომთან. მათ საღამოსპირს, ბექარიც შეუერთდა ლაშქრით.

მეკავშირეებმა იბჭეს, ითათბირეს და მეორე დღისთვის გადადეს ლაშქრობის დაწყება.

***

ათ დღეზე მეტი გავიდა, ბექუმ ზაზა და გური რომ გაგზავნა მაშველის მოსაყვანად.

ამ ხანში, დათქმული პირობის თანახმად, ზაზა უკანვე უნდა მობრუნებულიყო, გური კი, სპას ჩამოჰყვებოდა უფრო მოგვიანებით.

არ ჩანდა ზაზა. ბარისკენ წარგზავნილთა კვალიც გაქრა. ნაბდისხევში განდეგილ ბერთან აფრინა კაცი. წარგზავნილებს იქ ჩაევლოთ, ამის შემდგომ კი, კვალი იკარგებოდა. ნეტავ, რა შეემთხვათ? ფიქრობდა ბექუ. გზაზე მოხეტიალე ავაზაკებმა თუ შეიპყრეს? ეს ნაკლებად სავარაუდო იყო, რადგან ყველა იმათგანი, მძლე და ჩაუქი მეომარი, აგრე ადვილად არ ჩაუვარდებოდნენ ხელთ მცირედი გროშებისთვის მოწანწალე არაკაცებს. სხვა ყაჩაღები კი, ამ მიდამოში ბექუს გამოჩენისთანავე, უკვე საკმაო ხანია აღარ ბოგინობდნენ.

იქნებ, ფარულად მყოფ მოქიშპე აზნაურთა რაზმმა შეიპყრო? ვინ იცის, ალბათ ასეც იყო და მაშველს ტყუილად ელოდა.

მტერი კი, ერთი დღის სავალზე მოახლოებული მტერი, სულ მალე, სპით შეკრავდა ხევს და სრულად უთანასწორო ბრძოლას გაუმართავდა რაზმელებს. ამ რკენიდან თავის დაძვრენა შეუძლებლად მიაჩნდა. ხევებსა და მთის კენწერობს აზნაურთა მსტოვრები მოჰფენოდნენ. ალბათ რაზმელთა ყოველ ნაბიჯს მისხალ-მისხალ წონიდა მტერი.

გუშინ საღამოს, საბინადროს გარშემო შემართული მთების ფერდებზე, ყოველმხრივ კოცონები ენთო. ეს რამოდენიმე დღეა ამ მიუვალ და უდაბურ მხარეს გამოცოცხლება დაეტყო.

სხვა სავალი არ ჩანდა, უნდა მიეღო მტრის გამოწვევა. ორასამდე დარჩეული ვაჟკაცი მას თვითონ ჰყავდა, სოფლებიდან მოხალისეთა რაზმებიც უწყვეტად მოედინებოდა. ასე რომ, არც ისე სავალალო იყო მისი მდგომარეობა.

თუმცა, ერთი რამ საჭოჭმანო რჩებოდა. ხუთიათასამდე, შურისგებით აღვსებულ, დაუნდობელ მგელს, სისხლი სწყუროდა, სისხლი!

რიცხობრივი სიჭარბის არ ეშინოდა. ისეთ ვიწროებში შემოიტყუებდა, მტერი ფრთას ვერ გაშლიდა. მაგრამ, ომში ყველაფერი მოსალოდნელია და თანაც, დაჭრილ-დაბუჟებული სხეული კვლავაც არ მორჩენოდა.

ქვაბის გამოსასვლელში მდგარი ბექუ გაჰყურებდა სერებზე შემოტმასნილ, თეთრ, ბოლქვა ნისლის ნაფლეთებს, როგორ ერეკებოდა დილის ხორშაკი ქარი. გაზაფხულის მზეს, ნამიან მიწაზე დაეფინა სხივები. საკმაოდ დაეკლო ღელეს.

ქვევით, ბანაკიდან, ხმაური ამოდიოდა. დაბლა ჩამყურეს, თხმელის კორომში, თარხოჯის სახე გამოელანდა. მალე, შეთხელე-ბული ხეებიდან, მკაფიოდ გამოიკვეთა მისი ბუმბერაზი სხეული.

თარხოჯს უკან ვიღაც უცნობი მოჰყვებოდა. წინ მიმავალზე არც თუ ნაკლები, ბრგე ვაჟკაცი ჩანდა. შავი, ზომიერი წვერითა და ბრტყელი ულვაშებით. ფართო შუბლზე, მთელი სიგრძით, ნაიარევი გადასდიოდა.

– რა ამბავი მოიტანე, თარხოჯ? – მოსულებს მიახლოებისთანავე შეეკითხა ბექუ.

თარხოჯი ბექუს გვერდით შედგა, ერთი მძლავრად ამოისუნთქა და შეყოვნებით უპასუხა: – არც თუ სახარბიელო! ერთი დღის სავალზე დაბანაკებული მტერი, ადგილიდან დაძრულა. შესაძლოა,

ხვალ დილას აქ გაჩნდეს და ბრძოლაც გაგვიმართოს. ჩვენ კი, მცირედი სპით რაღა დაგვრჩენია, მაშველის იმედიც არ არის, მოგვიწევს სამკვდრო-სასიცოცხლო რკენა, ბექუ!

მცირედ შეყოვნდა თარხოჯი. ღრმად ამოისუნთქა და გააგრძელა: – სიკვდილ-სიცოცხლე სრულებითაც არ მაფიქრებს, სხვა რამ დამდებია გულსა და გრძნობას. ორი წელია ვებრძვით უკეთურებს და ჩვენი მარცხის შემდგომ, ისინი ზეიმით გალაღებულნი, უფრო მეტი დაურიდებლობით მოედებიან ქვეყანას წასაბილწავად.

– ეგ ღმერთის ნებაა, თარხოჯ! სპის სიმრავლე გამარჯვებას არ ნიშნავს და უფრო რიცხვჭარბ მტერთანაც გვიცდია მარჯვენა. შენ ეს კარგად მოგეხსენება. შარშან არ იყო, ისპირში ორიათას ბიზანტიელ რაინდს ოთხასი მოყმით რომ ვძლიეთ? სტუმარი ვინ მოიყვანე? – მოსულისკენ შემოტრიალდა.

– მოხალისეთა სპის მეთაურია, ნაგუთნარიდან.

– გამარჯვებით მოსულიყავი! – სტუმრისკენ ფეხი წადგა ბექუმ. მარჯვენა გაუწოდა.

სტუმარმა დინჯად შეაგება ხელი. მის ფართო მუჭში, ბექუს არც თუ პატარა მჯიღი, სულმთლად ჩაიმალა.

– მოხალისენი სულ რამდენი შეგროვდნენ? – მისალმების შემდგომ, კვლავ თარხოჯს მიუბრუნდა ბექუ.

– ხუთას მეომრამდე არიან.

– ზაზა არა ჩანს. რაიმე ცნობა ხომ არ მოუტანიათ წარგზავნილების შესახებ?

– არა!

– საკვირველია! – თავი ორჭოფულად გააქნია ბექუმ. – უსათუოდ რაღაც შეემთხვათ, რომ მოსვლა შეიგვიანეს.

– მეც ასე ვფიქრობ, – კვერი დაუკრა თარხოჯმა, – აქამდე მაშველიც უნდა გვყოლოდა.

ამ ლაპარაკით შევიდნენ ქვაბში და სექვზე ჩამოსხდნენ.

ქვაბში, ცეცხლის პირს, სადგამზე, თუხთუხებდა შეჭამანდი. მოხარშული ხორცის სასიამოვნო სურნელი ამოდიოდა ჭურჭლიდან.

***

რიჟრაჟზე, ადრიანად, ბექუს აცნობეს, მტერი ხეობას ორივე მხრიდან მოჰყვება, სამი ათას მეომრამდე იქნებიან, სულ ცხენოსანნი ჩანან და კარგადაც შეჭურვილ-შეჯავშნულიო.

ასეც ელოდა. ზურგიდანაც მოუვლიათო, არაფერია, წინდაწინ ხომ ამგვარად ივარაუდა. საგორავები და ლოდები შეამზადეს.

რამდენსამე ადგილას, საგორავებით ჩაუხერგავდა გზა-ბილიკებს მტერს და ვიწროში დერეფანისებრ ველზე შემოსწრებულებს, მცირე მხედრობითაც ადვილად დაუხვდებოდა.

ორად გაიყო ლაშქარი. ერთ ნაწილს თარხოჯმა უსარდლა, მეორეს თვითონ ჩაუდგა სათავეში და კლდეებითა და უფსკრულით შემოზღუდულ მცირე ვაკობზე ჩადგა თავისი მხედრობით. წამოსვლისას, თარხოჯი დაარიგა, ქვა-ღორღით კარგად ჩაკეტეთ შემოსასვლელი ბილიკი, ისე რომ, რიცხვჭარბი მტერი ვაკეზე შემოსულებს ვერ დახმარებოდა.

მზე საკმაოდ ამაღლდა ცაზე. მტრის პირველი ტალღა, ველზე ყიჟინითა და ღრიანცელით შემოიგრაგნა.

ნელა მოედინებოდა მტრის ლაშქარი. სულ მეწინავე ლაშქარში, დიდაზნაური ბიმურზა შეიცნო ბექუმ.

მტერი ვაკობს მცირედ გამოსცდა და რიგებად გაშლილი, ერთ ადგილას შეყელყელავდა.

ახლა მოქიშპეებს, სამასი ნაბიჯი მანძილი თუ აშორებდა ერთიმეორეს.

ორივე მხარე, მწკრივებად მდგარი, გარინდებულიყო. სიჩუმე ბიმურზამ დაარღვია:

– ბექუ-ყაჩაღო! – ხაფით მოსძახა, – კმარა რაც ივაგლახკაცე! მაგ ავსაქმეთათვის სიცოცხლე სათუო გაგხდომია. ხომ ხედავ, რაოდენი მხედრობით მოვსულვარ? სულ მალე, ზურგიდანაც დაგივლის ჩემი ლაშქარი. ზევით, ციცაბო კლდეებია, ქვემოდან კი, ჩაუვალ ხრამებს დაუღიათ პირი. არსაით გექნება გასაძრომ-შესაფარები. დროა, გონს მოუხმო, უსარგებლო სისხლს ნუ დავღვრით! – მცირედ შეყოვნდა ბიმურზა და კვლავ გააგრძელა: – მე ბიმურზა დიდგულაშვლი, გიბრძანებ, გვარის არმქონე, უსახელო ყაჩაღს, ძლევამოსილთა ნებით, დაჰყარო იარაღი და მსჯავრდებით წარსდგე იმათ წინაშე, ვისთანაც ავი გიქმნია! უკეთუ არ დამორჩილდები ჩვენს მოთხოვნას, მაშინ ძალისძალ მოვალთ! ესეც გახსოვდეს, ცოდვიან ავსულს, მხოლოდ ცოდვა ჩამორეცხს შებილწულ სახელს.

– ბიმურზა დიდგულაშვილო! – საპასუხოდ გასძახა ბექუმ, – გვარიანო და სახელიანო დიდაზანურო, როდის აქეთაა ხალხის ნება რომ მოიშველიე? რითაა ასე დაურიდებლად, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე მოიხსენიებ ხალხს და მცირედით მაინც არ გტანჯავს, უმგვანო სულში ბოროტად ჩაკლული ის დიდი ცოდვა, რაც თუ მოგიმოქმედია? საკითხავია, ხალხს ვის ეძახი, შენისთანა

წრეგასულ უზნეურებს თუ? შენ ხალხი გულში კი არ გიდევს, ფეხქვეშ გყავს გათელილი. მოუხმობ მაშინ, როცა გსურს თავი იმართლო. ტყუილი ცდაა! ჯერ არ ყოფილა, ბრმა იარაღად გამოყენებული ბრბო, მედროვეს ბოლომდე მიყოლოდეს! ყველა არაა თვალისჩინს მოკლებული, ბოლოს და ბოლოს თითოეულის ნამოქმედარი გამოჩნდება და ხილულ ნაფეხურებად დააჩნდება გავლილ გზა-ბილიკს და შენისთანა უწმინდურს, სააშკარაოდ წარმოაჩენს ისევ, ხალხის წინაშე! ბევრჯერ გაგაფრთხილე, უკეთურებას მოეშვი-მეთქი, არ დაიშალე ცუდის ქმნა. გავიგეთ, ერთი თვის წინ, კვლავ გაგიყიდია ყმები მონებად! პირობას გაძლევ, თვალებს არ დაგთხრი, კანს გაგაძრობ და ტყავგაძარცულს მიგაგდებ შენსავე გაშიშვლებული სულის ამარა!

აზნაურთა ლაშქარში ყიჟინ-ზრიალი ატყდა. მუქარისა და ლანძღვის ხმებმა ბექუმდე მოაღწია.

მტრის ბანაკი ამოძრავდა და სტვენითა და იარაღის ჟღარუნით შესარკინებლად გამოქანდა.

– აბა, ბიჭებო, ფიცხლადვე დავკრათ! – გამაყრუებელ გრიალში ჩაიძირა ბექუს შეძახილი.

– გვერდულად ჩამოვუქროლოთ! – კვლავ დასძახა და შუბი ზევით აიქნია. ეს მაღლა, კლდეებზე ჩასაფრებულ მეგორავეთა ნიშანი იყო.

ზრიალითა და ზათქით დაეშვა ზემოდან ქვა და მძიმე მორი.

მინდვრის შემოსასვლელი ყელი აივსო ღორღით.

აზნაურთა ლაშქრის ნაწილი, შემოსასვლელ ყელს მიღმა შეფერხდა. სანამდე ისინი გზას გაწმენდნენ, ბექუს რაზმი მანამდე ანდერძს აუგებდა შემოტყუებულებს. მერე კი, ადვილი იყო ბრძოლის წარმართვა. სწორედ ეს ჰქონდა ბექუსაც ჩაფიქრებული.

მტერს მხარმარცხნივ ჩამოუქროლა და პირველსავე შემხვედრს, სატევარი ძალუმად აძგერა.

ბრძოლის აზარტი ჯერ კიდევ სრულად არ აშლილიყო, რომ ბექუმ უკან დახევის ნიშანი მისცა.

ერთიც მოჩვენებით შეუტიეს რაზმელებმა. შუა ჩეხვასა და ყიჟინში ცხენები მსწრაფლად მოსწყვიტეს და უკანვე გააქროლეს.

ფიცხლივ შეცვივდნენ ვიწრობში.

გაქცეულებს მტერი გალაღებული ღრიალით, კვალდაკვალ მიჰყვა და ვიწრობის შიგნით, გამარჯვებულის ზარ-ზეიმით გაიშალა.

რაზმელებმა უკანვე მოატრიალეს ცხენები. სოლისებურად შეუტიეს მომხვდურს. ეს იმდენად მოულოდნელად მოხდა, რომ

უწესრიგოდ მომსკდარმა მტრის ლაშქარმა, რაზმელებისგან შეჩერებული წინა მხედრობა გადაქელა და არეულ-დარეული მიაწყდა გაალმასებულ მახვილს. დაბნეული და მოულოდნელობით შემცბარი აზნაურთა სპა ველზე გაიფანტა.

– სიკვდილი ხალხის მტრებს! – დასჭექა ბექუმ.

– სიკვდილი! – იგრიალა ერთხმად რაზმმა და თავისსავე მეთაურს მიდევნებული, მოწინააღმდეგის უმოწყალო ჩეხვა დაიწყო.

ჩამოშვავდა საგორავი და ღორღი მაღლიდან. ცხენ-კაცის გვამმა ჩახერგა იქაურობა. აივსო ველი, მხოლოდ ციცაბოსპირზე დარჩა სარკენად მცირეოდენი არე.

ფრთაგაუშლელ აზნაურთა სპას იოლად კაფავდა ბექუს ხალხი.

მტერი კი მოდიოდა და მოდიოდა. თუმცა, თავისუფალი სივრცის სიცოტავით შეჰკვეცოდა ფრთა.

ცვიოდა ქარაფებზე ცხენი და კაცი.

იყო გნიასი, წყევლა, ყვირილი, სატევართა ჩახა-ჩუხის ხმა და უთავბოლო ზრიალი.

თავდაუზოგავად იბრძოლეს ბოლომდე. ბინდი რომ ჩამოეშვა ხევში და ციცაბო, კლდოვან ფერდობებში, მუხოვან ტყეებს შემოეწყო შავი ბურუსი. მოქიშპენი მაშინღა გაშორდნენ ერთმანეთს.

რაზმი ზევით, ბანაკში ავიდა. მოწინააღმდეგემ გადაღმა ვაკობს მიაშურა.

ბედაურები რაზმელებმა მდელოზე საბალახოდ მიუშვეს. ბრძოლით დაქანცული მეომრები, კორდზე მიწვნენ.

რამოდენიმე ადგილას, კოცონებთან, ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილთა სჯა-ბაასის ხმა ისმოდა.

დაფიქრებით მჯდარ ბექუსთან ახლოს, ახლად გაცნობილმა ნაგუთნარელმა ფიჩხი დაჰყარა. ხმელი შეშის ნამტვრევები იქეთ-აქეთ, გარდი-გარდმო დააწყო და კვეს-აბედით ცეცხლი შეუგზნო.

ფთილა-ფთილა მოდებული ნისლის თეთრ ბურუსში, ხანგამოშვებით, ვარსკვლავებით გაჭედილი ცის ნაჭერი წამიერად გაიელვებდა და სავსე მთვარის ოქროსფეროვანი ნათელი, მიდამოს ფიქრივით გადაუვლიდა.

მეომართა ჩუმ მასლაათში, კვნესა-წუხილიც ერია. ბევრი დაიჭრა დღევანდელ ბრძოლაში. თითქმის გაუნახევრდა სპა ბექუს. თუმცა, მტერსაც არ მისცემია რაიმე საზეიმო, მათი უმრავლესობა დაეცა ბრძოლის ველზე.

დაჭრილ-დასახიჩრებულებს თუ ვახსენებთ, ამ მხრივ, მაინცდამაინც სახარბიელოდ ვერა აქვს საქმე მასაც. სხეულის

ყოველი ნაკვთი გაუსაძლის ტკივილს მოუცავს. სულ ათი ჭრილობა დაუთვალა მკურნალმა, ახლახანს რომ უწამლა ნაიარევები. ათი ჭრილობა ხუმრობა ხომ არ არის. ხვალ კიდევ ბრძოლა. გაუძლებს კი? უნდა გაუძლოს, სხვა საშველი არსაითაა. თანაც, მებრძოლებს ამ საბედისწერო რკენაში ვერ მიატოვებს.

მძიმე ვითარება შექმნილა თარხოჯთანაც. მცირეოდენი ხნის წინ აცნობეს, მტერი უკუაქციესო, მაგრამ რად გინდა ამგვარი გამარჯვება, რაზმი ჩაუნავლია ბრძოლაში და...

ნაგუთნარელმა ცეცხლი დააგზნო. სითბომ მალამოდ დაურბინა ძარღვებში ბექუს და მტკივან ადგილებზე დაამება იგრძნო.

ვაჟკაცი მის გვერდით ჩამოჯდა.

ბექუმ, ნაგუთნარელის ბორჩხად გაშლილ მხრებს შეავლო თვალი. მაღალი შუბლი და ზომიერად მოზრდილი, შავი წვერ-ულვაში, მშვენიერ შესახედაობას ანიჭებდა მოყმეს.

შეეხმიანა: – თუმცა დღეს გავიცანით ერთი-მეორე, მაგრამ ვინაობა აღარ გითქვამს და...

ახალუხი ბოლომდე ჩაიხსნა ნაგუთნარელმა. წუღა-მესტები გაიხადა, ოფლსა და სისხლის სუნში გაჟღენთილი წინდები, ცეცხლს მიაფიცხა. ფიჩხის ნამტვრევები შეუმატა ალს. ფეხმორთხმულმა, ალმაცერად გამოხედა ბექუს და დინჯად შეაგება სიტყვა:

– აბა, რა გითხრა? ვარ არც თუ ისე უჩინო გვარისა. სახელად ბაღათური მქვია. თავს ვიწონებ სიქველითა და სიკისკასით. საამისო ღონეც მომდევს და ვაჟკაცობაც. ალბათ ცუდბაქიობად ჩათვლი ჩემს ნათქვამს, მაგრამ როგორც ყველა ღირსეულ მოყმეს, თავმომწონეობაც საკმაოდ გამაჩნია. ასე რომ, ტოლში ტოლს არაფრით ჩამოვრჩები მგონი! – ოდნავი ღიმილნარევი ირონია შეადნა ბაღათურის სახეს.

– ეგ რა სიტყვაა, ბაღათურ! ცუდმკვეხარობაში მართლაც ჩავთვლიდი, დღევანდელი შენი რკენა რომ არ მენახა. საკუთარ თავზე პირდაპირობით თქმული, ღირსებას ულახავს ვაჟკაცს და საკეთილოს ვერაფერს მატებს. გარდა ამისა, უადგილოცაა და სრულიად ზედმეტიც ამგვარი განსჯა.

– იცი რა, ბექუ! – აკრებილი ნისლიდან, სიბნელეს შეაჭყიტა თვალები ბაღათურმა, – ეს წუთისოფელი ისე არაა მოწყობილი, რაც უნდა იყოს და როგორც ჩვენ გვესურვილება.

მე ვიცნობ ერთ მხცოვანს. კაცს, ახალგაზრდობაში დიდებითა და საგმირო საქმეებით გამორჩეულს. სულ დაკენკილ-დაფლეთილი ნაკვთებითა აქვს სხეული დაფარული. რომ ნახო, ჭეშმარიტად გაგიკვირდება. მამულის სამსახურს შეალია მთელი სიცოცხლე.

უძეოდ და უთვისტომოდ დარჩენილ ბერიკაცს, სამადლოდ უვლის ჩვენი ოჯახი. მერედა, რანაირი შვილები ჰყოლია! მამა იტყვის ხშირად, ხუთი მხარ-ბეჭმოსხლეტილი მოყმე, მთელ სოფელს ღირდაო. ყველა დაეცა მტერთან რკენაში, სინდის-ნამუსის შეუბილწავად, თავისუფლებისა და მამულისათვის. დარჩა მხცოვანი მარტოდ, დაჩეხილ-დაკეპილი.

რისთვისაც გაიღო ყოველი, სწორედაც ის არ არგუნა ბედმა – სამშობლო და თავისუფლება! წინაპრების საბინადროდან განდევნილი, მამას, ძველ ნაამხანაგარს შეეკედლა და სამადლოდ შეხიზნული კაცის ყოფა რაღა იქნება? ახლა იტყვის: ჩემი შვილების კუთვნილი ნაფუძარი, ღალატითა და ორპირობით გამორჩეულმა აფთრის ლეკვებმა დაიჭირესო.

იცი? ბევრჯერ შევკითხებივარ საკუთარ თავს: ამდენი ნაღვაწ-ნაამაგარი მოხუცი, რატომ მიატოვა ყველამ-მეთქი და ამ კითხვას ისევ მევე ვპასუხობ. მან ბევრის გაცემა მოიწადინა სიმართლისათვის, ბევრის და ბოლოს ძალადაშრეტილი, ვეღარ აღუდგა იმას, რასაც უსამართლობა ჰქვია.

– შენ ისე უბნობ, ჭეშმარიტებისთვის აღარ უნდა იბრძოლოს კაცმა მაშინ, – სიტყვა შეაწყვეტინა ბექუმ.

– მაცალე, ბექუ! – მარჯვენა მოსაუბრისკენ გაიშვირა ბაღათურმა, – ჯერ არ დამიმთავრებია სათქმელი! მე ასე ვფიქრობ, მარტო კაცის მოპოვებული სიმართლე, უდღეურია და თუკი რამეს იღვაწებ, სანაცვლოდ კუთვნილი წილი უნდა მოითხოვო. კუთვნილი წილი! თუ არ გაძლევენ მას, ძალით უნდა წარტაცო. ამაში ვერავინ დაგდებს მსჯავრს. სხვაგვარად, შენს ხვედრს ვერ დაისაკუთრებ და ბოლოს, იმ მხცოვანივით დარჩები მიუსაფარი.

ქვეყანა გაიძვერებითა და ორპირებითაა დამძიმებული, – კვლავ მანვე გააგრძელა, – მათ ეშინიათ ყოველი საღბუნებიანი გამოვლინებისა და ბოღმა ჰკლავთ. სწორედ ეს ბოღმა იქცევა შემდგომ გაუტანლობად. ალბათ ამიტომაა, ყველაზე მეტად მტრიანი სიმართლის მთქმელი და გულმართალი გუთნისდედაც კი.

– ორი წელია, ყმებით მოვაჭრე აზნაურებს ვებრძვით. ამას სამართლიანობის დამყარებისთვის ვაკეთებ. ამ ჭიდილში, ბევრი ღირსეული ჭაბუკი გამოგვაკლდა. შენი თქმით, მაშინ უაზრო ყოფილა ეს ყოველივე, – შეედავა ბექუ.

– უაზრობაზე ვერაფერს გეტყვი, უხანო კი ნამდვილად არის.

– როგორ თუ უხანო?

– ორი წელიაო, თქვი. ასაკი კი არა მგონია ჰქონდეს საერთოდ მაგ საქმეს. რადგან, ისიც ისეთივე ეულია, როგორც თქვენა ხართ მარტოსულები.

– ჩვენ? ჩვენ რამ გაგვხადა მარტოსულები? ორასი დარჩეული მოყმე, ერთიმეორეს შემკვიდრებულ-შეამხანაგებული!

– ორასი კეთილქმედებით იღწვით, მაგრამ, ბევრი სხვა ათასნი მაგის მოწინააღმდეგენი რომ არიან, აბა, იმ ათასებთან რაღა სახსენებელი იქნებით?

– შენის თქმით, ჩვენს მიზანს აღსრულება არ უწერია? – კითხვა შეაგება ბექუმ.

– არა მგონია! – თავი გააქნია ბაღათურმა, – თქვენ ვერ შეძლებთ ამას და რომც შეძლოთ, ისინი იმგვარ რამეს მოიგონებენ, რომ მის დასაძლევად უფრო დიდი ღონე დაგჭირდებათ. კიდევ გეტყვი, ძნელზედ-ძნელია შეასრულო ის, რაც უმრავლესობას გულზე არ ახატია.

– თუკი ასეა, მაშინ რაზედ მოხველ ჩვენთან დასახმარებლად?

– მე ერთი არ მოვსულვარ, ბექუ! ხუთნი ვართ! აგერ, ხედავ? – მარჯვნივ, დაბლა, კოცონთან მსხდარ მოყმეებისკენ გაიშვირა ხელი ბაღათურმა, – ის ოთხივე, ჩემი ძმები არიან!

ათი-თორმეტიოდე ნაბიჯის მოშორებით, ცეცხლის გარშემო, ოთხი, ფართო მხარ-ბეჭიანი ბუმბერაზი მოკალათებულიყო. სუფთად წვერგაპარსული, პირდაპირ, სახით რომ ჩანდა, დღეს გარდახდენილი ბრძოლით შეიცნო ბექუმ, რა ძალუმად სხეპდა მტერს ეს დევგმირი. მასაც უშველა შევიწროებულსა და ქარაფზე მიკუჩხვილს ერთხელ.

– ოთხივე უბადლო მეომარია, – განაგრძობდა ბაღათური, – ღონითა და ჭკუა-გონებით გამორჩეულნი! წარმომავლობით აზნაურები ვართ. ეს წოდება პაპათა-პაპისათვის, მეფეს სამშობლოს სამსახურში თავდადებასა და უშურველობის ნიშნად მიუბოძებია. ყმები არა გვყავს, საკუთარი მარჯვენით ვიმკით სარჩო-საბადებელს და სწორედ ჩვენ უფრო მეტად ვიცით, ყანის მთესველის ყადრი თუ შებრალება და ამიტომაც მათ ქომაგ-დამცველთა საშველად გამოვეშურეთ!

– და მხოლოდ ეს გამოქმედებდათ?

– არც თუ, – თავი გააქნ-გამოაქნია ბაღათურმა.

– აბა კიდევ რა?

– რა და, კაცური სინდისი! – რაღაც გულის სიღრმიდან ამომდინარე ხმით თქვა ბაღათურმა და ნისლიდან წამით გამოჭყეტილ მთვარეს აჰხედა.

– კაცური სინდისი! – ჩუმად ჩაიდუდუნა ბექუმ და თვალები ალის მლოკავ ჭავლს ააყოლა, – კაცური სინდისი, – გაიმეორა, – ე... ჰეეე, რა მცირეოდენს დაგვრჩენია ეგე, სულში დაბელტილი ყრუ ტკივილების დასაოკებლად, – ძლივს გასაგონად ჩაათავა ბოლოს სიტყვა და უსხეულო, თეთრ ბურუსს გაუსწორა მზერა.

გავიდა ათიოდე წუთი. სიბნელიდან ვამეხი გამოილანდა. საღამო მშვიდობისა უსურვა ფიქრში ჩაძირულ ვაჟკაცებს და ცეცხლისპირს, ლოდზე ჩამოჯდა.

– რას ჩამოგტირით თავ-პირი? – თქვა, – გალაღდით, არც ისე სავალალოდაა საქმე. თარხოჯის რაზმს გაუმარჯვია. თარხოჯმა ყველა მოგვიკითხა, წამოსვლისას თან დამაბარა, ხვალ თუ ნარჩენი აზნაურთა სპა ადრიანად მოვითავე, დასახმარებლად გადმოვალთო!

– ეგ კარგი ამბავი მოგვიტანე, ვამეხ! – შეეპასუხა ბექუ, – ადრე მაცნობეს, დიდი ზარალი ნახაო. რამდენი მებრძოლი დარჩა თუ შეიტყვე?

– სულ რაღაც, ოციოდე დაუკარგავთ მხოლოდ!

– რა თქვი? – ბექუ გარკვირვებით შეაცქერდა, – ოციოდე მეომრის მეტი არ დაღუპულა? მტრის იმოდენა ლაშქარი, ასე უზარალოდ რა ხერხით გაჟლიტა?

– ვიწრობში ჩასაფრებულებს, საგორავ-ლოდით ჩაუჩეხიათ მოწინააღმდეგე.

– თარხოჯს დიდი და დიდი ქება ეთქმის ნამდვილად! ჩვენ კი, სპა ერთიანად დაგვიცოტავეს.

– შენმა ვარაუდმა არ გაამართლა, ბექუ! გითხარი, აქეთ ვაკობზე, მტერს ნუ შემოვუშვებთ-მეთქი! არ დამიჯერე, ახლა უკვე გვიანღაა სინანული. ვაკობი მათ უპყრიათ და თავიანთივე სასურველ ბრძოლას გვთავაზობენ. ვიწრობში კი, ჩავდგებოდით და ერთი მკლავმაგარი ვაჟკაცი, ორმოცდაათს ქედს დაადრეკინებდა.

ბექუს სახეს უამურმა ფერმა გადაურბინა. მარჯვენა ფეხი გაბრაზებით გაჰკრა ცეცხლიდან გამოვარდნილ ნაკვერჩხალს და ვამეხისათვის არც შეუხედავს, ალს ჩაშტერებულმა, უპასუხა: – ომი, ჩემო ვამეხ, ყოველთვის ისე არ წარიმართება, როგორც ჩვენ გვსურს. ყოველ ჩათესილ მარცვალს მოსავალი არ მოაქვს და რა სააუგოა, თუ ზოგ რამეებში შევცდეთ და ვერ განვჭვრიტოთ მოსალოდნელობა!

– საწყენად ნუ მიიღებ ბექუ, ჩემს სიტყვას! – მისივე ცუდად თქმულის გამოსწორებას შეეცადა ვამეხი, – მართალია, ყოველგვარი ქმედება გაურკვეველია სრულად წინასწარ და ამის გამო

საჭოჭმანოც. თუმცა, ზოგჯერ სათუოობას ჩაუყოლებ კაცი სიტყვაში თორემ...

– სათუოობა შეჭირვებამ უფრო მეტად იცის, მაგრამ გაჭირვებაშიც გონიერების გამოჩენა მართებს ვაჟკაცს და არა წუწუნი, ასე რად მოიმოქმედეო!

ეს წუთისოფელი ბედ-უბედობის იდუმალებაა, ჩემო ვამეხ! ვინ იცის, სად და როდის დავეცემით, ანდაც აღვდგებით. უჩინმაჩინის უსახურობით გახვეულია კაცთა მომავალი და ნურვინ იტყვის, ჩემი მაგარი ბიჭობით მოვიპოვე ეს წარმატება და საქებარი მე მეკუთვნისო.

გამარჯვებები სულის სიდიადეს და მიზნისადმი დაუოკებელ სწრაფვას მოაქვს. განა, შენც არ იყავი, ოცი მეომრით სამას თავზეხელაღებულ ავაზაკს რომ ვძლიეთ, ტრიალ მინდორში? აბა, კარგად გაიხსენე? თუ გაგახსენდა? – კვლავ ჩაჰკითხა ბექუმ, – ეს იყო, მგონი ისპირში, ხომ?

მხარფართო მოყმე წამოადგათ თავზე და მოახსენა: – ბექუ, მორიგეთა განრიგი დადგენილია, მხედრული წესით, ძილს ვაცხადებ!

ძილის გამოცხადების შემდგომ, სულ რაღაც ათიოდ წუთში, თითქმის ყველას ეძინა.

ნაბადზე მიწოლილმა, მცირეოდენი ხნით მოატყუა თვალი ბექუმ. ძლიერმა ტკივილებმა გამოაღვიძა. ასე უღიმღამოდ წვასა და ძვალთა ტეხვის უსიამო შეგრძნებებში შემოათენდა.

ცისკარმა როგორც კი ფრთა გაშალა, მდელოზე იარაღ-საჭურვლით შეჯავშნული რაზმი, უკვე მზად იყო საბრძოლოდ.

ბექუს, იარაღს ტანზე რომ ისხამდა, რამდენჯერმე კინაღამ გული შეუღონდა. დაჭრილ-დაკეპილი სხეული, უსაშველოდ სტკიოდა და ტეხდა.

იარაღასხმულმა, ბედაურს ლაგამი მოსდო. დამცავი საფარები დაუმაგრა და ცხენზე შესაჯდომად გამზადებულს, სხეულში სისუსტემ ელვასავით დაუარა და ღონემიხდილმა, ძლივს შეიკავა თავი, რომ არ ჩაჩოქილიყო.

ცხენმა თითქოს იგრძნო პატრონის გასაჭირი. ერთიც დაიფრუტუნა, კისერი მაღლა აღმართა, თავი მშვიდად მოატრიალა და გვერდით მდგარ მოყმეს, შუბლი აულოკა.

ესიამოვნა ბედაურის მოალერსება. ორივე ხელი რბილად მოუთათუნა, ცხვირსა და ტუჩებზე რამდენიმეჯერ აუსვ-ჩამოუსვა, ფართო შუბლზე, გრძელი ფაფარი აუქოჩრა, – დღეს შენ უნდა მოიგო ეს ბრძოლა, – უჩურჩულა და უნაგირს მკვირცხლად მოევლო.

ბექუმ მასთან, გვერდით მავალ ვამეხს გადაულაპარაკა: – მეთაურობა ჩაიბარე და დღევანდელი ბრძოლა წარმართე.

ვამეხი ჯერ უარზე იდგა. იფიქრა, წუხანდელი სიტყვის გამოა ნაწყენიო. მაგრამ, მეთაურმა დაჟინებით რომ მოითხოვა მხედრული ბრძანების აღსრულება, მაშინ კი, სხვა გზა აღარ ქჰონდა და დათანხმდა.

მინდორზე ჩავაკებულებს, მტერი უცდიდა. იქაურობა გავსილიყო აზნაურთა მომხრეების ჭრელ-ჭრელი დროშებით. მუხნარ ციცაბოებ-ზეც მოსდებოდა იმათი ხალხი.

მედიდურად აღმართულიყო მეწინავე ცხენზე ბიმურზა.

ვაკობზე ჩამოსული რაზმელები რა ნახა დიდაზნაურმა, ამომავალი მზის სხივებისაგან მოიჩრდილა ხელი და მაღალი ხმით გასძახა:

– სმენა და გაგონება! – ხმაური რომ მიჩუმდა, ზევით ამართული მარჯვენა რაზმელებისკენ გამოიშვირა, – თქვენდა სასიკეთოდ ვაცხადებ, შეწყვიტეთ წინააღმდეგობა! იცოდეთ ყველამ, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ბექუ-ყაჩაღის წაკვეთილი თავი გვჭირდება, სხვას არავის ვერჩით. მოჰკვეთეთ იგი თქვენს მეთაურს და პირმტკიცობით მითქვამს, სიცოცხლეს დაგინარჩუნებთ! ამის გარდა, თითოეული თქვენთაგანი მიიღებს საჩუქრად ას სულ რქოსანს, ორმოცდაათ დრაჰმა ოქროს და ვერცხლს, ყმასა და მამულებს. ირჩიეთ, ან თქვენი მეთაურის წაკვეთილი თავი, ანდაც სიკვდილი!

არე მცირეხნობით სიჩუმემ მოიცვა.

საპასუხო სიტყვა ვამეხმა მიუგო:

– ბიმურზა დიდგულაშვილო! მიკვირს, როდიდან იჩენ პირმტკიცობასა და გულუხვობას? შენ ის არა ხარ, ხუთჯერ რომ გასტეხე ფიცი და გაუდექ მეფეს? ისპირში, ბიზანტიელებთან რკენისას, ღვიძლი ნათესავ-მოკეთე ვერაგული ღალატით შეახოცე მტერს და მშობელი ხალხის წინააღმდეგ გაალმასე მახვილი. სპარსთა ლაშქრით რამოდენიმეჯერ თორთომს რომ დაესხი და გააჩანაგე იქაურობა, მტაცებელი რაზმებით განუწყვეტლივ დაეხეტები საშოვარზე და ალაფსა და ტყვეს რომ იტაცებ საკუთარ მამულში? ყმები მონებად გაჰყიდე, დაუცველ და ძალაუქმნელ ადამიანებს წაართვი ყოველივე, გააუბედურე და მიწასთან გაასწორე! სადაურ საქონელს გვპირდები, ალალი შრომა-გარჯით მონაგარს, თუ ძალად წართმეულსა და ნაყაჩაღარს? მუხლჩაუხრელი ოფლისღვრით მოპოვებულ ოქროსა და ვერცხლს, თუ ადამიანთა მონებად სყიდვით, უსულგულოდ დაუფლებულს? სიკვდილი მართლაც მცირეა შენთვის,

უფრო მწარე და ჯერეთ გაუგონარი მსჯავრის ღირსი ხარ! დაიმსახურე და მიიღებ კიდევაც, აი, ჩვენი პასუხი!

მეტი შეხმიანება აღარ ყოფილა. შეწყდა მეომრებს შორის გადაძახილ-გადმოძახილიც.

ორივე მხარემ ერთდროულად დასძრა სპა. უსიტყვოდ ეკვეთნენ ერთმანეთს.

– წრეები მჭიდროდ შეკარით! – ბრძოლის დაწყების წინ დასძახა ვამეხმა და ამის შემდგომ, ყოველივე იარაღის ჟღრიალმა და კიჟინ-ხმაურმა ჩანთქა.

ჯგუფ-ჯგუფად იბრძოდნენ მოწინააამდეგენი. წყევლა-გინება თუ მუქარა ერთიმეორეში აირია. მოზღვავებული ვიში და გოდება ხეობაში ექოდ დაიკალთა.

იბრძოდა ბექუ. თუმცა, ძველებურად ძალ-ღონე ვეღარ მოსდიოდა. სხეულში დაბუდებულ ტკივილებს ვეღარც გრძნობდა. მომხვდურს გამეტებით უქნევდა სატევარს.

მზე საშუადღეოზე აიწია. ხევში ნისლი ჩამოწვა.

მორიგი რკენისას, მკვირცხლად ჩაჰკაფა ბექუმ ორი ზორბა მხედარი და ის იყო, უნდა შემოტრიალებულიყო, გვერდით შევიწროებული მისიანების წამოსაშველებლად, რომ საიდანღაც, ბიმურზა აღიმართა მხარმარცხნით და მის წინ, შუბი გვერდიდან დაჰკრა და უნაგირიდან ჩამოაგდო ბექუ.

ძირს დაცემულს, ხმალიც უშხივლა, მაგრამ ბექუმ მოასწრო კვლავ ამხედრება და ვიდრე მხარშექცეული მოწინააღმდეგე მობრუნდებოდა, სატევარი ირიბად გადაუქნია.

მძლავრი დაკვრით, ბიმურზას ზორბა სხეული მოსწყდა უნაგირს და ჭახანით დაეხეთქა მიწას.

წამით შეასწრო ბექუმ თვალი გვამებში ჩაჩიხულ დიდაზნაურს და ის იყო, ხმალი უსწორა მუზარადახდილ თავზე დასაკვრელად, რომ უკნიდან ძლიერმა დარტყმამ, უნაგირიდან მოწყვიტა. მოწყვიტა და ციცაბოზე დააქანა.

ღრანტეში ჩაცურებულმა, სილა და ქვა აიყოლია, წვრილი კენჭების გროვასთან ერთად. მისდაუნებურად, დაბლა ჩავარდნილი, ქვევით, ვაკობზე შეჩერდა.

ტანსაცმელი და ჯაჭვ-პერანგი სულ ერთიანად შემოეცალ-შემოეფლითა. კანაცლილ სხეულზე, ალაგ-ალაგ, შიშველი ხორცი გამოუჩნდა. ქვიან ქარაფზე დაჟეჟილ-დაჩეხილი ტანი ერთბაშად მოუდუნდა.

ზეზე წამოდგომა სცადა. ვეღარ შესძლო და მისავათებული, კლდის თავზე ამოშვერილ ქიმს მიადო სისხლში მოსვრილი თავი.

უმხედროდ დარჩენილმა ბექუს ცხენმა, ნაღვლიანი თვალებით ჩაჰხედა ციცაბოში ჩავარდნილ პატრონს, ერთიც მჭახედ დაიხვიხვინა და ქარაფზე დაეშვა.

ბექუს გადაჩეხვა სწრაფად მოედო ბრძოლის ველს. ზარ-ზეიმი გამართა მტერმა.

ბიმურზამ რამდენიმე მეომარი ჩაგზავნა, ბექუს წაკვეთილი თავის ამოსატანად.

ამასობაში, ნისლი მოედო იქაურობას. სულ ათიოდ მეტრამდე თუ აღწევდა ხილვადობის ნარეკლი შუქი. ამით ისარგებლეს რაზმელებმა და ერთმხრივ შეჯგუფებულებმა, იმედიანად შეუტიეს გალაღებულ მტერს.

ციცაბოში დაშვებული ცხენი, კლდის ქურციკივით ხტუნვა-ხტუნვით ჩავიდა დაბლა. ვაკობს რომ ჩასწვდა, ცხენ-კაცის ახორავებულ გვამებში პატრონს დაუწყო ძებნა. მიაგნო კიდეც.

პატარა კლდის ძირში, უგონოდ იწვა ბექუ. ბედაურმა თავი დაღუნა, სისხლით მოსვრილი პატრონის შუბლსა და სახეს, ენით დაუწყო ლოკვა. თბილი ლორწოთი სავსე დრუნჩით უსველებდა ცხვირსა და ტუჩებს. მალი-მალ, ჩუმი ფრუტუნით, ფეხებით მიწას მოფხოჭნიდა და გარს შემოუვლიდა უგონოდ მყოფს. მის სახესთან ტუჩს მიუახლოებდა, დაყნოსავდა და რა შეიცნობდა პატრონის უმწეო მდგომარეობას, კვლავ ნაღვლიანი, ხმაგაბმით დაიფრუტუნებდა. მუხლებზე ჩაჩოქილი, ტუჩს პატრონის სახეს ადებდა და ფაფარაშლილი, კისერმოღერებული, მაღლა აყალყული, თითქოს საბრძოლოდ შეიმართებოდა. ასე იყო მცირე ხანს. ბოლოს, პატრონს გვერდით მიუწვა, ტუჩი რბილად გადასდო ბეჭზე და გაირინდა.

ბექუ გონს მოეგო. იცნო ბედაური. ტუჩზე ნაზად მოუთათუნა ხელი, მოეფერა და ძლივს გასაგონად ამოიჩურჩულა: – ჩიტია, საყვარელო, აქ როგორ მომაგენი?

ჩურჩული ბედაურის ყურს მისწვდა, კისერი ზეამართა, ფაფარი აყალყა და ხმაზომიერად დაიფრუტუნა.

ცივმა ქარმა მოუბერა. თქორი წამოვიდა. ზემოდან ბრძოლის გამაყრუებელი ზრიალის ხმა ჩამოდიოდა. როგორმე უნდა გასცლოდა აქაურობას. ბექუ დიდი წვითა და დაგვით, ძლივ-ძლივობით ააცოცდა მის გვერდით გაწოლილ ბედაურს, კისერში მძლავრად ჩასჭიდა ხელი და დაბალი ხმით უჩურჩულა: – წავედით, ჩიტია!

ნელა წამოიმართა ზეზე ბედაური და მუხოვან ბილიკზე რბილად გაქანდა.

ბიმურზას წარგზავნილები დაბლა მაშინ ჩავიდნენ, როცა პატარა ბორცვის ვაკობზე ასული ჩიტია, ფრთამალი სისწრაფით კეცავდა ტრიალ ველს და თან ნახევრად გულშეღონებული მეგობარი, სადღაც მიჰყავდა.

ნისლი ხეობიდან აყრილიყო მაღლა. ბედაური ქვემოდან შეამჩნიეს. ბიმურზას ხალხმა იცნო ბექუს ცხენიცა და ცხენის კისერს ჩაფრენილი მხედარიც. კიჟინითა და გნიასით გამოედევნენ უკან.

ჩიტია კი, თავდაუზოგავად მიჰქროდა. მდევარ-დევნილს შორის, თანდათან მატულობდა მანძილი.

***

მესამე დღის ბინდი ეფინებოდა მიდამოს.

ჩიტია გაშლილი ხევის ვაკეზე შეჩერდა. ველის ერთ მხარეს, მდინარე მოედინებოდა. მეორე მხრიდან, ველის ძირში, თხმელნარი ტყე აყრილიყო და კლდეებს აესვეტათ ციცაბო შვერილები.

კლდოვან პიტალოზე, მწვანე ხავსით რომ მოეფინა დამრეცი ფერდი, ქვაბი მოჩანდა. ქვაბს კიბე აუდიოდა.

სწორედ ამ ქვაბის კიბესთან შემდგარიყო ჩიტია და გაბმული, ზომიერი ჭიხვინით იკლებდა არეს. თითქოს უხმობდა ქვაბის მობინადრეებს.

როგორც იქნა, გამოიხედეს ქვაბიდან. ორი, ბერული სამოსით მოსილი ჭაღაროსანი მხცოვანი დაბლა ჩამოვიდა. ერთ-ერთი იმათგანი ჩვენთვის ნაცნობი მეუდაბნოე ბერი იყო.

გაკვირვებული დაჰყურებდნენ უგონოდ მყოფ დაფლეთილ-დასახიჩრებულ მოყმეს და ვერ ამოეცნოთ, ვინ იყო, ან საიდან მოეყვანა თუ მოეტანა ბედაურს. ბედაურს, რომელიც ასე საზრიანი თვალებით შეჰყურებდა ბერებს.

მის თვალებში მაცქერალი კაცი მუდარას შეამჩნევდა, უთქმელ ვედრებას.

უგონოდ მყოფი მოყმე, რამოდენიმეჯერ შეანჯღრიეს ბერებმა. სცადეს მოსულიერება. უგრძნობელობაში გარდასახულ სხეულს სიცოცხლის ელფერი აღარ ემჩნეოდა.

მეუდაბნოემ მაჯა მოუსინჯა. მაჯის ფეთქვის რაიმე ნიშანიც არ იყო.

სისხლი შეხმობოდა დახეულ ჯაჭვ-მუზარადს.

ფრთხილად გახადეს საჭურველი, ჩაუხსნეს ახალუხის ღილები.

შიშველ მკერდზე დაადო ყური მეუდაბნოემ. მცირე ხანს აყურადა. ბოლოს სხივნათელი თვალებით ამოხედა მეორეს.

– ცოცხალია! – ამოიჩურჩულა და სისხლით გაპოხილი ახალუხის გახდა დაუწყო.

– მთლიანად ნუ გავაცლით ტანისამოსს, ქარმა არ დაჰკრას. უმჯობესია, ქვაბში ავიყვანოთ, – თქვა მეორემ.

ორმა ჩია, უღონო ბერმა, ძლივს-ძლივობით აიტანეს მოყმე ქვაბში.

კლდის სექვზე ტყავები გაფინეს და ფრთხილად დააწვინეს ზედ.

ტანსაცმლის გახდისას, მოყმეს სახდან ნიღაბი ჩამოუცურდა და თმახუჭუჭა წვეროსნის ნაცვლად, ლამაზულვაშიანი ვაჟკაცის სახე გამოილანდა.

ორივემ გაკვირვებით შეავლო მოყმის ნაკვთებს თვალი და იმავდროულად, ბაგეებზე განცვიფრების შეძახილი აღმოხდათ: – დავით უფლისწული!

ერთხანს, ხმაამოუღებლივ დასცქეროდნენ და ვერც ერთი ვერ დარწმუნებულიყო, რომ ეს მართლაც დავით უფლისწული იყო.

დავით უფლისწული, ტყეში ბექუ-ყაჩაღის სახელით გავარდნილი, ყმებით მოვაჭრე მებატონეთა რისხვა!

დავით უფლისწული! ნეტავ, რაში დასჭირდა ეს გარდასახვა? ნუთუ, უმაღლესთაც რაიმე იდუმალი საწუხარი გააჩნიათ და ქვეყანას ცრუ ხიბლით ფარავენ?

იქნებ, არ არის უფლისწული და მისი მსგავსი ორეულია?

მეუდაბნოეს ეჭვი ჩაეწვეთა გონებაში.

ყბასთან ხალი მოუსინჯა. ხალი ჰქონდა მოყმეს. – არა, ეს მოყმე ნამდვილად დავით უფლისწულია! – დაასკვნა ბოლოს.

დავით უფლისწული...

ბერები გაოგნების ბურანიდან ძლივს გამოერკვნენ, სწრაფად გახადეს ტანზე დავითს, თბილი წყლით მობანეს დაჟეჟილ-დაჭრილი სხეული. იარები მარილხსნარითა და ბალახეული ნაზავებით დაუამეს და შეუხვიეს. თბილი საცვლებით შემოსეს და ბეწვიანი ტყავები გადააფინეს ტანზე.

ამ საქმეს რომ მორჩნენ, ორივე კარში გავიდა.

ქვაბის ამოსავალთან ბედაური ჭიხვინებდა.

ბერები დაბლა ჩავიდნენ.

ადამიანივით კვნესოდა ცხენი. თვალებიდან ცრემლმდინარი, პირში დუჟმორეული, თავს გამეტებით ახეთქებდა მიწას.

– ეტყობა, სიცხე სწვავს ცხოველს! – ჩაილაპარაკა მეუდაბნოემ.

– რით ვუშველოთ? – შეეკითა მეორე.

– თბილი სადგომი და მარილწყლით ტანის დაზელვა სჭირდება.

მარილწყლით დაუზილეს ტანი. ბედაურს დილყის ხსნარი ასვეს და აპკურეს სახეზე. მჟაუნას წვენი აყლაპეს. მადა გაეხსნება და რამეს შეჭამსო. თბილი საფენებით შეფუთნეს და ცეცხლი დააგზნეს.

ამასობაში, ვახშმობის ჟამმა გადაიწია.

ყოველ დღე-ღამეს ყარაულად ჩამდგარნი, ნადირმა არ გააფუჭოსო, ბერები თვალ-ყურს არ აკლებდნენ ცხოველს.

ათ დღესა და ღამეს ებრძოდნენ მოყმე და ცხენი სიკვდილის ზმანებას.

ათ დღესა და ღამეს მოუცილებლივ, ბეწვზე ეკიდა მათი სიცოცხლე.

მეთერთმეტე დღის დილას, დავითმა თვალის ქუთუთოები შეარხია და თავზე წამომდგარ მეუდაბნოე ბერს, განცვიფრებით შეაცქერდა. ბერის სახეზე ოდნავი ღიმი შეამჩნია.

– მადლობა გამჩენო, რომ კეთილი სული შეგვინარჩუნე! – თავისთვის ამოიჩიფჩიფა ბერმა. შუბლზე რბილად გადაუსვა ხელი დავითს და დაამატა: – იძინე შვილო, შენთვის ახლა სიმშვიდე და დასვენებაა საჭირო!

დავითი ჯერ ვერ გარკვეულიყო, რატომ იყო აქ და საიდან მოვიდა. თუმცა, მეუდაბნოე იცნო და მით უმეტეს, უფრო მეტად ის უკვირდა, რომ სამი დღის სავალიდან, ვინ და რა გზით შეძლო, მის ნაცნობ მეუდაბნოეს ქვაბამდე მოეტანა გონმიხდილი მისი სხეული. იქნებ, ჩიტიამ ქმნა ეს? ძალადაშრეტილმა, ხომ ჩიტიას მიენდო იმ საბედისწერო დღეს? გონიერი ცხოველი აქ რამდენჯერმე ჰყოლია და ალბათ, ახლა საშველად წამოიყვანა მისი პატრონი.

– აქ ვინ მომიყვანა, მამაო? – ბაგეების ნელი რხევით, ძლივს ამოთქვა დავითმა.

– შენმა ბედაურმა შვილო! – მიუგო ბერმა.

– ჩიტია! – რამდენჯერმე გაიმეორა უფლისწულმა და კვლავ ძილის ბურანში გაეხვია. ორ დღე-ღამეს თვალი აღარ გაუხელია.

***

ოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც დავითს მომჯობინება დაეწყო.

სექვზე წამომჯდარი, საჭმელს უკვე ხელით ჭამდა. მხოლოდ ეგ იყო, ფეხზე ადგომა ვერ შესძლო. წვივში დამტვრეული ძვალი, ჯერ

კიდევ არ შეხორცებოდა და მთლიან სხეულზეც წვა ყრუ ტკივილებად მოსდებოდა.

მოუთმენლად გაჰყურებდა ქვაბის შემოსასვლელს. მეუდაბნოემ წუხელის უთხრა, დასტაქარს მოვიყვან, ერთი დღის სავალზე, ბერთა სენაკშია, ვიცნობ, საერო ცხოვრებაში ცნობილი ექიმი იყოო.

წუხელსვე, მთვარიანი ღამით წავიდა, აქ კი მეღვიმე დატოვა დავითის საყარულოდ. ის მეღვიმე, მეუდაბნოესთან პირველ ყოფნისას შეპირებულ აღთქმას რომ ასრულებდა ქვის საფლავში მარტოდმარტო.

ახლახანს ქვევით ჩავიდა მეღვიმე. მალე ამოვალო, დაუბარა.

ქვაბში ჩიტიას ჭიხვინის ხმა შემოდიოდა. მრავალ ათას ცხენის ხმაში გაარჩევდა დავითი ჩიტიას ჭიხვინს.

ეს რამოდენიმე დღეა, სრულ გრძნობაზე რომ მოვიდა, ხშირ-ხშირად ესმის ჭიხვინ, განსაკუთრებით, დილ-დილაობით. იქნებ უხმობს პატრონს, სწუხს მის უნახველობას. დავითს ერთი სული აქვს, როდის წამოდგება და გარეთ გახედავს, მის საყვარელ ბედაურს შეეხმიანება.

გავიდა მცირე ხანი. ჩიტია კვლავ ჭიხვინებდა. როგორც იქნა, ამოვიდა მეღვიმე ბერი. ქვაბში შესვლისთანავე ავადმყოფთან მივიდა და ჰკითხა: – რამეს ხომ არ ისურვებ, შვილო?

– არაფერს, მამაო! – ხელი ოდნავ გაატოკა დავითმა.

მეღვიმე ჯორკოზე ჩამოჯდა. მცირე ხანს იყუჩა: – ბედაურმა მოგინატრა! – უთხრა, – გამუდმებით გიხმობს, რაც უკეთ შეიქმნა, ქვაბის ამოსასვლელს აღარ სცილდება. დგას კიბის საფეხურებთან, ან გამყინავი ხმით გეძახის, ხანაც მოწყენით თავჩაქინდრული, ჩუმად დამზერს მიწას.

– იქნებ, ნაღვლობს უჩემობას მამაო? – ნელა წარმოთქვა დავითმა, – ჩიტია ძლიერ გონიერია, იცის რომ შეუძლოდ ვიყავი. ჩემი ნახვა მოსურვილებია, ამაზედ სწუხს ალბათ და ქვაბს აღარ შორდება. ცოდვაა ცხოველი, უნდა ვეჩვენო როგორმე!

– შენი ფეხზე წამოდგომა რომ არ შეიძლება, შვილო?

– აბა რა ვქნა, მამაო? ბედაურის სიბრალული აღარ მასვენებს. მას მეტყველება არ შეუძლია, თორემ სხვაფრით ისეთივე დარდი აწუხებს, როგორც ჩვენ გაგვიჩნდება ხოლმე! უნდა წამოვდგე და ვეჩვენო, შენ ხომ დამეხმარები? – კითხვიანი თვალები მიაპყრო დავითმა თეთრწვერა მხცოვანს.

– ჭრილობები რომ გაგიმიზეზდეს? – გამომცდელად შეაცქერდა ბერი, – სახიფათოა მოუშუშებელი იარებით სიარული.

– მართალი ხარ, მამაო! მაგრამ გონიერი ცხოველიც ხომ ცოდვაა? ეგ ისეთი მოყვასი და ჰაზრიანია! რომ იცოდე, ომში წასაყვანად ვერ ვიმეტებ, არ მომიკლან-მეთქი და ახლა აქ, ჩემი უნახველობით ვერ დავადარდიანებ. ჩოქვით მივალ როგორმე კართან და დავენახვები! – თქვა დავითმა და წამოდგომა დააპირა.

ფიცხლად წამოიჭრა ზეზე ბერი. მივიდა უფლისწულთან, წამოდგომაში შეეშველა, მხარში შემგდარმა, ტაატით, ძლივს მიიყვანა გასასვლელთან.

კართან, გლუვი კლდის პიტალოზე მიყრდნობილმა დავითმა, კიბის საფეხურებს თვალი ჩააყოლა და ვაკეზე, მაღლა შემომყურე ჩიტია დაინახა.

ცხენს ფაფარი აეძაგრა, კისერი მოიღერა და ხმაგაბმით დაიფრუტუნა.

– ჩიტია! – დაბალი ხმით ამოთქვა დავითმა, ისე რომ, ალბათ ჩუმი ნათქვამი იქაურობას არც გასცილებია.

– ჩიტია! – კვლავ გაიმეორა.

თითქოს მიუხვდაო ძახილს ცხენი, აყალყდა, ერთიც მძლავრად დაიჭიხვინა, უკანა ფეხები ზევით აჰყარა და მინდორს უსწრაფესად შემოურბინა. კვლავ იმავე ადგილას შემდგარმა, ზევით ამოჰხედა და ყურდაცქვეტილმა, თვალები ქვაბის კართან მდგარ უფლისწულს მიაპყრო. ცქერით რომ გული იჯერა, რამდენჯერმე გააქან-გამოაქანა თავი და მწვანე ქათიბს დასწვდა ტუჩებით.

ფეხზე დგომისას, წვა და ტკივილი ათმაგად მოემატა დავითს. ტკივილმა სული შეუგუბა, ძირს რომ არ დაცემულიყო, მხარში შემდგარ ბერს მიმართა: – საწოლთან მიმიყვანე, მამაო!

უფლისწულის სახეს მიტკლისფერი გადაეფინა. ბორძიკ-ბორძიკით, როგორც იქნა, ბერმა საწოლთან მიიყვანა დავითი, ტყავები მიუსწორ-მოუსწორა სექვზე და ფრთხილად დააწვინა.

ტკივილებმა მწარედ ამოაკვნესა უფლისწულს. ერთხანს იკვნესა, ბოლოს მცირედით რომ მიუყუჩდა წვა, სანახევროდ გრძნობამიხდილს მიეძინა.

შუადღე გადასული იყო უკვე, მეუდაბნოემ რომ შემოაბიჯა ქვაბში.

მეუდაბნოეს მაღალი, ხმელ-ხმელი, გრელქურთუკიანი კაცი მოჰყვა. მოსულს, წუღა-მესტები და საკმაოდ შელახული, შალის შარვალი ემოსა. ქურთუკის გულისპირთან, თეთრსირმებიანი ახალუხი მოუჩანდა. სრულიად თეთრ თმა-წვერზე, წარბებიღა შემორჩენოდა

შავი. ხმელ, ბერიკაცულად ჩამომჭკნარ სახეს, დიდრონი, ცისფერი თვალები, რაღაცნაირი სიკეთის ციაგს ჰფენდა.

მძინარე დავითს, შემოსულთა ხმაურზე, მოულოდნელად გამოეღვიძა.

– მოხვედი, მამაო? – ამოიჩურჩულა.

– მოვედით შვილო! დასტაქარი მოვიყვანე! – მდაბლად უპასუხა მეუდაბნოემ და უფლისწულის სიცხისგან გავარვარებულ შუბლს, რბილად ხელი გადაუსვა.

სიცხე სწვავდა ავადმყოფს.

– სიცხე ამ ხნის მანძილზე არ ჩაქრობია, მამაო! – მიუბრუნდა ახალმოსულს.

– დაჟეჟილ-დამტვრეულმა სხეულმა, დიდხნობით მოუშუშრობა და ტკივილი იცის. რამდენი დღეა ამ ყოფაში? – შეეკითხა დასტაქარი, თან ავადმყოფს ხელით სინჯავდა.

– ოცი შესრულდა უკვე...

– და ამ ხნის განმავლობაში, ტკივილები სრულებით არ დაყუჩებია?

– არა!

– რას იტკივებს? – ჩაეკითხა ახალმოსული.

– მთელი სხეული მტკივაო, ამბობს და განსაკუთრებით წვას, წვივში მეტად განიცდის.

ახალმოსულმა სერთუკი გაიხადა, ახალუხის სახელოები დაიკაპიწა და ავადმყოფთან მისულმა, ფრთხილად ახადა ტყავები. ფრთხილად დაუწყო ხელებით სინჯვა.

ჯერ მტკივან წვივს მისწვდა. სათუთი შეხებით მოუსინჯა წვივის რბილობი. რბილობში ძვლოვანი ზღმურტლი ამოჩრილიყო, ეტყობა, მრუდედ დაეწყო შეხორცება გადატეხილ ძვლებს.

სხეულის ყოველი ნაკვთი გულდასმით შეამოწმა. თბილი, მარილიანი წყლით ჩამობანა ნაკეპ-ნაგვემი ადგილები. მალამო წასცხო ჭრილობებს და ქსოვილის ნაჭრებით შეუხვია.

გაუსაძლისმა ტკივილებმა გული შეუღონა დავითს. გონმიხდილს დასტაქარმა თვალები აუხილა და დაკვირვებით ჩახედა, – გრძნობამიხდილია! – ამოილუღლუღა, – უნდა ვიჩქაროთ მამაო, სანამდე გონს მოვიდოდეს, თორემ ამდენხნობით ნაგვემმა სხეულმა, შეიძლება ვეღარც გაუძლოს. საცვლები გახადეთ! – უბრძანა ბერებს.

საცვლები გახადეს ბერებმა დავითს.

– თბილი წყალი მოიტანეთ! – ბრძანა ახალმოსულმა.

ხელები თბილი წყლით, საგულდაგულოდ დაიბანა დასტაქარმა, ჩანთიდან ამოალაგა საექიმო ხელსაწყოები.

მდუღარეში გაავლო საკვეთი დანა, ხელები ცხარით დაიბანა, თბილი წყლით მოწმინდა წვივი და ზღმურტლთან სიგრძივ ჩასჭრა კანი.

– ჯორკო მოიტანეთ! – თავაუღებლად ამოსძახა.

ჯორკოზე ნატკენი ფეხი მოათავსა.

– ფეხი კარგად დაიჭირეთ! – ორივეს მიმართა, – აქეთ-იქიდან მოჰკიდეთ ხელები, – ანიშნა, – მძლავრად ჩასჭიდეთ! – თქვა და მარჯვენათი ნატკენ წვივს ძალუმად დაჰკრა ხელი. დარტყმა რამოდენიმეჯერ გაიმეორა. წვივში ყრუ ჭახანი გაისმა.

დასტაქარმა ახლადგადამტვრეული წვივი დაჭიმა, მჭიდროდ მოარგო ერთიმეორეს ძვლების ნამტვრევი ბოლოები, სისხლი შეუმშრალა ნაჭრილობევზე და არტაშანით შეუკრა ფეხი.

ოფლით დაეცვარა შუბლი დასტაქარს. ერთიც ყრუდ ამოიქშინა და ჯორკოზე ჩამოჯდა. მცირედ რომ შეისვენა. იქ მოყოფებს უთხრა: – პირველ ხანებში ფხიზელი ყურისგდება სჭირდება! არტაშანი არ მოიშალოს! მალე გონს მოვა, ტკივილები ექნება. არა უშავს, გაუძლებს, ჯანსრულ სხეულს ბევრის ატანა შეუძლია.

გულთან ყური დაადო, გონმიხდილი მშვიდად სუნთქავდა.

ჯორკოზე ჩამომჯდარმა გააგრძელა: – უფლისწული აქ საიდან მოვიდა? თანაც ამ მდგომარეობაში?

– არ ვიცით, მამაო! – მეუდაბნოემ უპასუხა, – უგონოდ მყოფი, ბედაურმა მოიყვანა და ეს ჭიხვინით მანვე გვამცნო.

– ბედაურმა? – გაკვირებით წარმოთქვა დასტაქარმა, – კი მაგრამ, როგორ?

ბერებმა მხრები აიჩეჩეს.

– საოცარია! – ხელები მაღლა შემართა მან, – ასეთი ჯერ არ მსმენია! – გაკვირვებულმა რამდენჯერმე თავი გააქნია, – იქნებ აქ მოსულს წაერთვა გონი?

– არა მგონია, მამაო! – დასტაქრის ნათქვამი იუარა მეუდაბნოემ, – უფლისწულის ქამარს ცხენის კბილების კვალი აჩნდა, გონწართმეული როცა ვიხილეთ.

– ნაომარი და ასეთი გასავათებული უფლისწული, ასე მარტოკა, საიდან? ჰმ!

– თავდაპირველად, ჩვენც ვერ გამოვიცანით! – მეღვიმემ თქვა, – პირისახეზე უცხო ნიღაბითა და მოზრდილი წვერით, სრულებით ვერ

მიამსგავსებდი კაცი უფლისწულს. ტანსაცმლის გახდისას, შემთხვევით მოსძვრა სახიდან ნიღაბი.

– ნიღაბი? ნიღაბი რაისთვის ჰქონდა? – წარმოთქვა დასტაქარმა, – თუმცა, – კვლავ გააგრძელა, – რას გაიგებ ხელისუფალთა იდუმალებას? ორ ათეულ დღეზე მეტია, ჯინთა ხევში, აქედან სამი დღის სავალზე, მოხდა ბექუ-ყაჩაღისა და აზნაურთა მხედრობის ბრძოლა. ბექუ-ყაჩაღი დამარცხებულა ამ ბრძოლაში. ასე ამბობენ, მოკლესო!

– ბექუ-ყაჩაღი? – მეღვიმემ გაკვირვებით შეხედა დასტაქარს, – გაგვიგონია, ყმათა ქომაგიაო. ნუთუ ის მოჰკლეს? ჭეშმარიტი გმირი, რაც ეგ გამოჩნდა, გათავხედებულ აზნაურებს შიშის ზარი დაეცათ. ახლა ნახეთ ხელახლა მათი აღვირახსნილობა.

– უფლისწულის სახიდან ჩამოვარდნილი ნიღაბი ხომ არ შეგინახავთ? – შეეკითხა დასტაქარი.

– ეგერ არის! – ქვაბის თაროზე მიუთითა მეუდაბნოემ.

ქვის თაროზე, შემოსასვლელთან, შავი წვერ-ულვაში და გრუზა, ჩახუჭუჭებული თმა მოჩანდა.

დასტაქარი გაკვირვებული მიაჩერდა ნიღაბს. ფეხზე წამოდგა, მივიდა თაროსთან, ნიღაბი ხელში აიღო, რამდენჯერმე შეატრიალ-შემოტარიალა, თავი ორჭოფულად გააქან-გამოაქანა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: – ბექუ-ყაჩაღის ხუჭუჭა თმას მაგონებს. იქნებ, მართლაც ის არის? – უცქირა, უცქირა და კვლავ ჯორკოზე დამჯდარმა თქვა: – ვერაფრით ამიხსნია, რაში დასჭირდა ბექუ-ყაჩაღობა უფლისწულს? ანდაც ეს სამკვდრო-სასიცოცხლო რკენა რაღას ნიშნავს? – შეუცნობლობის ბურუსში გახვეულმა, ხელები უმიზნოდ გაასავსავა, – კარგი, მე წავალ ახლა. მეტი საჭირო აღარ ვიქნები. ავადმყოფს კარგად უნდა მოუაროთ და ფეხზეც მალე წამოდგება! – თქვა, მკვირცხლად წამოდგა, ჩანთას დაავლო ხელი და ქვაბის შემოსასვლელისკენ გასწია.

– რაიმე შეჭამანდი მიგერთმია, მამაო! – სთხოვა მეღვიმემ.

– მარხვა მაქვს! – უკან მოუხედავად მიუგო დასტაქარმა და ქვის კიბეს ჩაუყვა.

დასტაქარს მეღვიმეც გაჰყვა უკან.

ავადმყოფი გონზე საღამოსპირს მოვიდა. უხმოდ შეაცქერდა თავს დამდგარ მეუდაბნოეს და თვალები დახუჭა.

მეორე დღის, სისხამ დილას გამოეღვიძა. ქუთუთოები რომ შეარხია, ღამენატეხმა მეუდაბნოემ მიმართა: – რას ინებებდი, შვილო?

უფლისწული დაღლილი თვალებით მიაჩერდა ბერს. ხმადაბლით ამოილაპარაკა: – არაფერს, მამაო!

– ტკივილები დიდად გაწუხებს? – შეეკითხა.

– თითქოს დამიამდა, წვივში აღარ მტეხს ძველებურად!

– მალე გამოჯანმრთელდები, შვილო! ასე თქვა დასტაქარმა. მანამდე კი, მოძრაობას ერიდე, დასივებულ-დაჟეჟილი კანი აღდგენას მოითხოვს და სიფრთხილით უნდა მოეპყრა, რათა კვლავ წყლულებად არ გექცეს! შენი აქ ყოფნა ვაცნობოთ მეფეს?

ავადმყოფმა ჭერს მიმოავლო თვალი. ერთხანს იყუჩა. შემდეგ, ბალიშზე უღონოდ მიდებული თავი, ნელა გადააქან-გადმოაქანა, თან უარყოფის ნიშნად, მარჯვენა ნელად გაიქნია.

– რატომ არ გსურს შენი სამყოფელი ადგილი გაიგოს მშობელმა? უკეთ მოგივლიან და გიპატრონებენ, შვილო. გარდა ამისა, საშიში აღარ იქნება, სამეფოს სპა დაგიცავს. მოქიშპე აზნაურთა მსტოვარმა თუ იგეშა, ორი უღონო ბერი, რით აღვუდგებით?!

დავითი გაირინდა. მცირე ხნით ჭერს მიშტერებულმა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, თითქოს თავისთავს ესაუბრეებაო, ამოილაპარაკა: – იმიტომ, მამაო, რომ ორ წელზე მეტია რაც ტყეში ვარ და ვბინადრობ. ჩემი საცხოვრისი ცოტამ თუ იცის. თვით მამასაც არ გაუგია ჯერხნობამდის, რას ვაკეთებ, სადა ვარ და რისთვისა ვარ!

– ეგ როგორ, შვილო? – სიტყვა შეატეხა ბერმა.

– წამოსვლისას, – გააგრძელა უფლისწულმა, – მშობელს სიტყვა დავუგდე, სპარსთა ქვეყანაში მივალ-მეთქი. იდუმალ საქმეთა შესატყობად და... – აღარ დაუსრულებია სათქმელი დავითს. მოღლილი თვალებით შეაცქერდა გაკვირვებულ ბერს, – ბექუ-ყაჩაღი თუ გაგიგონია? – ჰკითხა.

მეუდაბნოემ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად.

– ჰოდა, ის ბექუ-ყაჩაღი მე ვარ, მამაო! ორი წელიწადია, საკუთარი თვალებით ვიხილე ჩემი ხალხის ჭირ-ვარამი. თავისთავზე გამოვსცადე ყოველივე და უსამართლობასთან ბრძოლაში გავიწაფე.

– ეგ რაღა გაწაფვაა შვილო? სიკვდილს ძლივსღა გადაურჩი! ოც დღეზე მეტია სასწორზე დგახარ, შენი ხსნის იმედიც აღარ გვქონდა. ინება მაღალმა ღმერთმა, კვლავ მობრუნებულიყავ ამ ქვეყნიურობას. ცუდი ნაბიჯი გადაგიდგამს, ჭეშმარიტად ცუდი! მაგრამ, ახლა რაღა დროისაა, წარსულს სინანულით ვეღარ მოაბრუნებ! ესღა დაგრჩენია, შემდგომში უფრო კეთილგონიერება გამოიჩინო!

– კეთილგონიერება? – ოდნავი ღიმი მოეფინა უფლისწულის გაცრეცილ სახეს, – ეგ თქმა რას ნიშნავს, მამაო?

– ეჰ, შვილო! – მწარე ამოქშენას, გრძნობაც ამოაყოლა მხცოვანმა, – ჯეელი ხარ, ცხოვრების სინამდვილეში ჩაუწვდომელი! ყოველგვარი სიკეთის ქმნა კეთილგონიერება არ არის, არა! თავს რატომ იმეტებ? ორიოდე წლის წინანდელი თუ გახსოვს, ადიდებულმა ღელემ კინაღამ გიმსხვერპლა მაშინ. მოძულებული ხომ არა ხარ, შვილო, ამდენი ავკაცის წინააღმდეგ რომ აგიღია მახვილი? აბა რას დააკლებ მათ, თუნდაც ათასი კეთილშობილი მოყმით? შენ გინდა, ის წესი, რაც მრავალჯერ-მრავალ ათასებში ჩაბუდებულა, იმ ათასით საკეთილოდ შემოაბრუნო? ტყუილი ცდაა! ერთი მითხარი, რაისთვის იბრძვი, რა გამოძრავებს?

– ხალხისთვის ვიბრძვი, მამაო! უკეთესი მერმისისა და ბედნიერებისათვის ვიბრძვი!

– ჰე-ჰე, ჰეეე... – მუხლზე ხელი დაიკრა მეუდაბნოემ, – მერედა, დაგიფასებს ვინმე გაწეულ ამაგს? ხალხი ბრბოა, შვილო! ცხრაპირ ტყავახდილს, საკმარისია მცირეოდენი ლუკმა მიუგდო და გუშინდელ ავაზაკს, დიდების კვარცხლბეკს მოგანიჭებენ! რა სარგებელი მიეც შენი ქმედებით? – კვლავ გააგრძელა, – სრულებით არარაი, შვილო! შენ ბექუ-ყაჩაღად დარჩები ხალხში, ვითარც ჭეშმარიტი, სიმართლისათვის მებრძოლი გმირი. მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს! სიმართლე ხალხისთვის ისევე ურგებია, როგორც შემჭკნარ ვარდისთვის ალამპრებული მზის მცხუნვარე სხივი! სიმართლის თქმას, ტყუილი ურჩევნიათ ადამიანებს, ტყუილი!

– მამაო, რად ამბობ ასე? ხალხი ბრძენია, ბრძნული ქმედებით გამორჩეული. ცუდ დაპირებებით ხალხს ვერ მოატყუებ, ვერა!

– ჰმ! – ღიმი შეადგა ბერის ჭაღარა სახეს, – ყველაზე იოლი სწორედ ხალხის მოტყუებაა! სრულიად საკმარისია, რამოდენიმე მომხრე გაიჩინო, მცირეოდენი ქველმოქმედება ქმნა და შენზე აღელღელავებული ბრბო, ლამის ცამდე აგიყვანს!

– მაგრამ, ეს ხომ დროებითი იქნება? ბოლოს და ბოლოს, ხომ მიხვდებიან შენს ცბიერებას?

– ბოლოს მიხვდებიან! – ნელა ჩაეცინა ბერს, – მიხვდებიან.... ბოლოდროინდელი მიხვედრა კი, რაღას უშველის, როცა უკვე ყველაფერი მოთავებული იქნება? წუთისოფელი წუთის სამყოფია და მაგის გამსჯელ-ამწონველიც ვიღა დარჩება შემდგომ?

– დრო ხომ მაინც თავისას იტყვის?

– რაც არ უნდა თქვას, მემრენდელი გამოაშკარავებული ტყუილი ვიღას სჭირდება, ვიღას? გარდასულს რაით უშველი და ჩადენილი ბოროტების აწმყოში ხილვაც უფრო მეტად მტკივნეულია!

– მართალია! – დაემოწმა დავითი, – მაგრამ ჭეშმარიტება ხომ დადგინდება?

– ჭეშარიტება, ფუჭი სიმართლე! – თავი ორჭოფულად გააქნია ბერმა, – გაქრეს მაგგვარი სიმართლეცა და ჭეშმარიტებაც!

– რატომ, მამაო? – განცვიფრებით გამოსძახა დავითმა.

– დაგვიანებულ ჭეშმარიტებას, ადრეული სიცრუე ბევრად სჯობია! – სიტყვა კუშტად მიუგდო ბერმა.

– სიმართლისათვის არ არსებობს დრო და ასაკი! – ცხარედ წამოიძახა უფლისწულმა, – რადგან, ის განურჩევლად საჭიროა ყოველ დროს და უკლებლივ ყველა ხნისა და ჭკუის კაცთათვის!

– ჰე! მაგნაირი მსჯელობით გაგიჭირდება ცხოვრება, შვილო! მებრალები, ღირსეული ჭაბუკი ხარ, სულ მალე ქვეყნის გამგებელი გახდები. შეირგე წუთისოფელი! ეს ქვეყანა ბოროტისა და კეთილის დაუცხრომელი ბრძოლაა. უკეთურებს ერთეული ადამიანები ვერაფერს დავაკლებთ, საზოგადოების დიდი წილი თუკი არ აღდგა მის წინააღმდეგ... და თუნდაც აღდგეს, მისი დათრგუნვა ძნელია, ძნელი! – მცირედ შეყოვნდა მხცოვანი, ჩაფიქრებულმა გახედა ქვაბის შემოსასვლელ კარს და კვლავ გააგრძელა: – მისი დამარცხება ძნელია იმიტომაც, რომ მრავალგვარი ხერხით დაუმორჩილებია უმრავლესის გული და გრძნობა! ვერაგობა! აი, რა უპყრია მთავარზე მთავარი და გადამწყვეტი!

– ვერაგობა?! – გაკვირვებით შეხედა ბერს სახეზე უფლისწულმა, – როგორ თუ...

– ჰო, ვერაგობა და შიში სიკვდილისა! – დაემოწმა ბერი.

– ვერ გამიგია, მამაო!

– უკეთურობა დაუნდობელია, შვილო! მის ნავალ გზა-წვრილზე გვამთა ზედახორებია, სწორედ იმ გვამთა ზედახორები, რომელთაც ხმა აიმაღლეს მის წინააღმდეგ. მართალია, ყველანი სიკვდილის მომლოდინენი ვართ, მაგრამ მიპასუხე, აი ის, ბოროტების მიზანდასახული სიკვდილის შიში, ხომ უფრო მეტად საზარელია, ვინემ თვით სიკვდილი?

– თუკი საერთოდ არ მეშინია სიკვდილისა?

– ეგ არა მჯერა! – თავი ორჭოფულად გააქნია ბერმა.

– სიმართლეს ვამბობ!

– მაშინ, შენ საკუთარი თავიც არ გყვარებია და არც არავინ!

– მე ყველა კეთილი არსება მიყვარს, ჩემიანიც და სულ მთლად გადამთიელიც! საკუთარ თავზე რომ არაფერი ვთქვა, მამაო!

– ყველა კეთილი არსება მიყვარსო, ამბობ, – არ დაუთმო ბერმა, – იცი კი, რა არის სიყვარული და რას მოითხოვს ვინმესი სიყვარული შენგან? – კითხვა მიუგდო.

პასუხი დაახანა და რა ვერ მიიღო, მანვე გააგრძელა, – არ იცი და არც შეიძლება იცოდე! თორემ, ამგვარად არ იმსჯელებდი. სიყვარული ისეთივე იდუმალი აღქმაა ადამიანის, როგორც სხვა ყველა შეგრძნებები. ის პიროვნების დაუკითხავად ემორჩილება სულის სიღრმისეულ წარმოსახვებს და თუ ვინმე, თუნდაც ერთი სულიერი გიყვარს ამ ქვეყანაზე, თქვი, აღიარე! აღიარე, რომ სიკვდილი ხანდახან მაინც ჩაგსახლებია საფიქრალად შენს გონებაში!

– საფიქრალად? – განუსჯელად წამოიძახა უფლისწულმა, – საფიქრალად? – კვლავ გაიმეორა, – იქნებ, მართალი ხარ, მამაო!

– ჰოდა, რაკი დამეთანხმე, ბარემ ისიც ვთქვათ, ეგ მაფიქრალი ყოველ ჩვენთაგანს მოუცილებლივ დაგვყვება თან, არსებობის ბოლო წამამდის. სხეულში ლანდად გვაქვს ჩაბუდებული და ჩვენდაუნებურად, გვიღრღნის სულს! ესეც იცოდე, შვილო! სადაც ბოროტებას კვარცხლბეკი უპყრია, იქ სიკვდილის აჩრდილი მოუცილებლივ დაბორიალობს და ყოველგვარი კეთილის ქმნა მარცხისათვის განწირულია! შენ, უფლისწულს, აზნაურთა თავგასულობა ვერ დაგითრგუნავს და ბექუ-ყაჩაღად წარმოსახულს გინდა ეს გააკეთო? ვერა შვილო, ვერ შეძლებ ამას შენ და ამ ბრძოლაში, უსახელოდ დაეცემი!

– დავეცე! – ხმა აიმაღლა დავითმა, – დავეცე, მამაო! ჩემი წახდენით ხალხს მცირეოდენი შვების მარცვალს რომ ვარგუნებ, ისიც მეყოფა! სხვას არას ვითხოვ! დაცემულს, სიყვარული, ადამიანთა სიყვარული წამომაყენებს!

– ჰეეეე! სიყვარული? – შემართული ხელი დავითისკენ გამოიშვირა უცნაურ ღიმილ გადაფარებულმა ბერმა, – მერედა, სადღაა ეგ სიყვარული? სად არის წინანდელი სიყვარული? გაჰქრა, წავიდა, მისი ლანდიღა შემოგვრჩა მხოლოდ... – ყრუდ დააბოლოვა სიტყვა.

– სიყვარული, – ოდნავ შეყოვნებულმა, დახანებით წარმოთქვა ბერმა, – ქუჩის როსკიპივით გავაშიშვლეთ ადამიანებმა და შენ გინდა, რომ ის შემოსო? ტყუილია!

– სიყვარული, – მცირედ იყუჩა და კვლავ გააგრძელა, – სიყვარული, გაიმეორა, – ვნების ბურუსითაა გაძარცული, ვნების ბურუსით შვილო და აბა რას ამბობ, რათ ვერ მიმხვდარხარ, გაძარცულ გრძნობას არც თუ ვინმესი გაცოცხლება არ შეუძლია! არ

შეუძლია! – კიდევ რამოდენიმეჯერ თქვა ჩუმად და თავი დაბლა დახარა.

– მამაო! – ყრუდ ამოიხავლა გაოგნებულმა უფლისწულმა მცირე ხნის შემდგომ, – ნუთუ, მშობელი დედის სიყვარულიც მხოლოდ ვნებაა?

– ვნება? – კითხვა ჩაუჭრა მხცოვანმა, – ნამდვილად არა, ნამდვილად არა! – იქეთ-აქეთ გააკანტურა თავი ბერმა. ცოტა შეყოვნდა და დაამატა: – თუმცა, ვნების ნაყოფი კი მაინც მგონია...

– ჰმ!

– არ გჯერა?

– არა! – უარყოფის ნიშნად თავი გააქნია უფლისწულმა, – და ასეც რომ იყოს, კვლავ ვიტყოდი, არა-მეთქი! რადგან არ მსურს, დედის სიწმინდეს ჩირქი მოვსცხო და ავხორცობის ლაფში გავრიო! ვერ დავიჯერებ! დიახ, იმიტომაც, რომ არ მინდა დედა, ჩემი უწმინდესი სალოცავი, ასე უგონოდ დავამდაბლო და გავათახსირო!

– ეჰ! – თავი უკმაყოფილოდ გააქნია ბერმა, – განა მე მინდა, შვილო? განა მე მინდა? მაგრამ რა ვქნათ, თუ ჭეშმარიტებას ვერსად წაუვალთ, ვერსად! თუნდაც, მისთვის ვიმსჯელ-ვიუბნოთ? სიმართლე მითხარ: მაინც, რამდენ შვილს დაუფასებია ღირსეულად დედის ამაგი? ან რაოდენს ჰყვარებია ნამდვილი გრძნობით დედა? ბევრს? არა, მხოლოდ ერთეულებს, შვილო! მხოლოდ ერთეულებს და აბა, რა არის ცოტაოდენთა სიყვარული ამდენ ცოდვილთა შორის?

უმრავლესობას დედა მაშინ ახსოვს, როცა გასაჭირში შველა სჭირდებათ. უამისოდ კი, ღვთის ანაბარა მიაგდებენ ილაჯმოწყვეტილ მოხუცს, სადმე უპატრონოდ და განუკითხავად და მცირეოდენი სინდისის ქენჯნაც არ შეაწუხებთ. ვინ და საიდან მისცა დასაბამი მათი სიცოცხლის გზა-ბილიკს? – ბოლო სიტყვები ყრუ ხმით წარმოთქვა ბერმა, ერთხანს თავი დანანებით აქნია და გაჩუმდა.

ქვაბი მყუდროებამ მოიცვა.

გავიდა ცოტაოდენი ხანი.

დავითმა ვეღარ აიტანა ეს გულის გამაწვრილებელი სიჩუმე და ნაგუბარი ხმით დაიწყო: – ნუთუ, მხოლოდ ცრუ იდეალებით ვცოცხლობთ, მამაო? შენ ამას ამბობ და ეს სიმართლეა? მაშინ წუთისოფელში ცხოვრებას არ ჰქონია აზრი და არც მიზანი. უმიზნოდ კი, ყოველივე მკვდარია, მკვდარი! – გულის სიღრმიდან ამოტყორცნილი სინანულით თქვა უფლისწულმა და ქვაბის შემოსასვლელს გაჰხედა. ერთხანს უყურა ჩამავალი მზის ანარეკლ

სხივებს, როგორ აეკალთა შუქი თავანში და მკრთალი ლივლივით ილანდებოდა ტეხილოვან ბაც ზედაპირზე.

ბერი წამოდგა ჯორკოდან და უსიტყოვდ გავიდა გარეთ.

მზე შორეული მთის წვეროში ჩაგორდა. საღამოსპირს, ცივმა ქარმა დაბერა და ხის ხმელი ნამტვრევები დაფინა შემოსასვლელთან. მალე გაფერმკრთალებული დღის სინათლე, ბინდმა მოიცვა.

მეუდაბნოე არ ჩანდა. მარტოდ დარჩენილი დავითი, მასთან წეღანდელ საუბარზე ფიქრობდა. ხანდახან კი ცდება მხცოვანი, მაგრამ ზოგიერთი მისი ნააზრევი, ჭეშმარიტად სწორია. თუმცა, მცდარობას და სიმართლეს შორის, მიჯნის გავლება უჭირს დავითს.

აბა, რა უნდა იმსჯელოს კაცმა იმაზე, ბერმა რომ უთხრა: ეგ ხალხი, ვისთვისაც იბრძვი, ამას არ დაგიფასებსო? და, დასტურ მისი ნათქვამისა, შეიძლება ჭეშმარიტად ასეც იყოს. მართლაც, ორი წელიწადია ნადირის ყოფით ცხოვრობს. ყოველწამიერ, სიკვდილის მიჯნაზე მყოფი, ებრძვის უსამართლობას. მაგრამ რა, მისი რაზმის გარდა, ვინმე თუ უდგას მხარში? უდგას სულ მცირეოდენი კეთილშობილ მოყმეთა ნაკრები ჯგუფი, ხოლო იმ ადამიანთა უმრავლესობა, ვისთვისაც საკუთარი სიცოცხლე რამდენჯერმე სასწორზე შეაგდო, აზნაურთა ნაერთ ლაშქარშია და მახვილი აღუმართავს ისევ მის წინააღმდეგ.

განა, სულ ახლახან არ იყო, მათი წყალობით, კინაღამ გაუყენეს იმ ქვეყნად?

ბევრი მკვიდრი გასწირა ამისათვის. ათანასე, ბექუ-ყაჩაღის რაზმში ზაზად ცნობილი, ძმადშეზრდილი ათანასე, დაიკარგა და არ იცის დღესაც, ცოცხალია თუ მკვდარი.

ორი წელიწადია ნანასადმი სიყვარული უგონოდ მიივიწყა. რისთვის, ამ წამებისთვის? ასე, ხეიბრად ლოგინზე მიჯაჭვულს რომ სტანჯავს? ეჰ, მართლაც საბრალოა, მეუდაბნოეს თქმისა არ იყოს, მარცხნაჭამი და დაგონჯებული... სულ სხვა გზით წავა. დაანებებს ფათერაკიან ოცნებებს თავს და ცხოვრების სიამტკბილობით შერგებულ წუთისოფლის ისედაც მოკლე სავლელს, დარდიმანდულ ყოფაში ჩაკლავს. მაგრამ, გული რომ სხვას უთხრობს? გული რომ ბორტების წინააღმდეგაა მიმართული?

ვინმემ ხომ უნდა შეეწიროს ამ ბრძოლას და ამ ვინმეში ერთ-ერთი დავითიც იქნება, დავითი!

რა ქნას, განგებამ ამ მიზანდასახულობით მოავლინა და შეღავათი მას ამის გამო, არც უთხოვია! დაე, აღსრულდეს! მე

მტკიცედ ვივლი ჩემს ხვედრ ბილიკზე და გამარჯვება ანდაც მარცხი, ღმერთის ნებაა! – ხმამაღლა გამოუვიდა განსჯილი ბოლო ბწკარედი.

ფიქრში საკმაო ხანი გავიდა. ვერ დაიძინა. ბერის მოუსვლელობის ნაღველმა დააფრთხო. სადმე თუ არ ჩაიჩეხა, ან ნადირმა ხომ არ დაგლიჯაო, ამგვარი ვარაუდიანი აზრი აეკვიატა.

არა და, ნადირი მრავლად ჩანს ამ არემარეში. ღამე ბინდს როგორც კი დაიდებს, ერთი აურზაური და გნიასი ატყდება ტყეში... ახლაც, მგლების ხროვა შეყრილა ქვაბის კარის პირდაპირ, გაღმა, კლდოვან ფერდობზე და ათასგვარი ხმებით შეუკრავთ ზარი.

ჩიტიას ჭიხვინი ესმის და დაბლიდან. მეუდაბნოე საკუჭნაოში დააბამდა. ვერ მოისვენა, სექვზე დაფენილი ტყავები თითქოს ჩხვლეტდა. სულერთიანად ალმოდებული ტკივილები, ცალკერძ სწვავდა სხეულს.

წამოდგომა სცადა. ხელებზე დაყრდნობილი, ძლივს-ძლივობით აიმართა. ელვასავით ნაფეთქმა ტკივილმა, ლამის გული შეუღონა და კვლავინდებურად საწოლს მიაჯაჭვა.

დაძახება სცადა, ესეც არ გამოუვიდა.

ასე ეწვალ-ეწამა რიჟრაჟამდე. გამთენიის პირს კი, ქვაბის გასასვლელთან ჩქამი გაისმა. სულ მალე, შემოსასვლელში ლანდიც გამოჩნდა.

– შენ ხარ, მამაო? – შემოსულ ლანდს შეეხმიანა.

– ჰო, მე ვარ, შვილო! – ყრუდ მიუგო ბერმა და დავითის მოპირდაპირედ, ხის სექვზე ჩამოჯდა. – რატომ არ გძინავს? ტკივილებმა ხომ არ შეგაწუხა? – შეეკითხა ავადმყოფს.

– გელოდი, მამაო!

– მელოდი?

– ჰო! – ბერისკენ სახე მოატრიალა უფლისწულმა, – ვიფიქრე, რაიმე მარცხი არ მოუვიდეს-მეთქი. ნადირით გავსილია არე-მარე. ყოველივე მოსალოდნელია, ყოველივე...

– ჰმ! – ოდნავი ღიმი შეადგა სახეზე მეუდაბნოეს, – მარცხში რას გულისხმობ? – ჰკითხა.

– მრავალნაირი ნადირი დაეხეტება გარშემო. მთელი ღამე, მგლები გაბმით ყმუიან და მგელს კი უნდა უფრთხილდე!

– ნადირი არ არის საშიში, შვილო! სრულებით არ არის საშიში! – გაიმეორა ბერმა, – მასზე მეტად ცბიერ არსებებს თუკი არ უფრთხით, ნადირი რა მოსატანია? ადამიანი! აი, ვინ არის ყველაზე საშიში და დაუნდობელი, – დაამატა მცირე შეყოვნების შემდეგ.

– ადამიანი? – განცვიფრებით ჩაილაპარკა უფლისწულმა.

– დიახ, ადამიანი! დედამიწაზე ყველაზე ვერაგსა და გაუტანელს, ადამიანს უნდა ერიდო, შვილო! თორემ, სხვაფრივ, სხვა სულიერისგან, არც თუ დიდად დაზარალდება კაცი! იცი, ქვევით, ღელის პირს, – მარჯვენა კარისკენ გაიშვირა ბერმა, – მინდორია ერთი. იქ ყანა მაქვს და მცირეოდენი ბოსტანი. იმ ყანაში ხორბალს ვთესავ, სარჩოს მოსაპოვებლად.

ორი წლის წინ მოხდა ეს. გაზაფხული იყო, ყანაში დაუძლურებული ფოცხვერი რომ ვნახე. იმდენად დავრდომილიყო ცხოველი, რომ უძრავად იწვა. მკვდარი მეგონა პირველად.

ბრტყელი, თეთრი კენჭა ქვა ტუჩთან მივუტანე. ფილტვებიდან ამომდინარე ანაორთქლი, ოდნავ დააჩნდა ქვას. ცოცხალი იყო. ბევრი ვიწვალე, ძლივს გამოვაჩოჩე ყანის კიდურში. ავადმყოფს წნელის ღობე შემოვარტყი. ღობეს სახურავიც გავუკეთე და ერთი მხრიდან, კარიც მივუმაგრე. ვუმკურნალე, როგორც შემეძლო.

ცხოველი გონს რომ მოეგო, ჯამით წყალი დავალევინე და ხმელი თევზით დავანაყრე. ქვაბის ამოსავალ კიბის ძირში, საკუჭნაო მაქვს. თევზს იქ ვინახავ. ნაპირზე გამორიყულ, მკვდარ თევზებს ვკრებ ხოლმე, მზეზე ვახმობ და ვინახავ. ერთ თვეზე მეტ ხანს მოვუარე ნადირს. შემეჩვია, იმგვარად შემეჩვია, სულ უკან დამყვებოდა. ერთხანს არ მშორდებოდა, მაგრამ, ბოლოს მაინც ტყეს მიაშურა. ტყიურობის ალღომ იმძლავრა. თუმცა, აქაურობაში ბინადრობს ამჟამადაც.

ახლახანს, აქეთ რომ მოვდიოდი, გზა-ბაწრის პირზე შემომხვდა. მადლიერი თვალებით მიყურა კარგა ხანს და მომავალს, შემდგომ კვალში გამომყვა. ქვაბის კიბესთან შევდექ, მოვუტრიალდი. ცხოველი მომიახლოვდა, ფეხებზე დამსუნა. ამილოკა ორივე წვივი, ერთიც შემომხედა, მიყურა, თათებით მიწა მოფხოჭნა, წელი ჩაზნიქა, მომიალერსა კვლავ და ბუჩქებში გაუჩინარდა.

– ფოცხვერი ავი ნადირია, მამაო! განა ღირდა ამდენი გარჯის გაწევა მისთვის? ტყეში უწყინარ ცხოველებს ეტანება. ზოგჯერ, მეჯოგეებსაც დიდ ზარალს აყენებს. ფარაში ჩავარდნილი, სულერთიანად უღადრავს ყელს რამოდენიმე ათეულ ცხოველს. დაუნდობელია ის და გაუმაძღარი. ჭეშმარიტად არ არის ესოდენ პატივის შესაფერი, შენ რომ გაგიწევია! მე თუ მკითხავ, იმისნაირები ბუნებაში არც უნდა არსებობდნენ.

– ცოდვას რად ამბობ? – ჭაღარა წარბები შეჭყარა მეუდაბნოემ, – აბა ვინ მოგვცა მაგის უფლება, ღვთის შექმნილ არსებას ადგილი მივუჩინოთ, ანდაც გავკიცხოთ მათი ქმედება?

ფოცხვერი მისივე ჩვევებით ცხოვრობს, რაც მაღალმა ღმერთმა დაუწესა. ის ქცევა, თუნდაც უნდო, ფოცხვერისათვის დასაშვებია, რადგან მას არჩევანი არ გააჩნია და თუნდაც ჰქონდეს, სხვაგვარი ცხოვრებისათვის, მას არ ეყოფა არც ჭკუა და არც გამოცდილება. ჩვენ კი, ღმერთმა გონი მოგვცა, გვიჩვენა სიკეთის გზა, მაგრამ, ამ სავალისკენ ვილტვით კი ყველა?

არა და არა! სულ მცირენი თუ ვიღწვით ამისათვის! ადამიანთა უმრავლესობა, უკეთურობის სავლელს მიჰვება და ადამიანურ გარემოში ჩადენილი ბოროტების სიმკაცრე, მრავალჯერ, მრავლად აღემატება ბუნების ყველა სხვა ბოროტებებს! – ბერი გაჩუმდა, მცირე ხანს გაყუჩებული გაჰყურებდა როგორ ეფინებოდა დილის ნათელი მიდამოს. შემდეგ წამოდგა, კარი ჩარაზა და ქვის ტახტზე მიწვა. სულ მალე, ჩუმი ფშვინვა მოესმა დავითს.

ბერს ეძინა.

მასაც მალე მოერია რული.

ხმაურმა გამოაღვიძა. თვალი რომ გააახილა, დაინახა, მეუდაბნოე ჩარაზულ კარს ხსნიდა.

გაღებული კარიდან, დღის სინათლე ქვაბში ნისლივით შემოიგრაგნა. შემოსასვლელთან მეღვიმე ბერი აილანდა. ჭაღარით მოსილ, ხშირ წარბებს შეავლო მზერა დავითმა.

ბეჭებზე ხურჯინაკიდებული ბერი, კარებში შემოიმართა. დამხვდურებს მიესალმა, ხურჯინი იქვე მოისროლა, ყაბალახი მოიძრო, გრძელი, შავი ქურთუკი გაიხადა და უწესრიგოდ მიჰყარა ტახტზე.

მეღვიმე, დასტაქარს რომ გაჰყვა მაშინ, ქვაბში აღარ მობრუნებულა. რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ.

ნამგზავრი, მძიმედ სუნთქავდა. ცოტა რომ სული მოითქვა, წინდა-ქალამანი გაიხადა, ცეცხლი დააგზნო და სველი წინდები გასაშრობად გაფინა.

– ქვეყანაში რა ამბავია, მორწმუნე ძმაო? – დაეკითხა მცირე ხნის შემდეგ მეუდაბნოე.

მეღვიმემ ჭაღარა წვერზე ხელი ჩამოისვა, მელოტი თავი მოიფხანა, ტახტზე მწოლარე დავითს გადახედა და თქვა: – ცუდი მამაო, ცუდი!

– რა?! – მისდაუნებურად ხმამაღლა ამოიძახა მეუდაბნოემ.

– ძალიან ცუდი! – კვლავ გაიმეორა მეღვიმემ, – ბექუ-ყაჩაღზე გადამტერებულ აზნაურთა მსტოვარს, გეში აუღია. ჩვენს საბინადრომდე მოსულს, დაუზვერავს აქაურობა და ავადმყოფის

ქვაბში ყოფნაც შეუტყვია. ავადმყოფის საიდუმლოდ წაგვრას აპირებენ. დღე-დღეზე მოსალოდნელია მათი აქ მოსვლა!

მეუდაბნოე ფიცხლად წამოდგა ტახტიდან, რამოდენიმეჯერ გაიარ-გამოიარა ქვაბში, ბოლოს ჯორკო მიაჩოჩა ცეცხლთან და მეღვიმეს მოპირდაპირედ ჩამოჯდა.

– მსტოვარს უფლისწული ხომ არ უხილავს ნეტავი? – კითხვა შეაგება.

– ვერაფერს გეტყვი! იქნებ, ეჭვობენ, ჩუმად წაგვრა ამიტომაც განუზრახავთ. იცი შენ, თავისებური ალღო გააჩნიათ!

– ყოველივე ეს საიდან გაიგე? – დაინტერესდა მეუდაბნოე.

– ერისკაცობაში, ერთი მოყმისათვის ბევრი სიკეთე მაქვს გაკეთებული. ობოლი იყო, უჯილაგო. ვპატრონობდი და ვეხმარებოდი რითაც შემეძლო. ის მოყმე ახლა აზნაურთა ლაშქარშია. იმან მიამბო. გზად მომავალს შევხვდი, შესატყობინებლად მოდიოდა, იცოდა ჩემი ადგილსამყოფელი და აქეთ წამოსულიყო!

– აზნაურთა ლაშქარი სად არის ამჟამად? არაფერი უთქამს იმ შენს მოკეთეს? – შეეკითხა მეუდაბნოე.

– ორი დღის სავალზე ვართო, თქვა. ბექუ-ყაჩაღის ნარჩენ სპას ვებრძვითო.

– რაიმე ღალატი არ ჰქონდეს გულში!

– ღალატი! – მხრები აიჩეჩა მეღვიმემ, – არა მგონია, პირიქით, დახმარება სწადია. ხვალ, შუადღისას ამოვალ ჩემი ხალხითო, დამიბარა.

მეუდაბნოემ თავი დახარა. მცირე ხანს თვალები ცეცხლს მიაშტერა, შემდეგ მეღვიმეს შემოხედა ჩაფიქრებულმა: – რა მოვიმოქმედოთ? – უთხრა, – აზნაურთა ნაგეშრებმა რომ დაასწრონ აქ მოსვლა იმ შენს მოკეთეს, სად წავიყვანოთ ავადმყოფი, ორმა უღონო ბერმა, ჰა?

მეუდაბნოეს აღარ დაუმთავრებია სიტყვა, ფეხზე წამოდგა და რამოდენიმეჯერ გაიარ-გამოიარა ქვაბში.

– მამაო! – ხმა ამოიღო ამდენ ხანს გაჩუმებულმა დავითმა, – თუკი დამეხმარებით, როგორმე შევძლებ ცხენზე შეჯდომას.

– არა, შვილო! – მეუდაბნოე კვლავ მიმოდიოდა ქვაბში, – შენი ზეზეურად სიარული არ შეიძლება. ნაკვთმოუშუშებელი სხეული იარად გექცევა და მოტეხილი წვივიც ჯერ ხომ არ გამრთელებულა!

მეუდაბნოეს მეტი აღარაფერი უთქვამს. ცეცხლისპირს შეჩერებულმა, დოინჯი შემოიყარა და კარიდან მონაბერი ნიავით წარტაცებულ ალს, თვ ალი გააყოლა.

Tavi meeqvse

ტყეში გამოდევნებულ საურმაგს, ძლივს-ძლივობით დაუსხლტა გური. წყავის ხშირ ბუჩქებში ჩაიმალა და როგორც კი გაირბინა მდევარმა, აჩქარებული ნაბიჯებით საპირისპირო მხარეს გასწია.

სრულებით შემოეფხრიწა ტანსაცმელი. ერთგან, მარჯვენა ფეხი კუნძში მოყვა და საკმაოზე ღრმად ჩაფლობილი კიდურის გამოღებისას, მცირედ იტკინა.

ასე ნახევრად კოჭლობით და ბორძიკით იარა გარკვეული ხანი.

მრუმე ბინდი ჩაწოლილიყო ხევში. ნახევარრკალა მთვარის ფერმკრთალი სხივები, ვერ აღწევდნენ ხეების აყრილ ტევრში და ტყეში ბნელ ჯანღს დაევანებინა.

ღამის შავი ბურუსის გამო, სიარული შეუძლებელი რომ შეიქმნა, ვებერთელა ნაძვის ხეზე აცოცდა და ტოტებში გაირინდა.

ნადირის შიშითა და უღრანის უდაბურებით გაოგნებულს, არც კი გაუგია, როგორ გააფერმკრთალა ცისკარმა ზეცის კიდური.

განთიადის სიფერმკრთალე შემოიჭრა ცადაწვდილ ხეთა კორომში.

ხიდან ჩამოცურდა და კვლავ გზა განაგრძო.

ხშირ ბუჩქებთან, ხრამებით დაფენილ მთის ფერდობზე მავალ ყმაწვილს, არაქათი სრულებით გამოელია. დაღლილი, ძლივს მიბობღავდა.

ხავსიანი პიტალო რომ აათავა, უღონოდ მისავათებული, მუხის კუნძა ფესვზე ჩამოჯდა დასასვენებლად. ცოტაზედ სული მოითქვა და გუშინდელსაქეთა გარდახდენილის ფიქრში ჩაიძირა.

გზა-კვალი არ იცის საით წავიდეს. ირგვლივ მთათა ტყიანი ფერდობებია, მწვერვალები, ქათქათა თოვლით დაფარული.

ზაზა-ძია მოკლა ავაზაკმა. თვალნათლივ იხილა მიწაზე უგონოდ დავარდნილი.

იქნებ, დაჭრილია და არ მომკვდარა? უნებურად გაუკრთა ნააზრევში. ახლა კი, გონზედ მოსული, შველას ითხოვს, მშველელი კი არავინაა.

ეს რა ჩაიდინა? საყვარელი ადამიანი, თუნდაც უსულოდ გარდასახული, ყვავ-ყორანთა საგლეჯად მიატოვა და გაიქცა!

თუ მკვდარია, სამარეს მიუჩენს. დაჭრილს დაეხმარება, რაგვარადაც შესწევს! ეს რა ჩაიდინა? არა, ახლავე უკან მოტრიალდება და...

– მაპატიე, ძია! – თავისდაუნებურად ხმამაღლა წამოიძახა.

ანგარიშმიუცემლად ზეზე აიმართა და დაბლა დაეშვა. დღის სინათლეზე ადვილად იარა. ის ვაკობიც ადვილად მიაგნო. ვაკობზე ძე-ხორციელი არავინ ჩანდა. გულდასმით მოჩხრიკა იქაურობა, ამაოდ.

ძებნისას, გაღმა მდელოზე, ცხენის ფრუტუნის ხმა შემოესმა. იმ მხარეს გასწია. იქ რომ ჩააღწია, ხეთა ტევრში ბედაურს მოჰკრა თვალი. ქედანა იყო, მისი ქედანა. ცხენს ფრთხილად მიუახლოვდა: – ქედან! – ჩუმად დაუძახა.

ცხენმა ბალახის ძოვას თავი ანება, დამძახებლისკენ შემოტრიალდა და ფაფარაშლილმა დაიხვიხვინა.

გური ბედაურთან მივიდა. მიეფერ-მიესიყვარულა: – ხომ მაპატიებ, ქედან? – უჩურჩულა. – ხომ მაპატიებ? – კვლავ შეეკითხა დრუნჩდაცვარულ ცხოველს, თავი ცხენის კისერს მიადო და კისერზე ხელებშემოხვეული, გაიტრუნა.

ალერსით რომ გული იჯერა, წელიდან ქამარი მოიხსნა, ცხენს ლაგმად დაუმაგრა და ბედაურს ზურგზე მოევლო.

ვაკობზე გასულმა, ყაჩაღის ნაკვალევი მოძებნა.

ლაგამმიუშვებლად, ფლოქვების ახალთახალ კვალს მისდია.

გარკვეულ ხანს იარა. მთის ციცაბო ფერდი გადავლო, ღორღიან ხევში ღელე გატოპა და ხშირ ბუჩქნარიან ველზე გავიდა.

გაზაფხულის ადრეულ მახარობლებს დაექარგათ ველი. მთის ციცაბოებიდან ჩამომდინარე წყაროების პირებზე, აღელღელავებული, ლურჯ-ყვითელ თავთავიანი ყვავილები, რუებს გარშემო მომხიბლავად შემოწყობოდნენ.

საკმაოდ გაზრდილ, აბიბინებულ ბალახში, ნაკვალევი შესამჩნევად ჩანდა.

მწვანე ქათიბიანი მინდორი რომ მოათავა, თხმელნარ ჭანჭრობში შესულს, კვალი აებნა და ბოლოს სრულიად დაკარგა.

ალალბედად ჩაუყვა დაბლა.

შებინდებამდე მცირე დრო რჩებოდა, ძველისძველ ნაგზევს რომ მიაგნო. ატალახებულ, ცალბილიკა ნაგზევს გაჰყვა.

ერთგან, გზის პირას, ძველი სამოსითა და ჭუჭყით გაზინთულ ტანსაცმლიანი წვეროსანი შემოეყარა. შუახნის, ასაკოვანი კაცი, ქვაზე ჩამომჯდარი თვლემდა. თვალებს რიგ-რიგად ახელ-ხუჭავდა, თითქოსდა ძილის ბურანში გახვეულს, სრულებით არ აინტერესებდა რა ხდებოდა მის გარშემო.

მთვლემარეს რომ მიუხალოვდა, ბედაური შეაჩერა და ჰკითხა: – ხომ ვერ მიმასწავლით არტანუჯისკენ მიმავალ გზას, ძია?

არტანუჯში უფლისწულ ბაგრატს ვნახავთო, აქეთ წამოსვლისას რამდენჯერმე გაუმეორა ზაზამ და ეს სიტყვა ჩარჩენოდა მეხსიერებაში.

ყმაწვილმა არც კი იცის, რისთვის სჭირდებოდათ უფლისწულის მონახულება. თუმცა, ალღოთი გრძნობდა, ალბათ საჭიროება ითხოვდა ამას. აბა, სხვა რა უნდა ეფიქრა გონსრულ ადამიანს.

ვერაფრით ამოეცნო ბაგრატთან მისვლის მიზეზი გურის, მაგრამ ყოველივეს დაწვრილებით მოუთხრობდა უფლისწულს და იქნებ, მასვე ამოეხსნა ეს გამოცანა.

– არტანუჯის გზა? – შეყოვნებული მთქნარებით, ირიბად ამოხედა კაცმა, – აგერ, – ხელი ზევით ამავალ ბილიკისკენ გაიშვირა, – აჰყევი ასე და ბორცვს გადაღმა, ფართო შარაზე გახვალ, ისაა არტანუჯისკენ მიმავალი გზა! – უთხრა და კვლავ ძილმორეულმა, თავი დაბლა ჩაღუნა.

ყმაწვილმა ბედაური მოსხლიტა, აღმართი ჭენებით ავლო და გაივაკა. ვაკის შუამდეც არ იყო მისული, რომ ერთგან ბილიკი უცბად ჩაიზნიქა და ცხენიანად ორმოში ჩავარდა. ავაზაკთა ნამოღვაწარ, მისატყუარ ორმოში.

ორმოს ფსკერზე დაცემისას, ყმაწვილმა თავი ვეღარ შეიმაგრა და წინ გადავარდნილი, მძლავრად მიეხალა ორმოს კედელს.

ძლიერი დარტყმისგან დარეტიანებული, დაბლა ჩაცურდა და ცხენის ფეხებქვეშ მოექცა. ორმო ვიწრო და ღრმა იყო. ზემოდან ჩამოცვენილი ხმელი ფიჩხის, გვიმრისა და მიწის არეული მასა დააცვივდა თავზე.

ჩაჩოქილი ქედანა როგორც იქნა, აიმართა.

გურიც გათავისუფლდა ფიჩხისგან. ძლივს-ძლივობთი წამოდგა ზეზე და მიწის ზედაპირს ქვემოდან ამოხედა. ყოველი წამი ახლა ძვირად ფასობდა. დამტყვევებლები სადაცაა მოვიდოდნენ და...

სწრაფად აცოცდა ცხენის ზურგზე, ხელებით ორმოს კიდეს მისწვდა. გვიმრის ფესვებს მოებღაუჭა. შეხტომა სცადა და უნებლიეთ ზევით აიხედა. ორი დამტვერილ-დაკენკილ სამოსიანი კაცი დაინახა. ერთი იმათგანი, ქვემოთ შეხვედრილი მთვლემარე იყო.

ორივე ხელებზე სტაცეს კაცებმა ყმაწვილს ხელები და ზემოთ ამოათრიეს. ხუთმა წვეროსანმა სწრაფად დაუბორკა ხელები და დაბორკილი, ხეზე მიაბეს. შემდეგ, თავმელოტა მწითური ჩაეშვა ორმოში, მუხლის მხრიდან ამოსდო ქედანას ღვედები, ცხენი კარგად შეკრა და იმავე თოკით, ისევ მაღლა ამოვიდა.

ხის გრძელი ძელებისგან სახელდახელოდ მოწყობილი ხელსაწყოთი ამოიყვანეს ცხენი ორმოდან და კისერზე თოკწაბმული, გურისთან ერთად, გაიყოლიეს.

ჩავლეს ვაკობი, მუხნარ ფლატეს წაადგნენ. ამასობაში ბინდიც ჩამოწვა.

ფლატის ბოლოში, ღელისპირას, რამდენსამე ადგილას, სინათლის შუქი კიაფობდა. ნისლის გამჭვირვალე ფენა, ვიწრო, თეთრ ზოლად გაწოლილიყო ხევში.

დაღმართს ფრთხილად ჩაუყვნენ და როგორც იქნა, ღელისპირა, მცირე მინდორზე ჩააღწიეს.

მინდორში ორი, ძირთულა ძელური შენობა იდგა. ძელურთა წინ, აჩირაღდნებული კოცონის იქით, მაღალი მესრით შემორაგულ საცხენესთან, ბაკში შეაგდეს ქედანა. გური კი, ტყავის თასმებით ხელ-ფეხ დაბორკილი, ღობესთან, ერთ ლოდზე მიჯაჭვული, მარტოდმარტო დააგდეს ღია ცის ქვეშ.

ყარაულის გარდა, ყველა გაეცალა იქაურობას.

გაილია სამი დღე-ღამე. მეოთხედ ჩამობინდდა. ღამესავით თვლემდა ცეცხლისპირს მიგორებული ყარაული.

დაბლიდან უკუნმა ნისლმა ამოხეთქა. ნელ-ნელა გაფერმკრთალდნენ ცაზე ვარსკვლავები და მალე სრულიად გაქრნენ. თეთრმა ჯანღმა შთანთქა იქაურობა.

აცივდა. ალის სითბო ვერც თუ აღწევდა გურისთან. სციოდა ყმაწვილს, მხრები უკანკალებდა სიცივისგან.

შუაღამისას, ყარულმა მოხსნა ფეხებზე თასმები, ხელები გაუნთავისუფლა და ღელისპირს ჩაიყვანა მოსასაქმებლად.

უკან რომ ამოვიდნენ, ფეხები კვლავ დაუბორკა ყარაულმა ტყვეს.

ის-ის იყო, თასმები გამონასკვა და ხელების შეკვრას შეუდგა, რომ საცხენეში ჩოჩქოლი ატყდა. დამფრთხალი ცხენები ღელის მხარეს მიაწყდნენ.

ღობის მტვრევის ხმა გაისმა. ყარაულმა ხელებზე თასმებშეუკ-რავი ტყვე დატოვა და ღობიდან სწრაფად გადახტა საცხენეში.

– ეჰეჰეიიი! – რამდენჯერმე შეუკიჟინა.

ყვირილზე, ძელურებიდან გამოცვივდნენ დანარჩენი ავაზაკებიც.

საკმაო ხანს იბორიალეს იქაურობაში. ბოლოს დაასკვნეს, რაიმე ნადირი იქნებოდა ალბათო და კვლავ დასაძინებლად წავიდ-წამოვიდნენ.

შეიცვალა ყარაული. გურიმ, ვითომდაც ხელებშებორკილმა, ხელებზე თასმები დაიხვია და მიწაზე გაწვა. იქნებ, ამით მოვატყუო ახლად შეცვლილი ყარაულიო, იაზრა.

როგორც კი მიწყნარდა იქაურობა, ყარაული დაბორკილ ყმაწვილთან მივიდა.

– როგორ ხარ, შეგცივდა? – შეეკითხა.

გურის არაფერი უპასუხია.

ყარაულმა შეათვალიერა ტყვე. თასმები მოუსინჯა, – ხომ არ გიჭერს ღვედები? – დაღრეჯით ჰკითხა კვლავ.

პასუხი არავის გაუცია.

მცირე ხანს უყურა, – მალე წახვალ აქედანო, – უთხრა და კოცონისკენ გასწია. კოცონთან, ჯორკოზე ჩამომჯდარს, მალე თვლემა მოერია.

რულშეპარულმა, კუნძი მიიდო თავთან და ასე, ნახევრად მწოლარემ, ხვრინვა ამოუშვა.

გურიმ სასწრაფოდ გაითავისუფლა ხელები, მოძებნა წვერბასრი ქვები და ერთიმეორეზე ხახუნით, გადაჭრა ფეხებზე განასკვული თასმის წვერიც.

შესაკრავებისაგან გათავისუფლებული, ხოხვით მიჩოჩდა ჭიშკართან. ჩუმად გახსნა ჭიშკარი და საცხენეში შეიპარა. ჭიშკრის მოხურვისას თვალი აქეთ გაექცა. ყარაული კვლავ ხვრინავდა. სიჩუმეს დაესადგურებინა გარშემო. სადღაც ჭოტი ჰკიოდა.

საცხენეში ქედანა მოძებნა. პატრონის დანახვა გაუხარდა პირუტყვს. ფა ფარი ზეზე აყალყა და რამდენიმეჯერ, ხმამაღლა დაიფრუტუნა.

– ჩუმად, ქედან! – ყურში უჩურჩულა კისერზე ხელებშემოხვეულმა გურიმ და ტუჩზე რბილად ჩამოუსვა ხელი.

თასმებით შებორკილი წინა ფეხები გაუნთავისუფლა. ჩოხა გაიხადა, ნაჭრებად დაფხრიწა და ფეხებზე შემოახვია ცხოველს. ბოლოს, ყველაფერი რომ მოათავა, ახსნა ძელზე მიბმული ქედანა და ფრთხილად გაემართა გასასვლელისაკენ.

ჭიშკართან მისულმა, იქითკენ გაიხედა. მინავლებულ ცეცხლთან ყარაულის ჩუმი ფშვინვა ისმოდა. გურიმ ჭიშკარი ფრთხილად გააღო, ბედაური გამოიყვანა ბაკიდან და ღამის სიბნელეს შეერია.

ღორღიან აღმართ სავალზე იარა ერთხანს. ჭირდა კენჭა, წვრილი ქვებით დაფარულ ბილიკზე სიარული, როგორც იქნა, ააღწია ვაკობს.

გზა-შარაზე გასულმა, ქედანას ზურგზე მოევლო და იქითკენ სწრაფი ჩორთით გააქანა.

ნისლში თეთრ ზოლად მოჩანდა სავალი.

გამთენიისპირს, სამი მხედარი შემოეყარა. არტანუჯს მიმავალი გზა ჰკითხა. მგზავრებმა, პირდაპირ იარე, სოფელში მიხვალ და იქ გასწავლიანო, უთხრეს.

შუადღისას შევიდა სოფელში. სოფელი დაცარიელებული დაუხვდა. ჭირს გარიდებული ხალხი, მთებს შეხიზნებოდა.

ერთგან, წყაროსპირს, მხცოვანს გადაეყარა: – ბაბუ, არტანუჯს მივდივარ, და ასავალი ვერ გამიკვლევია, იქნებ მასწავლო! – უთხრა.

მოხუცმა ყურზე ხელი მიიჩრდილა, – ჰაო? – დაეკითხა.

გურიმ გაუმეორა შეკითხვა.

– აღარაფერი მეყურება, გამოვჩერჩეტდი, შვილო! ვეღარც ვიხსენებ, ეს გზები საიდან და სად მიდი-მოდიან. ნუ გამამტყუნებ ბებერს... – რაღაცას კვლავ ჩიფჩიფებდა მოხუცი, გურის ის დანარჩენი აღარც ესმოდა.

სოფლიდან გაცილებულს, აქეთ მომავალმა მხედრებმა უჩვენეს არტანუჯისკენ მიმავალი გზა-შარა.

ოთხ დღეს იარა მითითებულ შარაზე. მეხუთე დღის სამხრობისას, შევიდა არტანუჯში. მიიკითხ-მოიკითხა ბაგრატ უფლისწულის სამყოფი და სასახლეში მისულმა, ჭიშკართან მდგარ ყარაულს, ბაგრატთან შესვლის ნებართვა სთხოვა.

– ვისი ყმა ხარ, ან უფლისწულთან რაზედ მიდიხარ? – დაინტერესდა ყარაული.

გურის ვერაფერი მოეფიქრებინა, რა ეპასუხა. ეთქვა, ბექუს რაზმელი ვარო, იმ წამიდანვე კისერში ხელწავლებულს დილეგში შეაგდებდნენ. არადა, ბაგრატის უნახავი, აქედან ფეხს ვერ მოიცვლიდა.

– შორიდან მოვდივარ, საიდუმლო საქმე მაქვს და მხოლოდ მას უნდა გადავცე დანაბარები! – ესღა მოიაზრა.

– უფლისწული დაღლილია, ჯერ ვერ მოიცლის.

– დავუცდი! – არ ეშვებოდა მაინც ყმაწვილი.

– არ გირჩევდი, ხალხის წვევისთვის დრო არ ექნება.

ბაგრატი ახლახანს დაბრუნებულიყო სასახლეში, სტუმრებს გამოჰყოლოდა ჭიშკართან. ისინი როგორც კი გააცილა, ამ ლაპარაკსაც უნებლიედ შეესწრო. ყარაულს უბრძანა, შემოუშვი ჩემთან ეს ყმაწვილიო.

ამ სიტყვებზე ყარაული უკუდგა და გზა უტია გურის.

ჭიშკრის შიგნით ბედაური ჩამოართვეს. წინგაძღოლილმა მსახურმა, ბაგრატთან აიყვანა.

უფლისწულის ოთახში შესულს, ბაგრატი ფანჯარასთან მდგარი დაუხვდა.

კართან მორიდებულად შეყოვნდა. მეფისწულთან მოქცევის წესები უცხო იყო ყმაწვილისთვის. ვერ მიმხვდარიყო, რა მოემოქ-მედნა, შეუცნობელი აზრებით შებოჭილი, ღია, არაფრისმთქმელი თვალებით შეჰყურებდა ოქროსფეროვანი სირმებით მოოჭვილ, უფლისწულის შავ, კუნაპეტ ჩოხას.

ბურანიდან ბაგრატის ხმამ გამოაფხიზლა: – გისმენ, ყმაწვილო! გვითხარი, რა გაგჭირვებია?

მღელვარებისგან ლოყები აეწვა გურის. გაურკვევლობით მოეღრიცა სახე, ხელები ნერვიულად შეისრისა დაფხრეწილ შარვალზე და მისდაუნებურად, მიკიბ-მოკიბვით ამოილუღლუღა: – მე... მე... ბექუს რაზმიდან ვარ. ზაზა-ძიასთან ერთად აქეთ მომავლებს, ავაზაკები დაგვესხნენ. ძია მოკლეს, მე კი გამოვასწარი...

კვლავ ყვებოდა რაღაცას, მაგრამ დანარჩენი თვითონ მისთვისაც გაუგებარი იყო.

სათქმელი რომ მოილია მოსულმა, ბაგრატი ახლოს მივიდა გურისთან. ბეჭებზე ხელები მოუთათუნა: – დაწყნარდი! – უთხრა, – ნუ ღელავ. დალაგებით მომიყევი ყოველივე!

შინაგანი შებოჭილობა, უფლისწულის გამამხნევებელ სიტყვაზე, რაღაცნაირად მოეხსნა გურის. შეთამამებულმა ასწია მხრები და სათქმელს ახლა უფრო შედარებით მწყობრად ჩაუყვა.

ბაგრატი უსმენდა გაფაციცებით ყმაწვილს. მოსვლის მიზეზი კი ვერა და ვერ გაეგო. ბოლოს ჰკითხა, – ერთი ეს მითხარი, თქვენ ჩემთან ბექუს დავალებით მოდიოდით?

– არ ვიცი, უფლისწულო! მე მხოლოდ ძიას ვახლდი. რაზედ უნდა მოვსულიყავით, ჩემთვის არავის გაუმხელია. წამოსვლის წინ, ძია ამბობდა, უფლისწულ ბაგრატსაც ვნახავთო. ეს არის და ეს, ამად გეახელით.

– რაიმე ხომ არ უჭირს ბექუს?

– აზნაურთა სპა აპირებდა ბრძოლას ჩვენთან.

– აზნაურთა სპა? სად იმყოფებოდნენ ეგენი?

– სამი დღის სავალზე იდგნენ. ჩვენგან მოშორებით, ზედკარეკთან ახლოს.

– ჰმ! – ბაგრატმა ოთახში რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა და მსახური მოიხმო: – სარდალ ჯოჯიკს დამიძახე! – უბრძანა.

მცირე ხნის შემედგ, კარებში მაღალ-მაღალი, მხარბეჭიანი ჯოჯიკი შემოიმართა. – გეახელით უფლისწულო! – მოახსენა.

– ჯოჯიკ! – შემოსასვლელისკენ მოტრიალდა ბაგრატი, – თორთომის სამხრეთში აზნაურთა ლაშქარი შეკრებილა. ამის შესახებ იცოდით რამე?

– დიახ, უფლისწულო! – დაუდასტურა სარდალმა, – აზნაურები ბექუზე გასალაშქრებლად შეყრილან. კარგა ხანია ვერ იტანენ ყაჩაღის თავგასულობას. ხალხში სამართლის დამყარებას ქადაგებსო, თვალებს უშანთავს ვითომდა ყმათა სყიდვის საბაბით, დიდგვაროვან მებატონეებს. ძარცვავს ქვეყანას და ახალი წეს-მოწყობით იმუქრებაო.

– სარდალო! – მარჯვენა მოუზომველად აიქნია ჯოჯიკისკენ ბაგრატმა, – მე შენთვის არ მიკითხავს, ვიღაც ყაჩაღი რა ქმედებებს სჩადის და თუ ამგვარდაა საქმე, ეს ისევ ჩვენი ბრალია! აზნაურთა სპაზე მოგახსენე და გთხოვ, დაწვრილებით ამიხსნა ყოველივე!

– მაპატიეთ უფლისწულო! – თავი ოდნავ დადრიკა ჯოჯიკმა. – აზნაურთა სპა, ორი დღს წინ შებრძოლებია ქაჯთახევში ბექუს მომხრეებს. ამბავი მოიტანეს, ბექუ სადღაც დაკარგულა. არ იციან, მკვდარია თუ ცოცხალი. მარცხნაჭამი მისი ნარჩენი რაზმი კი, ოტებულიაო.

– რაიოოო?! – გაურკვევლობის უცაბედმა ტოკვამ, ყრუდ ამოახავლა მკერდიდან ბაგრატს. სახეზე მიტკლისფერმა დაჰკრა, – რااა! რა თქვი?! დაიკარგაო?

ოთახში მცირე ხანს განუსჯელად იბორიალა. უსაზმნოდ ასავსავა ხელები, ბოლოს, ცოტა რომ დაწყნარდა, ჯოჯიკს მიუტრიალდა: – სარდალო! სამასი მხედარი საბრძოლოდ შეამზადე სამეფო სპიდან. ქაჯთახევში სალაშქროდ წავალთ. სწრაფად, როგორც კი შეიძლო!

– კარგით, უფლისწულო! – თავი დაუკრა ჯოჯიკმა. მალევე შეტრიალდა უკან და კარებში გაუჩინარდა.

ბაგრატმა მსახური იხმო: - სტუმარი, – გურიზე მიუთითა, – დაანაყრეთ და კარგად შემოსეთ, – უბრძანა.

ოთახიდან გამოსულმა, მეფის სანახავად გასწია.

მამის სადარბაზო შესასვლელთან, მსახური იდგა.

– მეფესთან მიღებაზე ხომ არავინაა?

– ფანასკერტელის ყმანი არიან! – ოდნავ უკან მიდრკა კართან ატუზული მსახური.

– მოახსენე მეფეს, რომ შესვლის ნებას ვითხოვ. სასწრაფოაო, ასე უთხარი!

მსახური კარში შევიდა და მცირე ხნის შემდგომ, ორ მოყმესთან ერთად გამოჩნდა.

ფანასკერტის ახალი ერისთავის ყმები მიესალმნენ ბაგრატს.

ფანასკერტელს, როგორც კი თვალები დაუშრიტა ბექუმ, ერისთავობა მისმა შვილმა, შანშემ მიიღო.

შანშეს გაერისთავება მცდარ ნაბიჯად მიიჩნია ბაგრატმა. რამდენჯერმე სთხოვა მამას, სხვა, ღირსეული კაცი დაენიშნა საერისთავოს გამგებლად, ამაოდ დაშვრა. ვერაფერი გააწყო მშობელთან.

ფანასკერტელთა ამჟამინდელი მოდგმა, მხოლოდ სამშობლოსადმი ორგულობით გამოირჩეოდა. შანშეს პაპის მშობელიც, ქვეყნისადმი მოღალატური ხლართებით ცნობილი ერისთავი, გაკადნიერებული, თავს მეფედ აცხადებდა თურმე და ადარბადაგანის ამირას თუ სხვა მომტერე ხელისუფალთ, ლაშქრის შემოყვანის მუქარით, ჯიბრში ედგა ტაო-კლარჯეთის მეფეებს.

შანშეს, თავის წინაპრებისამებრ, ღალატითა და ორპირობით გაეთქვა სახელი და ამდენად, მისი ერისთავად ყოფნა, დანაშაულობის ტოლფარდად აღიქმებოდა.

ვინმეს თუ შანშეს ერისთავობა სურდა, პირველი, რა თქმა უნდა, ბაგრატი უნდა ყოფილიყო. ვერ ამოეგდო ჯერაც უფლისწულს გულიდან ნაზიასადმი სიყვარული.

დავითი უკმაყოფილო იყო მისი განუსჯელობით. უჭკუო აცეტებად თვლიდა და უშლიდა კიდეც ნაზიასთან სიახლოვეს. მოღალატის ოჯახში გაზრდილი ქალი, თანამეცხედრედ არ გამოგადგებაო, რამდენჯერმე უთქვამს. დაანებე თავი, ქვეყანაზე მანდილოსანი არ გამოლეულა და საფერი გულისსწორი, ღირსეულ გვარში ეძიეო.

მშობლის ცუდ-ნაქნარი შვილს არ მოეთხოვებაო, პასუხობდა თვითონაც. მაგრამ, გონებით კი ჭვრეტდა, უფროსი ძმის ნათქვამში, ჭეშმარიტების მეტი წილი იდო. თუნდ იმიტომაც, რომ ნაზიას დედა პატარაობიდანვე დაჰკლებოდა, მამა ორწილი მშობლიური ტრფობით უყვარდა. მათ შორის ოჯახურ შუღლსა და დაპირისპირებას აგრერიგად ვერ მოიხალვათებდა. ქალწულის ბუნება და შინაგანი წინააღმდეგობით აღსავსე გაუთვალისწინებელ დაღს დაუსვამდა ქალ-ვაჟის ურთიერთლტოლვას.

გამჟღავნებულ სიყვარულს, ნაზიას მამის გამო, იქნება ახდენაც არ ეწერა.

უცდიდა ქალი მამის თანხმობას, გაკერპებული ერისთავი კი, არ ყაბულდებოდა ასულის ხვეწნა-მუდარას.

ბექუსგან თვალდაშრეტილს, საბოლოოდ გადაეწყვიტა მისსავე აზნაურისთვის მიეთხოვებინა ასული.

სამგზის მოუვიდა სატრფოსგან გამოგზავნილი ყმა ბაგრატს, მამა მათხოვებს, რამე იღონეო, – წერდა ქალი.

მოუცლელობით ვერ ავიდა ფანასკერტში, რათა საბოლოოდ გაერკვია არსებული ვითარება, ჩაჟამებული ბურუსიც გაეფანტა და სათქმელიც შეეჯერებინა ერისთავისთვის.

არადა, ქალს ძალისძალად წაგვრიდა.

აქამდე საქმის მიყვანას, ნამდვილად უფრთხოდა ბაგრატი.

– მეფე გელით, უფლისწულო! – ფიქრი მსახურის ხმამ გაუფანტა.

ერთიც კვლავ გახედა დარბაზიდან გამავალ სტუმრებს და ღია კარებში სწრაფად შეალაჯა.

ტახტთან, მამის გვერდით, რბილ, ხავერდდაფენილ სავარძელში, ვაზირთუხუცესი მოკალათებულიყო.

უფლისწულის შესვლისთანავე, ვარდანი ზეზე წამოდგა, აქეთკენ გამოემართა.

იატაკზე, ორმწკრივად გაშლილ, რბილქათიბა ნოხზე, მწყობრად ისარკებოდა ვაზირთუხუცესის მოზომილ ნაბიჯთა კვალი.

კართან მისული ვაზირთუხუცესი შემოტრიალდა. – მცირე ხანით გავალ, მეფეო, – თქვა და დასტურის ულოდნელად დატოვა დარბაზი.

– დაჯექი, შვილო! – მეფემ სკამზე მიუთითა ბაგრატს.

ბაგრატი სკამზე ჩამოჯდა და მამის დაღარულ, ჭაღარაშერეულ სახეს მორიდებით შეაცქერდა.

მეფეს თვალებში ახალგაზრდული გზნება ჩაქრობოდა. წუთისოფლის სევდაჭარბ, ეკლიან სავალს, ბეჭებში მოეხარა ოდესღაც გულადი, განთქმული ვაჟკაცი და მეომარი.

სწორედაც ამ შემართებით დაიმკვიდრა პირველობა და მეფეთა-მეფის წოდება.

პირველობის აღიარებისთანავე, შურისგან დაზაფრული კლარჯი მეფენი, თავთავიანთ სამკვიდრო ციხეებში გაიფანტნენ და არტანუჯი სრულიად დაუტევეს აღზევებულს.

მას შემდგომ საკმაო დრო გასულიყო. დაუძლურდა ერთ დროს მძლე ფალავანი და გაძნელდა ქვეყნის მართვაც.

აღარ შესწევდა მამულისათვის ძველებურად ეპატრონა.

ერთხანს სარკმელს გაჰყურებდა მეფე. შემდეგ წამოდგა ტახტიდან და დარბაზში სიარული დაიწყო.

მოკლე. მოზომილი ნაბიჯების ხმა, შორეულ ბუკთა კვრად ჩაესმოდა ბაგრატს.

მეფე სარკმელთან შეჩერდა და მოუბრუნებლად უთხრა: – ჰო, თქვი, რა გინდოდა?

ბაგრატი ქვეცნობიერი რიდით შეჰყურებდა მშობელს. ზეზე წამოდგა და მორიდებით შეჰბედა, – სპის სათხოვნელად მოვედი!

სპის გაგონებაზე, მეფე მსწრაფლ მოტრიალდა შვილისკენ. მათი მზერა ერთურთს შეეჩეხა. მამის თვალებში ბრაზი ისარკებოდა. უამურმა ვნებათაღელვამ, ქარაშოტივით ჩაურბინა სხეულში ბაგრატს.

– სპა რად გჭირდება? – შეეკითხა მეფე.

– აზნაურთა ლაშქარსა და ბექუს მომხრეებს შორის ბრძოლა გაჩაღებულა. მინდოდა დავხმარებოდი...

– ჰმ, დახმარებოდი! – ოდნავ დამცინავი ღიმილი დაეფინა მეფის შეფერმკრთალებულ ბაგეებს, – მაინც ვისზე ფიქრობ ხელის გაწვდენას? იქნებ ბექუს...

– დიახ, მამავ! – თავი ნელა დაუქნია ოდნავ შეთამამებულმა უფლისწულმა, – ბრძოლაში შეჭირვებული ბექუს წამოშველება მქონდა განზრახული!

– მერე... – მეფემ ალმაცერად გამოხედა ყრმას, – მერე და, ვინ არის ეგ ბექუ, ასე რომ გამოგიდვია თავი მის გადასარჩენად?

– მოყმე, კეთილ საქმეთა მიმლტოლი და მებრძოლი!

– აზნაურთა ამწიოკებელი! – სიტყვა შეატეხა მეფემ, – ფანასკერტელის თვალთადამშრეტი, ვაის ნაყარი გმირი, ეს არის საკეთილო საქმე?!

– მოღალატეები მეტჯერ უარესის ღირსნი არიან, მამავ!

– კმარა! – მაღალი ხაფით დააკვესა ხელმწიფის კივანა ხმამ. – აზნაურები გინდათ ამიჯანყოთ? იქნებ გგონიათ, გონება მერევა მოხუცს, ანდაც ვერ ჩავწვდომივარ ჭკუასისუსტით არსებულში და სოფლის უხილველობა მჭირს, სინათლე ნაკლულობისგან...

ორი წელია ტყედ გაჭრილია დავითი. უგვანო ქცევით გადამამტერა აზნაური და უაზნო, მტერიც და მოკეთეც. ყველა! სპარსთა ქვეყნებში მივალო და ავაზაკებს შეეამხანაგა. შენ კი გაიძახი, მართალ საქმეს იქმსო, ესაა სიმართლე? უზნეოსა და ბოროტს რა გამოლევს, ყველა ავსულს თუ თვალებს დავშანთავთ, ამიხსენი, საღ-სალამათი ვიღა დარჩება მაშინ? ანდაც იმ თვალდავსებულთა ნაშიერთ რა პასუხს გასცემთ? განა არ ვიცი

აზნაურთა ცუდქმედებაზე? ვიცი თქვენზე მეტწილად ბევრიც. არსაითაა ღონე და ხერხი.

ხალხის ბედი მეც მაღელვებს! ჩვიდმეტი წლიდან ხმალჩაუგებლად ვადგივარ მამულის დარაჯად. ამისათვის მრავალი მარცხიც მიგემნია და დამცირებაც. დათქმულ მიზანს რომ მიაღწიო, მართალი კაცნი გჭირდებათ, ასეთების პოვნა კი ძნელია, ძნელი! გამოჩნდით მაშენებელნი, უკეთურებას თვალთა დაშანთვით ვერ დათრგუნავთ, კეთილგონივრული ქცევა უფრო მეტად მოაბრუნებს ადამიანებს, ვინემ სისასტიკით აღმართული მახვილი!

– მამავ განა...

სიტყვა ბაგეზე შეაწყვიტა ბაგრატს, მეფის მძვინვარე მზერამ.

– გეყოფათ რასაც თვალთმაქცობთ! ქვეყნის არევა გინდათ! იქნებ, ტახტიც მოგსურვებიათ? აზნაურებს რომ მოინელებთ, მეც ამომიწვავთ თვალებს, ავზნეობდაო, მოიმიზეზებთ! ვინ ჩაგაგონათ ასეთი რამე, ვინ?! ჯერ თუ ყოფილა, უფლისწულს ყაჩაღობით მოეხვეჭოს სახელ-დიდება? ალბათ ფიქრობთ, ამით რაიმე სარგებელი მიეცით ხალხს, არა მგონია!

ამდენ დაგონჯებულთა შთამომავლებს სადღა წაუხვალთ, ავქმედობასთან ბრძოლას ყოველთვის სასურველი მიზანდასახულობა არ გააჩნია, არა! დაიზრდებიან ის შურისგებით დაგეშილი ლეკვები, ერთსაც გიყელებენ და ამდენ ხნობით ნაჭუჭკარ ბოღმას, შხამსამსალად მოგიბრუნებენ! მაშინ ვერცრას გიშველით ძლევამოსილ მკლავთა სიქველე! მონობა, თვით ამ მონებმა შექმნეს და მხოლოდ მათვე შეუძლიათ იგი აღკვეცონ! – ჩაათავა მეფემ. ერთი გულაღრენით შემოხედა უფლისწულს, დარბაზში საკმაო ხანს იბორიალა და ბოლოს, დაღლილი, ტახტზე მიესვენა.

– მამავ! – ახლაღა სცადა სიტყვის შებედვა ბაგრატმა, – განზე გამდგარი კლდეკარის ერისთავი დავითმა რომ შეიპყრო და მსჯავრის ნაცვლად საბოძვარით აღავსეთ, განა გაერთგულდა? დაუსჯელობის აზრთახედვით წათამამებულმა, სწორ გზას მრავალი ააცდინა და ადრე მარტოდ თუ იყო, ახლა ბევრი იშვნენ მისებრნი. ეს რამდენი წელიწადია, ფანასკერტის გამგებელთან დამცირებულმა ვედრებამ გადაგვიყოლა! ბევრჯერ ვაპატიეთ ღალატი. მოვიმხრეთ კი? ვერა, მამავ! სამშობლოს გამყიდველს შენდობა არ უნდა ქონდეს, თორემ ბოლოს, ერთგულნიც განაპირდებიან და ჩვენი სამკვიდროს წინაპართა დაკანონებულ მიწა-წყლის დამცველი, აღარავინ შეგვრჩება! აი, ეს არის მამულიშვილური ზრუნვის გამოძახილი, ჩემის აზრით და გონით.

– რااااა! – ბრაზიანი ხავილიდა აღმოხდა მეფეს. გაგულისებული მიეჭრა უფლისწულს, ხელები ცხვირწინ აუშალა, – როგორ მიბედავ ჭკუის დარიგებას?! – უყვირა, – თავს გახვედით! ჯერ მე ვარ მეფე და ვიცი, რასაც ვიქმ!

მამის გაცოფებით მისდაუნებურად შეცბუნებულმა ბაგრატმა, უკან დაიხია და წამსვე, გრძელი მაგიდის იქით აღმოჩნდა.

ახლა მათ შორის, თხელი, მეწამულისფერი, აბრეშუმის ელვარე სივრცე გაწოლილიყო და მოეჩვენა, თითქოს უძირო შორეთდან ჰკიოდა მამა.

მეფე კი კვლავ ყვიროდა.

მელოტ თავსა და შუბლზე ღარები ასხდა. ჭაღარა წვერ-ულვაში საოცრად ერხეოდა.

მასა და დავითს ტახტის მოცილედ თვლილა. ზოგჯერ, ისეთ რამესაც იტყოდა, გაოცებული ბაგრატი უაზროდ აიწურავდა მხრებსა და ხელებს.

მეფემ ყვირილით რომ გული იჯერა, მოწყვეტით დაენარცხა ტახტზე.

ერთხანს იყო ასე. შემდეგ, თავი მაღლა ასწია და დაღლილი თვალებით ბაგრატს მიაშტერდა: – წადი! – ხელი აუქნია, – ჩემი ბრალია, გაგათამამე და ახლა რაღა დროისაა!

ბაგრატი არ ინძრეოდა. შეჰყურებდა ერთობლივ მოტეხილ მამას და უნებურად სიბრალულის ჭავლი უქშიოდა სხეულში. იდგა, თუმცა, თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, რა მოემოქმედნა. ასე წასულიყო მშობლიურ გრძნობაში ბზარშეპარული, თუ?... არადა....

– მამავ! – ამოღერღა ბოლოს სიტყვა, – არაფრით არ ვიზრახავდი შენს წყენინებას. მეც ხომ გამაჩნია გონება და ვუბნობ მას, რაგვარადაც ვჭვრეტ და თუ ეს ტახტის მოცილეობად მიგაჩნია, სრული უსაფუძვლობაა. სხვა არაფერი! ყველაზე მეტად სანდო და საფრთხილო, პატიოსანი მშრომელია. ქვეყანა ასეთნაირებით არსებობს და თუ მათ აგრერიგად მონებად დავბორკავთ, აღარ შეგვრჩება წინაპრის ზრუნვით ბოძებული მამული და არც თვითონ ერი!

მამის თვალებში წედანდელი ბრაზი ჩამქრალიყო. გარკვეული აღქმით შეჰყურებდა ახლა უფლისწულს.

– ბექუ ახსენე! – შეთამამებულმა გააგრძელა, – დიახ, ბექუ-ყაჩაღი დავითია და მისთვის ტყედ გაჭრის დღიდან, დახმარება ბევრჯერ გამიწევია! თავგასულ აზნაურებს უსწორდება, ნუთუ, დასაგმობია ესე? ყველა გადამამატერაო, დავითი ყმების მონებად

მსყიდველებს ებრძვის, საქციელმრუდეებს უბრმავებს თვალებს. შესჭირვებია, სპის სათხოვნელად მოველ და თუ ამას ტახტის მოქიშპეობად მითვლი, სამეფო სპაც აღარ დამჭირდება, მე მარტო წავალ!

ბაგრატმა გამჭოლად გახედა სარკმელში მოყურადე, ფიქრნაჭარბ მამას, სწრაფად შეტრიალდა და დარბაზიდან გავიდა.

თავის ოთახში შესულმა, მსახურს უბრძანა, ჯოჯიკი მიხმეო. ჯოჯიკი ოცდაათ წელს მიტანებული, ზორბა ვაჟკაცი, ყოველმხრივ განსწავლული და უბადლო მეომარი, გვარიშვილობით დიდად არ გამორჩეული, უბრალო წრიდან აღზევდა და ამჟამად სპის სარდლად ამაღლებული, უფლისწულთა ერთგულ თანამებრძოლად ითვლებოდა.

სახელ-დიდება უჩვეულო ძალ-ღონესა და საბრძოლო ხელოვნების ზედმიწევნით ცოდნას მოეტანა. მრავალი ბრძოლაც მოეგო და ბევრი ჭრილობებიც მოემრთელებინა.

სარდლის მოსვლა აუწყა მსახურმა.

– შემოვიდეს! – ბრძანა ბაგრატმა.

კარში შემომართულ ჯოჯიკს, ბაგრატი ფანჯარასთან მდგარი დაუხვდა. მოდიო, ხელით ანიშნა. მაღალ-მაღალი, მკვრივი აღნგაობის მოყმეს, ტანზე მჭიდროდ შემოტმასნილი, ჯვარედინ-ლურჯსირმებიანი, ნაქარგი ჩოხა და ღია ფერის ახალუხი ემოსა.

ოდნავ კეხიანი ცხვირი, მსხვილი, გრძლად გაზიდული წარბები, მუქი წაბლისფერი, ხვეულად დაყრილი თმა, შავი, საოცრად მოკიაფე თვალები, წვერ-ულვაშაშლილ, შავგრემან სახეს, კაცური მიმზიდველობის უნაკლო პეწით შერწყმოდა.

– გეახელით, უფლისწულო! – მოახსენა კარში შემოსულმა ჯოჯიკმა და კარის ზღურბლთან შედგა.

ბაგრატმა წამიერი მზერა ესროლა სარდალს და პირდაპირ დაიწყო: – ახლახანს მამასთან ვიყავი, სამეფო სპა ვთხოვე ბექუს დასახმარებლად. უარი მითხრა. მოხალისეთა მოწვევა მოგვიწევს. ეგარსლანს გადაეცი, დავითის რაზმიდან დარჩენილი მეომარნი შემოიკრიბოს.

– მზად როდის ვიყოთ? – ჰკითხა სარდალმა.

– ხვალ, ადრიან დილით დავადგებთ სავალს. შიკრიკნი დაგზავნე ახლო-მახლოებში, მოხალისეთა საწვევად. ეცადეთ, რიჟრაჟის სწორზე დავიჭიროთ წასვლის თადარიგი.

– კარგით, ბატონიშვილო! – თავი დაუკრა ჯოჯიკმა და სწრაფად მიეფარა კარს იქით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილას ადრე, ცისკრის ჟამს დაიძრა ლაშქარი. ხუთასზე მეტ, დარჩეულ მოყმეს ითვლიდა სპა.

ახალ-ახალი საჭურველ-ტანსაცმლით შემოსილი, თავისსავე ცხენზე ამხედრებული გურიც, მეომრებს მიჰყვებოდა.

ოთხ დღე და ღამეს შეუჩერებლივ იარეს. მეხუთე დღის საღამოსპირს მიაღწიეს დანიშნულ ადგილას.

ჯინთახევის მთიდან გამომზირალმა სპამ, დაბლა, ვაკობზე, ბანაკად მდგარი ლაშქარი დაინახა.

წინდაწინ ორი მოყმე გაგზავნა ბაგრატმა, ამბის შესატყობად.

უკანვე მოტრიალებულმა წარგზავნილებმა, აზნაურთა სპა არისო, აცნობეს.

სპის ნაწილი, წინა დღით წასულიყო იქიდან. ყაჩაღის რაზმი დაემარცხებინათ. ამ ბრძოლაში ბექუც მოკლესო.

ბექუს სიკვდილის გაგონებაზე, ნაუცბათევი ტკივილი ჩაეთუთქა მკერდში, რაღაც ცივმა ჟრჟოლამ დაუძაგრა სხეული. – ბექუც მოუკლავთ? – ძლივს ამოთქვა და ხორხში გახირულ სიტყვას, მწარე ქშენა ამოაყოლა, – როგორ თუ? ვინა თქვა? – თავისდაუნებურად ჩაილაპარაკა და დამეხილ-დაძაგრული, მოპირდაპირეთა ბანაკისკენ გაქანდა. ლაშქარი უკანვე მიჰყვა უფლისწულს.

ასიოდე ნაბიჯზე მიახლოებულთ, აზნაურთა სპიდან, ხუთი მოყმე შემოეგება.

ბაგრატმა ცხენი შეაჩერა.

დამხვდურებს ერთი მხედარი გამოეყო და სულ რაღაც ორიოდჟ ნაბიჯზე შეყოვნებულმა, თაყვანისცემით მიესალმა ბაგრატს და მოახსენა: – ავაზაკები დავამარცხეთ, მათი ბელადი ბექუ, ხრამში გადაიჩეხა, ცოცხლად დარჩენილნი ტყვეებად შევიპყარით აგერ...

ბანელი დიდაზანურის, ლომგიანიძის ყმა იყო. ცნობილი ფლიდი და ორპირი არაკაცი.

სანამ ბანელის ყმა სიტყვას ჩაათავებდა, ბაგრატმა მსწრაფლ იშიშვლა მახვილი და ბანელის მსახურის ტანი, ჯერ კიდევ ბედაურზე ირხეოდა, რომ მისი მოკვეთილი თავი, მშრალ კორდზე ჩაგორდა.

გონსმოუსვლელად ჩახოცა დანარჩენებიც და ცხენი მთავარბანაკისკენ გააქროლა.

– ჩვენს მეომრებს ჰკლავენ! – კიჟინ-ზრიალი გაისმა აზნაურთა სპაში.

– აღსდეგით საომრად ხალხო!

წამოიგრაგნა ბანაკი. ვინაც მოასწრო ამხედრება, ცხენდაცხენ გამოემართა აქეთკენ. ზოგი ქვეითად ჩადგა.

ბრძოლა კი სწრაფი და მმუსვრელი გამოდგა.

უფლისწულის რჩეულ მეომართა შეტევას, ვერ გაუძლო მოწინააღმდეგემ და მალევე იძლია.

ბევრი ჩაიხოცა ბრძოლის ველზე. დარჩენილი მცირეოდენი მხედრობა კი, ტყეს შეერია და ბნელ ტევრში გაუჩინარდა.

ბრძოლა რომ მოითავეს, ბაგრატმა მეომართა დიდი ნაწილი, დაჭრილ-მიცვალებულთა დასაბინავებლად დატოვა, თვითონ კი, რამოდენიმე მხლებლით, ბექუს საბედისწერო რკენის ადგილს მიაშურა.

კლდეებს გადაღმა, გარდასული რკენის ადგილზე, ჯერ კიდევ ეყარა უთავბოლოდ ახორავებული ცხენისა და კაცის გვამი. უამრავი სვავი და ყვავ-ყორანი დასეოდა მძორს. მელეშია ფრინველთა ყივილ-ყრანტალით ავსილიყო არე.

გულდაგულ მოვლეს იქაურობა.

ღელის ქვემოდან ამომზირალი ფლატე-ხრამებიც დაათვალიერეს. საგულისხმო ვერაფერი იპოვეს.

უკან ამობრუნდნენ. ამასობაში ბინდიც ჩამოეშვა.

მკვდარ-დაკოდილი უკვე დაებინავებინათ მის მეომრებს. კარვები გაეშალათ ღამის სათევად.

– ყველაფერი რიგზეა, ბატონიშვილო! – მოახსენა ქვემოდან ამოსულ ბაგრატს ეგარსლანმა, – ღამის სათევი წეს-განრიგი და სახვალიო გამგზავრების თადარიგიც

ბაგრატის სპას ოცდაჩვიდმეტი მოყმე გამოჰკლებოდა. თოთხმეტი დაეჭრათ.

ბედაურებიდან ჩამოქვეითებულმა მხედრებმა, ცხენები მოლზე მიუშვეს და კარვებისაკენ განაპირდნენ.

კარავში შესულმა ბაგრატმა, ფარ-საჭურველი შეიხსნა და ნაბადზე მიწვა.

მალე ეგარსლანი და ჯოჯიკიც მოვიდნენ. დაღლილები, ბაგრატის მხარმარცხნივ მიგორდნენ ნაბადზე.

– ეგარსლან! – უთხრა მცირე ხნის შემდგომ უფლისწულმა სარდალს, – გამოკითხეთ ტყვეებს, იქნებ ვინმე აღმოჩნდეს წარსული ბრძოლის ამბავი რომ ეცოდინება და აქ მომგვარეთ!

ჩუმად გავიდა კარვიდან ეგარსლანი.

– ჯოჯიკ! – მიმართა ნაბდიდან მცირედ წამოწეულმა ბაგრატმა, პირშეტრიალებით მწოლარე სარდალს, – რას აზრობ ბექუს სიკვდილ-სიცოცხლეზე? თუ მართლა აღარაა ცოცხალთა შორის,

რაიმე კვალი ხომ დარჩებოდა? არადა, ხრამში გადაჩეხილის გვამიც რომ არა ჩანს? იქნებ მცდარია ეს ცნობა? ჰა, რას იტყვი?

ნაბადზე მიწოლილ ჯოჯიკს, ხელები გულთან დაეკრიბა, თავი ხის ნამორზე მიედო და ნაჯაფარს, რული მორეოდა. ბაგრატის ხმამ გამოაფხიზლა. პირაღმა გადმოტრიალებულმა, თვალები ზევით მიაპყრო. ბაგრატისკენ არც კი მოუხედავს, ისე ჩაილაპარაკა: – რა გითხრა? ბექუ შესაძლოა ცოცხალი და მრთელი იყოს, უფრო სწორედ, მე მსურს იგი საღ-სალამით ვიგულო! იტყვის ვინმე, ყაჩაღის მხარეზე დგომა რა სიმართლეაო, მრუდე გზით მავალი ავაზკის დაცვა, ვის მიაჩნია ვაჟკაცურ წესადო, მაგრამ ასე ამბობენ, ტაცია არააო. უპოვარის შემწე და მომხმარეც ყოფილა. უღვთო აზნაურთა თვალების შანთვაც უკეთილშობილესს განჩინებად მიმაჩნია მე. თუმცა, სიკვდილი ყველგან ბრმაა და დაუნდობარი, ასე მგონია, შეჭირვებულთა შემწყალეს, აგრე იოლად მაინც ვერ მოიხელთებს, ღმერთია მაღლა.

ერის გადასარჩენად, ქვეყანას დღეისჟამს სჭირდება ბექუს მიმსგავსი მოყმენი და აი, გამოჩნდნენ ისინიც... ერთს კი ვერ მივმხდარვარ, ვინაა ეს მოყმე, სადაურია? რა გვარის, წარმომავლობის, რით ასულდგმულებს ესოდენ მაღალ აზრსა და საქმეს?! იქნებ, შენ მიპასუხო ამაზე?! – ცნობისწადილით მიაცქერდა სარდალი ბაგრატს.

უფლისწული ერთხანს მაღლა ასცქეროდა ჭერს.

– ეგენი საიდან უნდა ვიცოდე მე? – მაღალაზრობრივად შეაქანა მხრები ბაგრატმა. მცირედ შეყოვნებულმა, სარდლისკენ გამოაპარა მზერა და დაამატა: – უგვარო იქნება ვინმე!

– უგვარო? საეჭვო თქმაა.

– ჰმ!

– ამის მსგავსი არაფერი სჭირს, – გააქნია თავი სარდალმა, – აბა უცხოსა და ბნელით მოცული წარსულის მქონეს, ხელს რაღაზედ ვუწვდით? ეს უკვე, რამდენგზის მოვეშველეთ, ჩვენიანი თუ არაა, რატომ ვირჯებით?

– განა მოკეთეობისთვის ვუდგებით გვერდში?

– სწორედაც! – ნაბადზე ცერად წამომჯდარი ჯოჯიკი ბაგრატს გამოჰყურებდა, – ხალხს თვალებს ვერ აუხვევ, უფლისწულის ყაჩაღთან შეთანატოლება ვის სმენია. მოსაუბრეებში ხშირად წამომიკრავს ყური, ბექუ დავით უფლისწულია, ამად ეხმარება ბაგრატი სპითო. ეს რაც რომ გამიგონია, იქნებ ჭორიცაა, მაგრამ გუმანით ვხვდები, ამაში ჭეშმარიტების დიდი თუ არა, მცირეოდენი

აზრი მაინც კიაფობს. ნურც ვინ იფიქრებს, გასაკიცხ-გასაქიქაქებლად ვამბობდე ამას. ყაჩაღობა, თუნდაც დიდ მიზანთა აღსასრულებლად, არა მგონია რომ წაადგეს რამეში ვინმეს.

– თუკი უმისობაც არ შველის? – თარგაუხსნელი კითხვა ჩაურთო ბაგრატმა.

– მაშინ, საშველიც არ ყოფილა და...!

სიჩუმე ჩამოვარდა.

მცირეოდენ ხანში, კარავში შედამების ჯანღი შემოიკვალთა. შებაცებულ ნათელს, შავ-ბნელი ჩრდილი დაეცა.

გური იყო.

– შემოდი გური, – მოუხმო ნაბადზე მჯდომარე ბაგრატმა, – მოდი, აქეთ დაჯექი, – მისივე ნაბდის კალთა გაუშალა ყმაწვილს და ძალდაძალ გვერდით მოისვა.

ყმაწვილი უფლისწულის მხარმარცხნივ, ფრთხილად ჩამოჯდა და თავდახრილმა, მიწას გაუშტერა თვალი.

– გური, ალბათ ნაღვლობ შენი ხალხდან რომ ვერავინ იხილე! – შეეხმიანა მართლაცდა დადარდიანებული ბაგრატი.

გურის ხმა არ ამოუღია. კვლავ დაბლა მზირალს, სახეზე ჟანგისფერი დასდებოდა.

ბაგრატს თითქოს ყმაწვილის ბაგეებიდან, ოდნავ ამოოხვრისმაგვარი ქშენა მოესმა. თავზე თანაგრძნობით გადაუსვა ხელი და მამაკაცურად მოეფერა.

უთხრა: – წუხილს ნუ მიეცემი, ვაჟკაცის გულჩვილობა ვის უნახავს? აქ ყოველ ნაბიჯზე, სიკვდილ-სიცოცხლის პირისპირ მზირალს, გაძლება გინდა.

– ეეჰ! – მწარედ ამოიოხრა გურიმ და თვალებზე უნებურად მომდგარი ცრემლები, მარჯვენით ამოიმშრალა.

შეეცოდა ბაგრატს ბიჭი. ბეჭებზე ხელი მოუთათუნა და გაამხნევა: – გამაგრდი, მწუხარ დედაკაცივით ცრემლებად ნუ იღვრები. მწარე ხვედრს ატანა უნდა! ჭირის მოდრეკა, ვაჟკაცის ხელობაა და ესეც დაიმახსოვრე: წინასწარ გლოვას, წინასწარი იმედი, ათასწილად სჯობია!

– მათ გარდა არავინა მყავს, - გური სევდიანად გააცქერდა ღამის ბინდს. ხმადახშულმა განაგრძო: – ძია თარხოჯი იტყოდა: სამი წლიდან ჩვენთან გზარდეო! ტყვეებიან აღალს დასცემიან ავაზაკები, დედა შეტაკებისას დაჭრილა და მალევე მიიცვალა თურმე. ძია თარხოჯმა გამიწია მშობლიური ამაგი, აქამდე მრთელი თუ მოველ,

ეს მხოლოდ მისი ღვაწლია და ნურავის გაუკვირდება, თუ მასზე ასე ვდარდობ, თუ ასე მიჭირს მისი უნახაობა.

– ნუ გეშის, თარხოჯიც გამოჩნდება და სხვანიც, ყველას უვნებლად ვიპოვით, გული გაიმაგრე! – უთხრა ბაგრატმა. ყმაწვილს ქოჩორზე მოუთათუნა ხელი და დაამშვიდა.

გარეთ გასულს, ღამის ბურუსში, თეთრად მოკიაფე კარვები დახვდა მინდროში.

კარვების გარშემო, მრავალ ადგილას, ცეცხლი კიაფობდა. კოცონებთან შემომსხდარი მეომრები, წყნარად ბაასობდნენ.

ბაგრატმა ფიჩხი მოზიდა და ცეცხლი დააგზნო.

ცეცხლთან, ქვაზე ჩამომჯდარი, ერთხანს გაჰყურებდა ღრუბლებში გამომზირალ, ვარსკვლავებით გაჭედილ ზეცას და ფიქრებში ჩაიძირა.

იდუმალი ციმციმით კრთოდნენ ვარსკვლავები. თეთრ ნისლში ინთქმებოდა, შორეთში მოკიაფე, მანათობელთა მფეთქავი სხივი.

თეთრ ბურუსში იკარგებოდა, ბაგრატის ნელა მბჟუტავი ფიქრიც.

ბექუ ხრამში გადაიჩეხაო, ასე მოახსენეს აზნაურთა სპის არაკაცებმა.

თუ კი მართლა ასე იყო, მაშინ მოძებნისას, რად ვერ იპოვეს? მასზე დაგეშილი აზნაურები, განა შეარჩენდნენ? დავითის ცხედარს ასო-ასო აქნიდნენ და მის მოკვეთილ თავს, ზარ-ზეიმით, ხალხში, კარდაკარ ჩამოატარებდნენ, დიდი სიხარულითა და აღტკინებით.

არც თავია სადმე და არც სხეული. დავითი ცოცხალია! მაგრამ რა გზით, როგორ გადაურჩა ამ სასაკლაოს? ეჰ, რამდენჯერ ურჩია დაენებებინა ამგვარ ქმედებისათვის თავი, მაგრამ ვინ გაუგონა და შეისმინა!

აკრძალული ხერხით სიკეთის თესვა, უარესი ბოროტებაა და მასზე მეტად საგმობიც. ფიქრი წამიერად ფანასკერტსაც გადასწვდა. ნაზია გაიხსენა, ძლიერ შეაჭირვებდნენ ქალს შინაურები.

ბარათი გაუგზავნა, თხოვდა, მცირედიც გაეძლო და მალევე ავიდოდა იქაც.

ქვევიდან ჩოჩქოლი გაისმა. ცეცხლის შუქზე მალე გამოიკვეთა ეგარსლანის ზორბა სხეული. უკან, იარაღასხმულ ორ მოყმეს შუა ჩამდგარი, ხელებდაბორკილი ტყვე მოჰყვებოდა. ახალგაზრდა ტყვეს შავი ახალუხი ემოსა, უწესრიგოდ აშლილ თმებს, შუბლი თითქმის სრულებით დაეფარა. შავ, ფართო წარბებში, ქუფრი ჩასახოდა.

– აუხსენით ხელები! – უბრძანა შორიახლოს მდგარ მოყმეს ბაგრატმა.

ბორკილები შეხსნეს ტყვეს.

ჯოჯიკიც და გურიც გამოვიდნენ კარვიდან და უფლისწულის გვერდით ჩამოსხდნენ.

– ვინ არის ეს მოყმე, ეგარსლან!? – ჰკითხა ბაგრატმა.

– დიდგულაშვილის ყმაა, ბატონიშვილო!

– ბიმურზასი?

– დიახ!

– სადაა შენი პატრონი? – ტყვეს მიუტრიალდა ახლა ბაგრატი.

– ორიოდ დღის წინ წავიდა! – უპასუხა ტყვემ.

– მერედა, მათ რატომ არ გაჰყევი?

– მე აქ დამტოვეს, ბექუს რაზმელებთან ანგარიშსწორებისათვის.

– გადაურჩა კი ვინმე ამ სასაკლაოს?

– საკმაოდაც...

– აბა საიდან იცი ეგ შენ?

– ყოველ ღამით, – გააგრძელა თხრობა ტყვემ, – მაგათგან მოსვენება არა გვაქვს. წუხელისაც დაგვესხნენ. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, ძლივსღა უკანვე ვაოტნეთ. გაქცეულებს ტყე-ღრეში მიდენვებულებმა, ვერაფერი დავაკელით. სიბნელეში ნაწილ-ნაწილ შთაინთქნენ უვნებელნი, ჩვენ კი დიდადაც დავზარალდით!

– რა სახელით გიხმობენ შენ? – მიმართა ბაგრატმა.

– გორდა მქვია, უფლისწულო!

– მისმინე, გორდა, რაზედ ებრძოდი ბექუს, რამე დაგიშავა თუ...

– არა, უფლისწულო!

– აბა?...

– ასე თქვეს, აზნაურებს ყმებს სტაცებს და მონებად ჰყიდისო, უდანაშაულო ხალხს ხოცავსო!

– მისი დახოცილი გინახავს ვინმე?

– არა, არ მინახავს. დიდაზნაურ ქიბროწაშვილის გაცუდების ამბავი კი, გამიგონია. დაგონჯებულს, შევხვედრივარ კიდეც!

– ადრე თუ იცნობდი მაგ დიდაზნაურს?

უარყოფის ნიშნად გორდამ თავი გააქნია.

– ქიბროწაშვილი? – სათქმელს მიჰყვა ბაგრატი, – ავსული, ცუდ საქმეთა მიმდევარი, თავისივე ყმებს მონებად ჰყიდდა, აწიოკებ-აჩანაგებდა ქვეყანას. სხვა დანარჩენებიც, ვინც თუ ბექუს დაუსჯია, მსგავსი ქმედების მიმლტოლი, სამშობლოს მოღალატენი იყვნენ. თვალთა გუგების დაწვა, მაგათზე ახიც კია! ნუთუ, სიმართლის ქმნისთვის გაიკიცხება კაცი?

გორდა გამოუცნობი მზერით შეჰყურებდა უფლისწულს. არაფერი უპასუხნია.

– მშობლები გყავს?

– დიახ! – თავი დაუკრა გორდამ.

– და-ძმები?

– ორ-ორი და-ძმა, უფლისწულო!

– რა ასაკისანი არიან?

– ჩემზე უმცროსნი. სულ პატარა და კი, მხოლოდ სამი წლისაა!

– აი ისინი, მონებად რომ გაგიყიდოს შენმა პატრონმა, რას იქმოდი?

– შურს ვიძიებდი!

– მაინც? – ნათქვამს ჩაუღრმავდა ბაგრატი.

– მოვკლავდი ამის მქმნელს!

– უშველიდი კი მაგით მონებად განწირულ და-ძმას?

– ვეღარ, უფლისწულო. ალბათ ვეღარ! – თავი გააქნია გორდამ, – სულში ჩაბუდებულ ტკივილს კი მოვიოხებდი!

– ჰე, შენ! – მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი, ტყვეს მიაშვირა ბაგრატმა, – სულში ნაგუბარი იარების დასაამებლად, არაფრად გიჩანს ავკაცის სიკვდილი, ბექუ სწორედ ამ ჯურის ავაზაკთ უწვავს თვალთა გუგებს, იმიტომაც, რომ თქვენნაირების და-ძმანი ვეღარ წაგვარონ მკვიდრსა და ახლობელს! აბა, დაფიქრდი!

გორდა უტეხად ჩაშტერებოდა ნელ სიოზე მოთამაშე ალს. გონებაში რაღაც აზრები უტრიალებდა, მაგრამ მაინც ვერ ჩამოეყალიბებინა მწყობრად ნაფიქრალ-განსჯილი. ბოლოს, რაღაცით თითქოს გაკვირვებულმა, გახედა უფლისწულს: – როგორ თუ...? – მისდაუნებურად ამოიძახა.

– ყმათა მოვაჭრეებს საქვეყნოდ სჯის და ამით აფრთხილებს სხვათაც, რომ ამგვარ განსასჯელს მიიღებენ ისინი მსგავსი ქმედებისათვის!

– ეს მართალია! – დასტურის ნიშნად თავი გადააქნია გორდამ.

– ჰოდა, თუკი ასეა, ბექუს რაღას ემართლები? სწორედაც თქვენ გმართებთ მასზე დახმარების ხელის გაწვდენა და არა მახვილით მუსვრა, მასა და მისიანებთა.

– ჩემი რა ბრალია, უფლისწულო? – ამოილუღლუღა შეცბუნებულმა ტყვემ, – ამგვარი ხმები დადის ხალხში და მეც დავიჯერე.

– ხალხის ხმას ნუ აჰყვები, ის ისეთივე შხამიანია, ვითარც ასპიტის ფარული გესლი. ბრბოს მიდევნებული, ბრმაა ყველა და

ჭკუასგადამცდარი. ყოველთვის სჯობია, საკუთარ განსჯილ გულისთქმას დაუმორჩილო გონება კაცმა. წუთისოფელში მრავალგვარი სავალია და ამ მრავალფეროვნებაში, ერიდე უღირსთა ნააზრევის გზა-წვრილზე ლტოლვას.

– მაპატიეთ, უფლისწულო, აღარ ვიქმ ასე!

– განა მაგაზე გითხარ? – მარჯვენა მაღლა აზიდა ბაგრატმა, – შენთვის თავისუფლება მიბოძებია! – მცირედ იყუჩა და ისევ გორდას ჰკითხა: – გარდასული ბრძოლის ამბავი რამე ხომ არ იცი, რა იქნენ ბექუ და მისი ხალხი?

მხრები გაურკვევლობით აიწურა გორდამ და უთხრა: – სარწმუნოს ვერაფერს მოგახსენებ. წუხელის ბრძოლა რომ გვქონდა, ბექუს მომხრეები იყვნენ. თვითონ ბექუ, ასე თქვეს, გადაიჩეხაო. თუმცა, მისი წაკვეთილი თავის ამოსატანად გაგზავნილებს, ბექუ ვერ უპოვნიათ და უკანვე ხელცარიელი ამოტრიალებულან. ეს ვიცი და ეს...

– მაგის შემდგომ, ბექუ ბრძოლის ველზე აღარ გამოჩენილა?

– არა!

– იქნებ ღრანტეში, გვამთა ქვეშ ვერ მიაკვლიეს?

– მერეც ხომ გულდასმით ძებნეს, – შეიცხადა გორდამ, – მაგრამ ამაო გამოდგა ყოველი მეცადინეობა. ბექუს თავს ითხოვდა ლაშქარი, გამარჯვების სიხარული რომ ათმაგად აღენიშნათ. იმ ადგილებში კი, სადაც ის ჩაიჩეხა, მისი გვამი არ აღმოჩნდა.

– ალბათ ცოცხალმა გააღწია და მიიმალა სადღაც, ტყეში...

– აბა რა გითხრა, უფლისწულო! შესაძლებელია. თუმცა, საეჭვო კია ფრიად, – ჩაათავა სათქმელი გორდამ და გაჩუმდა.

კოცონს მიჩერებული ბაგრატი, დაჰყურებდა ნაღვერდალში მოშიშინე ცეცხლის მეწამულისფერ ალს და ათასგვარი ნააზრევიდან, მხოლოდ ერთადერთი განსჯა შემოწყობოდა გონებას, დავითი გადარჩენილია, დავითი ცოცხალია, ცოცხალი!

ამგვარ მდგომარეობაში იყო რამოდენიმე ხანს. შემდეგ თავი ასწია და გორდაზე მზერამიპყრობილმა თქვა, – ჰო, კარგი, თავისუფალი ხარ, წადი საითაც გინდა! ეგარსლან! – ახლა სარდლისკენ შემოტრიალდა, – რამდენია ტყვე?

– თხუთმეტი, უფლისწულო!

– ყველანი ყმები არიან?

– ხუთი აზნაურია!

– ყმები გაათავისუფლეთ, აზნაურებს კი თავები მოკვეთეთ!

– ბრძანება აღსრულდება, უფლისწულო! – მხედრული წესით შეიმართა სარდალი და მიტრიალებული, მალე ბინდს შეერია.

– თქვენს სამსახურში მიღებას გთხოვ, უფლისწულო! – მოესმა მცირე ხნის შემდგომ ჩაფიქრებულ ბაგრატს. გორდა ეუბნებოდა, – საკმაო ქველობაც მაქვს და ბრძოლაც შემიძლია! ნურც ვინ იფიქრებს, ჯაბანიაო. უფლისწულის სპაადო და სწორედ ამიტომ დავყარე იარაღი, თორემ, არც ისე იოლია ჩემი მოთოკვა!

მცირედ იყუჩა ბაგრატმა. ხან ტყვედყოფილს ახედავდა, ხანაც ცეცხლს მიაბჯენდა მზერას. მერე ესღა უთხრა: – მე ერთგული ხალხი მჭირდება გორდა, პირმტკიცე და მართალი ხალხი!

– უმტკიცობისა რა გამიკეთებია?! – გაიკვირვა ტყვედყოფილმა, – მითხრეს, ქვეყნის მაოხარ ავაზაკს ვებრძვითო და აბა, რა მექნა? კი არ ვიცოდი! ახლაღა მივხვდი ყოველივეს და სხვაგვარად მოვიქცევი ამიერიდან!

დუმილით შეჰყურებდა გორდას კვლავ ბაგრატი. ბოლოს დაეთანხმა: – კარგი! – თავი დაუქნია, – ვეტყვი იარაღ-საჭურველი დაგიბრუნონ. ჩემი სამაშველო რაზმის მეომარი იქნები!

კოცონთან სამნი დარჩნენ. გურიმ ფიჩხი შეუგზნო მინავლებულ კოცონს. ცეცხლის ალი ფიჩხს შემოეგზნო და მძლავრად აიკვალთა მაღლა. გარშემო სითბო მოეფინა.

ჯოჯიკმა კარვიდან ნაბადი გამოიტანა, ცეცხლისპირს გაშალა და ნაბადზე მიწვა.

მცირე ხანი გავიდა. ქვევიდან გაურკვეველი ჩოჩქოლისა და გნიასის ხმები მოისმა. მალე სამი მოყმის სილუეტი აისვეტა და ცეცხლისპირს, ბაგრატთან ახლოს, შედგა.

მოსულთაგან ორნი, ღამის მცველი იყო. ხოლო, მათ შუა მდგარი ახოვანი, იარაღშეჭურვილი ვაჟკაცი, უცნობი ჩანდა.

– ამას თქვენთან საუბარი სურს, უფლისწულო! – თქვა ერთ-ერთმა მცველმა და უცნობზე მიუთითა.

– თქვას რაიც სწადს! – თანხმობა მისცა ბაგრატმა და ალმაცერად გახედა მოყმეს.

უცნობი მცირედით წინ წამოდგა, მისალმების ნიშნად, თავი დაუკრა უფლისწულს, ხელები წელზედ შემორტყმულ ქამარზე შემოიჭდო და დაიწყო: – მე ბაღათური მქვია. ნაგუთნარის ბინადარი გახლავარ. წარმომავლობით აზნაური, თუმცა უყმო და მონათუქონელი. მას შემდგომ, რაც პაპის პაპას საკუთარი ყმები გაუთავისუფლებია საპატრონო ვალდებულებისგან, უბრალო მშრომელის ყოფით ვეზიარებით სოფლის ავსა და კარგს... ჩემი

ვინაობა, რა თქმა უნდა, არაფერს გეუბნებათ, უფლისწულო! მაგრამ ეს სასხვათაშორისოდ მსურდა გცოდნოდათ, ხოლო რაისთვის მოველ, ახლავე გეტყვით. ბექუს სპას ვახლდით, მეც და ჩემი ოთხივე ძმანიც. მარცხი ვიწვნიეთ. ნაწილი ლაშქრისა ბრძოლის ველზე დაეცა, ნაწილი გადავურჩით ამ კაცთა მუსრვას. მცირეოდენი კი, მტერმა ტყვედ წაიყვანა. გადარჩენილებმა, ტყეს შევაფარეთ თავი. ეს რამდენიმე დღეა, იქედან, ღამღამობით ვებრძვით აზნაურთა მეომრებს... დღეს გიყურებდით. როგორ დაამარცხეთ მტერი. გავიკითხე ვისი ლაშქარია და წინამძღოლი ვინა ჰყავთ-მეთქი. ბაგრატ უფლისწული თავობსო, მითხრეს. ალბათ უფლისწული ბექუს მომხრეა და სხვაგვარად არც იქნება-თქო, გავიფიქრე. ამიტომ გადავწყვიტე აქ მოსვლა.

– ბექუს სპაში იბრძოდი? – კითხვასთან ერთად ზეწამოიჭრა ბაგრატი. ზეზე წამოდგა ჯოჯიკიც. განცვიფრებით შეჰყურებდა გური მოსულს.

– გახლდით, უფლისწულო!

– მათთან თუ იყავი, – მზერა მიაპყრო ბაგრატმა მოყმეს, – მაშინ გეცოდინება ბექუსა და მის თანამებრძოლთა ხვედრიც! იქნებ გვაუწყო, სად და როგორ ვეძიო ისინი?

– მე მოხალისედ მოსული ვარ აქ, უფლისწულო! – პასუხს შეეცადა ბაღათური, – ბექუს თანამებრძოლთა უცნობელს, არ ძალმიძს გითხრათ საით არიან, მრთელი თუ ნავნები. თვით ბექუზე კი მოგახსენებდი, საკუთრივ ვიხილე, როგორ გადაიჩეხა ღრანტეში. თუმცა, იქ არც ცოცხალი და არც მკვდარი არავის უნახავს. ასე გავიგონე, შანშემ, ფანასკერტის ერისთავმა, გვემულ-ნაჩეხარი ტყვედ წაიყვანაო! სხვა ბევრიც წაუყვანია ტყვედ ფანსკერტელს.

– ფანასკერტელიც აქ იყო? – გაიკვირვა ჯოჯიკმა.

– დახ, სარდალო! – თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად ბაღათურმა, – მე იგი ბრძოლაში ვიხილე. სახებურვილს მხოლოდ თვალები უჩანდა. ვიცანი, მას ათას მოყმეში, უკნიდან შემხედვარეც გამოვარჩევ. მთაში, ჩვენი საიალაღო საძოვრების მიჯნებზე, მაგის საერისთავო მამულებია. უსიგრძეგანო სამანებზე გადაშლილი ნაკრძალი, ტყე და ველი... მცირებალახიან წლებში, პირუტყვი ამ ველებს ეტანება. ლაშქრით ამოდის და ხოცავს საქონელს. ბრძოლა გვაქვს ხშირი... ერთხელ, მარტოს ხელდახელ შემება. ათნი იყვნენ. მხლებელნი დავუხოცე, პირისპირ რკენისას, ვაჯობე. გარიდება არჩია, უკან დავედევნე. სრბოლისას, ბედაურს ხის კუნძზე ფეხი მოუსხლტა და ნატკენი ფეხით ველარ ირბინა. შევაჩერე ცხენი. შორიდან

ვხედავდი, როგორ დაოთხილი მიაქროლებდა შანშე, თავის იაბოს. ამის შემდგომ, ბარე ბევრჯერაც შევხვედრივარ, მაგრამ, ყოველთვის გვერდის ავლით გაცლას ცდილობდა ჩემგან!

ისმენდა ბაღათურის მონათხრობს ბაგრატი. შანშეს ავკაცობაზე ადრეც ჰქონდა გაგონილი, მაგრამ, ესოდენ გაიძვერა და გაუმაძღარი თუ იყო, ვერ წარმოედგინა.

სტუმარმა თხრობა რომ დაამთავრა, ბაგრატი მათი ადგილსამყოფელით დაინტერესდა: – ამჟამად სად იმყოფებით? – ჰკითხა.

– აქვე, ტყეში, არც თუ შორს! – მარჯვენა წინ გაიშვირა ბაღათურმა.

– რამდენი ხართ?

– ოცდაშვიდი მთელი და ხუთიც დაჭრილი!

– მშობელი ჩემი იქ ხომ არაა, ძია? – გური სულ ახლოს მისულიყო სტუმართან.

– შენი მშობელი ვინაა? – ყმაწვილს ცნობისწადილით შეხედა ბაღათურმა.

– თარხოჯი ჰქვია!

– თარხოჯი? – სიტყვა გაწელილად წარმოთქვა სტუმარმა, ის შავწვეროსანი მოყმე? ის დაჭრილია!

– მამასთან მეც წამიყვანე, ძია! – შესთხოვა გურიმ და ხელებით ჩოხის კალთაზე მოეჭდო ვაჟკაცს.

– კარგი, ჰო, წაგიყვან! – თავზე რბილად გადაუსვა ხელი თვალცრემლიან ყმაწვილს ბაღათურმა, – ნუ ინაღვლებ, საშიში არაფერია, მალევე გამომჯობინდება!

– ახლა რაღას აპირებთ? – კითხა ბაგრატმა ბაღათურს.

– რასაც გვიბრძანებ, უფლისწულო! თუ ნებას მოგვცემ, შენ შემოგიერთდებით!

– თანხმობას, ყაბულსა ვართ! ფანასკერტში ასვლა მოგვიწევს, იქ შანშე საბრძოლო ჯარით დაგვხდება და...

– მისახვედრია! ძალა გჭირდებათ. მაშინ, ამღამესვე მოგვიწევს ზევიდან ხალხის ჩამოყვანა!

– სწორედაც მაგას ვაზრობდი. მეტად საშური საქმეა. მოყმეთ გაგატან, დაჭრილთა ჩამოსაყვანად გიშველიან. ჯოჯიკ, – სარდალს მიუბრუნდა ბაგრატი. – ათიოდ ვაჟკაცს წაუძეხი და ბაღათურს მიჰყე.

– ბრძანების აღსასრულებლად მზად გახლავარ! – მხედრული წესით წარმოთქვა სარდალმა, – გავსწიოთ, ბაღათურ! – მიმართა სტუმარს და მანვე გაალაჯა წინ, პირველმა.

გათენებას ცოტაღა აკლდა, ბაღათურის ხალხი რომ ჩამოვიდა ბანაკში.

მძიმედ დაჭრილი თარხოჯი, ტკივილებისაგან ყრუდ გმინავდა.

დასტაქარმა იარები დაუწამლა დაჭრილს.

გვერდიდან არ შორდებოდა გური, თავის პატრონსა და ამაგდარს. მის თავთან ჩამომჯდარს, ცრემლები მისდაუნებურად უნამავდა სახეს.

დილას ადრიანად დაიძრა სპა. ორი დღის სავალზე, მთის წინა, პატარა სოფელში დატოვეს დაჭრილები და ფანასკერტის გზას აუყვნენ.

ოთხი დღე-ღამე კვლავ გაილია წამოსვლიდან. მეხუთე დღეს მიადგნენ ფანასკერტს.

მცირე დასახლებას წარმოადგენდა ფანასკერტი.

ერისთავის საცხოვრისი ციხე-ქალაქი, განაპირას, შემაღლებულ კლდეზე იდგა. გარშემო წარაფი პიტალოებით შემოჯარულს, ასასვლელი ერთი მხრიდან მიუდიოდა.

კლდეთა ქიმებზე, ასაწევი, საკმაოდ გრძელი ხიდი, ჩვეულებრივ ამ ეპოქის მახასიათებელ ციხეთა აღნაგობრივ იერ-სახეს წარმოადგენდა.

მიუვალად ითვლებოდა ციხე.

რამოდენიმე წლის წინ, როდესაც ბაგრატი ჯერ კიდევ სრულიად პატარა იყო, განზე გამდგარი ფანასკერტელის საბინადრო ციხეს, სამეფო ჯარით შემოეწყო ადარნასე მეფეთა-მეფე.

ორ თვეს ალყად იდგა. ვერაფერი დააკლო და სირცხვილეული, უკანვე გატრიალდა.

არც მანამდე გამოირჩეოდნენ ერთგულებით აქაური ხელისუფალნი. ამის შემდგომ კი, უფრო მეტი სიცხადით აიშვეს თავი. საოხუნჯო, ქარაგმულ ავსტყვაობით ამკობდნენ ქართლის მმართველებს. ისპირის ტურები შეარქვეს ბაგრატოვანთ და ათასგვარ, შხამგესლით ნათითხნ ამბებით ჭორავდნენ.

მჭიდროდ განფენილი დაბის ბოლო სახლიც უკან რომ მოიტოვეს, წინასწარ რამდენიმე მოყმე გაგზავნა ბაგრატმა ერისთავთან, ამბის შესატყობად.

ციხის მისადგომებთან ლაშქარი დაუხვდათ. ათასხუთასამდე იქნებოდა სპა.

სამხედრო წყობით იდგა ჯარი. წინ მდგარმა მხედარმა შეჩერება უბრძანა მოსულებს.

შედგა ბაგრატი. შეყელყელავდა მისი ლაშქარიც.

მხედარმა, თანმხლებთაგან ცოტაზედ წინ წამოსწია ცხენი. ხმამაღალი, ჩახრინწული ხმით გამოსძახა სტუმრებს: – ერისუფალი ბრძანებს, თანმხლები მხედრობა დააყოვნოს ბაგრატმა და თუ მას უცილობლად სურს ეწვიოს ფანასკერტის გამგებელს, უფლებას უტოვებს, მხოლოდ და მხოლოდ ათიოდე მოყმით გააგრძელოს სავალი! უკეთუ, ამაზედ წინააღმდეგი იქნება სტუმარი, მაშინ სატევარი მოძებნის თავის განსასჯელს!

გაოცების ტალღამ გადაირბინა ბაგრატის ლაშქარში. აშკარად უდიერი დახვედრით გაოგნებულებს, ვერ აღენუსხათ, რას მოასწავებდა ყოველივე ეს.

სატევარი მოძებნის თავის განსასჯელსო! მუქარაა თუ რაიმე სხვა უარესი?

ალბათ, ერთიცა და მეორეც!

ბაგრატი დუმდა. ამგვარი დამამცირებელი რამ, ჯერ არ განეცადა არასოდეს. რა მოემოქმედნა? მცირე ხანს შეყოვნებულმა, ბოლოს ესღა ამოთქვა: – რას იტყვი, სარდალო? – და ორივე მხრიდან გვერდით ამომდგარ, რომელ სპასალარს ეუბნებოდა, ამას იმ წამიერ, თვითონაც ვერ აგიხსნიდა.

ჯოჯიკი კისერმოდრეკილ ბედაურს შეუწყრა და წყნარად თქვა: – ვერაფერი გამიგია, უფლისწულო!

გულდინჯი სპასალარის ზერელე ნათქვამზე, სახე მოექუფრა ბაგრატს.

შანშეს იდუმალი ზრახვის შეუცნობლობა ,არ აპატია გონებაში სარდალს და კინაღამ, უხამსი რამ წამოსცდა, მასზე ფიქრში.

მიუხვედრობისა, აბა რა იყო აქ? ნათლივ ჩანდა ყოველივე: გათავხედებული ერისთავი საქვეყნოდ ცხადყოფდა, აქ მე ვარ ხელისუფალი და არა მეფეო და თუ მის უნებურად გადადგამდა ზედმეტ ბიჯს ვინმე, მახვილით იმუქრებოდა.

მახვილის და არც ბრძოლის, ნამდვილად არ ეშინოდა ბაგრატს. ამჟამად, დავითის აბლანდული ამბავი რომ არა, აქეთ კიდევ, ნაზიასთან გაურკვეველი ურთიერთობა, თორემ, ბაგრატოვანთა და ფანასკერტის მფლობელების ჟამიდან ჟამამდე ამ გაუტანლობას, შუღლსა და მტრობას, როგორმე მიხედავდა.

და ეს ყველაფერი, გაუნელებელ ცეცხლის ალად შემონთებული, მრავალგვარი სატკივარით უმღვრევდა ვაჟკაცს გონებას.

დუმდა. ვერაფრით განესაზღვრა, რა ეთქვა, როგორ ეთქვა, არადა, პასუხის გაცემა კი მოეთხოვებოდა.

– აცნობეთ ერისთავს, – გასძახა ბოლოს, – ნუ იმაღლებს თავს იმაზე მეტად, რაც თუ რამ არის მამა-პაპეული, ძველთაძველი ჩვევის დავიწყება სამარცხვინოა და არ შეჰფერის ჭეშმარიტად ვაჟკაცს! სტუმრისადმი პატივმიგება, ოდითგანვე ჩაგვსახლებია აზრსა და ფიქრში, თუნდაც, ნურარას ვიტყვით მისი ღირსების სიდიადეზე. გასარკვევი საქმე რაიმე გვაქვს, მოვედით და თუ მასპინძლობა არ შესწევს, ნუ შეწუხდება, მალევე წავალთ.

– მე ერისუფალის ნაბრძანები გაუწყე! – კვლავ გაისმა მაღალი ხმით იქეთიდან, – და არანაირი ცნობისათვის წასვლას არსად ვაპირებ! პირობა ჩვენი ძალმოსილებაა და არა თქვენი! შეაჩერეთ ლაშქარი! საქმის სარკვევად ათიც საკმარისია!

– რაგვარად მოვიქცეთ? – მიუტრიალდა მის უკან მყოფ სარდლებს ბაგრატი.

არსებულით გაკვირვებული, ხან ერთს მიაპყრობდა მზერას, ხანაც მეორეს. თითქოსდა, მათი გადაწყვეტილებიდან უნდა ამოეცნო დახანებული პასუხი.

დუმდნენ სპასალარები.

სიჩუმე იდგა გარშემო.

მყუდროებას არავინ არღვევდა.

– ენაზე კლიტე ხომ არ გადევთ? თქვით რამე, ეგარსლან! – ახლა ეგარსლანს მიუგდო სიტყვა ბაგრატმა.

– რა მოგახსენო, უფლისწულო! – როგორც იქნა ამოიდგა სარდალმა ენა, – მე მეომარი გახლავარ და არა სიტყვის მბლანდავი! დადგენილ წესთა უარმყოფელს, ძალა დათრგუნავს! მამულის გამყიდველის შემწყალებელი, იმ გამყიდველზე ასწილ უარესია! მეტს ვერას გეტყვით!

მიხვდა ბაგრატი, ფანასკერტელის ამჟამინდელ ერისთავზე გადაუკრა სიტყვა ეგარსლანმა.

მამულის გამყიდველის შემწყალებელი, იმ გამყიდველზე უარესიაო.

აკი, ბაგრატის მიერ შეპყრობილი შანშე, მეფემ გაათავისუფლა და უფრო უარესიც, ერისთავადაც დააწინაურა!

გასაკიცხი იქნება, აბა რა, მეფის ეს ქმედება.

სამშობლოს სადარაჯოზე, ყოველწამიერ მახვილჩაუგებლად, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მყოფ სარდლისთვის, მოღალატის დაუსჯელობა, მამულიშვილური, დიდი შეგრძნების აბუჩად აგდებაა.

მეფის უგუნურმა განჩინებამ, მაშინ თუ ვინმეს გული ატკინა, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად, ბაგრატს. მაგრამ რა ექნა, თავის

სიტყვაზე დაჟინებულ მამას, ვერაფერი შეასმინა. თვალი ქურდულად გააპარა უკან მდგარი სარდლისკენ და ნაწყენი კილოთი უთხრა: – მაგას რათ მასმენ, სარდალო? იცის ყველამ, მე არარაი წვლილი არ მიმიძღვის იმ ცუდ საქმეში! შანშეზე ამბობ, განა ვერ მივხვდი? ჩვენ შევიპყარით, მამამ, ქართლის მეფეთა მეფემ, ერისთავად აღაზევა! ამ გარეწართან, ხელ-ფეხი ყოველთვის შებორკილი მქონდა. მაშინაც ასე იყო დ ახლაც ასეა.

– მაპატიე უფლისწულო! – შეცბა სპასალარი, – შენზედ რად იღებ, სასხვათაშორისოდ ვთქვი. კიდევ ერთხელ გთხოვ პატიებას! თუმცა, დაბორკილ ხელ-ფეხს, დაბორკილი ენა ასწილ სჯობია. ამჟამინდელი მიუსვლელობაც არ ივარგებს და ეგრე თუკია, მაშინ მივყვეთ მათ, რასაც გვეუბნებიან.

– ათიოდ მოყმით? – წარბები ზეაზიდა ბაგრატმა.

– ჰო!

– წაგვკიდებენ რამეს ცუდს...

– სიკვდილზე უარესი არაფერია! – მრავალმნიშვნელოვანი ღიმით აუფორეჯდა ეგარსლანს სახე.

– წავიდეთ. არა მგონია, მათ რაიმე ვნება გაბედონ! აქვე არ იქნება ჩვენი ლაშქარი? – ჩაერია საუბარში ჯოჯიკი.

– ეს ერთადერთი სწორი გამოსავალია, უფლისწულო! – ხმა მიუწვდინა უკან მყოფმა ბაღათურმაც, – მე ვერ მივმხვდარვარ, რაზედ ვჭოჭმანობთ? მახვილი აქ ყოვლად ურგებია და ზოგჯერ, ენა სატევარზეც მჭრელია და სიგრძივ მკაფავი! ვნახოთ რა სწადის და გულში ვით ზრახავს მეტზე-მეტად გათამამებულ ფანასკერტის ერისთავს!

მცირედ კვლავ იბჭეს. ბოლოს, ათი ბრძოლაში ნაწრთობი და ძალგულოვანი მხედარი გამოეყო ლაშქარს.

წინ ბაგრატი, ჯოჯიკი და ბოცო ტაოსკარელი წაუძღვნენ. უკან, ბაღათური ძმებით, ვამეხი და შავთვალა მიჰყვნენ.

ეგარსლანი ლაშქრის მეთაურად დატოვეს.

ერისთავის სპას მიუახლოვდნენ.

მასპინძლებს მიესალმა ბაგრატი.

სალამზე არავის უპასუხნია.

ერთად შეჯგუფულ მხედრებს, ბრტყელულვაშიანი მოყმე გამოეყო.

მოყმე ახლოს მივიდა სტუმრებთან. ცივი მზერა შეავლო სათითაოდ ყველა მოსულს, მომყევითო, ცივადვე თქვა და წინ გაემართა.

დაიძრა ბაგრატის რაზმიც. მათ უკან ორმოცდაათამდე მხედარი აედევნა. ასე იარეს ციხის კარიბჭემდე.

ჩამოუშვეს ხიდი მცველებმა. გაიღო კარი. გალავნის შიგნით შესულებს, იარაშეჭურვილი მეომრები დახვდათ. ორმოცამდე იქნებოდნენ.

ბრტყელულვაშა მოყმემ სტუმრები იმათ ჩააბარა და თავისი მეომრებით უკანვე გაბრუნდა.

კარგად თლილი, მურა ქვით ნაშენი ციხე, საკმაოდ მაღალი ჩანდა.

– ბედაურები დატოვეთ! – ბრძანა მძიმე რკინის კარსიქეთიდან ახლად გამოსულმა, ჩია, უწვერო კაცმა.

ჩიას თავზე წოწოლა ქუდი ეხურა და მიწისფერი ჩოხა-ახალუხი ემოსა.

ბედაურები მსახურებს გადასცეს სტუმრებმა.

– იარაღი, საჭურველი აქ დააწყვეთ! – მასთან ახლოს, ფერხთით მიუთითა ჩიამ.

გაიძრეს იარაღ-საჭურველი. მხოლოდ წელზე შერტყმული ორლესულებიღა ეკიდათ ახლა სტუმრებს.

– ეგენიც შეიხსენით! – ანიშნა ჩიამ.

– რას კადრულობთ?! ამას გადამთიელი მტერიც არ მოიმოქმედებდა! – ნაგუბარი ღელვა ვეღარ დაფარა ჯოჯიკმა.

– მოიქეცით ისე, ვითარც გეუბნებით! – ბრძანა იმავე ხმამ.

– ვის უბედავ?! – მრისხანების ბრაზმა სახე აუწვა სარდალს. ჯიქურ მიეჭრა ჩიას და ხელები ცხვირწინ დაუტრიალა: – ეს უფლისწულის პატივმოყვაროების შელახვაა და არავის მივცემ უფლებას, ხელმწიფე შეურაცხყოს!

ჩიამ ქვემოდან ახედა თავს წამომდგარ, ვეება ვაჟკაცს.

– ვიცით, სარდალო! – უთხრა, – ძალ-ღონით სრული მოყმე რომა ხარ, მაგრამ არ მოგატყუოს ჯანმა და გულმა. აქაურ წესთა უგულვებელყოფას ნურც შეეცდები, თორემ...

– თორემ, რა?! – ბრაზით ამოიხავლა ჯოჯიკმა.

– თორემ, ურჩთა კუპრში ბანაობა იცოდა ცხონებულმა ერისთავმა და ციხის კედლებიც მყარად ედგა!

ციხის კედლებიც მყარად ედგაო, განქიქების საფარველით შენიღბულმა თქმამ, უფრორე გაახელა სარდალი. მიუხვდა ქარაგმას: შანშეს ქეშიკმა საკმაო ხნის წინანდელი მეფეთა-მეფის მარცხის ამბავი გაუხსენა. აქ, ამ ციხესთან გადამხდარი და ზვიად სპასალარს,

უკვე საკმაოდ შელახული თავმოყვარეობის ის მცირე ნაწილიც, ფეხთა წინ გაუთელ-გაუტიალა.

ღელვისაგან ხელები მძიმედ მოკუმშა და ცოტაღა აკლდა, ამ ნალევას ყელში არ წვდომოდა.

– კედლის იმედად ნუკიღა დარჩები, შანშეს ლაქიავ! პირობას გაძლევ, შენს სხეულზე მას ქვა-ღორღად ავაყირავებ, – ჯიქურ მიახალა და თითქოს მძიმე ტვირთი მოეხსნაო, სხეულში რაღაცნაირი შვება იგრძნო.

– თანახმა ვართ, ვემორჩილებით თქვენს წესებს! – მოჩვენებითი სიმშვიდით ამოიძახა ბაგრატმა და ხანჯალი ახორავებულ იარაღ-საჭურველზე მოისროლა.

მახვილები ყველამ შეიხსნა.

– წამოდით! – პყრობილ სტუმრებს წინ გაუძღვა ჩია.

რამდენიმე მსახურმა, ძლივს შეაღო რკინის ვეება კარი.

გრძელი, ტეხილი კიბით, მაღლა, სამეთვალყურო კოშკის ძირამდე ავიდნენ.

კოშკიდან მარცხნივ, ბნელი ტალანისკენ მიუთითა ჩიამ და პირველმა შეალაჯა შიგ.

დარბაზში გრძელი მაგიდა იდგა. მაგიდის ორივე მხრიდან, უშნოდ გამოჩორკნილი სკამები ელაგა.

კედლებიდან ქვის სიცივე იმზირებოდა. ნახევრად შეკირწყლულ ჭერში, მეწამულისფრად კიაფობდა ვიწრო ფანჯრებიდან შემოსხლეტილი მზის სხივები.

სკამებზე მიუთითა ჩიამ პყრობილ სტუმრებს და შესასვლელისკენ გასწია.

თავით ფეხებამდე შეიარაღებული მცველნი ჩადგნენ კართან და დარბაზში.

მალე ერისთავიც გამოჩნდა. შანშეს ამალა ახლდა.

მოპირდაპირედ დალაგდნენ მასპინძლები.

თქვენც დაჯექითო, ხელით ანიშნა ერისთავმა სტუმრებს.

სტუმრები არ განძრეულან.

თეთრი ახალუხი ემოსა შანშეს. მისი ზორბა მხარ-ბეჭი მტკიცედ გამოკვალთულიყო სამოსში. კისერზე შეხსნილი ღილების ანაკეციდან, მწვანე პერანგი მოუჩანდა.

კარგ მეომრად ითვლებოდა ფანასკერტელი. ერთ წელზე მეტი იქნება გასული, რაც არ ენახა იგი ბაგრატს. ამ ხნის განმავლობაში, საკმაოდ გამოცვლილიყო. მოზრდილ, ღია წაბლისფერ წვერ-ულვაშზე, წენგოს უამურ ლაქებს დაევანებინა. სახეზე სიფერმკრთალე

მოსდებოდა და შუბლზე დამსხდარი ღარებიც, წინანდელზე ფართო ეჩვენა.

თვალებში ღრმად ჩამალული უამური სიბნელე ციაგობდა.

ამგვარი თვალები აქვს ნაზიასაც. უცაბედად წარმოისახა გონებაში ქალი ბაგრატმა, ასეთივე თაფლისფერი თვალები აქვს, ოღონდ ეს უამური წყვდიადი არასოდეს შეუმჩნევია.

მარჯვენა წარბი მაღლა აზიდა ერისთავმა. კვლავ ზეზე მდგარ ბაგრატს, ქვემოდან ირიბად ახედა და ჭერში მოყურადემ უთხრა, – სმენისათვის მზად გახლავარ! საქმე გქონია!

– ერისთავო! – ამდენხანს ჩაგუბებული ბოღმა ბაგრატს ყელში ბურთივით ამოსჩროდა და აშკარა დამცირებამ ხმა ყრუდ ამოაძახა. – სანამ ამუამინდელი მიზნის სათქმელად აზრს მივწვდებოდე, ერთი რამ მინდა მოგახსენო. ძველთაგან მოდის, ჩვენი წინაპარი ლუკმას და გრძნობას თანაბარ წილად უზიარებდა სტუმარს და თუ ხანგამოშვებით დასანაყრებლად ლუკმა მას არ მოეძეოდა, გულღია ღიმით მაინც ხვდებოდა მოსულს!... რამ გაგიცივა ესოდენ გული, პაპის ზნეთა ქირდვა ვაუკაცს არ შეჰფერის! ხანჯალს ქართველი მოუცილებლივ, მხოლოდ იმისთვის კი არ ატარებს, რომ მახვილია და თავდასაცავი რაიმე ნივთი, არამედ იმიტომაც, რომ მისით ის თავისუფლებას შეიგრძნობს. იმ თავისუფლებას, რომელიც ესრეთ აკლდა ყოველთვის. მოდი, ვიუბნოთ როგორც ჭეშმარიტ მოყმეთა წესია! მე არ ვაპირებ შენს სულში ქურდულად ჭვრეტას, მაგრამ ერთს გთხოვდი, ნუ დაამძიმებ მას იმგვარად, შემდგომში თავადვე გაგიჭირდეს მისი ტარება.

– აქ ქადაგებისთვის მოხვედი? – ზეზე წამოიმართა შანშე და ბრაზმორეულმა, ფანჯრისკენ გააბოტა.

სკამი, რომელზეც ერისთავი იჯდა, გადაყირავდა და იატაკზე ყრუ ჭახანი მოადინა. რომელიღაც მსახურმა კვლავ თავისსავე ადგილას დადო სკამი.

ფანჯარასთან მისული შანშე შემოტრიალდა. მარჯვენის ცერა თითი ბაგრატს მიაშვირა: – ბაგრატოვანნი! – უთხრა, – მარადის ჭკუის დარიგების უნარით იყავით გამორჩეული! სხვებს უწყრებით ცუდზე და თავადვე სჩადიხართ. რამდენი ავი გვახსოვს მეც და მამასაც თქვენგან! ბრძოლას დამცირებულთა დასაცავად, ღალატს ეძახით. შარშანწინ არ იყო, მთიელებთან მყოფს, ჯარი რომ შემომასიეთ? დამბორკეთ და გამომაჭენეთ ხალხში?! შეგიწყალეთო, არვის შეწყალება მე არ მჭირდება და სანამდის თავი მხრებზე მაბია, მანამ მექნება მახვილი შემართული თავისუფლების დასაცავად!

– თვისუფლებას რაღას ეძახი, მშობლიურ ჭერში მოწვეული მტრით ძმის წინააღმდეგ მახვილის აღმართვას?

– მშობლიურ ჭერში დაუკითხავად შემოსული ძმა, ძმა არ არის! გადაშენდეს ასეთი ძმა ჩემიც და სხვისიც!

– საკუთარ მეფეს მტერი რომ მიუსიო, ესეც სწორ ქმედებად მიგაჩნია?

– მე არ მყავს მეფე! ჩემს სამკვიდროში მეფეცა ვარ და უზენაესიც, რას მემართლებით?!

– ერისთავო! – გამჭოლად შეხედა ბაგრატმა ფანჯარასთან მდგარ შანშეს, მის ფართო მხრებიდან, მზერა ჟანგისფერ წვერზე გადაიტანა. – ახლა აქ ამის სარჩევად ნამდვილად არ მოვსულვარ, გთხოვ, მომისმინო!

შანშე უფლისწულისკენ შემოტრიალდა: – თქვი, გისმენ! – შებრუნდა, სკამზე ჩამოჯდა და სკამზე ჩამომჯდარმა, სათქმელს დაახანა.

– ბექუ-ყაჩაღთან ბრძოლაში ტყვეები აგიყვანიათ. ბექუც დაატყვევაო, შევიტყვე...

– მერე? – ორჭოფული ღიმილი შეადგა ბაგეებზე შანშეს.

– ბექუს სისხლი მართებს ჩვენი და თუ გადმოგვცემ, საზღაურს გადაგიხდით!

– ჰე... ჰე... ჰეეე! – გულღიად გაიცინა ფანასკერტელმა. სიცილით რომ გული იჯერა, ბოლოს უთხრა: – არსად ბრძოლაში მე არ ვყოფილვარ, არც ტყვეები შემიპყრია და რომც შემეპყრო, ბექუსთან თქვენზე ნაკლები ანგარიშსწორების სამსჯავრო, არც მე გამაჩნია და ასე რომ, თავადვე შევეცდებოდი ანგარიშგებას!

– შენ ბრძოლაში გიცნეს, ტყუილს რად ამბობ?

– ვინ... ვინ მიცნო? – მომეტებული ბრაზისგან სკამზე მოუზომავად დაეხეთქა ერისთავი და აღელვებულმა, ხმაურით გადაყლაპა ნერწყვი. – გითხარი, არსად წავსულვარ-მეთქი და რომც ვყოფილიყავი, მერედა თქვენ ვინ გეკითხებათ? ვის რა ხელი აქვს? საითაც მომესურვება, იქეთ გავუტევ!

– მაგას არავინ გიშლის, ერისთავო!

– აბა?

– რიგთა წესი უნდა დავიცვათ!

– რას ამბობ? – დამცინავი ღიმილით დაეფარა სახე შანშეს, – იქნებ, თავადვე ეცადოთ რიგთა წესი აღასრულოთ?! მსტოვრებით აიკელით ქვეყანა, დაგეშილებს უსევთ ხალხს! და ინელებთ!

– ვის მივუსიეთ?

– თვითონვე იცით!

– ერისთავო, იქნებ...

– კმარა! – დაიყვირა შანშემ და მუშტებშეკრული სკამიდან წამოდგა.

დარბაზი სიჩუმემ მოიცვა.

მყუდროება მცირე ხნის შემდგომ, კვლავ მან დაარღვია და ფანჯარასთან მდგარმა, მარჯენა კარისკენ გაიშვირა.

– გაგიკ! – ვიღაც მოიხმო.

– გისმენ პატრონო! – წინ წამოდგა იარაღჭურვილი მოყმე.

– გაგიკ, – კვლავ გაიმეორა ერისთავმა, – რამდენი წელია, რაც არტანუჯის მეფეს, საყმო ხარკს არ ვუხდით?

– ხუთი, პატრონო, – იყო პასუხი.

– რამდენი ხანი აღარ ვცნობთ მაგათ ქვეშევრდომობას?

– საკმაოდ ბევრი..

– ხედავთ? – დარბაზს თვალი მოავლო შანშემ, – აქ, – მარჯვენის საჩვენებელი თითი ფანჯრისკენ გაიშვირა, – მამა-პაპის საუფლოში ჩვენეული კანონ-სამართალი დაგვიმყარებია. კუთვნილი საზღაურით უფლებამოსილნი, საყმო-სახელისუფლო მმართველობას ვიქმთ და ამ განაწესით ვმეთაურობთ ქვეყანას. რას მოითხოვენ, ვინმეზე გვმართებს რაიმე თუ რა?

– მეფეზე მორჩილებას, უფროს-უმცროსობის ცნობას! – ყრუდ დაიბუხუნა ჯოჯიკმა.

– სადამდე უნდა იძახოთ! – გააწყვეტინა სიტყვა შანშემ სპასალარს, – ეგ უხამსობა? რამდენჯერ გითხრა, აქ ერისთავიცა ვარ, მეფეც და სტრატეგოსიც! თქვენს მეფისამებრ, – ხელი ჯოჯიკს მიაშვირა შანშემ, – სხვათა სახლ-კარში არ შევხეტებულვარ! ჩემს წინაპარს ერთი პირი ჰქონდა, სულიც და გრძნობაც! მეზობელთა სამანებს დამპყრობელად არ მოვლენილა და მცირედითაც კმაყოფილს, მამული ძვირფას ავგაროზივით ეკიდა ყოველთვის მკერდზე! ასე აჯახირა მან ეს წუთისოფელი დასაბამიდან მოაქჟამამდე. მაგგვარად ვფიქრობ მეც, ასე განვლიო ჩემი სიცოცხლე! ჰკითხე შენს პატრონს, – განაგრძო მცირე შეყოვნების შემდგომ, – ვინ არის და საიდან მოდის. ან იქნებ, თვითვე იცი! თუ არა, მაშინ მე გეტყვი. სპერში წვრილფეხის დატაცებითა და გაიძვერობით ცნობილ ბაგრატოვან აზნაურებს, აღარ ეყოთ საყვლეფად მამისეული სამკვიდრო და ქართლში გადაბარგდნენ. ოქროთი მოისყიდეს იქაური დიდგვაროვანნი, ფულის უხვობამ, ბოროტ ჭკუით ნაკარნახევმა თაღლითურმა ზნემ, ერთ-ერთი იმათგანი ქართლის დიდერისთავამდეც

აამაღლა. თუმცა, ბევრხანს იქაც ვერ იბოგინა და შინაური თუ გარე მძლავრობით ოტებული, ტაო-კლარჯეთში შემოდგა ფეხი. სულ მალე კი, აქაურობის მბრძანებელთა ტახტით შემკულ სასახლეში, მეფის გვირგვინიც დაიდგა თავზე! აი, რა გზით მოიპოვეს მაგათმა, – ბაგრატზე მიუთითა, – სხვისი მამულები!

– ერისთავო, ასეა ოდითგან, მამულს ის უდგას სათავეში, ვინც უკეთ პატრონობს! მტრისგან იავარქმნილ სამკვიდროს აღშენება, მიტაცება როდია! ბაგრატოვანნი აქ საკეთილოდ მოსულან და...

– ვინ მოპატიჟა? – სიტყვა წაართვა ერისთავმა სარდალს, – ჩვენი სამკვიდროს ბატონ-პატრონი თავადვე გახლავართ და დახმარება არავისთვის არ გვითხოვია! ეს სამანები წინაპრის კუთვნილება იყო დასაბამიდან. მაგათ მოტყუებით მიიტაცეს და ახლა საამისო დროც დამდგარა, რომ გაეცალონ აქაურობას!

– ტყუილია! – ჯოჯიკის ხმაში რისხვა გაისმა, – ერთია საქართველო და იგი მან უნდა მართოს, ვისაც საამისო გონი და ძალა გააჩნია! შენ კი, ერისთავო, მრუდე სავალს ასდევნებიხარ და ადრე იქნება თუ გვიან, სამსაჯავრო არ აგცდება, დაიმახსოვრე!

თვალებში ქუფრი დაეფინა შანშეს. სახეზე სიწითლემ გადაჰკრა. ბრაზმა მისდაუნებურად წამოახტუნა ზეზე, წინ გადაიზნიქა, თითქოსდა ჰაერი ეცოტავაო.

ვეღარ მოაბრუნა ენა სიტყვის სათქმელად. ბოლოს ძლივსღა ამოიხავლა: – საქართველო თაღლითებისა არაა, ის ჭეშმარიტ მამულიშვილთა ხვედრია! ბაგრატოვანნი ქლესები არიან. მათ ნაკვალევზე ბოროტი ზრახვანი ბუდობენ! მამიდაჩემი, საწყალი მამიდა, მაგათი ჯიშისამ გაგვიბახა. პაპა უღმერთოდ მოინელეს. მშობლის თვალთა დაშრეტაც მაგათგან მოდის და შენ, ჯოჯიკ, პატივს მოგაგებ როგორც ღირსეულ მოყმეს და სარდალს, მაგრამ ჩემს სიტყვას ნუ დაივიწყებ, ეგენი ერთგული სამსახურისთვის ისევე მოგითავებენ, როგორც ცხონებულ პაპაჩემს უქმნეს!

– ერისთავო!

– კმარა! – სათქმელი აღარ აცალა სარდალს შანშემ, – კმარა-მეთქი! – კვლავ გაიმეორა. ვეება მუშტი მოწყვეტილად დაახეთქა მაგიდაზე და წელში ოდნავ მოხრილმა, მოსაუბრეს ჩაგუბებული ბოღმა შეაფრქვია, – რამდენიც გიმტკიცო, თქვენსას არ მოიშლით! სიტყვის საკენკად აქ არ მოვსულვართ, ჩემს პატივცემულ სტუმარზე მინდა მოგახსენოთ, – ბაგრატისკენ გააპარა მზერა შანშემ.

გაურკვევლობის ბურუსით შებოჭილი „პატივცემული სტუმარი“ კი, ვერ მიმხვდარიყო, შანშეს ირონიით შეკაზმულმა ღიმილმა

აუმღვრია აზრი თუ ესოდენმა დამცირებამ და თავისდა განუკითხავად, მოუზომველი სიტყვა მიახალა: – ერისთავო! ეტყობა გაგათამამა ჩვენის მხრით ამდენმა შეწყალებამ! სტუმარს ქოფაკიც არ შეუყეფსო, ბრძენთაგან გამიგონია! შეგონებებით არ გმოძღვრავ, მაგრამ ერთი მინდა გირჩიო, სხვაზე ლაფის ცხობით საკუთარ სხეულს ვერ განიწმინდავ! თუმცა არ გათეთრდების ყორანი, რაც გინდა ხეხო ქვიშითაო, თქმულა! ვატყობ, მოყვარედ მოსულნი, მტრად დავშორდებით!

– ჰმ, რაებს ყვები? აქედან თქვენს გაშვებას არც კი ვაპირებ! – ირონიული ღრეჯით თქვა შანშემ და დამცინავი მზერა იარაღაყრილ, ფეხზე მდგარ სტუმრებზე, რამოდენიმეჯერ მიმოატარა.

– უფლებამოსილება გერევა ერისთავო! ამას ვერ იზამ! – ირიბად გადახედა შანშეს ბაგრატმა. – ნუ გავიწყდება, გარეთ ლაშქარი გვიდგას!

ფანჯრების მხარეს რამოდენიმეჯერ გაიარ-გამოიარა შანშემ, თან კისერმოღრეცით უყურებდა, მუქარანაჭამ სტუმრებს. სიარულით რომ გული იჯერა, სულ იქითა, კიდურა ფანჯარასთან შედგა და სარკმლიდან გარეთ მოყურადემ თქვა: – თქვენი უფლებები უკან წაიღეთ! ლაშქარსაც მოვუვლით და ყველაფერ ამაზე, პასუხს შენ აგებ! – მცირედ შეყოვნდა და კვლავ გააგრძელა, – შენ აგებ, ყაჩაღზე ხელის შეწყობისა და მფარველობისათვის! მისგან დაგონჯებულ ხალხსა და ქვეყანაში შექმნილი შფოთისთვისაც და ამ წერილზეც, – ახალუხის ჯიბიდან ამოიღო ოთხად გაკეცილი ბარათი შანშემ და უფლისწულს მაგიდაზე დაუგდო.

ამასწინანდელი, მისგან ნაზიაზე მიწერილი ბარათი იყო. იცნო ბაგრატმა. როგორ მოიხელთა ნეტავ, ამ არაკაცმა? თუმცა, ქალს ხელში გადავეციო, აქ წარმოგზავნილმა მსახურმა, ასე უთხრა მაშინ. მაგრამ შანშესგან ყველაფერი მოსალოდნელია!

– შენგან პატივახდილ ქალწულებთან, ნაზიას მიტოლებაც გინდოდა? – სულს კვლავ უწამლავდა შანშე. – ამას ვერ ეღირსები! ნაზია ღირსეულ ჭაბუკს მიჰყვება და გწამდეს, მამა-პაპის წამხდენელს, ის ახლოსაც არ გაიკარებს!

ესოდენ შეურაცხყოფილს, მრავალფეროვნად დაეღმიჭა სახე ბაგრატს. ჯერ თავისთავად მომუშტულ მისსავე ხელებს დააცქერდა, შემდეგ, იარაღაყრილ მეომრებზე ჩამოატარა მზერა და ბოლოს, მასთან მიახლოებულ ფანასკერტელს გაუსწორა თვალი.

ერისთავის გამოხედვაში დამცინავი სხივი დაიჭირა და მეტისმეტმა შინაგანმა ძალამ, ზაფრით ამოაძახა: – არავისთვის

პატივი არ ამიყრია! სხვაზე ცილისა და ჭორის ბლანდვა, დიაცური საქმეა! რას კადრულობ? ხოლო რაც შეეხება ნაზიას, მე იგი ჭეშმარიტი ტრფობით შემყვარებია და თუ სიყვარული დანაშაულია, აი, ამ ხალხმა განსაჯოს! – ხელი გაიშვირა დარბაზში მყოფებზე ბაგრატმა.

– რა? შეგყვარებია? ეს არას ნიშნავს, მას არ უნდიხარ!

– ტყუილია!

– მეცოდები! – ბოღმისაგან სახე დაეღმიჭა ფანასკერტელს.

– რა მჭირს საცოდაობის? – მხრები უნებლიეთ აიწურა ბაგრატმა.

– მეცოდები-მეთქი! – კვლავ გაიმეორა შანშემ, თან რაღაცით თუ ვიღაცით გაღიზიანებულმა, ხელები უსაზმნოდ აიქნია ზევით, – შენი წინაპრებისამებრ, უხერხემლობა დაგბედებია და რაც ვუკვირდები, უბარდუკი და გულღრძოც ყოფილხარ! – ცოტაზედ შეყოვნდა შანშე, ბოლოს ასპიტისებრ სისინა ხმით დააყოლა, – ცვედანას დას ვერ გავატან!

– რას ბოდავ, შე...! – რაღაცნაირი ჭექით დაიღრიალა ამ სიტყვებზედ გადარეულმა ჯოჯიკმა და ვიდრე დარბაზში მყოფნი რაიმეს მოიაზრებდნენ, გამეტებით დაჰკრა სკამი გარეწარს. დარტყმისგან შანშე უკან გადატრიალდა და ფანჯრებიან კედელს მძლავრად მიეხეთქა.

სწრაფად აიტაცეს მაგიდა სტუმრებმა და მოზავთებულ, იარაღაპყრობილ მეომრებში დაატრიალეს.

დანარჩენი კი თავისთავად მოხდა.

სკამებისა თუ ფიცრის ნამტვრევებით შეიარაღებული სტუმრები, დაერივნენ შანშეს ყმებს, რკენაში სატევართაც დაეუფლნენ და საკმაო ჭრილობებიც მოიპოვეს.

უწესრიგოდ არეულმა ფანასკერტელის მეომრებმა, ვეღარ გაუძლეს ამ თავზეხელაღებულ მოყმეთა გიჟურ მიტვეას და კარისაკენ დახეულებმა, თანდათანობით გაიკრიფნენ დარბაზიდან. სტუმრებს კი რვა დაჭრილი თანამებრძოლი დაუტოვეს შიგნით.

გარედან კარის საგდულის ჩაკეტვის ხმა გაისმა.

პირველი წიგნის დასასული

ლ ე ქ ს ე ბ ი

წელს გაზაფხული მოსულა გვიან

წელს გაზაფხული მოსულა გვიან,
არ შეფოთლილა ტყეში მუხები,
შევკრებ ყვავილებს, ხატულა, ფრთიან
და ნაცნობ კორდზე ჩანამუხლები,
მივეფერები ლურჯთვალა იებს,
ისე, ვით ყმაწვილს მიყვარდა მაშინ,
მნათობი თითქოს დაფენილ სხივებს
აალაჟვარდებს შენს გიშერ თმაში.
და გაცოცხლდება კვლავ შორი ხილვით
ზღაპრად ნათქვამი ამბავი ძველი,
მოლზე მწუხარე, კამკამა თრთვილი
იმ ცრემლებივით ჩუმი და სველი.
მოწყვეტილ ჩქერთა რძისფერი ბინდი
და ლურჯ რტოების ფრთაშლილი აფრა,
წუთისოფელის დრო-ჟამი ფლიდი,
ასე უკვალოდ, ნეტავ სად გაქრა.
ეჰ, ჩამოფიფქულ ცრემლებად მთოველ,
მოვესწარ რამდენ მზისგულა აისს,
ვფიქრობ, ვინა ვარ, ან რისთვის მოველ,
თუკი საწყისი სასრულს გავს მაინც.
თუ ყოველივე ჩაქრება უხმოდ,
ბინდის ფანტელი დაფარავს ბოლოს,
გარდასულს ახლა რაისთვის ვუხმობ,
ის ხომ მთვლემარე დარდია მხოლოდ,
დამჭკნარ მდელოზე ჩანამუხლები
კვლავ რატომ ვნატრობ იმ ქათიბს, იან.
არ შეფოთლილა ტყეში მუხები,
წელს გაზაფხული მოსულა გვიან.

ყირიმის მთებზე

ყირიმის მთებზე ნავარდობს ქარი,
ღრუბელს ეხლება თეთრი თოლია,
სულში ფარულად ჩამძახის ზარი,
შენზე წუხილით რომ მომყოლია.
გამომყოლია ჩუმი ნაღველი,
დაუყუჩარი ტკივილის ფეთქვა,
იქნებ მემდური, ჩემზე მძრახველი,
თვალებს დააშრობს ცრემლების სეტყვა.
ნუ, გენაცვალე, დატოვე ფიქრი,
წარმავალია ამ სოფლის სიტკბოც,
დრო შეუმჩნევლად მიქრის, სულ მიქრის,
მიაქვს ცხოვრების სუსხი და სითბოც.
დრო ჯალათია, მკურნალიც დიდი,
თეთრი ბინდების ყინვით და ჭორით.
გარიყულს, უცნობ ნაპირის კიდით,
მათბობს შეხვედრის იმედი შორი.
და ვხედავ, როგორ ილევა ღამე,
მოჩანს გაფრენილ დღეთა ტაატი.
ვითვლი მღელვარედ გაფრენილ წამებს,
რეკავს და რეკავს კედლის საათი.
რეკავს საათი, ასე მგონია,
დაუოკებელ აზრთა თარეშით,
მწუხრი ბაგეზე ჩაგიკონია,
ნელი ჩურჩულით მლოცველს ღამეში.
ილოცე მხოლოდ, ილოცე, კარგო,
ფათერაკებით სავსეა გზები.
იქნება, ლოცვამ მალამოდ მარგოს
და მრთელი უკან რომ დავბრუნდები,
პატივმოხდილი... თუმცა კი მჯერა,
ეს წყენაც ისევ მეპატიება.
და გეტყვი მაშინ, რომ ბედისწერა,
არის იდუმალ ხვედრის ძიება.
რომ მარტოდ ყოფნა ერთობ ძნელია,
ხვაშიად-უმხელ წუხილის აჯით
და ეს ცხოვრება განსაცდელია,
დაუსრულებელ გვემით და ტანჯვით
ნუ გამიხსენებ გარდასულ ცოდვებს,
გითხარ, მათ ბნელი ახურავს ფარდა
და ვერვინ ისე ვერ შეგიცოდებს,
ჩემი სპეტაკი გრძნობების გარდა.

რას ჩურჩულებენ ნაძვის ტოტები

რას ჩურჩულებენ ნაძვის ტოტები,
ლოცვად მოარულ სულთა ოტების,
ამო მუდარით,
ფრთამოკეცილი თეთრი ჩრდილები
ქვევით, სულ ქვევით ჩამოხრილები,
ვერცხლის სუდარით.
შემოყუჟვიათ ეი! რამდენი
ფიფქი და ციდან ნაზი ფანტელი,
ათოვს და აწვიმს,
მოფარფატენი უცხო ზმანებად.
იქნებ ნატვრად და ალბათ წამებად,
რას ჩურჩულებენ ტოტები ნაძვის.

შესანდობარი

ჩამიქრეთ ძმებო, ანთებული გზნების სამსალა,
ლალისფერ ღვინით, შიგ სიკვდილიც ერიოს თუნდა,
თორემ ამ სოფლის უკუქცევამ ფიქრად დამცალა,
კარგი ბიჭების მოსაგონი დავძახო უნდა.
თორემ ვერ ვძლიე აზვირთებულ სევდის ტრამალებს,
ვერც ვერვინ ვპოვე, ხვაშიადი რომ მისთვის მეთქვა,
და რომ ნაღველი, მოწოლილი, ვეღარ დავმალე,
სასომიხდილი მოველ გულის საშველად თქვენთან.
ჰოდა, შემივსეთ ბროლის თასი გრძნეულ ბახუსით,
დავლევ, დავეცე, თუნდ შევიქმნა უგრძნობ-უსულო,
მას გაუმარჯოს! ვინც ეს ყოფა განვლო ნამუსით,
დავლოცოთ მათი გზა ჩავლილი, ზოგჯერ უსრულო,
საწუთრო ჩვენი, არცთუ ისე მიამიტია,
ვისთვის უხვია, ვისთვის ძუნწი და არცა მშვიდი,
მოუნელებელ, უსასრულო ცოდვის მზიდია,
და ეს ცხოვრება, თურმე მითი ყოფილა დიდი,
მას გაუმარჯოს, ვინც ჭაპანი ალალად ზიდა,
სინდისი გულში უპირველეს ვალდებად აწვა,
ვინც დუხჭირ ბედშიც არ ამცდარა სიმართლის გზიდან
და ბნელ საფლავში ღირსეული დიდებით ჩაწვა.
გთხოვთ, პატივგებით დავუჩოქოთ სულებს დღე-მზიანს,
ამ ქვეყანაზე, თუნდაც, მიტომ ღირდა დარჩენად
და გავისარჯოთ სრულად, მანამ არ არის გვიან,
ბილწით შემუსრილ სიყვარულის გადასარჩენად.
რომ რაგინდ მძიმე, წილნახვედრი ვატაროთ ტვირთი,
ციურ ლაჟვარდში დაგვნათოდეს შუქი მთოვარი,

თორემ სოფელი ხანმოკლეა, მრუდე და ფინთი,
და სჯობს, სიკეთე იყოს ჩვენი დანატოვარი,
და სჯობს მართალი, მაღალმა ღმერთმა თუკი გვაცალა,
ვაკეთოთ საქმე, ვთქვათ სიტყვა წმინდა, დე, სანდობარი,
მათ ნაადრევად უსვამთ ბედის მწარე სამსალა,
ეს ლექსიც ძმებო, იყოს მათი შესანდობარი.

***

ტერასზე ბარბაცებს ქარი,
ოცნებით, ოცნებით მთვრალი,
მიქრიან ფიფქები ურჩად,
ხევი-ხევ ქუჩა და ქუჩა.
მირბიან დღეები წყნარი,
დაუცლელ გზნებებთან ერთად,
ტერასზე ბარბაცებს ქარი,
უხილავ, უხილავ ფერთა.

ყოველ გაზაფხულს

ყოველ გაზაფხულს გალობით მოვალ,
მოვალ, ვარდობის ლამაზ აისად,
რათა არ შეწყდეს ყვავილთა თოვა,
და დიდი მიზნით მწამდეს ხვალისა.
ენძელებს მაცნედ შემოვუძღვები,
პირ-ბადრი მდელოს მოხატულ ალმით,
მშობლიურ მიწის ტრფობით უძღები,
წვერწამახული სიმართლის კალმით,
და თუ დავეცე ძნელსავალ გზაზე,
ხმით შევძრავ ძლიერ გრიგალთა გუგუნს,
ავფრთხიალდები ოცნებით ცაზე,
და ყოველ დილით დავძახებ გუ-გუს,
წელთა დინებით დანათოვარი,
დაე! ამ მთებზე ჩირაღდნად ვენთო,
მე არ მქონია სხვა სათხოვარი,
მრუდე სიცოცხლეს ნუ მომცემ ღმერთო.

მომენატრები

თმაში დამსხდარან თეთრი ფიფქები
და სიჭაბუკის ცდუნებას ვძლიე,
თუმცა, ისევ იმ ძველი მიგნებით,
მომენატრები, უზომოდ, ძლიერ,
მომენატრები, როგორც არასდროს,
არ მდომებია ალბათ არავინ,
და ახლაც, შენზე ფიქრებით მარტოს,
შემომპარვია ღამე მზარავი.
ღამე, ოქროსფერ სხივით ნაბანი,
მილეულ მთვარის შუქს იფენს ფარად.
ხევს ჩაუგია შავი საბანი,
ბნელში კი ვიღაც ჩურჩულებს წყნარად.
ჩურჩულებს, თითქოს ეშმა ცბიერი,
და ცას, იდუმალ ფერებით მდუმარს,
აკრთობს სიცილის ხმა, მისმიერი,
გაჯობე თუ არ, გაჯობე თუ არ,
გაჯობე თუ არ, გუგუნებს ექო.
და მორჩილებით ქედს ხრიან მთები,
შევსცქერი ბინდით შემოსილ ბექობს,
აჰა, ის ფლატე, აჰა, ის გზები,
აჰა, ის მყუდრო კლდეთა შვერილი,
ხავსით ნაქარგი ქვაბი მცირედი,
ვერდანახული ბოლო წერილი,
ბოლო მიზნები, ბოლო იმედი,
და გაფრენილი ხანი ოტებით,
ჭიდილი, ბრძოლა, მარცხი, ქილიკი,
დადუმებულა სუროს ყლორტები,
კორდად ქცეულა ჩვენი ბილიკი,
თმაში კი მსხდარი თეთრი ფიფქები,
მტაცებენ ურცხვად სინორჩის იერს,
მაინც, ისევ იმ ძველი მიგნებით,
მომენტარები უზომოდ, ძლიერ.

პროტექტორები

სიმაღლისაკენ აღმავალი ფანდი ქლესური,
განდიდებისთვის გავრცობილი ყალბი ჭორები,
სიმართლის ჯვარცმით მოფენილი გზა ორლესული,
პროტექტორები!
თითქოს სიწმინდედ შერაცხილი ნება უფლისა,
მომხვეჭელობით დაბანგული ბასრი ტორები,
არაკაცობის უმაღლესი ნორმა უღირსთა,
პროტექტორები!

დედას

ატმის კვირტი როცა იწყებს მღერას,
ფრთხილად შევკრავ ქორფა ვარდის კონებს,
და თაიგულს, დედი, წითელფერას,
დილის მზისფერ ცვარში ნაცისკროვნებს,
შენი მყუდრო სამყოფელის კიდით,
შემოვავლებ მაისის ტკბილ სურნელს,
და იმ დღეთა მონატრება დიდი,
ჩუმად აშლის ტკივილს განუკურნელს.
ეულ აღქმად დაფერფლილი წლები,
ნელა ქრება მივიწყების ბნელში,
ყოველ მარტის კვირტთა ლხენას ვხვდები,
ბინდით მოსილ, მწუხრის განსაცდელში.
ო! ის წლები რომ გაიგოთ რატომ,
წვიმდა თქეშით ჩუმი ცრემლთა ღვარი,
და დუმილის ორეულთან მარტომ,
ვით განვლიე ყრმობა სანუკვარი.
მქონდა ტანჯვის გაასება კრული,
მე მას ახლაც ტკივილებად ვხედავ,
სად გაქრა ის წმინდა სიყვარული,
დასაკარგად ვინ წაიღო ნეტავ?
თეთრი ღამის შეგრძნებებით წასულს,
ოცნებებში თვალი გკიდო იქნებ,
გავიხსენებ აორთქლებულ წარსულს,
თუ გავუძელ მოზღვავებულ ფიქრებს,
ცას მომწყდარა ცხოვრების გზა გრძელი,
და ღარები დამჩნევია სახეს,
რომ ვიქნები სპეტაკი და წრფელი,
გეფიცები შენს უწმინდეს სახელს.
დროს წუთები ხმელ ფოთლებად სცვივა,

დაშრეტილა შუქი თვალთა ხედვის,
დამრჩენიხარ ჩაუქრობელ სხივად,
ჩემო ტკბილო, სანატრელო დედი,
კონად შევკრავ ქორფა ია-ვარდებს,
ფიქრს გავატან ღამეს თეთრად ტეხის,
და მზის ღიმილს, ცისკრად ნალაჟვარდებს,
ძღვნად დავფენ ქვეშ, შენი წმინდა ფერხის.

აია პეტრა

აია პეტრა, აია პეტრა,
ჩამოკიდული ციცაბო თხემი,
მთა შემართული ჩუქურთმის სვეტად,
ვით შორეული სამკვიდრო ჩემი.
თითქოს სხვაგვარი, თითქოს ნაცნობი,
კლდიდან ნაგლეჯი ლოდების ზვავი,
ფრთა დამსხვრეული ჯიქურ ანცობით
მწვერვალზე ნისლი დამდგარა შავი.
და იდუმალი ხმით, ჩუმი ნატვრის,
მშობელი ზეცა მეძახის ლურჯი,
ხარ დაუშრეტი ოცნება მხატვრის,
ციურ ხილვებთან ჩაკრული ფუნჯით.

ჩემი ცხოვრება

ბნელი ბინდები, უსაბამო სუსხი და ყინვა,
ამაო ლტოლვით დამაშვრალი, ვიდექი მარტოდ,
ჩემი ცხოვრება, უტეხ გზათა ბედის დაცინვა,
იყო ამბოხი, სულთა შფოთის უმისამართოდ.
და დუმდა ჩანგი, დუმდა აზრი, ღამის ძილ-ქუში,
გულმართალ სიტყვას, სადღაც ბნელში, ჩუმად მტაცებდა
ყველა ორპირი, გაიძვერა, ლოთი და მრუში,
იმკიდა ურცხვად დაფნის გვირგვინს, სოფლის კაცებთა,
ქუხდა ორგია, ჯადოქმნილი ღრეობის ნიშით,
არაკაცები ზეიმობდნენ დიდების კვერთხებს,
ბრბო მოსყიდული, დამფრთხალ ფარის მორჩილი შიშით,
ქედდადრეკილი ხსნას შესთხოვდა ზეციურ ღმერთებს.
მზეს მოჰფენოდა სამოსელი გოდების ზართა,
ბოროტის ხმობით დათალხული ხანიც გაწამდა,
მე ვიდექ, დაცლილ იმედებით, კაცობის ზღვართან

და ეს სიცოცხლეც არ ვიცოდი, მწამდა, არ მწამდა,
და მე მთოშევდა სუსხიანი ზამთარი ცივი,
დაუსაბამო, ბნელ ბინდებში ჩაკარგულ კვალთან,
ჩემი ცხოვრება, მოწყვეტილი ობოლი მძივი,
ეგდო გაძარცულ და გათელილ სამყაროს კართან.

წვიმის წვეთები

დაუოკებელ წვით და ფეთებით,
ილტვიან ციდან წვიმის წვეთები.
წვიმის წვეთები, ლურჯი წვეთები,
ფერთა სინაზე...
მსხდარან ლალებად, ურჩი კვეთებით,
ცისფერ მინაზე...
და მონაბერი უხილავ ქნარით,
ხეთა კორომებს შეარხევს ქარი.
იფნის ყლორტები, ნორჩი ყლორტები,
ამო და რბილი...
შეუბუსავი, ქორფა ფოთლებით
არიან თბილი,
ვით დაპკურული ცრემლები შენი.

მწვანე ტბა

შენს ცარგვალში მზე იცინის მაშუქად,
ფერად-ფერად სხივთა მოიარებით,
მთამ უბიწო სილამაზე გაჩუქა,
დაუბინდავ ცის კამკამა თვალებით.
ხეთა ჩრდილი ჩამოშლილა ფარდებად,
წყლის კამკამში ნაირ-ნაირ ფერებით,
სიყმაწვილე აქ, ამ ლოდთან მთავრდება,
დავიწყებულ ხანთა გადამღერებით.
გაფრენილა წლები ჩუმი რონინით,
და განვლილზე ფარდა ჩამოუხურავთ,
აღარ იწვის უსაბამო ლოდინით
ცისფერ ელვის ნაპერწკალთა შუქურა.
ძველებურად აღარ კრთიან ნისლები,
დაკარგულა ის ჩემში რაც მეფობდა,
რუხ ბილიკთა ქაოსს ლანდად მივყვები,
და წიფელის ვარჯქვეშ ლამაზ ბექობთან
მუხლს მოვიდრეკ მოკრძალებულ რუდუნით,
ქორფა კორდზე მოჩანს თეთრი მანტია,

ქვებს ეხლება ნელი ტალღა დუდუნით,
და ეს ხილვა ორთქლად გაუფანტია.
ნაზ სიმორცხვით გაუშლია კოკორი,
გათოშილ კვირტს ლურჯი ცისებრ ნაფეთქარს,
დაუქარგავს მდელო, ხუჭუჭ ქოჩორით,
შენი ცრემლის ფერად კვალთა ნატერფალს.
სადღა არის პატარობის ამქარი,
სინანულის სევდა, ერთი წამისა,
ო, რამდენი ფიქრი უხმოდ ჩამქრალი,
დამრჩენია სიზმრად თეთრი ღამისა!

შენი თვალები

შენი თვალები, შუქნათელი, შენი თვალები,
ცისკრის ლაჟვარდში გაელვებულ ალად მნათია,
მათში საოცრად მოლივლივე ზურმუხტ-ლალები,
შორეულ ყრმობის უხილავი ათინათია.
წასულა ჩემი გაზაფხული უკვე, ლამაზო,
ჩამოუშვია დროს განვლილზე ბნელი რიდები.
მეგობრულ სითბოს უშურველი ნებით გთავაზობ,
მაგრამ სიყვარულს, მაპატიე, ვერ შეგპირდები.
ნუ მომთხოვ იმას, რაც მალული მქონია მარად,
რაც თვით ღამეულ ვარსკვლავისთვის არ გამინდია,
ჩუმად ჩაკლული ტკივილები მებურა ფარად,
და გარდასულის მოგონება მხოლოდ ბინდია.
იმ განვლილ დღეებს შეუმოსავს თალხი მდუმარი,
ადამიანთა სამყოფელში ვიყავ ეული.
და დავდიოდი, ვით ყარიბი, უცხო სტუმარი,
კაცთა მოდგმისგან უსამართლოდ გამოქცეული.
ცხოვრება ჩემი, აუხდენელ ზღაპრის ხვედრია,
ჟამთა დინებამ ყოველივე თან გაიყოლა,
ჯაფით მოსილმა ვერ-რა შევქმენ, ესეც ბედია,
იტყვიან, ალბათ, ჩემზეც იყო არა იყო რა,
ნამდვილ სიყვარულს არ შეჰფერის სამადლო პეშვი,
და როს ნისლები ჩამოწვება ნაფერმკრთალები,
გამახსენდება კვლავ ყორნისფერ წამწამთა ეშხი,
და ლაჟვარდებით მოხატული შენი თვალები.

ვდგავარ ხიხანთან

ვუძღვნი დიდი მამულიშვილის,
სელიმ ხიმშიაშვილის ხსოვნას

ვდგავარ ეული ხიხანთან მარტოდ,
მოჩანს კედელზე მრავალი ბზარი,
ფრთა გაუშლია მთის არწივს ფართოდ,
და ცისფერ ტალღად მოგელავს ქარი.
ხიხანის ციხევ, შენს ნანგრევს ვუმზერ,
დახავსებულა სარდაფი ბნელი,
და მოუშუშარ, დაკოდილ გულზე,
კვლავ მიახლდება ჭრილობა ძველი!
იწოდა ვაზი, ეზო და კარი,
იმ მძიმე ხვედრზე ვინღა არ იცის...
ხევში მომხდური, მოლაშქრედ მდგარი,
მოცილე იყო მშობელი მიწის.
მამულიშვილთა ცელავდა ჟამი,
შვეულ კლდეებზე უწყალოდ მზირი.
მემატიანევ, შეჩერდი წამით,
გადაგვირჩინე მთის გმირთა გმირი.
მიეც შეწევნა სიმაგრის კარებს,
არ ჩაანელო ბრძოლის წყურვილი,
ვერა, ვერ შეცვლის განგების ძალებს,
იდუმალ განცდით ჩვენი სურვილი,
და იქვე, სადაც მოჩანს ეულად,
დახავსებული ნაშალი ლოდის,
წვიმის წვეთები ჩამოღწეულა,
და შეუშრობელ ცრემლებად მოდის.

სიმღერა დიდაჭარაზე

ამწვანებულა ნაცნობი კორდი,
და ცისკრის თაღი ხვალაც იალებს,
დრო შეუმჩნევად მიდის, თუ მოდის,
ვერხვთა კორომი ისევ შრიალებს.
ისევ ჩამოვჭრი ბილიკს, სხივიან,
ლანდად მომყვება ისიც, ვინც არი
აი, რომ ისევ აღარ ჰყივიან,
კაცნი საქებარ-დასაფიცარი,
ხავსი ჰფენია მდუღარე კერას,
დუმილი ტანჯავს გმირებს ნატყვიართ,
ბრძოლის ქარ-ცეცხლში გამოვლილთ ჯერაც.
მძიმე ჭრილობის კვალი ატყვიათ.

მთებს დაბამბული ნისლები ქულად,
კვლავ მოხვევია, ვით ფიფქთა ჯარა,
ეჰ! რახანია ჩამდგარა ლულად,
ყრმობის უჭკნობი მზის დიდაჭარა,
ყმაწვილკაცობის დიადი ხანა,
აქ ჩქეფდა ოდეს და იმაჭარა.
მომნატრებია ვით მშობლის ნანა.
მომნატრებია ის დიდაჭარა,
აუ, რამდენი წლები წასულან,
დროს, ცისკრის თაღზე ფერებით მხატავს,
ჩამოუქნია მიმქრალ წარსულთან
ჩემი ცხოვრების მშფოთვარე ხატა
და ჟამთა ტეხით მოდენილ ექოს
ულმობლად ჯიჯგნის გახედნილს ურად,
მჯერა, გადმოვლენ ვაჟკაცნი ბექობს,
და დასჭექებენ კვლავ ძველებურად.

დიდება შენდა

ეძღვნება ქართველი ერის მოძღვართ-მოძღვარის, მეჭურჭლეთუხუცესისა და დიდ მამულიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის ხსოვნას

მამულის ბჭენი შორს ჩანდა მქრალი
და ლანდად გდევდა უიღბლო შური,
გეპყრა საჭურჭლე, ურიცხვი თვალით,
შენ კი გროშებით მოგქონდა პური.
პური არსობის, საზრდო უცილო,
იქნებ გეძახდა შიმშილის ელდა,
იქნებ საღამოც იყო უძილო,
და გარდასახვით ჩაკლული სევდა.
მოჰქონდათ შიში ივლისის ხვატად,
ათასი ჯურის ურიცხვ მავანებს,
მშობელი მიწა იწამე ხატად,
არ გიძებნია სხვაგან სავანე,
არ გინატრია განცხრომა ტკბილი
და ფუფუნების სიჭრელე ფერთა,
გული, დაშთენილ გზნებებით თბილი,
ერთისთვის ერთი მიზნებით ძგერდა.
მხოლოდ იმ ერთი ზეცის მძებნელი,
იდექ უტეხი მებრძოლი კენტად,
მაშ, მარადისით იყავ მზეგრძელი,
დიდო მოძღვარო, დიდება შენდა!

მზე შემოდგომის

გაძარცულ ხეებს ემოსა თალხი,
ნისლი ებურა, დადუმებულ მთებს შენაშფოთებს,
ნიავი, მდურვის ოხვრით და ახით,
ფანტავდა სადღაც, უსაბამოდ, დაცვენილ ფოთლებს.
და ფართქალებდა ტბის ყურესთან დამფრთხალი სხივი
იდუმალ კრთომის
და ცის ლაჟვარდში მოწყენილი ესვენა ცივი,
მზე შემოდგომის.
მზე შემოდგომის, სევდიანი შუქთა მჩინარი,
აფენდა ნათელს, დამზრალ მიწას ჰაიჰარაოდ,
და ქანაობდა ლელიანი, ვითარც ჩინარი,
გაშლილ მარაოდ.
ეჰეი! ამ სოფლის მე ვიგემე კარგი და ავი,
არ დავრჩენილვარ ბედს აქ უწილოდ.
მრუდთა კირთების მეწინამძღვრედ შევიცან თავი,
და თუ ბოროტის ხვედრი ვიყავ ბევრჯერ უცილოდ,
მაინც ნაგესლი, მაკვდინებელ ასპიტის შხამით,
ვერკინებოდი იმ ფლიდთა ნახირს.
და ცისკრის თაღზე მოვუსმენდი ჟამიდან-ჟამით,
ზეშთაგონების მითიურ ძახილს,
ქროდა ფრთოსანთა საოცარი გუნდი ფრთამალი,
შორს, სულ შორს ჩანდა ფერგამკრთალი, შუქი წერწეტი,
და საიდანღაც მოდიოდა მჭექრად ხმა მალი
ეი! შეჩერდი!
არსს წარმავლობის ნუ გგონია სამყარო შენი,
ეგ სრა-სასახლე დარჩება ვისა.
ჯან-ღონით მოსილს, უძლეველი სიკვდილი გშვენის,
ქონების მპყრობელს არა-რაის ჩაგთვლიან ღირსად.
ერეკებოდა სადღაც ქვევით დაცვენილ ფოთლებს,
ნიავი ცელქი, დამდურების ოხვრით და ახით.
ნისლი ებურა დადუმებულ მთებს, შენაშფოთებს,
და შიშველ ხეებს ემოსა თალხი.

მე მოვალ შენთან

ქარგას დავეძებ ჩაკარგულ ფერთან,
გამქრალ ხილვების ლანდთა დენაში,
მე ერთხელ კიდევ მოვირბენ შენთან,
აგვისტოს ლამაზ ვარსკვლავთცვენაში.
მოვალ, მომყვება თეთრი ჭაღარა,
დახავსებული ნაოჭთა ჯარით,
ვეღარ გაალხობს ცეცხლი თაკარა,
წლებს, გაუხედნავ გრძნობათა მსჯავრით.
და იმ ბილიკზე დავიდგამ კარავს,
ამიმბოხდება გულისთქმა წყნარი,
წარსული, განვლილ დღეების კვალად,
ჩაიღვენთება, ვით კელაპტარი.
მეწამულ მთვარის შუქ-ჩრდილი მკრთალი,
გაირბენს, სიო დაჰქროლებს ნელი,
ჩუმი დუდუნით ჩაივლის წყალი,
და ხევში, ქვევით, ჩაწვება ბნელი.
ვარსკვლავი მფეთქავ წამით მყოფელი,
მინავლულ ალად გაკრთება ცაში,
თუ იყო შურის ეს ცრუ სოფელი,
რად არ ვიცოდი ნეტავი მაშინ,
გზნების ქარ-ცეცხლი, მწველი და ფრთხილი,
სავალთა მეკვლედ ვიხილე როდის,
რად ვერ შევიგრძენ, რომ ახლდა ჩრდილი,
თვითდაჯერების ამაო ლოდინს.
არა, იმ დღეებს მე არ მივტირი,
იდუმალია ბედის გზა ბნელი.
აბობოქრებულ გრძნობებით მწირი
ცხოვრება თურმე ყოფილა ძნელი.
ნეტარი ყრმობის დრო მეოცნებე,
მთვარეულ სიზმრად გაფრინდა მაღლა,
და ნუ დამძრახავთ, უმწიკვლო ვნებებს,
თბილ აღტკინებით რომ ვამხელ ახლა.
ქარგას დავეძებ ჩაკარგულ ფერთან,
გამქრალ ხილვების ლანდთა დენაში,
მე კიდევ მოვალ, ოცნებით შენთან,
აგვისტოს ლამაზ ვარსკვლავთცვენაში.

ნუთუ ესა ვართ

ვუძღვნი ცნობილი ქველმოქმედისა და მამულიშვილის ბადრი პატარკაციშვილის ხსოვნას

ნუთუ ესა ვართ, ჩემო ხალხო, ნუთუ ესა ვართ,
მონად ვიმეტებთ შვილს, მოვკალით დიდი ილია,
ნუთუ წყვდიადის საუფლოში ვერ ცნობს მზე სავალს,
სიკეთის ხიდი ბოროტებით ჩატეხილია.
თუმცა მოდენილ ჟამთა ღელვით ულმობლად წვიმდა,
წყევლად და კრულვად ვინ გვარგუნა ავი ბედობა.
სად ჩაიფერფლა ღირსება კაცთა, წმინდათა-წმინდა,
სიცრუის ხიბლით რად მოსილა უიმედობა.
აღთქმული მიწა არ ჩანს, ხსნისა გამქრალა კვალი,
ძნელი ყოფილა საკუთარი სულის მძევლობა,
მართალ-კაცობას რახანია გასვლია ყავლი,
და უზნეურთა გაფურჩქვნილა ფარისევლობა.
სულით მდაბალთა დამდგარია ზეობა დიდი,
ამ შავ წყვდიადში ვის დავეძებ ან რაღას ველი,
მეღირსება კი, მე ოდესმე სიკვდილიც მშვიდი,
რადგან გარშემო უფსკრულია და სივრცე ბნელი.
გსურდა გეხარა მარადიულ სიკეთის ღივი,
წუთისოფელმა განა ოდეს ვინმე დაინდო?
გათბობდეს მადლით, შენი მყუდრო სამარე ცივი,
ქართველი ერის, ჭეშმარიტად დიდო რაინდო!

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა ..... გვ. 2

ავტორისაგან ..... გვ. 3

თავი პირველი ..... გვ. 5

თავი მეორე ..... გვ. 88

თავი მესამე ..... გვ. 126

თავი მეოთხე ..... გვ. 201

თავი მეხუთე ..... გვ. 250

თავი მეექვსე ..... გვ. 323

ლექსები ..... გვ. 360